ფრანსუა ბერნე

უკანასკნელი პოლიტიკური გადატრიალების ისტორია, დიდი მოგოლის სახელმწიფოში

ფრანსუა ბერნე

ფრანსუა ბერნე

უკანასკნელი პოლიტიკური გადატრიალების ისტორია, დიდი მოგოლის სახელმწიფოში

გამომცემლობა „იბერი“
2018

თარგმნა
გიორგი აღნიაშვილმა

რედაქტორი
დალი ყარაულაშვილი

მხატვრული რედაქტორი
დალი ყარაულაშვილი

ტიპოგრაფიკა
პაატა მამფორია

ISBN 978-9941-27-823-5

ფრანსუა ბერნე, (1625-1688) ცხოვრობდა ლუდოვიკო მე-14 მეფობის პერიოდში. მან ინდოეთში 12 წელი დაჰყო. ინგლისელების მიერ ინდოეთის დაპყრობამდე მან აღწერა იმ დროის ინდოეთის პოლიტიკური და სოციალური მოვლენები. ამ წიგნმა დიდი აღიარება მოიპოვა თანამედროვე მეცნიერთა და მკვლევართა შორის.

AN
Accurate MAP of
HINDOSTAN
OR
INDIA,
from the best
AUTHORITIES
Part of THIBET
INDIAN
OCEAN
BENGAL
BAY OF
Country of the Lama
Lake Dilloch
Lake Dilloch
Lake Dilloch

ასოფლიოს ნახვის სურვილმა მძლია. პირველად პალესტინასა და ეგვიპტეში ვიმოგზაურე, მაგრამ მიღწეულით არ დავკმაყოფილდი, მსურდა კიდით-კიდამდე მენახა წითელი ზღვა. სამოგზაუროდ დიდი ქალაქიდან, ქაიროდან გავემგზავრე, სადაც ერთი წელი დავყავი. ოცდათორმეტ საათიანი მგზავრობის შემდეგ მივადექით სუეცს, სადაც გალერით გავაგრძელე მოგზაურობა და 17 დღის შემდეგ შევედით ჯიდუს საზღვაო პორტში, რომელიც მექადან ნახევარი დღის სავალზე მდებარეობს. იქ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად და წითელი ზღვის ბეის დანაპირების საწინაღამდეგოდ მომიწია დამედგა ფეხი მუჰამედის წმინდა მიწაზე, სადაც ქრისტიანის ფეხი ჯერ არ დადგმულა, გარდა მონებისა. ჟიდეში 34 დღე მომიწია დარჩენა. შემდეგ პატარა გემით მივაღწიე ბედნიერი არაბეთის ნაპირებს მოკოში, ბებ-ელ-მანდების სრუტესთან. იქიდან ვაპირებდი გავმგზავრებულიყავი კუნძულ მასივუზე და არკიკოზე, საიდანაც მსურდა მიმეღწია გობეშის დედაქალაქ გონდერამდე, ან გავმგზავრებულიყავი ეთოპიის სამეფოში, მაგრამ როგორც შევიტყვე დედა-დედოფლის სამეფო ინტრიგების გამო პორტუგალიელები დახოცეს, რისხვას გადარჩენილები კი ქვეყნიდან განდევნეს იზუიტ-პატრიარქთან ერთად, რომელიც გოადან იყო მოწვეული. საშიშროება შეექმნათ კათოლიკებისაც. საკუთარ თავს ხან გრეინს, ხან სომეხს ვუწოდებდი, მე ნაკლებად ვრისკავდი, რადგან შემეძლო მისთვის სასარგებლო ვყოფილიყავი და ფულს გადამიხდიდნენ. ვიმედოვნებდი, რომ მეფე მიწყალობებდა მიწას, რომელსაც მონების მეშვეობით დავამუშავებდი. ისიც ვიცოდი რომ აუცილებლად მომიწევდა დაოჯახება, რადგან ერთ-ერთ სასულიერო პირს, რომელიც საკუთარ თავს ექიმად ასაღებდა, იძულებით შერთეს ცოლი. ამის შედეგად მას ქვეყნის დატოვების უფლება სამუდამოდ ჩამოართვეს.

ამ მოვლენების გათვალისწინებით გადავწყვიტე ჩემს გეგმებში ცვლილებები შემეტანა. ჩავჯექი ინდურ ხომალდში და სრუტის გავ-

ლით, ოცდაორი დღის შემდეგ ინდოსტანის საზღვაო პორტ სურატამ-დე მივაღწიე, ეს დიდი მოგოლის იმპერია იყო. იმ პერიოდში მეფობ-და შახ-ჯეხანი, რაც მსოფლიოს მბრძანებელს ნიშნავდა. როგორც ამ ქვეყნის ისტორია ამბობდა ის ჯეხან-გირას ვაჟი იყო, ეს კაცობრიობის მბრძანებელს ნიშნავდა და აკბერის შვილიშვილს, რაც „დიადს“ ნიშ-ნავს. გუმაიონის მხრიდან, რომელიც „ბედნიერს“ ნიშნავს, აკბერს მა-მადს ეკუთვნოდა და წინაპრებიდან ის, თემურ-ლენგის (კოჭლი მბრძა-ნებლის) მეათე თაობას წარმოადგენდა. მან სახელი გაითქვა დიადი გამარჯვებებით და ცოლად უახლოესი ნათესავი, თათრეთის მოგო-ლებად წოდებული მეფის დედისერთა ასული შეირთო. ამ ქვეყანაში ყველა „უცხოელს“, ინდოსტანის ყველა მბრძანებელს, ყველა ინდო-ელს, მოგოლთა ქვეყნის შესაბამის სახელს არქმევდნენ. არმიის მხე-დართმთავრებად მოგოლთა რასის წარმომადგენელთა გარდა, „უც-ხოელებსაც“, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ნიჭიერ ადამიანებსაც აწინაურობდნენ, უწინარეს ყოვლისა სპარსელებს, გამონაკლის შემ-თხვევაში თურქებს და არაბებს. იმისათვის, რომ მოგოლად იწო-დებოდე, საკმარისი იყო ყოფილიყავი თეთრკანიანი და მუჰამედის მოძღვრების მიმდევარი. ასე არჩევდნენ ინდუსებს და წარმართებს ევ-როპელებისგან, რომლებსაც „ფრანგ“-ს უწოდებდნენ. ჩამოსვლის შემ-დეგ გავიგე, რომ სამოცდაათ წელს მიღწეულ მეფე მიროუს (შაჰ-ჯე-ხანი) ყავდა ოთხი ვაჟი და ორი ასული. რამდენიმე წლის წინ მეფემ თავისი ვაჟები, თავისი სამეფოს ყველაზე დიდი პროვინციების ვიცე-მეფეებად და გუბერნატორებად დააწინაურა.

ჩემს ჩამოსვლამდე ერთი წლით ადრე მეფე ავად გახდა, სამეფო კარზე მისი გადარჩენის იმედი თითქმის გადაეწურათ, რამაც ვაჟებს შორის ქიშპობას დაუდო საფუძველი. ოთხივემ მეფობაზე განაცხადა სურვილი და იქმნა ომი, რომელიც ხუთი წელი გაგრძელდა, რომე-ლის შესახებაც მინდა მოგითხროთ, რადგან რვა წლის განმავლობაში ვცხოვრობდი და ვმოღვაწეობდი სამეფო სასახლეში, უშუალო შემ-სწრე ამ ბატალიებისა მე ვიყავი. ბედი და მწირი სახსრები, რომელიც ყაჩაღებთან შეხვედრის შემდეგ შემომრჩა, კიდევ ხარჯები ხანგრძლი-ვი მოგზაურობისთვის სურატადან აგრიმდე და იმპერიის დედაქალაქ დელიმდე, რომელიც ორმოცდაექვსი დღის მგზავრობაში გავიღე მაი-ძულებდა დიდი მოგოლის სამსახურში ჩავმდგარიყავი როგორც ექიმი.

შემდეგ ბედისწერამ აზიაში უნიჭიერესი ადამიანის დანეშმენდ-ხანის ქვეშემდომად მაქცია, რომელსაც „ბაკშის“ თანამდებობა ეპყრა, რაც კავალერიის სარდალს ნიშნავს. ყოფილი ემირი, ერთ-ერთი ძლევამოსილი ბრძენკაცი იყო სასახლეში. ზემოთ ხსენებული ოთხი ძმიდან, უფროსი, შახ-ჯეხანი, იწოდებოდა როგორც დაროი, ანუ დარიანედ. მეორე ძმის სახელი იყო სულთან-სუჯა, რაც „მამაც მეფეს“ ნიშნავს. მესამე ძმას ერქვა აურენგზები, რაც „ტახტის მშვენებას“ ნიშნავს. უმცროსი ძმა მორად-ბაკში იყო, რაც „სურვილის ასრულებას“ ნიშნავს. ორი ასულიდან უფროსს ბეგუმ-სახაბი ანუ მთავარი პრინცესა და უმცროსს რაუშენარა-ბეგუმ, ანუ ბრწყინვალე პრინცესა ეწოდებოდათ. ასეთი სახელების დარქმევა პრინცებისთვის და პრინცესებისთვის ქვეყნაში ტრადიციულ სახეს ატარებდა. თვით შახ-ჯეხანის მეუღლე, რომელიც განთქმული იყო თავისი სილამაზით და სამარხით, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ეწოდოს მსოფლიო საოცრება, ეს არის თაჯ-მაჰალი, ანუ სერალიუს გვირგვინი. ჯეხან-გირას მეუღლე, ნურ-მაგალი, სამეფოს დიდი ხნის განმავლობაში მართავდა. მაშინ, როცა მისი ქმარი ლოთობდა და ერთობოდა, სახელმწიფოს მართვის სადავეების საკუთარ ხელში აღება უწევდა. მოგვიანებით დედოფალს, ნურ-ჯეხან-ბეგუმი უწოდეს, რაც სერალიას მზეს (მსოფლიოს სინათლე) ნიშნავს. ასეთი სახელების დარქმევის მიზეზი, ევროპისგან განსხვავებით, სადაც სახელები და წოდებები მიწის მფლობელის ტიტულით მოიხსენიება, მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს მთელი მიწები ეკუთვნის ფადიშახს. ინდოეთში არ არსებობს საგრაფოები ან თავად-აზნაურთა სამემკვიდრეო ტერიტორია, რითაც შესაძლებელი იქნებოდა წარჩინებულთა სახელები მოიხსენიო. წარჩინებულნი ერთგვარ ჯამაგირს იღებდნენ, რომელსაც უნიშნავდნენ მისი მმართველობის დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მიღებული შემოსავლის, ან დაკავებული თანამდებობის მიხედვით, შესაბამისად „ჯამაგირი“ წარჩინებულებს შეიძლებოდა შემცირებოდათ ან გაზრდოდათ ფადიშაჰის შეხედულების მიხედვით. ემირებს ასეთი სახელები ერქვათ, მაგალითად: რაზ-ანდაზ-ხან, სეფე-ჩეკენ-ხან, ბარკ-ანდაა-ხან, დიანტ-ხან, დანეშმენდ-ხან, ფააელ-ხან და ასე შემდეგ, რაც ნიშნავდა მეხის დამცემს, მტრის რიგების გამრღვევს, ელვის მსროლელს, ერთგულ თავადს, სრულქმნილს და ასე შემდეგ...

დარას ბევრი კარგი თვისება ჰქონდა. ის კეთილმოსაუბრე, გონებამახვილი, ზრდილობიანი და გულუხვი კაცი იყო, მაგრამ საკუთარ თავზე საკმაოდ დიდი წარმოდგენა ჰქონდა. საკუთარი თავი უგანათლებულეს ადამიანად მიაჩნდა და სხვის რჩევას არასდროს ითვალისწინებდა. მრჩეველთა მიმართ დელიკატურობით არასდროს გამოირჩეოდა. ამ თვისების გამო, მისი უერთგულესი ქვეშემდომებიც კი ცდილობდნენ თავი აერიდებინათ, ან უხალისოდ ეამბნათ მისი ძმების ინტრიგების შესახებ. გარდა ამისა, მას ფეთქებადი ხასიათი ჰქონდა, ემუქრებოდა და შეურაწყოფას აყენებდა არმიის მაღალჩინოსნებსაც, არ ერიდებოდა თავადებსაც. მალევე მრისხანება სტოვებდა მას და ისევ კეთილმოსაუბრე მბრძანებლად „გადაიქცეოდა“. ის მუჰამედის მაღიარებელი იყო, საზოგადოების წინაშე მორწმუნე კაცის სახელით სარგებლობდა, თუმცა პირად ცხოვრებაში წარმართებთან წარმართი იყო და ქრისტიანებთან ქრისტიანი. მის გვერდით ყოველთვის იდგნენ ეგრეთ წოდებული პან-დიტები, ანუ წარმართი მეცნიერები. მიუხედავად ამისა მბრძანებელი სოლიდურ პენსიას აძლევდა, ისინიც თავის მხრივ (როგორც ამბობდნენ) მბრძანებელს სახელმწიფო რელიგიის საწინაღამდეგო იდეებს უნერგავდნენ. ამ თემას მოგვიანებით შევეხები, როცა ინდოელთა და წარმართთა შესახებ მოგითხრობთ. მბრძანებელი დიდი ინტერესით უსმენდა იზუიტ მოძღვარს, მამა ბიუზეს, მასთან საუბარი სიამოვნებდა დარას. იმასაც ამბობდნენ, რომ მათი საუბრები რელიგიას იშვიათად ეხებოდა. მათი დიალოგი უწინარეს ყოვლისა მბრძანებლის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას და პოლიტიკას ეხებოდა, რომლის მეშვეობითაც ცდილობდა თავის მხარეზე გადაებირებინა მრავალრიცხოვანი, კარგად შეიარაღებული ქრისტიანები, ასევე განიხილავდნენ როგორ დაემსახურებინა რაჯას წარმართი მბრძანებლების სიყვარული, რომ აუცილებლობის შემთხვევაში მათი მხარდაჭერა მოეპოვებინა, მაგრამ მბრძანებლის ძალისხმევას შედეგი არ მოჰყოლია, პირიქით, როგორც შემდეგ ვნახავთ, აურენგზიბისათვის ეს „მეცადინეობები“ გახდება დარეს თავის მოკვეთის მოთხოვნის მიზეზი, რადგან ის, შერაცხეს ფაკირად, ანუ ურჯულოდ, ადამიანად, რწმენის გარეშე.

სულთანი-სიუჯა ხასიათებით და მისწრაფებებებით ძალიან ჰგავდა დარას, მაგრამ უფრო ჩუმი და მედგარი, მოქნილი გონების ადამი-

ანი იყო. შეეძლო თავისთვის სასარგებლო ფარული ინტრიგების წარმოება და შეეძლო საჩუქრების მეშვეობით ემირებს შორის სამეგობრო წრის გაფართოება, ასევე დიდ ყურადღებას გავლენიან რაჯებთან ურთიერთობას უთმობდა. მაგალითად ჯეს-სომსენგთან და სხვებთან. სულთანი დიდ დროს უთმობდა ამქვეყნიურ სიამოვნებას. ჰყავდა უამრავი ცოლი. მათ გარემოში სულთანი თავდავიწყებით ეძლეოდა განცხრომას, მღეროდა და ცეკვავდა, გასცემდა ძვირფას საჩუქრებს. მის ქვეშემდომებს, ვისაც სურდა სულთანის „მისი სამყაროდან“ გარიდება, სულთანის მოწყალება მათზე ნაკლებად ვრცელდებოდა. სულთანის ახირებების გამო ბევრი საკითხი გადაუწყვეტელი რჩებოდა და ამიტომ მასთან ურთიერთობას ნაკლებად ელტვოდნენ. სულთანი სპარსელების რელიგიის მიმდევარი გახდა, მაშინ როცა შახ-ჯეხანი და მისი ძმები თურქული რელიგიის მიმდვრები იყვნენ. მუჰამედის მოძღვრება რამდენიმე სექტად იყოფოდა. ამ ფაქტმა სახელგანთქმულ შეიხ-სადის, „გულისთანა“-ს ავტორს, უფლება მისცა ებრძანებინა: „მე დერვიში ვარ, მიყვარს სასმელი, არ მწამდეს თითქოს ღმერთი დიადი". სექტებს შორის გამოიკვეთებოდა ორი მიმართულება, რომელთა მიმდევრები ერთმანეთის მიმართ დაუნდობელი მტრობით გამოირჩეოდნენ. ერთი იყო თურქული სექტა, რომელსაც სპარსელები ოსმანურს უწოდებდნენ, ისენი ოსმალთა მომხრეები იყვნენ, ისინი ითვლებოდნენ ოსმანის მხარდამჭერებად და მას, მუჰამედის შთამომავლად, დიად ხალიფად, პირველწმინდანად მიიჩნევდნენ. მას უფლება ჰქონდა განემარტა ყურანის მოძღვრება და თვით კანონებში სირთულეების გადასაწყვეტად საკუთარი ხედვა კანონიერად დაეფიქსირებინა. მეორე სექტა იყო სპარსელების. მათ თურქები უწოდებდნენ „შია“-ს, „რაფეზი“-ს, „ალი მერდან“-ს, (ერეტიკოსებს, ერთიანობის დამრღვევებს, ალის მომხრეებს). თურქებისგან განსხვავებით მათ მიაჩნდათ, რომ მუჰამედის შთამომავალი და პირველმოძღვარის ძალაუფლება ეკუთვნის ყოვლადწმინდა (ყოვლად შემკული) ალის, მუჰამედის სიძეს. სულთანი-სუჯა სახელმწიფოებრივი მოსაზრების გამო ამ სექტას მიემხრო. რადგან სპარსლები არიან შიიტები და ისინი წარმოადგენდნენ ყველაზე გავლენიან და ძლევამოსილ დაჯგუფებას, დიდი მოგოლის სამეფო კარზე და სახელმწიფოში მათ ეჭირათ ყველა უმაღლესი თანამდებობები. შესაბამისად სულთანი იმედოვნებდა, რომ გართულე-

ბების შემთხვევაში მათი მხარდაჭერის იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა. აურენგზები არ გამოირჩეოდა გამჭრიახი გონებით, არც ადამიანების მიმართ კეთილგანწყობით, როგორც ეს შეეძლო დარის, მაგრამ უფრო შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა, ის შესანიშნავად ერკვეოდა ადამიანებში. ირჩევდა იმ ადამიანებს, რომელთა გამოყენებასაც ეფექტურად შესძლებდა და საზღვრავდა ვინ, ან როდის უნდა დაეჯილდოვებინა გულუხვად. ის ჩუმი, გამჭრიახი და თვალთმაქცი იყო, დიდი ხნის განმავლობაში ფაკირად ინიღბებოდა, ღარიბ დერვიშად, რწმენის ერთგულ ადამიანად, ის თვალთმაქცობდა, თითქოს ტახტის პრეტენდენტობაზე უარს ამბობდა და მხოლოდ მშვიდ ცხოვრებაზე, ლოცვაზე და ქველმოქმედებაზე ოცნებობდა. ყველაფრის მიუხედავად სამეფო კარზე ინტრიგებს თესდა. ის, დეკკანის ვიცე-მეფედ დანიშვნის მერე, უფრო გააქტიურდა. ამ ყველაფერს საკმაოდ მოქნილად თითქმის შეუმჩნევლად აკეთებდა. მან შესძლო მამასთან, შაჰ-ჯეხანთან მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნება, თუმცა შაჰი კეთილგანწყობას დარეს მიმართ უფრო ამჟღავნებდა, ასევე პატივისცემით მოიხსენიებდა აურენგზებს. მიაჩნდა რომ მას შეეძლო მეფობა. ამ გარემოებამ დარის, ძლიერი ეჭვიანობა გაუღვიძა, ხანდახან დარი თავს ვერ იკავებდა და ამბობდა: „ჩემი ძმებიდან ყველაზე უფრო ამ „ნამაზი“-ს მეშინია“, ანუ ამ „წმინდანის“, მას ამ „დიდი მლოცველის“ ეშინოდა.

მორად-ბაკში, ძმებს შორის ყველაზე უმცროსი, არანაკლებ საზრიანი და გამჭრიახი ადამიანი იყო. იმ ეტაპზე ის მხოლოდ ნადირობაზე, მშვილდოსნობასა და ნადიმებზე ფიქრობდა. მისი ძლიერი მხარე, ზრდილობა და გულუხვობა იყო. ის ღირსებად ხალას ურთიერთობებს მიიჩნევდა, სძულდა სამეფო კარის ინტრიგები და ამაყობდა, რომ მხოლოდ საკუთარ მკლავს და მახვილის უცხადებდა ნდობას. მორადი მართლაც მამაცი ადამიანი გახლდათ, მას რეალურად შეეძლო დაეძლია თავისი ძმების წინაღამდეგობა და გამეფებულიყო, გამხდარიყო ინდოსტანის სრულუფლებიანი მმართველი.

რაც შეეხება ასულებს, ბეგუმ-სახაბი გამოირჩეოდა სილამაზით და ჭკუით, ამიტომ მამას ძალიან უყვარდა, ჭორები ამბობდნენ, რამდენადაც საოცრად არ უნდა მოგვეჩვენოს, მამის სიყვარულს ასულისადმი საზღვარი არ გააჩნდა. თავის გასასამართლებლად მამა, მოლების (კანონის ზედმიწევნით მცოდნენი) გადაწყვეტილების მი-

ხედვით ამბობდა, რომ „ხის ნაყოფი შეუძლია მიირთვას მან, ვინც ეს ხე დარგოო“. თავის ასულს უდიდესი ნდობა გამოუცხადა და სამეფო სუფრაზე კერძების კონტროლი ასულს დაავალა. ასული შესანიშნავად ახერხებდა მამაზე გავლენის მოხდენას, შესაამისად სახელმწიფო საქმეებს თავისი შეხედულებისამებრ აძლევდა მიმართულებას. ის ძალიან მდიდარი იყო. ღებულობდა დიდ შემოსავლებს და უძვირფასეს საჩუქრებს, რომელსაც მთელი ქვეყნის მაშტაბით იღებდა. ასევე გულუხვად გასცემდა საბოძვარს თავისი ინტერესების შესაბამისად. ასული უკიდურესად ენდობოდა დარეს, იდგა ძმის მხარეს და ღიად უჭერდა მხარს, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა მამა-შვილის ურთიერთობებში და დამეგობრებაში. ასევე მხარდაჭერის გარდა საფრთხეების შესახებ ყოველთვის აფრთხილებდა ძმას. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ და-ძმის ურთიერთობა გამყარებული იყო არა მარტო პრივილეგიებით, არამედ იმითაც, რომ თუ დარა მეფე გახდებოდა, დას საკუთარი შეხედულებისამებრ გათხოვების საშუალებას მისცემდა, რაც ინდოსტანში არასოდეს ხდებოდა, რადგან პრინცესას მეუღლე ძლევამოსილი ადამიანი და გავლენიანი ფიგურის სტატუსით ისარგებლებდა. შესაბამისად საშუალებას მისცემდა ებრძოლა სამეფო ტახტისთვის. გარდა ამისა მეფეები ცდილობდნენ ასული სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად გაეთხოვებინათ. მე მინდა მოგითხროთ პრინცესას სასიყვარულო ინტრიგების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ის გამოკეტილი იყო სარალეში და მას გულმოდგინედ დარაჯობდნენ. მისი სასიყვარულო ინტრიგები ევროპულს არ ჰგავდა, რომელიც გალანტობის და კომიკურობის უხვ დოზას შეიცავს. ამბობდნენ, რომ პრინცესამ შესძლო სერალში ახალგაზრდა, კარგი აღნაგობის დაბალი წოდების ახალგაზრდა კაცის შეყვანა, მაგრამ ამ საიდუმლოს შენახვა ვერ შესძლო, სასახლის სეფექალების შურმა და ჭორებმა მისი საიდუმლო გაამჟღავნა. მალე ამ რომანის შესახებ შახ-ჯეხანისთვისაც ცნობილი გახდა და მეფემ საკუთარ ასულთან მოულოდნელი სტუმრობა გადაწყვიტა. მეფის უეცარმა გამოჩენამ პრინცესა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა და მხოლოდ ის მოახერხა, რომ საყვარელი დიდ სააბაზანო ქვაბში დაემალა. თუმცა ეს შახისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მეფე არ განრისხებულა ასულის ქმედების გამო და არ შეურისხავს იგი. მხოლოდ თბილი საუბარი წამოიწყო ასულთან... სა-

უბრის ბოლოს აღნიშნა, რომ მისი ასულისთვის აბაზანის მიღება აუ-ცილებელი იყო და ბრძანა სააბაზანო ქვაბისთვის ცეცხლი შეენთოთ. თავად კი ოთახი არ დაუტოვებია სანამ ევნუხებმა არ აცნობეს რომ იმ უბედურისთვის ყველაფერი დამთავრებული იყო. გარკვეული დროის შემდეგ, პრინცესამ ახალი „ისტორია“ მოიფიქრა. დაენიშნა თავის კან-ი-ზამანის თანამდებობაზე, რაც საქმეთა მმართველს ნიშნავს, ახალ-გაზრდა ემირი ნაზერ-ხანი. იგი ყველაზე მომხიბვლელი, შესანიშნავი აღნაგობის და პიროვნული ღირსებების მატარებელი ადამიანი იყო. ის ყველას უყვარდა. შაჰ-გესტ-ხანმა, აურენგზიბის ბიძამ, მეფეს შეს-თავაზა ემირის პრინცესაზე დაქორწინება, მაგრამ შახმა-ჯეხანმა არ მიიღო ეს წინადადება, მას შემდეგ რაც შახს ემირთან დაკავშირებით ფარული ინტრიგების შესახებ აცნობეს, გადაწყვიტა თავიდან მოე-შორებინა ემირი და ჩანაფიქრი დაუყოვნებლივ მოიყვანა სისრულეში. ემირი მოწამლეს.

რაუშენარა-ბეგუმი არ ითვლებოდა მიმზიდველ და ჭკვიან ქალ-ბატონად როგორც მეგუმ-საჰაბი, მაგრამ ის იყო მხიარული და სი-ცოცხლით სავსე პრინცესა. განსაკუთრებული ერთგულებით გამო-ირჩეოდა აურენგზების მიმართ და ამიტომ ბეგუმ-საჰაბის და დარის მოწინაღამდეგე გახდა. რაუშენარას არ გააჩნდა შესაბამისი რესურ-სები, რომ სამეფო კარზე გავლენა მოეპოვებინა, მაგრამ სასახლის პერსონალში ბევრი მოყურადე ჰყავდა, შესაბამისად თუ რაიმე მნიშ-ვნელოვანს გაიგებდა აურენგზიბს საქმის ყურში აყენებდა.

რამდენიმე წლის ჭოჭმანის შემდეგ, შახი-ჯეხანი, რომელიც თა-ვის ოთხ ვაჟს აკვირდებოდა, ადამიანებს, პრინცებს, რომლებიც უკვე დაოჯახებულები, საკუთარი შთამომავლობით ერთმანეთს ათასგვარი ინტრიგებით ებრძოდნენ სამეფო ტახტის დასაკავებლად, შახი ხვდე-ბოდა, რომ ძალაუფლებისთვის მებრძოლ პრინცებს, მისი სიცოცხლის ხელყოფაც შეეძლოთ. რა ექნა შაჰს? მათი გამოეკეტვა გვალიორში (ციხესიმაგრე, სადაც პრინცებს ატყვევებენ. ციხე-სიმაგრე ციცაბო კლდეზე იყო აგებული და მიუდგომლად ითვლებოდა. ციხეს კარგად გაწვრთნილი გარნიზონი იცავდა. ჰქონდა საკუთარი წყალმომარაგება და საკვებითაც კარგად იყო უზრუნველყოფილი) საქმეს ართულებდა, რადგან პრინცები იმ დროისთვის უკვე საკმარის ძლევამოსილებას ფლობდნენ. თითოეულ მათგანს საკუთარი „კარი“ გააჩნდა, არ შეიძ-

ლებოდა მათი განდევნა, ან სამეფო კარისგან იზოლაცია, მაგრამ თუ მათ სამეფოს პროვინციების საბოლოო მმართველობას დაუკანონებდა, მაშინ იქმნებოდა საშიშროება, რომ პრინცები საკუთარ სამეფოებს ჩამოაყალიბებდნენ და ერთმანეთის წინაღამდეგ ამხედრდებოდნენ, ძმები ძალაუფლების გულისთვის, ერთმანეთს ყელს გამოჭრიდნენ. მან სულთნი-სუჯუ ბენგალიის სამეფოში გაგზავნა, აურენგზები დეკკანში, მორად-ბაკშა კი გუჯერათში, დორეს კი ქაბული და მულტანი უწყალობა. პირველი სამეული კმაყოფილი დარჩა შაჰის წყალობით, შეინარჩუნეს საკუთარი პოზიციები და გავლენის სფერო. შაჰისგან ბოძებულ ტერიტორიაზე უფლებამოსილნი იყვნენ ესაუბრათ მეფის სახელით და შეეძლოთ ჰყოლოდათ მრავალრიცხოვანი ჯარი ხელქვეითთა და სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი მეზობლებისგან თავდაცვის მიზნით. რაც შეეხება დარის, უფროს ვაჟს და ტახტის რეალურ პრეტენდენტს, ის სასახლიდან არ წასულა. ერთი შეხედვით ეს ფაქტი, შაჰის მიზნებშიც შედიოდა, რადგან იმედოვნებდა რომ მისი სიკვდილის შემდეგ ტახტს დარი დაიკავებდა. შაჰმა დარის უფლება მისცა სასახლეში ბრძანებები გაეცა და ტახტიც დაუდგა, რომელიც შაჰის ტახტის ქვევით იდგა. ისეთი განცდა დაგეუფლებოდათ თითქოს დარბაზში ორი ფადიშაჰი იმყოფებოდა. იმის გამო, რომ ორი თვითმბყრობელისთვის ძნელია მშვიდი თანაცხოვრება, შაჰს დარეს მიმართ ეჭვები აღეძრა, თუმცა დარე მეფის მიმართ სრულ მორჩილებას და პატივისცემას გამოხატავდა. შაჰს განსაკუთრებით საწამლავის ეშინოდა. შაჰმა კარგად უწყოდა აურენგზების ღირსებები, ისიც, რომ მას შეეძლო ქვეყნის მართვა, ამიტომ მეფე მასთანაც კარგ ურთიეთობას ინარჩუნებდა.

აი ეს მინდოდა მეთქვა ოთხ პრინცზე და მათ მამაზე შაჰ-ჯეხანზე, რადგან ის, რაც შემდეგ უნდა გიამბოთ ამ ყველაფრის გარეშე ბევრ კითხვას წარმოშობდა. მე არ ვთვლი საჭიროდ რომ გვერდი ავუარო ორი პრინცესას ბედს, რამეთუ ისინი იყვნენ ტრაგედიის ერთ-ერთი მთავარი გმირები. ინდოელი ქალები, ისევე როგორც კონსტანტინეპოლში და სხვაგან არც თუ იშვიათად თამაშობენ გადამწყვეტ როლს სერიოზულ სახელმწიფო მოვლენებში, მაგრამ ამ ფაქტს, როგორც ყოველთვის ნაკლებ ყურადღებას უთმობენ და ფიქრობენ ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევ მიზეზებზე. იმისათვის, რომ ნათლად გაიგოთ

რა მაქვს მხედველობაში თხრობას უფრო შორიდან დავიწყებ. მოგითხრობთ რა მოხდა სამეფო კარზე არეულობის დაწყებამდე, აურენგზებს, გოლკანდის მართველსა და მის ვეზირს ემირ-ჯემლს შორის. ამ ისტორიიდან შეიტყობთ აურენგზების ხასიათის და გონიერების შესახებ, რომელიც მთელი ამ ისტორიის მთავარი გმირი გახლავთ თუ როგორ გახდა იგი ფადიშაჰი. ვნახოთ როგორ ჩაუყარა საფუძველი ემირ-ჯემლმა აურენგზების მეფობას.

იმ დროს, როცა აურენგზები დეკკანში იმყოფებოდა, გოლკონდის მმართველი ვეზირი და არმიის წინამძღოლი სრულიად ინდოეთში იყო სპარსი ემირ-ჯემლა. წარმოშობით ის არ იყო მაღალი წრის ადამიანი, მაგრამ სახელმწიფო საქმეების წარმოების დიდი გამცდილება გააჩნდა, დიადი გონებით და დიდი მხედარმთავრის ნიჭით იყო დაჯილდოებული. მან შეძლო, არა მარტო სახელმწიფო მართვიდან, ასევე გემებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სავაჭრო საქმის გონივრული მართვით, დიდი საუნჯე მოეგროვებინა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ ემირი, ალმასის მოპოვების არენდატორ-მფლობელი გახდა, „გარეშე“ პირების დახმარებით. მთელი ქვეყანა ემირის სიმდიდრეზე ალაპარაკდა. მან ჯარების გარდა, განავითარა არტილერია და ჯარი უზრუნველყო იმ დროის ყველა თანამედროვე ტექნიკით. ასევე „ინახავდა“ მრავალრიცხოვან „ფრანგი“-ს, ანუ ქრისტიანებს მეთაურების რანგში. ემირი გახდა ბევრად უფრო მდიდარი და ძლევამოსილი, როცა მისი ჯარები შეიჭრნენ კარნატიკას სამეფოში, დაიპყრო და გაძარცვა სიმდიდრით განთქმული წარმართული ტაძარები. თვით გოლკონდის მეფესაც შეშურდა და გადაწყვიტა ბოროტი ხუმრობით „გამასპინძლებოდა“ ემირს. მეფისთვის განსაკუთრებით აუტანელი იყო ჭორები ემირისა და დედა-დედოფლის ინტიმურ ურთიერთობებთან დაკავშირებით, დედა-დედოფალი ულამაზესი ქალი იყო. მეფე თავის განზრახვას არავის უზიარებდა, მოთმინებით ელოდებოდა ემირის დაბრუნებას კარნატიკადან, სადაც ის ჯარებთან ერთად იმყოფებოდა. ერთხელ, როცა მეფეს, ემირისა და დედა-დედოფალს შორის ინტიმური ურთიერთობების შესახებ უამბეს, მეფე განრისხდა, მის მძვინვარებას და მუქარას საზღვარი არ ჰქონდა. ამ ფაქტის შესახებ სასწრაფოს აცნობეს ემირს, რადგან მეფის კარზე ემირის მეუღლის ნათესავებს და მეგობრებს მაღალი თანამდებობები ეჭირათ და სასახ-

ლეს სრულიად აკონტროლებდნენ. მეფის მრისხანების შესახებ დედა-დედოფლისთვისაც მალე გახდა ცნობილი. ემირმა სასწრაფოდ მისწერა წერილი თავის ერთადერთ ვაჟს მახმეტ-ემირ-ხანს, რომელიც იმ დროს მეფის სასახლეში იმყოფებოდა, რომ სასწრაფოდ დაეტოვებინა სასახლე, მიზეზად, ნადირობა, ან სხვა რამე მოეფიქრებინა და მასთან წამოსულიყო. ემირის ვაჟმა სცადა მამის ბრძანება შეესრულებინა, მაგრამ მეფემ ნება არ მისცა სასახლე დაეტოვებინა და მეთვალყურეები მიუჩინა. ემირი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო, რომელის განხორციელების შემთხვევაში მეფე გვირგვინთან ერთად, დიდი ალბათობით სიცოცხლესაც დაკარგავდა. ვისაც არა აქვს ფანტაზიის უნარი ის ვერც იმეფებს. ემირმა მისწერა აურენგზებს, რომელიც იმ ხანად დულეტ-აბედეში, დეკკანის დედაქალაქში იმყოფებოდა. ეს დედაქალაქი თხუთმეტი-თექვსმეტი დღის სავალზე იყო გოლკონდამდე და მას მოუთხრო, რომ მეფეს სურდა მისი და მისი ოჯახის დაღუპვა, მიუხედავად მისდამი მრავალი წლის უანგარო სამსახურისა. ამიტომ სთხოვდა აურენგზებს მფარველობა გაეწია ემირისთვის და მისი ოჯახისთვის და თუკი ემირის რჩევებს გაითვალისწინებდა გადასცემდა სამეფო გვირგვინს და სამეფოს. ემირი წერილში სწერდა:

„თქვენ უნდა უზრუნველყოთ ოთხი ან ხუთი ათასი რჩეული ცხენოსანი ჯარის მობილიზება და მიმართოთ გოლკონდისკენ, თან გაავრცელონ ხმები თითქოს შაჰ-ჯეხანის ელჩი მიემართება მეფესთან ბეგნაგერეში. დაბირი, ვინც პირველი აწვდის შეტყობინებებს მეფეს ჩემი მოკავშირეა და ჩემი ერთგულია. გთხოვთ სწრაფად დაძრათ თქვენი ჯარები. მე ვუზრუნველჰყოფ თქვენს შეუმჩნეველ გადაადგილებას ბაგნეგერემდე. მეფე, წესისამებრ ელჩის შესახვედრად გამოემართება წერილის მისაღებად და მაშინ თქვენ იოლად შეიპყრობთ მას. რაც შეეხება მეფის ოჯახს, მოექეცით ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლით. სახლი, სადაც მეფე ცხოვრობს, არ არის შემოსაზღვრული არც გალავნით და არც თხრილებით, შესაბამისად მისი ოჯახის შეპყრობა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს“.

ასევე დასძინა, რომ ამ კომპანიას მთლიანად ემირი დააფინანსებდა და პრინცს, მთელი ლაშქრობის პერიოდში, დღეში ორმოცდაათი ათასი რუპია შესთავაზა. აურენგზები, რომელიც ასეთ შესაძლებლო-

ბებს ეძებდა, არ დაყოვნებულა და გადაწყვიტა გარემოება სათავისოთ გამოეყენებინა. ის დაუყოვნებლივ გაემართა და ჩავიდა ბეგნაგერში შაჰ-ჯეხანის ელჩის „ნიღბით“. გოლკონდის მეფეს შეატყობინეს ელჩის ჩამობრძანების შესახებ, მეფე ბაღში გამობრძანდა რომ პატივისცემა გამოეხატა შაჰის ელჩისადმი და უეცრად მტრის ხელში აღმოჩნდა. დაახლოებით ოცდაათი ქართველი მეომერი მზად იყო თავს დასხმოდა, მაგრამ ერთმა ემირმა მეფეს მიმართა: „მეფეო, განა ვერ ხედავთ რომ თქვენს წინაშე აურენგზებია? სასწრაფოდ დატოვეთ აქაურობა, თორემ შეპყრობა არ აგცდებათ“... მეფე შეშინდა, მოახტა ცხენს და გოლკონდის ციხე-სიმაგრისკენ გაქუსლა, რომელიც ერთი მილის მოშორებით იდგა. აურენგზებმა დაინახა რა, რომ გეგმა ჩაეშალა არ დაბნეულა, რადგან იცოდა, რომ ემირ-ჯემლის ჯარები მას თავს არ დაესხმოდნენ, შეიჭრა მეფის სასახლეში და სრულიად გაძარცვა, მხოლოდ მეფის ცოლებისთვის არ უხლია ხელი. (ეს ტრადიცია ინდოეთში ხელუხლებლად იყო დაცული). შემდეგ კი ციხესიმაგრეს ალყა შემოარტყა. ალყა ორ თვეს გაგრძელდა, მოალყეებს არ ჰქონდათ შესაბამისი ტექნიკა და იარაღი ციხესიმაგრის ასაღებად. აურენგზებმა შაჰ-ჯეხანისგან ბრძანება მიიღო, დაუყოვნებლივ მოეხსნა ალყა და დეკკანში დაბრუნებულიყო. მიუხედავად იმისა რომ ციხესიმაგრეში საომარი მასალებისა და ჯარების არყოფნის გამო უიმედობა სუფევდა, მაინც მზად იყვნენ ბრძოლა გაემართათ მომხდურისთვის. პრინცმა იცოდა, რომ დარა და ბეგუმ-სახები დაარწმუნებდნენ შაჰ-ჯეხანს გაეცა ეს ბრძანება, რადგან გამარჯვების შემთხვევაში საშიშროებას პრინცი აურენგზები უფრო წარმოადგენდა, გაძლიერდებოდა და უფრო ძლევამოსილი გახდებოდა. პრინცს არ გამოუთქვამს უკმაყოფილება მომხდარის გამო, მხოლოდ ბრძანა: „შაჰის ნება უნდა შესრულდეს“-ო. მართალია პრინცი წავიდა, მაგრამ უკმაყოფილო არ იყო, რადგან მიიღო დაპირებული თანხა და თავის ვაჟსაც ცოლად შერთო სულთან-მახმუდის ასული, რომელმაც თავის მხრივ აღუთქვა, რომ სიძეს თავის მემკვიდრედ გამოაცხადებდა. მზითვის სახით კი ციხესიმაგრე რამგირი მიიღო, მიმდებარე ტერიტორიებთან ერთად. ასევე შეთანხმდნენ, რომ ყოველ ვერცხლის მონეტაზე, რომელსაც მისი ხაზინა მოჭრიდა, შაჰ-ჯიხანის ბეჭედი იქნებოდა გამოსახული. ასევე მიიღო უფლება, რომ ემირ-ჯემლი გამგზავრებულიყო ოჯახთან ერთად, ქო-

ნებით, ჯარით და არტილერიით. ეს ორი დიდი ადამიანი, მომავალშიც დიდ საქმეებს ჩაუყრიან საფუძველს. გზად მიმავლებმა აიღეს ბიდერი, ერთ-ერთი უძლიერესი და მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე ბიდ-ჯაპურში, შემდეგ ერთად გაემგზავრნენ დაულეთ-აბადში, სადაც ისე დამეგობრდნენ აურენგზები და ემირი, რომ არც ერთ საკითხს უერთმანეთოდ არ წყვეტდნენ. პრინცის დამეგობრებამ ემირთან, პრინცის გამეფებას სერიოზული ფუნდამენტი შეუქმნა. ყველაფერი იმდენად დახვეწილად ჩამოაყალიბეს, რომ რამდენჯერმე იხმეს შაჰ-ჯეხანთან, საბოლოოდ ემირი გაემგზავრა აგრუში მთელი სიდიადით და მდიდრული საჩუქრებით და შესთავაზეს სრული მხარდაჭერა. დაეწყო ომი გოლკონდის მეფის ბიჯაპურასა და პორტუგალიელების წინაღადეგ. ემირმა თავისი კოლექციიდან უმშვენიერესი ალმასი მიუძღვნა შაჰს, ამით ახსნა, რომ გოლკონდის ქვები ბევრად უფო ღირებულია ყანდაგარის კლდეებზე, (სადაც შაჰი-ჯეხანი გეგმავდა გალაშქრებას) რომ გოლკონდის წინაღამდეგ უნდა მიმართოს სამხედრო მოქმედებები და უნდა დაიპყროს სრულიად ინდოეთი კომორინამდე.

ძნელი სათქმელია შაჰ-ჯეხანის შემდგომი მოქმედებების მოტივები ემირის ალმასის ბრწყინვალებამ გამოიწვია, როგორც ზოგს მიაჩნია უფრო მართებულად, რომ ჯარები სალაშქრო მდგომარეობაში მოეყვანა, რომ დარუ „აღვირით“ შეეკავებინა, რადგან ამ უკანასკნელმა დიდი ძალაუფლება აიღო ხელში და მან თავს უფლება მისცა, თავისი უკეთური საქციელით შეურაცხყოფა მიეყენებინა ვეზირ სადულა-ხანისთვის, რომელიც შაჰ-ჯეხანს ძალიან უყვარდა და ვეზირს თვლიდა მაღალი დონის სახელმწიფო მოხელედ, ვინც კი ოდესმე ყოფილა ინდოეთში. დარა ითხოვდა მის გაძევებას, რადგან ვეზირს მოიაზრებდა მის მოწინაღამდეგედ და განიხილავდა როგორც სულთან სუჯის მომხრედ, მიაჩნდა რომ შაჰის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტის ბედის გადაწყვეტა შეეძლო, ასევე მიაჩნდა, რომ სუდულა-ხანს, რომელიც არც სპარსი იყო და არც სპარსეთში დაბადებული, ბევრი მოშურნე ჰყავდა, რომლებიც ავრცელებდნენ ჭორს, რომ ხანს სხვადასხვა ადგილას კარგად გაწვრთნილი და საბრძოლველად გამზადებული ჯარები ჰყავდა, რომელთა მეშვეობითაც თავად აპირებდა გამხდარიყო ფადიშაჰი და ტახტზე თავისი ვაჟი აეყვანა, ნებისმიერ შემთხვევაში მიზნად ისახავდა მოგოლთა გაძევებას და პატანებისთვის

ტახტის დაბრუნებას, საიდანაც მისი ცოლი იყო წარმოშობით... მიუხედავად ყველაფრისა შაჰ-ჯეხანმა გადაწყვიტა ემირ-ჯემლის მხედართმთავრობით, ჯარი გაეგზავნა დეკკანში. დარა კარგად ხვდებოდა ამ წამოწყების სერიოზულობას, ის ხვდებოდა, რომ ეს მოვლენა პოზიციებს უმაგრებდა აურენგზებს. ამიტომ ყოველი შესაძლო საშუალებით ხელს უშლიდა ამ წამოწყების განხორციელებას, ხელს უშლიდა ლაშქრობის დაწყებას, მაგრამ შაჰის ნების ურყევობამ ქედი მოახრევინა და ლაშქრობას დათანხმდა. დარამ პირობები წამოაყენა, მას სურდა რომ აურენგზიბი დარჩენილიყო დაულეტ-აბადში, ქვეყნის მმართველად და არ ჩარეულიყო სამხედრო მოქმედებებში, არ ეხელმძღვანელა ჯარებისთვის, ემირს სრული თავისუფლება ექნებოდა თავისი შეხედულებისამებრ წარემართა ომი, ხოლო ერთგულების გარანტად, სასახლეში ემირის ოჯახის დარჩენას ითხოვდა. ემირს ძალიან გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება, შაჰმა სთხოვა დაჰყოლოდა დარეს ნებას და შესაბამისად დაპირდა, რომ ცოლს-შვილს მალევე გაუგზავნიდა და მოითხოვა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო დეკკანში აურენგზებთან, რათა გადასულიყვნენ ბიჯაპურას მიწაზე და ალყა შემოერტყათ კალიანის ციხესიმაგრისთვის.

დაახლოებით ასეთი მდგომარეობა იყო ინდოსტანში როდესაც შაჰი-ჯეხანი მძიმედ ავად გახდა. ცნობა შაჰის ავადმყოფობის შესახებ მთელ ინდოსტანში სწრაფად გავრცელდა. მოსახლეობა შიშმა მოიცვა. დარამ დელიში და აგრეში მძლავრი არმია შეკრიბა, ასევე მოიქცა სულთანი-სუჯა და საკუთარი ჯარების შეკრება დაიწყო ბენგალიაში, აურენგზებმა დეკკანში და მორად-ბაკშამ გუჯარათში. ოთხივე ძმა ყველგან ეძებდნენ მოკავშირეებს და მეგობრებს. ოთხივე ძმა, მოსახლეობას ათას სიკეთეს პირდებოდა, წერილებს სწერდნენ მოკავშირეებს და ინტრიგებს სთესდნენ ერთმანეთის საწინაღამდეგოდ. დარამ რამდენიმე წერილის ხელში ჩაგდება მოახერხა და შახ-ჯეხანს წარუდგინა, შესაბამისად მისმა დამ, ბეგუმ-სახებმა ისარგებლა სიტუაციით და შეეცადა მეფე დანარჩენი სამი ძმის წინააღმდეგ განეწყო, მაგრამ შაჰი-ჯეხანი არ ენდობოდა დარეს, ეშინოდა მოწამვლის, შესაბამისად ბრძანება გასცა შეემოწმებინათ საკვები, რომელიც სუფრაზე მოჰქონდათ. ამბობენ, რომ საკუთარი მოსაზრებების შესახებ აურენგზიბსაც მისწერა, დარამ კი, ეს ამბავი რომ გაიგო, ერთი აურზაური ატეხა. მე-

ფის ავადმყოფობა ძალიან გაჭიანურდა და დაირხა ჭორები, რომ მეფე მოკვდა. სასახლეში შფოთმა დაისადგურა, ვაჭრები დუქნებს კეტავდნენ და ოთხივე პრინცი უკვე ღიად შეუდგა თავდაცვის სამზადისს. ისინი ყოველგვარი საფუძვლის გარეშეც ომისთვის ემზადებოდნენ. ძმები კარგად აცნობიერებდნენ, რომ დამარცხებულისათვის არავითარი დანდობა არ იქნებოდა, მხოლოდ, „გაიმარჯვე, ან მოკვდი, გახდები მეფე, ან დაიღუპები“, ეს პრინციპი ამოძრავებდათ. შაჰი-ჯიხანიც ასევე მოექცა თავის ძმებს...

სულთანი-სუჯა, რომელმაც ურიცხვი სიმდიდრე მოაგროვა მდიდარ ბენგალიაში, იმით, რომ გააკოტრა რამდენიმე რაჯა და ეკლესია, მან პროვინციიდანაც დიდი თანხები ამოიღო და დიდი არმიით პირველმა დაიწყო ლაშქრობა, დიდ იმედებს სპარსელ ემირებზე ამყარებდა, რადგან თავადაც მათი სექტის წევრი იყო. სულთანი თამამად დაიძრა აგრუსკენ, მან ყველას გასაგონად ბრძანა შაჰი-ჯეხანი მოკვდა და რომ მეფე, დარამ მოწამლა, ის მეფის გამო შურისსაძიებლად მიდიოდა, მოკლედ სულთანი, დარას ადგილის დასაკავებლად გაემართა. ამ ქმედებით, სულთანმა აიძულა შაჰი-ჯეხანი მისთვის წერილი მიეწერა, მეფე წინსვლას უკრძალავდა, წერდა, რომ ავადმყოფობა დასძლია და მალე სრულიად გამოჯანმრთელდებოდა. სულთანის მეგობრები კი, სასახლიდან ატყობინებდნენ რომ მეფის ავადმყოფობა სასიკვდილოა, რომ სულთანმა არ შეაჩეროს წინსვლა და თუ შაჰი ცოცხალი დახვდება, ის მუხლს მოიყრის მეფის წინაშე და მეფის ბრძანებას მოისმენს...

აურენგზებმაც არ დააყოვნა და დეკკანზე დაიწყო გალაშქრება, დიდი ხმაურის შემდეგ დაიწყო მზადება აგრუსკენ. მანაც მიიღო შაჰის წერილი, რომელიც წინსვლას უკრძალავდა პრინცს, მაგრამ სულთანისმაგვარი პასუხი გასცა მამას და დარის. თუმცა ფინანსურად პრინცს გაუჭირდა რომ ბოლომდე უზრუნველყო ლაშქრობა და ხერხს მიმართა, რომელიც კარგად გამოუვიდა. პირველი, უკავშირდებოდა მოროდ-ბაქშას, მეორე, ემირ-ჯემლის. მოროდ-ბაქშას წერილი მისწერა, სადაც საკუთარ თავს მის მეგობრად მოიხსენებდა. რომ ის არ იბრძვის ტახტისთვის, რომ მან მთელი თავისი ცხოვრება გაატარა როგორც ფაკირმა. დარაა — ადამიანი, რომელსაც არ აქვს უნარი მართოს ქვეყანა. ფაკირი — ერეტიკოსი, რომელიც არც ერთ ემირს არ უყვარს. სულთანი-სუჯა-ერეტიკოსი, შესაბამისად ინდოსტანის მტე-

რი. მხოლოდ მორად-ბაკშას აქვს სრული უფლება, პრეტენზია განაცხადოს გვირგვინზე, მას უცდიან სამეფო კარზე, მისი კეთილშობილება მთელ ქვეყანაზე ცნობილია... რაც შეეხება აურენგზებს, იმ შემთხვევაში თუ მორად-ბაკში დაპირდებოდა, რომ მისცემდა წყნარი ცხოვრების საშუალებას ქვეყნის რომელიმე მხარეში, ის შეუერთდებოდა და მის მხარეზე გადავიდოდა, შესაბამისად მისი არმიაც მორად-ბაკშას მხარეზე იბრძოლებდა. რაც შეეხება დარას და სულთან-სუჯის გაუგზავნა ასი ათასი რუპია, როგორც მათდამი ერთგულების გარანტია. შესაბამისად მას სთხოვდნენ რომ დაიპყროს სურატის ციხე-სიმაგრე, სადაც ინახება სახელმწიფო განძეული. მორად-ბაკშიმ, რომელიც არც სიმდიდრით და არც ძლევამოსილებით არ გამოირჩეოდა დიდი სიხარულით მიიღო ძმის შემოთავაზება. მან აურენგზიბის წერილი ყველას აჩვენა, შესაბამისად ახალგაზრდებს გაუღვიძა სურვილი იარაღსთვის მოეკიდათ ხელი, ხოლო მსხვილ ვაჭრებს დაჟინებით მოსთხოვა იგი უზრუნველყოთ შესაბამისი თანხებით, რომელსაც ის დიდი ხანია ითხოვდა. მორად-ბაკში სერიოზულად განიხილავდა საკუთარ კანდიდატურას მეფის ტახტზე, შესაბამისად არც დაპირებებზე ამბობდა უარს. და მან შესძლო ჩამოეყალიბებინა მაღალი დონის არმია. არმიიდან გამოყვეს სამი ათასი მებრძოლი, უშიშარი სარდლის, შაჰ-აბასის მეთაურობით, (შაჰ-აბასი იყო ევნუხი) სურატსკის ციხე-სიმაგრის დასაპყრობად. აურენგზიბმა გაგზავნა თავისი უფროსი ვაჟი სულთანი მაჰმუდი, რომელმაც გოლკონდის მეფის ასული შერთო ცოლად, ემირ ჯემლესთან, რომელიც ჯერ კიდევ კალინის ციხის ალყით იყო დაკავებული, იმისთვის, რომ ჩამოსულიყო მასთან დაულეტ-აბადში, იმისთვის, რომ პრინცს უაღრესად მნიშვნელოვანი განცხადება უნდა გაეკეთებინა. ემირმა ეჭვი შეიტანა აურენგზიბის გულწრფელობაში და გამგზავრებაზე უარი თქვა, რადგან წყაროებიდან იცოდა, რომ შაჰი-ჯეხანი ცოცხალი იყო. ემირის ოჯახიც აგრეში დარისთან იმყოფებოდა, ეს ანგარიშგასაწევი გარემოება ემირს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას უზღუდავდა. შესაბამისად ემირი აურენგზიბს ვერ დაეხმარებოდა, რადგან ამ შემთხვევაში საკუთარ თავს მის მომხრედ გამოაცხადებდა. სულთან-მახმუდი დაბრუნდა დაულეტ-აბადში. ის უკმაყოფილო იყო ემირით. აურენგზებს არ გაკვირვებია ემირის უარი და სულთანთან თავისი მეორე ვაჟი, სულთანი-მაზუმა გაგზავ-

ნა, რომელმაც სულთანს მამის წერილი გადასცა, სულთანმა-მაზუმამ დაარწმუნა ემირი მამის კეთილგანწყობაში და მისადმი მეგობრობაში, შესაბამისად ემირმა უარი ვეღარ გაბედა. კალიანაში ალყას ვეღარ გაუძლეს და დანებდნენ ემირს, გარკვეული ლგოტების საფუძველზე. მარშით შევიდა ემირი ციხესიმაგრეში, მას გვერდს უმშვენებდა სულთანი-მაზუმა. როცა ემირი აურენგზიპს ეახლა, პრინცმა არ დაიშურა საქებარი სიტყვები, გადაეხვია ემირს, შემდეგ გვერდით გაიხმო და უთხრა, რომ მისთვის ცნობილია ემირის ოჯახის ადგილსამყოფელი, ამიტომ პრინცი არ ითხოვდა მისგან აშკარა მხარდაჭერა გამოეჩინა პრინცისადმი. ასევე დასძინა, „გამჭრიახობით, არ არსბობს სიძნელე, რომლის დაძლევაც არ შეიძლება. ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ გეგმა, შეიძლება უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ იმის გამო, რომ თქვენ გაფიქრებთ თქვენი მეუღლის და ვაჟის ბედი, გთავაზობთ ხერხს, რომლის მეშეობითაც უზრუნველჰყოფთ თქვენი ოჯახის დაცვას. მე თქვენ დაგაპატიმრებთ და ჩაგსვავთ ციხეში. ეჭვგარეშეა, რომ თქვენ დაგიჯერებენ, რომ ეს ამბავი საკმაოდ სერიოზულია. აბა ვინ წარმოიდგენს რომ ისეთი პიროვნება, როგორიც თქვენ ბრძანდებით საკუთარი ნებით თანხმდება პატიმრობას, მანამდე მე გამოვიყენებ თქვენი ჯარების ნაწილს და არტილერიას, რადგან ამას თქვენ მიიჩნევთ მიზანშეწონილად, ასევე თქვენ მე უზრუნველმყოფთ გარკვეული თანხით, რომელიც თქვენ არაერთხელ შემოგითავაზებიათ და ამ ყველაფრით აღჭურვილი, მე „ბედს გამოვცდი“, შესაბამისად მე და თქვენ ერთად მოვიფიქროთ როგორ უნდა მოვიქცე მომავალში. თუ თქვენ ამის გარდა დაუშვებთ, რომ წაგიყვანოთ დაულეტაბადის ციხესიმაგრეში, სადაც თქვენ იქნებით პირველი პირი და თქვენ დაგიცავთ სულთან-მაზუმი ან სულთანი-მაჰმუდი, საქმე უფრო რეალურ სახეს მიიღებს და სინამდვილეს დაემსგავსება, შესაბამისად დარეს არანაირი მიზეზი არ ექნება შეავიწროვოს თქვენი ცოლ-შვილი“.

იმ მეგობრობის გამო, რომლის ფიცი მისცა აურენგზიბს, ან უხვი დაპირებების, ან იარაღში ჩასმული სულთანი-მაზიმას მიმართ შიშმა თუ სულთან-მახმუდის მზერამ და ემირისადმი მისმა ნეგატიურმა დამოკიდებულებამ, რადგან ემირი გამოჰყვა მის ძმას და არა მას. ემირი დათანხმდა შეესრულებინა პრინცის სურვილი და ყოფილიყო შემოთავაზებული ციხის ტუსაღი. პრინცის არტილერიის სარდალი ამაყად

მიუახლოვდა ემირს და მოსთხოვა მას გაჰყოლოდა. ემირი ოთახში შეიყვანეს და კარი ჩაუკეტეს. შესაბამისად კარებთან დაცვაც დააყენეს. ყველა თავისუფალი ჯარისკაცი, აურენგზიბის კარზე, „სატუსაღო სახლს“, გარს შემოაწყვეს. ემირის დატუსარების ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა, ემირის ხელქვეითები გაოგნებულები იყვნენ პრინცის ვერაგობით. სრულიად ემირის ჯარი ერთად შეიკრიბა და პრინცის მიერ დატყვევებული ემირის გასანთავისუფლებლად დაიძრა. ამის გაკეთება საკმაოდ იოლი იყო, რადგან პრინცს არ უზრუნია შეეგროვებინა ჯარი ასეთი გეგმის გასანხორციელებლად, რადგან ემირ-ჯამლის სახელი ყველას აიძულებდა ქედი მოედრიკა, კინაღამ ყველაფერი ჩაიშალა, პრინცმა და ემირმა ჯარების სარდლებს განუმარტეს ვითარება, აურენგზიბი სარდლებთან მოლაპარაკებაზე შვილებთან ერთად იყო მისული და საკმაოდ მკაფიოდ და დამაჯერებლად ესაუბრებოდა ემირის ჯარის სარდლებს, ასევე დადებითი ზეგავლენა მოახდინა საჩუქრებმა და დაპირებებმა, რომელიც პრინცმა უხვად გასცა. პრინცის და ემირის გარიგებამ შახ-ჯეხანის ჯარებშიც გაურკვევლობა შეიტანა და მხედართმთავის გარეშე დარჩენილი შახის ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი პრინცის მხარეზე გადავიდა. ჭორმა შახის სიკვდილის შესახებ, ასევე ჯამაგირის გაზრდის დაპირებამ, წინასწარ სამი თვის ჯამაგირის გადახდამ, თავისი დადებით გავლენა მოახდინა. აურენგზიბმა მთლიანად მიითვისა ემირის საველე ქონება, მისი აქლემებიც და კარვებიც და დაიძრა სალაშქროდ. მიზნად ჰქონდა სუმრატის აღება, ციხე ქალაქის აღება უნდა დაეჩქარებინა, რადგან მორად-ბაქში ურთულეს მდგომარეობაში იყო. მისი ჯარებს ალყაში ყავდათ სურატის ციხე-ქალაქი, ქალაქის მცველნი მომხდურს მედგარ წინაღამდეგობას უწევდნენ, რამდენიმე დღის ლაშქრობის შემდეგ აურენგზიბმა შეიტყო რომ გუბერნატორმა ციხე-ქალაქი (ციხესიმაგრე) დასთმო, პრინცმა აურენგზიბმა, მორად-ბაქშას მილოცვის შეტყობინება გაუგზავნა, დეტალურად აუხსნა ემირ-ჯამლასთან დაკავშირებული „საქმე და ისიც მისწერა, რომ მას უკვე საკამოდ დიდი ძალა გააჩნდა, როგორც ჯარით და რესურსებით ასევე სამეფო სასახლეში მხარდამჭერთაგან, რომ აპირებდა ბრამპურის და აგრას მიმართულებით გალაშქრებას, შესაბამისად სთხოვდა, რომ აჩქარებულიყო და გზად შეერთებოდა მის არმიას. მორად-ბაქშამ სურატის ციხეში ვერ

იპოვა ის საუნჯე რასაც ეძებდა და გეგმავდა, ალბათ გუბერნატორმა მიითვისა ფულის ნაწილი (ამას ამტკიცებდნენ მავანნი). იმ თანხებით, რაც მოიპოვა, ჯარისკაცებს ჯამაგირი გადაუხადა. სიმართლე რომ ვთქვათ, მისთვის დიდად საამაყო არ იყო სურატის ციხის აღება, რადგან ციხე-ქალაქს არ ჰქონდა შესაფერისი დამცავი ზღუდეები და ქალაქი თვეზე მეტი ალყაში ჰყავდათ და რომ არა ჰოლანდიელები, ციხე-სიმაგრეს ვერ აიღებდნენ მოალყეები, რომლებმაც ააფეთქეს ციხის კედლის ნაწილი, რამაც შიში მოჰგვარა ქალაქის დამცველებს და დანაბდნენ. ქალაქის აღებამ მორად-ბაქშას გეგმების განხორციელებას ხელი შეუწყო. მთელ ინდოეთში გავრცელდა ხმა რომ მორად-ბაქშამ შტურმით აიღო სურატი, ციხის კედლებში ნაღმი ჩადო და ააფეთქა (იმ დროისთვის ინდოეთში ნაღმების გამოყენების შესახებ მწირი ინფორმაცია არსებობდა) და რომ ქალაქში მან ურიცხვი განძეეული აღმოაჩნა. მიუხედავად ამ „ხმებისა“ და პირველი წარმატებისა, რასაც აურენგზიბის პირადი წერილებიც ადასტურებდა და უხვი დაპირებებისა, ევნუხმა შაჰ-აბასმა, საღად და ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანმა, საკუთარი „ბატონის“ ერთგულმა და ნიჭიერმა პოლიტიკოსმა, გაანალიზა შექმნილი სიტუაცია და გადაწყვიტა რომ მორად-ბაქშის ზედმეტად ნდობა არ შეიძლებოდა და არც მჭიდრო თანამშრომლობა აურენგზიბთან არ მისცემდა სასურველ შედეგს, საჭირო იყო მოლაპარაკებების გაჭიანურება, რომ საშუალება მისცემოდა პრინცს დამოუკიდებლად გაელაშქრა აგრაზე. ამით დროის მოგებას გეგმავდა შაჰ-აბასი და შესაბამისად შაჰ-ჯეხანის შესახებაც რეალური ცნობების მიღებასაც. შესაძლებლად მიიჩნევდა, რომ მოვლენების განვითარებას სურატის გამაგრების აუცილებლობა დაეყენებინა დღის წესრიგში, რითაც საშუალებას მისცემდა მორად-ბაქშის, გაეკონტროლებინა უზარმაზარი ტერიტორია და მიეღო სოლიდური შემოსავლები. შესაძლებელია დროთა განმავლობაში ბრამპურის მისაკუთრებაც, რომელიც დეკკანის „კარებისკენ“ მიმავალ გზას გახსნიდა. მაგრამ, აურენგზიპის ინტენსიურმა მიმოწერამ და ინფორმაციამ ჯარების არადამაკმაყოფილებელი რაოდენობის, ასევე საბრძოლო მასალებისა და ფულის არასაკმარისი რაოდენობის გამო, პრინცი სთხოვდა მორად-ბაქშის უმოკლეს დროში შეერთებოდა პრინცს. მორად-ბაქშის იმდენად მძლავრად სწყუროდა მეფობა, რომ საკუთარი დედაქალაქიდან

ამადაბადიდან გამოვიდა, მიატოვა გუჯარათი, ტყეების და მთების გავლით დაიძრა პრინცთან შესახვედრად, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა უცდიდა მას. მათ შეერთება დიდი ზეიმით აღნიშნეს და ორივე უფლისწული, აურენგზიბი და ბორად-ბაქშა გაერთიანდნენ. აურენგზიბმა დაპირებებით „აავსო“ ძმა, სამუდამო მეგობრობაზე მისი დარწმუნებაც არ გაჭირვებია. არც საზეიმო ფიცის დადება დავიწყნია, მან განაცხადა, რომ ის, უარს ამბობს სამეფო ტახტზე და მზად არის შეებრძოლოს დარის, რათა ღირსეულ მემკვიდრეს მისცეს ტახტზე ასვლის საშუალება. ორი არმიის შეერთების და სამეგობრო ფიცის შემდეგ, ჯარები საბრძოლველად დაიძრნენ. აურენგზიბი მთელი ლაშქრობის პერიოდში აქებდა მურად-ბაქშის და მოიხსენიებდა „ხაზრეტომ“-ის ტიტულით, რაც მეფეს და დიადს ნიშნავს. საბოლოო ჯამში აურენგზიბის მოქმედებამ მურად-ბაქში დაარწმუნა მის კეთილგანწყობაში, განაგდო ყველა ეჭვი და ისიც მეგობრად მოეკიდა ძმას. მას სრულიად დამსახურებულად მიაჩნდა მორჩილება და პატივისცემის გამოხატვა მის მიმართ და ყურადსაღები ინფორმაციები გოლკონდიდან მეორე პლანზე გადაიტანა, ის ანგარიშს არ უწევდა ადამიანს, რომელიც ასე ღიად რისკავდა ყველაფრით, რათა ტახტზე ასულიყო, მას არ სურდა ეცხოვრა და მომკვდარიყო როგორც ფაკირი. ორი არმიის გაერთიანება უკვე სოლიდურ ძალას წარმოადგენდა, რამაც სმეფო კარზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და დარა და შაჰი-ჯეხანი სერიოზულად დააფიქრა. რადგან ორივემ იცოდა აურენგზიბის მიზანსწრაფულობის და მორად-ბაქშის სიმამაცის შესახებ და მოახლოვებული არა სასიამოვნო მოვლენები აღელვებდათ ორივეს. წერილს, წერილზე გზავნიდა შაჰი, მოითხოვდა, რომ პრინცები დაბრუნებოდნენ საკუთარ პროვინციებს და შაჰი მზად იყო დაევიწყებინა ყველაფერი. ეს წერილები შემაკავებელი ფაქტორის როლს ვერ ასრულებდა, რადგან პრინცებს მიაჩნდათ, რომ შაჰი-ჯეხანი ან მკვდარია, ან სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვლიდა და ეს წერილები დარის დაწერილია, იმ შემთხვევში თუ შაჰი ცოცხალია, პრინცები მზად იყვნენ მამას ფეხზე ემთხვიონ და მბრძანებელი, დარისგან დაიხსნან. რა უნდა ეღონა უბედურ შაჰ-ჯეხანს? რომელიც თვალნათლივ ხედავდა საკუთარი შვილების დაუმორჩილებლობას, რომლებიც მისი საკუთარი ჯარებით აპირებდნენ სისხლისმღვრელი ომის გაჩაღებას. ავადმყოფი მეფე დარის ხელშია, დარი ხომ

მხოლოდ ომზე ოცნებობს. ემზადება ომისთვის და საკუთარი ძმების მიმართ სიძულვილს ანთხევს... რა უნდა ექნა შაჰს? მიეცა მთელი სიმდიდრე მისთვის და შესაბამისად ამ საუნჯის განკარგვის უფლებაც დარისთვის ეწყალობა? მეფე შეიძლება იძულებული გამხდარიყო, მოეხმო თავისი ერთგული სარდლები, რომლებსაც დარი არ უყვარდათ, ებრძანებინა დარის მხარეზე ებრძოლათ, საკუთარი ღვიძლი შვილების წინაღამდეგ, მაშინ როცა მეფის მეამბოხე შვილებიც არანაკლებ სძულდათ მეფის ერთგულ სარდლებს. მეფეს აუცილებლად მიაჩნდა ჯარების გაგზავნა სულთან-სუჯის წინაღამდეგ, რადგან მისი ჯარები უკვე ახლოს იყვნენ და უნდა მოემზადებინა მეორე არმია აურენგზიბის და მორად-ბაკშას წინაღამდეგ, რომელთა ჯარებიც მალე მოუახლოვდებოდნენ ქალაქს. სულთან-სუჯის წინაღამდეგ გაგზავნილი იყო არმიის სარდლად დარის 25 წლის უფროსი ვაჟი სულეიმან-შეკუ. ჭაბუკი პრინცი წარმოსადეგი, ჭკვიანი, კეთილშობილი, გულუხვი და ყველასგან დაფასებული ახალგაზრდა კაცი, რომელიც თვით შაჰი-ჯეხანის კეთილგანწყობითაც სარგებლობდა, მან ურიცხვი საბოძვარი მისცა პრინცს სულეიმანს და თავის მემკვიდრედ, დარაზე მეტად ახალგაზრდა პრინცს განიხილავდა. მიუხედავად ყველაფრისა, შაჰ-ჯეხანს სურდა რომ სულთანი-სუჯა დაბრუნებულიყო მისთვის ბოძებულ პროვინციაში. მეფეს არ სურდა ომი და სისხლის ღვრა. მეფე განიცდიდა, ამ ბრძოლებს შესაძლოა მისი ვაჟები შეეწირა. მეფემ ახალგაზრდა პრინცს გზამკვლევად გამოცდილი რაჯა ჯესენგი გააყოლა, იგი ინდოსტანში ერთ-ერთი შორსმჭვრეტელი, მდიდარი და ძლევამოსილი ადამიანი იყო. რაჯამ მეფისგან მიიღო საიდუმლო ბრძანება, ბრძოლაში უკიდურეს შემთხვევაში ჩაება ძირითადი ძალები, გამოეყენებინა ყველა შესაძლებელი მოქმედება, რათა სულთანი უკუეგდოთ, ან დაერწმუნებინათ, რომ დაბრუნებულიყო საკუთარ პროვინციაში. რაჯა საჯარისო რესურსებს უკიდურესად უნდა გაფრთხილებოდა, რადგან მისი გამოყენების აუცილებლობა აურენგზიბისა და მორად-ბაქშას არმიის წინარამდეგ საბრძოლველად აუცილებლად დადგებოდა და იქნებ მანამდე მეფეც გამოჯანმრთელებულიყო...

ახალგაზრდა პრინცი სულეიმან-შეკუ სრული შემართებით იყო მოტივირებული და რაღაც განსაკუთრებული გმირობის ჩადენის სურვილით შთაგონებული მიემართებოდა ბრძოლის ველისკენ. სულთან-

სუჯას ეშინოდა, რომ აურენგზიბი ბრძოლას მოიგებდა და უფრო ადრე აიღებდა დელის და აგრას. ამიტომ რაჯა ჯესსენგმა ხელი ვერ შეუშალა ომის დაწყებას. არმიები ერთმანეთის წინაშე დადგნენ და საბრძოლველად მზადება დაიწყეს. პირველად ბრძოლაში არტილერია ჩაერთო...

ალბათ არ ღირს ბრძოლის სისხლიანი დეტალების აღწერა... პირველად ჯარები შეტევაზე სულეიმან-შეკუმ დასძრა და ისეთი შემართებით შეუტია, რომ სუჯუს ჯარებში სრული ქაოსი დათესა და მალე-ვე მოწინაღამდეგემ გაქცევით უშველა თავს. ასე რომ ჯესსინგიმ და პატანი დალილ-ხანმა, ერთ-ერთმა პირველმა მხედართმთავარმა და უმამაცესმა ადამიანმა, გადაწყვიტეს ბოლომდე გვერდში დადგომოდნენ სულეიმან-შეკუს. სუჯის არმია განადგურებული იყო, თავად მას კი ტყვეობა ემუქრებოდა. მაგრამ რაჯას გეგმებში მისი დატყვევება არ შედიოდა, რადგან შაჰ-ჯეხანსაც არ სურდა სუჯის დაღუპვა. რაჯი საკმაოდ ფრთხილად იქცეოდა, მას არ სურდა მეფის ვაჟის სისხლში გაესვარა ხელები. სუჯას საშუალება მისცეს უკან დაეხია და მისი მომხრეებიდან ბევრი ხალხი არ დაუხოცავთ. სუჯას არტილერიის დიდი ნაწილი სულეიმან-შეკუს ხელში აღმოჩნდა. სასახლეში დიდი ზარზეიმით შეხვდნენ საუჯას დამარცხებისა და ახალგაზრდა პრინცის წარმატების შესახებ ცნობას. ახალგაზრდა პრინცის რეპუტაცია გამყარდა, ხოლო სულთანი-სუჯას რეპუტაცია დაეცა, ირანში მისმა მომხრეებმაც ზურგი აქციეს დამარცხებულს. დამარცხებული არმიის რამდენიმე დღის დევნის შემდეგ, სულეიმან-შეკუმ სასახლიდან შეტყობინება მიიღო, რომ აურენგზიბი და მორად-ბაკში უახლოვდებოდნენ სასახლეს. სულეიმანმა სულთან-სუჯას ჯარების დევნას თავი დაანება და უკან დასბრუნებლად დაიწყო მზადება. სულეიმანი კარგად იცნობდა მამამისს, დარა გაუფრთხილებელი ადამინი იყო და ბევრი ფარული მტერიც ჰყავდა სასახლეში. შესაბამისად ახალგაზრდა პრინცი სასახლისკენ გამოემართა. დარა ძმების წინაღამდეგ ომში უნდა ჩართულიყო. ახალგაზრდა პრინცი უკეთეს გააწყვეტილებას ვერ მიიღებდა რადგან მისი დროული დაბრუნება აურენგზიბის დამარცხებას შეუწყობდა ხელს. არის მოსაზრებაც, რომ არა ძალების თანაფარდობა აურენგზიბის სასარგებლოდ, ახალგაზრდა პრინცი არ დაბრუნდებოდა სასახლეში. დარას ეს ფაქტორი არ გუთვალისწინებია. ალაჰ-აბადში,

რომლის მახლობლად, მდინარე ჯემენა მდინარე განგს უერთდება, მდგომარეობა უკიდურესად დაძაბული იყო, მათ მიიღეს ცნობა, რომ აურენგზიბმა გადმოლახა მდინარე ბრამპური და გადმოლახა მთის ყველა ურთულესი გადასასვლელები. ამ ცნობამ სამეფო კარი დააფრთხო. სასწრაფოდ გაგზავნეს რამდენიმე შეიარაღებული დაჯგუფება რომ ხელი შეეშალათ მისი ჯარებისთვის, რომ მდინარე ევგენა ვერ გადმოელახა. აურენგზიბის ჯარებს ბრძოლის სამზადისი უკვე დაწყებული ჰქონდათ. მხედართმთავრებად აარჩიეს ორი გავლენიანი და ძლევამოსილი დიდებული. ერთ-ერთი იყო კაზემ-ხანი, სახელგანთქმული სარდალი და შაჰ-ჯეხანის ერთგული, მაგრამ დარასადმი სიპატიით ნაკლებად განწყობილი პირი. ის საკუთარი ნების წინაღამდეგ წავიდა, რათა კიდევ ერთხელ გვერდში დასდგომოდა შაჰს, რომელიც დარას ჰყავდა „ხელში“. მეორე მხედართმთავარი იყო ჯეს-სომსენგი, ძალიან ძლევამოსილი რაჯა, რომელიც არაფრით ჩამორჩებოდა ჯესსენგს. ის, რაჯა რენეს, სიძედ ეკუთვნოდა, რომელიც იმ დროს აკბარარაში ცხოვრობდა და იმდენად ძლევამოსილ პირს წარმოადგენდა, რომ ის საიმპერიო რაჯად ითვლებოდა. გამაგზავრებამდე დარამ მეგობრობის პირობა დაუდო სარდლებს და შესანიშნავი საჩუქრები მიუძღვნა. ამ შეხვედრამდე შაჰ-ჯეხანმა საიდუმლო ვითარებაში დაიბარა სარდლები და იგივე გაიმეორა რაც რაჯა ჯესსენგს სთხოვა სულ-თან-სუჯის წინაღამდეგ მიმავალ სულეიმან-შეკუს ლაშქრობისას. ამიტომაც არ გაგზავნეს აურენგზიბის და მორად-ბაქშის წინაღამდეგ მთიელები, მოწინააღმდეგის არმია იმდენად ორგანიზებულად და ჩქარა გადაადგილდებოდა, რომ უკვე მდინარის პირს მოადგა და გადმოსალახად ემზადებოდა. რაჯებისთვის მოულოდნელი იყო მტრის უეცარი გამოჩენა. ზაფხული საკმაოდ ცხელი იყო და მდინარეში წყლის დონე საკმაოდ დაბალი, რაც საშუალებას აძლევდა პრინცების არმიას, სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე გადასულიყო მეორე ნაპირზე. კაზემ-ხანი და რაჯა დაუყოვნებლივ შეუდგნენ ბრძოლისთვის მზადებას. მთავარსარდლები თვალნათლივ ხედავდნენ აურენგზიბის შეტევისათვის მზადბას, მაგრამ ძირითადი ძალების მოსვლამდე ზარბაზნებიდან რამდენიმე ზალპით დაკმაყოფილდნენ, მას სურდა მოწინაღამდეგის ყურადღება მიეპყრო და საკუთარი განზრახვის სერიოზულობა დაესაბუთებინა. ალბათ აურენგზიბი ვარაუდობდა, რომ

კაზემ-ხანი და რაჯა მის წინაღამდეგ ჯარებს გამოგზავნიდნენ და მდინარის გადალახვაში ხელს შეუშლიდნენ. აურენგზიბს სურდა, რომ მის ჯარს დაესვენა და საბრძოლველად მოხერხებული პოზიცია შეერჩია. თანაც იმასაც ითვალისწინებდა პრინცი, რომ მისმა ჯარმა სიცხეში თითქმის შეუსვენებლივ დიდი მანძილი გამოიარა და თუ ბრძოლა დაიწყებოდა გადაღლილი ჯარისკაცები შესაბამის წინაღამდეგობას ვერ გუწევდნენ და აურენგზიბს უკუაქცევდნენ. ასე ყვებოდნენ ამ მოვლენების შესახებ და შემდეგ ფრანგებმაც შეაფასეს. თუმცა დარას ჯარების შესახებაც მოგვითხრობდნენ თვითმხილველნი, მისი ჯარი მდინარის სანაპიროზე განლაგდა და მოემზადნენ, მდინარის ფორსირებისთვის ხელი შეეშალათ. აურენგზიბმა ორი-სამი დღის განმავლობაში საშუალება მისცა საკუთარ არმიას დაესვენა და შესაბამისად მდინარის გადასალახავად მზადება დაიწყო. შემდეგ საკუთარ არტილერიას მისცა საშუალება პირველი სვლა გაეკეთებინა. არტილერია ხელსაყრელ პოზიციაზე განალაგა და ჯარს უბრძანა არტილერიის ზალპის ქოლგის ქვეშ შეტევაზე გადასულიყვნენ. აურენგზიბს სურდა ზარბაზნების მეშვეობით მოწინაღამდეგე ჯარს უკან დაეხია და საკუთარი არმიისთვის მდინარის გადალახვაში ხელი არ შეეშალათ. ბრძოლა უკიდურესად „ცხელი“ და დაუნდობელი იყო, ჯეს-სომსენგის სიმამაცე ქუხდა ბრძოლის ველზე, ხოლო რაც შეეხება კაზემ-ხანს, მიუხედავად მისი სიმამაცისა და სამხედრო ნიჭისა, ამ სიტუაციაში ნაკლებად დაადასტურა თავისი საბრძოლო კეთილშობილება. ზოგმა ის ღალატშიც კი დაადანაშაულა, მას ზარბაზნის ბირთვების და დენთის, ქვიშაში დამალვა დასწამეს, რადგან ორი-სამი ზალპის შემდეგ საბრძოლო მასალები არტილერისტებს აღარ ჰქონდათ. ზოგ ადგილას მდინარის ნაპირები კლდეებით იყო დაფარული, ზოგ ადგილას კი, მდინარის ციცაბო ნაპირები ხელს უშლიდა ჯარის მდინარეზე გადასვლას. მორად-ბაკში მდინარეში შეიჭრა, მდინარეს მიარღვევდა და ნაპირისკენ მიიწევდა მებრძოლი, მდინარე გადალახა და არმიაც უკან მიჰყვა მამაც მეთაურს. კაზემ-ხანმა უკან დაიხია და ჯესსომსენგს თავისი მოქმედებით ხიფათი შუქმნა, რადგან მას უწევდა მოწინაღამდეგის ჯარებს გამკლავებოდა. რომ არა რაჯ-პიტების (რაჯის პირადი დაცვა, ხშირ შემთხვევაში ინდოელი წარჩინებულების, რაჯების და პრინცების პირადი დაცვა ქართველი მეომრებისგან იყო დაკომპლექ-

ტებული) თავგანწირვა, რომლთაგან თითქმის ყველა დაიხოცა, მაგრამ პოზიცია შეინარჩუნეს, საქმე საკმაოდ გართულდებოდა. ხიფათი რომელიც მას ემუქრებოდა ამ ბრძოლაში შეიძლება იმითაც განვსაზღვროთ, რომ მტრებისგან შეძლებისდაგვარად განთავისუფლებული, დაბრუნდა საკუთარ მამულში, იგი აგრუში არ წასულა, მან უდიდესი დანაკარგი განიცადა. ბრძოლაში მას გვერდით 7-8 ათასი რაჯპური ედგა გვერდით, ომის შემდეგ მხოლოდ ხუთასი-ექვსასი მებრძოლიღა შემორჩა. რაჯპურები ითვლებოდნენ რაჯის „შვილებად“ და მათ ძირითად საქმიანობას სამხედრო საქმე წარმოადგენდა. რაჯები მათ აძლევდნენ მიწებს, რომ შემოსავალი ჰქონოდათ იმ პირობით, რომ ისინი მუდამ მზად იქნებოდნენ საომრად. ამ ადამიანებისთვის შეგვეძლო წარმართი აზნაურები გვეწოდებინა. რაჯები მიწებს შთამომავლებზე გადაცემის უფლებით აძლევდნენ. რაჯპურები თითქმის ყოველდღიურად იყენებდნენ ოპიუმს, მათ ბავშვობიდან აჩვევდნენ მის მიღებას, ომის დროს კი, ორმაგ დოზას ღებულობდნენ, რასაც მათი ბრძოლისუნარიანობის ზრდა და შესაბამისად შიშის ფაქტორის უგულვებელყოფა მოჰყვებოდა. ისინი იბრძოდნენ როგორც გარეული მხეცები. მათ არ იცოდნენ უკან დახევა და ბრძოლაში რაჯას გვერდით იხოცებოდნენ. მათთვის უცხო იყო სამხედრო წესრიგი, საოცარი სანახავი იყო როცა ერთმანეთს ეხვეოდნენ ბრძოლის წინ, ამ რიტუალით ისინი ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ და ემზადებოდნენ სასიკვდილოდ.

ამიტომც იყო რომ დიდი მოგოლი, მუჰამედის მაღიარებელი, შესაბამისად წარმართთა მტერი, თავის გარემოცვაში, სამსახურში ბევრ რაჯას აწინაურებდა, ემირთა თანასწორად აყენებდნენ რაჯებს. თვლიდნენ როგორც მუჰამედის შვილებს და მათ სამსახურს ჯარში იყენებდნენ. მსურს გიამბოთ რანის ასულის ცივი შეხვედრის შესახებ, რომელიც მან მეუღლეს ჯესსომსენგს მოუწყო ბრძოლაში დამარცხების და ბრძოლის ველიდან მის გაქცევას გამო. როდესაც მას უთხრეს, რომ მეუღლე ჯესსომსნეგი მობრძანდებოდა, მოუყვნენ როგორი კეთილშობილებით იბრძოდა და რომ მისი არმიიდან მხოლოდ ოთხასიხუთასი ჯარისკაციღა დარჩა, რომ მან ველარ შესძლო მტრის შეკავება და უკან დაიხია, მეუღლემ იმის მაგივრად რომ ვინმე გაეგზავნა მის შესახვედრად და ქმრის უბედურებასთან დაკავშირებით, მხარდაჭერა გამოეცხადებინა, განაცხადა, რომ მას არ სურდა ეხილა დიადი რენის

სიძე ასე დაცემული, რადგან ის გახდა დიდებული ოჯახის სიძე, ვალ-დებული იყო შეენარჩუნებინა ოჯახის სიდიადე, ესეიგი, ან უნდა გა-ემარჯვა ბრძოლაში, ან მომკვდარიყო. ცოტა ხანში ქალბატონმა ბრძა-ნება გასცა, მას სურდა რომ დაენთოთ ცეცხლი და დაეწვათ იგი. მას მიმართეს, რომ მისი მეუღლე ბრძოლაში დაიღუპა, ცოტა ხნის შემდეგ ქალს ისევ შემოუტევს მრისხანება და მეუღლისა და მისი მოდგმის ლანძღვა დაიწყო. მოკლეთ ქალმა რვა-ცხრა დღე ლანძღვა-გინებაში გაატარა და ვერ გადაეწყვიტა მიეღო ქმარი თუ არა, სანამ დედამისი არ ჩამობრძანდა, რომელმაც დაამშვიდა და ბრძანა, რომ რაჯამ უნდა დაისვენოს, შეაგროვოს ახალი არმია და აურენგზიბის წინაღამდეგ საბრძოლველად უნდა დაიწყოს მზადება, რათა აღიდგინოს დაკარგუ-ლი პატივისცემა. ამ მაგალითით შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ამ მხარის ქალების შესახებ, ხშირ შემთხვევაში ქმრის სიკ-ვდილის შემდეგ ცოლი ცოცხლად იწვავდა თავს... საზოგადოებრივი აზრი, წეს-ჩვეულება, იმედი და ღირსება, სიცოცხლეზე მაღლა იდგა... დარამ შეიტყო რაც მოხდა ევგენესასთან, განრისხდა და მთელი მრის-ხანება კაზემ-ხანს დაატეხა თავზე, აუცილებლად მოჰკვეთდა ხანს თავს, ცნობების მიღების დროს იქ რომ ყოფილიყო. დარა ემირ-ჯამ-ლაზეც გაბრაზებული იყო, მას ამ უბედურების ერთადერთ დამანშა-ვედ სთვლიდა, რადგან მან მისცა აურენგზიბს ჯარი, არტილერია და ფული, გადაწყვიტა მოეკლა მისი ვაჟი მახმეტ-ემირ-ხანი, ემირის ცო-ლი და ასული კი, გაეგზავნა ბაზარში მეძავების გვერდით. დარა მარ-თლაც ჩაიდენდა ამ სისულლეს, რომ არა შახ-ჯეხანის დელიკატურო-ბა. მან დაარწმუნა დარა, რომ ემირი მსგავს საქციელს არ ჩაიდენდა და აურენგზიბის მეგობრობას არ მიიღებდა, რადგან ამით საკუთარი ოჯახის სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნიდა. შესაბამისად აურენგზიბმა თავისი სახელოვანი მზაკვრობით მოატყუა და ხაფანგში გააბა მამაცი ემირი. რაც შეეხება აურენგზიბს და მორად-ბაკშას, პირველი მნიშვნე-ლოვანი წარმატებით ფრთაშესხმული პრინცები და არმიაც დარწმუნ-და საკუთარ დაუმარცხლებლობაში და ნებისმიერი წინააღმდეგობის დაძლევის შესაძლებლობაში. საკუთარი არმია კიდევ უფრო რომ გა-ემხნევებინა, აურენგზიბი ხმამაღლა ამბობდა, რომ დარის არმიაში 30 000 ერთგული მოგოლი ელოდა მას, როგორც შემდეგ გამოირკვა ეს ინფორმაცია გარკვეულწილად სიმართლე იყო. მორად-ბაქშის ბრძო-

ლა სწადდა და რაც შეიძლება მალე სურდა წინსვლა, აურენგზიბი კი ამბობდა რომ ჯარებს გარკვეული დროით დასვენება სჭირდებოდა, ამ მშვენიერი მდინარის პირას. აურენგზიბი სასახლიდან ინფორმაციას ელოდა, აინტეესებდა რა განწყობა და მოლოდინები არსებობდა მეფის კარზე. რამდენიმე დღის ლოდინის შემდეგ, ის დაიძრა აგრისკენ. ნელა მიიწევდა წინ, სურდა ყველაფერი დაეზვერა და გადაწყვეტილებებიც შესაბამისი მიეღო. შაჰი-ჯეხანი აშკარად ხვდებოდა აურენგზიბის და მორად-ბაკშას მიზნებს, ასევე კარგად ესმოდა, რომ მათი უკან დაბრუნების იმედი არ უნდა ჰქონოდა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი მეფე გამოსავალს ეძებდა. ის გრძნობდა დიდ უბედურებას და ამიტომ გადამწყვეტი ბრძოლის ხელის შეშლას ცდილობდა, იგი ხედავდა, როგორ ემზადებოდა დარა. მაგრამ რა უნდა ექნა მეფეს? შაჰი ჯერ კიდევ ძალიან სუსტად იყო ავადმყოფობის შემდეგ, იმასაც გრძნობდა მბრძანებელი, რომ მთლიანად დარას ხელში იყო რომელსაც, როგორც თვითონ ამბობდა ნაკლებად ენდობოდა. მეფე იძულებული იყო ყველაფერში დათანხმებოდა დარას, მის ხელში გადასულიყო სახელმწიფოს მთელი რესურსები და ებრძანებინა ყველა მხედართმთავრისთვის დარას დამორჩილებოდა. დაუყოვნებლივ დაეწყოთ შეიარაღება. ვერ გეტყვით, უნახავს კი, ინდოსტანს ასეთი შესანიშნავი არმია, სადაც გაერთიანებული იყო ასიათასი მხედარი და რვაასი ზარბაზნით შეიარაღებული ოცი ათასი ფეხოსანი, რომ არაფერი ვთქვათ ბაზრის ვაჭრებზე, რომლებიც ამარაგებდნენ არმიას, როგორც მშვიდობიანობის, ასევე ომიანობის დროს, ამ ადამიანებს ისტორიკოსები მეომართა რიცხვს მიაკუთვნებდნენ. როცა ამ ბრძოლის შესახებ მოგვითხრობენ, ისინი ასახელებენ წარმოუდგენელ ციფრს, რომ მეფის ლაშქარი ოთხასი ათასი მებრძოლისგან შედგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს არმია საკმაოდ ქმედუნარიანი იყო იმისთვის, რომ აურენგზიბის ჯარები გაეცამტვერებინა, რომელიც ოცდათხუთმეტ-ორმოციათას ჯარისკაცს ითვლიდა, გადაღლილ და მზისგან დასიცხული ადამიანებისგან შედგებოდა, მიუხედავად ამისა დარის წარმატების თითქმის არავის სჯეროდა, რადგან ემირთა უმეტესობა მტრულად იყო განწყობილი დარას მიმართ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ საუკეთესო ჯარისკაცები სულეიმან-შაკუს არმიაში იყვნენ მობილიზირებულები. ამიტომაც შაჰ-ჯეხანს ეშინოდა დარას ომში ჩაბმა. შაჰმა

შესთავაზა დარას წასულიყო აურენგზიბთან შესახვედრად რაც შესაძ-ლოა კომფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას შეუწყობდა ხელს. მეფემ იცოდა რომ აურეგზიბიც და მორად-ბაქშიც მამის წინაღამდეგ საბ-რძოლველად არ წავიდოდნენ და თუ პრინცები მაინც გაბედავდნენ ომის დაწყებას ამ შემთხვევაში თვითონ შაჰი ჩაუდგებოდა არმიას სა-თავეში. ეს საბრძოლო სულისკვეთებას აუმაღლებდა საკუთარ ჯარს. ასევე პრინცების არმიის მხედართმთავრები არ იბრძოლებდნენ მეფის წინაღამდეგ, რადგან ისინი საკუთარ კარიერას მეფეს უმადლოდნენ და არმიას მის შვილობილად განიხილავდნენ. ვერავინ გაბედავდა შა-ჰის წინაღამდეგ მახვილის გაშიშვლებას. გარდა ამისა, დარას ურჩევ-დნენ რაც შეიძლება გაეჭიმა საბრძოლო მოქმედებების დაწყების დრო, რომ სულეიმან-შეკუს საშუალება მისცემოდა, რომ მთავარ ძა-ლებს შეერთებოდა. ეს კარგი რჩევა იყო, რადგან ახალგაზრდა პრინ-ცი ყველას უყვარდა, ის გამარჯვებული ბრუნდებოდა, ისიც გასათვა-ლისწინებელი იყო, რომ მისი არმია საუკეთესო მებრძოლებით იყო დაკომპლექტებული. დარას არ სურდა მრჩევლების აზრის გათვალის-წინება. მისი სურვილი იყო რაც შეიძლება მალე ჩაბმულიყო აურენ-გზიბის წინაღამდეგ ბრძოლაში. შესაძლებელია ეს ახირება ერთი მხრივ გამართლებული ყოფილიყო იმით, რომ დარას სურდა საკუთა-რი ბედის მწერლად ეჩვენებინა თავი, ან პირადი დიდებისთვის სურდა პირისპირ შებმოდა ძმას და შედეგად საკუთარი გეგმების განხორცი-ელებას ჩაუყრიდა საფუძველს. დარის ფიქრები და გეგმები ასე შეიძ-ლებოდა ჩამოგვეყალიბებინა (ის თავის ზრახვებს არ მალავდა): — ის საკუთარ თავს აფასებდა, როგორც თვითმპყრობელს, რომელსაც ხელში უჭირავს შაჰი-ჯეხანი და შეუძლია, ის, თავისი ინტერესების მიხედვით გამოიყენოს. ამასთან ერთად მის ხელშია შაჰ-ჯეხანის სა-განძური და სახელმწიფოს ჯარები. სულთანი-სუჯუ შეიძლება სანა-ხევროდ განადგურებულად ჩაითვალოს, ხოლო დანარჩენმა, ორმა ძმამ თვითონ ჩააგდეს დარას ხელში საკუთარი თავი. სუსტი და დაღ-ლილი არმიების განადურების შემდეგ, ის შეიქმნებოდა ყველა დიდი საქმის შემოქმედი და შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე მბრძანებე-ლი, რისკენაც ასე მიისწრაფვოდა, ვერავინ ვეღარ შესძლებდა მის-თვის წინაღამდეგობის გაწევას და ვერავინ შეეცილებოდა სამეფო ტახტს. მაგრამ თუ შაჰი-ჯეხანი გამოვა ასპარეზზე, მაშინ ყველაფერი

სახეს იცვლის და მეამბოხე ძმეები საკუთარ პროვინციებს დაუბრუნ-დებოდნენ. თუ შაჰი გამოჯანმრთელდებოდა მაშინ ყველაფერი ძვე-ლებურ კალაპოტში ჩადგებოდა. თუ სულეიმან-შეკუს დაელოდება, მაშინ შაჰ-ჯეხანს სულეიმან-შეკუსთან ერთად, შესაძლოა რაიმე მის-თვის არასასურველი ახალი გეგმა შეემუშავებინათ, ან თვით აურენ-გზიბთან დაედო გარიგება შაჰს, ხოლო თუ ბრძოლას მოიგებდა, სუ-ლეიმანთან ერთად, მიუხედავად მისი დამსახურებისა სულეიმან-შაკუს დიდებას ვერ დაჩრდილავდა და მისი ძლევამოსილება და ავტორიტე-ტი უფრო გაიზრდებოდა. ამ შემთხვევაში შაჰისგან წაქეზებული და ემირების მხარდაჭერით გაძლიერებულ სულეიმანს ვინ იცის რა აზრი დაებადებოდა დარას მიმართ? ან იქნებ პატივისცემა გამოეხატა მამის მიმართ, ან ვინ იცის რას უკარნახებს პატივმოყვარეობა, ვინ იცის...

ამ მოსაზრებების გამო დარამ აღარ მიიღო მრჩეველთა აზრი და „საკუთარი“ გზით განაგრძო სვლა. უბრძანა არმიას ლაშქრობისთვის მომზადებულიყვნენ და გაემართა შაჰ-ჯეხანთან გამოსამშვიდობებ-ლად, რომელიც აგრას ციხე-სიმაგრეში იმყოფებოდა. კეთილმა მო-ხუცმა ხელი მოხვია შვილს და ბრძანა: „იყოს ნება შენი დარა, წადი და ღმერთი იყოს შენი მფარველი და დაიმახსოვრე, თუ ბრძოლაში და-მარცხდი, ჩემთან აღარ მოხვიდე“. ამ სიტყვებს მასზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. სასწრაფოდ მობრუნდა, ცხენს მოახტა და გაემართა მდინარე ჩემბელზე გადმოსასვლელის დასაკავებლად. აგრადან ოცდა-ათი მილის მანძილზე გამაგრდა და მოთმინებით დაუწყო მტრის გამო-ჩენას ლოდინი. გამჭრიახმა და ჭკვიანმა „ფაკირმა“ მზვერავებისა და იმფორმატორების წყალობით უკვე იცოდა მოწინაღამდეგის გადაად-გილებების და გეგმების შესახებ, მდინარეზე საკმაოდ რთული გადა-სასვლელი იყო და უარი თქვა ჯარების იმ ადგილას გადაყვანაზე. ის გადასასვლელთან ახლოს დაბანაკდა, ისე რომ კარგად დაენეხა დარას პოლკების განლაგება. მაგრამ რა ხდება? ის იწყებს მოლაპარაკებას რაჯა შემპეტთან, ძვირფას საჩუქრებს უგზავნის და სთხოვს, რომ მისცეს საშუალება მისი მიწების გავლით მისულიყო ადგილამდე, სა-დაც იოლად გადალახავდა მდინარეს. შემპეტი დათანხმდა და ასევე დაპირდა, რომ აჩვენებდა თავის ქვეყანაში გზას მთებზე და ტყეებში. აურენგზიბმა რამდენიმე პოლკი დატოვა ნაპირზე, რათა დარასთვის თავ-გზა აებნია და დანარჩენი არმია კი დაძრა, ისინი დღე და ღამე

მიდიოდნენ და მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლის შემდეგ გახდა ცნობილი დარასთვის აურენგზიბის გადაადგილებების შესახებ. ასე და ამგვარად დარას მოუხდა საკუთარი გამაგრებების მიტოვება, ასე-ვე აცნობეს, რომ მოწინაღამდეგის არმია მარშით მიემართებოდა აგ-რასკენ, რათა მისულიყვნენ მდინარე ჯემნიმდე, იქ მოხერხებულად გამაგრებულიყო და დალოდებოდა დარას. ადგილს, სადაც დაბანაკდა, ერქვა სამონგერი, ეხლა ამ ადგილის დასახელებაა ფატეაბადი, რაც გამარჯვების ადგილს ნიშნავს. ცოტა ხანში დარემაც დასცა ბანაკი მდინარის ნაპირას, აგრასა და აურენგზიბს შორის. რამდენიმე დღე არმიები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და ბრძოლის დაწყებას ერი-დებოდნენ. დარამ შაჰისგან წერილი მიიღო, სადაც ატყობინებდა, რომ სულეიმან-შაკუ იქვე ახლოს იყო და არ ეჩქარა ბრძოლის დაწყება. გამაგრებულიყო აგრესთან, შეერჩია ხელსაყრელი პოზიცია, ურჩევდა, რომ დალოდებოდა სულეიმანს. დარამ მეფეს წერილზე უპასუხა, რომ სულეიმანი არ მოვიდოდა კიდევ სამი დღე, ის თავად მიუყვანდა ბორ-კილდადებულ აურენზიბს და მორად-ბაკშას, ხოლო როგორ მოქცე-ოდნენ შემდგომ მათ, მეფეს თავად უნდა გადაეწყვიტა. დარას აღარ დაუყოვნებია და საბრძოლველად დაიწყო მზადება. მან ბრძანა, წინა რიგში განელაგებინათ ყველა ზარბაზანი, გადაებათ ჯაჭვით, რომ მო-წინააღმდეგის კავალერიისთვის დაბრკოლება შეექმნათ, ზარბაზნების უკან დაეყენებინათ აქლემები, რომლებზეც დაამაგრებდნენ მუშკე-ტისხელა მსუბუქ ზარბაზნებს, რომ მხედარს საშუალება ჰქონოდა თვითონ დაეტენა და ესროლა ზარბაზნიდან. აქლემების უკან განალა-გა მუშკეტრები. დანარჩენი არმია, რომელიც ძირითადად კავალერი-ისგან შედგებოდა, რომელთა შეიარაღებაში ხმალი, შუბი და მშვილდი შედიოდა, ასე ჩვეულებისამებრ იარაღდებოდნენ მოგოლები და რაჯ-პურები, ხმლით, ნახევარშუბით, რაც რაჯპურების ჩვეულებრივ შეია-რაღებას წარმოადგენდა. ამ ჯარისკაცების ნაზავით ჩამოაყალიბა სა-მი რაზმი. მარჯვენა ფლანგი ჩააბარა კალილ-ულლა-ხანს, რომელიც 30 000 მოგოლთა ჯარს ხელმძღვანელობდა, იგი იყო დიდი ბაქში, ასე ვთქვათ სრულიად კავალერიის მხედართმთავარი, დანეშმენდ-ხანის მაგივრად. დანიშმენდ-ხანი საკუთარი ნებით გადადგა, იმ მოტივით რომ დარას ის არ უყვარდა და დარას წინაშე შაჰ-ჯეხანის ინტერესებს ხმამაღლა იცავდა. დანიშმენდ-ხანს ეშინოდა, რომ დარა ძალით მაინც

გადააყენებდა თანამდებობიდან. მარცხენა ფლანგი ჩააბარა რუსტამ-ხან-დახნის, სახელგანთქმულ და უშიშარ მხედართმთავარს, რაჯა ჩატრესალის და რაჯა რამსენგომ-რუტლეს მაგივრად. აურენგზიბმა და მორად-ბაქშიმ, თავის მხრივ თავისი არმია თითქმის ისევე განალაგეს, როგორც დარიმ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ფლანგებზე მდგარი ემირთა ჯარების შუაგულში დამალეს მცირე საველე ზარბაზნები, ეს „ფანდი“ ემირ-ჯამლას საბრძოლო „არსენალში“ შედიოდა. სხვა სამხედრო „ეშმაკობები“ არ გამოუყენებიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ადგილ-ადგილ, „ბანის“ მტყორცნელი დანადგარები განალაგეს, ეს ერთგვარი ბირთვია რომელზეც მიმაგრებულია ჯოხები, „ბანს“ ესვრიან კავალერიას, რადგან დაცემის დროს ცხენები ფრთხებიან და მხედრებს აგდებენ უნაგირიდან, რაც ხშირ შემთხვეაში მხედრის სიკვდილით მთავრდება. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ კავალერია ფლობს საოცარ მანევრირებას და ბრძოლის უნარიანობას, რადგან ვიდრე მუშკეტერი, მუშკეტიდან გასროლის შემდეგ, დატენის თოფს, მხედარი 5-6 ისრის გასროლას ასწრებს. მოწინაღამდეგე მხარებმა ჯარები განალაგეს. სარტილერიო ზალპი ორივე მხრიდან ისროლეს და ომი დაიწყო. საერთოდ ბრძოლას როგორც ყოველთვის არტილერიით იწყებდნენ, შემდეგ მეისრეები ერთვებოდნენ ბრძოლაში, მაგრამ მოულოდნელად საშინელმა წვიმამ დასცხო, ბრძოლა გაჩერდა. როგორც კი წვიმამ გადაიღო ისევ ამოიღეს თავისი ბოხი ხმა ზარბაზნებმა და გამოჩნდა დარა, შესანიშნავ ცეილონურ სპილოზე ამხედრებული, ბრძანება გასცა, მთელ ფრონტზე დაეწყოთ ბრძოლა, თვითონ კი კავალერიის შუაგულში მოექცა და მტრის არტილერიას შეუტია. არტილერისტებმა მძლავრად შეუტიეს დარას ჯარებს. ბევრი მეომარი გაწყდა და დარას კავალერიის რაზმებში ქაოსი დაიწყო, მაგრამ როდესაც დაინახეს რომ სპილოზე ამხედრებული დარა უკან არ იხევდა და მეომრებს მოუწოდებდა შეტევისკენ, ქაოსი გაქრა. ყველა მებრძოლმა ისევ დაიკავა თავისი ადგილი და ისევ შეუტია მტერს. სანამ დარა უფრო ახლოს მივიდოდა მოწინაღამდეგის რიგებამდე, არტილერისტებმა კიდევ ერთი ზალპით უპასუხეს მოწინაღამდეგე მხარის შეტევას, ამ მოქმედებამ სერიოზული შედეგი გამოიღო, კავალერისტები შეჩერდნენ და ისევ იჩინა ქაოსმა თავი, მხედრების ნაწილმა უკან დაიხია, დარა ისევ მოუწოდებდა თავის მხედრობას წინ-

სვლისკენ და შეტევისკენ, უფრო ჩქარა და უფრო ომახიანად სურდა შეეტია მის მხედრობას. მან შესძლო გაერღვია კავალერიის ჯაჭვი და შეჭრილიყო მოწინაღამდეგის ბანაკში, აქ კი სისხლის მღვრელი ბრძოლა გაიმართა. პირველად ორივე მხრიდან ნასროლი ისრების „ღრუბლები“ თავს ესხმოდნენ ჯარისკაცებს, თუმცა ისრებმა ვერ მოხდინეს მოსალოდნელი ეფექტი ბრძოლის ველზე. ჯარები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ და საქმეში ხმალი „ჩაერია“. ჯარისკაცთა რიგები ერთმანეთს შეერია, დაიწყო ხელჩართული ბრძოლა... სპილოზე ამხედრებული დარა მედგრად იდგა საკუთარი არმიის რიგებში და მებრძოლებს ამხნევებდა, ყვიროდა, მინიშნებებს აძლევდა მხედართმთავრებს... და ბოლოს დაიძრა წინ გაბედულად, მან აიძულა მოწინაღამდეგე მხარის ბრძოლის უნარიან ტელკთა მხედრობა, უკან დაეხია და გაქცეულიყო. აურენგზიბმა დაინახა მოწინაღამდეგის რიგებში ამტყდარი ქაოსი და მთელი ძალებით შეტევაზე გადავიდა, მაგრამ უშედეგოდ. თავისი არმიის საუკეთესო მხედრობა ჩართო ბრძოლაში, მაგრამ დარას არმიამ უკუაგდო და აიძულა უკან დაეხია. აურენგზიბის ყველა მცდელობა გამოესწორებინა მდგომარეობა უშედეგო აღმოჩნდა. ის ხედავდა, რომ მთელ მის არმიაში ქაოსი სუფევდა. მასთან ათასი მებრძოლი იდგა, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ პრინცის გვერდში. ის, ასევე ხედავდა, რომ დარა სირთულის მიუხედავად წინ მიიწევდა. აურენგზიბმა შემოიკრიბა თავისი სარდლები და ომახიანად შესძახა: „დელირანე“, ეს იგივეა, რომ ეთქვა, „გამხნევდით ჩემო მამაცო მეგობრებო, „კოდა გე (ღმერთი არსებობს) რა იმედებს გვპირდება გაქცევა, ნუთუ არ იცით სად არის დეკკანი? კოდა გე, კოდა გეღმერთი არსებობს, ღმერთი არსებობს)“ არავის ეჭვიც არ ეპარებოდა მის შემართებაში, გაქცევა არავითარ შემთხვევაში, მან ბრძანა დაედოთ მისი სპილოსთვის ბორკილი, რომ ვერ გაქცეულიყო, მისმა შემართებამ და სიმამაცემ ჯარს ბრძოლის უნარიანობა დაუბრუნა. ამ დროს დარა ნამდვილად ცდილობდა აურენგზიბთან მიახლოვებას, თუმცა ის ჯერ კიდევ შორს იყო და გზაც დაბრკოლებას უქმნიდა, ამაღლებები და ხეობები კავალერისტებით იყო სავსე. მიუხედავად ბრძოლის ველზე სრული არეულობისა დარის შეეძლო აურენგზიბის უკვე მცირერიცხოვანი არმია აქტიური ზეწოლით გაენადგურებინა და აურენგზიბის დამარცხება გარდაუვალი იყო, მაგრამ დარამ ეს უცი-

ლო უპირატესობა ვერ გამოიყენა. დარამ შეამჩნია, რომ მის მარცხენა ფლანგზე სრული არეულობა დაიწყო. მას მოახსენეს, რომ რუსტემ-ხანი და ჩატრესალი მოკლულები არიან და რამსენგ-რუტლე ძალიან წინ წავიდა, გაარღვია მოწინაღამდეგის გამაგრებები და წარმატებუ-ლი შეტევის პირობა შექმნა, მაგრამ ალყაში მოექცა და განადგურების საშიშროება ემუქრება, დარამ წინსვლა შეწყვიტა და მარცხენა ფლან-გის მისახმარებლად დაიძრა. დაუნდობელი ბრძოლა გაიმართა და სა-ბოლოო ჯამში დარამ გაიმარჯვა, მტერი თითქმის სრულად გაანად-გურა. დარას ისევ შეეშალა წინსვლაში ხელი. რამსენგ-რუტლე გასაოცარი სიმამაცით იბრძოდა მან მორად-ბაქშა დაჭრა და იმდენად ახლოს მივიდა, რომ მორად-ბაქშას სპილოზე დადგმული უნაგირის არტახები გადაჭრა რათა მორად-ბაქშა ძირს გადმოვარდნილიყო, ჩა-ნაფიქრი ვერ განახორციელა სარდალმა, შეუდარებელი იყო ბორად-ბაქშა იმ დღეს. რამსენგ-რუტლე დაიჭრა და რაჯპურების გარემოცვა-ში მოქცეულს არ შეშინაბია და იბრძოდა, მორად-ბაქშა, რომელსაც საკუთარ შვილი ეჯდა უნაგირზე და მოხერხებულად იცავდა ფარით, შესძლო ისრით დაეკოდა რამსენგ-რუტლე, ეს უკანასკნელი ცხენიდან გადმოვარდა და მოკვდა. დარამ უმალვე შეიტყო ეს ამბავი, თუმცა უმალვე შეატყობინეს რომ მორად-ბაქშას საშიშროება ემუქრებოდა, რაჯპურები განრისხებულები, როგორც ლომები ისე იბრძოდნენ, რა-თა საკუთარი ბატონის სიკვდილის გამო ეძიათ შური. დარა მორად-ბაქშისკენ დაიძრა. ეს ყველაზე კარგი სვლა იყო, ამ მოქმედებით დაშ-ვებული შეცდომის გამოსწორება შეიძლებოდა, მაგრამ ბედის ირონიით, ან ღალატით, ან გაუგებრობის გამო, დარას არმია განადგურდა და თვითონ დარა კი ამ ბრძოლაში ლამის დაიღუპა. იმ დროს როცა დარა და მისი არმიის მარცხენა ფლანგი შეუპოვრად იბრძოდა და წარმატე-ბულად მიიწევდა წინ, მარჯვენა ფლანგის სარდალი ქალალ-ულლა-ხა-ნი ოცდაათი ათასი მოგოლი მებრძოლით, რომლებსაც შეეძლოთ აუ-რენგზიბის დამოუკიდებლად განადგურება, განზე დადგნენ, თითქოს ეს ომი მათთვის არ იყო და საკუთარ ცხენოსნებს არ მისცეს საშუა-ლება ბრძოლაში ჩართულიყვნენ და თავი სარეზერვო ჯარივით ეჭი-რათ, თავი ისე ეჭირათ თითქოს ბრძოლაში მხოლოდ უკიდურეს შემ-თხვევაში უნდა ჩართულიყვნენ. მაგრამ რეალური მიზეზი დარეს მიერ მიყენებული შეურაწყოფა იყო, ადრე, დარემ მის დასასჯელად ბაბუ-

შამით (მოგოლთა ერთგვარი ფეხსაცმელი) რამდენიმე დარტყმა მიაყენა. ეს ღალატი დარას გამარჯვებას ხელს ვერ შეუშლიდა, მხოლოდ ამით რომ დაკმაყოფილებიულყო. მან საკუთარი ჯარიდან რაზმი გამოჰყო და დარეს მიმართულებით გაემართა, იქ სადაც მორად-ბაქშას უნდა შებრძოლებოდა, მან მთელი ხმით შესძახა „მობარეკბად“ (დიდება თქვენ). „ხაზარატ, სალამატ“ (თქვენ გაიმარჯვეთ, დაე იყავით ჯანმრთელი და უვნებელი), „ელ ხამუდულ ელლა“ „ღმერთო ჩემო, რას ჩადიხართ, ნუთუ საკმარისი არ არის რომ ამდენი ხნის მანძილზე საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნით? დაჯექით ჩემს ცხენზე, ერთი ისარიც რომ მოგხვედროდათ ჩვენ რა უნდა გვექნა? ჩვენ ვიზრუნებთ დანარჩენზე, ჩვენ არ დაუშვებთ რომ სადმე გაგვექცნენ... “

დარას რომ ცოტაოდენი შორსმჭვრეტელობა გამოეჩინა, რათა გამოევლინა ტყუილი და უმალ გაეგო რაც ხდებოდა, მაშინ ის არ ჩამოვიდოდა სპილოდან და მთელი არმია, რომელიც თვალს არ აშორებდა დარის, ვეღარ დაინახავდნენ მის გადაადგილებას და შესაბამისად პრინცი უმალ გასცემდა ბრძანებას, თავი მოეკვეთათ მოღალატისთვის. მაშინ მას საშუალება ექნებოდა ბრძოლა თავის ნებაზე წარემართა. დარამ დაუჯერა, სპილოდან ჩამოვიდა და ცხენზე შეჯდა. არ გასულა ცოტა ხანი რომ დარე მიხვდა მოღალატის ჩანაფიქრს. ის ეძებდა ქალილ-ულლა-ხანს, რათა თავი მოეკვეთა მისთვის, მაგრამ შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა. ცოტა ხანში ჯარმა ვეღარ დაინახა დარა, ჩათვალეს რომ ის მოკლეს, ან ღალატის მსხვერპლი გახდა და დაიწყო პანიკა, დარას არმიის ჯარისკაცები ცდილობდნენ როგორმე გასცლოდნენ ბრძოლის ველს და აურენგზიბის მსხვერპლნი არ გამხდარიყვნენ. ასე დამთავრდა ამ სისხლისმღვრელი ბრძოლის ეპოპეა. აურენგზიბმა მხოლოდ ნახევარი საათით მეტ ხანს დაჰყო სპილოზე ამხედრებულმა და მიიღო სრულიად ინდოეთის მეფის გვირგვინი, ხოლო დარა, რომლემაც სულ ცოტა ხნით დასტოვა სპილოს უნაგირი მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი უბედური პრინცის სახელით შევიდა. ბედისწერამ გადაწყვიტა იმპერიის ბედი...

ეს მრავალრიცხოვანი არმიები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველში, მაგრამ როდესაც შიში და ეჭვი იპყრობს ჯარისკაცებს, რამდენად შესაძლებელია პანიკის შეჩერება? ეს მოვლენა წყლის ჯებირის გარღვევასა ჰგავს, წყალი მთელ არემარეზე რომ იღვრება,

ასეთივეა პანიკით შეპყრობილი ჯარი, ხშირად მიფიქრია, ამ ქვეყანაში რომ გამოჩენილიყო მხოლოდ ოცდახუთი ათასი ფლანდრიელი ჯარისკაცი პრინც კონდეს ან ბატონ დე ტიურენის მეთაურობით, ისინი ხომ სრულიად გაანადგურებდნენ მოწინაღამდეგეს, მიუხედავად მათი მრავალრიცხოვნობისა. ამ მოვლენების შემხედვარეს ნამდვილად აღარ მიკვირს ალექსანდრე მაკედონელის ორმოცდაათი ათასიანი არმიით დარიუსის ექვსასი-შვიდასი ათასიანი არმიის განადგურება (თუ დარიუსის არმიის რიცხოვნება რეალობას შეესაბამება). მოულოდნელმა წარმატებამ აურნგზიბს მეტი სიმამაცე მოჰგვარა და მთელი თავისი რესურსები სრულ მობილიზაციაში მოიყვანა, ვაჟკაცობა, გამჭრიახობა, ეშმაკობა, ყველაფერი, რასაც შეეძლო მისთვის თუნდაც უმნიშვნელო წარმატების მოტანა. ქალილ-ულლა-ხანი მიეახლა აურეგზიბს და ახალ ბატონს სრული მხარდაჭერა აღუთქვა. მან დიდი მადლობა გადაუხადა ხანს და უხვად მისცა დაპირებები, მაგრამ ხანის შეთავაზებაზე თავი შეიკავა, სამაგიეროდ მორად-ბაკშის წარუდგინა, მორადმა ხელგაშლილად მიიღო ხანი, აურენგზიბმა გულუხვად შეაქო მორად-ბაქშა ბრძოლის დროს გამოჩენილი სიმამაცისთვის, შესაბამისად გამარჯვების მთელი პატივი მორად-ბაქშას „გადააბრალა“, ხანმა შესაბამისი პატივი მიაგო, როგორც ეკადრება ბატონს ხელქვეითისგან.

ამასთან ერთად იგი დღე და ღამე მუშაობდა, ყველა ემირს წერილებს სწერდა, ეძებდა და პოულობდა დასაყრდენს. მისმა ბიძამ შაჰგესტ-ხანმა, დარას ძველმა და ძლევამოსილმა მტერმა, რომელსაც არ დავიწყნოდა დარის მიერ მიყენებული შეურაწყოფა, აურენგზიბს თავის მხრივაც მისწერა წერილი, შაჰი გამარჯვებას ულოცავდა პრინცებს. ყველაფერს რასაც აურენგზიბი აკეთებდა, ფიგურირებდა მხოლოდ მორად-ბაქშას სახელი, რადგან აურენგზიბი დაპირებას და შეთანხმებებს მხოლოდ მორად-ბაქშის სახელით ასრულებდა, მას სურდა, რომ ძმა ინდოსტანის მეფის ტახტზე აეყვანა და ყველაფერს აკეთებდა ამ მიზნის მისაღწევად. რაც შეეხება უბედურ დარის, ის გაიქცა აგრაშია თუმცა ეშინოდა შაჰ-ჯიხანის წინაშე წარდგომის. დარას ახსოვდა მამის სიტყვები „დაიმახსოვრე დარა, თუ დამარცხდი ჩემთან აღარ დაბრუნდე“, მიუხედავად ამისა, კეთილმა მოხუცმა თავისი ერთგული ევნუხი გაგზავნა, რომ დაემშვიდებინა დამარცხებული პრინცი. იმედი უნდა ჰქონოდა, რომ მეფეს კიდევ ჰყავდა ჯარები სულეიმან-შეკუს

მეთაურობით. იგი ფიქრობდა რომ წასულიყო დელიში, სადაც სახელმწიფო საჯინიბოში ათასობით ცხენს იპოვნიდა და გუბერნატორს გაუგზავნიდა წერილს, რომ მიეცა მისთვის ფული და სპილოები. ურჩევდა, რომ შორს არ წასულიყო და თვალთა არეში დარჩენილიყო. შაჰი-ჯეხანი ხშირად წერდა წერილებს, ურჩევდა აურენგზიბისთვის გვერდი არ აევლო და დაესაჯა იგი.

მე მეუბნებოდნენ, რომ დარა იმდენად განერვიულებული და განადგურებული იყო რომ ევნუხსაც ვერაფერი უპასუხა, მას ძალა და გამბედაობა არ ჰყოფნიდა თუნდაც ვინმე გაეგზავნა შაჰთან და მდგომარეობა აეხსნა. მხოლოდ რამდენიმე კაცი გაგზავნა და წერილი გაატანა ბეგუმ-სახებთან. ის შუაღამით წავიდა თავის ასულთან, სეპე-შეკუსთან და მეუღლესთან ერთად. დარას ამალას სამასი-ოთხასი შეიარაღებული ადამიანი გაჰყვა. დარა დელისკენ დაიძრა. აურენგზიბიმა შესანიშნავად იცოდა, რომ დარა და მისი მომხრეები იმედებს სულეიმან-შეკუს ჯარზე დამყარებდნენ. ამიტომაც გადაწყვიტა მისთვის ჯარის წართმევა, ან რაიმე გზით გაუვნებელყოფა. ამ მიზნის მისაღწევად გაუგზავნა წერილები ჯესსენგს და დალილ-ხანს, სულეიმან-შეკუს ჯარის მხედართმთავრებს. აურენგზიბი არწმუნებდა, რომ დარამ დამარცხების შემდეგ ყველაფერი მიატოვა და დელიში გაიქცა, რომ ის, ვერსად დაემალება, რადგან მისი დაპატიმრების ბრძანება უკვე გაცემულია. რაც შეეხება შაჰ-ჯეხანს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოჯანმრთელების იმედს აღარ იძლევა. სარდლებს სთხოვდა სერიოზულად დაფიქრებულიყვნენ მომავალზე და ისე მიეღოთ გადაწყვეტილება. თუ ისინი მოისურვებდნენ რომ მის მეგობართა რიგებში ყოფილიყვნენ და გაჰყვებოდნენ აურენგზიბს, მაშინ მათ უნდა შეეპყროთ სულეიმან-შეკუ და მისთვის მიეყვანათ.

ჯესსინგი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. მას ჯერ კიდევ ეშინოდა დარასი და შაჰ-ჯეხანის, უფრო მეტად ახალგაზრდა პრინცის სისხლში ხელების გასვრისა ეშინოდა, რადგან იცოდა, რომ ადრე თუ გვიან, ეს ამბავი უბედურებას დაატეხდა თავს, არ იყო გამორიცხული, რომ ეს თვით აურენგზიბი იქნებოდა. ასევე კარგად იცოდა, რომ სულეიმან-შეკუ საკმაოდ მამაცი იყო, რომ არ დანებდებოდა და იბრძოლებდა, თუნდაც სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა ეს ბრძოლა. ბევრი ფიქრის შემდეგ რჩევის სათხოვნელად

დელილ-ხანთან მივიდა, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა. ერთმანეთისადმი მეგობრობის და უღალატობის ფიცი დადო ორმა სარდალმა და სულეინამ-შაკუს კარვისკენ გასწიეს, რომელიც მოუთმენლად ელოდა მათ. სულეიმანმაც მიიღო ცნობა დარას არმიის განადგურების შესახებ, რამდენჯერმე თავისთან იხმო ჯესსენგი, რომელმაც გულახდილად უამბო აურენგზიბის წერილის შესახებ და თვით წერილიც აჩვენა თავის ბატონს. ასევე მიუთითა ბრძანებაზე, რომ შეეპყრო ახალგაზრდა პრინცი და ასევე დაამატა იმ მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, რომელიც მას ემუქრებოდა, ყურადღება გაამახვილა დალილ-ხანზე და დაუდ-ხანზე და განაცხადა, რომ მას არანაირი საფუძველი არ გააჩნდა ნდობოდა ამ ადამიანებს, ასევე როგორც მეგობარმა ურჩია რაც შეიძლება მალე წასულიყო სერენაგარას მთებისკენ, რადგან იქ მოსალოდნელი საფრთხისგან საუკეთესო თავშესაფარი იქნებოდა. ამ მხარეს რაჯას სასახლე მიუდგომელ ადგილას მდებარეობდა, თანაც აურენგზიბს და რაჯას შორის არავითარი უკმაყოფილება არ სუფევდა და ისინი ხელგაშლილად შეხვდებოდნენ ერთმანეთს, შესაბამისად იქიდან დააკვირდებოდა მოვლენების განვითარებას და მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე თავადვე მიიღებდა გადაყვეტილებას თუ როდის უნდა დაეტოვებინა თავშესაფარი.

ახალგაზრდა პრინცი ამ საუბრებიდან დარწმუნდა, რომ რაჯას ნდობა არ შეიძლებოდა, შესაბამისად მასაც საფრთხე ემუქრებოდა, მითუმეტეს როცა დალილ-ხანი რაჯას ერთგული იყო. სხვა გამოსავალი მაინც არ ჰქონდა პრინცს და ეს რჩევა მიიღო. ბრძანება გასცა დაეტვირთათ მთელი ავლადიდება და წასულიყვნენ მთებისკენ. განსაკუთრებულად ერთგულმა პირებმა, მანსებდარიებმა, საიდებმა და სხვებმა საკუთარი თავი ვალდებულად ჩათვალეს თან გაჰყოლოდნენ, ხოლო დანარჩენები რაჯასთან უნდა დარჩენილიყვნენ. საოცარი სიავკაცე და სიმდაბლე გამოიჩინა რაჯამ. საქმე იმაში მდგომარეობდა რომ რაჯამ და დალილ-ხანმა გაძარცვის მიზნით მიუგზავნეს ხალხი ტვირთის გამცილებლებს, მათ დაათვრეს მცველები, შემდეგ თავს დაესხნენ მათ და ოქროს რუპიებით დატვირთული სპილო გაიტაცეს. ამ თავდასხმამ სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია ახალგაზრდა პრინცის მცირერიცხოვან ამალაში, შესაბამისად გარკვეულმა ნაწილმა, რომელიც პრინცს უნდა გაჰყოლოდა, უარი განაცხადა და უკან დაბრუნდა. გლე-

ხობა, რომელთა სოფლებზედაც პრინცს უნდა გაევლო, უკვე საკმაოდ შეთხელებული ამალით თავს ესხმოდნენ მგზავრებს გაძარცვის მიზნით, ზოგჯერ თავდასხმა მსხვერპლითაც მთავრდებოდა. როგორც იქნა მიაღწიეს რაჯა სერენაგარას სასახლეს. რაჯამ შესაბამისი პატივი მიაგო სტუმარს და გულთბილად შეხვდა სულეიმანს. რაჯამ ბრძანა, რომ პრინცი მის სასახლეში სრულიად იქნებოდა დაცული და იგი მის სასახლეში თავს ისე იგრძნობდა როგორც საკუთარ სახლში.

ეხლა აგრაში მიმდინარე მოვლენებს გადავხედოთ.

სამონგერის ბრძოლის შემდეგ რამდენიმე დღეში აურენგზიბი და მორად-ბაქში ქალაქის კარიბჭისკენ გაემართნენ. აურენგზიბმა ჭკვიანი ევნუხი გააგზავნა შაჰ-ჯეხანთან, რათა გადაეცა მეფისთვის მისი თავმდაბალი სალამი და მისადმი ერთგულებაში და მორჩილებაში დაერწმუნებინა შაჰი. სურდა გაემართლებინა საკუთარი საქციელი და ატყობინებდა შაჰს: „დარას უკმეხობამ, ზედმეტმა პატივმოყვარეობამ და ხელქვეითების მიმართ უდიერმა დამოკიდებულებამ აიძულა ასეთი უკიდურესი ნაბიჯი გადაედგა, ბედნიერი იყო ხელმწიფის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებით“. აურენგზიბი უთვლიდა შაჰს, რომ მზად იყო ხლებოდა და მისი ბრძანებები შეესრულებინა. მეფემ შესანიშნავად იცოდა აურენგზიბის შეფარული და ფლიდი ხასიათი, ისიც იცოდა, რომ მას მეფობა სურდა, არ ენდობოდა შაჰი აურენგზიბის გულმხურვალე სიტყვებს და დაპირებებს. მეფემ ეს ყველაფერი იცოდა და ხვდებოდა საკუთარი ვაჟის ეშმაკობას, მიუხედავად ამისა აურენგზიბს მოქმედების საშუალება მისცა. იმის მაგივრად, რომ აურენგზიბის წინღამდეგ შესაბამისი რესურსები გამოეყენებინა, შეკრიბა ემირები და მათთან ერთად ქალაქში გამოვიდა, რათა დაემტკიცებნინა საკუთარი ქმედითუნარიანობა, მეფემ აურენგზიბის მოტყუება გადაწყვიტა და მახეების დაგებას შეუდგა, რომელშიც თვით შაჰი-ჯეხანი გაება, გაგზავნა ევნუხი აურენგზიბთან და შეატყობინა, რომ მისთვის ცნობილია დარას ცუდი ხასიათი და უდიერი დამოკიდებულება ხელქვეითების მიმართ, რომ მეფე ყოველთვის აფასებდა აურენგზიბს, თუმცა მისადმი სიყვარულს არ იჩენდა, მიუხედავად ყველაფრისა, მეფე სთხოვდა აურენგზიბს მასთან მისულიყო, რათა სახელმწიფოში არსებული ქაოსი დაეწყნარებინათ და სურდა გულში ჩაეხუტებინა შვილი. თავის მხრივ, აურენ-

გზიბი ხვდებოდა, რომ ზედმეტად უნდა ნდობოდა შაჰის სიტყვებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მტერი, ბეგუმ-სახები, დღე და ღამე მამის გვერდითაა და შაჰი მისი წაქეზებით მოქმედებს. მას ეშინოდა, რომ თუკი სასახლეში შევიდოდა, მას შეიპყრობდნენ და მისთვის ყველაფერი ამით დამთავრდებოდა. ამბობდნენ, რომ გეგმა ასეც ჰქონდათ შემუშავებული სასახლეში, აურენგზიბის შეპყრობის მიზნით შეაიარაღეს მსუქანი თათარი ქალები, რომლებიც სერალს ემსახურებოდნენ, აურენგზიბის სასახლეში შესვლისას, ისინი თავს უნდა დასხმოდნენ მას და შეეპყროთ. აურენგზიბი სასახლეში არ წავიდა, მხოლოდ ხმა გაავრცელა, რომ რამდენიმე დღეში შაჰ-ჯეხანს უნდა სწვეოდა, დათქმული დღის დადგომის გადაწევით დროს იგებდა და როდის დადგებოდა სასახლეში ვიზიტის დრო, აურენგზიბის გარდა არავინ არ იცოდა. ის აგრძელებდა იდუმალი ინტრიგების ხლართვას სამეფო კართან დაახლოებული რაჯების და ემირების მისამართით. როდესაც აურენგზიბის მომხრეები ჩუმად ემზადებოდნენ სასურველი მოვლენების განვითარებისთვის, სასახლეში მოლაპარაკების საბაბით შაჰ-ჯეხანთან აურენგზიბის ვაჟი, სულთანი-მუჰამედი მივიდა, დაცვამ კარიბჭე გაუღო მოსულს და სულთანმა-მუჰამედმა ჯიქურ მიიტანა იერიში დაცვის წევრებზე, წინასწარ მომზადებული ხალხი იარაღით ხელში შეცვივდნენ ციხე-სიმაგრეში და დაიკავეს ციხე-სიმაგრე. არავინ ისე არ განიცდიდა ამ მარცხს, როგორც შაჰი-ჯეხანი, რადგან ის თავად გაება მახეში, რომელსაც სხვას უმზადებდა. შაჰი ტყვეობაში აღმოჩნდა და შესაბამისად აურენგზიბმა ციხე-სიმაგრე დაიმორჩილა, ამბობდნენ რომ დაუყოვნებლივ გაგზავნა სულთან-მუჰამედის მხარდასაჭერად ხალხი და დაპირდა სამეფო ტახტს, თუ ის ბოლომდე შეინარჩუნებდა მამისადმი ერთგულებას. აურენგზიბი მიმართავდა სულთან-მუჰაამედს, რომ დაუყოვნებლივ მისულიყო მეფის მოსასვენებელში, არწმუნებდა, რომ არ გაეშვა ხელიდან ხელსაყრელი მომენტი, ამით სულთანი დაიმსახურებდა უკვდავ დიდებას და ღმერთის წყალობას. ყველგან იტყვიან, რომ სულთანმა-მუჰამედმა იხსნა შაჰი-ჯეხანი დაპატიმრებისგან. ეს დროული სვლა იყო, რადგან შაჰი-ჯეხანი აპირებდა ფეხზე ადგომას და ქალაქში, ხალხთან გამოსვლას. ეს კი, ახალი ომის საბაბი გახდებოდა, რადგან ყველა გავლენიანი ემირი და ქალაქის მოსახლეობა, უმალვე შაჰის მხარეზე გადავიდოდა.

აურენგზიბს კი არ ეყოფოდა არც რესურსები და არც გამბედაობა, რომ მამის წინაღამდეგ ებრძოლა. ასევე გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტიც, რომ შესაძლოა ის, მომხრეთა გარეშე დარჩენილიყო და მორად-ბაქშისაც ზურგი შეექცია მისთვის.

ჩემი აზრით, შაჰ-ჯეხანის შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ, დარას ბრძოლაში დამარცხების და გაქცევის შემდეგ, დროულად არ გამოვიდა ციხე-სიმაგრიდან მოვლენების გასაკონტროლებლად. თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც იმასთან დაკავშირებით, რომ შაჰი შორსმჭვრეტელურად მოიქცა. ეს საკითხი პოლიტიკოსების განსჯისა და მსჯელობის საგნად იქცა, უმეტესი ნაწილი პოლიტიკოსებისა შაჰის გადაწყვეტილებას ემხრობოდა. აი მსჯელობის ერთ-ერთი მაგალითი: „საკვირველია, თითქმის არასდროს მსჯელობენ მოვლენებზე ისე როგორც დასასრულზე, ხშირად უგნური წამოწყებებიც კი, სასიკეთოდ იცვლის სახეს და შესაბამისად ყველასთვის მისაღებ ფორმას იძენს. შაჰ-ჯეხანს რომ სისრულეში მოეყვანა თავისი ჩანაფიქრი, მას ყველაზე გონებამახვილ ადამიანად ჩათვლიდნენ, მაგრამ თავად აღმოჩნდა მახეში, შესაბამისად მან კეთილი მოხუცის როლი მოირგო, ყველაფერი ბეგუმს გადააბარა, ქალს, რომელიც პატივმოყვარეობით იყო დაბრმავებული და მიაჩნდა, რომ აურეგზიბი მოინახულებდა მას და საკუთარი თავის, „გალიაში“ ჩასმის საშუალებას მისცემდა. შესაბამისად ვერც ვერასდროს განაცხადებდა სამეფო ტახტზე პრეტენზიას“. იგივე ადამიანები ამტკიცებდნენ, რომ „ ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც სულთან-მუჰამედს შეეძლო დაეშვა, მდგომარეობდა იმაში, რომ მან ვერ მოახერხა გამოეყენებინა შემთხვევა სამეფო გვირგვინი დაედგა თავზე, მან თავისუფლება მიანიჭა ბაბუას, შაჰ-ჯეხანს. ის სამართლიანად გახდა უმაღლესი „არბიტრი“, იმის მაგივრად, რომ გალერაზე დაესრულებინა სიცოცხლე. „რაც არ უნდა ითქვას სულთან-მუჰამედმა (ეშინოდა რომ შაჰი-ჯეხანი მას მოატყუებდა და ციხე-სიმაგრეში გამოამწყვდევდა, ან მამის ნდობით ისარგებლებდა და შემდგომ განუდგებოდა მას) არ ისურვა მეფის ოთახში შესვლა, მან თქვა, რომ მამისგან არ აქვს შაჰ-ჯეხანის ოთახში შესვლის ბრძანება, ასევე თქვა, რომ ის უნდა დაბრუნდეს ციხე-სიმაგრის ეზოში და უნდა უზრუნველყოს მამის უსაფრთხო გადაადგილება ქალაქის კარიბჭიდან შაჰ-ჯეხანის პალატამდე, რათა საშუალება მისცეს მამას ფეხზე ემ-

თხვიოს შაჰს. გავიდა რამდენიმე დღე, შაჰს ვერ გადაეწყვიტა მიეცა სულთანისთვის ციხე-სიმაგრის გასაღებები თუ არა. ამ დროის განმავლობაში სულთანი-მუჰამედი ციხე-სიმაგრეში რჩებოდა და სრულიად აკონტროლებდა მას. შაჰი ხედავდა, რომ მისი გარემოცვა თანდათანობით თხელდებოდა და მალე არავინ დარჩებოდა მის გვერდით, გადასცა გასაღები აურენგზიბისთვის მისართმევად, რათა ხლებოდა მეფეს და საყურადღებო ცნობები მიეცა მისთვის. აურენგზიბმა ალღო აუღო მეფის შეტყობინებას, მოვლენების განვითარების შესაბამისად მეფესთან ხლება მოცემულ ეტაპზე უხეში შეცდომა იქნებოდა. მან დაუყოვნებლივ დანიშნა თავისი ევნუხი ეთბარ-ხანი, ციხე-სიმაგრის კომენდანტად. ეთბერ-ხანმა კი დაუყოვნებლივ გადაიყვანა შაჰი-ჯეხანი და ბეგუმ-სახაბი მოსამსახურე ქალებთან ერთად სასახლის ყველაზე მიყრუებულ პალატებში, ასევე, რამდენიმე კარი ჩამოჰკიდა მათ ოთახებს შორის მიმავალ დერეფნებში, რომ არ ჰქონოდათ ერთმანეთთან საუბრის საშუალება, გარდა მომსახურეობისა და შესაბამისად ვერც წერილის მიწერა ვერ უნდა შესძლებოდათ „პატიმრებს“. მათ ოთახის დატოვება მხოლოდ ნებართვის აღების შემდეგ შეეძლოთ.

აურენგზიბმა წერილი მისწერა მეფეს და ვიდრე ბეჭდით დაბეჭდავდა, მისი შინაარსი მის გარემოცვას გააცნო. წერილში საკმაოდ „მშრალად“ წერდა, რომ „სარწმუნო წყაროებიდან მისთვის ცნობილი გახდა, შაჰ-ჯეხანის, აურენგზიბის მიმართ პატივისცემის და დარეს მიმართ ზიზღის შესახებ. მიუხედავად ამისა, მან დარეს ორი, ოქროს რუპიებით დატვირთული სპილო გაუგზავნა, რათა დარას საკუთარი მდგომარეობა გაეუმჯობესებინა და ომისთვის მომზადებულიყო. ამგვარად გამართლებული იქნებოდა თუ ვიტყვით, რომ ამ წერილით აურეგზიბმა მეფეს აგრძნობინა მისი „ტყვეობის“ გამომწვევი მიზეზის შესახებ, მეფე ტყვეობას დარეს უნდა „უმადლოდეს“ და არა მას, მეფე უკმაყოფილო უნდა ყოფილიყო დარესი, რადგან დარე არის ყველა უბედურების საწყისი და რომ არა დარა, ის მზად იყო პირველივე დღეს ხლებოდა მეფეს და თავისი ვალდებულებები შეესრულებინა, რასაც ელოდა მამა გამგონე შვილისგან, ასევე ევედრებოდა შენდობას და სთხოვდა მოთმინებას. როგორც კი შესძლებს, რომ დარეს ბოროტი განზრახვები ალაგმოს, ის თავად მივა მამის პალატების კარის გასაღებად“.

მე მსმენია, რომ შაჰ-ჯეხანმა, როგორც კი დარა წავიდა, გაუგზავნა ოქროს რუპიებით დატვირთული სპილოები, რომ რაუშენარა ბეგუმმა შესძლო ამის შესახებ აურენგზიბისთვის შეეტყობინებინა, ასევე თათარი ქალების შესახებაც აცნობა ძმას, ასევე ამბობენ, რომ აურენგზიბმა შაჰის მიერ დარასთვის მიწერილი რამდენიმე წერილიც კი ჩაიგდო ხელში. სხვები კი მარწმუნებდნენ, რომ ეს ყველაფერი რეალობას არ შეესაბამებოდა. წერილი კი, რომელიც აურენგზიბმა საზოგადოებას უჩვენა, მხოლოდ თვალებში ნაცრის შეყრა იყო და მცდელობა იმისა, რომ მთელი ეს უბედურება შაჰისა და დარას ბრალი იყო და რომ მათ აიძულეს ასე მოქცეულიყო. ყველაფერი იმდენად იდუმალებით და გაურკვევლობით იყო მოცული, რომ შემდგომ მოვლენათა განვითარების განსაზღვრა შეუძლებელი იყო. მას შემდეგ რაც ემირებმა დაინახეს, რომ შაჰი „ჩაკეტილი“ ჰყავდათ, იძულებულნი გახდნენ თაყვანი ეცათ აურენგზიბისთვის და მორად-ბაქშისთვის, გასაოცარი ის იყო, რომ არც ერთ ემირს არ ეყო გამბედაობა მეფისთვის მხარი დაეჭირა. ეს ადამიანები შაჰმა აქცია იმად, რასაც წარმოადენდნენ, მან დააყენა ფეხზე და იხსნა შესაძლო მონობისან, რაც სამეფო კარზე იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა, მეფემ გახადა ეს ემირები, დღეს რომ ქედს იხრიდნენ პრინცების წინაშე, მდიდრები და ძლევამოსილები. მხოლოდ დანეშმენდ-ხანი და ზოგიერთი სხვაც არ მიემხრნენ არც ერთ მხარეს, დანარჩენები კი აურენგზიბის მომხრენი გახდნენ. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ემირების გადაწყვეტილება არ იყო მათ მიერ დამოუკიდებლად მიღებული, ისინი იძულებულები იყვნენ შესაბამისად მოქცეულიყვნენ. საფრანგეთისგან და სხვა ქრისტიანული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, სადაც დიდებულებს გააჩნიათ თავიანთი მამული, რომელიც მათ სოლიდური შემოსავლებით უზრუნველჰყოფდა, ინდოეთში, მეფეს უფლება ჰქონდა წარჩინებულისთვის წაერთმია საბრძანისი, ამ შემთხვევაში წარჩინებული არარაობად გადაიქცეოდა, ასეთ ადამიანს პატივს აღარავინ სცემდა და არც ფულს გაიმეტებდა ვინმე მისთვის. ამ კანონის გამოყენებით და ასეთი ქმედებით აურენგზიბმა შაჰ-ჯიხანისგან და ემირებისგან საკუთარი თავდაცვის უზრუნველყოფა მოახერხა, შემდეგ სახელმწიფო ხაზინიდან აიღო შემდგომი სამოქმედო გეგმის დასაფინანსებლად საჭირო თანხა და ქალაქის გუბერნატორად საკუთარი ბიძა შაჰ-გეთსხა-

ნი დანიშნა, როცა საქმეები მოათავა მორად-ბაქშისთან ერთად დარეს დაედევნა.

იმ დღეს, როცა ჯარს ქალაქი უნდა დაეტოვებინა, მორად-ბაქშის პირადმა მეგობრებმა და მისმა პირადმა ევნუხმა შაჰ-აბბასმა, რომლებმაც შესანიშნავად იცოდნენ რომ ზედმეტი ცნობისმოყვარეობა შეიძლება ღალატად ჩათვლოდათ, მორად-ბაქშას ურჩიეს, რომ ვინაიდან მორად-ბაქშა მომავალი ხელმწიფეა და შესაბამისად სამეფო საქმეები ყურადღებას მოითხოვს, აურეგზიბი მარტო გაეგზავნა დარას წინაღამდეგ საბრძოლველად, თავისი არმიითურთ, აგრაში და დელიში. მორად-ბაქშის ამ რჩევისთვის რომ დაეჯერებინა, მაშინ აურენგზიბს სერიოზულ დაბრკოლებებში და მოსალოდნელ ხიფათში ჩააგდებდა. აურენგზიბს გაუმართლა, რადგან მორად-ბაქში მის დანაპირებს თვალდახუჭული ენდობოდა, მას ძმისგან დაპირებული მეფის გვირგვინის და საზეიმოდ ნათქვამი მეგობრობის ფიცისა სწამდა. ორივე, ჯართან ერთად დაიძრნენ დელისკენ. როდესაც მატურაში ჩავიდნენ, რომელიც აგრადან 3-4 დღის სავალზე მდებარეობს, მორად-ბაქშას, თავისი მეგობრები ისევ ეახლნენ და გააფრთხილეს, რომ აურეგზიბს ფლიდობა და ღალატი აქვს ჩაფიქრებული, ასევე დაამატეს, რომ სანდო წყაროებიდან მიიღეს ცნობები და სთხოვეს არ მისულიყო აურენგზიბთან, არ წვეოდა მას კარავში და მიზეზად ავადმყოფობა მოეგონებინა. მიუხედავად გართხილებისა, მან არ დაიჯერა მეგობრების, ის „ყრუ“ იყო ყოველგვარი რჩევების მიმართ. აურენგზიბმა საღამო ხანს თავის კარავში მიიწვია ძმა და დასახვედრადაც შესაფერისად მომზადებულიყო. სუფრაზე აურენგზიბს განსაკუთრებულად ერთგული მხედართმთავრები მოეწვია, დიდი სიხარულით გადაეხვია მორად-ბაქშას და გულთბილი და სიყვარულით აღსავსე სიტყვებით შეამკო ძმა. სუფრაზე სადილი შემოიტანეს, სტუმრებს შორის გულთბილი საუბარი გაიმართა, საუბრობდნენ დიად საქმეებზე და მომავალ გეგმებზე. სუფრას შესანიშნავი შირაზიის ღვინო და ქაბულური ღვინოებიც შეჰმატეს. აურენგზიბი, როგორც მუჰამედის მიმდევარი სუფრიდან ადგა და ძმა გულთბილად მიიწვია ღვინის დასალევად, ასევე მინკანომს და სხვა სტუმრებსაც მიართვა სასმელი. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, შემდეგ გულთბილი ღიმილით, დასვენების მიზნით მასპინძელმა სუფრა დატოვა. მორად-ბაქშის უყვარდა სმა. მოკლედ ის დათვრა და

იქვე მიიძინა. სწორედ ამას ელოდა აურენგზიბი. მორად-ბაქშის მსახური და სხვა მსახურები კარვიდან გაისტუმრეს, მორად-ბაქშისთვის დასვენების საშუალების მიცემის მოტივით. შემდეგ ამოაცალეს ხმალი და ჯემდარი, ანუ ხანჯალი. აურენგზიბი ცოტა ხანში ძმის გასაღვიძებლად უკან დაბრუნდა და უხეშად ჰკრა ფეხი. მთვრალმა ძმამ თვალი გაახილა და აურენგზიბმა გასაოცარი ზიზღით მიმართა „სტუმარს“: „ეს რა ხდება? რა სირცხვილია, მეფეს არა აქვს იმდენი თავშეკავება, რომ ასე არ დათვრეს? რას იტყვიან ქვეშემდგომები შენზე ან ჩემზე, მომაშორეთ აქედან ეს ლოთი, ხელ-ფეხი შეუკარით და ჩაკეტეთ, სანამ არ გამოფხიზლდება“. მხებლებმა ბრძანება დაუყოვნებლივ შეასრულეს. ამაოდ ყვიროდა მორად-ბაქშა. ხუთი-ექვსი კაცი მას თავს დაესხა და ხელ-ფეხზე ბორკილი დაადეს. კარავში ისეთი ხმაური ატყდა, რომ ახლოს მდგომმა მორად-ბაქშას მომხრე რამოდენიმე კაცმა გაიგო და კარვისკენ ყიჟინით გაიქცნენ, ცდილობდნენ ძალით შესულიყვნენ შიგნით, მაგრამ მათი არტილერიის მხედართმთავარი, ალლახ-კული, რომელიც უკვე დიდი ხანია მოსყიდული ჰყავდათ, დაემუქრა და ყველა აიძულა დაეტოვებინათ იქაურობა. დაუყოვნებლივ გააგზავნეს ხალხი მთელ არმიაში, რომ მეომრები დაემშვიდებინათ, რადგან ამბოხის საშიშროება შეიქმნა. ისინი არწმუნებდნენ ჯარისკაცებს, რომ მორად-ბაქშა ისე დათვრა, რომ ლანძღავდა ყველას, თვით აურენგზიბსაც. შესაბამისად სიმთვრალისგან გონებაწართმეული მორად-ბაქშას იზოლირება გახდა საჭირო. გამოფხიზლების შემდეგ მას გამოუშვებდნენ. ამავდროულად მთელი ღამის განმავლობაში საჩუქრები ურიგდებოდათ ყველა მხედართმთავარს და არმიის ოფიცერს, მოულოდნელად ჯამაგირიც მოუმატეს სამხედროებს. არც გულუხვი დაპირებები დავიწყნიათ მათთვის. ბუნებრივია ასეთი „სიუხვის“ შემდეგ ყველანი დაწყნარდნენ. მომდევნო ღამეს საცოდავი პრინცი „ემბარში“ გამოკეტეს (ემბარი პატარა გადასატანი ოთახია რომელსაც სპილოზე დგამენ ქალების გადასაყვანად) და წაიყვანეს პირდაპირ დელიში, სლიმგერში, პატარა ძველ სიმაგრეში, რომელიც მდინარის შუაგულში მდებარეობდა. ყველა დამშვიდდა, გარდა ევნუხი შაჰ-აბასისა, რომელსაც შექმნილი ვითარება ფრიად აშფოთებდა. აურენგზიბმა მორად-ბაქშის ჯარები დაიქვემდებარა და დარასკენ გააგრძელა გზა, რომელიც ლაგორუსკენ მიემართებოდა, სურდა იქ, კარგად გამაგრე-

ბულიყო და იქვე მიეღო თავისი მომხრეები, მაგრამ აურენგზიბი ისეთი სისწრაფით გადაადგილდებოდა, რომ დარა ვეღარ ასწრებდა დანიშნულების ადგილამდე მისვლას, იძულებული გახდა უკან დაეხია და მულტანისკენ წასულიყო, ძლიერი სიცხის მიუხედავად აურენგზიბის ჯარი დღე და ღამე მიდიოდა. ხშირად უხდებოდა დიდი მანძილით წინ წასულს, რამდენიმე დღე დალოდებოდნენ არმიას და თავის ჯარისკაცებთან ერთად ხის ქვეშ დაეძინათ, ესვა ჭუჭყიანი წყალი და ნატეხი პურით დაკმაყოფილებულიყვნენ. აურენგზიბის სწრაფი გადაადგილების გამო, დარა იძულებული გახდა, გადაადგილებულიყო, რადგან არ სურდა აურენგზიბთან შეხვედრა, მას საბრძოლო რესურსები არ გააჩნდა და წინაღამდეგობის გაწევის უნარი არ ჰქონდა. ადგილობრივი პოლიტიკოსები განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამდნენ, მაგალითად: „ლაგრადან წასულ დარას ურჩევდნენ ქაბულის სამეფოში გამაგრებულიყო, იქ, ათი ათას ჯარისკაცს აიყვანდა თავის არმიაში და ავღანელთა, სპარსთა და უზბეკთა წინააღმდეგ და ქვეყნის დასაცავად გამოიყენებდა, რომლის გუბერნატორადაც მოგაბეტ-ხანს დანიშნავდა, იგი ინდოსტანის ერთ-ერთი ძლევამოსილი ემირი იყო და არც აურენგზიბის მიმართ იყო სიმპატიით განწყობილი. გარდა ამისა, დარა სპარსეთისა და უზბეკეთის „კარებთან“ აღმოჩნდა, უმჯობესი იქნებოდა იმ ფულის დახმარებით, რომელიც მას გააჩნდა, მოგაბეტ-ხანი და მისი ჯარები მოესყიდა, რათა მის მხარეზე გადასულიყვნენ, ასევე შეეძლო სერიოზული დახმარება მიეღო სპარსეთისგან და უზბეკეთისგან. თავის დროზე გუმაიონი, რომელიც სპარსელებმა ტახტზე აღადგინეს, რომელიც ზახერ-ხანმა წაართვა, პატანთა მეფეს წარმოადგენდა“.

დარას თავისი წარუმატებლობა თან სდევდა, რომ გაეანალიზებინა შექმნილი მდგომარეობა და რჩევებისთვის მოესმინა, ალბათ თავს უშველიდა. მაგრამ დარამ არავის რჩევა არ გაითვალისწინა და სინდისკენ აიღო გეზი, სადაც სახელგანთქმული მდინარე ინდის შუაგულში აგებული ციხე-სიმაგრე ტატაბაკარი მდებარეობდა. აურენგზიბმა როცა შეიტყო დარას გადაადგილების შესახებ, გადაწყვიტა აღარ გამოდევნებოდა, მისთვის მთავარი იყო რომ დარა ქაბულისკენ არ წასულიყო. ის იმით დაკმაყოფილდა, რომ რვა ათასი მეომარი ჩაუყენა კვალში დარას მირ-ბაბის სარდლობით და დაუყოვნებლივ დაბრუნდა უკან აგრაში. მას ეშინოდა რომ ძლევამოსილი რაჯები, ჯესსინგი ან

ჯესსომსენგი, მეფის გასანთავისუფლებლად მცდელობას არ დააკ-ლებდნენ, ან სულთანი-შეკუ, სერენაგარის რაჯასთან ერთად შეიძ-ლებოდა დაძრულიყო მთებიდან, ან სულთანი-სუჯას ძალიან ახლოს შეეძლო მისულიყო ქალაქთან.

და აი რა მოუვიდა მას ზედმეტი სიჩქარის გამო...

მულტანიდან ლაგორში მიმავალს, გზაზე მის შესახვედრად, კარ-გად შეიარაღებული ხუთი ათასი რაჯპურის თანხლებით მოემართებო-და რაჯა ჯესინგი. აურენგზიბს შეეშინდა, რადგან იცოდა, რომ რაჯა შაჰ-ჯეხანის ერთგული იყო და თუ ბრძოლას გაუმართავდა, რაჯას შეეძლო შეეპყრო არმიისგან საკმაოდ დაშორებული აურენგზიბი, შემ-დეგ გაენთავისუფლებინა შაჰი და აურენგზიბის სახელმწიფო გადატ-რიალების ამდენი მცდელობა წყალში ჩაყრილიყო. თუმცა მისთვის უცნობი იყო რაჯას მიზნები. რაჯა თავის მხლებლებთან ერთად სად-ღაც მიიჩქაროდა, აურენგზიბმა შიში დაძლია და გეზი რაჯასკენ აიღო. შორიდანვე მიესალმა მას, „სალამატ ბაშად რაჯა-ჯი, სალამატ ბაშად ბაბა-ჯი“, მან რაჯას „ბატონი რაჯა და მამა“ უწოდა. როდესაც რაჯა მიუახლოვდა მიმართა: „მე შენ მოუთმენლად გელოდი, ყველაფერი დამთავრდა, დარა დაიღუპა, ის სრულიად მარტოა, მასთან მირ-ბაბუ გავგზავნე, დარა მას ვერ დაუსხლტდება“, შემდეგ მოიხსნა კისრიდან მარგალიტის სამკაული და რაჯას გადასცა საჩუქრად, არც ტბილი სიტყვები დავიწყებია აურენგზიბს. მისი სურვილი, მხოლოდ ამ არასა-სურველ პირისგან განთავისუფლება და მისგან შორს ყოფნა წარმო-ადგინდა და რაჯას მიმართა : „წადი რაჯა, ლაგორში დაუყოვნებლივ, ჩემი არმია დაიღალა. წადი და იქ დამელოდე, ვშიშობ რომ იქ რაიმე არასასიამოვნო არ მოხდეს, მე ქალაქის მმართველად გნიშნავ და მის მმართველობას შენს გადმოგცემ, მე შენგან დავალებული ვარ მას მე-რე რაც შენ სულეიმან-შეკუს გაუკეთე. სად დატოვე დალელ-ხანი? მე შევძლებ მასზე შური ვიძიო. იჩქარე, სალამატ-ბაშესტ, მშვიდობით“.

ტატაბაკარში ჩასვლის შემდეგ, დარამ ციხე-სიმაგრე ძალიან გა-მოცდილ, უშიშარ და კეთილშობილ ევნუხს ჩააბარა და მას დაქვემდე-ბარებაში გადასცა ბატონებისგან, სეიდებისგან და არტილერიისტე-ბისგან შემდგარი მეომრები, რომლებიც ძირითადად „ფრანგი“-ებით იყო დაკომპლექტებული (პორტუგალიელები, ინგლისელები, ფრანგე-ბი და გერმანელები რომლებიც მას მიემხრნენ). ეს იყო შესანიშნავი

გარნიზონი. „ფრანგი“-ები მოხიბლულები იყვნენ დარას დაპირებებით, რომ თუ ის გახდებოდა მეფე, რამდენიც არ უნდა ყოფილიყვნენ „ფრა-გი“-ები ყველას ემირის ტიტულს დაჰპირდა. მიუხედავად იმისა, რომ დარამ მთელი ხაზინა დატოვა აგრაში, მისი ფინანსური მდგომარეობა მოცემულ ეტაპზე დამაკმაყოფილებელი იყო, მას ჰქონდა ოქროც და ვერცხლიც. თვითონ ციხე-სიმაგრეში რამდენიმე დღის ჩასული იყო, რომ სამი ათას მეომართან ერთად მდინარე ინდს ქვე დაუყვა სინდამ-დე და სწრაფად გადალახა რაჯი-კაჩეს საბრძანისი და გუჯარეთამდე ჩავიდა, იგი აჰმედ-აბდას მიადგა. ამ ქალაქის კომენდანტი აურენგზი-ბის სიმამრი, შაჰ-ნავაზ-ხანი იყო, რომელსაც შესანიშნავი გარნიზო-ნი ჰყავდა მას თავისუფლად შეეძლო წინაღამდეგობის გაწევა. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ვაჟკაცობა არ ეყო? ან დარას მოულოდნელმა გამოჩენამ დააბნია კომენდანტი, (ან იმიტომ რომ იგი უძველესი მა-შატების შთამომავალობის თავადი იყო, მას ვერ უწოდებდი ნამდვილ მებრძოლს, ის მხოლოდ ამქვეყნიური სიამოვნებისადმი იყო ერთგუ-ლი, შესაბამისად კეთილშობილი და თავაზიანი ადამიანი გახლდათ). კომენდანტს წინააღმდეგობა არ გაუწევია, პირიქით, მან დარა დიდი პატივით მიიღო და დროთა განმავლობაში დარას ისე თბილად ექ-ცეოდა, რომ დარა თავისი გულუბყვილობით მას ენდო და თავისი გეგმები განდო, რაჯა ჯესსომსენგის გამოგზავნილი წერილებიც კი აჩვენა, ასევე სხვა მისი მომხრეების შეტყობინებებიც წარუდგინა შაჰ-ნავაზ-ხანს, პრაქტიკულად შაჰს უკვე ჰქონდა იმ ადამიანების მთე-ლი ჩამონათვალი, რომლებიც დარასთან ჩამოსვლას და მის მხარეზე გადასვლას გეგმავდნენ. მეგობრები ურჩევდნენ დარას არ ნდობოდა შაჰ-ნავაზს, რადგან ის დაუყოვნებლივ უღალატებდა დარას.

არავინ ისე არ გაოცებულა ცნობით, რომ დარა ამედ-აბდეში იმ-ყოფებოდა, როგორც აურენგზიბი, მან იცოდა რომ დარას ჰქონდა ფული და რომ ყველა მისი მეგობარი და ყველა უკმაყოფილო წარჩი-ნებული, მის მხარეზე გადავიდა. აურენგზიბი სიმამრისკენ წასვლას სახიფათოდ მიიჩნევდა, ასევე ანგარიშგასაწევი იყო ის გარემოებაც, რომ საკმაოდ იყო დაშორებული აგრადან და შაჰ-ჯეხანისგან, არც რაჯების მიერ სადმე დაგებულ მახეში გაბმა იყო გამორიცხული, ან ჯესსომ-სენგის, ჯესსენგის, ან სხვა რომელიმე მტრულად განწყო-ბილი რაჯასგან, რომლებიც ამ მიწებზე ცხოვრობდნენ, ასევე გაი-

გო, რომ სულთანი-სუჯა დიდი არმიით მოემართებოდა და რომ უკვე ალახ-აბდაში შევიდა, სერენაგარის რაჯა ემზადება მთებში გახიზნულ სულლეიმან-შაკუს შეუერთდეს და ერთად დაიძრან მთებიდან. აურენ-გზიბი სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა და არ იცოდა საით წასულიყო. საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ დარასათვის თავი დაენე-ბებინა და შაჰ-ნავაზ-ხანთან განცხრომის საშუალება მიეცა. აურენ-გზიბმა გადაწყვიტა სასწრაფოდ სულთან-სუჯას დაკავშირებოდა, რო-მელმაც ალახ-აბდასთან მდინარე განგი გადმოლახა.

სულთანი-სუჯა, პატარა სოფელ კჯუესთან მოზრდილ ტბასთან დაბანაკდა. აურენგზიბი ერთი ლიეს მოშორებით, პატარა მდინარის მახლობლად აგრას მიმართულებით იდგა. მათ შორის შესანიშნავი გაშ-ლილი ველი გადაჭიმულიყო, რომელიც საბრძოლველად ორივე მხა-რისთვის მისაღები იყო. აურენგზიბს სურდა ამ ომებისთვის როგორმე ბოლო მოეღო და პირდაპირ შეუტია სუჯას. საუჯას გასანადგურებ-ლად საოცარი ძალისხმევა გამოიჩინა მისმა არმიამ. ემირ-ჯემლა, რომელიც დეკკანის ტყვე იყო, ბრძოლის დღეს გამოჩნდა ბრძოლის ველზე, მას აღარ ეშინოდა დარასი, რადგან მისი ოჯახი თავისუფლი იყო და საიმედო ადგილას ჰყავდა გახიზნული. მან გასაოცარი ნიჭი და საბრძოლო ხელოვნება გამოავლინა. სულთანი-სუჯა კარგად იყო გამაგრებული და დიდ საარტილერიო პოტენციალსაც ფლობდა, ასე-ვე ჯარებიც სტრატეგიული თვალსაზრისით კარგად ჰყავდა განლა-გებული. აურენგზიბს სურდა ტბისგან უკუ ექცია სულთანი, მაგრამ თავად მოუწია უკანდახევა, რადგან საკმაოდ ძლიერ წინაღამდეგობას წააწყდა. სულთანის ჯარები შეტევაზე გადადიოდნენ, მაგრამ საწყისი პოზიციებიდან შორს არ მიდიოდნენ. სუჯა ბრძოლის ველზე ღრმად არ შედიოდა. მან გაითვალისწინა, რომ აურენგზიბის ჯარი სიცხეს დიდი ხანი ვერ გაუძლებდა და მდინარისკენ პირს იბრუნებდა. ეს ფაქ-ტორიც გაითვალისწინა აურენგზიბმა, მაგრამ გაუთვალისწინებელმა ფაქტმა საშინლად იმოქმედა მასზე, საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ მის არერგრადს თავს დაესხნენ და ძარცვავდნენ, ამ ყველაფრის უკან რაჯა ჯესსომ-სენგი იდგა. სარდლებმა გაიგეს ამის შესახებ და არ-მიაში ჩოჩქოლი ატყდა. ზოგიერთმა ჯარისკაცმა გაქცევით უშველა თავს. აურენგზიბმა უკან დახევაზე და მარაგების დაცვაზე ხელი აი-ღო, რადგან ეს ფაქტი უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩააყენებდა მის

არმიას, ასევე გაითვალისწინა დარასთან ომში დაშვებული შეცდომები და ამიტომ გადაწყვიტა, მიუხედავად ყველაფრისა გაეძლო სულთანის შემოტევებისთვის. აურენგზიბის ჯარში უკმაყოფილება იზრდებოდა. სუჯამ მოინდომა ამ ფაქტორით ესარგებლა და მძლავრად შეეტია აურენგზიბისთვის. აურენგზიბს ბრძოლაში სპილო მოუკლეს და სხვა სპილოზე გადაჯდა, ისრების „სეტყვა“ დაუშინეს აურენგზიბის მეორე სპილოსაც, გადმოხტომას აპირებდა, ან ვინ იცის რა მოხდებოდა იმ საგიჟეთში, რომ არა ემირ-ჯამლა, რომელიც აურენგზიბთან ახლოს იმყოფებოდა და მან წარმოუდგენელი კეთილშობილება გამოიჩინა და თითქმის უიმედო მდგომარეობაში ჩავადნილი წინამძღოლი იხსნა. აურენგზიბს დამარცხება არ ეწერა, ბედისწერა უფრო მძლავრი აღმოჩნდა და გამარჯვების სასწორი აურენგზიბისკენ გადახარა. სულთანი-სუჯა უნდა განადგურებულიყო და გაქცეულიყო ბრძოლის ველიდან, როგორც დარა. მას საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებისა ეშინოდა, ისევე როგორც დარას. ბედისწერა ითხოვდა აურენგზიბის გამარჯვებას, ყველასგან აღიარებას და ინდოეთის სრულუფლებიან მმართველობას. გავიხსენოთ სემონგორეს ბრძოლა, სადაც უმნიშვნელო ფაქტორმა დაღუპა დარა. სულთან სუჯას ღალატის მსხვერპლი გახდა. მისი ერთ-ერთი მხედართმთავარი ალლა-ვერდი-ხანმა, რომელიც როგორც ამტკიცებდნენ მოსყიდული იყო, გამოიყენა იგივე მეთოდი სულთანის წინაღამდეგ, რაც კალილ-ულა-ხანმა დარას მიმართ. თუმცა იმასაც ამბობდნენ რომ აურენგზიბის ჯარში ქაოსის შემხედვარე ალლა-ვერდი ხანმა, მიმართა სულთანს: „ჩამობრძანდით სპილოდან და ცხენზე შეჯექით და არ მივცეთ საშუალება აურენგზიბს რომ გაიქცეს, ღმერთმა თქვენ ინდოეთის მეფობა გიბოძათ“. არც სულთანი-სუჯა დარას მსგავსად, არ გამოირჩეოდა გამჭრიახობით. ისიც ჩამოვიდა სპილოდან და როგორც კი არმიამ დაინახა რომ მათი წინამძღოლი თვალთ-არედან გაქრა, ჩათვალეს, რომ ისიც დაიღუპა, ან ღალატის მსხვერპლი შეიქმნა და მისი არმიაც თვალის დახამხამებაში გაიქცა, ისევე როგორც დარას შემთხვევაში. განადგურებამ ისეთი მაშტაბები მიიღო, რომ სულთანმა ძლივს უშველა თავს და სიკვდილისგან იხსნა საკუთარი თავი.

ჯეს-სომსენგმა სულთანის დამარცხების ამბავი რომ შეიტყო დაფრთხა, დაკმაყოფილდა იმით რაც მიითვისა აურენგზიბის მარაგე-

ბიდან და სასწრაფოდ გაშორდა იქაურობას, ის აგრასკენ გაიქცა, რომ მერე საკუთარ საბრძანებელში გადასულიყო. აგრაში ჭორი გავრცელდა, რომ აურენგზიბი დამარცხდა და ემირ-ჯამლასთან ერთად ტყვედ არის აყვანილი და რომ ისინი სულთან-სუჯას მოჰყავს, ამ ჭორმა შაჰ-გესთ-ხანის (აურენგზიბის ბიძა და ქალაქის გუბერნატორი) ყურამდეც მიაღწია, რომელმაც ქალაქში ჯესსომსენგი შემოუშვა, რომლის ღალატის შესახებ იცოდა, ჩათვალა რომ იღუპებოდა და შხამით სავსე ფიალა აიღო ხელში. ის მართლა შესვავდა შხამს, რომ არა მისი ცოლები, რომლებმაც აიძულეს შეჩერებულიყო. ფიქრობდნენ, რომ ჯესსომსენგი უფრო მეტი ხნით რომ დარჩენილიყო ქალაქში, გუბერნატორზე ზეწოლის შედეგად შეეძლო შაჰ-ჯიხანი გაენთავისუფლებინა, ამას ხელს შეუწყობდა აურენგზიბის დამარცხებასთან დაკავშირებით აგრაში გავრცელებული ჭორი. ჯესსომსენგმა იცოდა რეალობა, ამჯობინა დროულად გასცლოდა აგრას და საკუთარი სამფლობელოსკენ აეღო გეზი. აურენგზიბმა თავის მხრივ ჩათვალა, რომ აგრაში ჯესსომსენგს შეეძლო გარკვეული უსიამოვნებები მოეტანა მისთვის და აგრაშიც არეულობა გამოეწვია, ამიტომ მიანება სულთან-სუჯის დევნას თავი და სასწრაფოდ აგრასკენ გაეშურა. აურენგზიბს აცნობეს, რომ სულთან-სუჯას, გაქცევის დროს, ბევრი ხალხი არ დაუკარგავს, რადგან დევნა ხანმოკლე გამოდგა. ასევე აცნობეს, რომ მან შეინარჩუნა ფული და ძირითადი საბრძოლო რესურსები, შესაბამისად ფულის დახმარებით ის უფრო ხელგაშლილი გახდა, ის ალაჰ-აბდეში გამაგრდა მდინარე განგის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე ყველა მთავარ რაჯასთან დაამყარა ურთიეთობა, თავის მხრივ ალაჰ-აბდე ბენგალიის პირველ კარიბჭეს წარმოადგენდა. აურენგზიბმა ყურადღება მიაქცია ორ პირს, რომელიც მის დასაყრდენს წარმოადგენდნენ, ესენი, მისი შვილი, სულთან-მახმუდი და ემირ-ჯამლა იყვნენ. აურენგზიბისთვის ეს ადამიანები ფასდაუდებელ სამსახურს ეწეოდნენ და შესაბამისად არ იყო გამორიცხული, რომ მათ საკუთარი თავის მიმართ „შეუცვლელი პერსონის“ ამბიცია გასჩენოდათ, შესაბამისად ვერავითარი ჯილდო და საჩუქარი მათ ვერ დააკამყოფილებდა... საკუთარ შვილში მან უკვე შეამჩნია ქედმაღლობა და ჭარბი თავისუფლება. რაც შეეხება ემირს, აურენგზიბმა შესანიშნავად იცოდა ამ ადამიანის გამბედაობის, კეთილშობილების და ცოდნის ძალა, აი ეს აშინებდა პრინცს. იცოდა

რა, რომ ემირი, ძალიან მდიდარი იყო, რომ მისი დიდება საქვეყნოდ გამხდარიყო ცნობილი, რომ ინდოეთში, მას თვლიდნენ მთავარ მომქმედ პირად ყოველ საქმეში, აურენგზიბს ეჭვი არ ეპარებოდა და ისე როგორც სულთანი-მაჰმუდი, „განსაკუთრებული“ ჩანაფიქრებით იყო შეპყრობილი. აურენგზიბმა სწორედ განსაზღვრა პრიორიტეტები და შესძლო მისთვის დამახასიათებელი გონიერებით, ამ ორი ადამიანის განცალკევება, ისე, რომ პრეტენზია არც ერთს არ გამოუთქვამს. მან ორივე სულთან-სუჯას წინაღამდეგ გაგზავნა უძლიერესი არმიით და მან საიდუმლოდ მიახვედრა ემირი, რომ ბენგალიის მმართველობა და ინდოეთში საუკეთესო გუბერნატორის წოდება, ემირს სამუდამოდ გარანტირებული ჰქონდა, ეს თანამდებობა და ტიტული ემირის შვილს შთამომავლობით გადაეცემოდა. ამით აურენგზიბმა დახმარებისთვის და გვერდში დგომისთვის ემირს სამაგიერო პატივი სცა. აურენგზიბმა ემირს უთხრა, რომ თუ ის გაანადგურებდა სულთან-სუჯას. მას უწოდებდნენ ნეირულ ომრას, ეს უპირველესი და ყველაზე საპატიო წოდება იყო ინდოეთში, ეს ტიტული „ემირთა თავადს“ ნიშნავს. სულთან-მახმუდს კი უთხრა: „დაიმახსოვრე, შენ ყველაზე უფროსი ხარ ჩემს შვილებს შორის და შენ საკუთარი თვისთვის უნდა იბრძოლო, უკვე ბევრი გააკეთე, მაგრამ ეს „ბევრი“, არაფრად არ ეღირება თუ სულთან-სუჯას არ შეიპყრობ, ის ჩვენი ყველაზე მთავარი და ძლევამოსილი მტერია, იმედი მაქვს ღმერთის წყალობით იოლად გაართმევ თავს ამ დავალებას“, ასე გააცილა აურენგზიბმა შვილი და ემირი. მანამდე ემირს აგრძნობინა, რომ საკუთარ ვაჟს, როგორც „ერთგულების მძევალს“ და მოსწავლეს, ისე ატანდა. სულთანი მაჰმუდი კი დაარწმუნა, რომ აგრაში დაეტოვებინა ცოლი, გოლკონდის მეფის ასული, იმ მოტივით, რომ არმიასთან ერთად მისი ყოფნა შეუთავსებლად მიაჩნდა. სულთანი-სუჯა მთელი ამ ხნის განმავლობაში შიშს ყავდა შებყრობილი, რადგან ქვედა ბენგალიის რაჯებს ძალიან ავიწროვებდა და მათ შეეძლოთ ამბოხი მოეწყოთ მის წინაღამდეგ, ყველაზე მეტად კი ემირ-ჯამლასი ეშინოდა. სულთან-სუჯამ, როგორც კი აურენგზიბის გადაწყვეტილების შესახებ შეიტყო, რომ მისკენ ჯარები მოემართებოდნენ დაუყოვნებლივ გასამგზავრებლად მოემზადა, მას ეშინოდა რომ ბენგალიისკენ მოუჭრიდნენ გზას და რომ ემირი მდინარე განგს გადმოლახავს ალახ-აბდას სიახლოვეს. ის ბენარესის და პატნეს მიმართუ-

ლებით წავიდა და შემდეგ მუნგერის მიმართულებით აიღო გეზი. მუნგერი პატარა ქალაქი იყო ბენგალიის საზღვარზე და მას ბენგალიის სამეფოს გასაღებს ეძახდნენ. ეს ქალაქი მთებსა და ტყეებს შორის ხევში იყო აშენებული. სულთანმა გადაწყვიტა რომ იქ გამაგრებულიყო და თავდაცვის მიზნით ქალაქის გარშემო ღრმა არხი გაეჭრათ, ქალაქიდან მდინარემდე და მთებამდე, რადგან აქ სურდა დალოდებოდა ემირ-ჯამლას და არ დაეთმო ეს ხევი ბენგალიაში გადასასვლელად. რაოდენ განცვიფრეული დარჩა სულთანი, როცა გაიგო, რომ ემირის ჯარები ნელი სვლით მოუყვებოდნენ მდინარე განგს, მაგრამ ეს ერთგვარი მანევრი იყო, ემირმა მიიმხრო მთის რაჯები, რომელთა სამფლობელოები განგის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა და ემირი, სულთან-მაჰმუდთან ერთად, არმიის ძირითად ბირთვთან ერთად, რაჯების სამფლობელოების გავლით, მთებიდან ეშვებოდა რაჯმახალისკენ, რათა სულთან-სუჯასთვის უკან დასახევი გზა მოეჭრათ, სულთან-სუჯას სხვა არაფერი დარჩენოდა, იმის გარდა, რომ სიმაგრესთვის შეეფარებინა თავი. ის დიდი სისწრაფით გადაადგილდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ შორი გზით მოუწია წასვლა რამდენიმე დღით ადრე შევიდა რაჯმახალში და იქ გამაგრდა, ემირმა გაიგო სულთან სუჯას მიერ მუნრერის დატოვების შესახებ და მანაც გზას მარცხნიდან აუქცია, მდინარე განგის ნაპირზე დაბანაკდა და ჯარებს დაელოდა. ემირმა ჯარების მოსვლისთანავე შეტევისთვის დაიწყო მზადება. ბრძოლა დაიწყო, სულთან-სუჯა კარგად იცავდა თავს ხუთი-ექვსი დღის განმავლობაში, მაგრამ რადგან ემირის არტილერია შეუჩერებლივ ისროდა, გამაგრებები ირღვეოდა, რომელიც ძირითადად მიწისგან და ქვაღორღისაგან იყო ნაგები. სუჯას გამაგრებები დიდხანს ვერ გუძლებდა და თუ გავითვალისწინებთ, რომ წვიმების სეზონი დაიწყო სიმაგრეები მალე ჩამოიშლებოდა და სუჯამ უკან დახევა ამჯობინა. სულთანის არმიამ უკან დახევა ღამით დაიწყო. ემირი უკან არ გაჰყოლია, რადგან სუჯას ემირის არმიისთვის ხაფანგი ღამით არ დაეგო. ემირი გათენებას დაელოდა. სუჯას სასიკეთოდ, დილიდან ძლიერი წვიმა დაიწყო და სამი დღე გასტანა. ასე რომ ემირმა არათუ ვერ შესძლო რაჯმაჰალის დატოვება, არამედ იძულებული გახდა იქ დაყოვნებულიყო. ძლიერი წვიმების გამო, რომელიც ახასიათებდა ამ მხარეს, გზების მდგომარეობა გაუარესდა, ივლისიდან ოქტომბრამდე პრაქტიკულად გადაადგი-

ლება შეუძლებელი გახდა. ამგვარად სულთან-სუჯას საკმაო დრო ჰქონდა რომ საკუთარი არმია კარგად გაემაგრებინა, ასევე ქვედა ბენგალიიდან რამდენიმე ზარბაზანიც ამოიტანა და პორტუგალიელების მცირე ჯგუფიც მიიმხრო, რომლებიც აქ ნოყიერი მიწის გამო იყვნენ დასახლებულები. უნდა აღინიშნოს, რომ სუჯა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პორტუგალიელ მისიონერებს, რომლებიც ამ მხარეში ცხოვრობდნენ. ის დაპირდა სოლიდურ შემოწირულობებს და ნება დართო ეკლესიებიც აეშენებინათ იქ, სადაც მოისურვებდნენ. ბუნებრივია ისინიც გარკვეულ მხარდაჭერას და დახმარებას გაუწევდნენ სუჯას. შეიძლება ითქვას, რომ ბენგალიის სამეფოში რვა-ცხრა ათასი პორტუგალიური წარმოშობის „ფრანგი“ ოჯახი ცხოვრობდა. სულთანმა-მაჰმუდი, საკუთარი დამსახურებების წარმოჩენით ცდილობდა ემირ-ჯამლაზე გავლენის მოპოვებას და მოითხოვდა რომ ემირს მისი ბრძანებები შეესრულებინა. არც თუ იშვიათად, მის სიტყვებში განსაკუთრებული სიამაყე იგრძნობოდა, მას მიაჩნდა, რომ აურენგზიბი მეფის გვირგვინს მას უნდა უმადლოდეს და მუქარას უთვლიდა ემირს. ამის გამო, მამასა და შვილს შორის საკმაოდ ცივმა დამოკიდებულებამ იჩინა თავი, როცა სულთანმა-მაჰმუდმა შეიტყო თავისი საქციელის გამო, მამის უკმაყოფილების შესახებ, დაპატიმრების შიშით სულთან-სუჯასთან გაემართა მცირე ამალის თანხლებით. მან ქედი მოიდრიკა სუჯას წინაშე და ერთგულების ფიციც მისცა, მაგრამ იმის შიშით, რომ აურენგზიბს და ემირ-ჯამლას ხრიკები ეგონა, თვალთვალი დაუწყო და საკუთარ გარემოცვაში არავითარ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არ აწინაურებდა. ამ ფაქტმა სუჯასთან დარჩენის სურვილი გაუნელა სულთან-მაჰმუდს და უკან ემირ-ჯამლასთან დაბრუნდა. ემირმა პატივისცემით მიიღო, რადგან მიაჩნდა, რომ სულთანი-მაჰმუდი მამას მისწერდა თავისი საქციელის შესახებ, მოინანიებდა ჩადენილს და აურენგზიბიც აპატიებდა შვილს. აუცილებლად მიმაჩნია და მინდა ავღნიშნო, რომ მთელი ეს ავანტიურა სულთან-მაჰმუდთან აურენგზიბის მცდელობის შედეგი იყო და მისი გეგმის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც მზად იყო საკუთარი შვილის სიცოცხლე ყოფნა-არყოფნის სასწორზე დაედო, ოღონდ სულთანი-სუჯა დაეღუპა. როგორც არ უნდა განვიხილოთ ეს მოვლენა, აურენგზიბმა გამოხატა შეშფოთება შვილის საქციელთან დაკავშირებით

და შესაბამისი წერილიც მისწერა, რომელშიც უბრძანა დელიში დაბრუნება. ასევე ცნობილი გახდა, რომ მამამ გასცა შესაბამისი ბრძანება, რომ სულთან-მაჰმუდს დელიმდე არ უნდა ჩაეღწია, ის უნდა შეეპყროთ, ჩაეკეტათ „ემბარში“, როგორც ეს მორად-ბაქშის შემთხვევაში მოხდა და გადაეყვანათ გვალიორში. ამ საქციელით მიახვედრა თავისი მეორე ვაჟი სულთანი-მაზუმი, რომ სახელმწიფოს მართვა უაღრესად სერიოზული და სათუთი საქმე იყო, რომ ხელმწიფე საკუთარ ჩრდილსაც ეჭვით უნდა უყურებდეს და თუ კეთილგონიერად არ მოიქცევა, შეიძლება დაემართოს ის, რაც მის ძმას დაემართა, უნდა ახსოვდეს, რომ აურენგზიბი ის ადამიანია, რომელიც შეიძლება ისევე მოიქცეს, როგორც შაჰი-ჯეხანი მოექცა საკუთარ მამას, ჯეხან-გირომს, ან ისე, როგორც მოექცნენ თვით შაჰ-ჯეხანს. მინდა ცოტაოდენი აურენგზიბის მეორე შვილზეც მოგიყვეთ, ორიოდ სიტყვით. თუ ის მომავალშიც ისე მოიქცევა როგორ მოქცევასაც ითხოვდნენ მისგან, მაშინ აურენგზიბს არ ექნება საბაბი ეჭვი შეიტანოს მის ერთგულებაში, ან უკმაყოფილო იყოს შვილით, მონაზე მეტად თავდახრილი უნდა ყოფილიყო სულთანი-მაზუმი მამასთან. თვით აურენგზიბი არასოდეს ყოფილა თავმოყვარეობაშელახული და არასოდეს ყოფილა ასეთი ფაკირი, როგორც მისი მეორე შვილი, მაზუმი, მიუხედავად ამისა გონიერი ადამიანები ამბობდნენ, რომ ეს ყველაფერი უმიზეზოდ არ ხდება, ამ ყველაფრის უკან სერიოზული პოლიტიკური გაანგარიშება დევს, რომელიც ოდესღაც მამამის შაჰ-ჯეხანს ახასიათებდა, ამას მომავალი გვაჩვენებს, ჩვენ კი თხრობა გავნაგრძოთ.

სანამ ბენგალიაში, ზემოთ ხსენებულ მოვლენებს ჰქონდა ადგილი, სულთანმა-სუჯამ იერიში მიიტანა ემირ-ჯამლაზე, მდინარე განგის ხან ერთ ნაპირზე გადადიოდნენ მხარეები და ხან მეორეზე, აურენგზიბი კი იდგა აგრასთან და მოვლენების განვითარებას იქიდან აკვირდებოდა. შემდეგ გვალიორში გაემგზავრა მორად-ბაქშისთან, ის დელიში ჩავიდა და შესანიშნავად მოირგო ხელმწიფის როლი, იმპერიის საქმეების განხილვა დაიწყო, მაგრამ ყველაზე მეტად დარას ხელში ჩგდების სურვილი ჰქონდა. ბედისწერამ კვლავ გაუღიმა მას, მისმა მოხერხებულობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. მინდა ეს ისტორიაც გიამბოთ...

ჯესსომსენგი, რომელიც თავის საბრძანისში გადაიხვეწა, დაკმაყოფილდა ნაძარცვით, რომელიც მან ომის დროს მოიპოვა, შეაგროვა

დიდი არმია და დარას მისწერა, რომ დროულად წამოსულიყო აგრასკენ და გზაში ისიც შეუერთდებოდა თავისი არმიით. დარას უკვე შეგროვებული ჰყავდა დიდძალი არმია (უფრო სწორად რომ ვთქვათ ბრბო). დარამ იფიქრა, რომ თუ ის დაიძვრებოდა აგრასკენ, მას ძველი მეგობრებიც შეუერთდებოდნენ, ისევე როგორც ჯესსომსენგი და დაუყვნებლივ დატოვა ამად-აბადი. იგი სასწრაფოდ გაეშურა აჯმირისკენ, რომელიც აგრამდე შვიდი-რვა დღის სავალზე მდებარეობდა. მაგრამ ჯესსომსენგმა დანაპირები არ შეასრულა და საქმეში რაჯა ჯესსენგი ჩაერთო. მას სურდა აურენგზიბსა ჯესსომსენგს შორის ურთიერთობა დაესტაბილიზირებინა, ან დარას გეგმებისთვის შეეშალა ხელი, რადგან შესაძლებელი იყო დარას უკიდურესად ნეგატიური გავლენა მოეხდინა რაჯა ჯესსენგის გეგმებზე და სხვა რაჯებშიც მღელვარება დაწყებულიყო. მან რამდენჯერმე მისწერა დარას იმ დიდი საშიშროების შესახებ, რომელსაც საკუთარ თავს უქმნიდა პრინცი, სთხოვდა, რომ კარგად გაეანალიზებინა მდგომარეობა, რომ დარა უდიდეს საფრთხეს უქმნიდა არა მარტო საკუთარ თავს, არამედ საკუთარ ოჯახსაც და რომ აურენგზიბი მას არასდროს აპატიებდა ამ ლაშქრობას. ატყობინებდა, რომ ჯესსენგი ისეთივე რაჯაა, როგორც ჯესსომსენგი და რაჯპურები, სისხლის ღვრა თავიდან უნდა აეცილებინათ. თუ ის, გეგმავს სხვა რაჯების გადაბირებას, მაშინ მის წინაღამდეგ გამოვლენ ადამიანები, რომლებიც ამ მცდელობას ხელს შეუშლიდნენ, აფრთხილებდა დარას და ასევე დასძინა, რომ ეს გაუთავებელი ომები და დაპირისპირებები უკვე ყველა ინდუსის ინტერესთა სფეროს წარმოადგენდა. თუ დაპირისპირება წარმართებსაც ჩაითრევს, მაშინ ინდოეთში ისეთი ცეცხლი დაინთება, რომელსაც ვერავინ ველარ ჩააქრობს. თუ ჯესსომსენგი მზად არის საშუალება მისცეს დარას თავად მოაწესრიგოს თავისი საქმეები, მაშინ აურენგზიბი დაივიწყებს წარსულს და გუჯარეთის მმართველად დანიშნავს მას, შესაბამისად მისთვის ხელსაყრელი უნდა იყოს ეს წინადადება, რადგან მისი მამულები გუჯარეთთან ახლოს მდებარეობს და მას საშუალება ექნება იცხოვროს იქ, სრულ სიმშვიდეში, რამდენი ხანიც სურს, ამ წინადადებაზე პასუხისმგებლობას, ჯესსენგი იღებდა თავის თავზე. მოკლედ ამ რაჯამ დაარწმუნა ჯესსომსენგი, რომ საკუთარ მამულში დაბრუნებულიყო. აურენგზიბი აჯმირუს მოუახლოვდა და დარას ბანაკის მოპირდაპირე მხარეს დაბანაკდა.

რა უნდა ჰქნას დარამ? ყველასგან მოტყუებულმა, ამ უბედურმა პრინცმა?! მიატოვოს ყველაფერი და გაიქცეს? დარამ დაიწყო საკუთარი მდგომარეობის შეფასება, ის ფიქრობდა, თუ ის გადაწყვეტდა დაბრუნებას ამად-აბადში ჯანმრთელი და ხელშეუხებელი, თავის არმიასთან ერთად, ეს შესაძლებლობა მას არ ჰქონდა, რადგან გზას ზაფხულის სიცხეში ოცდაათი დღე დასჭირდებოდა, ამასათვის მას არ ჰქონდა შესაბამისი რაოდენობის წყალი და მას მოუწევდა ჯესსომსენგის მეგობარი რაჯების სამფლობელოების გავლა, ასევე აურენგზიბის ჯარი უფრო მხნედ არის ვიდრე მისი... „სჯობს დაიღუპოს აქ“ — გადაწყვიტა დარამ. თუმცა ძალები აშკარად არათანაბარია, მაგრამ უნდა გარისკოს და უნდა იბრძოლოს. სხვა გზა არსებობს? ის არა მარტო მიატოვა ყველა მხარდამჭერმა, თვით შაჰ-ნავაზ-ხანმაც კი, რომელსაც ასე ენდობოდა, ასევე, დარას მთელი გეგმები მოახსენეს აურენგზიბს.

შაჰ-ნავაზ-ხანი ბრძოლის დროს მოკლეს, ამბობდნენ, რომ ის, დარას ფარული მომხრეების მიერ იყო მოკლული, რათა დარას მიერ ნაჩვენები წერილების შესახებ არ მოეთხრო აურენგზიბისთვის. თუმცა ეხლა რა ფასი ჰქონდა შაჰ-ნავაზ-ხანის სიკვდილს? დარას ადრე უნდა დაეგდო ყური თავისი მრჩევლებისთვის და არ ნდობოდა მას.

ბრძოლა დილის რვა-ცხრა საათზე დაიწყო. დარას არტილერია კარგ პოზიციაზე იყო განლაგებული, ისინი შეუჩერებლივ ისროდნენ, მაგრამ როგორც ირკვევა დარას ზარბაზნები ცარიელ ბირთვებს ისროდნენ. აქაც უღალატეს დარას. ეს, ბრძოლა არ იყო, ეს იყო სრული განადგურება. ბრძოლა ახალი დაწყებული იყო, როცა დარასთან ჯესსენგი მივიდა და უთხრა, რომ სასწრაფოდ დაეტოვა ბრძოლის ველი, წინაღამდეგ შემთხვევაში ტყვეობა არ ასცდებოდა. საცოდავი პრინცი, ის გაიქცა. ძნელი იყო საკუთარი მეუღლე და შვილები გამოეყვანა იმ ჯოჯოხეთიდან. აღსანიშნავია ის, რომ რაჯას რომ დაეგვიანა, დარას და მის ოჯახს ველარაფერი ველარ იხსნიდა. განხილვას არ ექვემდებარება მოსაზრება, რაჯა ჯესს-სენგის სამეფო ოჯახისადმი პატივისცემის გამოხატულებასთან მიმართებაში, ის, ასევე საკმაოდ თანმიმდევრული პოლიტიკოსი იყო და საკუთარ მომავალზე მზრუნველი ადამიანი, მას არ სურდა ხელი გაესვარა სამეფო სისხლში. საცოდავი პრინცი, ყველასგან მიტოვებული, ორი ათასიანი თანხლები ამალით

ზაფხულში, კარვების და სურსათის გარეშე დარჩა, რაჯების სამფლობელოების გავლით უნდა ევლოთ, რომელიც გადაჭიმული იყო ქალაქ აჯმირიდან თითქმის ამად-აბდამდე. იმ ტერიტორიებზე, რომლის გადალახვაც პრინცის ამალას მოუწევდა, ცხოვრობდნენ „კული“-ები, ამ მიდამოებში გლეხები ყველაზე დიდი აგრესიულობით გამოირჩეოდნენ მთელ ინდოეთში და ასევე დაუნდობელი ყაჩაღები იყვნენ. ყაჩაღები დღე და ღამე მიჰყვებოდნენ პრინცის ამალას, ძარცვავდნენ და ხოცავდნენ ჯარისკაცებს. ისინი აშიშვლებდნენ ჯარისკაცებს და მცირეოდენი წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, კლავდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, დარამ მთელი ეს ჯოჯოხეთი გაიარა და დაბანაკდა ერთი დღის სავალზე ამად-აბდამდე, იმედი ჰქონდა, რომ ერთ-ორ დღეში ქალაქში შევიდოდა, დაისვენებდა და ისევ შესძლებდა არმიის შეკრებას. მაგრამ დამარცხებულს და ეულს, წარუმატებლობა ისევ დაატყდა თავს. ამად-აბდაში, დარას მიერ დანიშნულმა გუბერნატორმა წერილი მიიღო აურენგზიბისგან, სადაც ის მუქარას უგზავნიდა და მაცდუნებელ დაპირებებსაც აძლევდა. მას შეეშინდა და დარას მისწერა, რომ არ მისულიყო ქალაქში, რადგან ყველა კარიბჭე დაკეტილი დახვდებოდა, კარიბჭის დამცველი შეიარაღებული რაზმებით. ამ მოვლენებამდე სამი დღით ადრე, სრულიად შემთხვევით დარას გადავეყარე და მან თავის ამალასთან ერთად ყოფნა მაიძულა, რადგან მის ამალაში ექიმი არ ჰყავდათ. გუბერნატორის წერილის მიღების შემდეგ, დარა ჩემდამი ტკბილად მოსაუბრე გახდა და ამალის შუაგულში „დამიდო ბინა“, რომ შემთხვევით „კული“-ების მსხვერპლი არ გავმხდარიყავი. ძნელი წარმოსადგენია რომ ინდოსტანში მსგავსი მოვლენა განმეორებულიყო როდესმე, რადგან წარჩინებულები ძალიან ეჭვიანები იყვნენ საკუთარი ცოლების მიმართ და ამიტომ საზოგადოებას ყოველთვის არიდებდნენ. მე საკმაოდ ახლოს ვიჯექი პრინცის მეუღლესთან. მე ასევე მოგიყვებით როგორ უკიდურესობამდე იყო მისული პრინცი, როდესაც მისმა ცოლებმა გაიგეს ამ სამწუხარო ამბის მომტანი წერილის შესახებ (წერილი დილით ადრე მოუტანეს დარას) მათ ისეთი საწყალობელი მოთქმა და ტირილი დაიწყეს, რომ მეც მომადგა ცრემლი. ჯარისკაცები გაოგნებულები უცქერდნენ ერთმანეთს, არავინ არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. დარა წარსდგა თავისი მხლებლების წინაშე და თვითეულ ადამიანს ცალ-ცალკე მიმართავდა.

ის ხედავდა, რომ ყველას სურდა მისი მიტოვება. რა ელოდება მათ? საით უნდა წასულიყვნენ მომავალში? აუცილებელი იყო გზას გასდგომოდნენ... გუჯარეთული სამი ხარიდან, რომლებზეც ჩემი ბარგი იყო აკიდებული, ერთი მომიკვდა, მეორე სულს ღაფავდა, ხოლო მესამე ძალღონისაგან იყო დაცლილი (ეს იმიტომ მოხდა, რომ სამი დღის განმავლობაში ჩვენ არ გავჩერებულვართ, გაუსაძლის სიცხეში მივდიოდით დღე და ღამე), საბედნიეროდ დარას არ შეეძლო ჩემთვის ცხენი ან აქლემი მოეცა და ამიტომ გზაზე დამტოვა. თავლცრემლიანი შევყურებდი პრინცს, რომელიც ორი სპილოთი და ოთხი-ხუთი ადამიანის თანხლებით დაადგა გზას. შემდეგ როგორც გავიგე სპილოებზე დატვირთული იყო ოქრო და ვერცხლი. დარამ გეზი ტატაბაკარისკენ აიღო. ეს გადაწყვეტილება ძალიან სარისკო იყო, რადგან მას უმნიშვნელო რაოდენობის ხალხი ჰყავდა და წინ თვალუწვდენელი ქვიშის უდაბნო ჰქონდა გადასალახი არასაკმარისი სასმელი წყლის მარაგის გარეშე. გზაზე დარას მხლებლები და მისი ცოლების ნაწილი დაიხოცნენ, ალბათ უწყლობის გამო, ან საშინელმა უდაბნოს მზემ მოკლა ეს ადამინები, ან „კული“-ების მსხვერპლნი შეიქმნენ ყველასგან განდევნილები. მიუხედავად ყველაფრისა, დარამ რაჯა კაჩეს სამფლობელომდე მიაღწია. ამ რაჯამ თავიდან კარგად მიიღო, დახმარებასაც დაჰპირდა დარას, თუ რაჯას ვაჟს მიათხოვებდა შვილს. მაგრამ მალე ჯესსენგმა შესძლო ამ რაჯაზეც მოეხდინა გავლენა. დარა მიხვდა, რომ ურთიერთობა ნელ-ნელა იძაბებოდა რაჯასთან და ამ ველურს, ვინ იცის რა აზრი მოუვიდოდა თავში. დარამ დაუყოვნებლივ დატოვა რაჯას სასახლე და ტატაბაკარისკენ გასწია. რაც შემეხება მე კულიების რისხვისგან, ჩემმა ექიმობამ და პატარა ზარდახშამ მიხსნა, რომელშიც ჩემს დანაზოგს ვინახავდი.

ამ ადამიანებმა შემიფარეს ეულად დარჩენილი, დარას ხალხმა კი ჩემი მესამე ხარიც წამართვა და ჩემი ბარგით გზაზე მიმატოვა, კულიებმა კი ხარი მაჩუქეს და ამედ-აბდამდე მიმაცილეს. მოულოდნელად იქ ერთ ნაცნობ ემირს შევხვდი და მასთან ერთად დელისკენ გავემართე. რამდენიმე დღეში დელიში ჩავედი. გზაზე საცოდავი დარას „არმიის“ ნაშთებს, ადამიანების, აქლემების და ხარების ნეშთებს ვაწყდებოდით. სანამ დარა ტატაბაკარისკენ მიემართებოდა ბენგალიაში ომი გრძელდებოდა, არავინ ელოდა ომის ასეთ ხანრძლივობას.

სულთანი-სუჯა მთელ რესურსებს ახმარდა ემირ-ჯამლას წინაღამდეგ ომს, თუმცა აურენგზიბს ეს ფაქტი ნაკლებად აინტერესებდა, რადგან ბენგალიიდან აგრამდე შორია და თავს დაცულად გრძნობდა, ასევე ემირის გამჭრიახობის და მხედართმთავრული ნიჭის იმედი ჰქონდა. მას ყველაზე მეტად სულეიმან-შაკუსთან დაკავშირებული პრობლემები აფიქრებდა, რომელიც აგრას მოახლოებული იყო (აგრა მთებიდან შვიდი-რვა დღის სავალზე მდებარეობდა). აურენგზიბმა ვერაფრით ვერ მოიხელთა სულეიმანი და ხმები, თითქოს რაჯასთან ერთად აპირებდა მთებიდან დაშვებას აფორიაქებდა აურენგზიბს.

მინდა გიამბოთ როგორ შესძლო აურენგზიბმა სულეიმან-შაკუს გზიდან ჩამოცილება. მან აიძულა რაჯა ჯესსომსენგი მიეწერა სერენაგარის რაჯასთვის წერილი, სადაც დიდი დაპირებების შესრულების სანაცვლოდ სულეიმან-შეკუს გადმოცემას ითხოვდა. ასევე ომით ემუქრებოდა, თუ რაჯა არ დასთანხმდებოდა მის პირობას. სერენგარას რაჯამ კი წერილზე უპასუხა, რომ ის მზადაა დაკარგოს საკუთარი მამული, ვიდრე მუხანათურად მოექცეს სულეიმანს. აურენგზიბი ლაშქართან ერთად მტრების მიმართულებით დაიძრა. ნაღმებს დებდნენ აურენგზიბის ჯარისკაცები და მთებს აფეთქებდნენ, რომ როგორმე გზა გაეფართოებინათ, მაგრამ რაჯას ეს ამბავი არ აშინებდა. რამდენიც არ უნდა აეფეთქებინათ კლდეები, მაინც მიუდგომელი რჩებოდა არმიისთვის რაჯას სასახლე, საბოლოოდ აურენგზიბი ყოველგვაარი შედეგის გარეშე უკან გაბრუნდა. ამ დროის განმავლობაში დარა საკუთარ ციხესიმაგრე ტატაბაკარს უახლოვდებოდა. მხოლოდ ორი-სამი დღის სავალზე იმყოფებოდა პრინცი როცა მას შეტყობინეს, რომ მირ-ბაბა რომელსაც ალყაში ყავდა ციხე-სიმაგრე, რესურსების ამოწურვამდე მისულიყო. მე ფრანგებისგან და სხვა „ფრანგი“-სგან შევიტყე ეს ამბავი. ერთი ფუნტი ბრინჯი, ან ხორცი, ერთ ეკიუზე ძვირი ღირდა და შესაბამისი პროპორციებით იყო სხვა კვების პროდუქტების ფასები წარმოდგენილი ბაზარზე. მიუხედავად ამისა გუბერნატორი საქმეს თავს ართმევდა, ის თავს კარგად იცავდა, რაც საშინლად აღიზიანებდა გენერალ მირ-ბაბას და არც აურენგზიბის მუქარები აშინებდა გუბერნატორს.

აი რა გავიგე ჩვენი ფრანგებისგან და სხვა „ფრანგი“-სგან. როდესაც ციხესიმაგრეში გაიგეს დარას მოახლოების შესახებ, გუბენატო-

რის ხელგაშლილობას საზღვარი არ ჰქონდა, მას სურდა აღეფრთოვანებინა საკუთარი ჯარისკაცები რათა მძლავრად შეეტიათ მტრისთვის, რომ ალყა გაერღვიათ და ციხე-სიმაგრეში დარა შემოეშვათ. გუბერნატორს სურდა დარა ჩასდგომოდა სათავეში ჯარს. გუბერნატორმა მირ-ბაბის ჯარში ხალხი შეგზავნა და ისეთი შიში და უიმედობა დათესა, რომ ჯარისკაცების ნაწილმა ბრძოლის ველი მიატოვა, ან დარას მხარეზე ისურვა გადასვლა, საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ გავრცელდა ჭორი თითქოს დარა უზარმაზარი არმიით უახლოვდებოდა ციხესიმაგრეს და ძალიან მალე გამოჩნდებოდა ბრძოლის ველზე. სამწუხაროდ დარას აქაც არ გაუმართლა, ყოველგვარი წამოწყება, დარას ციხე-სიმაგრეში შესასვლელად კრახით დამთავრდა. დარა იძულებული გახდა გადაელახა მდინარე ინდი და ჩასულიყო სპარსეთში, თუმცა ეს ადვილი საქმე არ გახლდათ, რადგან გზა დიდ უდაბნოზე გადიოდა და ვარგისიანი სასმელი წყლის დეფიციტსაც განიცდიდა მისი ამალა. ასევე გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტიც, რომ სასაზღვრო ზოლის მთელ სიგრძეზე ცხოვრობდნენ დაბალი რანგის რაჯები და პატანები, რომლებიც არ სცნობდნენ არც მოგოლებს და არც სპარსელების იმპერიებს. დარას ამ გეგმას არ დაეთანხმა მისი მეუღლე, მისი სიტყვებით, „ ეს გადაწყვეტილება ამცირებდა მის წარმომავლობას, ნუთუ მას სურდა, რომ მეუღლე და ქალიშვილი შაჰის მოახლეები ყოფილიყნენ? ასეთ შეურაწყოფას სიკვდილი ერჩივნა“. მე მიყვებოდნენ, რომ თურმე გუმაიონის ცოლი ერთ დროს შაჰის მონა ყოფილა. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ დარას გაახსენდა ახლოს მცხოვრები ძლევამოსილი პატანი ჯიონ-ხანი, რომელიც ორჯერ იხსნა სიკვდილისაგან, როცა შაჰ-ჯეხანმა ამბოხის გამო სპილოს ფეხებქვეშ გათელვა მიუსაჯა მას. დარა იმედოვნებდა მისგან მიეღო დახმარება ტატაბაკარზე ალყის მოსახსნელად. ასევე გეგმავდა ციხე-სიმაგრიდან საკუთარი ხაზინის აღებას და ყანდაგარისკენ გამგზავრებას, რათა ქაბულის სამეფოში მოგაბეთ-ხანის იმედად გადასულიყო. მოგაბეთ-ხანი ძლევამოსილი და მამაცი გუბერნატორი იყო, ის უყვარდა მოსახლეობას და პატივს სცემდნენ დიდსულოვნების გამო. თავის დროზე ამ თანამდებობაზე დარას ხელშეწყობით დანიშნა შაჰმა. დარას შვილიშვილი სეპე-შაკუ, მიუხედავად იმისა რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როცა გაიგო დარას გადაწყვეტილების შესახებ ფეხქვეშ ჩაუვარდა და-

რას და სთხოვდა პატანის სამფლობელოსკენ არ წასულიყვნენ, ასევე ცოლმა და შვილებმაც სთხოვეს გადაწყვეტილება შეეცვალა დარას, უმტკიცებდნენ რომ პატანი მეამბოხე და ყაჩაღი იყო და აუცილებლად გასცემდა მას. უმტკიცებდნენ, რომ ალყის მოხსნის მცდელობა უშედეგო იქნებოდა და სასწრაფოდ ქაბულისკენ უნდა წასულიყო დარა. მირ-ბაბა მას არ გამოედევნებოდა, რადგან გენერალი ციხე-სიმაგრესთან ალყით იყო დაკავებული. დარას არაფრის გაგონება არ სურდა და თავის მხრივ ამტკიცებდა რომ ჯიონ-ხანს არ ეყოფოდა თავხედობა მისთვის ეღალატა და რომ ქაბულისკენ მიმავალი გზა უკიდურესად სახიფათო იყო, დარას ჯიონ-ხანის მისადმი მადლიერების გრძნობის იმედი ჰქონდა. მან არავის არ დაუჯერა, ალბათ საკუთარი სიცოცხლის ფასად სურდა დარწმუნებულიყო, რომ არ შეიძლება ნაძირალას ენდო. ამ არამზადამ, რომელიც თავიდან ფიქრობდა რომ დარას დიდი ამალა მოჰყვებოდა, დიდი ზარზეიმით მიიღო პრინცი, თავის ქვეშემდომებს უბრძანა ყოველივე საუკეთესოთი გამასპინძლებოდნენ დარას მხლებლებს, მაგრამ როცა გაიგო, რომ დარას ამალა მხოლოდ ორასი-სამასი მხლებლისგან შედგებოდა, ყველაფერი შეიცვალა. მან საკუთარი რეალური სახე გამოაჩინა. ვერავინ იტყვის მიიღო თუ არა ჯიონ-ხანმა აურენგზიბისგან წერილი, ან რამდენიმე საპალნეაკიდებული ჯორი შეშურდა ხანს, რომლებზედაც ყაჩაღების თავდასხმებს გადარჩენილი ოქრო იყო დატვირთული... ერთ დღესაც, როდესაც ყველანი თავს დაცულად გრძნობდნენ და მხოლოდ დასვენებაზე ფიქრობდნენ, ეს ნაძირალა, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში აგროვებდა შეიარაღებულ ხალხს, თავს დაესხა დარას და სეპე-შეკუს, მოკლა რამდენიმე მხლებელი, დაეპატრონა დარას ამალის მთელ ბარგს და ქალები აიძულა დაეთმოთ სამკაულები. შემდეგ დარა შეიპყრეს და გათოკეს, მიაბეს სპილოს ზურზე, სპილოზე შესვეს ჯალათიც, რომელსაც უბრძანეს, რომ თუ დარა განთავისუფლებას შეეცდებოდა დაუყოვნებლივ მოეკვეთა თავი, ასე დამცირებული დარა მან ტატაბა-კარისკენ წაიყვანა და გენერალ მირ-ბაბას ჩააბარა, რომელმაც თავის მხრივ ამ მოღალატის თანხლებით ლაგორასკენ გაისტუმრა, იქიდან კი დელიში ჩაიყვანეს. როდესაც დარა დელის კარიბჭესთან მიიყვანეს, აურენგზიბს უნდა გადაეწყვიტა, გაეტარებინა თუ არა დატუსაღებული დარა ქლაქის ქუჩებით, რომ მერე გლავიორში გადაეყვანა და იქ

დაეტუსაღებინათ. ზოგიერთს მიაჩნდა, რომ დარას ქალაქის ქუჩებში გამოჩენას შესაძლო არეულობა მოჰყვებოდა, ან შეიძლება იგი უბრალოდ გაენთავისუფლებინათ ტყვეობიდან. მიუხედავად ყველაფრისა დარას ასეთ მდგომარეობაში გამოჩენა სამეფო ოჯახის რეპუტაციაზე ცუდ გავლენას მოახდენდა. მეორენი კი ფიქრობდნენ, რომ დარა ქალაქის ქუჩებით წაეყვანათ, რომ მოსახლეობას აურენგზიბის ძლევამოსილება ეგრძნო და ეღიარებინათ. ასევე სურდათ მოქალაქეებისთვის ეჩვენებინათ დარა, რადგან ზოგიერთ ემირს ამბავი პრინცის დატყვევების შესახებ სარწმუნოდ არ მიაჩნდა. ასევე ამ ჟესტით სურდათ მოესპოთ ზოგიერთი წარჩინებულის ლოიალური და მეგობრული დამოკიდებულება დარას მიმართ.

გადაწყვეტილება კი ასეთი იყო, დარა თავის შვილიშვილთან სეპე-შეკუსთან ერთად შესვეს ბებერ სპილოზე, რომელზეც ღია უნაგირები იყო დამაგრებული, სპილოზე დახეული, ჭუჭყიანი ფარდაგი იყო გდაფარებული, უკან ჯალათის მაგივრად უნაგირზე დაჯდა ბხადურ-ხანი. დარა აღარ მოეკაზმეს პრინცის შესაბამისად, არავითარი სამკაული აღარ ამშვენებდა მის სხეულს და არც მარგალიტის ყელსაბამი უბოძეს მას, რასაც ჩვეულებრივ ატარებდნენ პრინცები. მას ეცვა ძველი გაცრეცილი ქურთუკი და ჭუჭყიანი ქაშმირული შალისგან შეკერილი ტურბანი. ასე დამამცირებლად ჩაცმული გაიყვანეს ქუჩაში დიდი ბაზრის გავლით, რომ ხალხს დაენახა დარა და ჭორების გავრცელება შეეზღუდათ.

რაც შემეხება მე, მეგონა, რომ ხოცვა-ჟლეტის მოწმე გავხდებოდი და ვოცდებოდი იმ ადამიანების სიმამაცით, რომლებიც წინ აღუდგებოდნენ ხელისუფალთა ასეთ გადაწყვეტილებას, მითუმეტეს, რომ დარა „ცუდად“ იყო დაცული. უბრალო ხალხს დარა უყვარდა და ამიტომ ხმამაღლა გაჰყვიროდნენ, აპროტესტებდნენ აურენგზიბის ტირანიას, რადგან მას ტყვეობაში ჰყავდა მამა, საკუთარი შვილი, სულთანი-მაჰმუდი და ძმა, მორად-ბაქშა. ჩემს ცხენზე ამხედრებული, ორ თანხმლებ პირთან ერთად დიდი ბაზრისკენ გავემართე, რათა მეხილა თუ როგორ ჩამოატარებდნენ დატყვევებულ დარას. მხოლოდ რამდენიმე ფაკირმა და ღარიბმა ადამიანმა აიმაღლა ხმა დარას დასაცავად და ქვები დაუშინა ამაზრზენ პატანს, ხმლისკენ კი არავის არ გაუხედავს. საოცარი სანახავი იყო იქაურობა, ბაზრის აივნები მოედნები

და მიმდებარე ტერიტორიები სავსე იყო თვალცრემლიანი ხალხით, ისმოდა ტირილი, გოდება, წყევლა და გინება ჯიონ-ხანის მისამართით, მაგრამ ხმალი არავის არ ამოუღია ქარქაშიდან. მას მერე რაც დარა თავისი „ესკორტით“ ქალქის ქუჩებში გაატარეს, ის მოათავსეს გაიდარ-აბადის ბაღში, რომელიც მას ეკუთვნოდა. აურენგზიბს მოახსენეს ვითარება, უთხრეს როგორ ღვრიდა ცრემლს ქალაქის მოსახლეობა და როგორ წყევლიდა პატანს, რომელმაც ის დააპატიმრა და კინაღამ მისი მისამართით ნასროლმა ქვებმა იმსხვერპლეს იგი, ისიც მოახსენეს, რომ ქალაქი მღელვარების ზღვარზე იდგა, რომელსაც დიდი უბედურების მოტანა შეეძლო. სასახლეში თათბირი გაიმართა, თუ როგორ გადაეწყვიტათ დარას ბედი. მსჯელობდნენ, გადაეყვანათ დარა გლავიორში, როგორც ეს ადრე იყო გადაწყვეტილი, თუ აქვე მოეკლათ. ზოგიერთმა გამოთქვა მოსაზრება, უმჯობესი იქნებოდა კარგად შეიარაღებული გამცილებლების თანხლებით მისი გვალიორში გადაყვანა და რომ ეს საკმარისი იქნებოდა, ამ მოსაზრებას მკაცრად იცავდა დენეშმენდ-ხანი, მიუხედავად იმისა, რომ დარას დაუძინებელი მტერი იყო, ხოლო რაუშენარდა-ბეგუმი ვერ ფარავდა ზიზღს და დარას სიკვდილით დასჯას მოითხოვდა, რადგან მისი გვალიორში გადაყვანა სახიფათო იყო. დარასთვის სიკვდილის განაჩენს ითხოვდა კალილ-ულლა-ხანი და შაჰ-გესტ-ხანი, განსაკუთრებით სიკვდილით დასჯის მომხრე ერთი ექიმიც იყო, რომელიც სპარსეთიდან იყო გადმოხვეწილი და ხაკიმ-დეუდი ერქვა, რომელიც შემდეგ დიდი ემირი ტაკარუბ-ხანი გახდა. ეს ბოროტი ადამიანი თავხედურად გაჰყვიროდა, რომ სახელმწიფოს ინტერესებშია დარას მოკვდინება და თანაც უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ დარა მუსულმანი არ გახლდათ, რომ ის ინდოს თაყვანისმცემელი იყო, ესეიგი ადამიანი, რელიგიის გარეშე და რომ ის, (ხაკიმ-დაუდი) საკუთარ თავზე იღებს ამ გადაწყვეტილების მთელ სიმძიმეს და მართლაც, მოგვიანებით მას გაუსწორდნენ, როგორც არამზადას და ყველაზე შესაბრალისად გარდაიცვალა. საბოლოოდ აურენგზიბმა ხელი მოაწერა დარას სასიკვდილო განაჩენს, ხოლო რაც შეეხება სეპე-შეკუს, ის გვალიორში გაგზავნეს. სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანა დაევალა მონა-ჯალათს, სახელად ნაზარს, რომელიც შაჰ-ჯეხანმა გაზარდა და როგორც ამბობდნენ, დარამ ოდესღაც სასტიკად სცემა. ჯალათმა სამ თანმხლებთან ერთად

მიაკითხა დარას. დარამ შორიდანვე შეამჩნია ჯალათი და განწირული ხმით იყვირა: „შვილო ჩემო, აი მოდიან ჩვენს მოსაკლავად“ და პატარა სამზარეულოს დანას დასტაცა ხელი, მხოლოდ ეს „იარაღი“ იყო, რომელიც მას დაუტოვეს. ერთ-ერთი ჯალათი სეპე-შაკუს მივარდა, დანარჩენებმა ხელ-ფეხი შეუკრეს დარას, მიწაზე დააწვინეს და ნაზარმა მას თავი მოჰკვეთა. მოკვეთილი თავი დაუყოვნებლივ გაუგზავნეს აურენგზიბს. მან მოკვეთილი თავი სინზე დადო და წყალი და მატერიის ნაჭერი მოითხოვა. მას შემდეგ რაც სისხლისაგან და ჭუჭყისგან გაწმინდა დარას მოკვეთილი თავი, ტირილი დაიწყო და ეს სიტყვები ბრძანა: „ეჰ, ბედბაკტ, აჰ უბედურო, მომაშორეთ... და დაკრძალეთ გუმაიონის აკლდამაში“. საღამოს დარას ასული მოიყვანეს, რომელიც შემდეგ შაჰ-ჯეხანს და ბეგუმ-საჰაბს გაუგზავნეს, ასე ინება აურენგზიბმა. რაც შეეხება დარას მეუღლეს, მან თავი მოიკლა ჯერ კიდევ ლაგორში, მან თავი მოიწამლა, რამეთუ იცოდა მას და მის ქმარს არ დაინდობდნენ. სეპე-შეკუ გვალიორში გაგზავნეს და ბოლოს აურენგზიბთან თათბირი დაინიშნა, ჯიონ-ხანსაც უხმეს დასასწრებად. მან უამრავი საჩუქრები მიიღო და კმაყოფილი გააგზავნეს საკუთარ საბრძანებელში, მაგრამ როდესაც ის უკვე ახლოს იყო საკუთარ სახლთან, თავს უცნობი, ველური ადამიანი დაესხა და მოკლა. ჯიონ-ხანს უნდა სცოდნოდა, რომ ისეთი ქცევისთვის და მოქმედებისთვის, როგორიც მან დარასთან დაკავშირებით ჩაიდინა, შეიძლება გარკვეული დროის მანძილზე დაგიფასონ, მაგრამ საყოველთაო ზიზღს დაიმსახურებ, რომლის გამოც აუცილებლად მოგეზღვება. ტატაბაკარის გუბერნატორს უბრძანეს დაუყოვნებლივ დანაბებულიყო. ეს ბრძანება დარას სახელით იყო გაგზავნილი, რომელსაც ჯერ კიდევ სასახლეში აიძულეს მისი დაწერა.

ციხე-სიმაგრის დანებება შესაბამისი მოთხოვნებით უნდა მომხდარიყო (ეს წერილში იყო მითითებული). საცოდავი ევნუხი ლაგორში ჩასვლისას, ლაგორის გუბერნატორმა კალილ-ულლა-ხანმა მოაკვლევინა ამალასთან ერთად. ციხე-სიმაგრის კაპიტულაციის პირობები, როგორც ამბობდნენ გუბერნატორის მხრიდან დაირღვა, ამბობდნენ რომ სულეიმან-შეკუსთან აპირებდა გამგზავრებას და იმასაც ამბობდნენ თითქოს ის, ოქროს არ იშურებდა „ფრანგ“-ებისთვის, რომ მასთან ერთად წამოსულიყვნენ დელიმდე აურენგზიბთან. დარას მთელი

ოჯახიდან მხოლოდ სულეიმან-შეკუ დარჩა, რომლის სერენაგარადან გამოტყუება შეუძლებელი გახდა. რაჯა ჯესსენგის მიმართ აურენგზიბის მუქარა და დაპირებები, დარას სიკვდილი, ის ფაქტორიც, რომ მეზობელი მთის რაჯებიდან ყველა მოსყიდული ჰყავდა აურენგზიბს და მხოლოდ მის ბრძანებას ელოდნენ, რომ ჯესსენგის წინაღამდეგ ომი დაეწყოთ, აფიქრებინა რაჯას, გაეკეთებინა ის, რასაც მისგან ითხოვდნენ. სულეიმან-შეკუ გააფრთხილეს მოსალოდნელი შედეგების შესახებ, მანაც გაქცევა არჩია, მაღალი მთების გავლით ტიბეტისკენ აიღო გეზი, მაგრამ რაჯას ვაჟი დაუყოვნებლივ გამოედევნა სულეიმანს, შეიპყრეს იგი და დელიში ჩაიყვანეს, სადაც სელიმგერეს ციხე-სიმაგრეში მიიყვანეს. ამ პატარა სიხე-სიმაგრეში ერთ დროს თვით მორად-ბაქში იყო დაპატიმრებული. აურენგზიბს არ დაუყოვნებია და როგორც დარას შემთხვევაში, ჯერ წარჩინებულები მოიწვია ციხე-სიმაგრეში რადგან სურდა ყველასთვის წარედგინა სულეიმან-შეკუ, რათა დარწმუნებულები ყოფილიყვნენ „ნამდვილი“ სულეიმანის შეპყრობასთან დაკავშირებით. ჩემი ცნობისმოყვარეობა უკიდურესად დავძაბე, რათა ყველაფერი დამეფიქსირებინა რაც სასახლეში ხდებოდა. სამეფო დარბაზში შესასვლელ კარებთან, სულეიმანს ფეხებზე დადებული ბორკილები მოხსნეს, მხოლოდ ხელაბზე დადებული ბორკილები არ აუხსნიათ პატიმარისთვის. სულეიმან-შეკუ დარბაზში შეიყვანეს, ახოვანი, პირმშვენიერი ახალგაზრდა კაცი წარსდგა დიდებულების წინაშე. ფარდის იქით მდგარი ქალბატონები თვალს ვერ აშორებდნენ შესანიშნავი აღნაგობის ყმაწვილკაცს. აურენგზიბიც თითქოს შესძრა ამ ახალგაზრდა კაცის უბედურებამ. თბილი სიტყვებით ამეტყველდა აურენგზიბი, არწმუნებდა, რომ მას არავინ დასჯიდა და საფრთხე არ ემუქრებოდა მისგან, არწმუნებდა რომ იმედი არ უნდა დაეკარგა, არწმუნებდა, რომ მან, აურენგზიბმა, მხოლოდ იმიტომ მიიღო დარას დასჯის გადაწყვეტილება, რომ მამამისი დარა, გახდა კაფირი, ანუ ადამინი რელიგიის გარეშე. სულეიმანმა პატივისცემა გამოხატა აურენგზიბის მიმართ, თაყვანი სცა, ჯერ იატაკს შეეხო, შემდეგ ზემოთ ასწია ხელები და სთხოვა, თუ მისი მოწამვლა ჰქონდათ განზრახული, დაუყოვნებლივ მიეცათ საწამლავი მისთვის, რითაც კმაყოფილი და მადლიერი დარჩებოდა. აურენგზიბი დაპირდა, რომ მის მოწამვლას არავინ არ აპირებდა. კიდევ რამდენიმე შეკითხვა და-

უსვეს პატიმარს. ოქროთი დატვირთული სპილოს შესახებაც ჰკითხეს, რომელიც სერენაგორიდან გაქცეულს წაართვეს. მეორე დღეს სულეიმანი სხვა პატიმრებთან ერთად გვალიორში გაგზავნეს. პლუსტი-გვალიორის ციხე-სიმაგრეში პრინცებისთვის განკუთვნილ სასმელს ასმევდნენ, რომელიც ერთგვარი ყაყაჩოსგან მზადდება, პატიმრებს დილით სთავაზობენ და საჭმელი მანამდე არ შეაქვთ საკანში ვიდრე პატიმარი ამ სასმელს არ შესვავს. ამ სასმელის წყალობით ადამიანი ხდება, უძლურდება და გონებას ველარ იმორჩილებს. პლუსტის მეშვეობით ადამიანი ყოველგვარი წინაღამდეგობის გაწევის უნარს კარგავს და ნელ-ნელა სიკვდილამდე მიდის. ეს ერთგვარი საშუალება იყო, რომ თავის მოკვეთა აეცილებინათ სამეფო ოჯახის წევრებისთვის. ამ სასმელით მოუსწრაფეს სიცოცხლე სეპე-შეკუს, მორად-ბაქშას შვილს და სულეიმან-შეკუს. რაც შეეხება მორად-ბაქშას, მას განსხვავებული მეთოდით მოუღეს ბოლო. აურენგზიბი ხედავდა რომ ხალხი მის მიმართ პატივისცემით იყო გამსჭვალული და მოსახლეობაში სიმპატიით სარგებლობდა. პოეტები მის შესახებ ლექსებს და სიმღერებს თხზავდნენ. აურენგზიბმა პლუსტის მეშვეობით მორად-ბაქშას მოკვლა არასაკმარისად ჩათვალა, რადგან მორად-ბაქშას სიკვდილის შესახებ ცნობას არადამაჯერებლად ჩათვლიდნენ და შესაძლოა ამბოხის საშუალება მისცემოდათ მტრებს. ამიტომ მას ახალი ბრალდება წაუყენა. ერთი მდიდარი კაცის შვილები, რომელთა მამა მორად-ბაქშამ სიმდიდრის წართმევის გამო მოკლა, (როდესაც საომრად ემზადებოდა მან ძალით წაართვა ფული მდიდარ ვაჭრებს), მოვიდნენ სამართლიანობის აღსადგენად და მორად-ბაქშას თავი ითხოვეს მამის მოკვლის გამო. ვერც ერთმა ემირმა წინაღამდეგობა ვერ გაუწია, რადგან ისინი საიდები იყვნენ, რაც მუჰამედის ნათესაობას ნიშნავს და ყველა დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მათ, ასევე საკმაოდ მკაფიოდ ესმოდათ აურენგზიბის ზრახვების, რომ მათი მამის მკვლელობა სერიოზული საფუძველი უნდა ყოფილიყო მორად-ბაქშის დასასჯელად. მაშ ასე, შესაბამისი განკარგულება გაიგზავნა გვალიორში. ტახტისკენ მიმავალ გზაზე აურენგზიბს, სულთან სუჯას გარდა, არავინ აღარ „ებლანდებოდა“ ფეხებში. სულთანი-სუჯა ბენგალიაში იყო გადახვეწილი. საბოლოო ჯამში მასაც უნდა დაეთმო პოზიციები აურენგზიბის სასარგებლოდ. სულთანის წინაღამდეგ და ემირ-ჯამლას დასახმარებ-

ლად ჯარები გაგზავნეს, საბოლოოდ სულთან-სუჯა ალყაში მოაქცი-ეს. მდინარე განგის ორივე ნაპირზე, მდინარისა და ზღვის შესართავში კუნძულებზეც ჯარები გადასხეს, რომ სუჯას ვერ გამოეყენებინა პლაცდარმად. სუჯა იძულებული გახდა ბენგალიაში ზღვის სანაპირო-ზე მდებარე ქალაქ დაკკუში გაქცეულიყო. სულთან-სუჯას არ ჰყავდა გემები, რომ ზღვა გადაელახა. მას არსაით აღარ ჰქონდა გასაქცევი. მან თავისი უფროსი ვაჟი, სულთან-ბანკა, მეფე არაკანთან, ანუ მო-გასთან გაგზავნა (არაკანიის მეფე წარმართი და ინდოთაყვანისმცემე-ლი იყო) სათხოვრად, რომ მათთვის თავშესაფარი მიეცა გარკვეული დროით, ასევე სთხოვდა, მეფეს გაეღო მოწყალება და მიეცა ხომალ-დი, რომ მუსონების, ანუ ქარების პერიოდში მექაში გამგზავრებული-ყო, იქიდან კი, ან სპარსეთისკენ აიღებდა გეზს, ან ოსმალეთისკენ. მეფემ უპასუხა სულთან-სუჯას თხოვნას, რომ ის, სასურველი სტუმა-რი იქნებოდა მისთვის და მის ხელში არსებული შესაძლებლობებით დაეხმარებოდა მას. სულთანი-ბანკი დაბრუნდა დაკკაში მრავალი გალლეასებით, ასე უწოდებდნენ სამეფო ნახევრად გალერას, რომ-ლებსაც „ფრანგი“-ები მართავდნენ (ისინი ლტოლვინი, პორტუგალიე-ლები იყვნენ, რომლებიც მეფის სამსახურში ჩადგნენ, ისინი ძირითა-დად ზღვაოსნები იყვნენ, თუმცა არც ყაჩაღობაზე ამბობდნენ უარს). სულთანი სუჯა მთლი ოჯახით, მეუღლით, სამი ვაჟით და ქალიშვილე-ბით, ხომალდზე ავიდა. საკმაოდ კარგად მიიღეს ლტოლვილი პრინცი და მისი ოჯახი. გემზე ყველაფერი დაეტვირთათ რაც არაკანიის მეფის სასახლემდე მგზავრობისთვის იყო საჭირო. სუჯას სურდა ამ ყველაფ-რის საფასური გადაეხადა, რადგან მას კიდევ ჰქონდა საკმარისი რა-ოდენობის ოქროს რუპიები, ვერცხლი და ძვირფასი ქვები. ამ სიმდიდ-რემ სერიოზული გავლენა იქონია პრინცის დაღუპვაში. მეფე არაკანის მსგავს ადამიანებს არ გააჩნიათ კეთილშობილება და არც მიცემული სიტყვისგან უარის თქმა იყო მათთვის სათაკილო, ისინი მხოლოდ სა-კუთარ გამორჩენაზე ფიქრობენ, შესაბამისად არად აგდებენ სხვების უბედურებას და ტანჯვას. ასეთი ადამიანებისგან რომ იხსნა თავი, ან მათზე ძლიერი უნდა იყო, ან უქონელი, რომ არაფერმა დააინტერესოს შენში. სულთანი სუჯა სთხოვდა მეფეს, რომ მიეცათ მისთვის ხომალ-დი გასამგზავრებლად, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვროდა, მეფე უკმაყოფილებას გამოთქვამდა სულთანის მიმართ, ერთგვარი „სიცი-

ვე“ იგრძნობოდა სუჯას მოთხოვნებთან დაკავშირებით... ვერ გეტ-ყვით სულთან-სუჯა დამცირებულად გრძნობდა თავს მეფის ასეთი ქცევის გამო თუ ეშინოდა მისი, იქნებ ფიქრობდა, რომ მას შეიპყრობ-დნენ მეფის სასახლეში, ემირ-ჯამლას გადასცემდნენ, აურენგზიბის დანპირების შესაბამისად, რომელიც დიდძალ ფულს და სხვა „სიკეთე-საც“ ჰპირდებოდა მეფეს, სულთან-სუჯას საუნჯეს მიითვისებდა არა-კანიის მეფე. როგორც არ უნდა ყოფილიყო სუჯამ არ ისურვა მეფეს ხლებოდა და წერილი გაუგზავნა საკუთარი შვილის ხელით. გზად მი-მავალმა სულთანმა-ბანკამ, ღარიბებს ოქროს და ვერცხლის რუპიები დაურიგა, რათა მისი ოჯახის გულუხვობა ეჩვენებინა მოსახლეობის-თვის, შემდეგ როდესაც მეფის წინაშე წარსდგა, მამის მიერ გაგზავნი-ლი ძღვენი მიართვა მეფეს. იშვიათი ქვებით შემკული ულამაზესი იუ-ველირული ნაკეთობები მიართვა მას და ხომალდთან დაკავშირებული საკითხის დროული გადაწყვეტა ითხოვა. არც ამ მცდელობამ გასჭრა. ხუთი-ექვსი დღის შემდეგ, მეფემ თავისი წარმომადგენელი გაუგზავნა და მისი ერთ-ერთი ასულის ცოლად მოყვანის სურვილი ამცნო სულ-თან-სუჯას, რაზედაც სულთანმა პასუხი ვერ მისცა და ამან ძალიან გააღიზიანა მეფე. რა ექნა, ან როგორ მოქცეულიყო? თან მგზავრო-ბისთვის საუკეთესო პერიოდი ახლოვდებოდა, რას უმზადებს ბედის-წერა მათ? იქნებ უკიდურესობამდე მისულს თავზეხელაღებული ნაბი-ჯი გადაედგა? არაკანიის მეფე წარმართია, მიუხედავად ამისა მის ქვეყანაში ბევრნი არიან მუჰამედის მიმდევრები, უმეტესობა „ფრან-გი“-ების მიერ იყო ტყვედ აყვანილი, იყვნენ მონებიც. სულთანმა მა-ლულად მიიმხრო ისინი, ორას-სამას ადამიანთან ერთად, რომლებიც მას ბენგალიიდან გამოიყვნდნენ, შემდეგ აპირებდა თავს დასხმოდა მეფეს, მოეკლა ის და თავად გამოეცხადებინა თავი არკანიის მეფედ. ეს უკიდურესად გაბედული და სარისკო ნაბიჯი იყო. ალბათ სულთა-ნის გადაწყვეტილება უფრო სასოწარკვეთილებით იყო გამოწვეული, ვიდრე კარგად მოფიქრებული გეგმის მიხედვით გადადგმულ ნაბიჯი. იქ მყოფი ჰოლანდიელებისგან და პორტუგალიელებისგან გავიგე, რომ შესაძლებელი იყო სულთანის ეს წამოწყება წარმატებით დაგვირგვი-ნებულიყო, მაგრამ შეთქმულებას ფარდა აეხადა. ეს გახდა სუჯას და მისი ოჯახის დაღუპვის მიზეზი. მას სურდა გაქცეულიყო, მაგრამ მდევარი მალევე დაეწია. ის შესანიშნავად იბრძოდა თავდამსხმელე-

ბისგან იცავდა ოჯახსაც და საკუთარ თავსაც, ბევრი თავსდამსხმელი მოკლა, ბოლოს დაიჭრა. ტყვედ აიყვანეს მთელ მისი ოჯახი. რაც შეეხება სულთან-სუჯას, მან და კიდევ რამდენიმე ევნუხმა თავი ტყეს შეაფარეს, მომხვდურებმა ქვები დაუშინეს გაქცეულებს, ქვები სულთანსაც მოხვდა, მაგრამ ჭრილობა შეუხვიეს და ტყეს მისცეს თავი.

მე მომისმენია რამდენიმე ვერსია სულთანის შემდგომი ბედის შესახებ. იმასაც ამბობდნენ, რომ დახოცილთა შორის იპოვეს მისი გვამი. სარწმუნო ინფორმაცია არ არსებობდა. დელიშიც ხშირად გამხდარა შეშფოთების საგანი, ცნობები სულთან-სუჯას გამოჩენის შესახებ. ვრცელდებოდა ჭორი, რომ ის ჩამოვიდა მასლიპატამში გოლკონდის და ბიდჯაპურის მეფეებთან ერთად, ხან ამტკიცებდნენ სულთანი-სუჯა სურატთან ახლოს ორი ხომალდით მოემართება, წითელი შტანდარტებით, რომელიც მას პეგუს მეფემ ან სიამას მეფემ უბოძა, შემდეგ გავრცელდებოდა ჭორი, რომ სულთანი სპარსეთშია, ან ყარაგანდაში. არავინ იცოდა სად იყო სულთანი რეალურად. ერთხელ აურენგზიბმა ხუმრობით ან სხვა მოსაზრებით ბრძანა, რომ საბოლოოდ სულთანი-სუჯა ხაჯის ან პილიგრიმებს დანაებდა, რომ ის მექაში ჩავიდა, რომ სულთანი სპარსეთში დაბრუნდა კონსტანტინეპოლიდან, ეს სურდათ დაეჯერებინათ მასებს. ერთ-ერთი ევნუხი, რომელიც ბენგალიიდან მასლიპატამში დაბრუნდა მარწმუნებდა რომ ის დიდი ხანია ცოცხალი აღარ არის და ბოლოს, ჩვენი ფრანგი ვაჭრები, რომლებიც ეხლახანს დაბრუნდნენ სპარსეთიდან, მაშინ როცა მე ჯერ კიდევ დელიში ვიყავი, მათ არაფერი სმენოდათ სულთანის სპარსეთში გადახვეწის შესახებ. მოგვიანებით ცნობილი გახდა რომ იპოვეს სულთანის მახვილი და ხანჯალი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის, ან ბრძოლის დროს მოკლეს, ან ჭრილობებით გარდაიცვალა, ან ვეფხვმა, ან სპილომ მოკლა, ადვილი შესაძლებელია ტყის ყაჩაღებსაც მოეკლათ სუჯა. რაც შეეხება მის ოჯახს, დატყვევების შემდეგ სასახლეში მიიყვანეს და ძალიან ცუდად ექცეოდნენ მათ, გარკვეული ხნის შემდეგ მეფემ ცოლად სუჯას ასული მოიყვანა და ოჯახის მიმართ დამოკიდებულებაც შეიცვალა. სულთანმა-ბანკამ მუჰამედის მიმდევრებთან ისევ წამოიწყო შეთქმულების ორგანიზება, როგორც სუჯას დროს მოხდა, მაგრამ როდესაც ეს დღე დადგა, ერთ-ერთმა შეთქმულმა ნაადრევად წამოიწყო ამბოხი. მრავალი მითქმა-მოთქმა მოჰყვა ამ ამბავს, სარწმუნო

კი არც ერთი არ იყო, რეალურად მხოლოდ იმის გაგება მოვახერხეთ, რომ მეფემ გული აიყარა სუჯას ოჯახის წევრებზე და მათი გაწყვეტა ბრძანა, მან სუჯას ასული, რომლიც ცოლად ჰყავდა მოყვანილი მოაკვლევინა, სულთან-ბანკას და მის ძმებს თავები ბლაგვი ნაჯახით მოჰკვეთეს.

ასე დამთავრდა ეს ომი, რომელიც ოთხ ძმას შორის მიმდინარეობდა და ხუთი-ექვსი წელი გაგრძელდა, ესეიგი 1655 წლიდან 1661 წლამდე, გამარჯვებული აურენგზიბი კი ინდოეთის ერთპიროვნული მბრძანებელი გახდა.

განსაკუთრებული მოვლენები ანუ ამბავი იმის შესახებ, თუ რა მოხდა საყურადღებო ომის შემდგომი 5–6 წლის განმავლობაში დიდი მოგოლოს სახელმწიფოში

როცა ომი დამთავრდა უზბეკეთის თათრებმა გადაწყვიტეს აურენგზიბთან ელჩები გაეგზავნათ. ისინი აურენგზიბის მხარეს იბრძოდნენ როცა აურენგზიბი ჯერ კიდევ პრინცი იყო, მაშინ შაჰ-ჯეხანმა, პრინცი, დამხმარე ლაშქრით გაგზავნა სამარყანდის ხანის თხოვნის შესაბამისად. სამარყანდის ხანმა მაშინ ბალხას ხანის წინაღამდეგ ბრძოლაში დახმარება შაჰ-ჯეხანს სთხოვა. თათრებმა დიდად დააფასეს ახალგაზრდა პრინცის გამბედაობა და მხედართმთავრული ნიჭი. მაგრამ როგორც ირკვევა აურენგზიბი სამშობლოში ლაშქრობიდან ნაწყენი დაბრუნდა, რადგან მტრის დედაქალაქის ბალხის აღებისას, ხანები შერიგდნენ და პრინცი აიძულეს უკან დაეხია, ხანს ეშინოდა, რომ აურენგზიბს არ დაეპყრო მთელი სახელმწიფო, როგორც ეს აკბერმა მოახერხა ქაშმირის სახელმწიფოს შემთხვევაში. თათრებს სრული ინფორმაცია ჰქონდათ ინდოსტანში მიმდინარე მოვლენების შესახებ, იცოდნენ აურენგზიბის წარმატებების და წარუმატებლობების შესახებ, ამ ყველაფერზე დაყრდნობით, მიუხედავად იმისა, რომ შაჰი-ჯეხანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ სახელმწიფოს აურენგზიბი მართავდა, აურენგზიბი ინდოეთის სახელმწიფოს მეთურად აღიარეს. ვერავინ იტყვის ამ ორი ხანის გადაწყვეტილება რით იყო მოტივირებული, იქნებ აურენგზიბის მრისხანება აშინებდათ ხანებს? მიუხედავად ყველაფრისა, ელჩები აახლეს აურენგზიბს, რათა მხარდაჭერა

გამოეცხადებინათ მისთვის და მიერთმიათ „მობარეკი“, ანუ ტახტზე ასვლა მიელოცათ. აურენგზიბს შესანიშნავად ესმოდა, რომ ხანებმა ომის დამთავრებას დაუცადეს და შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, ურთიერთობა აღედგინათ მასთან, შიში, ან იმედი, ეს აიძულებდა მათ შესაბამისი ნაბიჯი გადაედგათ. აურენგზიბმა პატივით მიიღო ელჩები. მინდა გიამბოთ ამ შეხვედრის შესახებ.

ელჩებმა „სალამ“-ი მიუძღვნეს მბრძანებელს (ინდური თაყვანის ცემა, თავზე სამჯერ უნდა დაიდო ხელები და ამდენჯერვე დაიხარო და მიწას შეეხო ხელით), შემდეგ მიუახლოვდნენ აურენგზიბს იმდენად ახლოს, რომ საკუთარი ხელით შეეძლოთ გადაეცათ ხანების მიერ გამოგზავნილი წერილები მბრძანებელსთვის. წერილები ემირმა მიიღო, გახსნა და შემდეგ მიაწოდა მბრძანებელს. აურენგზიბმა წერილები იქვე წაიკითხა, შემდეგ კი ბრძანა, ორივე ელჩი ფარჩის ხალათით, ჩალმით და მოქარგული შარფით(ქამარი) დაესაჩუქრებინათ, ასე დასაჩუქრებას „სერეპა“ ჰქვია, ანუ სამოსელი თავიდან ფეხებამდე. შემდეგ გაიცა ბრძანება, რომ მისთვის გამოგზავნილი საჩუქრები მოერთმიათ. რამდენიმე ზარდახშა ზურმუხტის თვლებით მოოჭვილი, რამდენიმე გრძელკისერა აქლემი, ულამაზესი ცხენები, ხილით სავსე უძვირფასესი თასები, ვაშლები, მსხლები, ნესვები და ყურძენი... მიართვეს მბრძანებელს, (ხილით მთელი წლის განმავლობაში უზბეკეთიდან მარაგდებოდა დელი), ბუხარადან გამოგზავნილი ხილის ჩირიც მიართვეს აურენგზიბს. ქიშმიში, ქლიავის და ატმის ჩირი, თასებით მიართვეს მრისხანე ბატონს. მან გულთბილი მადლობა უძღვნა ელჩებს და გულუხვობისთვის მადლობა მოუხადა ხანებს. შემდეგ ელჩებს ესაუბრა, გამოთქვა დაინტერესება სამარყანდის აკადემიისადმი და მათი ქვეყნის სიუხვის საკითხითაც დაინტერესდა. შემდეგ ნება დართო ელჩებს დაესვენათ და ბრძანა, რომ მოხარული იქნებოდა ხშირად ეხილა ხანების ელჩები სამეფოს კარზე. აღვრთოვანებულებმა დატოვეს სასახლე. ელჩები აღარ წუხდნენ ინდური წესით რომ მიუძღვნეს „სალამი“ მბრძანებელს, თუმცა „მონათმფლობელი“ სჭარბობდა მასში. ელჩებს არ სწყენიათ, რომ მბრძანებელს ხელი არ გამოუწვდია წერილების მისაღებად, თუმცა იმასაც დავამატებ, აურენგზიბს პატივისცემის ნიშნად მიწაზე კოცნა რომ მოეთხოვა უყოყმანოდ შეასრულებდნენ ამასაც. ასევე უნდა აღინიშნოს მათი ქვეყნის ტრადიციისამებრ

მეფისადმი თაყვანისცემის შემდეგ წერილების გადაცემა, მხოლოდ მეფისა რომ მოეთხოვათ, ამ შემთხვევაში მათი ელჩობა ნაკლებ წარმატებული იქნებოდა, რადგან ასეთი უფლება მხოლოდ სპარსეთის ელჩებს გააჩნდათ და იმათთვისაც ესეთი პატივი ყოველთვის არ იყო ნებადართული. ელჩები ოთხი თვის განმავლობაში იმყოფებოდნენ დელიში, მათი სურვილის მიუხედავად სახლში დაბრუნებას ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებდნენ, ზოგიერთი მათგანი გარდაიცვალა, რადგან ვერ აიტანეს გაუსაძლისი სიცხე და ყველგან მოდებული სიბინძურე, თვითონაც საკმაოდ ცუდად იკვებებოდნენ. მე ვერ წარმომიდგენია უფრო ხელმომჭირნე ადამიანები ვიდრე თათრეთის ელჩები იყვნენ. მათ ჰქონდათ მუდმივი შემოსავლის წყარო, რომელიც ნორმალური ცხოვრების საშუალებას მისცემდა მათ, ასეთი ხელძვირობა და პირობები, როგორშიაც ისინი ცხოვრობდნენ, ელჩისთვის შეუფერებელი იყო. მიუხედავად ყველაფრისა საბოლოოდ ისინი საკმაოდ დიდი პატივით გაისტუმრეს. მბრძანებელმა თვითოეულ მათგანს ორი მდიდრული სერაპა აჩუქა, ასევე რვა ათასი რუპია გადასცა, რაც თვითოეულისთვის ორი ათას ეკიუს შეადგენდა, ასევე მათი მეფე-ხანებისთვის საჩუქრად მდიდრული სერაპა, უამრავი მდიდრული ნივთები, ოქროთი და ვერცხლით ნაქარგი აბრეშუმის და ფარჩის მდიდრული ქსოვილები, რამდენიმე ხალიჩა, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ორი ხანჯალი.

მათი ინდოეთში ჩამოსვლის დღიდან სამჯერ მოვინახულე ისინი. მე მათ წინაშე, როგორც ექიმი, წარმადგინა ერთმა ჩემმა მეგობარმა, უზბეკის შვილმა, რომელმაც კარიერა მეფის კარზე გაიკეთა. მე გაოცებული ვიყავი როცა შევეკითხე მათი ქვეყნის ტრადიციების და ჩვევების შესახებ, მათ უზბეკეთის საზღვრების შესახებაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, ვერც იმ თათრების შესახებ მიამბეს, რომლებმაც რამდენიმე წლის წინ ჩინეთი დაიპყრეს. მოკლედ მათ ვერაფრით გაამდიდრეს ჩემი ცოდნა. ჩემმა ცნობისმოყვარეობამ მძლია და გადავწყვიტე მათთან ერთად მესადილა. ამის მოწყობა ძალიან იოლი იყო, რადგან იმ ადამიანებთან რაიმე განსაკუთრებული ცერემონიების ჩატარება აუცილებელი არ იყო. გასაოცარი იყო სადილობა, თითქმის ყველა კერძი ცხენის ხორცისგან იყო გაკეთებული, მიუხედავად ამისა, ამ კერძებზე უარი არ მითქვამს. სადილის დროს სრული სიჩუმე სუფევდა, ისინი მხოლოდ ჭამით იყვნენ დაკავებულები, პლოვის მოზ-

რდილ გუნდას ერთ ლუკმად მიირთმევდნენ, ვფიქრობ მათთვის კოვზის შესახებ არაფერი იყო ცნობილი და როცა სტომაქი შეივსეს, საუბრის სურვილიც გაუჩნდათ... საკუთრ ჩუბინობას იკვეხნიდნენ თავგამოდებით, ყველაზე ამტან ერად მიაჩნდათ საკუთარი თავი. შემდეგ თავიანთი ქვეყნის ქალების შესახებ მიყვებოდნენ, მათი მშვენიერება და მშვილდოსნობა ამორძალებს დაჩრდილავსო და რამდენიმე საოცარი ისტორია განთქმული თათრული მჭერმეტყველებით მიამბეს, მათგან მე მხოლოდ ერთი გამოვარჩიე. ისინი მომიყვნენ, რომ ერთ დროს აურენგზიბი იბრძოდა მათ ქვეყანაში, მისი რაზმი ოცდაათი მეომრით თავს დაესხა ერთ სოფელს. ძარცვავდნენ სოფელს და ვისაც კი ხელში მოიგდებდნენ მონობა არ ასცდებოდა იმ უბედურს. ერთმა მოხუცმა ქალბატონმა მიმართა მძარცველებს : „ჩემო შვილებო, ნუ იქნებით ასეთი დაუნდობლები, ჩემი ასულები სახლში არ არიან, ისინი მალე დაბრუნდებიან სოფელში და სანამ დრო გაქვთ გაიქეცით, თუ მოგატანეს ყველანი დაიღუპებით“-ო. თავდამსხმელებმა დასცინეს მოხუცს და თავიანთი საქმე გააგრძელეს. ნაძარცვი შეაგროვეს და მონებად განწირული ხალხი იმ მოხუცთან ერთად თან წაიყვანეს. სოფელს გაშორებულები არც კი იყვნენ, რომ მოხუცმა ქალმა სიხარულით, ხმამაღლა შესძახა, რადგან საკუთარი ასული შეიცნო შორიდან მომავალი. დიდ ცხენზე ამხედრებულმა ქალმა შორიდან მძარცველებს მიაძახა, რომ თუ ისინი მთელ ნაძარცვს უკან დააბრუნებდნენ და ხალხს გაანთავისუფლებდნენ მაშინ მშვიდად წასვლის საშუალებას მისცემდა. ასულის სიტყვებმა ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა. დაინახეს, ზედიზედ როგორ ისროლა ქალმა რამდენიმე ისარი და ყოველმა ნასროლმა ისარმა მიზანს მიაღწია, ისრებით განგმირული მხედრები მიწაზე დაცვივდნენ. მომხდურებმაც აიღეს ხელში მშვილდები, ისრებს ესროდნენ ქალს, მაგრამ ვერც ერთმა მიზანს ვერ მიაღწია, რადგან ქალი საკმაოდ შორს იყო. ქალმა დასცინა მათ და მშვილდისრით ნახევარზე მეტი მეომარი დახოცა, მეორე ნახევარი კი ხმლით აჩეხა. საინტერესო ისტორია, მეთანხმებით? თათრეთის ელჩებს დელი ჯერ არ ჰქონდათ დატოვებული, რომ აურენგზიბი ავად გახდა, დაუნდობელი და შეუჩერებელი ციება ხანდახან გონებას აკარგვინებდა, მეტყველების უნარსაც ჰკარგავდა მბრძანებელი. ქიმები ყველა ღონეს ხმარობდნენ მის გადასარჩენად. ამბობდნენ, რომ ყვე-

ლაფერი დამთავრდა და რუშენარა-ბეგუმი ეცდებოდა რაც შეიძლება მალე მოესწრაფებინა მისთვის სიკვდილი. ჭორიც გავრცელდა, თითქოს რაჯა ჯესსომსენგი, გუჯარათის გუბერნატორი, დიდი არმიით მოიწევდა ქალაქისკენ, რათა შაჰი-ჯეხანი გაენთავისუფლებინა, იმასაც ამბობდნენ მოგაბეტ-ხანმა, რომელიც აურენგზიბს დამორჩილდა დატოვა ქაბულის პროვინცია და ლაგორში მოასწრო ჩასვლა, მასაც იგივე მიზანი ამოძრავებს რაც შაჰ-ჯეხანის მცველ ევნუხ ეტბარ-ხანს, აგრას ციხიდან შაჰის განთავისუფლების სურვილი. ჩვენ ვხედავდით, რომ ერთის მხრივ სულთან-მაზუმის ინტრიგების, მლიქვნელური დაპირებების საშუალებით მიიღო ემირთა მხარდაჭერა. საქმე იქამდე მივიდა, რომ რაჯა, ჯესსენგს შეხვდა, რათა მისგან დახმარება მიეღო. მეორე მხრივ რაუშენარა-ბეგუმმა, რომელმაც არტილერიის მხედართმთავრის ფედაი-ხანთან და კიდევ რამდენიმე ემირთან ერთად ახალი ინტრიგების ტალღა ააგორა ახალგაზრდა პრინცის, აურენგზიბის მესამე შვილის სულთან-აკბარის (მაშინ პრინცი შვიდი რვა წლის გახლდათ) სასარგებლოდ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ორივე დაჯგუფება პრიორიტეტად შაჰ-ჯეხანის განთავისუფლებას მიიჩნევდა. ხალხს სჯეროდა რომ მეფეს გაანთავისუფლებდნენ, მაგრამ ჭეშმარიტება მდგომარეობდა წარჩინებულთა და დიდებულთა კერძო ინტერესებში, შაჰ-ჯიხანის განთავისუფლების თემის განვითარება მხოლოდ პოლიტიკური იტრიგებისთვის იყო საჭირო. მხარეები ხმებს ავრცელებდნენ რათა მოსახლეობისგან მხარდაჭერის კრედიტი მიეღოთ, ასევე იმ საშიშროების თავიდან აცილების მიზნით რაც ეტბარ-ხანის მცდელობებს შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ან სხვა ფარულ ინტრიგებს, რომელსაც შეეძლო სასახლე დაეტოვებინა. მართლაც ასე იყო, არც ერთ მხარეს არ სურდა მეფის განთავისუფლება გარდა ჯესსომსენგისა, მოგაბატ-ხანის და კიდევ რამდენიმე დიდებულისა, მაგრამ არც ისინი აკეთებნენ ყველაფერს საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში. თუ გავიხსენებთ, განა თავად ეს ხალხი არ გამოდიოდა მეფის წინაღამდეგ? როგორც ჩანს მეფე ყველამ მიატოვა. ყველას ესმოდა რომ განთავისუფლებული მეფე აწყვეტილ ლომს დაემსგავსებოდა და ყველას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა. რისი იმედი უნდა ჰქონოდა ეტბარ-ხანს, რომელიც სრული სიმკაცრით იცავდა მეფეს? შესაძლებელია რომ განთავისუფლებულ მეფეს გვერდში მდგომიც კი

არავინ ჰყავდა, ის მარტო დარჩა. მიუხედავად აურენგზიბის მძიმე ავადმყოფობისა, ის მაინც ახერხებდა სასახლის კონტროლს და მოვლენათა განვითარებას ყურადრებით აკვირდებოდა. ის ყველაფერს აკეთებდა შაჰი-ჯეხანის პატიმრობაში დატოვების მიზნით. ასევე უნდა გავითვალისწინოთ აურენგზიბის რჩევა სულთან-მაზუმისთვის, თუ აურენგზიბი მოკვდებოდა დაუყოვნებლივ გაეღოთ კარები შაჰ-ჯეხანისთვის, ასევე ინტენსიურ მიმოწერას აწარმოებდა ეტბარ-ხანთან. ავადმყოფობის მეხუთე დღეს აურენგზიბმა ემირთა შეკრება მოითხოვა, რათა გაექარვებინა ჭორები მისი სიკვდილის შესახებ და უბრალოდ წარმდგარიყო მათ წინაშე. ეს შეხვედრები გრძელდებოდა კიდევ რამდენიმე დღე და ოცდამეათე დღეს გულისყრისგან გამორკვეულმა, რომლის შესახებაც მთელმა ქალაქმა იცოდა და უკვე გარდაცვლილად მოიხსენიებდნენ, თავისთან ყველაზე გავლენიანი სამი ემირი და ჯესსენგი მოიწვია, ალბათ იმის დასამტკიცებლად, რომ ის ჯერ კიდევ ცოცხალია, მან ქაღალდი და კალამი მოითხოვა რომ ეტბარ-ხანისთვის წერილი მიეწერა, კიდევ დიდი, სამეფო ბეჭედი მოითხოვა, რომელიც რაუშენარა-ბეგუმს მისცა შესანახად. ეს ბეჭედი პატარა ტომარაში ინახებოდა, რომელიც თავის მხრივ სხვა ბეჭდით იყო დაბეჭდილი, რომელიც ხელზე ჰქონდა შებმული აურენგზიბს, რათა შესაძლო „სირთულეებისგან“ თავი აერიდებინა. მბრძანებელს დიდი სამეფო ბეჭედი დარბაზში მიართვეს. „ღმერთი გიფარავს და სურს უფრო დიადი საქმეების გასაკეთებლად მოგიწოდოს შენ, მას არ სურს შენი სიკვდილი“ — ასე მიმართეს აურენგზიბს. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობამ გაუმჯობესება დაიწყო. ახალი გამოჯანმრთელებული იყო აურენგზიბი, როცა შაჰ-ჯეხანის და ბეგუმ-სახების ხელიდან დარას ასულის წართმევა მოისურვა, თავისი მესამე ვაჟის სულთან-აკბარის დაქორწინების უზრუნველსაყოფად, რადგან ეს ქორწინება სხვა შვილებისგან განსხვავებით სულთან-აკბარის ტახტზე ასვლის უფლებას უდაოს გახდიდა. როგორც ეტყობა აურენგზიბს ეს პარტია წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული. მიუხედავად იმისა რომ მისი ვაჟი ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა იყო. მას მაღალი დონის გავლენიანი ნათესავები ჰყავდა დიდებულთა შორის, ის შაჰ-ნავაზ-ხანის ასულისგან შეეძინათ და შესაბამისად მის ძარღვებში მაშტას მეფეთა დინასტიის სისხლი ჩქეფდა. ხოლო სულთან-მახმუდის

და სულთანი-მაზუმის დედები, რაჯების შთამომავლები იყვნენ. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ აურენგზიბის გეგმა ჩაიშალა, რადგან შაჰ-ჯეხანმა და ბეგუმმა უარყვეს მისი წინადადება, ხოლო ახალგაზრდა პრინცესას შეეშინდა, რომ მას მოიტაცებდნენ და ასულს შიშმა დარია ხელი. მას არ სურდა ცოლად გაჰყოლოდა მამამისის მკვლელის ვაჟს. აურენგზიბმა ვერც ძვირფასი ქვების მიღება შესძლო შაჰ-ჯეხანისგან, რომლებიც სამეფო ტახტის მოსართავად იყო განკუთვნილი. შაჰმა ამაყად უპასუხა: „აურენგზიბი ეხლა უფრო ეფექტურად მართავს სახელმწიფოს ვიდრე აქამდე, მან თავი უნდა დაანებოს ტახტს, რომ მას მობეზრდა ამ ძვირფას ქვებზე საუბარი და თუ აურენგზიბი ისევ მოინდომებს მათზე საუბარს, მაშინ შაჰი ამ ქვებს მტვრად აქცევს“. ჰოლანდიელებს არ სურდათ ჩამორჩენოდნენ სხვებს და აურენგზიბისთვის „მობარეკ“-ს მისართმევად მასთან ელჩის გაგზავნა გადაწყვიტეს. ამ მისიისთვის ბატონი ადრიკანი, სურატის ფაქტორიალის ხელმძღვანელი შეირჩა. ის პატიოსანი, საღად მოაზროვნე და გამჭრიახი ადამიანი გახლდათ. აურენგზიბი საკმაოდ ამპარტავანია და პრეტენზიას აცხადებს მუჰამედის მიმდევრად, შესააბამისად ცდილობს აჩვენოს, რომ სძულს „ფრანგი“-ები და ქრისტიანები, მაგრამ ელჩი დიდი პატივით მიიღო ასევე სურვილიც გამოთქვა, რომ ელჩის მიმართ „სალამ“-ი, „ფრანგი“–ს წესისამებრ გამოეხატა, მას შემდეგ როცა რიტუალს ინდური წესის მიხედვით შეასრულებდა. თუმცა ელჩის მიერ მოტანილი წერილი ემირის ხელიდან მიიღო, ეს ჟესტი ზიზღს არ აღნიშნავდა, ამით აგრძნობინა საზოგადოებას, რომ ჰოლანდიის ელჩს, უზბეკ ელჩებზე მაღლა არ აყენებდა. შემდეგ ელჩს საჩუქრების მორთმევის უფლება მისცა და თავის მხრივ სერაპა მიუძღვნა ელჩებს.

ელჩის მიერ მორთმეული საჩუქრების დიდი ნაწილი შესანიშნავი და ძალიან მაღალი ხარისხის მწვანე და წითელ ნაჭრებს ეჭირა, რამდენიმე ძვირფასი სარკე და უამრავი ჩინური ნაკეთობა, მათ შორის ტახტრევანი ანუ საველე ტახტი, რომელმაც საერთო მოწონება დაიმსახურა. ელჩი დააყოვნეს მეფის კარზე, რადგან მოგოლებს მიაჩნდათ, თუ ელჩები დიდხანს იქნებოდნენ მეფის დარბაზში ადგილობრივ დიდებულებთან ერთად, ეს ფაქტი მათ ბრწყინვალებას ჰმატებდა. უზბეკ ელჩებზე ნაკლებ ხანს დააყოვნეს ჰოლანდიელები, რადგან ელჩის მდივანი ამ დროის განმავლობაში გარდაიცვალა, ხოლო ამალის წევ-

რები ავადმყოფობდნენ. როცა ელჩებს ნება მისცეს წაბრძანებულიყვნენ, აურენგზიბმა თვითოეულ მათგანს კედევ ერთხელ აჩუქა სერაპა და კიდევ, ძალიან მდიდრული სერპა, ძვირფასი ქვებით გაწყობილი ხანჯალი და გულთბილი წერილი გადასცეს ბატავიის გენერალ-გუბერნატორისთვის. ჰოლანდიელთა ელჩობა ინდოეთის მეფის პირადად გაცნობის სურვილს ემსახურებოდა, შედეგად სურდათ საკუთარი ავტორიტეტის ამაღლება, ასევე საპორტო ქალაქებში სადაც ჰოლანდიური ფაქტორიალები მდებარეობდნენ, გუბერნატორებზე ერთგვარი გავლენის მოხდენასაც იმედოვნებდნენ, რომ მათ ხელი არ შეეშალათ ვაჭრობაში და თუ გუბერნატორის მხიდან რაიმე მუქარას, ან ზეწოლას ექნებოდა ადგილი, სცოდნოდათ, რომ საჩივლელად პირდაპირ მბრძანებელთან მივიდოდნენ. ასევე მიზნად ისახავდნენ ეჩვენებინათ სახელმწიოფოს მოგება მათთან სავაჭრო ურთიერთობის შემთხვევაში. ამიტომ ჰოლანდიელებმა წარადგინეს იმ საქონლის ჩამონათვალი, რომელიც მთელი ინდოეთის ტერიტორიაზე შეიძინეს ევროპაში გასატანად, განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილეს ინდოეთში მათ მიერ დახარჯულ ოქროზე და ვერცხლზე, რომელიც ყოველწლიურად შემოდის ინდოეთში, მაგრამ არაფერი უთქვამთ საკუთარ მოგებაზე, რომელსაც ისინი ინდოეთში ვაჭრობის შედეგად ღებულობდნენ. ამავე დროს ემირთა შორის ერთ-ერთმა ყველაზე ასაკოვანმა და გავლენიანმა ემირმა გადაწყვიტა დაერწმუნებინა აურენგზიბი, რომ სხვადასხვა სახელმწიფო საქმეების დიდი ნაწილის განხილვა, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება და სხვადასხვა საქმეებზე ზრუნვა, დიდ ენერგიას მოითხოვდა მბრძანებლისგან და შესაბამისად მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად შეიძლებოდა ასახულიყო. აურენგზიბი თითქოს უყურადღებობას იჩენდა ემირის საუბრის მიმართ, სხვა მხარეს შებრუნდა და საუბარი სასახლის ერთ-ერთ პირველ ემირთან გააბა, ამ საუბრის დეტალების შესახებ მე სასახლის ემირის ვაჟისგან შევიტყვე, — „თქვენ მეცნიერები ნუთუ არ მეთანხმებით, რომ ხანდახან დგება ისეთი მომენტი, როცა ხელმწიფე ვალდებულია იარაღით ხელში დაიცვას თავისი ქვეშემდომები? და ეს ადამიანი მომიწოდებს, რომ მე არ დავიტვირთო საკუთარი თავი და არ ჩავთვალო საკუთარი თავი ვალდებულად ჩემი დაპირებები შევასრულო, რომელიც ჩემს ქვეშევრდომებს მივეცი, თუნდაც ამას უძილო ღამეები და ზედმიწევნით ზრუნვა

დასჭირდეს. ალბათ სურს ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნვის მოტივით მხოლოდ ამ ცხოვრებიდან სიამოვნების მიღების სურვილით ვიცხოვრო, სურს რომ სახელმწიფო საქმეები, რომელიმე ვეზირს გადავაბარო. ნუთუ მან არ იცის ხელმწიფის ვაჟი ტახტისთვის არის შობილი, მე მხოლოდ ჩემს თავს არ ვეკუთვნი, მე საქვეყნო კეთილდღეობისთვის უნდა ვიზრუნო, რათა ჩემი ქვეშემდომები თავს უსაფრთხოდ და ბედნიერად გრძნობდნენ. ნუთუ მეფის მიერ მართმსაჯულების აღსრულება მხოლოდ უმაღლესი ხელისუფლების გამოხატულებაა და არ ემსახურება საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვას? ის ვერ ხედავს საკუთარი რჩევების შედეგებს, რა უბედურება შეიძლება მოუტანოს სახელმწიფოს, როცა მას ვეზირები მართავენ. ფიქრობს კი, ეს ადამიანი რა ბრძანა დიადმა სადიმ, „მეფეებო, ან დაანებეთ მეფობას თავი ან შესძელით მართოთ თქვენი სამეფო“. წადი და დაელაპარაკე მას, უთხარი რომ მე ყოველთვის პატივს ვცემ მის მზრუნველობას ჩემდამი და ურჩიე, ნუ გადაამეტებს საკუთარ მოვალეობებს. თითოეული ჩვენთაგანი ისედაც ცდილობს რაც შეიძლება ნაკლები საზრუნავი შეუქმნას საკუთარ თავს და მოსვენებით იცხოვროს, არ არის საჭირო კიდევ და კიდევ რჩევები, ეს საქმე ჩვენს მეუღლეებსაც შესანისნავად გამოსდით“.

ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა დელიში, რამაც დიდი ხმაური გამოიწვია, განსაკუთრებით სარალეში და დაარწმუნა ყველა, მათ შორიც მეც, რომ კასტრირებულ ევნუხსაც შესწევს უნარი უყვარდეს ისე, როგორც სხვებს. დადარკანმა, სერალის ერთ-ერთმა მთავარმა ევნუხმა სახლი აიშენა, სადაც ხშირად მიდიოდა დასაძინებლად, მეზობლად მცხოვრები ქალის, ულამაზესი და შეუყვარდა. ეს სასიყვარულო ინტრიგა დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა, თუმცა განსაკუთრებულად ურთიერთობის სურვილი არც ერთ მხარეს არ გამოუხატავს. ბოლოს და ბოლოს, ის, ევნუხი იყო, რომელსაც ყველგან შესვლის უფლება ჰქონდა, მეზობლებმა რაღაც იეჭვეს და ჩუმად დასცინოდნენ ქალს. ამ ქალის და, რამდენჯერმე, ევნუხს და მის მიჯნურს, მოკვლით დაემუქრა. დაუყოვნებლივ მოსთხოვა შეყვარებულებს ურთიერთობა შეეწყვიტათ და მართლაც, ერთხელაც შეუსწრო ევნუხს და მის დას, ერთად მძინარეს, შეურაცხყოფილმა ქალმა ევნუხს ხანჯლი ჩასცა, ხოლო თავისი და კი, მძიმედ დაჭრა. მთელი სერალის ქალები და ევ-

ნუხები გაერთიანდნენ და მკვლელის დასჯას მოითხოვდნენ, მაგრამ აურენგზიბი მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ქალი მუჰამედის მიმდევრად მონათლა. ფიქრობდნენ, რომ ამ აღელვებას ძლიერი აღშფოთება მოჰყვეოდა ევნუხთა მხრიდან, როგორც აქ ამბობდნენ მხოლოდ კასტრირებული მხეცები ხდებიან მორჩილნი, ადამიანები კი უფრო მრისხანენი და მძლავრები, უფრო გამძლენი და დაუნდობლები. ხანდახან, არ ვიცი რატომ, მაგრამ უფრო ხელგაშლილები და მამაცები. ამავე პერიოდში აურენგზიბსა და რაუშენარა-ბეგუმს შორის ურთიერთობები „გაცივდა“, რადგან გაჩნდა ეჭვი, რომ ბეგუმმა რამდენჯერმე ორი ადამიანი შეიყვანა სერალში, ეს ადამიანები შეიპყრეს და აურენგზიბს მიუყვანეს, დაკითხვის დროს გაირკვა, რომ ეს „ხმაური“ მხოლოდ ეჭვები იყო, ამიტომ ეს ადამიანები არ დაუსჯიათ შაჰ-ჯეხანისგან განსხვავებით, რომელიც ეჭვმიტანილს უსასტიკესად სჯიდა. აი რა მომიყვა პორტუგალიელმა მონა-ქალმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა სერელში. რეუშენარა-ბეგუმმა ახალგაზრდა კაცი შეიყვანა თავის ოთახში და რამდენიმე დღის განმავლობაში „ღებულობდა“ ყველაფერს, რისი მიცემაც შეეძლო ამ ახალგაზრდა კაცს, შემდეგ რამდენიმე ქალს დაავალა, რომ ბაღის გავლით გაეყვანათ სასახლიდან და თავისუფალი გზა მიეცათ. ძნელი სათქმელია რა მოხდა შემდეგ, დაცვამ დაიჭირა ეს ადამიანი, ან ქალებს შეეშინდათ და მიატოვეს ახალგაზრდა კაცი, ასევე შესაძლებელია, რომ ბაღში გაიყვანეს, მაგრამ ახალგაზრდა კაცმა გზა თავად ვერ გაიკვლია და სასახლის დაცვამ დააპატიმრა. სწორედ ეს კაცი მიუყვანეს აურენგზიბს, რომელმაც მხოლოდ ის თქვა, რომ კედელზე გადმოძვრა. აურენგზიბმა უბრძანა ევნუხებს გაჰყოლოდნენ ამ კაცს, რათა ეჩვენებინა ის ადგილი საიდანაც მოახერხა მან სასახლის ბაღში მოხვედრა. ევნუხებმა კი, ეს კაცი პირდაპირ სასახლის გალავნიდან გადააგდეს. რაც შეეხება კიდევ ერთ „ეჭვმიტანილს“, რომელიც ეზოში მოსეირნე შეიპყრეს, აღიარა რომ კარიდან შემოვიდა სასახლის ეზოში, შესაბამისად აურენგზიბმა ბრძანა, რომ ეს კაცი იმავე კარით გაეშვათ საიდანაც შემოვიდა, ხოლო ევნუხები, რომლებიც კარს იცავდნენ სასტიკად დაესაჯათ, რადგან მსგავს მოვლელენას, შესაძლო იყო გართულებები გამოეწვია სასახლეში. ამ მოვლენებიდან ხუთი თვის შემდეგ დელიში თითქმის ერთდროულად ხუთი ელჩი ესტუმრა მეფეს. პირველი ელჩი

შერიფ მეკკის მიერ იყო გამოგზავნილი, მისი საჩუქრები არაბული ცხენებისგან შედგებოდა, ასევე ძვირფასი მეტალები, რომლებიც მექადან იყო მიძღვნილი, მექას მუსულმანები „ბაეტ ალაჰ“-ს უწოდებენ, რაც „ღმერთის სახლს“ ნიშნავს და უდიდესი პატივისცემით მოიხსენიებენ. მას პირველ მუსლიმურ ტაძრად მიიჩნევენ, რომელიც ღმერთს სადიდებლად აბრაამმა მიუძღვნა. მეორე და მესამე ელჩები, იემენიდან, ანუ ბედნიერი არაბეთიდან ჩამობრძნადნენ და ბასსორის თავადისგან, მათაც მიართვეს საჩუქრად არაბული ცხენები. ორი სხვა ელჩი ებეშას, ანუ ეთიოპიის მეფის მიერ იყვნენ გამოგზავნილები. პირველ „სამეულზე“ ნაკლები ყურადღება გაამახვილეს, რადგან ისინი იმდენად საცოდავად გამოიყურებოდნენ, რომ გასაგები იყო მათი ფიქრი, საჩუქრების მირთმევის შედეგად ფულით დასაჩუქრების იმედი ჰქონდათ. ასევე რამდენიმე ცხენის და სხვა საქონლის, რომელიც გადასახადის გარეშე შემოიტანეს ქვეყანაში, გაყიდვით მიღებული შემოსავლით, ინდური ნაჭრების ყიდვას აპირებდნენ შემდგომ საკუთარ ქვეყანაში გაყიდვის მიზნით, ეტყობა კარგ შემოსავალს ელოდნენ ელჩები. რაც შეეხება ეთიოპიელებს, ისინი ნამდვილად იმსახურებდნენ ჯეროვან ყურადღებას. მათ შესახებ თხრობას შორიდან დავიწყებ. ეთიოპიის მეფემ როცა მიიღო ცნობები, ინოეთში სახელმწიფო გადატრიალების შესახებ, გადაწყვიტა კარგად გაეცნო ეს ქვეყანა და გაგზავნა დიდი ელჩობა, თავისი მთელი ბრწყინვალებით, მაგრამ „ბოროტი“ ჩანაფიქრის გამო, ან უფრო სწორედ სრული სიმართლე ის იყო, რომ ძვირფასი საჩუქრების მიღებას გეგმავდნენ ელჩები ახალი მბრძანებლისგან. ელჩობა ორი ძირითადი „ფიგურისგან“ შედგებოდა, რომლებიც ეთიოპიის მეფის კარზე მნიშვნელოვან პირებს წარმოადგენდნენ და მათი მეფის პოლიტიკური გეგმების განხორციელებას საფუძველს უყრიდნენ. პირველი მუჰამედის აღმსარებელი ვაჭარი იყო (მას რამდენიმე წლის წინ მოკაში შევხვდი, მაშინ მე ეგვიპტიდან წითელი ზღვისკენ მივემგზავრებოდი), ინდოეთში თავისი მეფის დავალებით იყო ჩამოსული, რომელიც ინდოეთში დიდი რაოდენობით მონების გაყიდვით იყო დაინტერესებული და მიღებული თანხით ინდური საქონლის ყიდვას გეგმავდა. ამაში მდგომარეობდა აფრიკის ქრისტიანი მეფის „კეთილშობილი“ სავაჭრო გეგმა. მეორე ელჩი იყო აპოლოში მცხოვრები სომეხი, ქრისტიანი ვაჭარი. ეთიოპიაში მას იცნობდნენ

როგორც მიურატს (მასაც შევხვდი მოკაში, მან საკუთარი ოთახის ნახევარი დამითმო და სასარგებლო რჩევები მომცა, მანვე გადამაფიქრებინა ეთიოპიაში გამგზავრება. ეს სომეხი ვაჭარიც მონების ვაჭრობით იყო დაკავებული, საჩუქრები ჩამოჰქონდა თავისი მეფისთვის, რომელიც თავის მხრივ აღმოსავლეთ ინდოეთში ინგლისის და ჰოლანდიის სავაჭრო კომპანიის ხელმძღვანელებს უგზავნიდა საკუთარი ინტერესების შესაბამისად). მეფემ თავისი ელჩების მთელი ბრწყინვალეების წარსადგენად გულუხვად იზრუნა, ასევე ოცდაათი ახალგაზრდა მონა გაატანა, რომ მოკას ბაზარზე გაეყიდათ და მიღებული თანხით ფინანსურად უზრუნველყოთ ელჩობა. ეს დიდ ხელგაშლილობად ითვლებოდა, რადგან თვითოეული ესეთი მონა, მოკას ბაზარზე, საშუალოდ ოცდახუთი-ოცდაათი ეკიუ ღირდა. გარდა ამისა, ოცდახუთი რჩეული მონა დიდი მოგოლისთვის მისართმევად გაატანა. ამ ღირსეული მეფის საჩუქრებს (განსაკუთრებით ქრისტიანი მეფის) წარმოადგენდა მუჰამედის აღმსარებელი მეფისთვის მიძღვნილი. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეთიოპიაში ქრისტიანული რელიგია განსხვავდებოდა ევროპული ქრისტიანული მოძღვრებისგან. ასევე დიდი მოგოლისთვის საჩუქრად მირთმეული თხუთმეტი ცხენი, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ არაბულს, იშვიათი ჯიშის პატარა ჯორი, სპილოს უზარმაზარი ეშვები, ერთი ეშვის აწევა ძლიერმა მამაკაცმაც ძლივს შესძლო და ციბეტით სავსე ხარის რქა (ციბეტი-წყლის ცხოველი ჯირჯვლებისგან მიღებული ნივთიერება, რომელსაც იყენებენ პარფიუმერიაში და სურნელოვან საკმეველად). ამ რქას ნახევარი ფუტის დიამეტრი ჰქონდა და საკმაოდ დიდი იყო. როცა ეს ყველაფერი სამეფო ღირსების შესაფერისად დაგვირგვინდა, ელჩები გასამგზავრებლად მოემზადნენ, ელჩები გონდერადან, ეთიოპიის დედაქალაქიდან გაემგზავრნენ. ორი თვის განმავლობაში მიდიოდნენ ბეილულამდე, საზღვაო პორტამდე, რომელიც მოკის მოპირდაპირე მხარეს და ბაბ-ელ-მანდებსკის სრუტესთან ახლოს მდებარეობს, (ამ ადგილის შესახებ მოგვიანებით მოგითხრობთ). მათ არ სურდათ საქარავნო გზით წასვლა, რადგან მოუწევდათ კუნძულ მოსუბაზე გადასვლა, სადაც თურქეთის სულთანის გარნიზონი იდგა. ვიდრე ელჩები ბეილულეში ბარჟას ელოდნენ რომ წითელი ზღვა გადაეცურათ, რამდენიმე მონა შიმშილით მოუკვდათ, რადგან ბარჟამ ძალიან დააგვიანა

და საკვების მარაგი ეწურებოდათ, მონებისთვის მისაცემი საკვები თითქმის აღარ გააჩნდათ. როცა მოკაში ჩავიდნენ, მათ საკუთარი საქონელი გაყიდეს და „საელჩო“ ფონდი შეავსეს, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, მაგრამ იმ პერიოდში მონებზე ფასები საკმაოდ დაბალი იყო, რადგან ბაზარზე სხვა ვაჭრებსაც ჰყავდათ გასაყიდად ჩამოყვანილი მონები. მიუხედავად დაბალი ფასებისა, მაინც სარფიანად გაყიდეს მონები და გზას გაუდგნენ. შემდეგ ელჩები ჩასხდნენ ინდურ გემში, რომ სურატამდე მიეღწიათ. იმ ოცი დღის განმავლობაში, გემით რომ მიცურავდნენ, მოუკვდათ რამდენიმე ცხენი, რამდენიმე მონა და ჯორი, რომელიც გაატყავეს და ტყავი შეინახეს. როგორც იქნა მიაღწიეს სურატს და ბიჯაპურის მეამბოხე სახელად სავაჯი, მეამბოხეებთან ერთად თავს დაესხა ქალაქს, გაძარცვეს და გადაწვეს იქაურობა, მათ შორის ელჩების სახლიც, ელჩებმა გადაარჩინეს მხოლოდ წერილები და რამდენიმე მონა, რომლებიც სავაჯმა ვერ მოიხელთა, ვერც ეთიოპიურმა კაბებმა მოხიბლეს სავაჯი, ჯორის ტყავიც და ხარის რქაც ადგილზე დახვდათ, იმ განსხვავებით, რომ ხარის რქა ცარიელი აღმოჩნდა. ელჩები საკუთარ უბედურებაზე ნაღვლობდნენ, თუმცა დიდ ბედნიერებად თვლიდნენ რომ ცოცხლები გადარჩნენ. მათ შესძლეს კუთვნილი რამდენიმე მონის გაყიდვა, ასევე რაც დარჩათ წამოღებული საქონლიდან, იმისგანაც დაიცალეს ხელი, შემდეგ კი სურატის გუბერნატორს მიადგნენ საკვების სათხოვნელად, რომელმაც რამდენიმე დღის განმავლობაში შეიფარა და რამდენიმე ურემიც მისცა, რომ დელიმდე გზა განეგრძოთ. ადრიკანმა, ჰოლანდიის ფაქტორიალის ხელმძღვანელმა, რომელიც ჩემი მეგობარი იყო, სომეხ მიურატს, მისცა სარეკომენდაციო წერილი ჩემს სახელზე, რომელიც მიურატმა დელიში ჩამომიტანა. სასიამოვნო და სასიხარულო იყო მასთან შეხვედრა, ჩვენ, ხუთი-ექვსი წლის განშორების შემდეგ, ისევ შევხვდით ერთმანეთს. ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში ყოველმხრივ დახმარებას შევპირდი. მიუხედავად იმისა, რომ სასახლეში დაახლოებული პირები მყავდა აურენგზიბთან აუდიენციის მიღწევა ვერ მოვახერხე, რადგან მათ საჩუქრებიდან არაფერი აღარ ჰქონდათ შემორჩენილი გარდა ჯორის ტყავისა და რქაში ჩასხმული შავი არყისა, რომელსაც არაკი ეწოდება და ძალიან მოსწონთ. ქალაქში ყველა ხედავდა მათ ყოფას, მათ არ გააჩნდათ ცხენები, თუ მხედველობაში არ

მივიღიბთ ერთ ცხენს, რომელიც ერთ-ერთ მისიონერ მოძღვარს ეკუთვნოდა, არ გააჩნდათ კარვები და ურემი სავალალო მდგომარეობაში მყოფი იყო, ეცვათ როგორც ბედუინებს, შვიდი ან რვა მონის თანხლებით გადაადგილდებოდნენ. ყოველ ღონეს ვხმარობდი, რომ როგორმე დავხმრებოდი და მიუხედავად ამისა, ისინი მდაბიო ადამიანებად მიაჩნდათ და ამიტომ ყველა ცდილობდა არ შეემჩნია მათი არსებობა. ჩემს აღას, დანეშმენდ-ხანსაც ვესაუბრე მათი მეფის სიდიადის შესახებაც, იმედი მქონდა, როგორც ყოველთვის, დაინტერესდებოდა ჩემთან საუბრით, ამ მცდელობამ შედეგი გამოიღო, უკვე მის ინტერესებშიც შედიოდა ელჩების აუდიენცია აურენგზიბთან, მეფისთვის რომ წერილები გადაეცათ, ელჩებს ალბათ სერაპას უბოძებდნენ, აბრეშუმის ქამარს ან ტურბანს. როცა მბრძანებელი წერილებს გაეცნო, ელჩებისთვისაც მოულოდნელად აურენგზიბმა ისინი გულთბილად მიიღო, თითოეულს უწყალობა სერაპა და კიდევ ექვსი ათასი რუპია, მუჰამედის მადიდებელი გამყოლები ოთხი ათასი რუპიით დააჯილდოვეს, ხოლო მიურატს, მხოლოდ ორი ათასი რუპია უწყალობეს, რადგან ის ქრისტიანი იყო. აურენგზიბმა მათი მეფისთვის საჩუქრები გაატანა ელჩებს, უმდიდრესი სერაპა, ვერცხლის გამჭირვალე ორი მილი, ლალის ქვებით მოპირკეთებული ხანჯალი, მიახლოებით ოცდახუთი ათასი ოქროს ფრანკი და ვერცხლის რუპიები. მბრძანებელმა იცოდა, რომ ეს რუპიები ინდოეთის ტერიტორიას ვერ დატოვებდა, რადგან ამ ფულით ინდურ საქონელს იყიდიდნენ ელჩები და მართლაც, ბამბის ქსოვილები შეიძინეს მეფე-დედოფლისთვის, ალაშა (ოქროსა და ვერცხლით ნაქარგი აბრეშუმის ქსოვილები, რომლებსაც საზაფხულო ტანსაცმლის შესაკერად იყენებდნენ) წითელი და მწვანე ინგლისური ქსოვილები მეფის აბბისთვის (არაბული ქურთუკი), დიდი რაოდენობით უხეში ქსოვილები სერალიიის ქალებისთვის და ბავშვებისთვის, რომლებიც ამ ქალებისგან შეეძინა მეფეს. ამდენი საქონელი ელჩებს შეეძლოთ გაეტანათ ინდოეთიდან და საკუთარ ქვეყანაში ჩეტანათ საბაჟო გადასახადის გარეშე. მიუხედავად მიურატთან მეგობრობისა, ძალიან ვინანე რომ დახმარება გავუწიე მათ, პირველ რიგში იმიტომ, რომ მიურატმა თავისი დანაპირები არ შეასრულა და არ დამიტოვა პატარა ბიჭი, რომელშიც 50 რუპიას ვიხდიდი, სომეხმა მაცნობა მისი ახალი ფასის შესახებ, ის ბიჭს სამას რუპიას აფასებდა.

მიუხედავად ამისა, მაინც მზად ვიყავი მეყიდა ვაჟი, შესანიშნავი გარეგნობის გამო. მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ მე გავიგე მიურატმა, ისე როგორც მუჰამედის აღმსარებელმა, აურენგზიბის წინაშე აიღო ვალდებულება დაერწმუნებინა საკუთარი მეფე აღედგინა ეთიოპიაში უძველესი მეჩეთი, რომელიც ოდესღაც პორტუგალიელებმა დაანგრიეს. ეს მეჩეთი აგებული იყო ვიღაც შეიხის, ან დერვიშის სახელზე, რომელიც მექიდან მოვიდა მუჰამედის მოძღვრების საქადაგებლად და როგორც სჩანს წარმატებებისთვის მიუღწევია. ამ მიზნისთვის აურენგზიბმა ორი ათასი რუპია მისცა სომეხს. ეს მეჩეთი პორტუგალიელებმა დაანგრიეს როცა ისინი გოადან ეთიოპიაში მეფის დასახმარებლად ჩამოვიდნენ, რომ მუსულმანების წინაღამდეგ ომში დახმარებოდნენ და მესამე მიზეზი, მან აურენგზიბს თავისი მეფის სახელით სთხოვა მიეცა ყურანი და კიდევ რვასახა წიგნი, რომელიც მუჰამედის რჯულის მქადაგებლებისთვის იყო დაწერილი. მიურატის ასეთი ქცევა ჩემთვის მიუღებელი იყო, რადგან მან ქრისტიანი მეფის წინაღამდეგ გადადგა ეს ნაბიჯი და დამარწმუნა იმაში, რაც მოკეში გამიგონია, ეთიოპიურ ქრისტიანობას, მუჰამედის მიძღვრების სუნი ასდისო და რომ ეთიოპიაში, მუჰამედის მიმდევრების რიცხვი თანდათან იზრდებოდა, განსაკუთრებით მას მერე, რაც ეთიოპიის მეფის სიკვდილის შემდეგ, დედა-დედოფალმა, ქვეყნიდან გაყარა პორტუგალიელები თავიანთი იზუიტ მოძღვართან ერთად, რომელიც პორტუგალიელებმა გოადან ჩამოიყვანეს.

იმ დროის განმავლობაში რაც ელჩები დელიში იმყოფეებოდნენ, ჩემი აღა განსაკუთრებული თავაზიანობით ექცეოდა მათ. ასევე ცდილობდა მათი ქვეყნის შესახებ რაც შეიძლება მეტი გაეგო და ასევე სურდა ინფორმაცია მიეღო ნილოსის შესახებ, რომელსაც აბბაბილს უწოდებდნენ. ელჩები მხოლოდ იმას გვიყვებოდნენ რის შესახებაც უკვე ვიცოდით და შეკითხვებს აღარ საჭიროებდა. ასევე მოგვიყვნენ, რომ ნილოსი სათავეს აგავთა ქვეყნიდან იღებს და გაედინება შემაკავებელ ქანებში, სადაც რამდენიმე პატარა ტბას ჰქმნის, ტბებიდან გამდინარე ნილოსი უკვე წყალუხვია, გზადაგზა კი ბევრი პატარა მდინარე უერთდება და უფრო წყალუხვს ხდის მას. ასევე დასძინეს, რომ მდინარის კალაპოტი დაკლაკნილია და წარმოქმნის კუნძილებს, შემდეგ მაღალი მთებისკენ მიედინება და რამდენიმე ჩანჩქერს წარმოქ-

მნის, დაბლობში კი, დიდ ტბას ჰქმნის, რომელიც კუნძულებითაა მოფენილი. ამ მდინარეში ბევრი ნიანგია, ასევე მდინარის სელაპები. ეს ტბა მდებარეობს დუმბიას მხარეს, გონდარიდან სამი დღის და ნილოსის სათავედან ოთხი-ხუთი დღის სავალზე, შემდეგ ნილოსი ამ ტბიდან მიედინება მრავალი მდინარის და შენაკადების წყალობით უხვი წყლით სავსე. განსაკუთრებით წვიმების პერიოდში დიდდება ნილოსი, ისევე როგორც ინდოეთში, ეს პერიოდი ივლისის თვეში იწყება. შემდეგ ნილოსი ეთიოპიის მეფის მოხარკე, ფუმგების ქვეყნის დედაქალაქისკენ სონნარისკენ მიედინება, იქიდან კი მესრას დაბლობისკენ იღებს გეზს, ესე იგი უკვე ეგვიპტეში მიედინება. ელჩები ყველა საშუალებას იყენებდნენ, რომ რაც შეიძლება მეტი ელაპარაკათ თავიანთი მეფის ძლიერებაზე და ძლევამოსილებაზე, მაგრამ მოგოლი მათ მონათხრობს ეთანხმება, რადგან მეფის მთავარსარდლობით რამდენჯერაც უნახვთ, მათი არმია შეიარაღებულ უბადრუკთა ერთობას უფრო ჰგავს ვიდრე ძლევამოსილ და ბრძოლისუნარიან ჯარს. ასევე გვიყვებოდნენ თავიანთი ქვეყნის განსაკუთრებულობაზე, რომლის შესახებ ცნობები ჩემს მემუარებშია მოხსენიებული. ეხლა მინდა რამდენიმე ფაქტის შესახებ მოგითხროთ, რომელიც მიურატისგან შევიტყვე და ქრისტიანული სახელმწიფოსთვის პარადოქსს წარმოადგენს. მან მითხრა, რომ ეთიოპიაში თითქმის არ არსებობს მამაკაცი, რომელსაც ცოლის გარდა არ ჰყავდეს სხვა ქალებიც, ასევე გამომიტყდა, რომ მას ორი ქალი ჰყავს, გარდა იმისა, ვინც ალეპოში დატოვა. მან მითხრა, რომ ეთიოპიელი ქალები არ იმალებიან, როგორც ინდოეთში მუჰამედის მოძღვრების მიმდევარი ან წარმრთი ქალები. მათთან, ყველა წოდების ქალი ერთ ოთახში შეიძლება შეიკრიბოს და ამით არც ერთმა უხერხულობა არ უნდა იგრძნოს. თუ მე ეთიოპიაში წავიდოდი აუცილებლად მაიძულებდნენ ცოლი მომეყვანა, ისევე, როგორც ერთი ევროპელი აიძულეს რამდენიმე წლის წინ, რომელიც თავს ექიმად ასაღებდა თუმცა სინამდვილეში სასულიერო პირი იყო. ერთხელ ოთხმოცი წლის მოხუცმა, მეფეს თავისი ოთხი ვაჟი წარუდგინა, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ იარაღის ტარება, მეფემ მოხუცს ჰკითხა ყავდა თუ არა კიდევ შვილები, მან უპასუხა რომ მხოლოდ რამდენიმე ასული ჰყავდა. უხეშად გამოაგდეს სასახლიდან მოხუცი, უთხრეს: „ამ ხნის კაცი ხარ და ასე ცოტა შვილები გყავს, უნდა

გრცხვენოდეს, ნუთუ ჩემს სამეფოში სხვა ქალები ვეღარ იშოვნე? “. თვით მეფეს არანაკლებ ოთხმოცი შვილი ჰყავდა, ბავშვები სერალში დარბოდნენ და სკიპტრის მსგავსი მრგვალი ხის ჯოხები ეჭირათ, ან სხვა რაიმე განმასხვავებელი ნიშანი ჰქონდათ, რომ სერალში მცხოვრები მონათა ბავშვებისგან განესხვავებინათ ისინი. აურენგზიბმა ორჯერ მოიხმო ელჩები თავისთან, რათა ეთიოპიაში მუჰამედის რჯულის მიმდევართა შესახებ მეტი გაეგო, ჯორის ტყავის ნახვაც ისურვა მბრძანებელმა, მე ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ტყავი ციხე-სიმაგრეში ოფიცრებთან დაუტოვებიათ, ეს ამბავი ძალიან მეწყინა, რადგან ამ ტყავს ისინი მე დამპირდნენ ჩემი მომსახურეობის საფასურად. ვგეგმავდი, ეს ტყავი რომელიმე სუვენირების მოყვარული ევროპელისთვის მიმერთმია. მე მოვითხოვე რომ ხარის რქა მიერთმიათ, მაგრამ თავი იჩინა ბუნებრივმა შეკითხვამ, თუ ელჩებმა რქის გადარჩენა შესძლეს ყაჩაღებისგან, ტყავის გადარჩენა რატომ გაუჭირდათ? აურენგზიბმა სამეფო კარზე მეცნიერთა საიდუმლო შეკრება მოაწყო, რათა თავისი მესამე შვილისთვის სულთან-აკბარისთვის მასწავლებელი შეერჩია, რამეთუ ის მიაჩნდა მომავალ ტახტის მემკვიდრედ. აურენგზიბის მეცნიერთა კრებულს, მომავალი ტახტის მემკვიდრე ნიჭიერ ახალგაზრდად მიაჩნდათ და სურდათ განათლებულ კაცად აღეზარდათ, რომ მომავლაში ქვეყნისთვის ღირსეული საქმეები ეკეთებიანა. აურენგზიბს კარგად ესმოდა, რომ მომავალ ტახტის მემკვიდრე მარტო სამეფო დიდებულებით არ უნდა გამოირჩეოდეს, რომ მისი დიდებულება განათლებით და კეთილშობილებითაც უნდა გამოირჩეოდეს. აზიის პრინცების აღზრდაში უდიდესი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ახალგაზრდა, ქალების, ევნუხების, რუსი, ჩერქეზი, მეგრელი, თურქმენი და ეთიოპიელი მონების გვერდით იზრდებოდა. ასე აღზრდილი პრინცები შემდეგ მეფეები ხდებოდნენ, რომლებსაც თითქმის არავითარი განათლება არ გააჩნდათ და არ იცოდნენ რას ნიშნავს იყო მეფე. ასევე კარგად ესმოდა მბრძანებელს, რომ ქვეყნის უბედურების და სიღარიბის მიზეზი არასწორი მმართველობა იყო. სერელიდან გამოსულ პრინცებს არ გააჩნდათ მბრძანებლობის უნარი, მათ მხოლოდ ჭირვეულობისა და სხვისი გავლენით კარნახით შეეძლოთ მმათველობა. გაუთვიცნობიერებელი ადამიანების მსგავსად, ეს ადამიანები ან მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობდნენ, ან ცდილობდნენ

უშიშარნი ყოფილიყვნენ, ისინი არასოდეს აკეთებდნენ ლოგიკურ დასკვნებს, წამიერი იდეებით და ლოგიკას მოკლებული აზროვნებით მართავდნენ ქვეყანას, მხოლოდ მდიდრული სამოსი და მდგომარეობა ფარავდა მათ ველურობას და უცოდინრობას. რაც შეეხება სახელმწიფო მართვას, ისინი ამ საქმეს ვეზირებს ანდობენ, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობენ მათ, ახირებებს და მდაბიო სურვილების ასრულებას, შესაბამისად ვეზირები ხდებოდნენ მეფის ძირითადი დასაყრდენები და ისინიც შესანიშნავად იყენებდნენ საკუთარ მდგომარეობას. მათი დედა-მონები აღზევდებოდნენ და ბოროტებისა და შურისძიების კორიანტელს დააყენებდნენ სახელმწიფოში, რადგან მათ მხოლოდ ამის კეთება შეეძლოთ, მათ მხოლოდ ადამიანებზე შურისძიება ამოძრავებდათ. ასეთი მმართველობით ქვეყანაში არაფერი არ განვითარდებოდა და ვინც კი რაიმეს ფლობდა, მუდმივი შიშის ქვეშ მოუწევდა ცხოვრება. ამ ელჩების შემდეგ, რომელთა შესახებაც უკვე გესაუბრეთ, სასახლეში მოვიდა ცნობა სპარსეთის ელჩების მიერ საზღვრის გადმოკვეთის შესახებ. სპარსმა ემირებმა, რომლებიც დიდ მოგოლს ემორჩილებოდნენ გაავრცელეს ხმები, რომ ელჩები მნიშვნელოვანი საქმისთვის მოდიოდნენ, თუმცა გონიერ ხალხს ეჭვი ეპარებოდათ ამ ხმების სისწორეში, რადგან მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოვლენები უკვე მოხდა და სპარსელები მხოლოდ ზეიმებზე და საკუთარი ერის განდიდებაზე ფიქრობდნენ. იგივე სპარსელი ემირები ამბობდნენ, რომ თვით აურენგზიბმა გააგზავნა თავისი ემირი ელჩებთან შესახვედრად, რათა ელჩების მგზავრობა უსაფრთხო ყოფილიყო ინდოეთის მიწაზე. ელჩები „დამოძღვრეს“ მასპინძლებმა, რომ მბრძანებელთან შეხვედრისას „სალამ“-ი მხოლოდ ინდური რიტუალით უნდა შეასრულონ და წერილი, მხოლოდ „მესამე“ პირისგან უნდა მისულიყო მბრძანებლამდე. შეხვედრის დროს ნათლად გამოჩნდა სპარს ელჩებთან შედარებით აურენგზიბის პიროვნული სიდიადე. ელჩების, ჩამოსვლის დღეს, მიაგეს შესაბამისი პატივი. ლამაზად მოერთოთ გზა, სადაც ელჩებს უნდა გაევლოთ, მთელი მილის მანძილზე გზის ორივე მხარეს კავალერია დაეყენებინათ მაღალი რანგის სტუმრების საპატივცემულოდ, რამდენიმე ემირი გვერდში ედგათ ელჩებს და მისიკის თანხლებით მიაცილებდნენ ციხე-სიმაგრემდე და როცა ციხე-სიმაგრეში ანუ მეფის სასახლეში შევიდნენ მათ მობრძანებას ზარბაზნებიდან ზალპით

მიეგებნენ. აურენგზიბმა ელჩები დიდი პატივით მიიღო. არ სწყენია მბრძანებელს ელჩების სპარსულად მისალმებაც, წერილიც პირდაპირ ელჩის ხელიდან მიიღო და თავს ზემოთ ასწია სპარსეთის მეფის ბეჭდით დაბეჭდილი წერილი, ამით პატივი მიაგო სპარსეთს. ევნუხი მიეხმარა მბრძანებელს დაბეჭდილი წერილის გახსნაში. აურენგგზიბმა წერილი დიდი გულისყურით წაიკითხა. შემდეგ ბრძანება გასცა ფარჩის მოსასხამი, ჩალმა და ოქროს და ვერცხლით ნაქარგი ქამარი მიერთმიათ ელჩისთვის, ეს სერეპა, ანუ სამოსი, თავიდან ფეხებამდე, მეფის მოთხოვნით, ელჩს ყველას თვალწინ უნდა ჩაეცვა. შემდეგ ელჩს აგრძნობინეს საჩუქრების მირთმევის დროის დადგომა, განუმეორებელი სილამაზის ოცდახუთი ცხენი მიართვეს აურენგზიბს, შემდეგ ოცი საუცხოო ჯიშის აქლემი, შემდეგ დარბაზში ყუთები შემოიტანეს, ამ ყუთებში (როგორც ამბობენ) იყო შესანიშნავი ვარდის წყალი, რომელსაც ბაიდ-მიშკი ეწოდება, საკმაოდ ძვირად ღირებული და როგორც მითხრეს, ჯამნრთელობისთვის ფრიად სასარგებლო ნივთიერება იყო. შემდეგ, კიდევ ხუთი თუ ექვსი ულამაზესი ხალიჩა გამოფინეს, რამდენიმე ულამაზესი ფარჩაც გამოფინეს, ულამაზესი ყვავილებით იყო მოქარგული ფარჩები და თვალს სტაცებდა მნახველს, მსგავსი სილამაზის ნივთი მე ევროპაშიც არ მინახავს. ძვირფასი ქვებით იყო მოპირკეთებული დამასკური ფოლადის დანა და ხანჯალი, ბოლოს ცხენის აღკაზმულობის რამდენიმე ნაკრები მიართვეს მბრძანებელს. აურენგზიბს ძალიან მოეწონა საჩუქრები და დრო და დრო ქება-დიდებას უძღვნიდა სპარსეთის მეფეს. აურენგზიბმა ყველაზე ძლევამოსილ ემირთა შორის მიუჩინა ადგილი სპარსეთის ელჩს. მგზავრობის შესახებაც გამოჰკითხა სტუმარს და ყოველდღიურად დარბაზში მობრძანების ნებაც დართო. თითქმის ხუთი თვის განმავლობაში, დელიში სპარსეთის ელჩის მასპინძლობა სამეფო ხაზინამ აიღო საკუთარ თავზე და ასევე დიდი პატივით გააცილეს სამშობლოში საპატიო სტუმარი. აურენგზიბმა გამგზავრებისას ისევ გადასცა მდიდრული სერაპა და მდიდრული საჩუქრებიც მიუძღვნა პირადად ელჩს და მისი ბატონისთვის, სპეციალურად ელჩობის მივლინება გადაწყვიტა შესაბამისი საჩუქრების მისართმევად. მიუხედავად პატივისცემისა სპარსელები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ აურენგზიბის მისამართით დარას სიკვდილის და შაჰ-ჯეხანის დაპატიმრების გამო. მის საქციელს არა

საკადრისად მიიჩნევდნენ, როგორც ძმის, ვაჟის და მუსულმანისთვის, ალემ-გირ (მსოფლიოს ამღები) ასე მოიხსენიეს აურენგზიბი, რომელმაც საკუთარ მონეტაზე ამოატვიფრინა ეს სიტყვა. წერილიდან ციტატები მოჰყავდათ „ განა შენ არ ხარ ალემ-გირი, ბისმილლამ (ღმერთის სახელია) რომ მოგიძღვნა ხმალი და ცხენი, გავერთიანდეთ“ ეს ფრაზა გამოწვევას უფრო ჰგავდა.

იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელსაც „საჭირო“ და გვლენიანი მეგობრები ჰყავდეს, საკმარისი ფულიც ჰქონდეს და ცნობისმოყვარეობა არ იტაცებდეს მას. მეც სასახლეში, მეფის კარზე ვიყავი და ცნობისმოყვარეობა მიბიძგებდა გამეგო ყველაფერი რაც იქ ხდებოდა, თუმცა ძნელად დასაჯერებელი იყო „ხმები“, რომელიც წერილის შინაარსის შესახებ დადიოდა, პირადად მე, მხოლოდ უსაფუძვლო მოსაზრებებზე დაფუძნებულ ჭორად მივიჩნევდი, არც ის არის გამორიცხული, რომ სპარსელები საკუთარი თავის ზედმეტი წარმოჩენით და აღზევებით იყვნენ შთაგონებულნი, შესაბამისად იქნებ ეს „ხმებიც“ მათ უკავშირდებოდეს, ვინ იცის. სპარსელები ინდოეთის წინაღამდეგ რაიმე ზემოქმედების უნარს მოკლებულნი იყვნენ, ალბათ სპარსელებს აფიქრებდათ ყანდაგარი არ მიეერთებინა და საკუთარი ქვეყნის ნაწილად არ გაეხადა ინდოეთს და თურქებისგანაც დაეცვა საკუთარი საზღვრები. იმ ეპოქამ შვა უდიდესი მბრძანებელი, ნიჭიერი პოლიტიკოსი, ადამიანი, რომელსაც შეეძლო მინიმალური რესურსების დახარჯვით დიადი საქმეები ეკეთებინა, ეს ადამიანი გახლდათ შაჰ-აბასი. თუკი მას რაიმე ზემოქმედების მოხდენა სურდა ინდოეთზე მუჰამედის მოძღვრების განდიდებით, ან უღმერთობით, მაშინ იბადება კითხვა, რატომ არ გამოიყენა ინდოეთში არც თუ ისე შორეულ წარსულში მიმდინარე შიდა ომები?! მან გულხელი დაიკრიფა და წყნარად აკვირდებოდა დარას, შაჰ-ჯეხანს და სულთან-სუჯას პოლიტიკურ თამაშებს, იქნებ ქაბულის გუბერნატორმა გაიშვირა მისკენ ხელები? შაჰ-აბასს შეეძლო საკუთარი ძალებით მდინარე ინდიმდე დაეპყრო ინდოეთის ტერიტორია და ქაბულის სამეფო და ასე გადაეწყვიტა ყველას ბედი. ალბათ სპარსეთის მეფის წერილში, იყო გარკვეული მინიშნებები და ისეთი მოთხოვნები, ან მითითებები, რომელიც აურენგზიბს არ მოეწონა. ელჩების გამგზავრებიდან სამი დღის შემდეგ, აურენგზიბმა ხმა გაავრცელა, რომ სპარსელების ნაჩუქარ ცხენებს მისი ბრძანებით მყე-

სები გადაუჭრეს და როცა ელჩები საზღვარს მიუახლოვდნენ მათთვის საჩუქრად მიძღვნილი ყველა ინდოელი მონა უკლებლივ ჩამოართვეს. სიმართლე რომ ვთქვათ ისინი საკმაოდ მრავლად იყვნენ, მათი შეძენა თითქმის უფასოდ მოახერხეს გამეფებული შიმშილობის გამო. უნდა აღვნიშნო, რომ აურენგზიბი შეურაცხყოფილად არ მიიჩნევდა თავს, არც მონუსხული გახლდათ შაჰ-ჯეხანის და არც შაჰ-აბასის ელჩების გამო. როცა სპარსელებს სურთ დასცინონ ინდოელებს, ანეგდოტის მსგავს ისტორიებს იგონებენ, მაგალითად როგორიც ეს ისტორიაა: „შაჰ-ჯეხანმა რომელმაც არ დაიშურა დაპირებები და თბილი გარემო, ვერ აიძულა ელჩი, „სალამ“-ი ინდური წესით მიეძღვნა მისთვის. ამიტომ მოიფიქრა ასეთი ფანდი. მან ბრძანა დაეკეტათ „ამხასა“-ს დარბაზის დიდი კარები, სადაც ელჩი უნდა მიეღო შაჰს და ღია დაეტოვებინათ მხოლოდ „გასაძრომი“, სადაც ადამიანი დიდი გაჭირვებით გაივლიდა. ამ „კარის“ გასავლელად წელში ძალიან უნდა მოხრილიყავი და თავი უნდა დაგეხარა, თითქმის ისე როგორც ინდურად „თაყვანისცემის“ რიტუალს შეეფერება. ეს ყველაფერი იმიტომ იყო მოფიქრებული რომ ეთქვათ „ელჩმა თაყვანი ინდური წესისამებრ სცა მეფესო“. ელჩი მიუხვდა „ეშმაკობას“ და ზურგით შევიდა „კარებში“, ამის შემხედვარე შაჰ-ჯეხანმა დანანებით მიუგო „ეჰ ბედბაკ (ეჰ უბედურო), ხომ არ ფიქრობ რომ შენნაირი ვირების საჯინიბოში შედიხარო“. ელჩი არ დაბნეულა და ჰკითხა: „ნუთუ მასთან ვინც მოიფიქრა ასეთი ვიწრო და დაბალი კარებიო?“ კიდევ ასეთ ანეგდოტს ყვებიან, „ ერთხელ შაჰ-ჯეხანმა, რომელსაც ელჩის ენაკვიმატობა არ მოეწონა, ვერ მოითმინა და ჰკითხა „ეკბედბაკტ, ნუთუ შაჰ-აბასს არ ჰყავს კულტურული ხალხი სასახლეში, ასეთი ცალტვინა, რომ გამომიგზავნა შენი სახითო“, ელჩმა უპასუხა, რა თქმა უნდა ჰყავს, ჩემზე განათლებული და პატივცემული ადამიანები, მაგრამ როგორი მეფეც თქვნ ბრძანდებით ელჩიც ისეთი გამოგზავნაო„. ამ ანეგდოტს მოჰყვებიან და თანაც დაამატებენ ხოლმე, რომ ერთხელ შაჰ-ჯეხანს ელჩის თანდასწრებით ბრძანება გაუცია, „სადილი მომართვითო“ და ჩაფიქრებული ჰქონდა რაღაცით დამცირებინა ელჩი, მაგრამ რომ დაინახა ძვალსა ღრღნიდა, გაუკვირდა და ჰკითხა: „ეი ელჩიჯი“ (ბატონო ელჩო), ძაღლებს რაღა ვაჭამოთო? ელჩი არ დაბნეულა და უთქვამს „კიშერი“, ანუ ბოსტნეულის ნაკრები, უბრალო ხალხის ყოველდღიუ-

რი საკვები, რომელიც შაჰ-ჯეხანისთვის ყოველდღიურად მიჰქონდათ სუფრაზე“. შემდეგ შაჰ-ჯეხანმა ჰკითხა, თუ როგორ მოსწონდა ახალი დელი, ელჩმა ხმამაღლა უპასუხა და თან ღმერთის სახელს იფიცებდა, „ბილლა, ბილლა, ისპაჰანი შორს დგას თქვენი დელის მტვრისაგან“, შაჰ-ჯეხანმა ქებად მიიღო ეს სიტყვები. ბოლოს შაჰ-ჯეხანმა ელჩისგან სპარსეთის მეფეებთან შედარებით ინდოეთის მეფეთა სიდიადეზე აზრის გამოთქმა სთხოვა. მან უპასუხა, რომ ინდოეთის მეფეები თხუთმეტი-თევზმეტი დღის დიდ მთვარეს შეიძლება შადარო, მაშინ როდესაც სპარსეთის მეფენი დაბადებიდან ორი-სამი დღის მთვარესა

ჰგვანან. თავიდან მეფეს მოეწონა პასუხი, მაგრამ მალევე მიხვდა პასუხის აზრს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ „თქვენ დიდებას უკვე მიაღწიეთ და ეხლა პატარავდებით, ხოლო სპარსეთი კი ჯერ კიდევ იზრდება როგორც ახალი მთვარეო“. ყველას უფლება აქვს თავისებურად განსაჯოს ამ ანეგდოტების არსი და შეესაბამება თუ არა ელჩის გონებამახვილობის მაგალითებს. მე კი ასე მიმაჩნია, ელჩის მთავარი ღირსება მოკრძალებულ და ღირსეულ ქცევებშია და არა დაცინვაში ან ნიშნის მოგებაში, მაშინ როდესაც საქმე მეფეებთან გაქვს არასოდეს არ არის გამართლებული დასცინო მეფეს, ვერც ვერავინ განსაზღვრავს ამ დაცინვას რა შედეგი მოჰყვება თავად ელჩისთვისაც.

სპარსეთის ელჩის გასტუმრების შემდეგ აურენგზიბმა თავისი მასწავლებელი მულლე-სალე მიიღო და განსაცვიფრებელი დახვედრა მოუწყო მას. მოხუცი მასწავლებელი უკვე დიდი ხანია ქაბულში შაჰ-ჯეხანის მიერ ნაწყალობევ მიწაზე ცხოვრობდა. როცა გაიგო, რომ აურენგზიბმა დაამარცხა თავისი ძმები და ინდოეთის მეფე გახდა, დელიში ჩამოვიდა იმ იმედით, რომ ემირის თანამდებობას მიიღებდა. ის მიდის სასახლეში, ყოველმხრივ ცდილობს მეეფესთან შეხვედრას, მეგობრებსაც სთხოვს დახმარებას, რუშენარა-ბეგუმიც კი ჩაერთო საქმეში. ამასობაში სამი თვე გავიდა, აურენგზიბი კი ისე იქცევა, ვითომ ვერ ამჩნევს მას და როცა მობეზრდა მოხუცის მიმართ თვალის არიდება ბრძანა განცალკევებულ შენობაში მიეყვანთ მოხუცი მასთან შესახვედრად სადაც ხაკიმელ-მულკას, დანეშმენდ-ხანის და სამი-ოთხი იმ ემირთაგანის, რომლებიც მეცნიერობაზე აცხადებდნენ პრეტანზიას, მეტი არავინ იქნებოდა. საუბარი აურენგზიბმა დაიწყო: „მულლანჯი (ბატონო მასწავლებელო), რისი მიღების სურვილი გაქვს? რას ელი ჩემგან? შენ ფიქრობ, რომ ჩემს სამეფო კარზე პირველ ემირად გაქცევ? ეჭვგარეშეა ეს გონივრული იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ შენ მასწავლიდი როგორ გამეკეთებინა ეს, მე ვფიქრობ, რომ კარგად აღზრდილი ბავშვი ვალდებულია მასწავლებლის წინაშე, ისევე როგორც მამის წინაშე, შესაძლოა უფრო მეტადაც. მაგრამ სად არის ის ბრწყინვალე სწავლება, რომელსაც მე მაძალებდი? შენ პირველ რიგში მასწავლე, რომ „ფრანგი-სტანი“ პატარა კუნძულია, სადაც ჯერ პორტუგალიელი, მოგვიანებით ჰოლანდიელი და შემდეგ ინგლისელი მეფე მეფობდა. რაც შეეხება სხვა მეფეებს, მაგალითად საფრანგეთის და

ანდალუზიის მეფეებს, შენ მათ „მიხატავდი“ როგორც „პატარა“ რა-ჯებს, ამით გსურდა მე გამეგო, რომ ინდოეთის მეფეები ყოველ მათ-განზე მაღლა დგანან როგორც გუმაიონები, აკბარები, ჯეიხან-გირები, შაჰ-ჯეხანები, დიდებული და ბედნიერი მსოფლიოს მეფეები, სამყაროს მბრძანებლები და რომ სპარსეთი, უზბეკეთი, კაშგარი, სათათრეთი და ჩინეთი, პეგუ, სიამი, ჩინი და მაჩინი, კანკალებენ ინდოელ მეფეთა წინაშე. საინტერესო გეოგრაფიაა, მეთანხმებით? შენ უნდა მასწავლო ზუსტად, როგორ გავარჩიო ეს სახელმწიფოები ერთმანეთისგან, კარ-გად ამიხსნა მათი ბრძოლის მეთოდები, მათი ჩვევები და რელიგია, მმართველობის ფორმები, მათი ინტერესები, მათი განვითარების მე-თოდები, რა შემთხვევაში მიიღწევა დიდი გარდაქმნები და გადატრია-ლებები. მე, შენგან ძლივს გავიგე ჩემი წინაპრების ვინაობის შესახებ, ამ სახელმწიფოს დამაარსებლების შესახებ. შენ გსურდა არაბული ენა გესწავლებინა ჩემთვის, მე ამით დავალებული ვარ შენს წინაშე, რომ ამდენი დრო დამახარჯვინე იმ ენის შესწავლაში, რომლის შესწავლას ათი და ოცი წელი სჭირდება, რომ სრულად ფლობდე მას, თქვენ მიიჩ-ნიეთ, რომ მეფის შვილი პრეტენზიას უნდა აცხადებდეს გრამატიკის უზადოდ მცოდნეობაზე, ან სხვა ენების სრულად ცოდნაზე, გარდა მი-სი მეზობლების ენისა, თუ მას შეუძლია იოლად გვერდი აუაროს მას, თქვენ გგონიათ, რომ არსებობენ ისეთი გონიერი ადამიანები, რომლე-ბიც სიტყვების ცოდნის გარეშე შესძლებენ უცხო ენაზე საუბარს?!“ — აი რა უთხრა აღელვებულმა აურენგზიბმა მასწავლებელს. ზოგიერთმა მეცნიერმა ალბათ რომ ესიამოვნებინათ მბრძანებლისთვის, ან თემის გასავრცობად, ან უბრალოდ შურის გამო, რომელიც მულლეს მიმართ გააჩნდათ, გაავრცელეს ჭორი, თითქოს ამ საუბრით ის არ გაბრაზე-ბულა და განყენებულ თემებზე საუბარს დაუთმეს გარკვეული დრო, მათ შორის საუბარი შემდგომ ასე წარიმართა: „ნუთუ შენ არ იცოდი, რომ სწორად აღზრდილი ბავშვი შეითვისებს ცოდნას და მრავალ სა-უკეთესო შეგონებას, რომელიც მის გონებაში სამუდამოდ დარჩება მთელი სიცოცხლის განმავლობაში და დიდი მიზნებისთვის გამოიყე-ნებს. ნუთუ არ შეიძლება კანონები, ლოცვები და მეცნიერება შეასწავ-ლო მშობლიურ ენაზე და არა არბულად? შენ არწმუნებდი მამაჩემს, შაჰ-ჯეხანს, რომ ფილოსოფიას მასწავლიდი. მართალია მე მახსოვს, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში უსაფუძვლო და არაფრის მომ-

ცემი სწავლებით ვიყავი დაკავებული და ჩემს გონებას არავითარ საზ-
რდოს არ აძლევდი, მე შენი სწავლებისგან არაფერი გამომდგომია,
მე მათ ძნელად ვიგებდი და ადვილად ვივიწყებდი. შენი სწავლება
მხოლოდ მოწყენილობის განქარვება იყო, რომელიც ჯანმრთელ გო-
ნებას აჩლუნგებს. მე ასევე მახსენდება შენი „შესანიშნავი“ ფილოსო-
ფიური შეგონებანი, საიდანაც მხოლოდ ბარბაროსული და გაუგებარი
სიტყვების მარაგი დამრჩა, რომელიც ნიჭიერებას „აშინებს“ მხოლოდ.
ეს ყველაფერი მოგონილია მხოლოდ შენნაირი უსინდისო ადამიანების
პატივმოყვარეობის დაფარვის მიზნით, რათა დაგვარწმუნონ რომ ყვე-
ლაფერი იციან და უსაგნო მეტყველების მიღმა თითქოს დიდი სიბრძნე
იმალებოდეს, რომლის აღქმის უნარიც მხოლოდ თქვენ გაგაჩნიათ. შენ
რომ ჩემთვის ის ფილოსოფია გესწავლებინა, რომელიც გონების ფორ-
მირებას უწყობს ხელს, აიძულებს იაზროვნოს და გონიერი გადაწყვე-
ტილების ფორმირების საშუალებას იძლეოდეს, შენ რომ ჩაგენერგა
ჩემთვის დიადი სწავლება-შეგონებები, რომლებიც სულიერად ზრდის
ადამიანს და ბედისწერის უკუღმართობის წინაშე ურყევ ნებას ინარ-
ჩუნებს, იყოს ყოველთვის გაწონასწორებული და თანმიმდევრული
და კიდევ შენ რომ სწორედ აგეხსნა ვინ ვართ ჩვენ, რას წარმოად-
გენს შემეცნების პირველწყარო და მასზე დაყრდნობით დამხმარე-
ბოდი წარმომედგინა და განმევითარებინა მსოფლიოს სიდიადის და
მრავალფეროვნების სწორედ აღთქმის უნარი, რას წარმოადგენს მისი
მამოძრავებელი ძალა, შენ რომ ჩემთვის ეს ფილოსოფია გესწავლები-
ნა, მე ბევრად უფრო მადლიერი ვიქნებოდი შენი, ვიდრე ალექსანდრე
იყო არისტოტელეს მიმართ. მე თავს ვალდებულად ჩავთვლიდი იმა-
ზე მეტად დამესაჩუქრებინე ვიდრე არისტოტელე დაასაჩუქრეს თავის
დროზე. რატომ არ მასწავლე რამდენად არის ვალდებული ხელმწიფე
ქვეშემდომთა მიმართ და ქვეშემდომნი ხელმწიფის მიმართ? ნუთუ არ
გაგითვალისწინებია, რომ ოდესმე მე მომიწევდა ძალაუფლებისთვის
ჩემი ძმების წინაღამდეგ ბრძოლა?! განა ეს არ არის ყველა უფლის-
წულის ბედისწერა ინდოსტანში?! გისწავლებია ჩემთვის როგორ და-
ვიცვა ალყაშემორტყმული ქალაქი, ან როგორ უნდა განვალაგო არმია
ეფექტური ბრძოლისთვის?! რა კარგია რომ ამ ყველაფრის შესახებ
შენს გარდა სხვებს ვეკითხებოდი. ეხლა კი, წადი შენს სოფელში, დაე
ვერავინ გაიგოს ვინ იყავი და როგორ იცხოვრებ მომავალში“.

იმ პერიოდში ასტროლოგთა შორის მცირე უთანხმოება მოხდა. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ აზიელების უმეტესობას ღრმად სწამთ ასტროლოგიის და ასევე მიიჩნევენ რომ ნებისმიერი მოვლენა წინასწარ ცაზე აისახება. ნებისმიერი წამოწყების საწყის ეტაპზე, პირველ რიგში რჩევას ასტროლოგისგან იღებენ. მაშინაც კი, როცა ორი არმია ერთმანეთის წინაღამდეგ საბრძოლველად მზად არის, ისინი არავითარ შემთხვევაში ბრძოლას არ დაიწყებენ სანამ ასტროლოგი „სახატ“-ს არ მიიღებს, ანუ ბრძოლის დასაწყებად ხელსაყრელ დროს არ განსაზღვრავს. თუ საკითხი მხედართმთავარს, ელჩის გამგზავრბას, ქორწინებას, მოგზაურობას, მონების ყიდვას, ახალი კაბის ჩაცმას შეეხება, ასტროლოგის გარეშე, არც ერთი საკითხის გადაწყვეტა არ ხდება. მათ მიაჩნიათ, რომ მოვლენების და საქმეების მაშტაბების მიუხედავად ასტროლოგმა ყველაფერი იცის და ეს მოვლენა ხშირად გარკვეულ უხერხულობას და გაურკვევლობას ჰქმნის და აი მოხდა უბედურება, სამეფო კარის მთავარი ასტროლოგი წყალში დაიხრჩო. ამ ფაქტმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ასტროლოგებისადმი ნდობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ყველამ იცოდა, რომ მეფისთვის და ემირებისთვის ის ადგენდა „სახატ“-ს. ყველას უკვირდა ასეთი გამოცდილმა ადამიანმა, რომელიც სხვებს უწინასწარმეტყველებდა მომავალს, საკუთარი უბედურების განჭვრეტა როგორ ვერ შესძლო. ზოგიერთები, უფრო განვითარებული და ნაკითხი ადამიანები კი ამბობდნენ, რომ ფრანგოსტანში, სადაც მეცნიერება აღმავლობის გზაზე დგას და ვითარდება, ასტროლოგიას ეჭვის თვალით უყურებენ და ასტროლოგები შარლატანებად მიაჩნიათ და შესაბამისად ისინი ასტროლოგიას თვლიან საფუძველ-მოკლებულ რწმენად, რომელსაც არავითარი მყარი არგუმენტები არ გააჩნია და რომ ასტროლოგია ერთგვარი საშუალებაა მოსახლეობაზე და თუნდაც დიდებულებზე გარკვეული ზემოქმედების მოსახდენად. ასეთი საუბრები ასტროლოგებს არ სიამოვნებდათ რადგან მათი ავტორიტეტი და მათდამი ნდობა მოსახლეობაში ეჭვქვეშ დადგებოდა. ანეგდოტიც კი შეთხზეს ამ თემასთან დაკავშირებით, „ ერთხელ სპარსეთის მეფე შაჰ-აბასის ბრძანებით, სერალის ეზოში ბაღის გასაშენებლად მიწა დაამუშავეს. მებაღე მეორე დღეს აპირებდა ნარგავების დარგვას, ასტროლოგმა საკუთარი ავტორიტეტის ამაღლების მიზნით შესაფერისი დრო, „სახატ“-ი დაადგინა,

თუ როდის უნდა დარგულიყო მცენარეები. შაჰიც დაეთანხმა. ასტროლოგმა გადაშალა თავისი წიგნები და დაიწყო გამოთვლები, შესაბამისად მივიდა დასკვნამდე, რომ რაღაც მოვლენის გამო, რომელიც რომელიღაც პლანეტას უკავშირდება, მცენარეების დარგვა უნდა დაეწყოთ დაუყოვნებლივ. მთავარი მებაღე ასტროლოგზე საერთოდ არ ფიქრობდა და იმ დროს ადგილზე არ იმყოფებოდა, მიუხედავად ამისა ბაღში ორმოები ამოთხარეს და ნერგების დარგვა დაიწყეს, თვით შაჰ-აბასიც ღებულობდა მონაწილეობას ბაღის გაშენებაში. შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი ხელით გააშენა ბაღი. საღამოს დაბრუნებული მებაღე გაოცდა. ხეები არ იყო იმ ადგილას დარგული სადაც მან მონიშნა და არც ისე იყო განლაგებული როგორც დაგეგმა. მებაღე ძალიან გაბრაზდა ასტროლოგზე და ბრძანება გასცა ყველა ნერგი ამოეთხარათ და ისე დაელაგებინათ როგორც ელაგა, მიწაც მიეყარათ რომ ფესვები არ გამხმარიყო. მეორე დღისთვის დაგეგმა ნერგების წესისამებრ დარგვა. ამის შესახებ შეატყობინეს ასტროლოგს, რომელმაც თავის მხრივ შაჰ-აბასს აცნობა, შაჰმა მებაღის მოყვანა ბრძანა. განრისხებულმა შაჰმა მებაღეს ჰკითხა, რა უფლებით ამოთხარა მისი ხელით დარგული ნერგები, „სახეტ“-იც ზუსტად იყო შეჩეული და მან, მებაღემ, ყველაფერი გააფუჭა და დაღუპა. გამბედავმა მებაღემ, რომელსაც შირაზიული ღვინო ჰქონდა დალეული, ალმაცერად შეხედა ასტროლოგს და ჰკითხა: „ალბათ მართლაც კარგი „სახატ“-ი გამოგსვლია ხეებისთვის წყეულო ასტროლოგო, ხეები დღეს შუა დღისას დაირგო და საღამოთი კი ამოითხარა“. შაჰ-აბასმა ეს რომ გაიგონა ხარხარი აუტყდა, ასტროლოგს ზურგი შეაქცია და წავიდა. შაჰ-ჯეხანის დროს მომხდარ კიდევ ორ ფაქტს ყვებიან, რადგან მსგავსი შემთხვევები არც თუ ისე იშვიათად ხდება ცხოვრებაში და გვაიძულებენ ყურადღება მივაქციოთ ძველ ბარბაროსულ წესებს, ეს წესი კი, იმაში მდგომარეობს, რომ ვინც მეფის სამსახურში ყოფნის პერიოდში გარდაიცვლებოდა მისი საკუთრება ინდოეთის მეფის ხელში გადადიოდა. პირველი შემთხვევა სამეფო კარზე ერთ-ერთ ყველაზე მხცოვან ემირს ნეიკნამ-ხანს ეხება, რომელმაც დიდი ხნის განმავლობაში სხვადასხვა დიდ თანამდებობებზე იმსახურა სამეფო კარზე და სიმდიდრეც დააგროვა. ამ დიდებულმა როცა სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, ძველმა წესმა სერიოზულად დააფიქრა, ქმრის სიკვდილის შემდეგ მი-

სი კეთილშობილი მეუღლე სიღარიბეში აღმოჩნდებოდა და მცირეოდენი პენსიის მისაღებად მრავალი დამცირების გადატანა მოუწევდა, ხოლო შვილები, უბრალო ჯარისკაცებად უნდა ჩაწერილიყვნენ რომელიმე ემირის არმიაში. მან თავისი ქონების ნაწილი უპოვართ დაურიგა და სკივრები კი რჯინის ჯართით, ძველმანებით გაავსო, დაბეჭდა და განაცხადა: „ჩემი სიკვდილის შემდეგ ეს ყველაფერი შაჰ-ჯეხანს ეკუთვნისო“. ემირის სიკვდილის შემდეგ სკივრები ფადიშაჰს მიართვეს ემირებთან თათბირის დროს. მისივე ბრძანებით იქვე გახსნეს სკივრები და მათ იხილეს ეს საოცარი „განძეულობა“. ამ ფაქტმა იმდენად გააღიზიანა და აღაშფოთა შაჰი, რომ დაუყოვნებლივ დატოვა თათბირი და წავიდა.

მეორე შემთხვევა უფრო სახალისოა. გარდაიცვალა მდიდარი ბანიანი (წარმართი ვაჭარი) და უფროსი მევახშე, რომელიც ფადიშაჰის სამსახურში იდგა და ჯამაგირს ღებულობდა. რამდენიმე წლის შემდეგ როცა მისი ვაჟი წამოიზარდა, დედისგან მუდამ თხოულობდა ფულს. ქვრივი დედა ხედავდა, რომ მისი ვაჟი უსაქმური და მატყუარა იყო და ამიტომ რაც შეიძლება ცოტა ფულს აძლევდა, რომ მამის დანატოვარი ქონება არ გაეფლანგა. დედაზე განაწყენებულმა სულელმა ბიჭმა, იმის გამო, რომ დედა ცოტა ფულს აძლევდა, შაჰ-ჯეხანს ეახლა და გარდაცვლილი მამის ქონების შესახებ უამბო, რომელიც ორასი ათას ეკიუმდე აღწევდა. შაჰ-ჯეხანს სურდა დროულად აეღო მევახშის დანატოვარი თანხა. მეფემ ქვრივ ქალთან გაგზავნა ხალხი და ბრძანა ემირთა კრებულის წინაშე, ასი ათასი რუპია გამოეგზავნა მისთვის, ორმოცდაათი ათასი შვილისთვის მიეცა, ხოლო თვითონ მოხუცი ქვრივი ქალი კი სასახლიდან გეძევებინათ. გაუკვირდა მოხუც ქალს მეფის ასეთი ბრძანება, გაოცდა, რომ ასე უდიერად სურდათ მისი გაძევება სასახლიდან, ქალმა ყვირილი დაიწყო, ის ამბობდა რომ სურდა ფადიშახისთვის რაღაც საიდუმლო გაენდო. ქალი ფადიშახს მიჰგვარეს. ქალი საკმაოდ მიუახლოვდა ფადიშახს და მიმართა: „ ხაზრეტ სალამატ, ღმერთი გფარავდეთ თქვენო უდიდულესობავ, მე ვხედავ რომ ჩემს შვილს უფლება აქვს მოითხოვოს მამამისის ფული, მის ძარღვებში მამამისის და ჩემი სისხლი ჩქეფს და ის ჩვენც მემკვიდრედ ითვლება, მაგრამ მე მსურს ვიცოდე, რა ნათესაური კავშირი გაქვთ ჩემს განსვენებულ მეუღლესთან, რომ მის მემკვიდრეობას ითხოვთ?

„შაჰ-ჯეხანმა როცა მოისმინა ამ ქალის გულუბყვილო შეკითხვა მის ქმართან ნათესაობის შესახებ, გაიცინა და ბრძანა, არაფერი არ გამოერთმიათ მისთვის. მე აღარ მოგითხრობთ ყველა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, რომელიც ომის შემდგომ პერიოდში მოხდა, დაახლოებით 1660 წლიდან ჩემს წასვლამდე, მე ექვსი წლის განმავლობაში ვიმყოფებოდი ინდოეთში, მე მსურს გიამბოთ ხუთი-ექვსი ფაქტის შესახებ, რომელიც საშუალებას მოგცემთ გაიცნოთ მოგოლები და ინდოელები და მიმაჩნია, რომ ამ წიგნის მკითხველს აუცილებლად დააინტერესებს.

პირველ რიგში შაჰ-ჯეხანის შესახებ, რომელიც აურენგზიბმა დააპატიმრა აგრას ციხე-სიმაგრეში ყოველგვარი დაცვის და სიფრთხილის ზომების გათვალისწინებით. შაჰთან დატოვა ბეგუმ-საჰაბი ქალების მთელი შტატით, მომღერლები, მოცეკვავეები, მზარეულები და სხვები. ამ მხრივ შაჰ-ჯეხანი არავითარ უკმარისობას არ განიცდიდა, გამოყოფილი იყო ასევე მოლა, რომელიც ყურანს უკითხავდა მეფეს(ის უკიდურესად უღვთო გაახდა). მისი გართობის მიზნით მეფესთან მიჰყავდათ ცხენები, მოჩხუბარი ფრინველები და სხვა ცხოველები და ფრინველები, სხვა ეგზოტიკური ცხოველები, ეს ყველაფერი მეფის გართობისთვის კეთდებოდა. აურენგზიბმა თავაზიანი, პატივისცემის გამომხატველი და მორჩილებით აღსავსე წერილების საშუალებით მამის სიამაყე და სიბრაზე დაამარცხა. მან იმასაც მიაღწია, რომ თვით შაჰ-ჯეხანი სწერდა წერილებს, რომელშიც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს განიხილავდა და რჩევებს აძლევდა მას. რამდენიმე ძვირფასი ქვაც კი გაუგზავნა, რომლებიც სამეფო ტახტის მოპირკეთებისთვის იყო საჭირო, აურენგზიბის მიერ ამ ქვების მოთხოვნას ადრე, უარით უპასუხა მეფემ. შაჰ-ჯეხანმა დარას ასულიც გაუგზავნა, შემდეგ პატიება უწყალობა და კურთხევაც მისცა, რასაც აურენგზიბი ამდენი ხანი ელოდა და სთხოვდა. არ შეიძლება ითქვას რომ აურენგზიბი მხოლოდ პირმოთნე წერილებს წერდა მამას და მის მრისხანე წერილებს, მორჩილების პასუხებით არ პასუხობდა. ამის შესახებ წერილებითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ... „თქვენ გსურთ, რომ მე მივდიო ძველ წეს-ჩვეულებებს და გავხდე იმათი მემკვიდრე, ვინც ჩემს მიერ გადახდილი ჯამაგირით ცხოვრობდა, შევასრულო ეს ტრადიცია წარბშეუხრელად. ახალგარდაცვლილ ემირის, ან ვაჭრის

ოჯახს მივადგე და სკიბრები „დავუბეჭდო“, ხელში ჩავიგდო მისი სიმდიდრე, მოვძებნო ყველაფერი, რაც მას სიცოცხლეში ეკუთვნოდა, ციხეში ჩავყარო მისი მსახურები და ვიძალადო მათზე, რომ უმნიშვნელო ძვირფასეულობაც კი არ გამომრჩეს და მივითვისო. მე მზად ვარ ვირწმუნო, რომ ასეთ ქცევაში იყო რაღაც პოლიტიკა, მაგრამ ხომ ვერ ვუარვყოფთ, რომ მასში სისასტიკე და უსამართლობა სჭარბობს. რომ ვთქვათ სრული სიმართლე, ჩვენ ვიმსახურებთ მდიდარი ვაჭრის ნეიკნამ-ხანსა და მის ქვრივის ისტორიის მუდმივად შეხსენებას. გარდა ამისა მე, როგორც ფადიშაჰი თქვენს წარმოდგენაში ამბიციურად ამაყი ადამიანი ვარ, თქვენმა ორმოცწლიანმა მეფობამ ვერ გასწავლათ რა მძიმეა მეფის გირგვინი, რამდენი მშფოთვარე დღე და ღამე მოაქვს მეფობას. ნუთუ მე შემიძლია დავივიწყო მირ-თემურის შესანიშნავი თვისება, რაზედაც მოგვითხრობს ჩვენი დიდი წინაპარი აკბარი, რომელიც შეგვახსენებს რითი უნდა ვიამაყოთ და რა გვაქვს საამაყო, როგორც თქვენ იცით ის თემურზე წერდა, „თემურმა ტყვედ აიყვანა ბაიაზეტი და ბრძანა დაუყოვნებლივ მიეყვანათ მასთან, რათა მისი სახისთვის შეევლო თვალი, სიცილი დაიწყო თემურმა, ბაიაზეტმა კი უპასუხა. „ნუ დასცინი ჩემს უბედურებას თემურ, რადგან მხოლოდ ღმერთის მოწყალებაა მეფობაც და იმპერიაც, შეიძლება ხვალ შენ აღმოჩნდე ჩემს მდგომარეობაში“ თემურმა წყნარად და თავაზიანად უპასუხა: „მე შენზე კარგად ვუწყი ბაიაზეტ, რომ ღმერთის მოწყალებაა მეფობაც და იმპერიაც, მე არ დავცინი შენს უბედურებას, ღმერთმა მაშოროს, მაგრამ როცა შევხედე შენს სახეს, თავში ერთმა აზრმა გამიელვა, მეფობაც და იმპერიებიც მხოლოდ ღმერთის ნებაა, მაგრამ ალბათ ესეც უმნიშვნელოა, რადგან მხოლოდ ღმერთი ურიგებს ამ ტიტულებს ადამიანებს, ისეთებსაც როგორიც ჩვენ ვართ, შენ ბრმა ხარ ერთი თვალით მე კი კოჭლი“. თქვენ გსურთ, რომ მე მივივიწყო ჩემი „სხვა“ ცოდნა, რომელსაც უაღრესად საჭიროდ მივიჩნევ სახელმწიფოს გაძლიერების საქმეში და ვიფიქრო მხოლოდ დაპყრობებზე, რათა გავაფართოვო იმპერიის საზღვრები? მე მიმაჩნია, რომ ჩემი ცოდნა სრულად შეეფერება მონარქს, შეეფერება სამეფო სულს, ასე რომ არ იყოს, მე არ ვიქნებოდი დიდი თემურის შთამომავალი. მე მიმაჩნია, რომ არ ვზივარ გულხელაკრეფილი და არც ჩემი არმიაა უმოქმედოთ, დეკკანში და ბენგალიაში. ასევე უნდა ავღნიშნო, რომ

დიდი დამბყრობლები ყოველთვის არ არიან დიდი მეფეები, უმეტეს შემთხვევაში დამბყრობლებში ბარბაროსებს ხედავენ და მათი ხელით შექმნილი თავისთავად ინგრევა, როგორც ჩვენ ვხედავთ, მოკლე ხანში დაცემამდე მიდიან. დიდებული ხელმწიფე კი ის არის, ვისაც ღირსეულად შეუძლია ქვეყნის მართვა და ვინც სიმართლის და კანონის უზენაესობას დაამკვიდრებს ქვეყანაში.... „ ამ წერილის ბოლო ფურცლები კი ველარ მოვიპოვე.

მეორე ფაქტი ემირ-ჯემლას ეხება. უსამართლობა იქნებოდა ამ უდიდესი პიროვნების შესახებ არ გვეთქვა ორიოდე სიტყვა, როგორ მოიქცა ომის შემდეგ და როგორ განადიდა ის აურენგზიბმა. ამ ადამიანმა ბენგალიაში დაამარცხა სულთანი-სუჯა, არა ისე, როგორც ჯიონ-ხანი, ეს ამაზრზენი პატანი, დარა, ან სერენ–აგარსის რაჯა და სულეიმან-შეკუ, არამედ როგორც დიდმა მხედართმთავარმა და მოქნილმა პოლიტიკოსმა, რომელმაც ზღვასთან მიიმწყვდია და შემდეგ გაქცევის საშუალება მისცა. შემდეგ კი აურენგზიბს საკუთარი ოჯახის ბენგალიაში წამოყვანის უფლება სთხოვა. ის წერდა, რომ ამ ომის გამო, გადაიღალა და ენერგიისგან დაიცალა, იმედოვნებდა საკუთარ ცოლ-შვილთან ერთად დაელია წუთისოფლის დღენი. მაგრამ აურენგზიბს არ გასჭირვებია ემირის გეგმების გამოცნობა. მან შესანიშნავად იცოდა ემირის რეპუტაციის შესახებ, მხედართმთავარი, რომელმაც სუჯა დაამარცხა, მას ჭკვიან, გამბედავ და მდიდარ ადამიანად მიიჩნევდა, ხოლო ბენგალიის სამეფო არა მარტო საუკეთესოა ინდოეთში, არამედ ძლიერიც. ემირი გამობრძმედილი არმიის სათავეში დგას, რომელიც იმდენად სცემს პატივს, რამდენადაც ეშინია მისი, გარდა ამისა აურენგზიბი იცნობს მის პატივმოყვარეობას და იცის, რომ თუ მისი ვაჟი მახმეთ-ემირ-ხანი მასთან იყო, იგი აუცილბლად სამეფო გვირგვინისკენ გაიწვდიდა ხელს, დაიპყრობდა სამეფოს და ბენგალიას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადებდა, ან იქნებ უფრო „შორსაც“ წასულიყო. უარის თქმაც სახიფათო იყო, რადგან შესაძლებელია უკიდურესობამდე მისულიყო და გაემეორებინა „გოლკონდი“.

რა ექნა მეფეს? აურენგზიბმა ცოლი, ქალიშვილი და მისი ვაჟის ყველა შვილი გაუგზავნა, ემირს კი მიანიჭა მირ-ულ-ომრას წოდება, რაც სახელმწიფოში უმაღლეს წოდებას წარმოადგენდა, ეს წოდება მხოლოდ ხელმწიფის უსაყვარლეს ადამიანს შეეძლო ეტარებინა. რაც

შეეხება მახმეთ-ემირ-ხანს, დიად ბაკშამდე აღზევდა, რაც კავალერიის მხედართმთავარს ნიშნავს. ეს მეორე-მესამე თანამდებობაა სახელმწიფოში. თავის მხრივ ემირსაც კარგად ესმოდა, რომ აურენგზიბმა „დარტყმა“ მოიგერია. საკუთარი ვაჟის „მოთხოვნას“ უკვე ვეღარ შესძლებს, ეხლა უპრიანია დაკმაყოფილდეს გაცხადებული მეგობრობით, ნაწყალობევი ტიტულით და ბენგალიის გუბერნატორის თანამდებობით, მაგრამ მუდმივად ყურედღებით უნდა იყოს, რადგან თუ ის ვერაფერს მოიმოქმედებს აურენგზიბის წინაღამდეგ, აურენგზიბმა რაიმე არ მოიმოქმედოს ემირის წინაღამდეგ. აი ასე მოქმედებდა ეს ორი დიდი ადამიანი. ასეთ მდგომარეობაში ერთმა წელმა გაიარა. აურენგზიბმა იცოდა, რომ დიდი მხედართმთავრები ვერ უძლებდნენ დიდხანს სიმშვიდეს და თუ არ იქნებოდა „გარეშე“ ომები, შესაძლოა შინა ომში გახვიოს ქვეყანა და შესთავაზა ომი დაეწყო მდიდარ და ძლევამოსილ რაჯა ასსამასთან, რომლის სამფლობელო დაკიდან ბენგალიის ყურემდე იყო გადაჭიმული. ემირს ეტყობა თავადაც ჰქონდა ასეთი განზრახვა, რომ ამ ქვეყნის დამორჩილებას შეძლებდა, გზა ხსნილი ჰქონდა წარმოუდგენელი დიდებისკენ. მისი დიდება ჩინეთამდეც კი ჩააღწევდა. ისინი დაკაში ჩაჯდნენ გემებში და ძლევამოსილი არმიით მდინარეში გააცურეს, ეს მდინარე რაჯას ქვეყნისკენ მიედინებოდა. ჩრდილოეთით, ასი ლიეს გავლის შემდეგ, მდინარე აღმოსავლეთით უხვევდა, გზად ციხე-სიმაგრე, სახელად აზო მდებარეობდა, რომელიც რაჯა ასსამამ დიდი ხნის წინ წაართვა ბენგალიის სამეფოს. ემირმა ციხე-სიმაგრეზე შეტევა დაიწყო და თხუთმეტ დღეში შტურმით აიღო. შემდეგ შამდარუსკენ დაიძრა, რომელიც რაჯას ქვეყნის კარიბჭედ ითვლებოდა. ოცდარვა დღის შემდეგ ემირი თავისი არმიით მიადგა შამდარუს. ბრძოლაში ასსამასის რაჯა დამარცხდა და იძულებული გახდა რერგუონისკენ, ქვეყნის დედაქალაქისკენ დაეხია, რომელიც შამდარიდან ორმოცი მილის დაშორებით მდებარეობდა. ემირი ფეხდაფეხ მიჰყვა რაჯას და არ მისცა საშუალება გერგუონში გამაგრებულიყო. ემირის არმიის გამოჩენამ რაჯა აიძულა ლასსას მთებისკენ გაქცეულიყო და გერგუონი დაეტოვებინა. შამდარას მსგავსად ეს ქალაქიც გაძარცვეს. ემირის ჯარებმა, ამ ულამაზეს ქალაქში დიდი სიმდიდრე იპოვეს. ეს ქალაქი ერთერთ უმსხვილეს სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა ქვეყანაში, აქაური ქალებიც კი ულამაზესები იყვნენ.

ემირის საზიანოდ წვიმების სეზონი ჩვეულებრივზე ადრე დაიწყო, ამ ქვეყანაში წვიმების სეზონი სამი თვე გრძელდება და წყალი ფარავს ხოლმე მიწას, ხოლო სოფლებს ვერ წვდება წყალი, რადგან მაღლობებზეა გაშენებული. ემირი რთულ მდგომარეობაში ჩავარდა. რაჯამ სოფლებში ხალხი გააგზავნა სურსათით მოსამარაგებლად და ცოტა ხანში სოფლების სურსათ-სანოვაგით უზრუნველყო თავისი არმია. ემირის არმია რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. წვიმების გამო ის ვერც წინ მიდიოდა და ვერ უკან ბრუნდებოდა. წინ ვერ მიდიოდა, რადგან მთებზე მოუწევდათ ასვლა, სადაც ძლიერი წვიმის გამო გადაადგილება შეუძლებელი იყო. ხოლო უკან დაბრუნებას ისევ ძლიერი წვიმა და ღრმა ტალახი უშლიდა ხელს. ემირი იძულებული გახდა ქალაქში დარჩენილიყო. მის ჯარს შიმშილმა დარია ხელი, ჯარისკაცები სიკვდილის პირას იყვნენ მისულები. ემირმა წინ წასვლაზე უარი თქვა და უკან დაბრუნდა. ურთულესი იყო გზა, ტალახი, საკვების უკმარისობა, წვიმა და გაუსაძლისი პირობები ყოველ ფეხის ნაბიჯზე წინ ეღობებოდა მის ჯარს. რაჯამ დრო იხელთა და უკან დაედევნა ემირს. ვერავინ შესძლებდა წესრიგის აღდგენას ასეთი ლაშქრობის დროს, მაგრამ მისმა ჯარმა სრული მობილიზაციით შესძლო გადასვლა. მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა უკან დიდი სიმდიდრით და დიდებით დაბრუნდა. ემირმა მომავალი წლისთვის გადადო თავისი წამოწყების გაგრძელება. ის ვარაუდობდა, რომ აზოს ციხე-სიმაგრეში მან ძლიერი გარნიზონი დატოვა, რომელიც ნებისმიერ შემოტევას გაუძლებდა. უკან დაბრუნებულ ჯარში დიზინტერიამ იფეთქა, არც ის იყო ბრინჯაოსგან ჩამოსხმული, ემირი ავად გახდა და გარაიცვალა. განგებამ თითქოს ინება აურენგზიბისთვის ემირის სახით საშიშროება მოეშორებინა თავიდან, მე რეალურ საშიშროებაზე ვსაუბრობ, რადგან არავინ იყო ინდოსტანში ვინც მის საქმეებს გააგრძელებდა, აურენგზიბი ეხლა რეალურად გახდა ბენგალიის მეფეც. თავი ვერ შეიკავა აურენგზიბმა, რომ საკუთარი აზრი არ გამოეთქვა ემირის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მან ღიად, ყველას წინაშე მიმართა მახმეთ-ემირ-ხანს: „თქვენ დაკარგეთ მამა, ხოლო მე ყველაზე დიდი და საშიში მეგობარი, რომელიც ოდესმე მყოლია“, ასევე არ დავიწყებია მისამძიმრება და დაარწმუნა მეხმეთი-ემირ-ხანი, რომ ის შეცვლიდა მამას, რომ ჯამაგირს და თანამდებობას არ შეუკვეცავდა ახალგაზრდა კაცს,

მეფემ ისევ მაქშად დაადგინა და ჯამაგირი ათასი რუპი დაუნიშნა, მამის მემკვიდრედ გამოაცხადა. თუმცა ტრადიციისამებრ მეფეს შეეძლო ყველაფერი თვითონ მიეთვისებინა. მესამე ფაქტი, შაჰ-გესტ-ხანს ეხება, რომელიც აურენგზიბმა აგრას გუბერნატორად დანიშნა, როცა სულთან-სუჯას წინაღამდეგ საბრძოლველად წავიდა, შემდეგ იყო დეკკანის გუბერნატორი და არმიის მთავარსარდალი, ბოლოს ემირ ჯამლას სიკვდილის შემდეგ ბენგალიის გუბერნატორი და ჯარების სარდალი, მას მიენიჭა მირ-ულ-ომრას ტიტული, რომელსაც ადრე ჯამლა ატარებდა. ჩვენ უკვე ვთქვით რომ შაჰ-გესტ-ხანი აურენგზიბს ბიძად ეკუთვნოდა და ეხმარებოდა მას, მჭერმეტყველებით, ინტრიგებით და რჩევებით. უსამართლობა იქნებოდა მისი დიდების შესახებ არაფერი ვთქვათ, როცა ის ემირ-ჯამლას მაგივრად გუბერნატორის თანამდებობაზე დაინიშნა, მის წამოწყებას ემირ-ჯამლა პოლიტიკურ ან სხვა მოსაზრებით არ გაამართლებდა. დეტალურად მოგითხრობთ რა მაქვს მხედველობაში, მე მოგითხრობთ არა მარტო ბენგალიის და არაკანის სამეფოების წარსულსა და აწყმოს შესახებ, რადგან არავინ ისურვა, ან არ ჩაეძია გარკვეულიყო იქ მიმდინარე პროცესების არსში, ასევე სხვა თემებზეც მსურს გიამბოთ, რომლებიც ყურადღებას ნამდვილდ იმსახურებს.

იმისათვის, რომ გავიგოთ შაჰ-გესთ-ხანის წამოწყებების აუცილებლობის შესახებ და შევიქმნათ წარმოდგენა, რა ხდებოდა ბენგალიის ყურეში, უნდა ვიცოდეთ, რომ უკვე მრავალი წელია, ისევე როგორც არაკანის სამეფოში, ანუ მოგაში, მუდმივად ცხოვრობდნენ პორტუგალიელები, მათთან ერთად მეტისები, ქრისტიანი მონები და „ფრანგი“-იები სხვადასხვა ადგილებიდან. ეს ადგილი გოადან, ცეილონიდან, კოშინადან, მალაგიდან და ინდოეთის სხვა ადგილებიდან ლტოლვილთა თავშესაფარად გადაქცეულიყო. მონასტრიდან განკვეთილები, რომლებმაც დატოვეს მონასტერი, ადამიანები, რომლებიც რამდენჯერმე იყვნენ დაქორწინებულები, მკვლელები, მოკლედ მთელი დამნაშავეთა სამყარო, აქ პოულობდა თავშესაფარს. ისინი ამაზრზენ ცხოვრებას ეწეოდნენ, რომელიც ქრისტიანისთვის მიუღებელია, ისინი ხოცავდნენ და წამლავდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებით სასულიერო პირებს ემტერებოდნენ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მათზე უკეთესები ნამდვილად არ იყვნენ. არაკანის მეფე მუდმივად

უფრთხოდა მოგოლებს და ამიტომ ამ ადამიანებს გამოუყო მიწები ქვეყნის საზღვართან და მისცა საშუალება ეცხოვრათ ისე, როგორც მათ სურდათ. მათ „ჩვეულებრივ“ საქმიანობას ხელოსნობა, არეულობები და მეკობრეობა წარმოადგენდა. თავიანთი მსუბუქი გალერებით, რომელსაც გალეასსებს უწოდებდნენ, თარეშობდნენ ზღვაზე, სანაპიროებზე, აუყვებოდნენ მდინარე განგს და სერავდნენ ბენგალიის კუნძულებს შორის ტერიტორიებს, არც თუ ისე იშვიათად, უფრო ღრმად შედიოდნენ, ორმოცდაათი და მეტი ლიეს მანძილს გადიოდნენ მდინარის აღმა ტერიტორიებზე სათარეშოდ. ისინი თავს ესხმოდნენ დასახლებებს, ბაზრებს, წარმართების ქორწილებს და შეკრებებს, რისი წაღებაც არ შეეძლოთ წვავდნენ, ისინი იტაცებდნენ ადამიანებს და შემდეგ მონებად ჰყიდდნენ მათ. აი ამიტომ არის განგში ამდენი შესანიშნავი კუნძული დაუსახლებელი. ადრე ეს ადგილები დასახლებული იყო, ეხლა კი მხოლოდ რამდენიმე გაველურებული ადამიანი და ველური ცხოველები ავსებენ ამ ტეროტორიას, ძირითადად აქ, ვეფხვები ცხოვრობენ. ადამიანებს „აგროვებდნენ“ ბაზარში მონებად გასაყიდად, ხშირად მოხუცებსაც იტაცებდნენ, მაგრამ არ იცოდნენ შემდეგ რა მოეხერხებინათ მათთვის. ისინი, ვინც გაქცევას ახერხებდნენ და თავისუფლები რჩებოდნენ, იძულებულები იყვნენ მათი ოჯახებიდან გატაცებული ცოლ-შვილი და დედმამა გამოესყიდათ ბაზარზე. ხოლო დანარჩენებს იყენებდნენ მეხოფეებად, ასწავლიდნენ და აიძულებდნენ კაცის კვლას, ძარცვას, შესაბამისად აქცევდნენ ისეთივე ქრისტიანებად, როგორებიც თვითონ იყვნენ, ან გოაში, ცეილონზე, სან-ტომეში პორტუგალიელებს მიჰყიდნენ, ან ბენგალიაში, ხუგლში მიჰყიდიდნენ პორტუგალიელებს მონებად, აქ პორტუგალიელებს დასახლების უფლება აურენზიბის პაპამ ჯეხან-გირამ მისცა, რომელიც ქრისტიანებს კარგად ექცეოდა სავაჭრო ურთიერთობების გამო და ასევე საშიშროების შემთხვევაში ისინი კორსარებისგან ბენგალიის ყურის დაცვას დაჰპირდნენ. მონებით ვაჭრობა გალიის კუნძულთან ახლოს იმართებოდა და ის დას-პალმას მისიის სიახლოვეს მდებარეობდა. მეკობრეები იქ პორტუგალიელების ჩამოსვლას უცდიდნენ, რომლებიც იაფფასიანი მონებით ავსებდნენ საკუთარ გემებს. ეს არამზადები ტრაბახობდნენ, რომ უფრო მეტი ადამიანი გააქრისტიანეს ათი წლის განმავლობაში, ვიდრე კათოლიკურმა მისიამ იგივე დროში. ამ მიზეზების გამო,

შაჰ-ჯეხანმა, რომელიც მაჰმადიანობის მიმდევარი იყო, ვეღარ აიტანა საკუთარი მამის ჯეხან-ხანის სამეფოში ეს სისაძაგლე და თავისი მრისხანება დაანთხია მისიებს, კეთილშობილ იზუიტ მამებს და ყოფილ მისიონერებსაც აგრაში. მან ბრძანება გასცა ულამაზესი ქრისტიანული ტაძარიც დაენგრიათ, რომელიც აქ აშენდა ისევე, როგორც ლაგორში კეჯახ-გირას მოწყალებით. ასევე ქრისტიანთა დევნაც დაიწყო ჰგლიში. მას მობეზრდა ამ ადამიანების საქმიანობის ყურება, მაშინ, როცა ისინი მეკობრეებთან თანამშრომლობაზეც არ ამბობდნენ უარს. ქრისტიანები საკუარ სახლებს მონებით ავსებდნენ, მაშინ როცა ეს ადამიანები შაჰ-ჯეხანის ქვეშემდომები იყვნენ, ამიტომ ყველა „ფრანგი“ ბოლომდე გააკოტრა და აიძულა იქაურობა დაეტოვებინა. თავიდან ტკბილი სიტყვით ცდილობდა მათთვის ფულის წართმევას, შემდეგ კი მუქარით წაართვა რამდენიც შესაძლებელი იყო. ვინც წინაღამდეგობის გაწევას ცდილობდა ყველანი დააპატიმრა და აგრას ციხეში „მოუყარა“ თავი, ყველას, ბავშვებსაც და სასულიერო პირებსაც იქ მიუჩინა „ბინა“. დაპატიმრებული ადამენების რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევდა. შემდგომ თვითოეული მათგანი მონებად აქციეს, ლამაზი ქალები და გოგონები სერალებში გამოკეტეს, მოხუცები ემირებს შორის გაანაწილეს. მამრობითი სქესის ბავშვები პაჟებად აქციეს და წინდაცვეთაც ჩაუტარეს, უფროსებმა უარი თქვეს სარწმუნოებაზე, ზოგიერთი მათგანი სპილოებს ფეხებით გაათელინეს. მართალია, მათ შორის იყო რამდენიმე ბერი, რომლებსაც მტკიცედ ეჭირათ თავი, ასევე სხვა მისიონერებმა აგრაში, რომლებმაც შესძლეს გაეძლოთ უამრავი დამცირებისთვის და მუქარისთვის, მეგობრების დახმარებით (ხშირად ფულის მეშვეობით) შესძლეს ბევრი მათგანის გამოხსნა და გოაში, ან სხვა ადგილებში მათი უსაფრთხო გადაყვანა, ძირითადად იქ, სადაც პორტუგალიელები ცხოვრობდნენ.

საინტერესოა ის მოვლენაც რომ ხუგლის გაკოტრებამდე ცოტა ხნით ადრე, პორტუგალიელმა მეკობრეებმა მოითხოვეს გოას მეფის ნაცვლისგან არაკანის სამეფოს, პორტუგალიის მეფისთვის გადაცემა. ამბობენ რომ მან უარყო ეს წინადადება და არ გაგზავნა დახმარება, რომელიც ვინმე ბასტიან კონსალვმა გამოყო, რომელიც იმდენად ძლევამოსილი გახლდათ, რომ მეფის ასულზეც კი შესძლო დაქორწინება. მეფის ნაცვალს კი არ სურდა მდაბიო წარმოშოების ადამია-

ნი როგორიც ბასტიანი გახლდათ, გადამწყვეტი როლი შეესრულებინა ამ საქმეში. ნუ გავიკვირვებთ რადგან პორტუგალიელები, რომლებიც ინდოეთში იმყოფებოდნენ ხშირად უშვებდნენ ხელიდან ხელსაყრელ შემთხვევებს, როგორც ეს მოხდა იაპონიაში, ეთიოპიაში და სხვა ქვეყნებში. ალბათ ღმერთის სასჯელი იყო მათთვის, რომ თავად ხდებოდნენ სხვების „ტყვეები“, ძალიან დაბლა დაეცნენ პორტუგალიელები საკუთარი ამბიციების და მტაცებლობის გამო. შესსძლებენ კი როდესმე ფეხზე წამოდგომას? ვერაფერს ვიტყვი. ადრე, სანამ სიბინძურის და აღვირახსნილობის მორევში გადაეშვებოდნენ, მათ წინაშე კანკალებდნენ, რადგან ისინი გამოირჩეოდნენ სიმამაცით, კეთილშობილებით და დიადი საქმეებით, იყვნენ მორწმუნე ქრისტიანები, უზარმაზარი ქონების პატრონები და ინდოეთის ყოველ მმართველს მათთან მეგობრობა პატივად მიაჩნდა. ეხლა კი მეკობრეებად ქცეულმა პორტუგალიელებმა დაიპყრეს კუნძული სონდივა, რომელიც განგაზე ბატონობის საშუალებას აძლევდათ. აქ სახელგანთქმული ავგუსტინელი მოძღვარი ფრა ხუანი, რამდენიმე წლის განმავლობაში მეფის როლს თამაშობდა, რომელმაც როგორღაც შესძლო ციხე-სიმაგრის კომენდანტის მოშორება.

ეს ის მეკობრეები იყვნენ, რომლებიც სულთან-სუჯას დაპირდნენ დახმარებას, მათ შესძლეს რამდენიმე სკივრი გაეტეხათ და ძვირფასეულობა მოეპარათ, რომელიც არკანში გაყიდეს, ამ ძვირფასი ქვების ნაწილი ისეთ ხალხის ხელშიც აღმოჩნდა, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მათ შესახებ. ჰოლანდიელებმა როგორც კი გაიგეს ამ ძვირფასეულობის შესახებ, სასწრაფოდ დაიწყეს შესყიდვა და თან ეუბნებოდნენ, რომ ეს ქვები „რბილ“ ბრილიანტებს წარმოდგენდნენ და ისინი, ჰოლანდიელები, მათ შესაბამის საფასურს უხდიდნენ.

და ბოლოს, ეს ადამიანები ბევრ თავსატეხს უჩენდნენ დიდ მოგოლს ბენგალიაში. აიძულებდნენ ჰყოლოდათ მრავალრიცხოვნი მცველები ქვეყნიდან ყველა გადმოსასვლელზე, ასევე მრავლრიცხოვანი სახმელეთო ჯარი და საზღვაო ფლოტი, რათა თავი დაეცვათ მათი თავდასხმებისგან. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ახერხებდნენ მოსახლეობის ძარცვას და დასახლებულ ადგილებზე თავდასხმას, ისინი. ქვეყნის შიგნით ღრმად აღწევდნენ და სისაძაგლეებს სჩადიოდნენ, ასეთი ქცევით, ისინი დიდი მოგოლის არმიას დასცინოდნენ. ამ ადამიანებმა იმდენად კარგად ისწავლეს იარაღის ხმარება და გალეასსების

მართვა, რომ მათთვის არავითარ საშიშროებას აღარ წარმოადგენ-და თოთხმეტ-თხუთმეტ მოგოლთა გალეასების წინააღმდეგ ბრძოლა. მათ შეეძლოთ დაეხოცათ მოგოლები და მათი გემები კი ჩაეძირათ. შაჰ-გესთ-ხანმა სერიოზული ყურადღება გაამახვილა ამ მეკობრეებ-ზე, როცა ბენგალიაში ჯარებით შევიდა. მან მტკიცედ გადაწყვიტა გაენთავისუფლებინა ქვეყანა ამ „ჭირისგან“, ადამიანებისგან, რომლე-ბიც ანადგურებდნენ ყველაფერს და უკვე დიდი ხანია ძარცვავდნენ ამ ქვეყანას. აურენგზიბის ბრძანების თანახმად, არაკანის სამეფოს თავს უნდა დასხმოდა სულთან-სუჯას ოჯახის განადგურებისთვის, შურის-ძიების მიზნით, რადგან მათ პატივი არ სცეს სამეფო სისხლს. ეხლა მინდა გიამბოთ, როგორ შესძლო შაჰ-გესთ-ხანმა თავისი ჩანაფიქ-რის განხორციელება. მან იცოდა, რომ ბენგალიაში, არაკანში, ჯარე-ბის შეყვანა საკმაოდ რთული იყო, უამრავი მდინარეების და არხების გამო, რომლებიც საზღვრის მთელ სიგრძეზე მიედინებოდნენ, ამის გარდა დაბრკოლებას ჩიტაგონიელი მეკობრეებიც წარმოადგენდნენ, რომელთა შესახებ მე უკვე მოგახსენეთ, მეკობრეები საკმაოდ ძლი-ერიები იყვნენ და ჯარების გადასხმას სერიოზულ წინაღამდეგობას გაუწევდნენ. ამიტომ მან გადაწყვიტა ჰოლანდიელები დაეინტერესე-ბინა და ამ განზრახვით ბოტავიაში ელჩი გაგზავნა, რომ ჰოლანდიელ გენერალისთვის შეეთავაზებინა საერთო ძალებით დაემორჩილებინათ არაკანი, (ასე მოიქცა შაჰ-აბასი, ორზრუმის დასამორჩილებლად მან ინგლისელები მოიწვია). ბოტავის გენერალი მიხვდა, რომ თუ ის და-ეხმარებოდა ინდოეთიდან პორტუგალიელების საბოლოო განდევნაში, მაშინ ჰოლანდიური კომპანია, დიდ მოგებას მიიღებდა. მან ბენგალი-ისკენ ორი სამხედრო ხომალდი გაგზავნა, რითაც მოგოლთა ჯარე-ბის გადაყვანას გააიოლებდა, რომლებიც მეკობრეებს უნდა შებრძო-ლებოდნენ. შაჰ-გესთ-ხანმა, ვიდრე ხომალდები ჩამოვიდოდნენ დიდი რაოდენობით გალეასსები და რამდენიმე გემი ააშენა ჯარების გადა-საყვანად, მეკობრეებს სრული განადგურებით დაემუქრა, გააგებინა აურენგზიბის სურვილი არაკანის შესახებ, ესიც გაიგეს პორტუგალიე-ლებმა, რომ ჰოლანდიელთა ჯარებიც მოემართებოდნენ მათ წინაღამ-დეგ საბრძოლველად და თუ კიდევ შერჩენიათ გონიერება, ზურგი ექ-ციათ არაკანის მეფისთვის და აურენგზიბის ქვეშემდომობა მიეღოთ. ვერავინ იტყვის რა გადაწყვეტილება მიიღეს მათთან რამდენად მისა-

ღები იყო შეთავაზებული პირობები პორტუგალიელებისთვის, მაგრამ ერთხელაც, ამ ადამიანებმა არაკანის სამეფოს ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირი მოკლეს და მეკობრეები დასჯის შიშმა შეიპყრო, ერთ მშვენიერ დღეს, პანიკით მოცულები, ჩასხდნენ თავიანთ გალეასებში (ორმოცდაათი ან სამოცი გალეასი ჰყავდათ პორტუგალიელებს) და ბენგალიისკენ, შაჰ-გესთ-ხანისკენ გაემართნენ. შაჰმა გულთბილად მიიღო ისინი, დაუყვავა და მათი ოჯახები დაკაში გადაიყვანა, ჯამაგირიც დაუნიშნეს. დასვენების საშუალება კი არ მისცეს და არმიასთან ერთად კუნძულ სონდივის ასაღებად გაგზავნეს, რომელიც არაკანის მეფეს ეკუთვნოდა. იქიდან კი ჩიტაგონგისკენ დაიძრნენ. ამასობაში ჰოლანდიურმა გემებმაც ჩამოუსწრეს, მაგრამ შაჰმა გადაწყვიტა, რომ მათ გარეშეც იოლად დაამარცხებდა არაკანის მეფეს და დიდი მადლობით უკან გაისტუმრა. მე ვნახე ეს ორი გემი და მისი ეკიპაჟიც, რომლებიც არ იყვნენ კმაყოფილნი არც მადლობის გადახდით და არც გულუხვი საჩუქრებით. რაც შეეხება მეკობრეებს, შაჰ-გესთ-ხანს უკვე მძევლად ჰყავდა მათი ცოლ-შვილი და აღარ არსებობდა იმედი რომ როდესმე დაბრუნდებოდნენ ჩიტაგონგში, შესაბამისად, აღარც მას სჭირდებოდა მეკობრეები. შაჰს უფლება ჰქონდა მოქცეოდა მათ ისე, როგორც იმსახურებდნენ. მან ჯამაგირის და ელემენტარული საარსებო საშუალების გარეშე დატოვა ისინი და უბრალოდ განდევნა თავისი რიგებიდან. შაჰ-გესთ-ხანმა საბოლოოდ მოიშორა ეს ნაძირალები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ანადგურებდნენ, აცამტვერებდნენ და ძარცვავდნენ ქვემო ბენგალიას.

მეოთხე ფაქტი აურენგზიბის ორ ვაჟს შეეხება, სულთან-მახმუდს და სულთან-მაზუმას. პირველი ჯერ კიდევ პატიმრობაში ჰყავს გვალიორში, მაგრამ თუ ჭორებს დავუჯერებთ, რომელიც ხალხში ვრცელდებოდა, მას პულსტს არ ასმევდნენ. რაც შეეება სულთან-მაზუმას, ეს ადამიანი მთმინების და ამტანიანობის მაგალითად შეიძლება გამოდგეს. არავინ იცის აურენგზიბის ავადმყოფობის დროს ხლართავდა თუ არა ინტრიგებს, ან რა შეამჩნია სულთანს, რომ თითქოს ნდობა დაკარგა მბრძანებლის, ან იქნებ სიმამაცეში და მორჩილებაში სურდა მისი გამოცდა. როგორც არ უნდა იყოს, ერთ მშვენიერ დღეს, ემირთა წინაშე უბრძანა მოეკლა მთებიდან წამოსული ლომი, რომლიც თავს ესხმოდა სოფლებს, რამაც სოფლების დაცლა გამოიწვია. არც ბადე-

ების წაღების ნება მიუცია მისთვის, რომელსაც ჩვეულებისამებრ მონადირეები ლომებზე სანადიროდ ხმარობდნენ. მეფემ საკმაოდ ცივად მიმართა შვილს და შეახსენა, რომ ლომებზე სანადიროდ, ის არასოდეს იყენებდა ბადეს. სულთან-მაზუმასთვის, ეს ნადირობა წარმატებული აღმოჩნდა, თუმცა პრინცი, ნადირობიდან შიშნაჭამი დაბრუნდა. მან ორი ადამიანი და რამდენიმე ცხენი დაკარგა, დაჭრილი ლომი კი, იმ სპილოს შეახტა, რომელზეც სულთანი იჯდა. ამის მიუხედავად აურენგზიბი შემთხვევას არ უშვებდა ეს ამბავი მოეხსენიებინა და წარმატებისთვის ჯილდოდ დეკკანის მმართველობა უბოძა, თუმცა იმდენად პატარა ჯამაგირი და უფლებები მიანიჭა, რომ მისგან რაიმე საფრთხეზე საუბარიც კი ზედმეტი იქნებოდა.

მეხუთე ფაქტი ეხება ქაბულის გუბერნატორს, მოგაბეთ-ხანს, რომელიც აურენგზიბმა წამოიყვანა ამ პროვინციიდან, როგორც ამობობდა, არ სურდა დაეკარგა კეთილშობილი მხედართმთავარი, რომელიც ვაჟკაცურად ედგა გვერდში თავის მწყალობელ შაჰ-ჯეხანს. ის ჯესსომსენგის მაგივრად გუჯარათის გუბერნატორადაც დანიშნა, ხოლო ჯესსომსენგი საომრად დეკკანში გაგზავნა. რამდენიმე ძვირფასმა საჩუქარმა, რომელიც პრინცესა რაუშენარე-ბეგუმს მიართვა, შესანიშნავმა ცხენებმა და სპარსულმა აქლემებმა, რომელიც აურენგზიბს აჩუქა, ალბათ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მის ამ თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ქაბულის პროვინციას, რომელიც ყანდაგაარის წინ მდებარეობს და ადრე სპარსელების ხელში იყო, აქვე რამდენიმე სიტყვით გიამბობთ საგულისხმო დეტალების შესახებ, რომელიც ისტორიისთვის იქნება საჭირო და საშუალებას მოგვცემს ჯეროვნად გავეცნოთ ინდოსტანის და სპარსეთის საოცარ და ერთობლივ ინტერესებს, რომელშიც რამდენადაც მე ვიცი, ჯერჯერობით ვერავინ გარკვეულა. ყანდაგარი, ძლიერი და ანგარიშგასაწევი ციხე-სიმაგრეა, ასევე ამ ულამაზესი ქვეყნის დედაქალაქს წარმოადგენს და ამ ციხესიმაგრის სახელს ატარებს, უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე, მოგოლთა და სპარსელებს შორის, დიდი ომების საბაბი გამხდარა. ინდოეთის დიდმა ფადიშაჰმა აკბარმა, ძალით წაართვა სპარსელებს ყანდაგარი და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ფლობდა მას. ხოლო შაჰ-აბასმა, სპარსეთის სახელგანთქმულმა მეფემ, ეს ქვეყანა, აკბარის ვაჟს, ჯიხან-გირს წაართვა.

შემდეგ ქალაქი შაჰ-ჯეხანმა, ჯიხან-გირის ვაჟმა დაიბრუნა, მაგრამ არა იარაღით, არამედ ქვეყნის გუბერნატორ ალი-მერდან-ხანის ღალატის შედეგად, რომელმაც ციხე-სიმაგრე შაჰ-ჯეხანს დაუთმო და მის მხარეზეც გადავიდა. ყანდაგარი ეხლა შაჰ-აბასის ვაჟმა აიღო და ისევ სპარსეთს შეუერთა. მის მერე ყანდაგარს კიდევ ორჯერ შეუტია შაჰ-ჯეხანმა, მაგრამ უშედეგოდ. პირველად ქალაქი გადარჩა სპარსი ემირების შეუთანხმებლობის გამო, რომლებიც დიდი მოგოლის სამსახურში იმყოფებოდნენ და ყველაზე ძლევამოსილ ადამიანებს წარმოადგენდნენ სამეფო კარზე. ისინი ალყის დროს უკიდურესად ლოიალურად იქცეოდნენ და არ ისურვეს რაჯა რუპს გაჰყოლოდნენ, რომელმაც საკუთარი დროშა ციხე-სიმაგრის იმ მხარეს აღმართა, საიდანაც უტევდა ყანდაგარის ციხე-სიმაგრეს. მეორედ აურენგზიბის მოშურნეობის გამო, რომელმაც არ ისურვა ფრანგების, ინგლისელების, პორტუგალიელების და გერმანელების ზაარბაზნებით ციხის დანგრეულ კედელში ჯარით შესვლა. თუმცა აურენგზიბის შურს საფუძველიც ჰქონდა, მას არ სურდა მეისტორიეს ეთქვა, რომ „ყანდაგარის ციხე-სიმაგრე დარას მმართვლობის ეპოქაში აიღეს“, რომელიც ამ წამოწყების პირველი ინიციატორი გახლდათ და მამასთან, შაჰ-ჯეხანთან ერთად ქაბულში იმყოფებოდა. ბოლო დროინდელ მოვლენებამდე შაჰ-ჯეხანი სამჯერ აპირებდა ციხე-სიმაგრეზე იერიშის მიტანას, მაგრამ სამივეჯერვე ემირ-ჯამლამ გადააფიქრებინა, ურჩია იარაღი დეკკანის წინააღმდეგ მიემერთა, ამის შესახებ მე უკვე გიამბეთ. თვით ალი-მერდან-ხანი ყოველმხრივ ცდილობდა ამ იდეისთვის წინააღმდეგობა გაეწია, მან თქვა: „თქვენო უდიდულესობავ, ვერასაოდეს ვერ აიღებთ ყანდაგარს, სანამ იქ არ გამოჩნდება ისეთი მოღალატე, როგორიც მე ვარ, თქვენვე გადაწყვიტეთ, რომ თქვენს ამალაში არ ყოფილიყო არც ერთი სპარსელი და ყოველი ბაზარი კი სრულიად თავისუფალი“, ესეიგი, არ აეღოთ გადასახადები მათგან, ვინც არმიას ამარაგებდა. აურენგზიბმა გადაწყვიტა მზადება დაეწყო, ქალაქისთვის ალყა შემოერტყა და აეღო, ამისათვის მას რამდენიმე წელი დასჭირდა, რომ სრულიად მომზადებულს წამოეწყო ეს კამპანია. არავინ იცის, იყო თუ არა მბრძანებელი შეურაცხყოფილი სპარსეთის მეფის მიერ მოწერილი წერილებით, ან დამცირებული სპარსეთის ელჩის თარბეთ-ხანისადმი დამოკიდებულების გამო, მაგრამ

სპარსეთის მეფის სიკვდილი, რომ შეიტყო, ბრძანა: (რაც ნაკლებად სარწმუნოა), რომ არ სურს საქმე ბავშვთან იქონიოს. იმ დროისთვის სპარსეთის მეფის ტახტზე შაჰ-სულეიმანი უნდა ასულიყო, რომელიც ოცდახუთი წლის გახლდათ.

მეექვსე ფაქტი ეხება მათ, ვინც ერთგულად ემსახურებოდა აურენგზიბს და რომლებიც აურენგზიბმა უაღრესად განადიდა. პირველ რიგში შაჰ-გესთ-ხანი, თავისი ბიძა, დანიშნა გუბერნატორად, არმიის სარდლად დეკკანში, შემდეგ ბენგალიის გუბერნატორად, მირ-ხანი — ქაბულის გუბერნატორად, კალილ-ულლა-ხანი ლაგორას გუბერნატორად, მირ-ბაბა ალახაბადის გუბერნატორდ, ლასკერ-ხანი პატნუს გუბერნატორად, ალავერდი-ხანის შვილი, სინდის გუბერნატორად, ფაზელ-ხანს, რომელიც ეხმარებოდა რჩევებით და მოხერხებულობით, მიანიჭა იზამანის-ხანის წოდება, რაც მეფის სასახლის მთავარ მმართველს ნიშნავს. დანეშმენდ-ხანი დელის გუბერნატორად, მაგრამ რადგან იგი გატაცებული იყო მეცნიერებით, ან საერთაშორისო საქმიანობით, აურენგზიბმა განსაკუთრებული მოწყალების სახით გაანთავისუფლა ფადიშახის კარზე ორგზის წვევისგან და ძველი წესისამებრ ჯამაგირიდან დაქვითვების გარეშე. მან უბოძა დიანეტ-ხანს ქაშმირის გუბერნატორობა, ეს პატარა სახელმწიფო, თითქმის მიუდგომელი ადგილმდებარეობით და რომელიც აკბერმა მოხერხებულობით დაიპყრო. ეს გახლავთ ინდოეთის პატარა მიწიერი სამოთხე, რომელსაც საკუთარი ისტორია გააჩნია და რომელიც მათ ენაზეა დაწერილი. მე მაქვს ამ ისტორიის შემოკლებული ვერსია, რომელიც ჯეხან-გირის ბრძანების შესაბამისად სპარსულიდან არის ნათარგმნი. ამ სახელმწიფოში იყვნენ უძველესი დროიდან ისეთი მმართველები, რომლებმაც შესძლეს ინდოეთის და ცეილონის დამორჩილება. აურენგზიბმა ნეაბატ-ხანი განთავისუფლა თანამდებობიდან, რომელმაც თავი გამოიჩინა სამონგერეს და კაჯოის ბრძოლებში, მიუხედავად დამსახურებისა, რადგან მან ვერ გაითვალისწინა, რომ თავი შეაწყინა მეფეს მუდმივად თავისი დამსახურებების შეხსენებით. რაც შეეხება ჯიონ-ხანს და ნაზერას, ამ არამზადების შესახებ კი იმას გეტყვით, რომ პირველის შესახებ უკვე გიამბეთ, ხოლო მეორეს რა დაემართა, ან საით გადაიხვეწა არავინ უწყის. რაც შეეხება ჯაშვანტსინგს და ჯესსენგს, აქ წინაღამდეგობებს ვაწყდებით და შევეცდები გავარკვიო.

ერთი ბიჯაპურელი მეამბოხე, რომელმაც რამდენიმე სტრატეგიული ციხე-სიმაგრე დაიმორჩილა და ასევე ფადიშახის საზღვაო პორტებიც მიითვისა, ის სევა-ჯიდ, ანუ მეფე სევად იწოდებოდა. ეს საკმაოდ ნიჭიერი და ფრთხილი ადამიანი გახლდათ, მეფე სევა საკმაოდ მამაცი და თავგადასავლების მოყვარულიც კი ყოფილა. შაჰ-გესთ-ხანს უამრავი თავსატეხი გაუჩინა დეკკანში, ვიდრე ბიჯაპურის მეფემ, მთელი თავისი არმიით და რაჯებით. ამ ადამიანმა გაბედა და გადაწყვიტა აურენგ-აბადში მთელი ჯარის თვალწინ შაჰ-გესთ-ხანის მოტაცება თავისი ხაზინით. მას შეეძლო სისრულეში მოეყვანა თავისი ჩანაფიქრი. ის, ღამით შეუმჩნევლად შეიჭრა შაჰის ბანაკში და თავს დაესხა შაჰ-გესთ-ხანს საძინებელში. ხანის ვაჟი თავდასხმისას მოკლეს, ხოლო თავად ხანი კი მძიმედ დაიჭრა, ხანის მოტაცება ვერ შესძლო. რაც შეხება სავა-ჯის უვნებელი დაბრუნდა. წარუმატებლობამ უფრო მეტი აზარტი შესძინა ამ უშიშარი ადამიანის წამოწყებას, ამის შედეგად უკიდურესად თამამი და სახიფათო საქმე მოიფიქრა, რომელიც უფრო უკეთესად გამოვიდოდა. მან შეარჩია ორი-სამი ათასი საუკეთესო მეომარი და მათთან ერთად გაემგზავრა ლაშქრობაში, თან გაავრცელეს ხმა, თითქოს რაჯა მიემართებოდა სასახლისკენ. როდესაც სურატს მიუახლოვდნენ, ამ უმდიდრეს და ულამაზეს ინდოეთის პორტს, იმის მაგივრად, რომ გვერდი აევლოთ მისთვის, პირდაპირ შეტევაზე გადავიდა. სურატში სამი დღე დარჩა. ისინი ხოცავდნენ ადამიანებს, კვეთდნენ ხელებს და ფეხებს, აწამებდნენ რათა გაეგოთ სად იყო დამალული ფული და ძვირფასეულობა. ისინი ყველაფერს ჩხრეკდნენ, მიჰქონდათ რისი წაღებაც სურდათ, რაც ვერ მიჰქონდათ წვავდნენ. ამის შემდეგ რამდენიმე მილიონი ოქროთი, ვერცხლით, მარგალიტით, აბრეშუმით და სხვა ძვირად ღირებული საქონლით დაუბრკოლებლად დაბრუნდა უკან. ჯესსომსენგზე ეჭვი მიიტანეს და სავა-ჯისთან თანამზრახველად დაასახელეს. ამ მიზეზით აურენგზიბმა ის გამოიწვია დეკკანიდან, მაგრამ იმის მაგივრად რომ დელიში წასულიყო, საკუთარი საბრძანებლისკენ გაემართა. მე გამომრჩა მეთქვა, რომ სევა-ჯიმ მხოლოდ მისიონერი და ვაჭრის, პატივცემული მამა ამბროსის სახლი დაინდო და ბრძანა, რომ მისი სახლი არ გაეძარცვათ, რადგან მან „ფრანგი“ მამები კეთილსინდისიერ ადამიანებად დაასახელა. ასევე დაინდეს გარდაცვლილი დელალას, ანუ ჰოლანდიელების მთავარი მაკ-

ლერის სახლი, რომელიც თურმე მოწყალებას უხვად გასცემდა. ასევე „დაინდეს“ ინგლისელების და ჰოლანდიელების სახლები, რადგან ისინი საკმაოდ ორგანიზებულად იცავდნენ თავს, განსაკუთრებით ინგლისელებმა იმარჯვეს, მათ რეიდზე მდგარი ხომალდებიდანაც მოიყვანეს ხალხი და დამატებით, პორტთან ახლოს მდგარი რამდენიმე სახლიც იხსნეს გაძაარცვისაგან. განსაკუთრებით ერთმა ებრაელმა გამოიჩინა თავი, ის კონსტანტინეპოლიდან იყო ჩამოსული, მას ძვირად ღირებული ლალის ქვები ჰქონდა ჩამოტანილი და აურენგზიბისთვის აპირებდა მიყიდვას. მან როგორღაც დაიხსნა თავი სევა-ჯისგან. იმის მაგივრად რომ ეთქვა ჩამოტანილი ქვების შესახებ, ალესილი ნაჯახის ქვეშ ყოფნა არჩია, რომელიც მისი თავის ზემოთ იყო აღმართული. ალბათ ებრაელი უნდა იყო, რომ თავი ასეთი ხერხით გადაირჩინო. რაც შეეხება ჯესსენგს, აურენგზიბმა დაითანხმა არმიის მხედართმთავარი გამხდარიყო და დეკკანში სულთან-მაზუმასთან ერთად გამგზავრებულიყო. ჯესსენგმა პირველ რიგში სავა-ჯის მთავარ ციხე-სიმაგრეს ალყა შემოარტყა. ჯესსენგი მოლაპარაკების დიდოსტატი გახლდათ და შესძლო დაეთანხმებინა სავა-ჯი დაეთმო ციხე-სიმაგრე, აურენგზიბის ჯარს შეერთებოდა ბიჯაპურას წინაღამდეგ საბრძოლველად. აურენგზიბმა თავის მხრივ კი, რაჯას წოდება მიანიჭა და თავის ქვეშემდომად გახადა, ხოლო მის შვილს, ემირისთვის შესაფერისი პენსია დაუნიშნა. გარკვეული დროის შემდეგ, როცა გადაწყდა სპარსეთთან ომი, აურენგზიბმა სავა-ჯის საკმაოდ გულთბილი წერილი მისწერა, ხოტბას ასხაამდა მის სიმამაცეს და ვაჟკაცობას, ასევე შესძლო დაერწმუნებინა ჯესსენგთან ერთად დელიში ჩამოსულიყო და იქ შეხვედროდნენ ერთმანეთს. მაგრამ აურენგზიბის ნათესავმა, შაჰ-გესთ-ხანის მეუღლემ, რომელიც დროდადრო დელიში ჩამოდიოდა, გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება, რომ ზემოქმედება მოეხდინა აურენგზიბზე, რომ შეეჩერებინა ადამიანი, რომელმაც მოუკლა ვაჟი, დაჭრა მისი მეუღლე და გაძარცვა სურატი და ერთხელ, რამდენიმე ემირმა ალყა შემოარტყა სავა-ჯის კარავს, მაგრამ იგი კარავში აღარ დახვდათ, მან დროულად მოასწრო წასვლა. ამ გაქცევამ დიდი ხმაური გამოიწვია მეფის კარზე, ყველა ჯესსენგის ვაჟს ასახელებდა გაქცევის ხელშემწყობად. ჯესსენგს დაუყოვნებლივ აცნობეს ყოველივე და ასევე აცნობეს, რომ აურენგზიბი განრისხებულია მასზე და მის ვაჟზე.

ჯესსენგი შეშფოთებული იყო, რადგან აურენგზიბისთვის ეს ფაქტი შეიძლებოდა მის საბრძანებლოზე თავდასხმის და მიტაცების მიზეზი გამხდარიყო. ამიტომ დეკკანი დატოვა და თავისი მიწის დასაცავად გაემგზავრა, მაგრამ გზაზე ბრამპურამდე არ მისული გარდაიცვალა. აურენგზიბს არ გამოუჩენია გაღიზიანება გარდაცვლილის ვაჟის მიმართ, პირიქით გაგზავნა ხალხი, რომ მიესამძიმრებინათ ოჯახისთვის და დაუნიშნა იმავე ოდენობის პენსია რაც მამას ჰქონდა სიცოცხლეში. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს მოსაზრებას, რომ სავა-ჯი აურენგზიბთან შეთანხმებით გაიქცა, სავა-ჯი ვერანაირად ვერ მოიკიდებდა ფეხს სამეფო კარზე, რადგან სამეფო კარის ქალბატონებს ის სძულდათ, როგორც მაოხრებელი და მათი ნათესავების მკვლელი. ეხლა ცოტათი უკან დავბრუნდეთ დეკკანში. ეს მხარე, რომელიც უკვე ორმოცი წელია საომარი მოქმედებების არეალს წარმოადგენს ხშირად ყოფილა დიდი მოგოლის, გოლკონდის მეფისა ბიჯაპურის სამეფოებს შორის ანგარიშსწორების მიზეზი. მიზეზების გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ ამ ქვეყანაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების სწორი ანალიზის შედეგად.

ინდოსტანის მთელს ნახევარკუნძულზე რომ გავატაროთ ლენტი კამბეის ყურიდან კომორინის მისიამდე, ზოგიერთი მთიანი რეგიონის გამოკლებით, არანაკლებ ორასი წლის განმავლობაში ერთი უაღრესად ძლევამოსილი და მდიდარი ხელმწიფის მართველობის ხელში იყო მოქცეული. ეხლა კი დაყოფილია რამდენიმე სხვადასხვა რელიგიის მქონე სახელმწიფოდ. ამის მიზეზი კი რაჯა, ანუ მეფე რამრასი გახლდათ. გაერთიანებული ინდოეთის მეფეთა უკანასკნელმა შთამომავალმა, მეფე რამრასმა, უაღრესად აამაღლა სამი ქართველი ქვეშემდომი, რომლებიც გუბერნატორებად დანიშნა. პირველი გუბერნატორი განაგებდა ტერიტორებს, რომელიც დღეს დეკკანში დიდ მოგოლს უპყრია, ეს ტერიტორიებია დაულეტ-აბდა ბადარამდე, პარანდი და სურატი ნარბადარამდე. მეორე გუბერნატორის გამგებლობაში შედიოდა ყველა ის მიწები, რომლებიც დღეს შედის ბიჯაპურის სამეფოში და მესამე გუბერნატორი, ის განაგებდა ყველა მიწას, რომელიც დღეს გოლკონდიის სამეფოში შედის. გუბერნატორები ძლევამოსილები და ძალიან მდიდრები შეიქმნენ, მათ რამრასის ქვეშემდომი მოგოლებიც უჭერდნენ მხარს და ამიტომ სამივე მაჰმადიანები, შიიტური სექტის წევ-

რები იყვნენ, ისევე როგორც სპარსელები. გარკვეული დროის შემდეგ რამოასის წინაღამდეგ აჯანყდნენ და ამ ბრძოლაში რამრასი დაიღუპა. თითოეული მათგანი კი, საკუთარ სამფლობელოში დაბრუნდა და შაჰის ან მეფის ტიტული მიიღო. რამრასის შთამომავლები თავს შესაბამისად ძლიერად ვერ გრძნობდნენ. გამეფებულ ქართველებს რამრასის შთამომავლებზე იერიში არ განუხორციელებიათ. ისინი ერთ რეგიონში დასახლდნენ, რომელსაც ეწოდება კარნეტიკი, ანუ ბიზნაგერი, სადაც დღემდე რაჯას ტიტულები აქვთ შენარჩუნებული და ამ რეგიონში ცხოვრობენ. მთელი სახელმწიფო განაწილდა ჩვენთვის უკვე ცნობილ რაჯებსა და მეფეებს შორის. სამივე გამეფებული ქვეშემდომი ერთმანეთთან მუდმივ კავშირს ინარჩუნებდნენ და ერთმანეთის მიმართ მხარდაჭერით სარგებლობდნენ. ისინი ერთობლივად ებრძოდნენ მოგოლებს. შემდეგ მათ შორის კავშირ-ურთიერთობა შესუსტდა და თვიოეულმა მეფემ საკუთარი სახელმწიფოს განვითარებაზე დაიწყო ზრუნვა, მოგოლებმა ამით ისარგებლეს და ოცდათხუთმეტი-ორმოცი წლის წინ შესძლეს ნაზიმ-შაჰის, ანუ მეფე ნაზიმის მართველობის ქვეშ მყოფი რეგიონის დაპყრობა. ნაზიმ-შაჰი პირველი ქართველი, გამეფებული ქართველი ქვეშემდომის მეხუთე, ან მეექვსე შთამომავალი იყო, რომელიც ტყვედ ჩავარდა დაულეთ-აბადში და იქ დაიღუპა. ამის შემდეგ გოლკონდიის მეფეები გაერთიანდნენ და საკმაოდ მყარი ალიანსი შეკრეს. თუმცა მათი ძალები მაინც ვერ შეედრებოდნენ მოგოლების არმიას. იმ პერიოდში მოგოლები დაკავებულები იყვნენ გოლკონდიასთან და ბიჯაპურთან ომებით, მათ სურდათ ამბერის, პარანდუს, ბიდარის და სხვა ციხე-სიმაგრეების აღება, რათა გოლკონდამდე მიეღწიათ. გოლკონდიის მეფეები, რომლებსაც უამრავი სიმდიდრე გააჩნდათ, საკმაოდ მოხერხებულად ეხმარებოდნენ ფულით ბიჯაპურის მეფეს, რომელიც ამ ფულის საშუალებით საკმაოდ ეფექტურად იბრძოდა მოგოლების წინაღამდეგ. ასევე მათ ჰყავდათ უკვე კარგად ორგანიზებული ბრძოლის უნარიანი არმია, რომელსაც ნებისმიერ დროს შეეძლო ბრძოლა დაეწყო მოგოლების წინაღამდეგ. თუკი მოგოლთა არმია ბიჯაპურის საზღვრებს გადმოლახავდავ ამ შემთხვევაში ღიად დაუჭერდნენ მხარს ბიჯაპურის მეფეს და ომში დასახმარებლად ჯარებს გაგზავნიდნენ. ამით მოგოლებს აჩვენებდნენ, რომ მათ არა მარტო თავდაცვა, არამედ ბიჯაპურთან ერთად სერიოზული ბრძოლის წარ-

მართვაც შეეძლოთ. ასევე, აუცილებელია ვიცოდეთ, რომ მათ მოგოლთა არმიის სარდლების, ქრთამების საშუალებით მოსყიდვა დაიწყეს, რომლებიც თავის მხრივ არწმუნებდნენ მოგოლთა სამეფო კარს, რომ ბიჯაპურთან ომი უფრო მომგებიანია, რადგან დაულეთ-აბადთან უფრო ახლოს არის და გოლკონდიაზე ხელი აეღოთ. გოლკონდიის მეფეები უძვირფასეს საჩუქრებს უგზავნიდნენ მოგოლებს და ფულითაც ეხმარებოდნენ სამეფო კარს. მოგოლები საბოლოო ჯამში შეჯერდნენ და განიხილავდნენ ამ სამეფოს, როგორც საკუთარს, არა მარტო იმიტომ, რომ გოლკონდიის მეფემ და აურენგზიბმა შეთანხმება დადეს, არამედ მოგოლებს არ გააჩნდათ არც ერთი ციხე-სიმაგრე დაულეთ-აბადიდან გოლკონდიამდე, რომელსაც წინაღამდეგობის გაწევა შეეძლო, ასევე მიაჩნდათ რომ გოლკონდიის დამარცხება ერთი გალაშქრებით იქნებოდა შესაძლებელი. აურენგზიბი ამ ლაშქრობას მოაწყობდა, მაგრამ ბიჯაპურის მეფის ეშინოდა. იმ შემთხვევაში, თუ აურენგზიბი გოლკონდიის წინააღმდეგ ჯარებს გაგზავნიდა, ბიჯაპურის მეფე დეკკანს შეუტევდა. აურენგზიბს კარგად ესმოდა, საკუთარი უსაფრთხოების მიზნით გოლკონდიის სამეფოს დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანი იყო. აქედან გამომდინარე მეტ-ნაკლებად გასაგებია გოლკონდიის მეფის ინტერესები, მისი ურთიერთობა მოგოლებთან და ბოლოს, მიზეზები, რომელთა გამო ის, ჯერჯერობით მყარად დგას და დრო მის სასიკეთოდ „მუშაობს“. მიუხედავად ამისა, მე ვხედავდი როგორ შეირყა მისი მდგრადობა აურენგზიბისა და ემირ-ჯამლას ერთიანობის დროს, თითქოს ქვეყნის მმართვის სადავეებიც კი დაკარგა გარკვეული დროით. მეფე არ ტოვებდა გოლკონდიის ციხე-სიმაგრეს და ხლხში არ გამოდიოდა, ტრადიციის მიხედვით მეფე ხალხში უნდა გასულიყო და მოესმინა მათი საჩივრებისთვის, მაგრამ მეფის ამდენი ხნის დაყოვნებამ გამოიწვია მოსახლეობის ერთი ნაწილის მიერ, მეორის ჩაგვრა, მოსახლეობაში უკმაყოფილება გაჩნდა, მას უკვე დასცინოდნენ და აფასებდნენ როგორც „ქალს“. გაწამებულმა ხალხმა აურენგზიბზე დაიწყო ფიქრი. ეს მეფე უკიდურესობამდე იყო მისული, რაზედაც რამდენიმე ფაქტი მეტყველებს.

პირველი ფაქტი: 1667 წელს, როცა გოლკონდში ვიყავი, აურენგზიბმა ომის გამოცხადების მიზნით გამოგზავნა განსაკუთრებული ელჩი, თუ გოლკონდის მეფე არ მისცემდა ათიათას მხედარს ბიჯა-

პურის წინაღამდეგ საბრძოლველად. მეფემ ელჩის ხელით ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა აურენგზიბს და დაპირდა დახმარებას, ოღონდ არა ჯარით არამედ ფულით. აურნეგზიბისთვის ეს შეთანხმება სრულიად საკმარისი იყო.

მეორე — აურენგზიბის ჩვეულებრივი ელჩი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა გოლკონდში, მბრძანებლობდა, ემუქრებოდა, აკეთებდა ყველაფერს რასაც ისურვებდა და ეს ყველაფერი დაუსჯელი რჩებოდა...

მესამე — ემირ-ჯამლას ვაჟი, მახმეთ-ემირ-ხანი, მიუხედავად იმისა, რომ ის მხოლოდ აურენგზიბის უბრალო ემირი გახლდათ. როგორც მთელ სამეფოში იყო მიღებული, განსაკუთრებით მოსლიპატამში, სადაც რწმუნებული ანუ ტაპტაპა ითვლება რეგიონის მმართველად, რომელიც ყიდულობს და ყიდის, შემოაქვს და გააქვს საქონელი საკუთარი გემების მეშვეობით და რეგიონში ის არავის წინაშე არ არის ანგარიშვალდებული. იმდენად დიდი იყო მამამისის ემირ-ჯამლას ავტორიტეტი ამ ქვეყანაში, რომ დრომ ვერ შესძლო მისი შეცვლა.

მეოთხე — ეს გახლავთ ჰოლანდიელების ქცევა, როდესაც ისინი არ ერიდებიან სხვა ქვეყნების სავაჭრო გემების პორტში შესვლაზე ხელი შეშლას და არც მუქარას. ისინი მეფის ბრძანებასაც არ ემორჩილებიან. ერთხელ თავად ვიყავი მომსწრე, თუ როგორ ცდილობდნენ ინგლისური გემის ძალით შეპყრობას, ეს ყველაფერი პირდაპირ მოსლიპატამას პორტში მოხდა. გუბერნატორმა ხელი შეუშალა ამ თავხედობას, შეაიარაღა ხალხი და დამუქრა ჰოლანდიელებს ფაქტორიის განადგურებით. ასევე უკმაყოფილებას იწვევდა სავაჭრო საქმიანობაში სერიოზული არეულობა.

მეხუთე — ის, რომ თვით პორტუგალიელები, მიუხედავად იმისა რომ უმეტესოსობა ღარიბია, უბედურები და მიუსაფარნი არიან, ომით იმუქრებიან, მოსლი-პატამას და მთელს სანაპიროს იავარქმნას პირდებიან, თუ ისინი პორტუგალიელებს სანტომეს ციხე-სიმაგრეს არ გადასცემენ, საკუთარი ნებით გადმოცემას სთხოვდნენ ისინი მეფეს, ვიდრე ჰოლანდიელებს არ წაურთმევიათ ძალით. გასათვალისწინებელია, რომ გოლკონდში გონიერი ადამიანებისგან მსმენია: „ეს მეფე საკმაოდ ჭკვიანი და ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანიაო“, მაგრამ როგორ მოიქცევა პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მან უნდა შესძლოს მოიქცეს ისე, რომ არ გააღიზიანოს აურენგზიბი და რაც

მთავარია სახელმწიფოში მიმდინარე საქმიანობაზე და სახელმწიფო პოლიტიკაზე აურენგზიბის წარმოდგენაში არსებული მისი შესაძლო გავლენა უნდა გაექარწყლებინა. ამასთან ერთად მეფეს ჰყავს ვაჟი, რომელსაც ჯერჯერობით მალავენ, შესაფერის დროს ელოდებიან, რომ საზოგადოების წინაშე წარადგინონ და შემდეგ აურენგზიბთან შეთანხმების გარეშე მეფედ აკურთხონ.

ვნახოთ.. დრო გვიჩვენებს...

ეხლა ბიჯაპურის ინტერესებს შევეხოთ. ბიჯაპურის სამეფო ისევ მყარად იდგა, მიუხედავად იმისა, რომ მოგოლები ინტენსიურად ებრძოდნენ მას, ის გარემოებაც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ მოგოლები დიდი ძალებით არ უტევდნენ ბიჯაპურს და არც რაიმე განსაკუთრებული ზომები მიუღიათ მის დასამარცხებლად. აურენგზიბის მხედართმთავრები ომების დამთავრებას არ ჩქარობდნენ. რა სჯობს არმიის სათავეში ყოფნას, შესანიშნავია საკუთარ თავს სამეფო სასახლიდან შორს პატარა მეფედ რომ გრძნობ. ამიტომაც გაჩნდა ანდაზა, „დეკკანი — პური და სიცოცხლეა ინდოსტანის ჯარისკაცისთვის“. გარდა ამისა, ბიჯაპური საკმაოდ „მოუხერხებელია“ მოგოლთა იმპერიისთვის. გზად ვერ მოიპოვებ კარგ სასმელ წყალს და საკვებს, ხოლო ბიჯაპურის დედაქალაქი კი გაძლიერებულადაა დაცული. ეს ქალაქი, მშრალ, უსიცოცხლო ადგილასაა გაშენებული, იქ ვერსად მოიპოვებ წყალს, გარდა ქალაქისა და ბოლოს, ამ სახელმწიფოში ბევრი ციხე-სიმაგრეა, რომლებიც მთებში მიუდგომელ ადგილებშია აშენებული. მე მიმაჩნია, რომ ამ სამეფოს რღვევა უკვე დაწყებულია. მათ დაკარგეს პარანდუ, ქალაქი და ციხე-სიმაგრე, მას ქვეყნის „გასაღებს“ უწოდებდნენ, შესანიშნავად გამაგრებული ქალაქი ბიდერი და კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე. ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ უკანასკნელმა მეფემ, მამრობითი სქესის მემკვიდრე ვერ დატოვა, ეხლა კი სამეფო ტახტზე ერთ დროს დედოფლის მიერ ნაშვილები პირი ავიდა. გოლკონდის მეფის და იყო დედოფალი, ხოლო მისმა ნაშვილებმა ვაჟმა, ან უკვე მეფემ, უმადურობით უპასუხა დედოფლის ერთ დროს გაწეულ მოწყალებას. მას შემდეგ რაც მექიდან დაბრუნდა დედოფალი, მისმა ნაშვილებმა ცუდად მიიღო, მიზეზად ის მოიდო, რომ ვითომდა ცუდად იქცეოდა დედოფალი გემზე, რომელმაც მოკუში წაიყვანა იგი. ორმა თუ სამმა ადამიანმა, ვინც დედოფალს მოეწონა

და კიდევ რამდენიმე პირი, ვინც გემზე იყო, დათანხმდა დედოფალს სახმელეთო გზით გაჰყოლოდა მოკიდან მექამდე და ბოლოს, იმ არეულობების წყალობით, რომელიც ამ მიწაზე სუფევდა, იმ წარმართის სავა-ჯის წყალობით, რომელმაც შესძლო ბევრი ციხე-სიმაგრის ხელში ჩაგდება, რომლებიც მიუდგომელ ადგილებში იყო აგებული, მეფის ტიტულს ირგებდა და დასცინოდა როგორც მოგოლებს, ასევე ბიჯაპურს. ის სურატიდან გოამდე დაუსჯელად დათარეშობდა. ასევე ეს ადამიანი, ერთი მხრივ აზარალებდა ბიჯაპურს და მეორეს მხრივ, უნებლიე დახმარებასაც უწევდა, რადგან უშიშრად ებრძოდა მოგოლებს. მას ხშირად უსაფრდებოდნენ, მაგრამ ამ მოქმედებებმაც ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. ეს ფაქტი ამ ადამიანის შესახებ, მრავლის მეტყველია. საქმე იქამდე მივიდა რომ მან გაძარცვა ქალაქი სურატი და კუნძული ბარდი, რომელიც პორტუგალიელებს ეკუთვნოდა.

მეექვსე — როდესაც დელიდან წამოვედი, უკანა გზაზე შაჰ-ჯეხანის გარდაცვალების შესახებ შევიტყვე. ამბობენ აურენზიბმა ძალიან განიცადა მამის სიკვდილი და გლოვობდა, როგორც ვაჟს შეუძლია იგლოვოს გარდაცვლილი მამა. ის დაუყოვნებლივ აგრასკენ გაემართა. ბეგუმ-სახაბმა ბრძანა ძვირფასი ხალიჩებით მოერთოთ მეჩეთი და ის ადგილი, სადაც სასახლეში შესვლამდე გაჩერდებოდა აურენგზიბი. სერალში შესასვლელში, ანუ სასახლეში ქალებისთვის გამოყოფილ ადგილას, მან აურენგზიბს მიართვა ოქროს ჩანი, შიგნით თავისი და შაჰ-ჯეხანის სამკაულები და ძვირფასეულობა ჩაეყარა, ამ ქალის ქცევა იმდენად დახვეწილი და მომხიბლელი იყო, რომ საბოლოოდ შესძლო ძმის გულის მოგება და მალე მისი მოწყალებითაც სარგებლობდა.

მე ეჭვიც არ მეპარება, რომ ვინც ამ ისტორიას წაიკითხავს, იპოვის იმ გზას რითაც მიდიოდა აურენგზიბი, რომ მეფობისთვის მიეღწია, ეს გზა უკიდურესად ძალადობრივი და საშინელი იყო.

სამეფო ოჯახის პრინცები დაბადებიდანვე განწირულები არიან დაუნდობელი აუცილებლობით, ან გაიმარჯვებენ და იმეფებენ სხვების განადგურების ხარჯზე, რათა მდგომარეობა გაიმყარონ, ან დაიღუპებიან. მე მიმაჩნია ვინც ამ ფენომენს გაითავისებს და გააცნობიერებს, აურენგზიბის ქცევაში „ბარბაროს“-ს არ დაინახავს, არამედ აღიარებს, როგორც იშვიათ გენიოსს, დიდ პოლიტიკოსს და დიად ხელმწიფეს.

წერილი კალბერს

ინდოსტანის ტერიტორიის, ოქროსა და ვერცხლის მიმოქცევის შესახებ, ადგილობრივი სიმდიდრის შესახებ, სამხედრო ძლიერება, იუსტიცია და აზიური სახელმწიფოების დაცემის მიზეზები

„მონსნიორ!

იმის გამო, რომ აზიურ სახელმწიფოებში წესისამებრ ძლიერთა ამა სოფლისათა პირებთან მისვლა საჩუქრის გარეშე არ შეიძლება, მე მხვდა პატივი მეკოცნა დიდი მოგოლის კაბისთვის და მე მას მივართვი რვა რუპიის ღირებულების საჩუქარი, როგორც მისდამი ჩემი პატივისცემის ნიშნად, შემდეგ მივართვი ქარვის ქარქაში დანისთვის, ჩანგლები და ნატიფი დანა, სახელოვან ფაზელ-ხანს, რომელსაც როგორც ექიმისთვის ჯამაგირი უნდა მოეცა ჩემთვის. ის მინისტრი გახლდათ, რომელიც სახელმწიფო საკითხებს აგვარებდა. მე ვფიქრობ, რომ ვერ შევძლებ წარვსდგე მეფის წინაშე, რომელსაც მე უდიდეს პატივს ვცემ, ვიდრე აურენგზიბს და თვით მის წინაშეც კი, რომელსაც ასევე პატივს ვცემ, ვიდრე ფაზელ-ხანს არ მივართმევ რაიმე საჩუქარს, რასაც ისინი ტრადიციულად ჩვეულნი არიან. სახელმწიფო გადატრიალებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინდოსტანში, მე მივიჩნევ მოვლენათა განვითარების ფონზე, არაჩვეულებრივ ობიექტურ რეალობად, რომელიც ჩვენი მონარქიის სიდიადეს ხაზს უსვამს და წინამდებარე მოხსენება შეიცავს კონკრეტულ მასალებს, რომელიც თქვენი რანგის ადამიანისთვისაა განკუთვნილი, რომელსაც შესაბამისი ადგილი უჭირავს მის გარემოცვაში. ჩემი დაბრუნების შემდეგ, მე დავინახე უზადო წესრიგი და თანმიმდევრულობა თქვენს მიერ წარმოებულ სახელმწიფო საქმეებში, რითაც თქვენ შეგიძლიათ წარადგინოთ საფრანგეთი ყველაზე შორეულ ქვეყნებშიც კი, რომ საფრანგეთს და საფრანგეთის მეფეს შესწევს ძალა და უნარი რომ ნებისმიერი წამოწყება წარმატებით დაასრულოს საფრანგეთის სადიდებლად. ინდოეთში, საიდანაც მე ვბრუნდები საკუთარ სამშობლოში მრავალწლიანი მოგზაურობის შემდეგ და სადაც უკვე პოპულარულია თქვენი სახელი, მე მივხვდი თუ რა ბედნიერია საფრანგეთი და რამდენად ვალდებულია იგი თქვენი დაუზარელი მოღვაწეობის შედეგად მიღებული შედეგების გამო. თქვენი მოღვაწეობის შესახებ თხრობა თქვენ-

დამი მადლიერების გამოხატულება იქნებოდა, მაგრამ ალბათ უმჯობესი იქნება საზოგადოებას მისთვის უცნობი თემების შესახებ ვუამბო, რაც თქვენთვისაც მისაღები და საყურადღებო იქნებოდა. მსურს ინდოეთის სახელმწიფოს შესახებ გიამბოთ, რომ გარკვეული წარმოდგენა შეგექმნათ მის შესახებ. თქვენ რუქის მეშვეობით შეეგიძლიათ შეაფასოთ რამდენად დიდია დიდი მოგოლის იმპერია, რომელსაც ინდოეთს, ან ინდოსტანს უწოდებენ. მე მათემატიკურად არ გამომითვლია მისი სიდიდე, მაგრამ დღეების მიხედვით, სამი თვის სავალია გოლკონდიის სამეფოდან კაზნიმდე, რომელიც ყანდაგარის სიახლოვეს მდებარეობს და სპარსეთის პირველ სასაზღვრო ქალაქს წარმოადგენს. ეს მანძილი ხუთჯერ მაინც აღემატება პარიზსა და ლიონს შორის მანძილს და მიახლოებით ხუთას ჩვენებურ ლიეს შეადგენს. შემდეგ ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ უკიდეგანო სივრცეზე საკმაოდ ნაყოფიერი მიწებია, ზოგიერთი მათგანი, როგორიც მაგალითად ბენგალიის სამეფოა, ბევრად აღემატება ეგვიპტეს, ბრინჯის, ხორბლის და სხვა პროდუქტების წარმოებით, ასევე სხვადასხვა ფასეულობებით, რომელსაც ეგვიპტე არ იცნობს, მაგალითად აბრეშუმი, ბამბეულისგან დამზადებული პროდუქცია და სხვა საქონელი, რომელიც საკმარისი რაოდენობით და სხვადასხვა სახით იწარმოება ამ სახელმწიფოში. ამ მიწებიდან უმეტესობა მჭიდროდ დასახლებულია და მაღალ დონეზეც არის განვითარებული. მაგალითად ხელოსნობა, მიუხედავად იმისა, რომ აქაურები ბუნებით ზარმაცები არიან, საჭიროების ან სხვა მიზეზთა გამო, გულმდგინედ შრომობენ. აქ აწარმოებენ ნოხებს, ფარჩას, ოქროსა და ვერცხლის ქსოვილებს, ბამბისა და აბრეშუმის პროდუქციის უამრავ ნაერსახეობას და ამ ყველაფერს, იყენებს როგორც ქვეყნის მოსახლეობა, ასევე გააქვთ ქვეყნიდან და სხვადასხვა ადგილებში ჰყიდიან. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ოქრო და ვერცხლი, რომელიც დედამიწაზე „ინტენსიურად მოძრაობს“, აქ, ამ ქვეყანაში კი, შემოსული ოქრო და ვერცხლი ნაწილობრივ „ქრება“. ცნობილია რომ ძვირფასი ლითონები, რომელიც ამერიკიდან შემოდის და ევროპის სახელმწიფოებში ვრცელდება, ნაწილი სხვა და სხვა არხების საშუალებით თურქეთისკენ მიედინება და სხვადასხვა საქონელში იცვლება, ოქროს კიდევ ერთი ნაწილი კი სპარსეთისკენ „მიედინება“და იქიდან აბრეშუმის პროდუქცია შემოდის. ყავა იემენიდან, ან

„ბედნიერი არაბეთიდან“ შედის თურქეთის ბაზარზე, თურქეთში ყავა ყოველდღიურ სასმელად იქცა. მაგრამ იემენი, თურქეთი და სპარსეთი, ინდურ საქონელს გვერდს ვერ უქცევენ. ამგვარად ეს ქვეყნები იძულებულები არიან ისარგებლონ წითელი ზღვით, მოკათი, ბაბ-ელ-მანდებასთან ახლოს, ბასსარათი, სპარსეთის ყურის ბოლოს და ბენდერ-აბბასში, ან გომერონში, ორმუზასთან ახლოს, სადაც ამ ოქროს და ვერცხლის ნაწილი მიდის და იქიდან კი ინდოსტანში მიემართება გემებით, რომლებიც მუსონების დროს, ან ქარების სეზონზე სარგებლობენ ზემოთ ხსენებული პორტებით. მეორეს მხრივ, ინდური გემები რომლებიც ეკუთვნიან თვითონ ინდოელებს, ან ჰოლანდიელებს ან ინგლისელებს და პორტუგალიელებს, რომლებსაც ყოველწლიურად ჩამოაქვთ ინდური საქონელი პეგუში, ტანასსერში, სიამში, ცეილონში, ასსამში, მაკასსარში, მალდივის კუნძულებზე, მოზამბიკში და სხვა ადგილებში, ასევე ჩამოაქვთ ინდოეთში ბევრი ოქრო და ვერცხლი, რომელსაც იგივე ბედი ეწია როგორც დანარჩენს. ძვირფასი ლითონებიდან, რომელსაც ჰოლანდიელები იაპონელებისგან იღებენ, სადაც მისი მოპოვება ხდება, ნაწილი ადრე თუ გვიან მიემართება ინდოსტანში და ბოლოს, საზღვაო გზებით, რაც შედის ინდოსტანში პორტუგალიიდან ან საფრანგეთიდან, ისევ უკან ბრუნდება, ოღონდ უკვე ნაკეთობის სახით. მე შესანიშნავად ვიცი, რომ შემეწინაღამდეგებიან, რადგან იგივე ინდოსტანი საჭიროებს სპილოებს, სპილენძს, ყაყაჩოს, მუსკატის კაკალს და სხვა პროდუქციის იმპორტს, რომელიც ჰოლანდიელებს შეაქვთ ცეილონიდან, იაპონიიდან და ევროპიდან, მათ ასევე ესაჭროებათ ტყვია, რომელითაც ინგლისი ამარაგებს. ინდოსტანს აგრეთვე ესაჭიროება დიდი რაოდენობით ცხენები. ცნობილია, რომ უზბეკეთიდან ყოველწლიურად ოცდახუთი ათასი ცხენი შეჰყვთ ინდოეთში, ასევე სპარსეთიდან (ყანდაგარის გავლით), ასევე დიდი რაოდენობებით ცხენები შეჰყავთ ეთიოპიიდან, არაბეთიდან, იგივე სპარსეთიდან მოკის პორტის მეშვეობით, ბასრადან და ბენდერ-აბბაციდან. ინდოსტანს ასევე ესაჭიროება უდიდესი რაოდენობით ხილი, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე შემოდის სამარყანდიდან, ბალიდან, ბუხარადან და სპარსეთიდან, ისეთი პროდუქტები, როგორიც არის ნესვი, ვაშლი, მსხალი, ყურძენი. ეს პროდუქტები ძირითადად მოთხოვნადია დელიში და საკმაოდ მაღალ ფასს იხდიან მთელი წლის გან-

მავლობაში. ასევე დიდი მოთხოვნაა ზღვის ნიჟარებზე მალდივის კუნძულებიდან, რომელიც ერთგვარად ფულის მაგივრობას ასრულებს ბენგალიაში და სხვა ადგილებში, იმავე კუნძულებიდან სერი ქარვა, რომელიც მოზამბიკიდანაც შემოდის ინდოეთის ბაზარზე, მარტორქის რქა, სპილოს ძვალი და მონები ეთიოპიიდან, ჭურჭელი ჩინეთიდან, მარგალიტები ბეხარენადან და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი დასახელების საქონლი შედის ინდოეთის ბაზარზე, რომლის გარეშეც შესანიშნავად შეიძლება იცხოვროს ადამიანმა. მაგრამ მიუხედავად ამხელა საქონელბრუნვისა ოქრო და ვერცხლი მაინც არ სტოვებს ინდოეთს, რადგან ძირითადად შემოტანილი საქონელის რეალიზაციით მიღებული თანხა, ისევ ინდური საქონლის შესყიდვას ხმარდება, რომელიც შემდგომ სხვა ქვეყნის ბაზრებისკენ მიაქვთ ვაჭრებს. ბევრი ოქრო და ვერცხლი მოედინება სხვადასხვა არხებიდან ინდოეთში, ხოლო აქედან კი, არსად, აქვე რჩება ეს ურიცხვი განძეულობა. და ბოლოს, ყურადღება მიაქციეთ, რომ დიდი მოგოლი, ყველა ემირის ქონების მემკვიდრეა, რომლებიც თავის მხრივ დიდი მოგოლის მიერ დანიშნული ჯამაგირით ცხოვრობენ და ყველა მიწა, ასევე მხოლოდ მას ეკუთვნის, მაგრამ გამონაკლისს წარმოადგენს სახლები, ან ბაღები, რომლის ყიდვის, გაყიდვის ან გაყოფის უფლებას აძლევს თავის ხელქვეითებს. ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე მეტყველებს იმაზე, რომ ინდოსტანში უდიდესი რაოდენობითაა ოქრო და ვერცხლი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში ოქროს მოპოვება არსად არ მიმდინარეობს, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დიდი მოგოლი, რომლიც ინდოსტანის ხელმწიფეა (უფრო სწორედ მისი უდიდესი ნაწილის) შესაბამისად ღებულობს ძალიან დიდ შემოსავლებს და განუზომელ სიმდიდრეს ფლობს.

ინდოსტანის თვალუწვდენელ ქვეყანაში ბევრია უსიცოხლო მიწებიც, ქვიშა და უნაყოფო მთები, ნაკლებად დასახლებული ადგილები, ბევრი ნაყოფიერი მიწა დაუმუშავებელია მიწათმომქმედთა არყოფნის გამო. ბევრი დასახლებული ადგილი გაცამტვერდა გუბერნატორების ცუდი მოპყრობის გამო, რადგან ისინი მოსახლეობას სასიცოცხლო მნიშვნელბის რესურსებსაც კი ართმევდნენ. როცა ოჯახებს გადასახადების გადახდის საშუალება არ გააჩნდათ, მაშინ ბავშვებს ართმევდნენ და მონებად ჰყიდდნენ. მოსახლეობის ნაწილმა კი მიატოვა

სოფლები და ქალაქებს მიაშურა, ან ჯარში მტვირთავად, ან რაიმე სხვა სახის სამსახურში დაიწყო მუშაობა. სოფლები კი განადგურდა. ბევრი მათგანი რაჯების სამფლობელოებს აფარებდა თავს, იქ ნაკლებად ჩაგრავდნენ და უკეთესადაც ექცეოდნენ. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ სახელმწიფოში ბევრი სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს და მოგოლი ყველა მათგანს ვერ განაგებს. ამ ხალხებს ჰყავთ თავიანთი მეთაური ან მეფე, რომლებიც ემორჩილებიან მგოლს და გადასახადს მხოლოდ იძულების შემთხვევაში უხდიან. ზოგიერთი მათგანი ძალიან ცოტას იხდის, ზოგი კი საერთოდ არაფერს. ზოგიერთს კი სახელმწიფო ხაზინიდან უხდიან ფულს. ეხლა ამ ხალხების და პატარა სახელმწიფოების შესახებ მსურს მოგითხროთ.

ყველა მცირე სახელმწიფო, რომელიც სპარსეთის საზღვართან ახლოს მდებარეობს, არაფერს არ უხდიდნენ სპარსეთის მეფეს. ასევე ამ კატეგორიას განეკუთვნებიან ბალუშები, ავღანელები და სხვა მთის ტომები. უმრავლესობა ამ ტომებისა გადასახადებს ან არ იხდიდნენ, ან უკიდურესად ცოტას უხდიდნენ სამეფო ხაზინას. რა დამამცირებლად იქცევიან ისინი, მე მახსენდება ყანდაგარის ალყის დროს მოგოლი თავისი არმიით მიემართებოდა ატოკადან ინდიმდე, ქაბულისკენ, მათ აიძულეს მთელი არმია გაეჩერებინათ სასმელი წყლის სიმცირის გამო, რადგან კალაპოტები გადაკეტეს და მიმართულება შეუცვალეს მდინარეებს. აურენგზიბი იძულებული გახდა მათთვის საჩუქრები გაეგზავნა. ასეთი ხალხია პატანებიც, ისინი მუჰამედის აღმსარებლები არაინ. ისინი განგის ხეობიდან გამოსული ხალხია ბენგალიაში. მოგოლთა მიერ ინდოეთის დაპყრობამდე, ამ ხალხმა ბენგალიაში გარკვეულ სიძლიერეს მიაღწია. მათ ფეხი მოიკიდეს დელიშიც. ამ ხალხმა შესძლო, რომ ზოგიერთი რაჯა მათი მოვალე გამხდარიყო. პატანები ამაყი და ამტანი ხალხი გახლდათ, მათ შორის არარაობებიც, რომლებიც წყლის დამტარებლად ან მსახურებად მუშაობდნენ ასე ამბობდნენ და ფიცს ასე წაარმოთქვამდნენ: „დაე მე ვერასდროს გავხდე დელის მეფე, თუ რასაც ვამბობ მართალი არ იყოსო“. ეს ადამიანები ვერ იტანენ ინდოლებს, წარმართებს და ვერც მოგოლებს. განსაკუთრებით მოგოლებს, რადგან მათ გამოყარეს პატანები დიდი სათავადოებიდან და აიძულეს აგრადან და დელიდან უკან, მთებში დაბრუნებულიყვნენ, სადაც დასახლდნენ და რაჯების მსგავსად პა-

ტარა „სამეფოებიც“ კი შექმნეს. ასეთივეა ბიჯაპურის მეფეც, რომელიც არაფერს არ უხდის ინდოეთის ხელმწიფეს, ებრძვის მას, მისი ძლიერება საკუთარი რესურსებით განისაზღვრება და ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ეს ქვეყანა დელიდან და აგრადან საკმაოდ დიდ მანძილითაა დაშორებული, ასევე ბიჯაპურის დედაქალაქი საკმაოდ მძლავრად არის გამაგრებული და ასევე არმიისთვის მიუდგომელ ადგილას მდებარეობს. ამ დაგილებში ძნელად მოიპოვება კარგი წყალი და ფურაჟი. ისიც საგულისხმოა რომ ზოგიერთი რაჯა ყოველთვის მათ მხარეზე გადადის და ერთობლივად ებრძვიან მოგოლებს. ასევე ცნობილი სავა-ჯი, რომელმაც გაძარცვა და შემდეგ გადაწვა სუტატი, ეს უმდიდრესი საზღვაო ნავსადგური, უარს ამბობს გადასახადის გადახდაზე ან ძალიან ცოტას იხდის. ასევე მძლავრი და მდიდარი გოლკონდის მეფე, რომელიც ფულით ამარაგებს ბიჯაპურის მეფეს და საზღვარზე მუდმივად ჰყავს მობილიზირებული არმია, რომელიც მუდმივ მზადყოფნაშია თავდაცვისთვის და ბიჯაპურისთვის დახმარების აღმოსაჩენად, თუ ამის საჭიროება შეიქმნება. ასევე, ზემოთ ხსენებული „დაუმორჩილებელი“ ხალხების, და სამეფოების მსგავსად, დაუმორჩილებელნი არიან ზოგიერთი ძლევამოსილი რაჯაც, ან წარმართი მეფეები, რომელთა სამფლობელოები მიმოფანტულია მთელ იმპერიაში, ზოგიერთი მათგანი აგრას და დელის მახლობლად მდებარეობს, დანარჩენები კი უფრო შორს, მათ შორის თხუთმეტი-თექვსმეტი უმდიდრესი და ძლევამოსილი, ექვსი კი, ისეთი, როგორიც რანაა (რანა ადრე რაჯების „იმპერატორი“ იყო და მეფე პორას შთამომავლად ითვლებოდა), ან ჯესსენგი და ჯესსომსენგი, ისინი იმდენად ძლიერები იყვნენ, რომ მათი, გაერთიანების შემთხვევაში მოგოლს სერიოზულ სიძნელეებს შეუქმნიდნენ, თვითოეულ მათგანს წინასწარი მომზადების გარეშე ოცი ათასი შესანიშნავად შეიარაღებული ცხენოსანი ჯარის გამოყვანა შეეძლო, რომელიც ბრძოლის უნარიანობით აღემატებოდნენ მოგოლებს. ამ მხედრებს რაჯპურებს, ანუ „რაჯის შვილებს“ უწოდებდნენ. როგორც ადრე აღვნიშნე, ეს ადამიანები მხოლოდ სამხედრო საქმით იყვნენ დაკავებულები. რაჯები მათ აძლევდნენ მიწებს, იმ პირობით რომ ყოველთვის მზად იქნებოდნენ საბრძოლველად, ისინი ძალიან მამაცი მებრძოლები არიან, მაგრამ რაჯპურების ჯარში დისწიპლინის სერიოზული დეფიციტია.

მესამე გარემოება, რასაც ყურადრება უნდა მივაქციოთ, ეს გახლავთ მოგოლთა მუჰამედის რჯულის აღმსარებლობა, ისინი არ არიან შიიტები, რომლებიც ალის და მის შთამომავლობას აღიარებს, როგორც სპარელები, შესაბამისად სამეფო კარზე სუნიტები სჭარბობენ, ისინი ოსმანს აღიარებენ და ამიტომ ეძახიან ოსმალებს, ისევე როგორც თურქებს, გარდა ამისა მოგოლი-უცხო მიწიდანაა მოსული, ისინი თემურლენგის (თემუჩინის) შთამომავლები არიან, იმ თათარ-მოგოლთა წინამძღოლის, რომელმაც 1401 წელს დაიპყრო ინდოეთი და მისი მფლობელი გახდა, აქედან გამომდინარე, ისინი მათდამი მთლიანად მტრულად განწყობილ ქვეყანაში ცხოვრობენ, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ თვით მოგოლებშიც ბევრი წარმართია. ამ ფაქტორების გათვალისწინებით მოგოლებს ძლევამოსილი მტრების გარემოცვაში უწევთ ცხოვრება და ამიტომ მათი ჯარები ყოველთვის მობილიზებულები არიან საომრად, ასევე მათ წინააღმდეგ შესაძლო ომის საშიშროება მეზობლებიდან, თურქებისგან და უზბეკებიზგან მუდმივად არსებობს. ეს არმია, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობისგან შედგება, ისევე როგორც რაჯები და პატანები, მაგრამ ყველანი ძირითადად მოგოლები არაინ, მათი გარჩევა ადგილობრივი მოსახლეობიდან კანის ფერით განისაზღვრება, მოგოლები უფრო თეთრკანიანები არიან, ეს ფაქტორი, ხაზს უსვამს, რომ ისინი უცხოელებს და მუჰამედის მიმდევრებს წარმოადგენენ, ეს ფაქტორიც ერთგვარ პრივილეგიად ითვლება, რადგან სამეფო კარი დღეს მხოლოდ მოგოლებით აღარ განისაზღვრება და შედგება უზბეკებისგან, თურქებისგან, არაბებისგან, სპარსელებსგან და სხვა ერებისგან, მიუხედავად ამისა, ეს ადამიანები საკუთარი წინაპრების მეოთხე-მეხუთე თაობას წარმოადგენს ამ მიწაზე და ზნე-ჩვეულებები და მათი ქცევის ხასიათი ადგილობრივს შეერწყა და თითქმის აღარაფრით აღარ განსხვავდება ადგილობრივისგან. ეხლა ცოტაოდენი რამ ამ არმიაზე მსურს გიამბოთ და დეტალებში მსურს გაგარკვიოთ. ამ არმიის შენახვა უზარმაზარ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რომლის გადახდაც უწევს დიდ მოგოლს, თხრობისას თავად მიხვდებით და შეაფასებთ მის რეალურ სიმდიდრესაც. პირველ რიგში შევაფასოთ არაადგილობრივი ჯარი, რომელიც პირველ რიგში უნდა უზრუნველყოს, არაადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარი ჯარი, შედგება რაჯებისგან, როგორებიც არიან ჯესსენგი, ჯესსომსენგი

და მრავალი სხვა, რომლებსაც უდიდეს პენსიებს უხდის, იმისათვის რომ ნებისმიერ დროს გარკვეული რაოდენობის რაჯპურები საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდეთ და მათ ემირთა თანასწორად მიიჩნევს, ესეიგი ადგილობრივი და „უცხოელი“(მუჰამედის რჯულის მიმდევრები) დიდებულები უფლებრივად გათანასწორებულები არიან, მას ეს ადამიანები ან არმიის რიგებში ჰყავს დასაქმებული, ან პროვინციულ ჯარებს ხელმძღვანელობენ. ამ რაჯებს იგივე ვალდებულებები აქვთ რაც ემირებს. განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ ემირები ციხე-სიმაგრის შიგნით ეწევიან თავდაცვით სამსახურს, ხოლო რაჯები ციხე-სიმაგრის გარეთ ასრულებენ იგივე ფუნქციას. რაჯებს ხშირად არ სურთ საკუთარ კარვებში იყვნენ „გამოკეტილები“ და სასახლეშიც ამაყად შედიან და უკიდურესად საშიშ ძალას წარმოადგენენ, თუ ვინმე უპატივცემულოდ მოექცევა, ან „ბოროტ ხუმრობას“ გამოიყენებს მათ მიმართ. მოგოლები მრავალ მიზეზთა გამო, იძულებულები არიან ეს რაჯები საკუთარ სამსახურში მუდმივად იყოლიონ. პირველ რიგში იმიტომ, რომ ამ რაჯებს მაღალი დონის ბრძოლის უნარიანი ჯარები ჰყავთ და როგორც ადრე ავღნიშნე თვითოეულ მათგანს ოცდა ხუთი ათასი, ან მეტი ცხენოსანი ჯარი ჰყავს მუდმივ მობილიზაციაში. მეორე რიგში, იმიტომ რომ სხვა თავნება რაჯები შიშის ქვეშ ჰყოლოდა, ასევე ისინიც, ვისაც პენსიას ან ჯამაგირს არ უხდიდნენ, ასევე ისინიც, ვინც გადასახადების გადახდისგან თავს იკავებდა, ან მოგოლის ჯარში სამსახურს თავს არიდებდნენ.

მესამე მიზეზი — რაჯებს შორის, ემირთა შორის და რაჯებსა და ემირებს შორის, ურთიერთ დაძაბულობის შენარჩუნება იყო, მოგოლი საჩუქრებით და ფულით ახერხებდა ამას, რასაც ერთმანეთს შორის ომი მოჰყვებოდა ხოლმე.

მეოთხე მიზეზი — პატანების ანუ საკუთარი ემირების (გუბერნატორების) წინაღამდეგ საბრძოლველად მათი გამოყენება იყო, ეს იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუკი რომელიმე დაუმორჩილებლობას გამოუცხადებდა მოგოლს.

მეხუთე მიზეზი — გოლკონდის მეფის წინაღამდეგ მათი ინტენსიური გამოყენება, მას შემდეგ რაც მან უარი თქვა გადასახადების გადახდაზე და ბიჯაპურის მეფის დაცვის მცდელობა და მხარდაჭერა დაიწყო, ასევე გოლკონდის მეფე სხვა მეზობელ რაჯებსაც ეხმარე-

ბოდა, რომელთა გაძარცვა და გადასახადების დაკისრება სურდა მოგოლს. ვერც ემირების იმედზე იქნებოდა და ვერ დაეყრდნობოდა მათ ერთგულებას, რადგან მათი უმეტესობა სპარსელი და შესაბამისად შიიტები იყვნენ, როგორც სპარსეთის და გოლკონდის მეფე.

მეექვსე მიზეზი — ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ მოგოლებს ეს წარჩინებულნი, სპარსეთის წინაღამდეგ საბრძოლველად სჭირდებოდათ, მხოლოდ შესაფერის დროს უცდიდა მოგოლი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ რაჯები და ემირები მისი ქვეშშემდომები იყვნენ, მათდამი ნდობა მაინც არ ჰქონდა, რადგან უმეტესობა ემირებისა, სპარსელები იყვნენ, შესაბამისად ისინი არ წავიდოდნენ თავიანთი „ბუნებრივი“ ხელმწიფის წინაღამდეგ საბრძოლველად, შესაბამისად მათი იმამიც, ხალიფაც, ანუ უმაღლესი პირველმოძღვარი იყო და როგორც ალის შთამომავალის წინაღამდეგ ბრძოლა უდიდეს დანაშაულად და ცოდვად ითვლებოდა.

რაჯების გარდა იგივე მიზეზების გამო იძულებული იყო ერჩინა პატანების გარკვეული რაოდენობა და ბოლოს, მას უხდებოდა „უცხოტომელთა“ ლაშქარი შეენახა, რომელიც მოგოლებისგან შედგებოდა, რომელთა შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. რადგან ეს არმია შეადგენდა სახელმწიფოს ძირითად ძალას და მათთვის იხარჯებოდა წარმოუდგენლად დიდი თანხები.

მე მსურს გიამბოთ ამ არმიის შესახებ უფრო დეტალურად.

ვნახოთ რას წარმოადგენს ეს უცხოტომელთა არმია. ის შედგებოდა როგორც ცხენოსნებისგან და ფეხოსნებისგან, თითქოს ორ ნაწილად იყო გაყოფილი არმია. ერთი ნაწილი ყოველთვის მოგოლის გვერდით იდგა, დანარჩენები კი გაფანტულები იყვნენ სხვადასხვა პროვინციებში, ჯარი, რომელიც მოგოლთან იყო მუდმივად ძირითადად ცხენოსანი ჯარს წარმოადგენდა. რამდენიმე სიტყვით ემირების შესახებ, შემდეგ მანსებდარების, რუზინდარების და ბოლოს უბრალო ცხენოსნების შესახებაც მსურს მოგითხროთ. ამის შემდეგ ქვეით ჯარზეც მოგითხრობთ, რომელთა შორის ყურადღებას მივაქცევთ მუშკეტრებს და ზარბაზნების მომსახურე სხვა ჯარისკაცების შესახებ, შემდეგ არტილერიის ჯარებზეც ვისაუბროთ.

არ იფიქროთ, რომ ემირები ან მოგოლთა წინამძღოლები დიდებულთა წარმომავლობისა იყვნენ, როგორც საფრანეთშია. რადგან

მთელი მიწა ეკუთვნის ხელმწიფეს, შესაბამისად ვერ იქნებიან ვერც ჰერცოგები და ვერ მარკიზები, არ არსებობს არავითარი საგვარეულოები მდიდარი მიწებით და საკუთარი მამულებიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე მცხოვრები დიდებულები, ხშირად არ განიხილება მემკვიდრედ ემირთა შვილები, რადგან ყველაფერი მეფეს ეკუთვნის. შესაბამისად სახელოვანი გვარის შვილები დიდ ხანს ვერ ინარჩუნებენ საკუთარ მდგომარეობას, პირიქით, მათი დაცემა მყისიერ ხასიათს ატარებს და ემირთა შთამომავლები იძულებულები არიან რომელიმე ძლევამოსილი ემირის ჯარში უბრალო ცხენოსანად იმსახუროს. მართალია მოგოლები მცირე პენსიას უტოვებენ ქვრივ ქალებს, თუ მამამ დიდხანს იცოცხლა და კეთილსინდისიერად ემსახურა მეფეს, მაშინ მათ შვილებსაც სწყალობენ ხოლმე, მაგრამ კარგი პროტექციის შემთხვევაში შესაძლებელია კარგ თანამდებობაზეც დანიშნოს მეფემ, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის კარგი აღნაგობისაა, თეთრი პირ-სახე აქვს და ინდოელს ნაკლებად ჰგავს, ასეთი ადამიანი მოგოლებისგან ნაკლებად განსხვავებული იქნებოდა, ნამდვილ მოგოლადაც აღიარებენ, თუმცა ასეთი წინსვლა, როგორც წესი დროში იწელება, რადგან დიდ თანამდებობას დიდი ჯამაგირი შეესაბამება. ეს ემირები ჩვეულებრივ, ავანტიურისტები არიან და სხვადახვა ნაციონალობის წარმომადგენლები არიან და ერთმანეთს სამეფო კარისკენ უკვალავენ გზას, ეს ადამიანები სრული არარაობები არიან და ზოგიერთი მათგანი კი, მონადყოფილია, უმეტესობას არავითარი განათლება არ გააჩნია. მოგოლი ამ ადამიანებს მაღალ თანამდებობებზე ნიშნავს ხოლმე და შემდეგ მათ გადაადგილებაზეც „ზრუნავს“. ემირთა შორის ზოგიერთს ჰქვია ხაზარი (ათასი ცხენი), დო-ხაზარი (ორი ათასი ცხენი) ან პანჩ-ხაზარი (ხუთი ათასი), აგიტ (რვა), დას (ათი) და კიდევ დუაზდას-ხაზარი(ოცი ათასი), როგორც მაგალითად მეფის უფროს შვილს ერქვა. ეს სახელები შესაბამისად აღნიშნავს: ბატონი ათასი ცხენოსნით, ან ორი ათასი ცხენოსნით და ასე შემდეგ. მათი ანაზღაურებაც ცხენების რაოდენობით განისაზღვრება (მე ვამბობ ცხენებს, იმიტომ რომ მათ უხდიან არა მხედრების მიხედვით არამედ ცხენების მიხედვით, ემირებს ერთ მხედარი ორი ცხენით ჰყავთ, უკეთესი სამსახურისთვის, რადგან ცხელ ქვეყნებში ჩვეულებრივ ამბობენ, რომ „მხედარი ერთი ცხენით მეტია, ვიდრე ნახევრად ქვეითიო“. არ იფიქროთ, რომ ხელმწიფე ვალდებუ-

ლია სრულიად უზრუნველყოს ფულით ცხენების სრული რაოდენობა, რომელიც ხმამაღალი სახელების უკან იგულისხმება, დაგ-ხაზარი ან გეშტ-ხაზარი (ოცი ათასი ცხენი ან რვა ათასი ცხენი). ეს დასახელებები მოგონილია იმისათვის რომ სხვა ქვეყნის მეფეები მონუსხონ და ინტერესი გაუღვიძონ. ხელმწიფე რეალურად აუცილებელი რაოდენობის ცხენების შესანახად გამოჰყოფს თანხებს და ასე აფინანსებენ მათ. ასევე გარკვეული რაოდენობის ცხენებისთვისაც უხდიან ფულს, რომლის შენახვაც არ ევალებათ მათ. ამის გარდა ემირები კიდევ ფინანსდებიან სახელმწიფო ინტერესებში შემავალი ინტერესების გამო. მე მინახავს რომ წარჩინებული, ყოფილი მოიმი, რომელიც პანჩ-ხაზარის, ანუ ბატონი, ხუთი ათასი ცხენის წოდებით მოიხსენიება, რეალურად კი ხუთასი ცხენოსნის შენახვა ევალება, მას 5 ათას ეკიუს უხდიან თვეში. ჯამაგირების გაცემის შემდეგ, ამ ემირს ხუთასი ეკიუ რჩება მოგება და ეს თანხა არის ნაღდი, ანუ ჯამაგირს ხაზინიდან ნაღდი ფულით ღებულობდა. მიუხედავად მსხვილი შემოსავლებისა, რომელსაც ემირები ღებულობდნენ, მე იშვიათად მინახავს მდიდარი ემირი, ემირების უმრავლესობა ფულის დეფიციტს განიცდის და ამიტომაც ვალებში ვარდებიან. მათ, ცხენების კვებაზე დახარჯული ფული კი არ აკოტრებს, რაც სხვა ქვეყნებში დიდ თავადებს ემართებათ, არამედ პირიქით, ეს თანხები საკმაოდ მცირეა, მაგრამ აუცილებელია წლის განმავლობაში სახელმწიფოში გამოცხადებული ზეიმის დღეს ძვირად ღირებული საჩუქარი მიეძღვნათ მბრძანებლისთვის, რომელის ღირებულება მათ ჯამაგირთან შესაბამისობაში იქნებოდა. ასევე მათ სახსრებს „ანადგურებდნენ“ ემირების ცოლების შესანახად აუცილებელი თანხების გაღება, ჯიშიანი ცხენების მოსავლელად საჭირო რესურსები და მსახურების ჯამაგირისთვის საჭირო ფული. ემირთა რაოდენობა, რომლებიც ლაშქრობებში იმყოფებიან, ვინც პროვინციებში არიან მოგოლთა არმიაში და ასევე სამეფო კარის ემირთა საერთო რაოდენობა ძალიან დიდია. მე მსურდა მათი რაოდენობის დადგენა, მაგრამ ვერ შევძელი, მოკლედ ძალიან ბევრნი არიან. სამეფო კარზე ოც-ოცდახუთ ემირზე ნაკლები იშვიათად მინახავს, რომლებიც უფრო მეტ ჯამაგირს ღებულობენ ცხენების შესანახათ, იმის მიხედვით, ვის რამდენი ცხენის შენახვის მოვალეობა აქვს თავის თავზე აღებული. ეს ემირები გუბერნატორის თანამდებობებსაც ღებულობენ და მათ სამეფო კარზეც აწინაურებენ

მმართველ თანამდებობებზე, როგორც ამბობენ ისინი სახელმწიფოს საყრდენს და სამეფო კარის ბრწყინვალებას წარმოადგენენ. ეს ადამიანები ქალაქის ქუჩებში შესანიშნავად ჩაცმულები გამოდიან, ხან სპილოზე ამხედრებულნი სეირნობენ ქალაქის ქუჩებში, ხან ჯიშიან ცხენზე ამხედრებულნი იწონებენ თავს. ჩვეულებისამებრ ცხენოსანი ამალაც ახლავს თან. მსახურთა მრავალრიცხოვანი „არმია“ გვერდზე მიჰყვება ემირს, რათა ორივე მხარეს ბრბოსგან გაწმინდოს გზა, რომ ბატონს ხელი არ „შეეშალოს“ გადაადგილებაში, ასევე სასმელი წყალი და საკითხავი წიგნებიც თან დააქვთ... ყველა ის პირი, ვისაც სამეფო კარზე თანამდებობა უჭირავს, ვალდებულია, ჯამაგირიდან თანხის დაქვითვის შიშის გამო, დღეში ორჯერ ეახლოს მეფეს თაყვანისცემისთვის, დილით ათიდან-თერთმეტ საათამდე შკრებისას და საღამოს ექვს საათზე. ასევე ციხე-სიმაგრის დაცვის სამსახურში მცველის ფუნქცია უნდა ითავონ კვირაში ერთხელ, მთელი დღე-ღამის განმავლობაში. მათ მიაქვთ საკუთარი საწოლები, კარვები და საჭირო ავეჯიც კი, ხოლო მეფე მხოლოდ კვებით უზრუნველჰყოფთ მათ, რასაც დიდი პატივისცემით და შესაბამისი ცერემონიებით ღებულობენ, კერძოდ სამჯერ ასრულებენ ტასლიმს, ანუ თაყვანისცემას, მეფის საძინებლისკენ სახით ბრუნდებიან, ჯერ ხელს დაუშვებენ მიწამდე და მერე თავს ზემოთ ასწევენ, ეს არის მადლობის რიტუალი. გარდა ამისა ისინი ვალდებულები არიან, მიუხედავად იმისა როგორი ამინდია, ცხენზე ამხედრებულები ეახლონ მეფეს, როცა ის ქალაქიდან გადის. მეფე ამ დროს ტახტრევანით სპილოზე დამაგრებული კარვის ქვეშ შეფარებული გადაადგილდება. ასე რომ მეფე ყოველთვის კარგად არის დაცული, ნებისმიერი ამინდის შემთხვევაში მოგზაურობისას. ხანდახან მბრძანებელი ზოგიერთ მათგანს ანთავისუფლებს მოვალეობის შესრულებისგან. ეს ხდება მაშინ როდესაც ემირი მოხუცია, ან ავადმყოფია და შეუძლოდ გრძნობს თავს, ან უბრალოდ არ სურს ბევრი ხალხის თავყრილობის ყურება, ასე ჩვეულებისამებრ იქცევა, როცა ქალაქიდან გადის მისი შემოგარენის მოსანახულებლად, მაგალითად, სანადიროდ, ან ქალაქგარეთ მდებარე სახლში როცა მიემგზავრება, ან მეჩეთში მიბრძანდება სალოცავად.

მენსებდარები — ისინი მხედრები არიან, რომლებიც მანსებს ანუ განსაკუთრებულ ანაზღაურებას ღებულობდნენ, საკმაოდ საპატიოს და მნიშვნელოვან ანაზღაურებას, თუმცა ემირებზე ნაკლები იყო მათ-

თვის გადასახდელი თანხა. მათ პატარა ემირებად მიიჩნევენ, რომლებიც რანგით მომავალი ემირების რანგს უტოლდება. ისინი არავისადმი მორჩილებას არ აღიარებენ გარდა ფადი–შაჰისა და იგივე მოვალეობებს ასრულებენ რასაც ემირები. ისინი ნამდვილი ემირები იქნებოდნენ, უფლება რომ ჰქონდეთ და რამდენიმე მხედარი რომ ექვედებარებოდეს მათ მმართველობას. ადრე შეიძლება რომელიმეს ჰქონდა ამის უფლება, მაგრამ ეხლა მათ მოვალეობაში შედის ორი ან ექვსი ცხენის მოვლა, ანუ სამეფო „ეტლისთვის“ განკუთვნილი ცხენების მოვლა ევალებოდათ. ჯამაგირი თვეში 150-200 რუპიდან, 600-700 რუპიამდე მერყეობდა. ამ ადამიანების რაოდენობა შეზღუდული არ არის, მათი რაოდენობა ემირთა რაოდენობას მნიშვნელოვნად აჭარბებდა. სამეფო კარზე ემირების რაოდენობა 200 დან 300 ადამიანამდე მერყეობდა თუ არ ჩავთვლით იმ ემირებს, რომლებიც პროვინციებში და არმიის დაქვემდებარებაში იყვნენ.

რუზინდარი — ისინიც მხედრები არიან, მაგრამ დღიური ანაზრაურებით, როგორც მათი სახელი მოწმობს, მათი ანაზღაურება ხანდახან მენსებდარებზე მაღალია, მაგრამ რანგით დაბლა დგას, ისინი არ არიან სამსახურეობრივად „ვალდებულები“ ისე, როგორც მენსებდარები. აჯენასები, ანუ გარკვეული თანხით, ხშირად არანორმირებული ფასით, ხალიჩების და სხვა საოჯახო ნივთების შესყიდვებით იყვნენ დაკავებულნი, რომელსაც ისინი სამეფო კარისთვის ყიდულობდნენ. ამ ადამიანების რაოდენობა ძალიან დიდი იყო და მათ დაბალი და უმნიშვნელო თანამდებობები ეჭირათ, ზოგიერთი მათგანი გადამწერად, ან კანცელარიებში მუშაობდნენ, მათ მოვალეობებში შედიოდა ბეჭდების დასმა თანხების გასაცემ ბარათებზე და ორდერებზე, ქრთამებსაც იღებდნენ საბუთების დროულად მოსამზადებლად.

უბრალო მხედრები ემირებს ემორჩილებოდნენ, მათ შორის უფრო მეტ ჯამაგირს ის მხედარი ღებულობდა, რომელსაც ორი ცხენი მაინც ჰყავდა შესანახი, ამ ადამიანების ანაზღაურების შესახებ არაფერი არ არის ცნობილი, ალბათ ემირის გულუხვობაზე და მის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. მაგრამ მოგოლს მიაჩნია, რომ უბრალო მხედარი ერთი ცხენით, ოცდახუთ რუპიაზე ნაკლებს არ უნდა ღებულობდეს და შესაბამისად ემირებთან ანგარიშსწორებისას ამ მონაცემს ეყრდნობოდნენ.

ფეხოსნების ანაზღაურება უფრო მცირე იყო ვიდრე მხედრების. მათ შორის ბევრი უვარგისი მუშკეტერია, მათი დაბალი დონე, სროლის დროს ვლინდება, ეს ადამიანები სროლის დროს ყოველთვის შიშობენ, რომ თოფი აუფეთქდებათ და მათ დიდ წვერს ან თვალებს დააზიანებს, განსაკუთრებით ეშინიათ „ჯინის“, რომელიც შეიძლება მუშკეტის ლულიდან ამოძვრეს და სროლის დროს გახეთქოს მათი მუშკეტი. მათი ჯამაგირი ათი-თხუთმეტი, ან ოცი რუპია. მაგრამ გვხდებიან კანონირები, რომლებიც უფრო მეტ ჯამაგირს ღებულობენ „ფრანგი“-ებისგან, ჰოლანდიელებისგან, გერმანელებისგან და ინგლისელებისგან, რომლებიც გოადან ჩამოდიან, ან რომლებიც ჰოლანდიური და ინგლისური კომპანიებიდან გარბიან. ადრე სანამ ინდოელებმა არ იცოდნენ როგორ ესროლათ მუშკეტიდან, კანონირების ჯამაგირი ძალიან დიდი იყო, ამ ადამიანებიდან კიდევ შემორჩნენ გარკვეული რაოდენობის მუშკეტრები, რომლებიც ჯამაგირს თვეში ოც რუპიას ღებულობენ, მუშკეტრების მეთაურების ჯამაგირი ოცდაათ რუპიამდე აღწევდა ან საერთოდ არ აჰყავთ თანამდებობაზე არავინ.

არტილერია ორ კატეგორიად იყოფა. პირველი, მძიმე არტილერია, ხოლო მეორე, მსუბუქი არტილერია. რაც შეეხება მძიმე არტილერიას, მე მახსენდება, რომ ხელმწიფემ ავადმყოფობის შემდეგ ბრძანება გასცა, რომ ჯარისკაცებს გართობის საშუალება მისცემოდათ და მათ, ყოველდღიურად ნადირობის ნებართვა მისცა ნებისმიერ ცხოველზე, რომელსაც თვითონ ისურვებდნენ და ჯართან ერთად ნელი სვლით ლაგორისკენ და ქაშმირისკენ, ამ პატარა სამოთხისკენ გადაადგილდებოდნენ. ჯარის არტილერია სამოცდაათი ზარბაზნისგან შედგებოდა, მათგან უმეტესობა თუჯისგან იყო ჩამოსხმული, თუ არ ჩავთვლით ორას-სამას აქლემზე დატვირთულ, თითქმის მუშკეტის ზომის მსუბუქ ზარბაზნებს. ამ ზარბაზნებს ისინი ცხოველებზე ამაგრებდნენ, ისევე როგორც ნავებზე ამაგრებენ ქვის სასროლ მანქანებს. ამ ტიპის არტილერია მე საკმაოდ იოლად მოსახმარი და ეფექტურ იარაღად მომეჩვენა. ამ ზარბაზნებისთვის პატარა ურიკებით ორმოცდაათი, ბრინჯაოსგან დამზადებული ჭურვი გადაჰქონდათ, რომელსაც თავის მხრივ ლამაზ ყუთებში ალაგებდნენ, რომ აქლემზე მჯდომი არტილერისტისთვის იოლი გამხდარიყო და ინტენსიურად ეწარმოებინა გასროლა. ესეთივე ყუთები ეტლის მსგავს საზიდარზეც ეწყო,

რომელშიც ცხენები იყვნენ შებმული და ერთი სათადარიგო ცხენი კი აღვირით იყო მიბმული ეტლზე. მძიმე არტილერიას არ შეძლო ყველგან გაჰყოლოდა მეფეს, რადგანი ის, მთავარი გზიდან ხან მარჯვნივ გადაუხვევდა ხან მარცხნივ, რომ სანადიროდ, ან წყლის დასალევად შესაფერისი ადგილი შერჩია. მძიმე არტილერია პირდაპირ დიდი გზით გადაადგილდებოდა, რომ შესაძლებლად სწრაფად ევლოთ და შეფერხებებისთვის გვერდი აევლოთ, რომელიც რთულ გადასასვლელებზე ექმნებოდათ, განსაკუთრებით ციცაბო ადგილებში, სადაც მდინარეზე გადასასვლელად ხიდებს აკეთებდნენ. მსუბუქი არტილერია კი მეფის ამალასთან ერთად იყო და ამიტომაც დაარქვეს „მობილური“ არტილერია. ის დილით იწყებდა გადაადგილებას, როცა მეფე საკუთარი კარვიდან გამოდიოდა, მეფეს შეიძლება გზიდან გადაეხვია სანადიროდ, იმ ადგილებისკენ, რომელსაც იცავდნენ რომ იქ არმია არ შესულიყო. არტილერია და ჯარი კი, შემდეგი შეკრების ადგილისკენ იწყებდა გადაადგილებას, რომ დროულად ჩასულიყო, რათა მეფისთვის და ემირებისთვის კარვების გაშლა მოესწროთ. მეფის გამოჩენისთანავე არტილერია სროლას იწყებდა რომ მეფის მოახლოვება ემცნო ჯარისთვის. საველე ჯარისკაცისგან არაფრით არ განსხვავდებოდა მეფის ამალა. ყველგან იდგნენ ემირები, მანსებდარები, რუზინდარები, უბრალო ცხენოსნები, ქვეითი ჯარი და არტილერია. სადაც იომებდნენ, იმის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ რამდენად დიდი იყო საველე ჯარი, დიდი მოგოლი იძულებულია მუდმივად უზრუნველყოფილი ჰყავდეს არმია, განსაკუთრებით დეკკანში, რადგან ალაგმული ჰყავდეს გოლკონდიის ძლევამოსილი მეფე და ებრძოლოს ბუჯაპურის მეფეს მთელი რაჯებთან ერთად, ვინც მას შეუერთდა და მათი ჯარი ოცდახუთი — ოცდაათიათას მხედარს შეადგენდა.

ქაბულის სამეფო თავდაცვის მიზნით მუდმივად საჭიროებდა ათითხუთმეტი ათასიან მხედრობას, რათა თავი დაეცვა სპარსელებისგან, ავღანელებისგან, ბალუშაებისგან და სხვა მთიელებისგან, ქაშმირის სამეფოს — ოთხი ათსი ჯარისჯაცი ჰყავდა სრულ მობილიზაციაში და ბენგალიის სამეფოს კი ბევრად მეტი. აქ სულ ომია და არ არსებობს ტერიტორიის და ადგილმდებარეობის მიხედვით ისეთი გუბერნატორი, ვისაც მუდმივად დიდი რაოდენობით ჯარი არ სჭირდებოდეს. ერთობლიობაში კი წარმოუდგენლად დიდ არმიაზეა საუბარი. მიუხედავად



ყველაფრისა, თუ ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ ქვეით ჯარს, რომელსაც ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ცხენების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, რომელმაც შიძლება ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვიოს თქვენში, ზოგიერთი ადამიანი, მათ შორის მეც, კარგად ვერკვევით ამ საკითხებში, მოგახსენებთ, რომ მეფის გვერდით მუდმივ მზადყოფნაში, ასევე რაჯების და პატანების კავალერიის ჩათვლით, რეალურად ოცდათხუთმეტი ათასიან ჯარზე გვაქვს საუბარი და დამატებით ბრძოლის ველზე, კიდევ ოცი ათასიანი ცხენოსანი არმიაც უნდა მივიღოთ მხედველობაში. მე ვთქვი, რომ ქვეით ჯარს არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, მიუხედავად ამისა, მეფე თავის დაქვემდებარებაში ინარჩუნებდა მუშკეტრებს, ქვეით კანონირებს და მათ დამხმარეებს, ყველას, ვინც არტილერიას ემსახურებოდა, საერთო ჯამში მათი რიცხვი ორმოცდაათი ათასს აჭარბებს. ყველა ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ „არსაიდან“ ასეთი რაოდენობის ქვეითი ჯარი, რომელსაც ზოგიერთი არაფრად მიიჩნევს, დიდი მოგოლის არმიის შემადგენლობაში, თუ მათ არ მოიხსენიებს ნამდვილი სამხედროების და ბაზრის ვაჭრების გვერდით, რომელებიც არმიის შემადგენლობაში არიან, მაშინ მათი რაოდენობა ორასი-სამასი ათას ადამიანს აღწევს, რომელიც მუდმივად სახელმწიფოს დაქვემდებარების ქვეშ იმყოფებიან. ასევე მათი რაოდენობა ბევრად უფრო მე-

ტი იყო, მაგალითად ისეთ შემთხვევაში, თუ დიდი მოგოლი დიდი ხნით აპირებდა დედაქალაქიდან გასვლას. ეს ფაქტი არ აკვირვებდა მათ, ვისაც უნახავს კარვების წარმოუდგენელი რაოდენობა, სამზარეულოები, ქალებისთვის გამოყოფილი ადგილები, ასევე სპილოები, აქლემები, ხარები, ცხენები, საზიდარები, მზიდავები, ფურაჟის და სურსათის მომმარაგებებლები, ყველა ჯურის ვაჭარი და მსახურები, რომლებიც არმიასთან ერთად გადაადგილდებოდნენ.

ეს უჩვეულოდ არ მოეჩვენებათ იმ ადამიანებს, ვინც იცნობს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას და მისი მმართველობის განსაკუთრებულობას, ამასთან ერთად უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ ხელმწიფეა ამ ქვეყანაში ყველაფრის მესაკუთრე, აქედან გამომდინარეობს სახელმწიფოს პატარა დედაქალაქები, აგრა და დელიც ცხოვრობენ არმიაზე დაყრდნობით და შესაბამისად იძულებულები არიან მიჰყვნენ მეფეს, როცა ის საომრად მიდის. ეს ქალაქები არაფრით არ გვანან პარიზს, რეალურად რომ ვთქვათ ეს სამხედო ბანაკებს უფრო ჰგავს, სადაც არმია უფრო უკეთესად არის განთავსებული, ვიდრე საველე პირობებში. გარდა ამისა მიაქციეთ ყურადღება მნიშვნელოვან გარემოებას, რომ მთელი ამ არმიის ყოველი წევრით დაწყებული ემირიდან, დამთავრებული უბრალო ჯარისკაცით, ყოველ ორ თვეში ერთხელ ჯამაგირს ღებულობდნენ. ჯამაგირი, რომელსაც ეს ხალხი მეფისგან ღებულობდა, მათ ერთადერთ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა, შესაბამისად გადახდასთან დაკავშირებით არავითარი დაბრკოლება არ არსებობდა, ჩვენი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ჩვენთან გადახდის დაყოვნება სახელმწიფო საჭიროების მიზეზით ხდება და ოფიცერი, ჯარისკაცი და ასევე თავადი, ან მაღალი რანგის სამხედრო ოფიცერი, საკუთარ დანაზოგს ეყრდნობა, ან საკუთარი კაპიტალიდან პროცენტების ხარჯზე, ან საკუთარი მიწიდან მიღებული შემოსავლების წყალობით გააქვს თავი. აქ კი (ინდოეთში), აუცილებელია, რომ ყველაფერი დროულად და ზუსტად ყოფილიყო გადახდილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი ჩამოიშლებოდა, ხალხი შიმშილით დაიხოცებოდა, ისინი გაჰყიდიდნენ საკუთარ ცხენებს და იმ უმნიშვნელოს, რაც მათ ებადათ, მე ამის მომსწრე უკანასკნელი ომის დროს ვიყავი, მაშინ ჯარისკაცების უმრავლესობა ყველაფრის გაყიდვას აპირებდნენ, მაგრამ ომი მალე დამთავრდა. ამ ადამიანებში

ძნელად მოიძებნებოდა პიროვნება ვისაც არ ჰყავდა ცოლი, შვილები და მონები, მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო მხოლოდ ჯამაგირი გახლდათ. ბევრს უკვირს, ამხელა რაოდენობის ჯამაგირზე მომუშავე ხალხის არსებობა, მათი რიცხვი მილიონობით ადამიანით განისაზღვრება, მათ წარმოდგენაც არა აქვთ საიდან მოდის ამხელა თანხები, რომ ამ გრანდიოზულ ხარჯებს ჰყოფნოდა. ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს ეს მოვლენა, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ხელმწიფის სიმდიდრეს, სახელმწიფო მოწყობის სისტემას და მეფის სრულიად სახელმწიფოში შემავალი მიწების მფლობელობას. ამ საუნჯეს ემატება ისიც, რომ დიდი მოგოლი უზრუნველჰყოფდა დელიშიც, აგრაშიც და მის შემოგარენში ორი ან სამი ათასი ცხენის მოვლას, რომლებიც საჭიროების ემთხვევაში მუდმივად მზადყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ, ასევე რვაასი-ცხრაასი სპილო, ჯორების ურიცხვი რაოდენობა, ცხენები და მტვირთავები, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ ყველა დიდი კარვის გადატანაზე, მისი ცოლების ტრანსპორტირებაზე, სამზარეულოს და ავეჯის გადატანაზე, განგიდან წყლით მომარაგებაზე და ყველა სხვა ლაშქრობისთვის აუცილებელი ნივთების მობილიზაცია ტრანსპორტირებაზე, რომლებითაც სარგებლობს მეფე, მან თავი ისე უნდა იგრძნოს თითქოს სასახლე არც კი დაუტოვებია. ყველა ეს ნივთი ჩვენს სახელმწიფოში უბრალოდ გამოუსადეგარია.

ნება მიბოძეთ დავამატო, რომ ამ წარმოუდგენელ ხარჯებს ემატებოდა სერალიას შენახვის ხარჯებიც, ასევე ოქრო-ნაქარგი ფარდაგები, მუსკუსი, მარგალიტები და უამრავი ძვირფასი ნივთი. ეს არის ყველა ხარჯი, რომელსაც ეწევა ფადიშაჰი, დაწყებული ომებიდან დამთავრებული პირადი კომფორტით, თავად განსაზღვრეთ მისი უსაზღვრო სიმდიდრე, რომელიც საშუალებას აძლევს მოერიოს ამხელა გასავლებს. რაც შემეხება მე, მე კარგად ვიცი, არ შეიძლება ვუარყო მისი შემოსავლების გრანდიოზული მასშტაბები და მიმაჩნია, რომ მისი სიმდიდრე, სპარსეთის შაჰისა და ოსმალეთის სულთანის სიმდიდრეს, ერთად აღებულს, გადაწონის. ჩემი აზრით, მე მივიჩნევ მას რეალურად მდიდარ მეფედ, ვინც არ ცდილობს საკუთარი ქვეშემდომების გაკოტრებას, მას ყოველთვის ჰქონდა უდიდესი შემოსავლები, რომ შეენახა თავისი სამოფო კარი და მუდმივ მობილიზაციაში ჰყოლოდა მრავალრიცხოვანი ჯარები და მრავალწლიანი ომებიც ეწარმოებინა,

მას ასევე საშუალება ჰქონდა სურვილის შემთხვევაში გულუხვობაც გამოეჩინა, აეშენებინა დიდებული, მეფური შენობები ან გაეღო თანხები სხვა და სხვა საჭიროებისთვისაც, რომელსაც საჭიროდ ჩათვლიდა, ასევე მას ჰქონდა შესაძლებლობა ხაზინისთვის დაევალებინა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში მოეხდინათ თანხების მობილიზაცია და მსხვილ მასშტაბიანი ომები წამოეწყო. მე მზად ვარ ვირწმუნო, რომ დიდი მოგოლი, ყველა ზემოთ მოყვანილ საშუალებებს რეალურად ფლობს, მაგრამ ვერავინ დამარწმუნებს, რომ მისი ესეთი ხელგაშლილობა ფულის სიჭარბით არის გამოწვეული.

მე ასევე მსურს ორ განსაკუთრებულ შეხედულებაზე გავამახვილო თქვენი ყურადღება, რაშიც ჩემის აზრით კარგად ვარ გათვიცნობიერებული.

პირველი — მდგომარეობს იმაში, რომ დღევანდელმა დიდმა მოგოლმა, ბოლო სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როცა სიმშვიდე გამეფდა მთელს სახელმწიფოში, ბენგალიის გარდა, სადაც ჯერ კიდევ სულთანი-სუჯა განაგებდა ბენგალიას, დიდი სირთულეები წარმოიშვა, საქმე არმიის გამოსაკვებად და შესანახად საჭირო დიდი თანხებს ეხებოდა, თუმცა მაშინ არც ისე კარგად უხდიდნენ ჯარისკაცებს, ომი ხომ ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, მან შაჰ-ჯეხანის სამეფო ხაზინის ნაწილიც მიითვისა, მაგრამ ეს მაინც არ იყო საკმარისი.

მეორე — შაჰ-ჯეხანის მთელი ხაზინა, რომელიც ზომიერი ხარჯვის შედეგად ორმოცი წლის განმავლობაში იქმნებოდა, ასევე მისი მეფობის დროს რაიმე მნიშვნელოვანი ომები არ იწარმოებოდა, მის ხააზინას არასოდეს გადაუჭარბებია ექვს კურურისთვის. მე უკვე ვთქვი, რომ რუპია უტოლდება 25 სუს, ასი ათასი რუპია შეადგენს ერთ ლეკ-ს და ასი ლეკ-ი ტოლია ერთი კურურის. ეს მონაცემები არ შეიცავს ხაზინაში არსებულ დიდი რაოდენობის ძვირფას ქვებს, იუველირულ ნაკეთობებს, ოქროსა და ვერცხლის ზოდებს. მე არსად მეგულება ქვეყანა, რომლის ხელმწიფესაც აქაურ სიმდიდრეზე მეტი სიმდიდრე გააჩნდეს, ინდოეთის მეფის სამეფო ტახტი მოპირკეთებული იყო უძვირფასესი ქვებით, რომლის ღირებულება არა ნაკლებ სამი კურური იქნებოდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ის საუნჯე, რომელიც ძველი პატანი თავადებისა და რაჯებისთვის იყო წართმეული, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გროვდებოდა მათ

ხაზინებში და ყოველდღიურად იზრდებოდა, საბოლოო ჯამში სამეფო საკუთრება ხდებოდა და ერთი მეფიდან, მეორე მეფის ხაზინაში ინაცვლებდა, ის საჩუქრები, რომლებსაც მეფეს სადღესასწაულო დღეებში უძღვნიდნენ ემირები მთელი წლის განმავლობაში, სამეფო გვირგვინის საკუთრებად ითვლებოდა და თუ მეფე შეჭირვების ჟამს მათ გაყიდვას გადაწყვეტდა ერთ სოლის (საფრანგეთში ბურჟუაზიულ რევოლიციამდე სუ(სოლი) რომელიც 5 სანტიმს უდრიდა) მოგებას გაჭირვებით თუ ახერხებდა. სანამ ამ თემას ამოვწურავდე მინდა მოგახსენოთ თუ დიდი მოგოლის იმპერიაში, ამ უფსკრულში, რომელიც ნთქავს ოქროს და ვერცხლს, რაზეც უკვე გიამბეთ, არ შეიმჩნევა, რომ ხალხი შედარებით უფრო მდიდარია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. აქ ხალხს უკიდურესად უჭირს და ფული მოსახლეობაში დიდ იშვიათობას წარმოადგენს, ვიდრე სხვა ქვეყნებში. პირველი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ძალიან დიდი რაოდენობით ძვირფასი ლითონი იხარჯება სხვადასხვაგვარი ბეჭდების და რგოლების წარმოებისთვის, მაგალითად რგოლები ცხვირისთვის და ყურებისთვის, ბეჭდებისთვის, ხელის და ფეხის ბრასლეტებისთვის, რომლებსაც ქალები ატარებენ, ძვირფასი ლითონის დიდი რაოდენობა, უდიდესი რაოდენობით ნაჭრის აუარებელი რაოდენობის წარმოებისთვის იხარჯება და მინდა დავსძინო, რომ ოქრო და ვარცხლი ამ შემთხვევაში ჩემი აზრით სრულიად უსარგებლო ხარჯვაა, ყველა ეს ნაქარგები, შალის ქსოვილები, ტურა (ოქროს ბადე), რომელიც ჩალმებზე ატარებენ, ეს ქსოვილი ოქროს, ან ვერცხლის ძაფებით მზადდება. შარფები, ჩალმები, ფარჩა და მსგავსი ქსოვილები, მთელი არმია, ემირები და ყველანი, უკანასკნელ ჯარისკაცამდე ოქროთი ბრწყინავდნენ, მაგრამ შიმშილობდნენ და შიმშილით კვდებოდნენ.

მესამე მიზეზი — ამ ქვეყანაში მთელი მიწები ეკუთვნის მეფეს და არიგებს, როგორც ბენეფიციებს, რომელსაც ეძახიან ჯაგირს (თურქეთში ამას ეძახიან თიმარს), არმიის ჯარისკაცებზე ხელფასის, ან პენსიის სახით გაიცემა და იმის მიხედვით, თუ რას ნიშნავს სიტყვა ჯაგირი კონკრეტულ შემთხვევაში, რომელიც აღნიშნავს ადგილს, რომელიც უნდა აიღონ, თუ ადგილს პენსიის მაგივრად, ამის მიხედვით კონკრეტულ ადამიანსაც ისე ექცევიან. ასევე ეძლევათ მიწა გუბერნატორებს პენსიის მაგივრად და ჯარის შესანახად კი გარკვეული პი-

რობების დაკმაყოფილებით, რაც შემდეგში მდგომარეობდა, რომ ამ მიწაზე ნამატის სახით მიღებული მოსავლი ფულად უნდა გადაეხადა ხნლმწიფისთვის, რაც ერთგვარად მიწის გამოსყიდვას ნიშნავდა, ან მეფე ისევ თავის საკუთრებაში იტოვებდა მიწას და არასოდეს არ გასცემდა როგორც ჯაგირს. ან გადასცემდა მიწას გამომსყიდველებს, რომლებიც ყოველწლიურად წინასწარ შეთანხმებულ თანხას გადაუხდიდნენ მეფეს. ამ სისტემის წყალობით გუბერნატორები და გამომსყიდველები (ფერმერები) იძენენ შეუზღუდავ უფლებებს გლეხობაზე და არა ნაკლებს ხელოსნებზე, ვაჭრებზე, სახელოსნოებზე და სოფლებზე, რომლებიც მათ მიწაზე იყო განთავსებული. იქ აღარ არსებობდნენ წარჩინებულები და დიდებულები, არც პარლამენტარები და როგორც ჩვენთან, ეს ხალხი შიშის ქვეშ რომ ჰყოლოდათ არ არსებობდა არც ყადები, (ანუ მოსამართლე) რომ მათი ძალადობა აღეკვეთათ, მოკლედ არავინ არ არსებობდა, რომ გლეხს, ხელოსანს ან ვაჭარს, საჩივლელად ან თავის დასაცავად მიემართა. ასეთ ადგილებში სრული განუკითხაობა მეფობდა და ყველაფერი მათ ხელში იყო.

ცოტათი უკეთესი მდგომარეობა იყო იმ ადგილებში, რომლებიც აგრასთან და დელისთან ახლოს მდებარეობდა, ან დიდი ქალაქებში და საზღვაო პორტებში, აქედან საჩივრები იოლად აღწევდნენ სამეფო კარამდე. ამიტომაც ყველანი მუდმივი მღელვარებით ცხოვრობდნენ ასეთი კატეგორიის ადამიანების მიმართ, განსაკუთრებით გუბერნატორის მიმართ, მათი უფრო მეტედ ეშინოდათ ვიდრე მონას ეშინია თავისი ბატონის. ამიტომ მოსახლეობა ცდილობდა ჩაეცვა და მოქცეულიყო ისე, როგორც ღარიბები, განსაკუთრებით ეს მომენტი გამოიხატებოდა მათი საცხოვრებელი სახლის და საჭმელ-სასმელის სიღარიბეში. ვერც ვაჭრობაში „შლიდნენ ფრთებს“, რადგან შეიძლება მდიდარ ადამიანად მიეჩნიათ და გააეკოტრებინათ. ამიტომ ეს ადამიანები, იმის გამო რომ ფულს და სიმდიდრეს საქვეყნოდ ვერ გამოაჩენდნენ, ფულს განსაკუთრებულად საიდუმლო ადგილას, მიწაში მარხავდნენ. შესაბამისად ფულის დიდი ნაწილი მიმოქცევაში აღარ ხვდებოდა და მეფე და სახელმწიფო ზარალდებოდა, ამ ადამიანებისთვის სახელმწიფოს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თითქოს არცა ყოფილა. ანალოგიურ მოვლენას ადგილი მხოლოდ გლეხებში და ხელოსნანთა რიგებში როდი ჰქონდა, არამედ ყველა ჯურის ვაჭრებშიც

იჩინა თავი, მიუხედავად იმისა, ის, მუჰამედის რჯულის მიმდევარი იყო თუ წარმართი, მათ გარდა ის ადამიანებიც, რომლებიც სახელმწიფო ჯამაგირით ცხოვრობდნენ, ან ემირთან მუშაობდნენ, ან უბრალოდ ჰყავდათ მფარველი, რომელსაც დიდი გავლენა და ძალაუფლება გააჩნდათ. განსაკუთრებით ეს მოვლენა წარმართებში შეიმჩნეოდა, რადგან მათ ხელში თავს იყრიდა მთელი სავაჭრო მოცულობის დიდი ნაწილი და ფული. მათ მიაჩნდათ, რომ ეს ფული, რომელსაც მალავდნენ, მთელი სიცოცხლის მანძილზე მოიხმარდნენ, როგორც სიცოცხლეში, ასევე სიკვდილის შემდეგაც. აი ასეთია რეალური მიზეზი იმისა, რომ ასე ცოტა რაოდენობის ფული ბრუნავდა მოსახლეობაში.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით იბადება კითხვა, კერძოდ: ნუთუ უფრო კარგი არ იქნებოდა, რომ მთელი მიწები არ ყოფილიყო მეფის საკუთრება და ამ უკანასკნელს, ისევე როგორც ჩვენ სახელმწიფოებში და სამეფოებშია მიღებული, დაეკანონებინა „ჩემი“ და „შენი“? რაც შემეხება მე, ჩვენს სამეფოებში სადაც დაკანონებულია „ჩემი“ და „შენი“, იმ ქვეყნებთან შედარებით სადაც ეს არ არის, მივედი იმ დასკვნანდე, რომ სახელმწიფოსთვის უმჯობესია და მიზანშეწონილია სახელმწიფო წყობა იყოს ისეთი, როგორიც ჩვენშია დამკვიდრებული. ამ ქვეყანაში არავინ არ არის დაზღვეული ძალადობისგან და ზეწოლისგან, ამ გუბერნატორების და გამომსყიდველებისგან (ფერმერებისგან). მეფეებს, როგორი დიდი სურვილიც არ უნდა ქონდეთ საკუთარ ხალხთან მიმართებაში საკუთარი კეთილი ნება გამოხატონ, ვერ შესძლებენ, იმ მიზეზების გამო, რაზეც უკვე გიამბეთ, მეფე ვერ შესძლებს აღადგინოს სამართლიანობა, წინ აღუდგეს ტირანიას განსაკუთრებით დიდ სახელმწიფოებში და რაიონებში, რომლებიც დედაქალაქიდან საკმაოდ შორს მდებარეობენ, ამ თემაზე მე უკვე გიამბეთ, მაგრამ მეფის ერთერთი მთავარი ამოცანა ხომ სახელმწიფოში სამართლიანობის დაცვაა.

ეს ტირანია ხშირაად ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა, ართმევდნენ გლეხებს და ხელოსნებს ყველაფერს რაც ყოფაცხოვრებისთვის იყო აუცილებელი, ამის გამო, ეს ადამიანები შიმშილით და სიღარიბით იხოცებოდნენ, ამ ადამიანებს უმეტეს შემთხვევაში არ ჰყავთ შვილები, ვისაც ჰყავს შვილები, ბავშვობაშივე იხოცებოდნენ. ხალხი გარბოდა ასეთი ადგილებიდან, თავს აფარებდნენ სხვა მხარეში,

ან რომელიმე მხედარს უდგებოდნენ მოსამსახურეთ, ან ღარიბებთან შედარებით ნორმალური დამოკიდებულების მქონე პირთან ეძებდნენ თავშესაფარს ან საერთოდ ცდილობდნენ, რომ ქვეყანა დაეტოვებინათ. ამ მიზეზების გამო, მიწის დამუშავება ჯოხების მეშვეობით ხდებოდა, პრაქტიკულად მიწა ძალიან ცუდად მუშავდებოდა შრომის იარაღების არ ქონის გამო, ვერც მინდვრების მორწყვას ახორციელებდნენ. გლეხობა უსახსრობის გამო ვერც სახლების შეკეთებას ახერხებდა და ვერც სახელოსნოების ფუნქციონირება ხერხდებოდა. გლეხები ამბობდნენ : „რატომ ვიშრომო ტირანის გულისთვის, რომელიც ხვალ მოვა და ყველაფერს წაიღებს, ან ყველაფერ საუკეთესოს მიითვისებს, შეიძლება უღარიბესი არსებობისთვისაც არ დამიტოვოს სარჩო“. თიმარიოტი, გუბერნატორი და შემსყიდველი (ფერმერი) თითოეული, თავის მხრივ ასე ფიქრობდნენ: „რატომ დავხარჯო ფული ჩემი საფულიდან და მიწის დამუშავებას შეუწყო ხელი, თუ მე ყოველთვის ზღვარზე ვარ, რომ ამ მიწას ან წამართმევენ, ან სხვა ადგილით შემიცვლიან, თუ მე საჩემოდ არ ვმუშაობ, არც ჩემი შვილებისთვის და ადგილი, რომელსაც დღეს მე ვიკავებ, სრულიად სარწმუნოა, რომ მომავალი წლისთვის ჩემი აღარ იქნება, ვფიქრობ მისგან უნდა მივიღო ყველაფერი, რისი მოცემაც შეუძლია, სანამ ის ჩემს ხელშია, მიუხედავად ამისა გლეხი მოკვდება თუ მიწაზე მუშაობას თავს მიანებებს, აქაურობა თუნდაც უდაბნოდ გადაიქცეს, როცა მე აქ აღარ ვიქნები ასეთი აზიური სახელმწიფოების ავტორიტეტი ჩვენს თვალში უკიდურესად დაცემულია. ამიტომაც ამ ქვეყნებში, ჩვენ, ქალაქების მეტს ვერაფერს ვხედავთ, რომელიც ჩვენი ქალაქებისგან განსხვავებით მიწისგან და ტალახისგან არის აშენებული. ამის გამო მესოპოტამია, ანატოლია, პალესტინა, ანტიოქიის შესანიშნავი დაბლობი და კიდევ უამრავი მიწები, რომელებიც ადრე მჭიდროდ დასახლებულს და განვითარებულს წარმოადგენდნენ, დღეს დაუმუშავებელი და მიგდებულია, ზოგან კი დაჭაობდა, იქაურობა ძირითადად ნახევრად უდაბნოდ გადაიქცა. აი რატომ მოხდა რომ ეგვიპტის შეუდარებელი მიწების მეათედი განადგურდა ოთხმოცი წლის განმავლობაში, რადგან არავის არ სურს ფული დააბანდოს და მეთვალყურეობა გაუწიოს არხების მშენებლობას და ნილოსის კალაპოტს ყურადღება მიაქციოს, რადგან მრისხანე მდინარე დიდდება და თითქმის მთლიანად ტბორავს

დაბლობ ადგილებს, შეაქვს ქვიშა და ყველაფერს ანადგურებს. შესაბამისად დიდი ძალისხმევა და თანხებია საჭირო, რომ ყველაფერი თავიდან აღადგინო. ამის გამოა, რომ ამ ქვეყნებში მეწარმეობა ვერ ვითარდება. რამდენი ენერგია და დრო უნდა დახარჯოს ხელოსანმა ან ოსტატმა, რომ უკეთესად შეისწავლოს და განავითაროს საკუთარი საქმე და როდესაც ის ხედავს მოსახლეობას სრულიად გაღარიბებულს და იცის, არავინ გამოჩნდება მათ შორის ისეთი, ვინც დაინტერესდება მისი ხელოვნებით, რადგან მხოლოდ იაფი ფასი განსაზღვრავს მოთხოვნილებას. დიდკაცებიც ცუდად უხდიან ხელოსნებს, ხანდახან ბედნიერია ხსლოსანი თუ მათი ხელიდან უვნებელი გადარჩება და არ გაამათრახებენ, რადგან მათრახი ემირის კარზე ყველას დასანახად და ჭკუის სასწავლებლადაა ჩამოკიდებული. ხელოსანმა იცის მისი მდგომარეობა რომ უიმედოა და მომავალშიც ვერაფერს მიაღწევს, ის ვერც მიწას იყიდის და ვერც თანამდებობას, იმის შიშით, რომ მას მდიდარ ადამიანად ჩათვლიან, მას, იმ ადამიანის სახის შენარჩუნებისაც კი ეშინია, ვინც გროშების მოგროვება შესძლო, ის ვერასოდეს მისცემს თავს უფლებას, რომ კარგი ტანსაცმელი ჩაიცვას, ვერც ნორმალური კვების უფლებას ვერ მისცემს თავის თავს. ამიტომ ამ ქვეყანაში დიდი ხნის წინ გაქრებოდა სილამაზის შეგრძნება, რომ არა მეფე და სამეფო კარი, სადაც მეფეც და დიდებულებიც ინახავდნენ ოსტატებს და ხელოსნებს, რომლებიც ჯამაგირს იღებენ, ისინი ასწავლიდნენ ხელობას თავის შვილებს და ცდილობდნენ ხელმარჯვეობით დაემსახურებინათ დიდებულების მხრიდან იოტისოდენა პატივისცემა და დასჯა აეცილებინათ თავიდან და კიდევ, ქალაქებში იყვნენ მდიდარი ვაჭრები, რომლებსაც ძლევამოსილი მფარველები ჰყავდათ, ცოტათი უკეთეს ჯამაგირს უხდიდნენ ოსტატებს, ცოტათი უკეთესს ვამბობ, რადგან, როგორი დიდებული ქსოვილიც არ უნდა ნახოთ ამ მხარეში, ნუ წარმოიდგენთ რომ ხელოსანს პატივს სცემენ, ეს ადამიანები უკიდურესი აუცილებლობის გამო მუშაობდნენ, ანუ ჯოხის ქვეშ. ეს ადამიანები ვერასდროს გახდებიან მდიდრები, კიდევ კარგი, რომ საარსებო საშუალება გააჩნიათ და მოკრძალებულად აცვიათ, თუ ის ფულს გამოიმუშავებს, ამ თანხას ქალაქელი მდიდარი ვაჭრები იღებენ. ისინი დიდი და მძიმე შრომის ფასად არსებობენ და არ უწყიან როგორ დაიცვან თავი შეურაცხყოფისგან, რომელსაც მდიდრები აყენებენ მათ.

ამ ქვეყნებში გაბატონებულია უხამსობა და უცოდინრობა, ამ ქვეყნებში არ არსებობდა სკოლები და აკადემიები, კი მაგრამ ვინ დაარსებდა მას? თუნდაც ასეთი ადამიანი გამოჩენილიყო, ვინ აუშენებდა სასწავლებელს? სად არიან მაღალ-უზრუნველყოფილი ადამიანები, რომ საკუთარი შვილები სკოლაში მიიყვანონ? მაგრამ ვინ მისცემს საკუთარ თავს უფლებას „მდიდარი“ ადამიანის სახელით გამოჩნდეს საზოგადოებაში? ან ყველაფრის მიუხედავად, რა მოგებას მიღებენ სკოლის დაარსების შედეგად? სად არიან ის თანამდებობის პირები, რომლებიც იზრუნებენ ხალხის განათლებაზე და ქვეყანაში ცოდნის ამაღლებაზე?

ამავე მიზეზით ამ ქვეყნებში ვაჭრობა უფრო მძიმედ ვითარდება ვიდრე ჩვენთან. ალბათ შესაძლებელი იქნებოდა, მოიძებნონ ის ადამიანები, რომლებიც გულმოდგინედ დაიწყებდნენ გზების მონახვას მომავალი თაობის განვითარებისთვის, იშრომებდნენ მხოლოდ თავისთვის და არა გუბერნატორისთვის, რომელიც მათ ამცირებდა, თუ ესეთი ადამიანები მიეკედლებიან სამხედროებს და არ იქნებიან მონებთან გათანაბრებულები, ამ შემთხვევაში ეს სამხედროები მოგების წილს იმდენს წაიღებდნენ, რამდენსაც მოისურვებდნენ? ვის სურს თავის თავზე აიღოს ვალდებულება და რაიმე უბედურება მოუტანოს საკუთარ თავს. რომელი სჯობს, კარგად იკვებოს, კარგად ეცვას და ასი ათასი რუპია ჰქონდეს, ვიდრე გქონდეს ორასი ათასი რუპია და დადიოდე მათხოვრულად და ცუდად იკვებო, და თავი უბედურ ადამიანად მოაჩვენო ხალხს?

მეფეების სამსახურში, ამ ქვეყანაში, არ არიან თავადები, დიდებულები, აზნაურები, მდიდარი და კეთილშობილ ოჯახებში აღზრდილი ადამიანები, ოფიცრები, ბურჟუაზია, ვაჭრები და ხელოსნები, რომელთა შორის ბევრი კარგი წარმომავლობის ადამიანებიც არიან, აღზრდილები, განათლებულები, კეთილშობილებით აღსავსენი, რომლებიც მეფისადმი ერთგულებით და პატივისცემით არიან გამსჭვალულნი. ისინი როგორც უკვე ვთქვი, დიდი ხნის განმავლობაში საკუთარი სახსრებით და დანაზოგებით ცხოვრობენ, როგორც სამეფო კარზე, ასევე არმიაში, იმედით ცოცხლობენ და მეფის თბილი ღიმილით კმაყოფილდებიან, აუცილებლობის შემთხვევაში კი, ერთმანეთს ღირსებაში, ძალასა და ენერგიაში ეჯიბრებიან, რომ წინაპრების ღირსება და წესები დაიცვან. აქაური ქვეყნების მეფეებს გვერდით ჰყავთ არარაობები,

მონები, უზრდელები და დიდებულები, რომლებიც წუმპედან ამოვიდ-ნენ და არავითარი განათლება და აღზრდა არ გააჩნიათ. მათ გამ-დიდრებული მდაბიოს სუნი ასდით. აუტანელი, უგულო და ღირსების არა მქონე ადამიანები, მათ მეფის და ქვეყანის მიმართ ღირსების გრძნობა არ გააჩნიათ. ამ ქვეყანაში მეფე ყველას აკოტრებს, რომ მო-იპოვოს გრანდიოზული სახსრები სამეფო კარის შესანახად, მას არა აქვს სხვა შემოსავალი, გარდა საკუთარი ხაზინისა, აუცილებლობის შემთხვევაში ჰყავდეს მრავალრიცხოვანი არმია, რათა მოსახლეობა მორჩილებაში ჰყავდეს და გამდიდრების საშუალება არ მისცეს, აიძუ-ლოს იმუშაოს ხელმწიფისთვის და წაიღოს მისგან ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლება. ქვეშემდომები კი მუდმივი უბედურების და მუქა-რის ქვეშ სრული სასოწარკვეთით ცხოვრობენ. ასეთ ქვეყანაში, როცა ომები სერიოზულ მაშტაბებს იძენს, ხელმწიფე იძულებულია გაყი-დოს გუბერნატორის თანამდებობა ფულზე, რომელიც გრანდიოზულ თანხებით განისაზღვრება. ესეც ერთ-ერთ მიზეზთაგანია, რომელიც როგორც ვხედავთ გაკოტრებას და უბედურებას იწვევს ქვეყანაში. გუბერნატორობის მყიდველი, თავის მხრივ, გააკეთებს ყველაფერს, რომ თანხა ამოიღოს, რომელიც სხვებისგან ისესხა გარკვეული პრო-ცენტებით და მიუხედავად იმისა, იყიდა თუ არა გუბერნატორობა, ნუთუ არ დაიწყებს ყველა საშუალებების გამოყენებას, რომ ფული იშოვნოს, ისევე როგორც ტიმარიტებმა და გამომსყიდველებმა(ფერ-მერებმა), რომ ყოველწლიურად საჩუქრები მიართვან ვეზირებს, ევნუ-ხებს, რომელიმე ქალს სერალში და სხვა პირებს, რომლებიც სამეფო კარზე მფარველობას უწევენ მას. ის ვალდებულია გადაუხადოს ჩვე-ულებრივი გადასახადი მეფეს და ასევე ცდილობს, რომ თავადაც გამ-დიდრდეს ეს უბედური მონა, რომელიც ჩვეულებრივ, მოდის მშიერი, ვალებში ჩაფლული, მიწის გარეშე და შემოსავლის წყაროს უქონელი. განა გუბერნატორები პროვინციაში ცხოვრებისას, როგორც პატარა ტირანები შეუზღუდავი და უსაზღვრო ძალაუფლების მქონენი, არ ანადგურებენ და არ აცამტვერებენ ყველაფერს. მართალია მოგოლის იმპერიაში არსებობენ ვაკეა-ნევი ანუ ადამიანები, რომელსაც მეფე გზავნის პროვინციებში რათა საქმის ყურში იყოს თუ რა ვითარებაა პროვინციაში. ისინი რამდენადმე ახერხებენ ჩინოვნიკების თარეშის შეჩერებას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემთხვევას, რომელსაც

თითქმის ყოველთვისა აქვს ადგილი, ისინი მოლაპარაკების საფუძველზე თანმხდებიან ერთობლივ თანამშრომლობაზე, რადგან ვაკეა-ნევის წარმომადგენლები ისეთივე ღარიბები არიან, როგორც ადგილობრივი ჩინოვნიკები. მართალია, დიდი მოგოლის ქვეყანაში გუბერნატორობა იყიდება, მაგრამ არც ისე ხშირად როგორც თურქეთში და ეს ხდება უფრო ფარულად (მე მხედველობაში მაქვს ნაკლებად ღიად, რადგან დიდი საჩუქრებს, რომელსაც მეფეს მიართმევენ თითქმის იგივე ღირებულება აქვს რაც თანამდებობას) და გუბერნატორები უფრო დიდხანს რჩებიან თავის პროვინციებში თანამდებობებზე. ამიტომ ისინი უფრო ნაკლებად არიან ვალებში „გახლართულები“ და არც ისე ღარიბები არიან, როგორც ახალად დანიშნული გუბერნატორები. ამიტომ შედარებით ნაკლებად მკაცრები არიან და შედარებით ნაკლებად ავიწროებენ მოსახლეობას, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ მოსახლეობასთან ასეთი ქცევა განპირობებულია იმისთვის, რომ ხალხი არ გაიქცეს რაჯებთან, თუმცა მოსახლეობა რაჯებისკენ მაინც გარბოდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გუბერნატორის თანამდებობა სპარსეთშიც იყიდება, მაგრამ უფრო იშვიათად და მალულად ვიდრე თურქეთში. ამიტომ სპარსეთში უფრო „ფაქიზად“ აწარმოებენ საკადრო პოლიტიკას, ზოგი გუბერნატორი სამეცნიერო საქმითაც არის დაკავებული. ამ სამ სახელმწიფოში, თურქეთში, ირანში და ინდოსტანში, მიწათმფლობელობის საკითხებში მოისპო „ჩემი“-ს და „შენი“-ს ფენომენი, რაც ყველაფრის საფუძველს წარმოადგენს, რაც არის ყველაფრის საფუძველი. სამივე ქვეყანა ერთმანეთს ჰგავს და ერთნაერი ნაკლოვანებები გააჩნიათ, ადრე თუ გვიან აქაც დაიწყება ტირანია, უბედურება, გაკოტრება და გაცამტვერება. ღმერთმა არ ჰქნას, რომ ჩვენი მეფეები გახდნენ სახელმწიფოებში საკუთარი ქვეშემდომების მიწების ერთადერთი მფლობელები. მაშინ მათი სახელმწიფოები აღმოჩნდებიან უმძიმეს ვითარებაში ვიდრე დღეს არიან, ეს ქვეყნები იქნებოდნენ, დაბალ-განვითარებულები. ჩვენი მეფეები უფრო ძლევამოსილები და მდიდრები არიან ვიდრე ინდოსტანის მეფეები და მათი ყოფა უფრო დიდებულია, ნამდვილი მეფური. მათ ვისაც ყველაფერი სურთ, საბოლოოდ ყველაფერს კარგავენ და ვინც ნატრობს გახდეს ძალიან მდიდარი, აღმოჩნდება რომ ყველაფერს კარგავს, ან უკეთეს შემთხვევაში ნანატრი სიმდიდრისგან ძლიან შორსმდგომი, რადგან მი-

სი ბრმა ამბიციები და ბრმა მისწრაფება, გახდეს უფრო მეტად შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე ადამიანი, ვიდრე ამის უფლებას აძლევს კანონი და ბუნება. სად წავიდოდნენ თავადები, თავად-აზნაურობა, მდიდარი ბურჟუები, მდიდარი ვაჭრები, სახელოვანი ოსტატები ისეთი ქალაქებიდან როგორიც პარიზია, ლიონი, ტულუზა, რუანი და თუნდაც ლონდონი? სად იქნებოდა კეთილმოწყობილი საამქროები და სოფლები, დიდებულად მოწყობილი სოფლის კარმიდამოები, ეს მინდვრები და ფერდობები, რუდუნებით და გულისხმიერებით მოვლილი გარემო? და იქნებოდა ის უზარმაზარი შემოსავლები, რომელიც ინახავს სახელმწიფოს და მის მცხოვრებლებს? ამის მაგივრად იქნებოდა უზარმაზარი დასახლებები, რომელიც ნანგრევებს და ემსგავსებოდა და არავინ იზრუნებდა მის აღდგენაზე და განვითარებაზე. მინდვრები დაუმუშავებელი, სარეველა ბალახით იქნებოდა სავსე, ან ჭაობები დაფარავდნენ არემარეს.

ასევე მინდა რამდენიმე სიტყვით მივმართო ცნობისმოყვარე და გამოცდილ მოგზაურებს: მოგზაურებისთვის არ არსებობს არავითარი კომფორტი, ყველა აუცილებელი ნივთის წაღება მოგიწევთ ისევე, როგორც ციგნები აკეთებენ ამას, სასტუმროები, რომლებიც გადაჭიმულია პარიზიდან ლიონამდე თქვენთვის საცოდავ და უმწეო ქარავნებად გადაიქცევიან, ეს დიდებული ნაგებობები, რომლებიც ამაღლებულ ადგილებზე დგანან, რომლის გარშემო ეზო მოპირკეთებულია როგორც ჩვენი ახალი ხიდი და ასობით ადამიანი, რომლებიც ცხენებს, აქლემებსა და ჯორებს შორის ირევა, ზაფხულში კი ისეთი სიცხეა, ლამის დაიხრჩოს ადამიანი, ზამთარში კი წარმოუდგენელი სიცივეა, შეიძლება გაიყინო ამ ცხოველების სიახლოვეს მათი გამთბარი სუნთქვა რომ არ გათბობდეს.

თქვენ შეიძლება გაგიკვირდეთ, რა საჭიროა ასე შორს გაემგზავრო, ინდოეთში ჩვენ ვნახულობთ სახელმწიფოს, სადაც არ არსებობს „შენი“ და „ჩემი“, ისევე როგორც თურქეთის სულთანის იმპერიაში, რომელსაც ჩვენ ყველაზე კარგად ვიცნობთ სხვებთან შედარებით და ის მარტო კი არ არსებობს, ის ძლევამოსილი ქვეყანაა და ყოველწლიურად უფრო ძლიერდება. დიახ, მართალია, რომ ამ სახელმწიფოს უზარმაზარი სივრცე უჭირავს, სადაც ნაყოფიერი მიწებია და რომ ამ მიწის გამოფიტვა შესაძლებელია მხოლოდ დიდი შრომის და დიდი

დროის გამავლობაში, ეს სახელმწიფო მდიდარია და ძლევამოსილი. არავის არ ეპარება ეჭვი, რომ ინდოეთი იყო ასე დასახლებული და მოვლილი, როგორც ჩვენი ქვეყანა და აქ რომ არსებობდეს კერძო საკუთრება, მას აბსულიტურად სხვა სახე ექნებოდა. ის იქნებოდა საკმაოდ დასახლებული, ეყოლებოდა მრავალრიცხოვანი არმია, იქნებოდა ასევე უმდიდრესი ქვეყანა, რომელიც ამ არმიის შენახვას თავისუფლად შესძლებდა. ჩვენ ყველა მიმართულებით დავათვალიერეთ ეს ქვეყანა და ვნახეთ, რა წარმოუდგენელ დონეზეა გაპარტახებული და მოსახლეობისგან დაცლილი ეს ქვეყანა. ეხლა საჭიროა კიდევ სამი თვე, რომ დედაქალაქში ხუთი-ექვსი ათასი ჯარისკაცი მოაგროვო და ეჭვიც არავის ეპარება, თუ კიდევ გაგრძელდება ასეთი მმართველობა აუცილებლად დაეცემა ეს სახელმწიფო თავისი უკიდურესად დაუძლურების გამო. ეხლაც, მიმაჩნია, რომ ეს სახელმწიფო მონების იმედადღა არსებობს. არ არსებობს არც ერთი გუბერნატორი, არც ერთი ადამიანი მთელ იმპერიაში ვისაც ექნებოდა ერთი სუ, რომ რაიმე საქმე წამოეწყო ან რაიმე წამოწყებისთვის საჭირო რაოდენობის ხალხი მოეგროვებინა. მინდა ერთი საოცარი მანერის შესახებ გიამბოთ თუ როგორ უნდა შეინარჩუნო სახელმწიფო, იმისათვის რომ ამბოხებები თავიდან აიშორო, უნდა გავიხსენოთ ის ბრამინი პეგოდან, რომელმაც შიმშილით ამოხოცა ნახევარი სამეფო და ტერიტორიები ტყეებად გადააქცია, არც ნებას რთავდა ვინმეს რომ მიწები დაემუშავებინათ. თუმცა მისმა ჩანაფიქრმა არ გაამართლა და სახელმწიფო დაინგრა, ახლახანს კი, მათი დედაქალაქი ავა, კინაღამ ჩინეთიდან გამოქცეულმა ხალხმა აიღო. მიუხედავად ამისა ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ცხოვრების მანძილზე შეიძლება ვერ ვნახოთ ამ ქვეყნის დაცემა, რადგან მათი მეზობელი ქვეყნები არ არიან მზად მათ წინაღამდეგ რაიმე სერიოზული მოიმოქმედონ, ასევე არ აქვთ უნარი, თუნდაც რაიმე სახის სერიოზული წინაღამდეგობა გაუწიონ მათ უცხოელების დახმარების გამოყენებით, რადგან სიშორის გამო და ურთიერთ უთანხმოების და ქიშპის შედეგად, რაიმე სერიოზული კომპანიის წამოწყება უკიდურესად ნელი ტემპებით და წვრილმანების გამო დროში იჭიმება და საბოლოო მოქმედებების დაწყება უკიდურესად ჭიანურდება, პრაქტიკულად საქმე ადგილიდან არ იძვრის.

შეიძლება იკითხოთ, რატომ არ არის ამ სახელმწიფოებში კარგი კანონები? რატომ ვერ ახერხებს პროვინციების მოსახლეობა საჩივრით მიმართოს დიდ ვეზირს ან თვით მეფესაც? მართალია, მათ აქვთ კარგი კანონებიც, რომლებსაც უნდა იცავდნენ შესაბამისად და მისი დაცვით შედარებით უკეთესად იცხოვრებდნენ, მაგრამ რა საჭიროა კანონი, რომლის დაცვა უგულებელყოფილია და არც მისი შესრულებაც არ არის სავალდებულო? განა თვით დიდმა ვეზირმა და მეფემ არ გაგზავნეს ეს ღარიბი ტირანები პროვინციებში და რას ელოდნენ მათგან, მაშინ როცა თავად გაყიდეს გუბერნატორის თანამდებობა? იმისათვის რომ სამართლიანობამ იზეიმოს, ღარიბი გლეხი ან ხელოსანი ეძებს იმ საშუალებას, რომ დედაქალაქში წავიდეს საკუთარი სახლიდან თითქმის 200 მილის დაშორებით და თუ გუბერნატორი ბრძანებას გასცემს გზაში მოკლან ის უბედური, მას კლავენ, რასაც ხშირად ჰქონია ადგილი პროვნიციებში. იქნებ გუბერნატორს მფარველები ჰყავს მეფის კარზე და ვითარებას უფრო სხვაგვარად წარმოაჩენენ ვიდრე რეალურადაა? ეს მშიერი გუბერნატორი და სხვა ადგილობრივი „მტაცებლები“ და ტირანები მზად არიან, როგორც სპარსული ანდაზა ამბობს „ზეთი გამოადინონ ქვიშიდან და გაჰყონ ქვეყანა იმდენ ნაწილად, რამდენი ცოლი, შვილი და მონაც ჰყავს ბატონს“, განა ამ გუბერნატორებს არ მიანიჭეს სრულუფლებიანი ბატონ-პატრონის უფლება და ადგილზე მართმსაჯულების აღსრულება?! გუბერნატორია პროვინციაში კანონიც, კანონის აღმსრულებელიც, გადასახადების ამკრებიც და „ყველაფერი“, რაც სჭირდება პროვინციის მმართვისთვის.

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ მიწები, რომელიც ჩვენს მეფეებს საკუთრებაში აქვთ, არავიზე ნაკლებად არ არის კეთილმოწყობილი და დასახლებული ვიდრე სხვების სამფლობელოები, მაგრამ დიდი განსხვავებაა გაგაჩნდეს საკუთარი მიწები სამეფოს სხვადასხვა მხარეში, ან სახელმწიფოს მიწებს სრულიად ფლობდე, ეს ფაქტორი ძირეულად ცვლის მდგომარეობას. ჩვენს ქვეყანაში იმდენად გონივრული კანონებია, რომ მისი დაცვით პირველ რიგში თვით მეფეა დაინტერესებული. მოთხოვნაც შესაბამისია, მეფის სამფლობელოები ისევე უნდა იმართებოდეს როგორც მისი ქვეშემდომთა სამფლობელოები. გლეხებს და ხელოსნებს სასამართლოშიც კი შეაქვთ საჩივარი არენდატორების, ან რომელიმე თანამდებობის პირის მიმართ, ასე რომ გლეხსაც

და ხელოსნებსაც აქვთ საშუალება მიაღწიონ სამართლიანობას, თავი დაიცვან ძალადობისგან და შეურაცხყოფისგან. ამ ქვეყნებში სუსტებისთვის და მიუსაფარი ადამიანებისთვის არ არსებობს არავითარი თავშესაფარი. ჯოხი და გუბერნატორის კაპრიზები, მხოლოდ ეს არის კანონი, რომელიც აქ მეფობს და ყოველგვარი საკითხების მოგვარება ამ მეთოდებით ხორციელდება.

და ბოლოს, შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი ტიპის სახელმწიფოებში იშვიათობას წარმოადგენს სასამართლო საქმეები და ისინიც დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება.

ძველი სპარსული გამონათქვამი „ ნა ბაკ კუტა ბეტტერ — ეზბაკ დერაზ“ რაც ნიშნავს — „სწრაფი უსამართლობა უკეთესია დაგვიანებულ სამართლიანობაზეო“. სახელმწიფოში სარჩელის განხილვის გაჭიანურება დაუშვებელია და სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების განხილვების უგულებელყოფა ან გაჭიანურება კი დაუშვებელი.

მართალია, როცა „ჩემი“ და „შენი“ უგულებელყოფილია, საწყის ეტაპზევე მრავალრიცხოვან საჩივრებს უკვე ფესვებს უკვეთავ, თითქმის ყოველი საკითხი, რომელიც შეიძლება იყოს აუცილებელი, დროში გაჭიმული და დახლართული, ამ ქვეყანაში შესაბამისად არ არსებობს. არც იმის აუცილებლობაა გყავდეს ამდენი თანამდებობის პირი, რომელთა მომსახურეობით სარგებლობენ ჩვენი მეფეები, რათა აღასრულონ მართლმსაჯულება თავისი ქვეშემდომთა მიმართ.

ესეიგი თანამდებობა „მოსამართლე“, რომლითაც ჩვენი სახელმწიფოები და მეფეები ამაყობენ, როგორც წესი, აქ, თითქმის არ არსებობს. ისეთ ქვეყნებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რომელსაც ძირითადად მმართველ მასას ვაჭრები შეადგენენ, ერთმანეთს უჩივის ყველა ჯურის ბრბოს წარმომადგენელი, ან უბედური ადამიანები, რომლებსაც თანაბარი სოციალური მდგომარეობა უჭირავთ და არ აქვთ საშუალება მოსამართლე, ან ცრუ მოწმეები მოისყიდონ, რომლებიც იქ უამრავია, იაფიც ღირს და არასდროს არ ისჯებიან.

მე ძირფესვიანად გამოვკითხე ადგილობრივი მოსახლეობა, ჩვენი ძველი ვაჭრებიც, რომლებიც აქ ცხოვრობენ, ასევე ელჩები, კონსულები და მთარგმნელები. ჩვენი მოგზაურების დიდი ნაწილი სამ მენაგვესთან ურთიერთობს, ანუ ყარის საზოგადოების სამ პირთან, რომლებიც სწრაფად ანთავისუფლებს სასამართლოსგან, რომელი მხარეც

დააჯილდოვებს, იმის სასარგებლოდ, ხანდახან ორივე მხარეს, ჯოხით ცემა არ ცდება ფეხისგულებზე, ხან რამდენიმე სასიამოვნო სიტყვის თქმა, „მაიბალე ბაბა“, რომელიც გამოიყენება ყადის მიმართ, იმ შემთხვევაში თუ „განსასჯელს“ ვერაფერს წაართმევენ და როდესაც ჩვენი მოგზაურები სახლში ბრუნდებიან, ამბობენ: “ რა სამართლიანია იქაური სასამართლო, რა პატიოსანი ადამიანები არიან ისინი ჩვენს მოსამართლეებთან შედარებით“ და ავიწყდებათ, რომ ამ უბედურთაგან თუნდაც ერთმა, რომ მოიძიოს რამდენიმე სუ, მოისყიდოს მოსამართლე, მისი მწერლები და რამდენიმე ცრუმოწმე, სასამართლოს იოლად მოიგებს, ან გაჭიმავს დროში, სანამდეც მოისურვებს.

და ბოლოს ზედმეტი სიტყვების გარეშე ვიტყვი: კერძო პირისთვის მიწაზე უფლების წართმევა ერთდროულად ნიშნავს ტირანიის აღიარებას, მონობას, უსამართლობას, თაღლითობას, ბარბაროსობას, ეს ნიშნავს მიწის იავარჰქმნას და გაპარტახებას. ფართოდ გაუღოთ კარი ადამიანთა მოდგმის გადაგვარებას და ასევე მთელი სამეფოების და სახელმწიფოების განადგურებას. „ჩემი“ და „შენი“-ს გაცნობიერებით კი, პირიქით, უნერგავენ ადამიანებს იმედს, რომ მისი შრომა დაფასებულია და რაც მას ეკუთვნის, შემდეგ, მისი შვილების საკუთრებაში გადავა, ეს არის ძირითადი საფუძველი ყოველივე ფასეულის და შესანიშნავისა ამ ქვეყანაზე.

ვინც შემოივლის და ნახავს სხვა ქვეყნებს და დაფიქრდება, თუ რა გამომდინარეობს სახელმწიფოსა და კერძო მფლობელთა ერთობლიობიდან, იპოვის პირველწყაროს და მთავარ მიზეზს, რის მიხედვითაც განსხვავდებიან სახელმწიფოები და იმპერიები ერთმანეთისგან, და მიხვდება თუ რაში მდგომარეობს ის ძირითადი კანონზომიერებები რაც ცვლის და ამრავალფეროვნებს დედამიწას.

წერილი ბატონ დე ლა მოტ ლე ვალეს

(დაწერილია დელიში. 1 ივლისი 1663 წელი)
დიდი მოგოლის მთავარი ქალაქების დელისა და აგრას აღწერა, სამეფო კარის მოთხოვნილებების აღწერა, მოგოლთა ხასიათის და ინდოეთის მოსახლეობის შესახებ

მოწყალეო ბატონო!

მე ვიცი, ჩემი სამშობლოში დაბრუნებისას თქვენი პირველი შეკითხვა, რომელსაც მე დამისვამთ, იქნება: შესძლებს თუ არ დელი და აგრა მშვენიერებაში დაედაროს პარიზს, ან სიდიდით, ან მოსახლეობის სიმრავლით თუ შეედრება მას?

რაც შეეხება ამ ქალაქების სილამაზეს, მინდა წინასწარ ვთქვა, რომ მე ხშირად მაოცებდა, აბუჩად როგორ იგდებდნენ ინდურ ქალაქებს ევროპელები, თან ამტკიცებდნენ, რომ აქაური შენობები ვერც კი შეედრებოდა ევროპულს. მაგრამ არ არის აუცილებელი რომ ჩვენი და ინდური ნაგებობები ერთმანეთს ჰგავდნენ. პარიზი, ამსტერდამი და ლონდონი, დელის ადგილას რომ იყოს აშენებული, ამ შემხვევაში ბევრი შენობის დანგრევა და გადაკეთება გახდებოდა საჭირო და შესაბამისად ქალაქი თავიდან იქნებოდა ასაშენებელი რადიკალურად განსხვავებული გეგმის მიხედვით. ჩვენს ქალაქებში უდაოდ ბევრი შესანიშნავი ნაგებობაა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ნაგებობები სრულიად შეესაბამებიან ცივ კლიმატურ პირობებს. დელის კი შეუძლია იტრაბახოს თავისი მშვენიერებით, რომელიც მისი ცხელი კლიმატისთვისაა შესაფერისი. ინდოსტანში სიცხე იმდენად ძლიერია, რომ არავინ, თვით დიდებულები და მეფეც კი, წინდას არ იცვამს და დადიან უბრალო ბაბუშებით ანუ ფეხსაცმელებით, თავს კი ყველაზე ფაქიზი ქსოვილით „შეკერილი“ ტურბანებით იცავენ. ყველა დანარჩენი ტანსაცმელიც შესაბამისად მსუბუქია. ზაფხულის პერიოდში ისე ცხელა, რომ კედელსაც ვერ მიადებთ ხელს, ის გავარვარებულია და ვერც ბალიშზე დადებთ თავს. წელიწადში ექვსი თვის მანძილზე ხალხს ღია ცის ქვეშ, ყოველგვარი გადასაფარებლის გარეშე სძინავთ. უბრალო ხალხი ქუჩაში იძინებს, საკუთარი სახლების კარებებთან, ვაჭრები და მაღალი მდგომარეობის მქონე ადამიანები საკუთარ ეზოებში და ბაღებში იძინებენ, იქ სადაც მეტი ჰაერია

და ხანდახან ტერასებზეც, რომელსაც დღის განმავლობაში წყლით რეცხავენ.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ და აქ გადმოვიტანოთ სენ-ჟაკის, ან სენ–დენის ქუჩები, სადაც რამდენიმე სართულიანი სახლები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან აშენებულნი, თქვენ როგორ გგონიათ, ასეთ სახლებში ცხოვრება შესაძლებელი იქნებოდა? შეიძლება ასეთ სახლში დაიძინო მაშინ, როცა გარეთ საშინელი სიცხეა და ნიავიც კი არ იძვრის? წარმოიდგინეთ, რომ ადამიანი მოგზაურობიდან ქალაქში დაბრუნდა ცხენზე ამხედრებული, სიცხისგან გათანგული, მტვრიანი და ოფლიანი. შემდეგ ეს ადამიანი ვიწრო კიბით უნდა ავიდეს მესამე, ან მეოთხე, ან მეხუთე სართულზე და იქ უნდა გაიგუდოს სიცხით. აქ ყველას სურს მიირთვას ერთი ყლუპი ცივი წყალი, ან ლიმონათი, ტანსაცმელი გამოიცვალოს, დაიბანოს სახე და ხელი-ფეხი, შემდეგ ჩრდილში დაისვენოს, სადაც ერთი ან ორი მონა, საგრილობელი საშუალებით გააგრილებენ მის დასიცხულ სხეულს, საგრილობლად იყენებენ დიდ პანხას ანუ მარაოს.

ეხლა შევეცდები მოგაწოდოთ დელის სრული აღწერილობა, რათა თავად დარწმუნდეთ, რომ დელის აქვს უფლება ერქვას ლამაზი ქალაქი.

ორმოცი წელი გავიდა მას შემდეგ რაც შაჰ-ჯეხანმა, დღევანდელი დიდი მოგოლის აურენგზიბის მამამ, ისურვა უკვდავეყო თავისი სახელი და ბრძანა აეშენებინათ ძველი დელის მახლობლად ახალი ქალაქი და სახელად შაჰჯეხანაბადი, შემოკლებით ჯეხანაბადი, ანუ შაჰ-ჯეხანის კოლონია და გადაწყვიტა აქ გადმოეტანა დედაქალაქი, აგრადან გადმოსახლებას ახალ დედაქალაქში საფუძვლად დიდი სიცხე დაუდო. ძველი დელის ნანგრევები ახალი ქალაქის საშენ მასალად იქცა, ინდოეთში უკვე აღარ იხსენიებდნენ „დელის“, ყველას პირზე ჯეხანაბადი ეკერა. იმის გამო რომ ჯეხანაბადი ჩვენში ჯერჯერობით უცნობი სახელია, მე ისევ „დელით“ მოვიხსენიებ დედაქალაქს, როგორც ჩვენ ვართ ჩვეული.

ამგვარად დელი წარმოადგენს სრულიად ახალ ქალაქს, რომელიც გაშლილ ადგილზეა აშენებული, მდინარე ჯემლის ნაპირზე, ეს მდინარე ძალიან ჰგავს ჩვენს ლუარს. მდინარე მხოლოდ ერთ ნაპირზეა აშენებული და ნახევარ მთვარის ფორმა აქვს, მდინარის მეორე ნაპირზე

გადასასვლელად ხიდია აშენებული, რომელიც იმ მიდამოში ერთადერია. ქალაქი აგურის კედლით არის შემოსაზღვრული. მაგრამ სიმაგრე არ არის სრულყოფილი, რადგან არ არის ქონგურები და სხვა თავდაცვითი ნაგებობები თუ მხედველობაში არ მივიღებთ ანტიკური სტილით ნაშენებ კოშკებს, რომლებიც ასი ნაბიჯით არიან დაშორებულნი ერთმანეთისგან. ასევე მიწაყრილი, რომლის სისქე ოთხი-ხუთი ფუტია. ამ კედლის მიღმა ციხე-სიმაგრეა, რომელიც იმაზე პატარაა ვიდრე საერთოდ არის მიღებული თავდაცვითი ობიექტების მოცულობასთან შედარებით. მე შემოვუარე ამ ნაგებობას და თითქმის სამი საათი დამჭიდა, თუმცა ცხენზე ვიყავი ამხედრებული და ალბათ საათში ერთ ლიეს ტოლ მანძილს ვფარავდი. თუ დელის მივაკუთვნებთ ქალაქის შემოგარენს, რომელიც ლაგორასკენაა გადაჭიმული და ასევე ძველ დელისაც თუ გავითვალისწინებთ, მივიღებთ საკმაოდ დიდ მანძილზე გადაჭიმულ ქალაქის შემოგარენს, ასევე დავამატოთ სამი-ოთხი დასახლება, რომელიც შეიძლება ქალაქის შემოგარენს მივაკუთვნოთ და მივიღებთ, რომ მთელი ეს დასახლება ერთნახევარი მილის მანძილზეა გადაჭიმული, რაც შეეხება ოლქებს, რომლებიც ქალაქის სიახლოვეს მდებარეობს, რომელთა რაოდენობის დასახელებაზე თავს შევიკავებ, იმიტომ, რომ ასეთი ქალაქის მიღმა, დასახლებები, ერთმანეთთან დიდი ბაღებით და ვრცელი მოედნებით არიან დაკავშირებულები და ის მრავალრიცხოვანია.

ციხე-სიმაგრე, სადაც განთავსებულია მეხალე ანუ სერალი და ხელმწიფის სხვა აპარტამენტები, რომელთა შესახებ მე კიდევ მოგითხრობთ, წარმოადგენს წრეს, უფრო სწორედ ნახევარ წრეს. ის მდინარისკენ გადის, მაგრამ კედელსა და მდინარეს შორის მდებარეობს საკმოდ ვრცელი ქვიშის ზოლი. აქ ტარდებოდა სპილოების ბრძოლები და ჯარების დათვალიერება, რომლებიც ეკუთვნოდათ რაჯებს, ან ემირებს, ანუ უცხო მიწიდან მოსულ თავადებს, მეფე ამ სანახაობას საკუთარი აპარტამენტებიდან აკვირდება. ციხე-სიმაგრის კედლები თავისი ანტიკურობით და მრგვალი კოშკებით ქალაქის კედლებს ჰგავს, მაგრამ რადგან აგურით არის ნაშენები და ნაწილი კი წითელი ქვით, რომელიც მარმარილოს ჰგავს, უფრო მეტ სილამაზეს ჰმატებს ნაგებობას. ამსთან ერთად ის უფრო მაღალია, სქელია და მყარი, ასე რომ შენობა, მასზე საშუალო ზომის საველე ზარბაზნების განთავსების საშუალებას იძ-

ლეოდა, რომელთა ლულები ქალაქისკენ იყო მიმართული, ნაწილი კი მდინარისკენ იყო მიმართული, ციხე-სიმაგრე შემოსაზღვრულია ღრმა თხრილით, რომელიც ქვით არის მოპირკეთებული. თხრილი წყლით არის სავსე, სადაც თევზია მოშენებული, მაგრამ ეს კედლები არ არის მტკიცე, ჩემის აზრით ზარბაზნის ჭურვი უცბათ ჩამოშლის მას. ამ თხრილთან ახლოს საკმაოდ დიდი ბაღია გაშენებული და მთელი წლის განმავლობაში აბიბინებულია ეს მხარე, მშვენიერია ყვავილებში და მწვანე ბუჩქებში „ჩაძირული“ და წითლად მოელვარე კედლის მიღმა გაშენებული ეს ბაღი. ბაღს დიდი ქუჩა ეკვრის, ეს უფრო მოედანია, რომელზეც ციხე-სიმაგრის მთავარი კარიბჭე „გამოდის“ და აქედან სათავეს იღებს ქალაქის ორი მთავარი ქუჩა. მეფის სამსახურში მყოფი რაჯების კარვები, რომლებიც ყოველდღიურად რიგრიგობით ყარაულობენ ციხე-სიმაგრეს, განლაგებულია ამ კვადრატულ მოედანზე. ამ პატარა „თავადებს“ არ სურთ იყვნენ სიმაგრის კედლებში გამოკეტილნი და ამიტომ ციხე-სიმაგრეს შიგნით ემირები და მანზებდარები ყარაულობენ.

ამ მოედანზე გათენებისას სამეფო თავლიდან, რომელიც ახლოს მდებარეობს, ცხენები გამოჰყავთ გასახედნად.

აქვეა კობატ-ხანიც, ანუ კავალერიის მხედართმთავარი, რომელიც ყურადღებით აკვირდება კავალერიის ახალ მხედრებს, რომლებიც ეხლახანს მიიღეს სამსახურში. ეს ცხენები თრქული ჯიშისაა, ანუ თურქესტანიდან ან სათათრეთიდან და საკმაოდ მაღლები და ამტანი ჯიში გახლავთ. უკანა ბარძაყზე გავარვარებული რკინით სამეფო დაღს ასვამენ და კიდევ ემირის დაღსაც, ვის ჯარშიაც ჩაირიცხება მხედარი იმის მიხედვით. აქვეა ბაზრიც, სადაც ყველაფრის ყიდვაა შესაძლებელი, ეს ადგილი პარიზის ახალ ხიდს ჰგავს სადაც მთელი ოინბაზების და ფოკუსების ოსტატების თავშეყრის ადგილია. აქვე არიან მაჰმადიანი და წარმართი ასტროლოგები. ეს ბრძენკაცები სხედან თაკარა მზის ქვეშ, მიწაზე, მტვრიან ხალიჩებზე და ხელში ძველებური ასტროლოგიური ხელსაწყოები უჭირავთ, წინ დიდი წიგნი აქვთ გადაშლილი, რომელშიც ზოდიაქოს ნიშნები არის გამოსახული. ამგვარად ეს ადამიანები გამვლელების ყურადრებას იქცევენ, ხალხსაც წარმატებით ატყუებენ, რადგან მათ შეუმცდარ ორაკულებად მიიჩნევს იქაური საზოგადოება. ერთი სოლის ფასად ამ ღარიბ ხალხს

მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ჯერ კლიენტის ხელებს და სახეს შეათვალიერებენ, შემდეგ გადაფურცლავენ დიდ წიგნს და შთაბეჭდილებას ტოვებს მათი მოქმედება, თითქოს რაღაცას ითვლიან. ამის შემდეგ „გადაწყვეტენ“ დადგა თუ არა „სახეტი“, ანუ ხელსაყრელი მომენტი ახალი წამოწყების დასაწყებად, რომელიც შემკითხველმა ჩაიფიქრა. სულელი ქალები, რომლებიც თავიდან ფეხებამდე თეთრ ნაჭერში არიან გახვეულები, ჯგუფებად გროვდებიან ასტროლოგებთან და ყურში ჩასჩურჩულებენ თავიანთი ცხოვრების ყოველ დეტალს. თავისი ცხოვრების ყოველ საიდუმლოსაც უმხელენ მათ, თითქოს აღსარებას აბარებენო ასტროლოგებს. ეს უბირი ადამიანები სთხოვენ ასტროლოგს, რომ ვარსკვლავები მათ სასიკეთოდ „მოაქციონ“, გეგონება ეს ასტორლგები რეალურად ფლობდნენ განსაკუთრებულ ძალას.

ყველაზე „კარგი“, ამ ასტროლოგთა შორის ერთი პორტუგალიელი იყო, რომელიც გოადან იყო გამოქცეული. ისიც, როგორც ყველა ხალიჩაზე იჯდა მრავალმნიშვნელოვანი იერით, მას ბევრი კლიენტი ჰყავდა, მიუხედავად იმისა, რომ მან არც კითხვა იცოდა და არც წერა. მისი ინსტრუმენტი საზღვაო კომპასი გახლდათ და ასტროლოგიური წიგნის მაგივრად პორტუგალიურ ენაზე დაბეჭდილი ლოცვანი ჰქონდა გადაშლილი. "A tal bestias tal Astrologuo" („როგორი პირუტყვიცაა ისეთივეა ასტროლოგიც“) ურცხვად უთხრა მან იზუიტ ბერს, მამა ბიუზოს, რომელმაც „მუშაობის“ დროს იხილა პორტუგალიელი.

აქ მე ვსაუბრობ საცოდავ ბაზრებზე და ასტროლოგებზე.

ისინი ვინც დიდებულების სასახლებს სტუმრობენ, ითვლებიან დიდ მეცნიერებად და დიდ შემოსავალსაც ღებულობენ. მთელი აზია იტანჯება ამ ცრურწმენისგან. მეფეები და დიდებულები არ წამოიწყებენ უმნიშვნელო საქმესაც კი, მათ რომ არ დაეკითხონ, შესაბამისად დიდ ჯამაგირს უხდიან, რომ „წაიკითხონ“ თუ რა „წერია“ ცაზე და გაარკვიონ როდის დადგება „სახატ“-ი.

ქალაქის ორი მთავარი ქუჩა, რომლებიც, როგორც უკვე ვთქვი, იწყება ციხე-სიმაგრის კარიბჭესთან მდებარე მთავარი მოედნიდან, სიგანეში 25-30 ნაბიჯია, სიგრძეში კი იმდენად დიდია, რომ თვალს ვერ გაუწვდენ. მაგრამ ერთი, რომელიც ლაგორის კარიბჭესთან მიდის ბევრად უფრო გრძელია მეორეზე. რაც შეეხება სახლებს ისინი ერთმანეთს გვანან. ჩვენი სამეფო მოედნის მსგავსად, ქუჩის ორივე მხა-

რეს აშენებულია არკადები, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ისინი აგურითაა ნაშენები და სახურავები აქ ტერასას ფუნქციას ასრულებს, არკადების თავზე სხვა შენობა არ დგას. ჩვენს სამეფოში აშენებულ არკადიებისგან განსხვავდებიან კიდევ იმითი, რომ არ წარმოადგენენ ერთიან გალერეას, ისინი ერთმანეთისგან კედლით არიან განცალკევებულნი, რომლებშიც დუქნებია განთავსებული, რომლებიც არასოდეს არ იკეტება. აქ დილით ან ხელოსნები მუშაობენ, ან ზიან გადამცვლელები, ან ვაჭრებს აქვთ საქონელი გამოფენილი. თითოეული არკის სიღრმეში არის საწყობის კარი, სდაც საწყობებია განთავსებული, სადაც ღამე საქონელს აბინავებენ. ვაჭრების სახლები ამ საწყობების უკან მდებარეობს, ქუჩის მხრიდან ეს სახლები ძალიან ლამაზები ჩანან და თვითონ სახლი კი საკმაოდ მყუდროა და მოსახერხებელი. სახლი კარგად ნიავდება, ვერც ქუჩის მტვერი აღწევს სახლამდე და ასევე სახლიდაან პირდაპირ შეიძლება არკადიას თავზე, ტერასაზე გასვლა, საიდანაც შეიძლება ქუჩას გადახედო, აქ სუფთა ჰაერზე დაძინებაც შეიძლება. ცუდი კი ის გახლავთ, რომ ამ ორ ქუჩაზე და კიდევ სხვა ქუჩებზეც ტერასაზე მაღალი, კარგი და ლამაზი სახლები არ დგას და ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ორ ქუჩაზეც კი არ არის ყველგან ტერასები. ხშირად საწყობის თავზე ან სადმე ახლოს დგას შენობა, რომელიც ქუჩიდან არ ჩანს. მდიდარ ვაჭრებს ცალკე სახლი აქვთ და ღამე თავის სახლში ათევენ.

ამ ორი ქუჩის გარდა კიდევ არის ხუთი ქუჩა. ისინი არც ისეთი გრძელია როგორც ეს ორი ცენტრალური ქუჩა და არც სწორი, მაგრამ დნარჩენი ყველაფრით გვანან ერთმანეთს. და კიდევ, უსასრულო რაოდენობის ერთმანეთის გადამკვეთი ქუჩები, რომელთაგან ზოგიერთზე არკადებია აშენებული. მაგრამ ისინი აშენებულია სხვადასხვა დროს და სიმეტრია არ არის დაცული, შესაბამისად უმეტესი შნობები არ არის ისე ფართო და კარგად ნაგები როგორც მთავარ ქუჩებზე. ამ ქუჩებზე მანზებდარების ანუ „მცირე ემირების“, სასამართლოს ჩინოვნიკების, მდიდარი ვაჭრების და სხვა პირების სახლებია მიმობნეული. ბევრ სახლს საკმაოდ მისაღები სახე აქვს. მართალია ნაგებობა არ არის ნაგები მთლიანად აგურით ან ქვით, ბევრი მათგანი აშენებულია მხოლოდ თიხისგან და ჩალისაგან, მაგრამ მაინც მყუდროა, გრილია, კარგად ნიავდება და გააჩნია კარი და ბაღი. ეს სახლებიც შიგნიდანაც

საკმაოდ სასიამოვნოა, საკმაოდ კარგი ავეჯი დგას და ამის გარდა, ჭერი შიგნიდან გრძელი, ლამაზი და მყარი კამიშის ჯოხებით არის გაკეთებული, კედლები კი ლამაზად არის გალესილი კირით.

ამ საშუალო დონის სახლებს შორის გაბნეულია უამრავი პატარა სახლები (ქოხები) რომლებიც მხოლოდ თიხით და ჩალით არის ნაგები. ამ სახლებში უბრალო მხედრები ცხოვრობენ და სხვა ყველანი, მსახურები, ბაზრის მომსახურე ხალხი, რომლებიც არმიას და სამეფო კარის დიდებულებს დაყვებიან ლაშქრობის ან სხვა გადაადგილების დროს. ეს ქოხები წარმოადგენენ დელიში ხანძრის გამომწვევ ძირითად მიზეზს. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, ძლიერი ქარის გამო ხანძარმა გაანადგურა სამოცდაათი ათასამდე ჩალის სახურავი, ძლიერი ქარები ამ მხარეში ძირითადად ზაფხულის პერიოდში იცის და ხანძრის დროს ალი იმდენად სწრაფად გავრცელდა რომ რამდენიმე აქლემი და ცხენი იმსხვერპლა, რომელთა გამოყვანაც ვერ მოასწრეს თავლებიდან. ხანძრის მსხვერპლი გახდნენ ეს უბედური ქალებიც, რომლებიც სერალიდან არასოდეს გამოდიოდნენ, ეს ქალები უაღრესად მორცხვები იყვნენ და უცხოს დანახვაზე სახეზე სასწრაფოდ პირბადეს იფარებდნენ. ამ ქოხების გამო, რომლებიც ჩალით არის დახურული, დელის წარმოვიდგენ როგორც რამდენიმე სოფლის გაერთიანებას ან სამხედრო ბანაკს, რომელიც უფრო მოხერხებულად არის განლაგებული და უკეთესად არის მოწყობილი, ვიდრე სხვა საველე ბანაკები.

ემირთა სახლები ძირითადად მდინარის სანაპიროზეა, ან ქალაქგარეთაა განლაგებული, მაგრამ სხვა ადგილებშიც გვხვდება. ცხელ ქვეყნებში სახლი ითვლება ლამაზ ნაგებობათ თუ მასში დიდი სივრცეა, სადაც ბევრი ჰაერია და კედლები კი იმდენად ღიაა, რომ სახლი კარგად ნიავდება.

კარგ სახლებს აქვთ ეზოები, ბაღები, წყლით სავსე აუზები, პატარა ფანტანები ეზოში ან შესასვლელთან ახლოს. გარდა ამისა ცდილობენ რომ ჰქონდეთ ლამაზი მარანი დიდი ფრთებით, რომ იქ სიგრილეში დაისვენონ, შუა დღიდან, დღის ოთხ–ხუთ საათამდე, ამ პერიოდში ჰაერი იმდენად ცხელია, რომ სუნთქვაც კი ჭირს. ზოგი მარანადს კასკნაის, ანუ სუფთა ქოხს ირჩევს, რომელიც ჩალისაგან და სურნელოვანი ფესვებისგანაა ნაგები. ჩვეულებრივ ესეთი ქოხები საყვავილესთან არის აშენებული, იქვე ახლოს აშენებული წყლის ავზიდან მსახურე-

ბი სიცხეში წყლით ნამავენ ქოხს, რომ მისი კედლები გაგრილდეს და ქოხშიც სიგრილემ დაისადგუროს, წყალს ავზისთვის კი, ტიკებით ეზიდებიან მსახურები. სახლი პრესტიჟულად ითვლება თუ ის დიდ ყვავილნართანაა აშენებული. ასეთ სახლს უნდა ჰქონდეს ოთხი დიდი დივანი, ან ამაღლებული ადგილი, რომელიც ადამიანის სიმაღლეა, ამ შემთხვევაში ეს ადგილი კარგად ნიავდება და სიგრილე ყოველი მხრიდან მოდის. ლამაზ სახლებს აუცილებლად უნდა ჰქონოდათ მაღალი ტერასები, სადაც ღამე დაძინება იქნებოდა შესაძლებელი. ეს ტერასები უნდა უკავშირდებოდნენ დიდ ოთახებს რადგან თუ წამოვიდოდა კოკისპირული წვიმა, ან მტვერის ღრუბელი თუ ავარდებოდა, ან დილით ცივი ნიავი თუ დაუბერავდა, ან დილის ნამითუ დაგროვდება, რომელიც იწვევს სხეულის დაბუჟებას და პარალიჩის მსგავს მოვლენას ადამიანის ორგანიზმში ამ ყველაფრისგან თავის დასაცავად.

კარგ სახლებში იატაკზე დაფენილი იყო ქაღალდისებრი ქსოვილისგან დამზადებული მატრასები, მატრასის სისქე შესაბამისად ოთხი დიუმის უნდა ყოფილიყო. ზაფხულში მასზე თხელ თეთრ ქსოვილს, ხოლო ზამთარში აბრეშუმის ხალიჩას აფარებდნენ. ოთახში ყველაზე საპატიო ადგილას იდგა ერთ ან ორი მატრასი, რომელიც ქაღალდის პიკესგან არის დამზადებული, მასზე ლამაზი, ყვავილებით მოქარგული გადასაფარებელია გადაფარებული. ეს მატრასები ოჯახის უფროსისთვის ან საპატიო სტუმრისთვისაა განკუთვნილი. თვითოეულ მატრასზე დევს ფარჩის ფართე ბალიში, რომელსაც მომრგვალებული ფორმა ჰქონდა და მისი „გაგორება“ იყო შესაძლებელი. კედლის გარშემოც ასეთივე ბალიშები იყო დალაგებული, რომლებზეც დახატული იყო ყვავილები, ეს ბალიშები ოჯახის დანარჩენი წევრებისთვის იყო განკუთვნილი. კედლებზე, ხუთი–ექვსი ფუტის სიმაღლეზე განთავსებული იყო ნიშები ან პატარა, სხვადასხვა ზომის სარკმელები. ისინი შესრულების დიდი გემოვნებით გამოირჩეოდნენ, მათ შესაფერისი და მიმზიდველი პროპორციები და ფორმები ჰქონდათ. ოთახის შიგნით ფაიფურის ვაზები და ყვავილების ქოთნები იდგა, რომელშიც ულამაზესი ყვავილები ჰქონდათ ჩარგული. ჭერი მოოქროვილი და მოხატული იყო, წერის მოხატულობაში ადამიანების და ცხოველების სახეები არასდროს დაიტანებოდა, რადგან რელიგია კრძალავდა მსგავს ნახატებს.

მიახლოებით ასეთი აღწერილობის გახლდათ „კარგი სახლი“ ამ ადგილებში, დელიში კი ბევრი ასეთი სახლია, რომლებიც შესაძლოა მთლიანად ჩემს აღწერილობას არ ემთხვეოდეს, მაგრამ ძირითადი დეტალები ყველასთვის იდენტურია. მე დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ინდოსტანში უამრავი ლამაზი ნაგებობა და სახლი არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰგვანან ჩვენს სახლებს, ისინი თავისი უნიკალურობით გამოირჩევიან.

დელიში ევროპისგან განსხვავებით არ არსებობს ფართე მაღაზიები, მაგრამ დელი წარმოადგენს ძლევამოსილ და აღზევებული სამეფო კარის რეზიდენციას, სადაც მიედინება მრავალნაერი ძვირფასი საქონელი.

ყველაზე ლამაზი და ძვირადღიებული ქსოვილები როგორც ყოველვის საწყობებში ინახება, ხოლო მაღაზიები იშვიათად ირთვება ამ სილამაზით. ბევრ მაღაზიაში იყიდება ლამაზი, სათუთი ქსოვილები, აბრეშუმის ქსოვილები, ოქროს და ვერცხლის არშიებით, ოქროთი ნაქარგი ტურბანები, ფარჩა და სხვა ძვირფასი საქონელი, თქვენ იპოვით ალბათ ოცდახუთ მაღაზიას მცენარეებით სავსე ქოთნებით, ბრინჯით სავსე კალათებით, მუხუდოთი, ხორბლით, სხვადასხვა მარცვლეულით და ხილით რომ ვაჭრობს. ამ პროდუქტებით იკვებებიან არა მარტო ინდუსები, რომლებიც თითქმის არასდროს მიირთმევენ ხორცს, არამედ დაბალი ფენის მაჰმადიანები და არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

აქ არის დიდი ხილის ბაზარი, აქაურობა მოფენილია უამრავი დახლებით და მაღაზიებით, რომლებიც ზაფხულში სავსეა სხვადასხვა ხილის ჩირით, რომელიც ინდოეთში შემოაქვთ სპარსეთიდან, ბელკადან, გუხარიდან და სამარყანდიდან, აქვე თქვენ შეხვდებოდით თხილს, კაკალს, ქლიავს, გარგარს, ქიშმიშს და სხვა მრავალს, ხოლო ზამთარში ბაზარზე შემოდის ყურძნის მრავალი ასორტიმენტი, რომელიც იმავე ქვეყნებიდან შემოდიოდა, ოღონდ ბამბაში შეხვეული, რომ გზაში არ დამჭკნარიყო, შემდეგ მსხალი, სამი თუ ოთხი ჯიშის ვაშლი, შემდეგ ბაზარს ემატება ნესვი, რომელსაც მთელი ზამთრის პერიოდში დაბყრობილი აქვს ბაზარი. მაგრამ ხილი საკმაოდ ძვირია, მე მინახავს ერთ ნესვში როგორ იხდიდნენ ერთნახევარ კრონს. ხილი ითვლება ყველაზე ძვირფას გამასპინძლებად და ემირები მასში საკმაოდ ძვირს ფასს იხდიან მე რამდენჯერ მაქვს ნანახი ერთერთმა აღამ სადილის-

თვის ოცდაათ კრონზე მეტი როგორ გადაიხადა ხილში. ზაფხულში ადგილობრივი იაფფასიანი ნესვი შემოდის ბაზარზე. მხოლოდ დიდებულებს, რომლებსაც სპარსეთიდან ჩამოაქვთ ნესვის თესლი და საკუთარ მიწაზე მოჰყავთ მოსავალი, შესანიშნავი ნესვი მოდის, გემრიელია, მიუხედავად ამისა მაინც იშვიათად შემოდის ასეთი ნესვი ბაზარზე, რადგან ნიადაგი არ იძლევა იმის საშუალებას რომ ერთხელ მოყვანილი მოსავლიდან მიღებული თესლი დასათესად გამოდგეს. აქ არის კიდევ ერთი გემრიელი ხილი, რომელსაც ეწოდება ამბა ანუ მანგო. ეს ხილი ბაზარზე დიდი რაოდენობით იყიდება და ზაფხულში, სეზონზე, რომელიც ორი თვე გრძელდება, ძალიან იაფი ღირს, მაგრამ ადგილობრივი მანგო დაბალი ხარისხის პროდუქტია. შესანისნავი მანგო შემოდის გოლკონდიიდან, ბენგალიიდან და გოადან. ის ისეთი გემრიელია, რომ ძნელად წარმომიდგენია უფრო სასიამოვნო ნუგბარი.

პატეკა ანუ საზამთრო, ბაზარზე მთელი წლის განმავლობაში უხვად შემოდის, ადგილობრივი, დაბალი ხარისხისა და თითქმის არასოდეს არ არის წითელი, წვნიანი და ტკბილი. კარგ საზამთროს უმეტესად დიდებულებთან სუფრაზე თუ ნახავთ. მათ შემოაქვთ საზამთროს თესლი და ფულს არ ზოგავენ რომ კარგი მოსავალი მიიღონ. ქალაქში საკონიტრო მაღაზიებიც არის, მაგრამ ტკბილეულს კარგად ვერ აცხობენ, დალაქავებულია და ბუზები ეხვევა. ქალაქის სხვადასხვა უბანში პურის საცხობებია მოწყობილი, აქაური ღუმლები არაფრით არ ჰგავს ჩვენებურს, საცხობებიდან გამოსული პური ხანდახან ბოლომდე გამომცხვარი არ არის. ხოლო პური, რომელიც ციხე-სიმაგრის, ფურნეში ცხვება უგემრიელესია, აქ არ ზოგავენ, ახალ ზეთს, რძეს და კვერცხს ცომისთვის და ამიტომ ეს პური გემოთი ნამცხვარს უფრო ჰგავს. ბაზარში არის მაღაზიებიც, რომლებიც შემწვარი ხორცით და კერძებით ვაჭრობენ. ყოველი ეს პროდუქცია ძალიან ცუდია და ციდი ხარისხის, აქ აქლემის ხორცისგანაც ამზადებენ კერძებს, ან ხარის ხორცსაც ხმარობენ, რომელიც დაავადდა და დაეცა. ასეთი მაღაზიების ნდობა არ შეიძლება. საერთოდ თუ გსურს კარგი საკვები ის სახლში უნდა მოამზადო.

ქალაქში ბევრი ადგილია სადაც „ცოცხალ“ ხორცს ყიდიან, აქ ფრთხილად უნდა იყო, რადგან შეიძლება თხის ხორცის მაგივრად ცხვრის ხორცი მოგყიდონ. ყველაზე კარგი, ახალგაზრდა თხის ხორცია,

მაგრამ იშვიათად ხდება რომ ვინმემ ახალგაზრდა საქონელი დაკლას და ბაზარზე გამოიტანოს. ამიტომ ცოცხალის ყიდვა გვიხდება და დაკ-ლული საქონლის ხორცი იმ დღესვე თუ არ მომზადდა კერძის სახით, ერთ ღამეში ფუჭდება. მაღაზიებში ძირითადად დაბერებული საქონ-ლის ხორცი იყიდება. თუმცა მას მერე რაც გავეცანი აქაურ წეს-ჩვე-ულებებს და ბაზარს საკმაოდ მაღალი ხარისხის ხორცს დაპურს ვყი-დულობდი, ვგზავნიდი მსახურს სამეფო მომმარაგებლებთან და კარგ ფასად ვყიდულობდი ჩემთვის საჭირო პროდუქტს.

ერთხელ ჩემი აღა გავაცინე, როდესაც ვუთხარი, რომ დიდი ხანია მივეჩვიე ამ ქვეყანაში ქურდობით და ეშმაკობით ცხოვრებას, რადგან ასორმოცდაათი ეკიუთი, რომელსაც მე მიხდიდნენ თვეში, სული გამ-ძვრებოდა და მოვკვდებოდი შიმშილით, მაშინ როდესაც საფრანგეთში ერთნახევარი ეკიუს ფასად მე მექნებოდა სამეფო დონის ხორციც და პურიც ყოველ დღე.

მტრედებიც იყიდება ბაზარზე, მაგრამ უკვე ზრდასრულ ფრინ-ველს სთავაზობენ მყიდველს, რადგან ინდოელები მტრედს არ კლა-ვენ, დიდ სიმკაცრედ მიაჩნიათ მტრედის მოკვლა.

ბაზარზე ასევე გვხვდება კაკაბები, ისინი ჩვენთან გავრცელებულ კაკბებზე პატარაა. მათ ბადეებით იჭერენ და ცოცხლად ჩამოჰყავთ ბა-ზარში გასაყიდად. გემოთი კი ქათმის ხორცი ნამდვილად უფრო გემრი-ელია ვიდრე კაკბისა. იგივე შემიძლია ვთქვა იხვებზე და კურდღლებზე.

აქაურ მცხოვრებლებში საკმაოდ პოპულარულია თევზაობა, აქ კარგი თევზიც იყიდება, ძირითადი მოთხოვნა სანგალაზე და რაუ-ზეა. პირველი, სანგალა ევროპულ ქარიყლაპიას ჰგავს, მეორე, რაუ კი კარპს. მაგრამ ამ თევზის ყიდვა შეიძლება მხოლოდ თბილ ამინდში, რადგან ინდოელებს საკმაოდ არ უყვართ სიცივე ისევე როგორც ევ-როპელებს დიდი სიცხე.

როცა ბაზარზე ახალი თევზი შემოდის მას უყოყმაოდ ყიდულობენ ევნუხები, რომლებიც განსაკუთრებულ ლოიალობას იჩენენ ამ პრო-დუქტის მიმართ. მხოლოდ ემირები აიძულებენ მეთევზეებს თევზი ნებისმიერ ამინდში დაიჭირონ. ამისათვის გრძელ მათრახს იყენებენ რომელიც ყოველთვის ჰკიდია მათი სახლის კარებზე.

მე რაც გიამბეთ ამის მიხედვით დასკვნის გაკეთებაც შეიძლება, რომ კარგი გემოვნების, გურმან ფრანგს, რამდენად უღირს დელი-

ში გამგზავრება. უდაოა, რომ მაღალი წრის ადამიანებს შეუძლიათ იშოვნონ მათთვის სასურველი, ამისთვის მრავალრიცხოვანი მსახურთა მომსახურეობა, დასჯის შიში და ფულია საჭირო. მე უკვე ვახსენე, რომ დელიში არ არსებობს შუალედური საზოგადოება. აქ არიან დიდებულები და ღარიბები. რაც შემეხება მე, საკმაოდ კარგი ჯამაგირი მაქვს და საკუთარი თვისთვის ეკონომიას არ ვაკეთებ, თუმცა იყო დრო, როცა ნახევრად მშიერი დავდიოდი, რადგან ბაზარზე ჩემი შემოსავლით მხოლოდ უვარგისი საკვების ყიდვა იყო შესაძლებელი.

ღვინო, ეს ყოველგვარი სუფრის აუცილებელი ატრიბუტი გახლავთ და საკმაოდ ძნელია მისი შოვნა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ადგილობრივი ყურძნითაც შეიძლება ღვინის გაკეთება. მე ვსვამდი ღვინოებს ახმედ-აბდაში, გოლკონდიაში, ჰოლანდიურ და ინგლისურ სახლებში და გემოთი ცუდი ნამდვილად არ იყო. საქმე იმაში მდგომარეობს რომ ღვინის წარმოებას კრძალავენ, ღვინის სმას უკრძალავენ როგორც მაჰმადიანებს, ასევე ინდუსებს. თუ აქ შესძლებ იშოვნო ნორმალური ღვინო, ის ან შირაზიისა, ან კანარიის. პირველი, სპარსეთიდან ჩამოაქვთ სახმელეთო გზით ბანდერ-აბასამდე, შემდეგ კი ზღვით სურატამდე, იქიდან კი 46 დღეა საჭირო რომ დელიმდე ჩამოიტანონ.

კანარის ღვინო სურატამდე ჰოლანდიელებს ჩამოაქვთ, მაგრამ საკმაოდ ძვირია და როგორც საფრანგეთში ამბობენ „ფასი აფუჭებს გემოს“. ბოთლი, რომელიც იტევს სამ პარიზულ პინტს (უდრის 0,568 ლიტრს) ღირს ექვსი-შვიდი კრონა.

ადგილობრივი სასმელია „არაკ“-ი, ანუ შაქრის არაყი, რომელიც მზადდება გაუსუფთავებელი შაქრისგან, მისი გაყიდვა აკრძალულია. მხოლოდ ქრისტიანები აძლევენ თავს უფლებას და სვამენ მას. „არაკ“-ი ძალიან ძლიერი სასმელია, ყელს წვავს, თითქმის ისეთივეა როგორც პოლონური ხორბლის არაყი. როცა „არაკს“ დიდი რაოდენობით სვამენ, ის ნერვებზე მოქმედებს, ადამიანს ეწყება კანკალი და შეიძლება მოურჩენელი დაავადებებიც კი გამოიწვიოს. აქ უნდა მიეჩვიო მხოლოდ სუფთა წყლის ან ლიმონათის სმას, რომელსაც შესანიშნავად ამზადებენ. სიმართლე რომ ითქვას ამ ცხელ ქვეყნებში ღვინისადმი მოთხოვნილება ნაკლებად გიჩნდება. მე მიმაჩნია რომ დაავადებებისადმი მოსახლეობის გამძლეობა მუდმივ სიფხიზლეში უნდა

ვეძებოთ, რადგან, სიცხის გამო ხდება ოფლის ინტენსიური გამოყოფა და შესაბამისად უმრავლეს დაავადებებს განვითარების საშუალება არ ეძლევათ. ინდოეთში არ იციან რა არის პადაგრა, თირკმელების დაავადებები, კატარი, ციებ-ცხელება და სხვა მრავალი დაავადებების ჩამოთვლა შემიძლია, საინტერესოა, რომ ვინც აქ ჩამოდის დაავადებული, რამდენიმე თვეში ბუნებრივად ინკურნება ადგილობრივი პირობების გამო. სიფილისსაც კი, რომელიც გავრცელებულია ინდოეთში, არ გააჩნია ისეთი დამღუპველი თვისებები, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. აქაური მოსახლეობა საკმაოდ ჯანმრთელია, მაგრამ ცივი ქვეყნების მოსახლეობის ჯანმრთელობას და ამტანუნარიანობას მაინც ვერ შეედრება. ადამიანის აზროვნების დაქვეითება და დაბალი ქმედუნარიანობა გამოწვეულია აუტანელი სიცხის გამო, რაც ერთგვარი ქრონიკულ დაავადებასავით არის მოდებული ქვეყანაში, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში და უკიდურესად ცუდ გავლენას ახდენს აქ ჩამოსულ ევროპელებზე. ასევე უაზრობა იქნებოდა დელიში მაღალი დონის სახელოსნოს ძებნა, ამით ქალაქი ნამდვილად ვერ დაიკვეხნის, ჩემი ნათქვამი ისე არ უნდა გაიგოთ რომ ინდოეთში ხელოსნების და სახელოსნოების ნაკლებობაა. ამ საქმეში ინდოელები საკმაოდ დახელოვნებულები არიან, რადგან პრიმიტიული იარაღებით შესანიშნავ ნაკეთობებს ჰქმნიან. ისინი ევროპულ ნაკეთობებს ისე მაღალ დონეზე ბაძავენ რომ გარჩევა თითქმის შეუძლებელია, მაგალითად ჩვენნაირ იარაღებს აქ აკეთებენ საკმაოდ კარგად და ლამაზად, მე მინახავს აქაური ოსტატების ოქროს ნაკეთობები, ალბათ ევროპელ ოსტატებს გაუჭირდებათ მსგავსი ნაკეთობის შექმნა.

მე ხშირად გავოცებულვარ ინდოელი ოსტატების მიერ შექმნილი მხატვრობით, მათი სურათებით და მინიატურებით, შესანიშნავი ფერთა გამით და ნატიფი ფერებით. განსაკუთერბით გამაოცა ფარზე გამოსახულმა „აკბარის ბრძოლამ“, ამბობენ რომ ამ შესანიშნავ ნამუშევარზე ოსტატი შვიდი წლის მანძილზე მუშაობდა. აქედან დასკვნა, ინდოელ მხატვრებს სჭირდებათ კარგი მასწავლებლები და ხელოვნების მიმდინარობების შესწავლა, რადგან დაეუფლონ პროპორციებს და ისწავლონ სახეზე ემოციის გამომხატველობის ხელოვნების შესწავლა. დელიში კარგი ხელოსნების ნაკლებობა, ჩემი აზრით, გამოწვეულია მათ მიმართ მოსახლეობის ცუდი დამოკიდებულებით, რადგან ხალხს

ხელოსანთა ნაკეთობების ყიდვა ძალიან დაბალ ფასებში სურთ, პრაქტიკულად თითქმის უფასოდ. თუ რომელიმე ემირს ან მანზებდარს სურს ხელოსნის მომსახურება, მაშინ ბაზარში უგზავნის შეკვეთას და შეკვეთის შესრულების შემდეგ უხდის იმდენს რამდენიც მოესურვება. ხელოსანი კი მადლობელი უნდა იყოს რომ არ დასაჯეს, შესაბამისად, რატომ უნდა მოინდომოს და თავის ხელოვნება რატომ უნდა ჩააქსოვოს ნაკეთობაში ამ უბედურმა? ის ფიქრობს, რომ დამკვეთს დროულად ჩააბაროს ნაკეთობა და მიღებული ფულით ლუკმა პურის ყიდვის საშუალება ჰქონდეს. ამიტომაც სრულქმნილად საკუთარ ხელოვნებას მხოლოდ ის ხელოსნები ავლენენ, რომლებიც ფადიშახთან ან ძალიან მდიდარ და გავლენიან ემირთან მუშაობენ და მხოლოდ მის შეკვეთებს ასრულებენ.

ციხე-სიმაგრეში განთავსებულია სერალი და სხვა სასახლისთვის დამახასიათებელი შენობები, მაგრამ აქ ნუ მოძებნით ლუვრს, ან ესკურიალს. ეს ნაგებობები არაფრით არ ჰგვანან ევროპულს, ამის შესახებ მე უკვე გიამბეთ. სამაგიეროდ ადგილობრივი კლიმატის გათვალისწინებით ეს შენობები მდიდრული და შესანიშნავია.

ციხე-სიმაგრეში შესასვლელი არავითარ ღირშესანიშნაობას არ წარმოადგენს თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქვაში გამოკვეთილ ორ სპილოს, რომლებიც მთავარი კარიბჭის ორივე მხარეს დგას, ერთ სპილოზე კი სახელგანთქმული ჩიტორას რაჯის, ჯამლას ქანდაკებაა აღმართული, მეორე სპილოზე კი მისი ძმის, პოლტის ქანდაკება დგას. ეს მამაცი მეომრები და არანაკლებ მამაცი ქალბატონი, ჯამლას და პოლტის დედა, სერიოზულ პორობლემებს უქმნიდნენ აკბარს და ქალაქების დაცვის დროს, როცა აკბერმა ალყა შემოარტყა ქალაქს, მათ არ ისურვეს მტერს დანებებოდნენ და გმირულად დაეცნენ დედასთან ერთად უთანასწორო ბრძოლაში. ამ განსაკუთრებული კეთილშობილებისთვის მტრებმაც კი ჩათვალეს საჭიროდ ამ ადამიანების სახელი უკვდავეყოთ. ამ გრანდიოზულ ქანდაკების შემხედვარეს რაღაც განსაკუთრებული მოწიწება გეუფლება ამ ადამიანების მიმართ.

როცა ციხე-სიმაგრის შიგნით შედიხარ თქვენ წინაშე იშლება დიდი და ფართო ქუჩა, რომელსაც წყლით სავსე არხები ორ ნაწილად ჰყოფს. ქუჩას ორივე მხარეს მთელ სიგრძეზე გრძელი „დივნები“ მიჰყვება, ანუ ამაღლებები, როგორც პარიზის ახალ ხიდზეა. ისი-

ნი სიმაღლით ხუთი-ექვსი ფუტია და სიგანით ოთხი ფუტი. ყოველი „დივანის“ ბოლოს აშენებულია არკადები. ამ დივანზე სხედან კონტროლიორები და სხვა დაბალი რანგის ჩინოვნიკები. აქ მათ ცხენები ხელს არ უშლიან რადგან ქუჩის ქვემოთ დადიან ცხენოსნები. ღამით კი მათ ადგილს მანზებდარები, ან ემირები იკავებენ, რომლებიც ციხე-სიმაგრეს დარაჯობენ. წყალი არხების მეშვეობით სერალისკენ მიედინება, იქ ნაწილდება ყველა მიმართულებით და შემდეგ თავს იყრის გლეხების სადგომებთან. წყალი მდინარიდან გამოყვანილი არხის მეშვეობით მოედინება, რომელიც დელიდან ხუთი-ექვსი ლიეს მანძილით არის დაშორებული. ამ არხის მშენებლობა დიდი შრომის ფასად განხორციელდა.

ციხე-სიმაგრის მეორე კარიბჭესაც ასევე გრძელ და ფართო ქუჩისკენ მივყევართ, რომელსაც, როგორც პირველს, გააჩნია „დივანები“ ქუჩის ორივე მხარეს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ არკადების მაგივრად პატარა დახლები და მაღაზიებია მოწყობილი. თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ქუჩა წარმოადგენს ბაზარს, საკმაოდ მოსახერხებელია წლის ნებისმიერ დროს, წვიმების და მაღალი სიცხის პერიოდშიც, რადგან გადახურულია მაღალი დახრილი სახურავით, რომელიც მთლიანად ფარავს მთელ ტერიტორიას. ჰაერი და შუქი სახურავში არსებულ მრგვალი ხვრელების მეშვეობით აღწევს.

ამ ორი ქუჩის გარდა, ციტადელში ბევრი პატარა ქუჩებიცაა, რომლებიც მთავარი ქუჩების ორივე მხარეს მიემერთება. ამ ქუჩებს მივყევართ იმ ადგილებამდე სადაც ემირებს სადარაჯოები აქვთ მოწყობილი, თითოეული ემირი რიგრიგობით მორიგეობს კვირაში ერთხელ მთელი დღე-ღამის განმავლობაში. ეს სადარაჯო ოთახები საკმაოდ კარგად არის მოწყობილი, რადგან ემირები, თვითონ, საკუთარი ხარჯთ ცდილობენ იქაურობა კომფორტულად გამოიყურებოდეს. ჩვეულებრისამებრ, აქ, არის დიდი დივანები, ანუ ამაღლებული ადგილი, რომლის წინ საყვავილეა გაშენებული, საყვავილეში გაყვანილია პატარა არხი, გამდინარე წყლით, აქვეა პატარა აუზი და ფანტანი. ემირს მორიგეობისას არ უხდება საკვებზე ზრუნვა, ის ყველაფერს ხელმწიფისგან ღებულობს, მას კი მხოლოდ ისღა რჩება, რომ მიიღოს ეს საკვები, ამ ყველაფერს ერთგვარი „ცერემონია“ უძღვის წინ, ეს გახლავთ სამმაგი ტასლიმი, ანუ მეფისადმი თაყვანისცემა და მადლობის გადახ-

და, ამისათვის ემირი სახით მეფის სასახლისკენ დგება, ხელს თავზე იდებს და მერე მიწამდე ხრის.

ასევე ციხე-სიმაგრის ეზოში სხვა „დივანები“ და კარვებია მიმოფანტული, რომელიც საკანცელარიო საქმით დაკავებულ ჩინოვნიკებისთვისაა განსაზღვრული.

დიდი შენობები, რომელსაც კარკანე ეწოდება, სახელოსნოებია მოწყობილი. ერთ შენობაში მქარგავები და მქსოველიბი არიან თავმოყრილნი, რომლებიც ოსტატის მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობენ, მეორე შენობაში ოქრომჭედლები ჰქმნიან უნიკალურ ნივთებს, მესამეში მხატვრები და ასე შემდეგ, ასევე საკუთარი სახელოსნოები აქვთ ხარატებს, დურგლებს, ფეხსაცმლის და ტანსაცმლის მკერავებს, აქვე მზადდება აბრეშუმის ქსოვილი, ფარჩა და სხვა ქსოვილები, რომლებისგან შემდგომ ამზადებენ ტურბანს, ოქროთი ნაქარგ ქამრებს და ასევე ქალებისთვის თეთრეულს, რომელიც 10-12 ეკიუ ღირს, ხანდახან კი უფრო ძვირიც.

ეს ხელოსნები სამსახურში ყოველ დილით მოდიან და მთელი დღის განმავლობაში მუშაობენ, საღამოთი კი სახლში ბრუნდებიან. ასე წყნარად მიედინება მათი ცხოვრება და არავინ არ ცდილობს გაიუმჯობესოს ის. მქარგავი თავის შვილს მქარგავად ზრდის, ოქრომჭედელი ოქრომჭედლობას ასწავლის თავის ვაჟს, ექიმი სამედიცინო საქმის ცოდნას გადასცემს თავის მემკვიდრეს. არავის არ მოჰყავს სხვა პროფესიის ქალი ცოლად, ამ წესის დაცვას მაჰმადიანები და ინდუსები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ. ამ წესის გამო ბევრი ლამაზი ქალი გაუთხოვარი რჩება, მათ მშობლებს შეუძლიათ მოუძებნონ კარგი მეორე ნახევარი თუ საქმროს ოჯახი დათანხმდება და ქალი უფრო მაღალი წრის წევრი გახდება, ვიდრე მისი ოჯახია.

ზემოთ ხსენებულ შენობებს რომ გაივლით, თქვენ დაინახავთ ამ-კაზს. მე მგონი მასში არის რაღაც დიდებული. ეს გახლავთ კვადრატული ფორმის ეზო არკადებით, რომელიც ჩვენს სამეფო მოედანსა ჰგავს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ-კაზის არკადებს ზემოდან არაფერი არ აქვს დაშენებული და ერთმანეთისგან გამოყოფილია მხოლოდ კედლით.

დიდი კარიბჭის თავზე, რომელიც ეზოს ერთ მხარეს მდებარეობს, არის ფართო „დივანი“, რომელსაც მხოლოდ ეზოს მხრიდან შეიძლე-

ბა მიადგე, მას ნაგარ-კანეს ეძახიან. აქ ინახება საყვირები, უფრო სწორად გაბოები და კიმვალები, რომელზეც უკრავენ დღის და ღამის განმავლობაში, შესაბამის დროს. ევროპელისთვის, რომელიც ახლახანს ჩამოვიდა ინდოეთში ამ ინსტრუმენტებზე შესრულებული მუსიკა უცნაურად ჟღერს, იმიტომ რომ ათი ან თორმეტი გაბო და ამდენივე კიმვალი ერთდროულად გუგუნებს. ერთ-ერთ ამ გაბოს, რომელსაც კარნას ეძახიან, ერთნახევარი საჟენი აქვს სიგრძე, ხოლო მისი ქვედა ხვრელი ზომით არა ნაკლები ერთი ფუტია. კამვალები კი გაკეთებულია რკინისაგან და სპილენძისგან, ზოგიერთი ამ სახის ინსტრუმენტის დიამეტრი ერთი საჟენია. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რა ხმაური წამოვა ნაგარ-კანედან? თავიდან, ამ მუსიკამ კინაღამ დამაყრუა და ამ ხმაურის ატანა ჩემთვის გაუსაძლისი გახდა. უკვე დიდი ხანია, რაც მათი ბგერები ჩემთვის სასიამოვნოც კი გახდა, განსაკუთრებით ღამე, ალბათ უკვე მივეჩვიე. ეს მუსიკა მე შესანიშნავი და მელოდიურიც კი მეჩვენება. ნუ გაგიკვირდებათ, რადგან ამ მელოდიის შესრულებას გააჩნია თავისი წესები და თავისი მანერა, ასევე მისი შემსრულებლები შესანიშნავი მუსიკოსები არიან, მათ ბავშვობიდან ასწავლიან ამ ინსტრუმენტებზე დკვრას, მათ ვირტუოზულად გამოსდით ბგერის დარბილება გაბოებზე და კიმვალებზეც, შესაბამისად გამოდის რომ სიმფონია ნამდვილად არ არის უსიამოვნო როცა მას საკმაო მანძილის მოშორებით უსმენ, ამიტომ ნაგარ-კანე მდებარეობს სამეფო აპარტამენტებიდან საკმაოდ შორს.

დიდი კარიბჭის პირდაპირ, სადაც ნაგარ-კანე მდებარეობს, ეზოს მოპირდაპირე მხარეს განთავსებულია დიდი დარბაზი, რომელსაც რამდენიმე რიგად განლაგებული კოლონები ამშვენებს. დარბაზის იატაკი და ჭერი მოხატულია და მოოქროვილი. ეს დარბაზი მიწის ზედაპირიდან შემაღლებულ ადგილას არის აშენებული და ამიტომ კარგად ნიავდება, ის ღიაა სამი მხრიდან და სამივე ეზოში გადის. შუაში კედელია რომელიც დარბაზს და სერალს ერთმანეთისგან ჰყოფს და ამაღლებულია იატაკიდან ადამიანის სიმაღლეზე, რომელშიც სარკმლის მაგვარი ღარებია აშენებული. ისინი იდენად მაღლაა რომ ადამიანი ხელით ვერ მისწვება. ამ სარკმლებთან ყოველდღე, შუა დღისას, მეფე სამეფო ტახტზე ჯდება და მის გვერდით მარცხნივ და მარჯვნივ მისი ვაჟები იკავებენ ადგილს. რამდენიმე ევნუხი მეფის

ტახტის ახლოს დგას, ერთერთი ფარშევანგის ფრთებისგან გაკეთებული სანიავებლით ბუზებს უგერიებს, რომ მეფე არ შეაწუხონ, მეორე, გრძელი ფრთებისგან დამზადებული ერთგვარი მარაოთი ჰაერს უგრილებს მეფეს, მესამე, სრულად მობილიზებული დგას და მეფის ბრძანებას ელოდება. ქვევით „დივანზე“, რომელსაც ვერცხლისფერი მოაჯირი აკრავს, დგანან ემირები, რაჯები და ელჩები. ისინი, აუცილებლად თავდახრილები და მუცლის წინ ხელები უნდა ჰქონდეთ გადაჯვარედინებული. სამეფო ტახის მოშორებით დგანან მანზებდარები, ან დაბალი რანგის ემირები, ისეთივე პოზაში როგორც ემირები, ელჩები და რაჯები. დარბაზის დანარჩენი ნაწილი და მთელი ეზო სავსეა სხვადასხვა წოდების ადამიანებით, რადგან შუა დღისას მეფე აძლევს აუდიენციას თავის ხელქვეითებს. ამიტომაც ამ დარბაზს ჰქვია ამ-კაზი, ანუ დიდი და პატარა წოდების ხელქვეითებისთვის დიდი აუდიენციის დარბაზი.

საათნახევრის განმავლობაში ვიდრე ეს ცერემონია გრძელედება, ხელმწიფის გართობის მიზნით სამეფო ტახტის გვერდით გამოჰყავთ ყველაზე ლამზი ცხენები, იმისათვის, რომ მან დაინახოს თუ რამდენად კარგად ექცევიან მათ და რა შესანიშნავად გამოიყურებიან სამეფო საჯინიბოს ცხენები. შემდეგ სპილოების ჯერი დგება, კარგად დაბანილ და გასუფთავებულ ცხოველებს შავი ფერით მოხატავენ, შემდეგ სპილოს სხეულზე, ორივე მხარეს წითელ ზოლებს გაავლებენ. სპილოებზე გადაფარებულია დაქარგული მატერია, ზურგზე და მუცელზე შემოვლებულია მასიური ვერცხლის ჯაჭვი და მასსზე ორი ვერცხლის ზარია დაკიდებული, ყელზე კი ტიბეტური ძროხების მსგავსად სარეკელა აქვთ ჩამოკიდებული, რომელიც საკმაოდ ფასობს. ორი პატარა სპილო, რომელიც ძალიან ლამაზადაა მოხატული გვერდით მიჰყვებიან ამ უზარმაზარ ცხოველებს. თითქოს ამაყობენ ეს უზარმაზრი ცხოველები თავის მოხატულობით და აღკაზმულობით, მედიდურად მიაბიჯებენ და როდესაც მეფის ტახტის წინ აღმოჩნდებიან, მომთვინიერებელი, რომელიც სპილოზე ზის რკინის ჯოხით შეიარაღებული, სპილოს ფეხებზე ჩხვლეტს რომ ცალი ფეხი მოადრეკინოს ცხოველს მეფის წინაშე, შემდეგ ხორთუმი მაღლა უნდა ასწიოს და ამ გიგანტმა მჭექარე ხმაც უნდა გამოსცეს, ამით სპილო თავის ტასლიმს (მორჩილების და პატივის მიგების რიტუალი) მიაგებს მეფეს.

სპილოს უკან სხვა ცხოველებიც მიჰყვებიან, მოთვინიერებული ანტილოპები, რომლებსაც ერთმანეთის წინაღამდეგ ბრძოლას ასწავლიან, ნილგაუ, ანუ ვერცხლისფერი ხარები, რომლებიც ჩემზე განსაკუთრებული ჯიშის ხარირემის შთაბეჭდილებას ახდენენ, მარტორქები, უზარმაზარი ბენგალიური ხარები თავიანთი გასაოცარი რქებით, რომელიც საშუალებას აძლევს ვეფხვებს და ლომებს ებრძოლოს; მოთვინიერებული ლეოპარდები, რომლებსაც ანტილოპებზე სანადიროდ იყენებენ; სხვადასხვა ჯიშის სანადირო ძაღლები უზბეკეთიდან და ბოლოს, სხვადასხვა ჯიშის მტაცებელი ფრინველები, რომლებსაც კაკაბზე, წეროზე, კურდღელზე სანადიროდ იყენებენ და ასევე ამბობენ, რომ ამ ფრინველებით ანტილოპებზეც ნადირობენ.

ხშირად ერთი ან ორი ემირი, მეფეს თავის კავალერიას წარუდგენს. ამ დროს ემირები ცდილობენ საკუთარ მხედრებს უფრო კარგად ეცვათ ვიდრე ჩვეულებრისამებრ აცვიათ და ცხენებსაც ჯავშანს აცმევენ და რთავენ ულამაზესი გადასაფარებლით.

მეფე ასევე ერთობა ყასბების ბასრი დანების გამოყენების ხელოვნებით, რომელსაც ცხვრის სხეულის დამუშავებაში ავლენენ, მასთან ცხვარი შიგნეულობის გარეშე მიაქვთ. ახალგაზრდა ემირები, მანსებდარები და გურზბერდარები, ანუ ხელკეტებით შეიარაღებულები, თავის საბრძოლო ხელოვნებას აჩვენებენ, ძალას და მოხერხებულობას, ერთი დარტყმით ჰკვეთდნენ ცხვარს ერთად შეკრულ ოთხივე ფეხს. ყველა ეს გართობა მხოლოდ მოთელვაა, ან ასე ვთქვათ სერიოზული საქმეების დაწყებამდე უბრალოდ წახალისება, მე უკვე გითხარით, რომ მეფე შეუხრელად აწარმოებს თავისი კავალერიის დათვალიერებას და ყურადღებას ყოველ წვრილმანზე ამახვილებს. როცა ომი დამთავრდა, ჩვენ თვითონ ვიყავით მომსწრენი, თუ როგორ ამოწმებდა თვითოეულ მეომარს და მხედარს, რათა მისითვის ჯამაგირი მოემატებინა ან დაეკლო, ან საერთოდ გაენთავისუფლებინა სამსახურიდან. გარდა ამისა ის ყოველდღიურად ითხოვდა მოსახლეობის საჩივრები მისთვის მიეტანათ, წაეკითხათ მისთვის საჩივრის წერილები, ხშირად საკითხი მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრისას წყდებოდა, მეფე ადგილზევე გამოჰკითხავდა მომჩივნს და იქვე ღებულობდა გადაწყვეტილებას, თუმცა კიდევ არსებობდა ადალე-კანე, ანუ სასამართლო პალატა, სადაც მეფე კვირაში ერთხელ ესწრება განხილვებს თავის

ყადისთან ანუ მოსამართლესთან ერთად. გარდა ამისა, ის კვირაში ერთხელ, ორი საათის განმავლობაში მოთმინებით უსმენს უბრალო ხალხს, რომლებსაც მეფის წინაშე კეთილი და მდიდარი ბერი წარადგენს. აქედან ჩანს, რომ ამ მეფეებს, მიუხედავად იმისა, რომ ბარბაროსებად მიგვჩნია, ახსოვთ რომ უნდა დაიცვან სამართლიანობა თავისი ქვეშემდომების მიმართ.

ამ-კაზეში შეკრებებს, რომელთა შესახებ უკვე გიამბეთ, მე შესანიშნავ და დიდებულ ამბად ვთვლი და რაც მე უკიდურესად არ მსიამოვნებდა ამ ცერემონიალში, ეს, უკიდურესი სიმდაბლე და ვულგარული სიტყვაქლესობა იყო, რომლის მოსმენა იქ უხდებოდა ადამიანს. საკმარისია მეფემ სიტყვა თქვას, რომელიც არაფრით არ შეესაბამება სიტუაციას, რომ მას დაუყოვნებლივ აიტაცებენ და რომელიმე ემირი ხელებს ზეცისკენ აღმართავს, თითქოს კურთხევას ელისო ღმერთისგან და შეჰღაღადებს: „კარამატ! კარამატ! “ (სასწაულია, სასწაულია). „მან დიდებული სიტყვა თქვა“ და არ არსებობს ისეთი მოგოლი, რომელმაც არ იცის და არ იზიარებს ძველ სპარსულ გალექსილ გამონათქვამს:

„თუ შაჰმა ბრძანა დილით, უკვე დაღამებულა,

„ვხედავ მთვარეს და ცას ვარსკვლავიანს“ იყვირე თავგამოდებით“

ეს „სიმახინჯე“ ხალხის სიღრმეში აღწევს და ფესვებს იდგამს. მრავალჯერ მქონია შემთხვევა, რომ როცა მოგოლებს რაიმეს მიღება სურდათ ჩემგან, ასეთ შემთხვევაში არ ერიდებოდნენ ჩემთვის ეწოდებინათ: „ჩვენი დროის არისტოტელე, ჰიპოკრატე და ავიცენა“. თავიდან ვცდილობდი გამეპროტესტებინა, რომ მე არა ვარ მათი „ტოლი“, ვისაც მე მადარებდნენ, მაგრამ ყოველთვის ერთ და იგივე მეორდებოდა. მაშინ მე გადავწყვიტე, რომ ჩემი ყური მიმეჩვია ამ ქება-დიდებისთვის, როგორც ყური მივაჩვიე აქაურ მუსიკას. მე არ შემიძლია ერთი ასეთი ქლესობის მაგალითი არ მოგიყვანოთ, რადგან თავად განსაზღვროთ რა დონეზე შეიძლება დაეშვას ქლესა ადამიანი. ბრამინელი პანდიტი ანუ ინდოელი მეცნიერი, რომელმაც მე მიმიწვია ჩემს აღასთან სამუშაოდ, ჩათვალა რომ ჩვენი პირველი შეხვედრისას ჩემთვის შთაბეჭდილებები უნდა გაეზიარებინა, რომელშიც აღა უდიდეს დამპყრობელად წარმომიდგინა, რომ მისი მსგავსი ჯერ კაცობრიობას არ ახსოვს. შემდეგ მან გულის ამრევი ფარისევლობის და ქლესობის

მთელი კასკადი გადმოაფრქვია, მე მინდა მისი სიტყვებით შემოგთავაზოთ ეს „სიბინძურე“: „ჩემო მეუფევ, როდესაც თქვენ ინებებთ ფეხზე ადგომას და ცხენზე ამხედრებლი თქვენს კავალერიას უმხედართმთავრებთ, მიწა ძრწის თქვენ ფეხქვეშ და თქვენი სიდიადის ზიდვა უჭირს მაშინ დედამიწას“. თავი ძლივს შევიკავე რომ არ გამცინებოდა და შევეცადე სერიოზულად მიმემართა ჩემი აღასთვის, რომელიც სიცილისგან თავს ძლივს იკავებდა, რომ იგი იშვიათად უნდა შემჯდარიყო ცხენზე აღა, რათა მიწისძვრა აეცილებინა თავიდან, რადგან უამრავი უბედურების მოტანა შეეძლო ქვეყნისთვის. „და ამის გამო, იმავე წუთს მიპასუხა აღამ, „ჩვეულებრივ გადაადგილების საშუალებად პალანკანს (ტახტრევანი) ვირჩევ-ო“.

ამ-კაზის დიდი დარბაზიდან შედიან დიდ და საოცარ ოთახში, რომელსაც გოსელ-კაზეს უწოდებენ, ეს ნიშნავს განწმენდის ადგილს. იქ ყველას არ უშვებენ და არც ისე დიდია როგორც ამ-კაზი. ეს ოთახი უფრო დარბაზს ჰგავს, ის შესანიშნავად და მაღალი დონის მხატვრების მიერ იყო მოხატული და მოოქროვილი, ამაღლებული ადგილი 4-5 ფუტის სიმაღლის იყო და ერთგვარ დიდ ესტრადას წარმოადგენდა. აქ მეფე ზის სავარძელში და ემირები კი მის გარშემო დგანან. აქ მეფე საკუთარ ჩინოვნიკებთან აუდიენციებს აწყობს, რომელიც მეტწილად პირადული ხასიათის მატარებელია, აქ წარადგენენ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშს და აქ წყდება სახელმწიოფოებრივი მნიშვნელობის ძირითადი საკითხები. ყველა ემირი ვალდებულია დაესწროს ამ შეკრებას ისევე როგორც დილით უნდა გამოცხადდეს ამ-კაზეში, წინააღამდეგ შემთხვევაში ხელფასიდან თანხის დაქვითვა გარანტირებული აქვთ. მხოლოდ ჩემი აღას, დანეშმენდ-ხანს ჰქონდა უფლება არ დასწრებოდა ამ შეკრებებს, რადგან ის მეცნიერის სტატუსით სარგებლობდა და ის, ან თავის სამეცნიერო საქმეებით იყო გართული, ან საერთაშორისო საკითხებს აგვარებდა. მაგრამ ის ვალდებული იყო სამორიგეოდ გასულიყო როცა მისი რიგი მოვიდოდა. ეს მკაცრად დაცული წესი გახლდათ და სამართლიანიც, ემირი ვალდებულია სახელმწიფოს და ხელმწიფის წინაშე. არც ერთი ემირი არ გამოტოვებს შეკრებებს, გარდა იმ შემთხვევისა თუ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე მოითხოვს ამას, ან როცა ის ავად არის. ჩვენ გავხდით მომსწრენი, აურენგზიბი, თავისი ბოლო ავადმყოფობის დროს, როგორ

აიძულებდა თავის თავს დღეში ერთხელ მაინც დასწრებოდა შეკრებას და მართლაც მისი ავადმყოფობის პერიოდში, ყველაფრის გათვალისწინებით, მისი არგამოცხადება შეკრებებზე შესაძლოა სახელმწიფოში ქაოსის საბაბი გამხდარიყო და ქალაქში ყველა სავაჭრო ობიექტი დაკეტილიყო, ამას კი კატეგორიულად არ დაუშვებდა ხელმწიფე.

იმ დროს როდესაც მეფე გოსელ-კანეში საქმითაა დაკავებული, თვლიან, რომ მეფეს, ამ-კაზეში მისართმევი ნივთების ნაწილით, გოსელ-კანეშიც უნდა დააკმაყოფილონ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რადგან კრება ტარდება საღამოთი და დარბაზი არ არის დიდი, არ ტარდება კავალერიის დათვალიერება, როგორც ეს ხდება ამ-კაზეს შემთხვევაში, ასევე არსებობს კიდევ ერთი დეტალი, ყველა მანზებდარი, რომელთაც იმ დღეს რიგით ეკუთვნით დაცვის სამსახურში მუშაობა, სხვადასხვა ცერემონიალის შესრულებით ესალმებიან მეფეს. წინ მათ მიაქვთ კური, ანუ მსხვილ ვერცხლის ჯოხებზე დამაგრებული ვერცხლის ფიგურები. ფიგურები ძალიან ლამაზია, ორი მათგანი გამოხატავს დიდ თევზებს, დანარჩენი ორი კი, რაღაც ფანტასტიურ ცხოველებს, საშინელი სხეულებით, რომლებსაც ეიედეხა ეწოდებათ. სხვა ფიგურები გამოხატავენ ორ ლომს და ორ ხელს, არის ფიგურები სასწორის გამოსახულებით და კიდევ სხვადასხვა ფიგურები, რომელსაც ინდოელები მისტიკურ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ კურებს და მანზებდარებს უერთდება რამდენიმე გრუზა-ბერდარი, ანუ კეტით (კომბლით) შეიარაღებულნი, რომლებიც როგორც უკვე ავღნიშნე, გამოირჩევიან სილამაზით და ათლეტურობით. მათი დანიშნულებაა კრებაზე ნებისმიერი სახის უწესრიგობა აღკვეთონ და სასწრაფოდ შეასრულონ მეფის განკარგულება ან უბრალოდ შეასრულონ მეფის ბრძანებები.

ეხლა კი გადავინაცვლოთ სერალში, მინდა ასევე ზოგადად მოგითხროთ ყველაფერი, როგორც გიამბეთ ციხესიმაგრის შესახებ. მოიძებნება კი მოგზაური, რომელიც იტყვის, რომ როდისმე ყოფილა სერალში? მე რამდენჯერმე ვარ იქ ნამყოფი, მაშინ მეფე დელიში არ ბრძანდებოდა და როგორც ჩანს საკმაოდ შორს იყო წაბრძანებული, ერთ-ერთი დიდებული, ქალბატონი იმდენად ავად გახდა, რომ სამეფო კარზე მისვლა, როგორც ამას ტრადიცია მოითხოვდა ვეღარ შესძლო. ყოველ ჯერზე, როცა მე სერალში შევდიოდი, თავიდან ფეხებამდე

ქაშმირულ შალში მახვევდნენ და ევნუხი მთხოვდა, როგორც ბრმას მისთვის მომეკიდა ხელი. ამის გამო მე ვერ ავღწერ იქაურობას, მაგრამ ევნუხების ნაამბობზე დაყრნობით მსურს მოგითხროთ იქაურობის შესახებ. მათ მითხრეს, რომ სერალი შესანიშნავადაა მოწყობილი, ოთახები ერთმანეთისგან განცალკავეულია, ქალები და პენსიონერები პერსონალურად მინიჭებული მდგომარეობის მიხედვით მეტ-ნაკლებად ფართო და მდირულად მოწყობილ ოთახებში კომფორტულად და მშვიდად ცხოვრობენ.



თითქმის ყველა ოთახთან გაფილტრული წყლის პატარა რეზერვუარია, სერალის მთელ ტერიტორია ყვავილნარებით არის მორთული, აქ იდუმალი ადგილებიცაა, პატარა ნაკადულებიც დ ფანტანებიც, ღრმა ხევიც არსებობს, რომ ძლიერ სიცხეს შეაფარონ თავი და კიდევ მზის საათი. დიდი დივანები და ტერასები ამაღლებულ ადგილებზეა მოწყობილი, რომელიც კარგად ნიავდება და ღამე ნორმალურად ძილის საშუალება ეძლევათ ადამიანებს. იქ არ იციან რა არის სიცხე, ევნუხებმა განსაკუთრებით პატარა კოშკი აღნიშნეს, რომელსაც მდინარისკენ აქვს სამზერი და ულამაზესი ხედები იშლება. ისინი ამბობდნენ, რომ ოქროს ფირფიტებით ისე არის გაყოფილი რომ ორი კოშკის

ეფექტს იძლევა, როგორც ეს აგრაშია. ნაგებობის შიგნითა მხარეც მორთულია ოქროთი, ლამაზი ნახატებით და სარკეებით.

აი, ეს არის რისი თხრობაც შემიძლია ციხე-სიმაგრის შესახებ. მაგრამ სანამ აქაურობას დავტოვებთ, კიდევ ერთხელ დავათვალიეროთ ამ-კაზი. მე მინდა მოგითხროთ თუ რა ვნახე ამ დარბაზში წლის ერთ-ერთ ზეიმზე. განსაკუთებით მსურს გიამბოთ ზეიმზე, რომელიც ომის შემდეგ მოეწყო საყოველთაო მხიარულების გამო, ეს ყველაზე ღირშესანიშნავი სანახაობა იყო რაც კი ოდესმე მინახავს.

მეფე მდიდრული სამოსით სამეფო ტახტზე იჯდა დარბაზის სიღრმეში. ქურთუკი, რომელიც მას ეცვა თეთრი სატინასგან იყო შეკერილი და მასზე პატარა ყვავილები იყო ამოქარგული, იგი მორთული იყო ოქროს და ვერცხლის ნაქარგით. თავზე ოქროს ქსოვილით შეკერილი ტურბანი ეხურა, რომელზედაც მიმაგრებული იყო უჩვეულოდ დიდი და შესანიშნავი ბრილიანტები, გარდა ამისა კიდევ აღმოსავლური ტოპაზი, რომლის მსგავსი მე არასდროს მინახავს, ის მზესავით ბრწყინავდა. ყელიდან მუცლამდე მარგალიტის სამკაულები ეკეთა. სამეფო ტახტი, როგორც ამბობენ, იდგა მასიურ ფეხებზე, რომელიც ოქროსაგან იყო ჩამოსხმული და ზურმუხტებით, ბრილიანტებით და ლალის ქვებით იყო მორთული. მე ვერ დავასახელებ ძვირფასი ქვების რაოდენობას რითაც შემკული იყო სამეფო ტახტი, შესაბამისად ვერც მათ ფასს მოგახსენებთ, რადგან მასთან მიახლოების უფლებას მე არ მაძლევდნენ. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ბრილიანტები, რომლებიც სამეფო ტახტს ამშვენებდნენ და მათი რაოდენობა საოცრად დიდი გახლდათ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მისი ფასი ოთხი კრარა რუპიას შეადგენდა. მე უკვე ავღნიშნე, რომ რუპია ღირს ოცდა ათი სოლი, ლეკი ასი ათასი რუპიაა, კრორი კი ასი ლეკის ტოლია. ამგვარად სამეფო ტახტის ღირებულება შეადგენს ორმოც მილიონ რუპიას, რაც თავის მხრივ შეადგენს მიახლოებით სამოც მილიონ ლივრს. ეს ტახტი შაჰ-ჯეხანის, აურენგზიბის მამის მიერაა შექმნილი, რათა ძვირფასი ქვების დიდი რაოდენობა წარმოეჩინა, რომლებიც ხაზინაში დაგროვდა წინა რაჯების და პატანების გაძარცვის შედეგად, ასევე საჩუქრები, რომლებსაც მეფეს უძღვნიდნენ ემირები და რაჯები ყოველწლიურად ზეიმის აღსანიშნავად. სამეფო ტახტი, როგორც ხელოვნების ნიმუში, ბევრად მდარე ხარისხისაა ვიდრე ის მორთულობანი რითაც გამშვენი-

ერებულია იგი. ყველაზე ლამაზი, ორი ფარშევანგის ქანდაკებაა, რომელიც სრულად მოოჭვილია უძვირფასესი ქვებით და მარგალიტებით. ეს გახლავთ ფრანგი ხელოვანის ნამუშევარი, რომელიც საოცარი დიდოსტატი გახლდათ, მან აქ იპოვა თავშესაფარი და სამეფო კარზე შეიქმნა კარიერა, მას შემდეგ რაც მოატყუა რამდენიმე ევროპელი თავადი და მათ საოცრად ზუსტად შესრულებული ყალბი ნივთები შეაჩეჩა ხელში.

ყველა ემირი ტახტის ქვეშ იკრიბება, ყველანი შესანიშნავად არიან შემოსილნი. ისინი ესტრადაზე იდგნენ, რომელსაც ფარჩის დიდი ბალდახინი, გრძელი ოქროს ბახრამით, გარშემო შემოვლებული ვერცხლის არშიით, ჰქონდა გადაფარებული. დარბაზის კოლონებზე ოქროთი ნაქარგი ფარჩა იყო შემოვლებული, კედლებზე გადაჭიმული გახლდათ ფერადი სატინასგან დამზადებული დიდი ბალდახინი, რომელიც დაფარული იყო აბრეშუმის წითელი ძაფებით, რომლებიც ოქროს ფუნჯებით ბოლოვდებოდნენ. იატაკი დაფარული იყო უმშვენიერესი აბრეშუმის ნოხებით. ეზოში კი კარავი იყო აღმართული (მას ასპაკს უწოდებენ). ის ისეთივე გრძელი და ფართე გახლდათ როგორც დარბაზი. ის უერთდებოდა დარბაზის ჭერს და თითქმის ეზოს შუაგულამდე აღწევდა, გარშემო ვერცხლით იყო ნაქარგი და ვერცხლის ფირფიტები ამშვენებდა. კარავი, გემის ანძის სისქის და სიმაღლის სამ ბოძს ეყრდნობოდა. ასევე პატარა ბოძებიც იჭერდნენ კარავს, რომლებიც ვერცხლით იყო მოვარაყებული. კარვის გარეთა მხარე წითელი მატერიით იყო დაფარული და შიგნით კი ლამაზი ტილოთი იყო მორთული, რომელიც ფუნჯით იყო მოხატული.

აი, ასე იყო მორთული ამ-კაზას დიდი დარბაზი.

რაც შეეხება არკადებიან გალერეას, რომელიც ეზოს გარს არტყია, ამის შესახებ უკვე გიამბეთ, ბრძანების თანახმად თვითოეულ ემირს საკუთარი ხარჯებით უნდა მოერთო იქაურობა. იმის გამო, რომ ემირებს სურდათ თავიანთი არკადეა უფრო მიმზიდველი და ლამაზი ყოფილიყო სხვასთან შედარებით, ამის გამო თვითოეული მათგანი მორთული გახლდათ მდიდრული ფარჩებით და ხალიჩებით. ამ ზეიმის მესამე დღეს მეფემ დიდი ცერემონიების თანხლებით ინება დიდ სასწორთან მიეყვანათ, ამბობენ რომ გირები ჩამოსხმული იყო სუფთა ოქროსგან, მეფის შემდეგ ზოგიერთი ემირიც აწონეს. მე მახსენდება, როგორ გამოხატავდნენ ემირები დიდ სიხარულს იმის გამო, რომ მე-

ფე ორი ფუნტით მძიმე აღმოჩნდა შარშანდელთან შედარებით. ასეთი დღესასწაულები აღინიშნება ყოველწლიურად, მაგრამ აქამდე არც ერთი დღესასწაული არ აღუნიშნავთ ასეთი ბრწყინვალებით, რომლის მოსაწყობად უამრავი ფული დაიხარჯა. ამბობენ, აურენგზიბმა იმ მიზეზით მოაწყო ეს დიდებული დღესასწაული, რომ ფარჩის გამყიდველებს დახმარებოდა, რომ მათ ამ საქონლით გადატვირთული ჰქონდათ მაღაზიები, ეს იმის გამო მოხდა, რომ ოთხწლიანი ომის განმავლობაში ვაჭრებს საშუალება არ ჰქონდათ რომ საქონელი გაეყიდათ. ემირებს დიდი ხარჯის გაღება მოუხდათ, მაგრამ საბოლოოდ დაზარალდნენ მხედრები, რადგან ემირები აიძულებდნენ მხედრებს ეს ფარჩა, ლაბადებისთვის ეყიდათ.

ამ ზეიმებს თან ახლავს ერთი ძველი ჩვეულება, რომელიც ემირებს არ უყვართ. საქმე იმაში მდგომარეობს რომ ემირები ვალდებულები არიან მათი ჯამაგირის შესაბამისი საჩუქარი მიართვან მეფეს. ისინი უძვირფასეს საჩუქრებს უკეთებდნენ მეფეს, მათ სურთ საკუთარი თავი უკეთ წარმოაჩინონ, ან ეშინიათ სხვების საკუთრების მითვისების (რომელიც მათ ჩაიდინეს თანამდებობაზე ყოფნის დროს, ან გუბერნიის მმართველობის პერიოდში), გამო და ეშინიათ გამოძიების დაწყების. სხვები ამას აკეთებენ იმის გამო, რომ დაიმსახურონ მეფის მოწყალება და ჯამაგირი მოუმატონ. ზოგნი კი, რაც ძალიან ხშირად ხდება, მეფეს მიართმევენ ოქროს ვაზებს, რომლებიც ძვირფასი ქვებითაა სავსე, სხვები ჩუქნიან მარგალიტებს, ბრილიანტებს, ზურმუხტებს, ან ლალის ქვებს; მესამენი, ესეც ხშირად ხდება, ოქროს მონეტებს ჩუქნიან, თვითოეულის ფასი ერთნახევარი პისტოლია. მე მახსენდება, როდესაც აურენგზიბი გაემგზავრა დიდ დღესასწაულზე თავის ვეზირ ჯეფერ-ხანთან, ვიზიტი შედგა არა როგორც ვეზირთან, არამედ როგორც ნათესავთან, იმ მიზეზით, რომ ენახა ახალი შენობა, რომელიც ჯეფერ-ხანმა ააშენა, მაშინ ხანმა მეფეს მიუძღვნა ოქროს მონეტები, რომელთა ღირებულება ასი ათას ეკიუს აღემატებოდა, შემდეგ რამდენიმე შესანიშნავი მარგალიტი და ლალის ქვები, რომელთა ღირებულება ორმოცი ათასი ეკიუ გახლავთ, მაგრამ შაჰ-ჯეხანის შეფასებით, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა ძვირფას ქვებში, ბრძანა რომ მათი ღირებულება ხუთას ეკიუს არ აღემატებოდა. ამ ფაქტმა ძალიან შეაშფოთა ჩვენი იუველირები, რომლებიც მოტყუებულები აღმოჩნდნენ.

ჩემს მიერ აღწერილ ზეიმებს ხანდახან თან სდევდა საკმაოდ უცნაური მოვლენაც, ეს გახლავთ სახელდახელო ბაზრობა, რომელიც მაგალში, ანუ სერალში იმართებოდა. ემირთა და მთავარი მანზებდარების ცოლები გამყიდველების როლს თამაშობენ, მეფე მყიდველის როლს ირგებს, ისევე როგორც დანარჩენი სხვები. გასაყიდ საქონელს წარმოადგენს წითელი ფარჩა, მდიდრულად მოქარგული და ახალი ფასონის საქონელი, მდიდრული ტურბანები, რომელიც ოქროს ქსოვილისგანაა დამზადებული, ასევე თხელი ქსოვილისგან შეკერილი ქურთუკები, ასეთივე ქსოვილისგან იკერება მაღალი წრის ქალბატონების ტანსაცმელი. თუკი ემირთაგან რომელიმეს ლამაზი ასული ჰყავს აუცილებლად უნდა წარადგინონ ხელმწიფის წინაშე და გააცნონ ბეგუმს. ამ ბაზრობის მთელი მშვენიერება ის გახლავთ, რომ მეფე, რომელიც მყიდველის როლს თამაშობს, „გროშებზე“ ევაჭრება გამყიდველებს. მოკლედ ინდური ბაზრის მთელი „ხიბლი“ უხვად იფრქვევა ამ თეატრალიზირებულ ბაზრობაზე. ქალი გამყიდველებიც ასევე იქცევიან, თავისუფლად ევაჭრებიან მეფეს და ხანდახან უხეშადაც პასუხობენ, რომ მას არაფერი ესაქმება ბაზარზე, რადგან ვაჭრობის არაფერი გაეგება, ან უბრალოდ თავისი „დახლიდან გააძევებენ“ ხოლმე. ამაზე უარესად იქცევიან ბეგუმები, ქალები ისეთ ორომტრიალს ატეხენ ხოლმე, რომ ყურთასმენა აღარ არის, ისეთი კომედია თამაშდება, რომლსაც ძნელად თუ წარმოიდენს ადამიანი და როცა ფასსზე მორიგდებიან მეფეც და პრინცესებიც ყველაფერს ნაღდი ფულით ყიდულობენ და ვერცხლის მონეტებს აფრქვევენ, დიდებულები ოქროსაც გამოურევენ ხოლმე ვითომდა შემთხვევით, „გამყიდველთა“ ასულებისთვის საჩუქრად. მთელი საღამო ხუმრობაში და ხალისით მიმდინარეობს.

შაჰ-ჯეხანს, რომელიც ქალების დიდი მოტრფიალე გახლდათ, სურდა რომ „ბაზრობა“ ყოველ დღესასწაულზე გაემართა. მაგრამ იცოდა, რომ ზოგიერთი ემირისთვის ეს ფაქტი არასასიამოვნო იქნებოდა და აი რაში გახლდათ საქმე: შაჰ-ჯეხანი ამ ზეიმებზე „საზოგადოებრივი მომსახურეობის“ ქალებსაც იწვევდა, თუმცა არა ისეთებს, რომლებიც ბაზრებში „მუშაობდნენ“, არამედ უფრო „მაღალი“ დონის ქალებს, რომლებსაც ემირები და მაღალი დონის მანზებდარები ქორწილებში და წვეულებებზეც ისწრებდნენ, როგორც მოცეკვავეებს და მომღერლებს. ამ ქალებს ეძახიან კენშენს, ანუ მოოქროვილი,

ფერადოვანი. ეს ქალები დაიშვებიან სერალშიც, სადაც ცეკვავდნენ და მღეროდნენ იქაური საზოგადოების გართობის მიზნით. მათი მიკუთვნება ბაზრის „დაცემულ“ საზოგადოებასთან არ შეიძლება. ისინი საკმაოდ ლამაზი და კარგად შემოსილი ქალები არიან, მათ შეუძლიათ კარგი სიმღერაც და ცეკვაც, ცეკვის დროს მათი სხეულის მოძრაობას აღვრთოვანებაში მოჰყავს მაყურებელი, მაგრამ როგორც არ უნდა ვაქოთ, მაინც „საზოგადოებრივი“ ქალები არიან.

შაჰ-ჯეხანი არ კმაყოფილდებოდა ზეიმის და დღესასწაულების დროს ამ ქალბატონების მხოლოდ სერალში სტუმრობით. როცა ისინი ოთხშაბათობით ამ-კაზეში საყოველთაო მისალმებისთვის მოდიოდნენ, შაჰ-ჯეხანი ხშირად გასცემდა ბრძანებას, რომ მთელი ღამით დარჩენილიყვნენ და მათთან ერთად ლაღობდა მეფე. აურენგზიბი კი უფრო თავდაჭერილი და სრიოზული ადამიანი გახლდათ. ის სერალში შესვლის უფლებას არ აძლევდა ამ ქალბატონებს. მას არ მოუშლია ძველი წესი, რომ ოთხშაბათობით ამ-კაზეში მისასალმებლად მოსულიყვნენ, მაგრამ რიტუალის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ ტოვებდნენ ტერიტორიას.

რადგან ჩვენ ბაზრობის თემას შევეხეთ და ამ კენშენს და მე მგონი ცუდს ნამდვილად არ ვიზამთ თუ მე ერთ სახალისო ისტორიას გიამბობთ ერთი ფრანგის შესახებ. პლუტარქე ამბობს, რომ სჯობს ყურადღება მივაქციოთ დეტალებსაც და რომ ისინი ხშირად დიდი ადამიანების ხასიათის გამოცნობის საშუალებას გვაძლევენ. ამ ფრანგს ერქვა ბერნერი და ჯეხან-გირის მეფობის უკანასკნელ წლებში, სამეფო კარზე ცხოვრობდა. როგორც ეტყობა ის ძალიან კარგი ექიმი-ქირურგი გახლდათ, ყოველ შემთხვევაში მე ასე გადმომცეს. ის ძალიან ახლოს იყო ჯეხან-გირთან და მისი მფარველობითაც სარგებლობდა, ისინი ერთადაც კი სვამდნენ. ჯეხან-გირი, ანუ მსოფლიოს მბყრობელი, მხოლოდ დალევაზე და გართობაზე ფიქრობდა და ამიტომ ქვეყნის მართვა თავის ცოლს სახელგანთქმულ ნოურ-მეგალეს, ანუ ნოურ–ჯეხანბეგუმს გადააბარა, მეფემ ბრძანა, რომ მის ცოლს საკმაოდ გამჭრიახი გონება აქვს და შეუძლია, რომ სახელმწიფო მართოსო. ჩვენი ბერნერი გარდა იმისა რომ მეფისგან ათ ეკიუს ღებულობდა დღეში, კერძო პრაქტიკასაც მისდევდა და სერალში მაღალი წრის ქალბატონებს და ემირებსაც ემსახურებოდა, რომლებიც თავის მხრივ საჩუქ-

რებით ანებივრებნენ ექიმს, არა მარტო კარგი მკურნალობის, არამედ ხელმწიფის ჯანმრთელობაზე ზრუნვის გამო. მაგრამ ბერნერი არ განეკუთვნებოდა იმ ადამიანთა რიცხვს ვისაც ფულის შენახვა შეუძლია. რასაც შოულობდა სრულად ხარჯავდა. ამ თვისების წყალობით დიდი სიყვარულით სარგებლობდა მოსახლეობაში და განსაკუთრებით კენშენთა რიგებში, რადგან მათთან დიდ ფულს ხარჯავდა, ისინიც მთელ ჯგუფებად ათევდნენ ღამეებს ექიმთან, ცეკვით და სიმღერით ართობდნენ მას. და ერთხელაც ჩვენს ექიმს ერთი ქალი შეუყვარდა, ის ახალგაზრდა და ლამაზი გახლდათ და შესანიშნავადაც ცეკვავდა, მაგრამ ამ ქალის დედას ეშინოდა, რომ თუ მისი შვილი ექიმის ვნებას დანებდებოდა დაკარგავდა ძალას და ჯანმრთელობას, ამიტომაც თვალს არ აშორებდა ასულს. ბერნერმა ვერავითარი სხვა საშუალება ქალთან დასაახლოებლად ვერ მონახა, გარდა იმისა, რომ ერთხელ, როცა მეფემ ამ-კაზეში ემირთა წინაშე საჩუქარი მიუძღვნა ექიმს, სერალში ჩატარებული წარმატებული მკურნალობის გამო, რაზედაც ექიმმა დიდი მადლობა მიუძღვნა მბრძანებელს და დროულად ჩათვალა მეფისთვის თხოვნით მიემართა, რომ მოეღო მოწყალება და ის გოგო, რომელიც შეუყვარდა მისთვის „მიეცა“. ის გოგოც იქ იდგა, რათა მეფისთვის სალამი მიეძღვნა. დამსწრე საზოგადოება ღიმილით შეხვდა ამ უცნაურ თხოვნას, რადგან ექიმი ქრისტიანი გახლდათ, ხოლო გოგო კი მაჰმადიანი და კენშენი. ჯეხან-გირი კინაღამ ტახტიდან გადმოვარდა სიცილისგან და ბრძანა მიეცათ მისთვის ის გოგო. მეფის სიტყვა დაუყოვნებლივ შესრულდა. ყველას თვალწინ გოგო ექიმს დაადეს მხრებზე და ჩვენი ექიმი თავისი ძვირფასი „ტვირთით“ სახლში გაისტუმრეს.

ეხლა მსურს გიამბოთ რით მთავრდება ჩვეულებისამებრ ეს დღესასწაულები ინდოეთში, რომლის შესახებ ევროპაში ჯერ არ უწყიან. ეს გახლავთ სპილოების ორთაბრძოლები, რომელსაც მეფე, სამეფო კარის ქალბატონები და ემირები უყურებენ ციხესიმაგრის სხვადასხვა აპარტამენტებიდან. ბრძოლა ქვიშით დაფარულ დიდი მოედანზე იმართება, რომელიც მდინარისკენ გადის და მთელი ხალხი იქ იკრიბება ამ სანახაობის საცქერლად. მოედანი კი ასე არის მოწყობილი: მიწაყრილი, სიგანით სამი-ოთხი ფუტი და სიმაღლით ხუთი-ექვსი ფუტი. ბრძოლისთვის მომზადებულ სპილოებს მიწაყრილებთან სხვადასხვა მხარეს დააყენებენ, თვითოეულ სპილოზე ჯდება ბრძოლის

ორი ხელმძღვანელი, აქედან ერთი, სპილოს მხრებზე ზის და ხელში რკინის კავი უჭირავს, რათა შესძლოს სპილო სხვადასხვა მხარეს მიაბრუნოს, ხოლო მეორე ხელმძღვანელი უფრო უკან, ზურგზე ზის. თუკი პირველი, სპილოდან გადმოვარდება მისი ადგილი მეორემ უნდა დაიკავოს. „ხელმძღვანელები“ ახელებენ ცხოველებს ერთმანეთის წინაღამდეგ. ხანგრძლივი მცდელობის შემდგომ, ეს ორი უზარმაზარი სხეული ერთმანეთის წინაღამდეგ დაიძვრება და იწყება ბრძოლა. ისინი ერთმანეთს ეშვებით და ხორთუმით საშინელ დარტყმებს აყენებენ. ეს ბრძოლა საკმაოდ დიდ ხანს გრძელდება, რამდენჯერმე შეაჩერებენ ხოლმე ბრძოლას, მაგრამ შემდეგ ისევ გრძელდება, საბოლოოდ მიწაყრილი ჩამოიშლება და მაშინ ერთერთი სპილო მეორეს მხარეს გადადის და ეს უკანასკნელი გაქცევით შველის თავს, გაგიჟებული სპილო ეშვებით და ხორთუმით უტევს დამარცხებულს და მათი გაშველება მხოლოდ შერკით, ანუ ცეცხლის საშუალებით არის შესაძლებელი, ანთებულ ჩირაღდნებს ყრიან სპილოებს შორის. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ სპილოებს ცეცხლის ძალიან ეშინიათ, ამის გამო ომებში სადაც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დაიწყეს, სპილოების ომში გამოყენებამ აზრი დაკარგა. მართალია ცეილონიდან ჩამოყვანილი სპილოები შედარებით უშიშრები არიან, მხოლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში წვრთნის შემდეგ აღწევენ შედეგს. სპილოების, მწვრთნელები თოფს მათ ყურთან ახლოს ისვრიან და ცეცხლმოკიდებული ქაღალდის ბურთულებს ფეხებთან უყრიან, რომ ცხოველი მიაჩვიონ და საბრძოლო სპილოდ გაწვრთნან. ისე, სპილოების ბრძოლა არ გამოირჩევა სანახაობრივად, თუ დიდი აგრესია არ განვითარდა, საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ეს უბედური ხელმძღვანელები მიწაზე დავარდნის შემდეგ, სპილოების ფეხქვეშ უმოწყალოდ ითელებიან. ორთაბრძოლის დროს სპლოები მუხანათურ „ილეთებსაც“ იყენებენ. ისინი ცდილობენ მიწაზე ჩამოაგდონ მოწინარამდეგის „ხელმძღვანელი“. როცა სპილოების ორთაბრძოლისთვის სპილოს „ხელმძღვანელის“ ვინაობა გახდება ცნობილი, ის საცოდავი ემშვიდობება ოჯახის წევრებს, ისე თითქოს სასიკვდილო განაჩენი უნდა აღსრულდეს მის თავს.

ამ ადამიანებს იმით ამხნევებენ, რომ მეფე ჯამაგირის მომატებას ჰპირდება და კიდევ ერთ ტომარა ბრინჯს, რომელიც დაახლოებით

50 ფრანკი ღირს, რასაც ბრძოლის დამთავრების შემდეგ უწყალობებენ ხოლმე, იმ შემთხვევაში თუ იგი დაიღუპება, მის ქვრივს უტოვებენ ქმრის ჯამაგირის ოდენობის პენსიას, ხოლო თუ ამ უბედურს ჰყავს ვაჟი მას სამსახურით უზრუნველყოფენ. არცთუ ისე იშვიათად ეს ბრძოლები მასშტაბური უბედური შემთხვევებითაც მთავრება. ხშირად სპილოები იმდენად შედიან ბრძოლის აზარტში, რომ მაყურებლებს ესხმიან თავს, ამ დროს ხალხი თავს გაქცევით შველის და ერთმანეთს თელავენ, პარალელურად სპილოები ბრძოლას აგრძელებენ. ამიტომ უსაფრთხო არ არის ამ ბრძოლების ახლოდან ყურება. როცა ამ ბრძოლას მეორედ დავესწარი, ძალიან ვინანე რომ ახლოს მივედი „ბრძოლის ველთან“, რომ არა ჩემი კარგი ცხენი და ორი საიმედო მსახური, შესაძლოა მეც ძვირი საზღაური გადამეხადა.

ეხლა კი დროა დავტოვოთ ციხე-სიმაგრე და დავბრუნდეთ ქალაქში. მე თავს ვალდებულად ვთვლი თქვენი ყურადღება ორ შენობაზე გავამახვილო. პირველი — ეს გახლავთ მეჩეთის კოშკი, რომლიც ქალაქის ცენტრში დგას და ყველა მხრიდან მოსჩანს. ის აღმართულია მოსწორებულ კლდეზე. სადაც მეჩეთის ულამაზესი მოედანია აშენებული და მისგან ოთხივე მხარეს, ოთხი ულამაზესი გრძელი ქუჩა იღებს სათავეს. პირველი — მეჩეთის მთავარი კარიბჭიდან იღებს სათავეს, მეორე — მეჩეთის მოპირდაპირე მხრიდან, მესამე და მეოთხე ქუჩები მეჩეთის გვერდით კედლებიდან ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს მდებარე კარებებიდან იღებენ სათავეს. იმისათვის რომ მეჩეთის კარებებთან მიხვიდეთ შენობის სამივე მხრიდან შემორტყმული კიბის ოცდაათი საფეხური უნდა აიაროთ. საფეხურების კვეთის ადგილი, ლამაზი გათლილი ქვებით არის მოპირკეთებული, ეს განსაკუთრებულ ელფერს ჰმატებს იქაურობას. სამივე შეასავლელს მდიდრული სახე აქვს, ის მთლიანად მარმარილოთია მოპირკეთებული და კარებები სპილენძის ფურცლებით არის მოვარაყებული. მთავარი კარიბჭის თავზე, რომელიც უფრო მდიდრულია ვიდრე დანარჩენი კარბები, აღმართულია მომცრო ზომის თეთრი მარმარილოს კოშკი, რომელიც საკმაოდ ელეგანტურად გამოიყურება. მეჩეთის დასავლეთ მხარეს აღმართულია სამი გუმბათი, რომლის გარე და შიდა მხარე თეთრი მარმარილოთია მოპირკეთებული. შუა გუმბათი უფრო დიდია და უფრო მაღალიც. „დანარჩენი“ მეჩეთი, ანუ ის ნაწილი, რომელიც ამ სამი გუმბათიდან კარიბჭემდე,

დიდი სიცხეების გათვალისწინების გამო სახურავის გარეშეა. იატაკი კი, სრულად მარმარილოთია მოპირკეთებული.

მე ვაღიარებ, რომ ეს ნაგებობა არქიტექტურულ იმ ნორმებს ვერ აკმაყოფილებს, რაც ჩვენ აუცილებლობად მიგვაჩნია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მე ვერ ვხედავ ვერავითარ მიზეზს, რაც ამ ნაგებობას შეურაცხყოფდა. პირიქით, მე მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ყველაფერი კარგად გააზრებულია და პროპორციებიც ზუსტად არის დაცული. მე მგონია, თუკი პარიზში მსგავსი არქიტექტურით ააშენებდნენ ეკლესიას, მას დაბალი დონის შენობად ნამდვილად ვერავინ ჩათვლის, თუმცა, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს, უჩვეულო ნაგებობაა. გამონაკლისს თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებული სამი გუმბათი წამოადგენს, რომელიც ჰარმონიულად ერწყმის წითელი ფერისას და ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს თითქოს მთელი ეს ნაგებობა წითელი მარმარილოსგან იყოს ნაკვეთი. სინამდვილეში ეს ქვაა, რომელიც დამუშავებას იოლად ემორჩილება.

სხვათა შორის, თუ ამ ინფორმაციას დავუჯერებთ, მე მიყვებოდნენ, რომ ქვის სამტეხლოში სადაც ამ ქვას იღებენ, რაღაც განსაკუთრებულ მოვლენას აქვს ადგილი, მარწმუნებენ თითქოს ქვა ხელახლა „იბადება“, ისევ და ისევ, რადგან ქვის კარიერი წყლით ივსება, ან ამ მოვლენას სხვა ახსნა უნდა ჰქონდეს.

ამ მეჩეთს მეფე ყოველ პარასკევს ეწვევა ხოლმე მოსალოცათ, რადგან ეს დღე მაჰმადიანებისთვის იგივეა რაც ჩვენთვის კვირა დღე. სანამ მეფე მეჩეთისკენ წაბრძანდება, იმ ქუჩას, სადაც უნდა გაიაროს კარგად რწყავენ, რომ მტვერმა და სიცხემ არ შეაწუხოს მბრძანებელი. ორასი ან სამასი მუშკეტერი ციხე-სიმაგრის კარიბჭესთან მწკრივში დგება და მაგდენივე, ქუჩის ორივე მხარეს განლაგდება მეჩეთამდე მიმავალი გზის მთელ სიგრძეზე. ეს ჯარისკაცები მოკლე, მაგრამ მაღალი ხარისხის მუშკეტებით არიან შეიარაღებულები.

კარიბჭესთან ასევე შესანიშნავ ცხენებზე ამხედრებული ხუთი-ექვსი მხედარი დგას, მათ მეფის წინ საკმაო მანძილის მოშორებით უნდა იარონ, რომ მეფე მტვერმა არ შეაწუხოს და ასევე მათ, გზაზე გამოსული მოსახლეებისგან გზის განთავისუფლება ევალებათ.

როცა ყველა მოსამზადებელი სამუშაოები დამთავრდება, ხელმწიფე სასახლიდან გამოდის და სპილოზე ჯდება, რომელსაც მოოქროვი-

ლი ბალდახინი აქვს გადაფარებული, ხანდახან უძვირფასესი ქვებით მოპირკეთებულ ტახტრევანში დაბრძანდება და ისე ინებებს ხოლმე გადაადგილდებას. ეს ტახტრევანი რვა თანაბარი სიმაღლის, კარგად ჩაცმულ ადამიანებს მხრებით მიაქვთ. მეფეს ემირთა დიდი ამალა მიჰყვება უკან, ემირთა შორის დგანან მანზებდარები და ვერცხლის ხელკეტებით შეიარაღბული ადამიანები. ეს მსვლელობა ნამდვილად არ ჰგავს დიდებულთა მსვლელობის პროცესიას, არც დიდი ბატონის მოწყობილ მასკარადს ჰგავს ეს მსვლელობა. არც მეფის მსვლელობას ჰგავს, სამხედროების ელიტის თანხლებით, ისე როგორც ჩვენშია, მაგრამ ამ სანახაობაში არის რაღაც დიდებული და განუმეორებელი.

მეორე შენობა, რომელზეც მსურს თქვენი ყურადრება გავამახვილო, ეს გახავთ პრინცესას ქარავან-სარაი. ამ ნაგებობას ეს სახელი იმიტომ ჰქვია, რომ ეს ნაგებობა თავისი ხარჯებით შაჰ-ჯეხანის უფროსმა ქალიშვილმა ბეგუმ-სახაბმა ააშენა. მას სურდა თავის მხრივ ქალაქის გამშვენიერებაში თავისი წვლილი შეეტანა, ასევე ემირებიც ცდილობდნენ რაღაც ახალი შეემატებინათ ქალაქისთვის, რომ შაჰ-ჯეხანის მოწყალება დაემსახურებინათ.

ის არკადებით დამშვენებული დიდი კვადრატული ნაგებობა გახლავთ, ჩვენი სამეფო მოედნის მსგავსი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თითოეული არკადია ერთმანეთისგან, მათ შორის აშენებული კედლით იყო გამოყოფილი და თვითოეულ არკადეას სიღრმეში კი, პატარა ოთახია. გარდა ამისა არკადების თავზე აშენებეულია გალერეა, რომელიც მთელ შენობას მოიცავს, გალერეაში კი იმდენივე ოთახია ჩაშენებული რამდენიც ქვედა სართულზეა აშენებული. ქარავან-სარაი გახლავთ მსხვილი სპარსელი, უზბეკი და სხვა ქვეყნების მსხვილი ვაჭრების ერთმანეთთან შესახვედრი ადგილი. ისინი აქ ყოველთვის ნახულობენ თავისუფალ ოთახებს რამდენიმე დღით დასარჩენად და ისინი სრულად უსაფრთხოდ გრძნობენ აქ თავს. კარგი იქნებოდა პარიზის სხვადასხვა კუთხეშიც რომ არსებობდეს მსგავსი ადგილები ჩამოსულებისთვის, რომლებიც პირველად ჩამოდიან ქალაქში, მათ არავითარი სირთულეების წინაშე არ მოუწვდათ თავის გართმევა, რომელსაც ისინი ხშირად აწყდებიან და ღამის გასათევად უსაფრთხო ადგილის პოვნა უჭირთ.

სანამ დელის დავემშვიდობებოდეთ, მინდა კიდევ რამდენიმე შეკითხვას გავცე პასუხი, რომელსაც თქვენ აუცილებლად დასვამდით,

კერძოდ, არის თუ არა დელიში იმ რაოდენობის მოსახლეობა და მაღალი დონის საზოგადოება როგორც ეს პარიზშია? რა საკვირველია თუ მხედველობაში მივიღებთ რომ პარიზი წარმოადგენს სამ-ოთხ ქალაქს, რომელიც ერთმანეთზეა აშენებული, ოთახები კი მაცხოვრებლებითაა სავსე, როცა მე წარმოვიდგენ პარიზულ ქაოსს, ქალები და კაცები, ფეხით მოსიარულენი და მხედრები, ფორნები, ეტლები და ეკიპაჟები, როდესაც მახსენდება, რომ პარიზში ცოტაა მოედნები, სკვერები და ბაღები, მე მეჩვენება თითქოს პარიზი მსოფლიოს თავშესაფარია და ჩემთვის ძნელად დასაჯერებელია, რომ დელის მოსახლეობა პარიზის მოსახლობაზე მეტი იყოს. როცა ვიხსენებ დელის პატარა მაღაზიების წარმოუდგენლად დიდ რაოდენობას და ქალაქის გრანდიოზულ სივრცეს, ოცდაათიათასიან ცხენოსან ჯარს, რომელიც მუდმივად ქალაქშია დისლოცირებული, ემირთა სახლები და კიდევ ყოველი მათგანის ოჯახი, ბავშვები, ცოლები, მსახურები და ზოგიერთ მათგანს საკუთარი სახლი გააჩნია როგორც მის ბატონს და როდესაც წარმოვიდგენ ამდენ სახლებში როგორ დუღს სიცოცხლე, დიახ, აქ ვერ შეხვდებით ეკიპაჟებს, ეტლებიც შეიძლება ნახოთ, ისიც ძალიან იშვიათად, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მე ვერ შევძლებ თქვენს კითხვაზე დაზუსტებული პასუხი გაგცეთ. თუკი პარიზში უფრო მეტი მაცხოვრებელია, არა მგონია რომ დელი, ადამიანთა რაოდენობით დიდად ჩამორჩებოდეს პარიზს. რაც შეეხება კარგ და მაღალ საზოგადოებას, შემიძლია გითხრათ რომ ამ თემასთან დაკავშირებით დელიში და პარიზში სხვადასხვა შეხედულებები არსებობს. ყოველი ათი ადამიანიდან, რომელსაც პარიზის ქუჩებში შეხვდებით, შვიდ მათგანი ნორმალურად იცვამს და მათ, ღარიბებს, ან უპოვართა კატეგორიას ვერ მიაკუთვნებთ, მაშინ როდესაც დელიში ათიდან სამ ადამიანს აცვია ნორმალურად, ხოლო შვიდი კი ღარიბ-ღატაკია და შესაბამისად ცუდადაც აცვიათ. როდესაც აქ არმია ჩერდება, მას თან მოჰყვება უქონელი ადამიანების ნაკადი და მოსახლეობისთვის კი სიღარიბე მოაქვს. მოდით ნუ გადავაჭარბებთ, სიმართლე რომ ვთქვათ როგორც დელიში, ისევე პარიზში, შევხვდებით ბევრ კარგად ჩაცმულ ადამიანს, კარგ ცხენებზე ამხედრებულებს და ლამაზი ამალის თანხლებით მოსეირნეებსაც. სანახაობა, რომლის ხილვაც ჩვენ შეგვიძლია ციხე-სიმაგრის წინ მთავარ მოედანზე, იმ დროს როდესაც მთელი ემირები, რაჯები

და მანზებდარები მიემართებიან შეკრებაზე, ან ციხე-სიმაგრეში სამორიგეოდ (საყარაულოდ) საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. ყოველი მხრიდან მოემართებიან მანზებდარები, კარგად ჩაცმულები, ოქროებით მორთულნი, კარგ ცხენებზე ამხედრებულნი, რამდენიმე მსახურით, რომლებიც წინ მიდიან და გზას „უწმენდენ“ ბატონს, რამდენიმე მსახური კი უკან მიჰყვება მანზებდარს. ემირები და რაჯები მოემართებიან შესანიშნავ სპილოებზე ამხედრებულები, ზოგიერთი კი მანზებდარების მსგვსად ცხენზე ამხედრებული მობრძანდება, უმეტესობა ტახტრევანზე დაბრძანებული, რომელიც ექვს კაცს მოაქვს საკუთარი მხრებით, ტახტრევანზე დაბრძანებული ბატონი, ფარჩის ბალიშზე მიწოლილა და ბეტელს ღეჭავს, რომ პირიდან კარგი სუნი ამოსდიოდეს და ტუჩებიც დაფაროს სიწითლემ. ტახტრევანს გვერდით მსახური მიჰყვება, რომელსაც ფაიფურის ან ვერცხლის სურა მიაქვს, ასევე ორი მსახური სანიავებლებით ბუზებს იგერიებენ და გზად მიმავალნი ბატონისთვის სიგრილეს უზრუნველფყოფენ, ორი მსახური წინ მიჰყვებიან ბატონის „ეკიპაჯს“ და გზას უკვლევენ ბრბოში, ხოლო უკან ცხენოსანი რაზმის ნაწილი მოჰყვება, რომელიც რჩეული მხედრობით არის დაკომპლექტებული.

ვიმეორებ, როდესაც თქვენ ხედავთ როგორ მოძრაობს ეს ყველაფერი იმ ქაოსში, აღიარებთ მას როგორც ღირშესანიშნაობას.

რაც შეეხება დელის შემოგარენს, ის ყურადღებას თავისი სიუხვით იქცევს. იქ მოჰყავთ ბრინჯი, გაშენებულია ხეხილის ბაღები, ხორბლის ყანები, ინდიგო, ვანილი, შაქრის წარმოება და ეს ყველაფერი გრანდიოზული რაოდენობებით მოჰყავთ. ქალაქიდან ორი ლიეს დაშორებით აგრას მიმართულებით, ადგილს, რომელსაც მაჰმადიანები კოია-კოტუნ-ედდინეს ეძახიან, დგას ძველი ნაგებობა, რომელიც წარმართების ტაძარს წარმოადგენდა. იქ ნახავთ წარწერებს, რომელიც ასევე ძალიან ძველი უნდა იყოს, იმიტომ რომ მასზე მხოლოდ რამდენიმე ასოს გარჩევა თუ შეიძლება, მაგრამ ის არ ჰგავს არც ერთი იმ ენის შრიფტს რომელზეც ინდოეთში ლაპარაკობენ.

დელის მეორე მხარეს ორი-სამი ლიეს მოშორებით მდებარეობს ხელმწიფის რეზიდენცია, რომელსაც შახლიმარს ეძახიან. ეს ნამდვილად დიდებული და შესანიშნავი შენობაა. წარმოიდგენთ, რომ ეს ნაგებობა ფანტენაბლოს, სან-ჟერმენს ან ვერსალს ჰგავს. ნურც იმას

იფიქრებთ, რომ აქ, სენ-კლუს, შანტალის, მედონუს, ლიანკურუს მსგავს ადგილებს იხილავთ, ან თავადთა და დიდებულთა აგარაკებს, ან ბურჟუების და ვაჭრების მდიდრულ სახლების მსგავსს წააწყდებით სადმე. თუ კითხვას დასვავთ „რატომ? “ გიპასუხებთ, რომ ეს შეუძლებელია, რადგან ამ სახელმწიფოში მიწის საკურებაზე უფლება მეფის გარდა არავის არა აქვს. თქვენ შეგიძლიათ გაიაროთ დელიდან აგრამდე ორმოცდაათი ან სამოცი ლიე და გზად ვერ შეხვდებით ლამაზ და თვალწარმტაც ადგილს, როგორც ეს საფრანგეთშია, გამონაკლისი ალბათ მხოლოდ მატურასაა, სადაც კიდევ შემორჩა შესანიშნავი და უძველესი წარმართული ტაძარი და რამდენიმე კარავან-სერაევი, საკმაოდ კარგი ნაგებობები, რომლებიც ერთმანეთისგან ერთი დღის სავალი მანძილით არის დაშორებული. აქ სხვა დიდებულ სანახაობას ვერ ვიხსენებ გარდა ალლეისა, რომელიც დარგულია ჯეხან-გირის ბრძანებით და ასორმოცდაათი ლიეს სიგრძისაა, მის გაყოლებაზე აშენებულია პატარა პირამიდები და კოშკები, რომლებიც ერთმანეთისგან ერთი კოსსეს მანძილით, ანუ ერთნახევარი ლიეთი არიან დაშორებულები, ისინი გზის მიმართულების მაჩვენებლებსაც წარმოადგენენ, გარდა ამისა მთელი ალლეას გაყოლებაზე ხშირად შეხვდებით ჭებსაც, რომ წყურვილი მოიკლას მგზავრმა და ახალგაზრდა ხეების მორწყვის საშუალებაც ჰქონდეთ მებაღეებს.

თქვენ უკვე შეიქმენით გარკვეული წარმოდგენა დელიზე და თქვენ უკვე იცით რას წარმოადგენს აგრა, ის მდინარე ჯემნეს ნაპირზეა გაშენებული. აგრას გარკვეული უპირატესობა გააჩნია დელისთან მიმართებაში. ამ ქალაქში მეფე აკბარის დროიდან მოყოლებული მეფეებს ყოველთვის ჰქონდათ საკუთარი რეზიდენცია, რომელიც თვით მეფე აკბერმა ააშენა და აკბარაბადი უწოდა. ეს ქალაქი დელიზე ფართოდ არის გაშენებული და აქ ბევრი ლამაზი სახლია, რომლებიც ემირებს და რაჯებს ეკუთვნით, აქ აგებულია შესანიშნავი კარავან-სარიები და ამ ქალაქში სახლების უმეტესობა ქვით და აგურით არის ნაგები. აქვეა ორი ცნობილი სამარხი, რომლის შესახებ მოგვიანებით გიამბობთ. აგრას და დელის შორის ძირითად განსხვავებას ქვის ზღუდის უქონლობა წარმოადგენს, გარდა ამისა, აქ ვერ ნახავთ ისეთ ფართე ქუჩებს, როგორც დედაქალაქშია. აგრაში ოთხი-ხუთი მთავარი ქუჩაა, რომელიც ძირითად სავაჭრო რაიონს წარმოადგენს, დანარჩენი

ქალაქი კი პატარა, ურთიერთგადამკვეთი ვიწრო ქუჩებით და ჩიხებით არის სავსე. ეს ფაქტორი საშინელ ატმოსფეროს ჰქმნის როცა ქალაქ-ში მეფე მობრძანდება. ჩემის აზრით აგრა არაფრით განსხვავდება დელისგან, გარდა იმისა, რომ დელისთან შედარებით „დიდ სოფელს“ ჰგავს, ცოტათი ამაღლებული ადგილიდან რომ გადმოხეოთ ქალაქს, ჩემი სიტყვების სისწორეში ადვილად დარწმუნდებით. თუმცა მისი „სოფლურობა“ არანაირად არ აკნინებს ამ ქალაქის დიდებულებას და მნახველზე წარუშლელ შტაბეჭდილებას ტოვებს მისი სილამაზე. გან-საკუთრებით თვალში მოგხვდებათ ხეების სიმრავლე, რომელიც ემი-რების და რაჯების მეოხებით უხვად დაირგო, რომ ბევრი ჩრდილი და სიგრილე ყოფილიყო ქალაქში. ამ ხეებს შორის ბანი-ს ანუ ინდოელი ვაჭრების მაღალ, ქვის შენობებსაც იხილავთ, რომლებიც ძველ ტყეში აშენებულ სასახლეებს ჩამოჰგავს.

შესანიშნავი და ულამაზესი ხედების ნახვის სურვილის გამო არ არის აუცილებელი რომ დატოვოთ პარიზი, რადგან ქვეყნად უამრავია შესანიშნავი და თვალწარმტაცი ადგილები.

გაისეირნეთ ჩვენს ახალ ხიდზე და ყურადღებით დააკვირდით ყველაფერს რაც თქვენს გარშემო ხდება, ამ გასაოცარ და დაუჯერე-ბელ ქაოსს მიადევნეთ თვალი, ღამე კი, დატკბით მაღალი შენობების სარკმელებიდან მოკიაფე სინათლის სხივებით. ეს ქაოსი, რომელიც მთელი დღე მეფობს, შუაღამის შემდეგაც გრძელდება. კეთილი ბურ-ჟუა, რომელსაც აქ, აზიაში ვერსად იხილავთ, თავის მეუღლესთან ერთად მოსეირნობს და არ ეშინია ჭუჭყის და მძარცველების, გრძელ ქუჩებზე განათებული ლამპიონები ჩამწკრივებული, რომლებსაც არ „ეშინიათ“ არც ქარის, არც წვიმის და არც სიბნელის, გაისეირნეთ, ნახეთ ეს ყველაფერი და დაიჯერეთ ჩემი სიტყვები, რომ თქვენ წი-ნაშეა ყველაზე ლამაზი, ყველაზე დიდებული ქალაქი დედამიწაზე, ალბათ გამონაკლისს იაპონიის და ჩინეთის ქალაქები წარმოადგენენ, იქ მე ჯერ არ ვყოფილვარ. რა იქნება როცა დაამთავრებენ ლუვრის მშენებლობას, რომელზეც ფიქრობდნენ, რომ ეს დიდებული შენო-ბა მხოლოდ ნახაზებზე და ნახატებზე დარჩებოდა სამუდამოდ?! მე განზრახ დავიწყე საუბარი დიდებულ ხედებზე და ალბათ განსაკუთ-რებულად უნდა გამოვყოთ კონსტანტინეპოლის ხედები, რომელიც დიდ არხზე მიმავალი გემიდან მოსჩანს, აქ, გრძნობ რომ შენობების

დიდებულებით და მშვენიერებით მონუსხული, ჯადოსნურ სამყაროში ვმოგზაურობ.

აქ, ჩვენ საქმე გვაქვს ბუნებრივ მშვენიერებასთან, მაშინ როდესაც პარიზში მშვენიერებას ადამიანის ხელი ჰქმნის. ამიტომაც არის პარიზი მნიშვნელოვანი. აქ მეტად იგრძნობა დიდი მეფის ჩამობრძანება ვიდრე დელიში, აგრაში, ან თუნდაც კონსტანტინეპოლში, მიუკერძოებლად შემიძლია ვთქვა, რომ პარიზი ყველაზე ლამაზი, ყველაზე მდიდარი და უპირველესი ქალაქია მთელს მსოფლიოში.

აგრაში იზუიტ მამებს ეკლესია და სახლი აქვთ, რომელსაც კოლეჟს ეძახიან. იქ ოცი-ოცდახუთი ქრისტიანთა ოჯახების ბავშვების ქრისტიანული სწავლებით არიან დაკავებულები. მე ვერ გეტყვით როგორ მოახერხეს ამ ოჯახებმა აქ ადაბტირება, მაგრამ უცილოა, რომ ისინი იზუიტი ბერების მუდმივ მხარდაჭერას განიცდიან. იზუიტები აქ, მეფე აკბერმა მოიწვია, ინდოეთში პორტუგალიელების ძლიერების პერიოდში და შესაბამისად ნება დართო აეშენებინათ ქრისტიანული ტაძრები აგრაში და ლაგორში. მისი ვაჟი ჯეხან-გირი უფრო მტად მფარველობდა მათ, მაგრამ შაჰ-ჯეხანმა, ჯეხან-გირის ვაჟმა და დღევანდელი მბრძანებლის აურენგზიბის მამამ, მათ მოუხსნა პენსია, ბრძანება გასცა დაენგრიათ ტაძრები ლაგორში და აგრას ტაძრის დიდი ნაწილი, მიწასთან გაასწორა სამრეკლო, რომლის ზარების გუგუნი მთელ ქალაქში ისმოდა.

იზუიტი მამები ცდილობდნენ ქრისტიანობის გავრცელებას ჯიხან-გირის მმართველობის ხანაში, იმედოვნებდნენ ჯიხან-გირის მიერ მაჰმადიანობაზე უარის თქმას, ისიც უნდა ითქვას რომ მეფემ თავის ორ ნათესავს ქრისტიანობის მიღების უფლაბაც კი მისცა, ასევე ქრისტიანობის მიღების უფლება მისცა ვინმე მირზა ზულკარმინს, რომელიც სერალში იყო აღზრდილი და წინდაცვეთას ექვემდებარებოდა.

იზუიტი მამები ამტკიცებდნენ, რომ მეფეს, ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ სურდა სამეფო კარი ისევე შემოსილიყო, როგორც იმოსებოდნენ „ფრანგი“-ები. ის ემზადებოდა, რომ თვითონაც ისევე შემოსილიყო როგორც ევროპელები, მან თავისთან იხმო ემირთაგან რჩეული ერთი ემირი და ჰკითხა, თუ რა აზრის იყო მისი გადაწყვეტილების შესახებ. ემირმა საკმაოდ შორს დაიჭირა თავი მეფის

სურვილისგან და ცივად უპასუხა, რომ ეს იდეა სახიფათო იყო, მაშინ მეფემ უარი თქვა თავისი გეგმაზე და ყველაფერმა იუმორით ჩაიარა.

მამები ასევე გვიმტკიცებენ, რომ როდესაც ჯეხან-გირი კვდებოდა, მან მოითხოვა ქრისტიანი მამების მასთან ხლება. მეფემ გაანდო მამებს თავისი წადილი ქრისტიანად მოქცევის შესახებ, მაგრამ სთხოვა, რომ ეს ამბავი არსად არ ეთქვათ. ზოგი კი ამტკიცებდა, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა და რომ ის მოკვდა ისე, როგორც იცხოვრა, ყოველგვარი რელიგიის გარეშე, ისევე როგორც მისმა მამამ, მეფე აკბარმა, საკუთარი თავი წინასწარმეტყველად გამოაცხადა და თავის მიერ შექმნილი ახალი რელიგიის ქადაგება წამოიწყო. მე ვერ გეტყვით რა მოხდა რეალურად, მაგრამ მინდა გიამბოთ რა მომიყვა ერთმა მაჰმადიანმა, რომლის მამაც სამეფო მრჩეველი გახლდათ ჯეხან-გირის კარზე. ერთხელ მეფე დათვრა და ბრძანა მასთან მიეყვანათ ვინმე მამა ფლორენტინი, რომელსაც მეფემ მამა-ატეში (სპარსულად ნიშნავს დენთს) შეარქვა და მოსთხოვა, რომ გამოეთქვა მაჰმადიანური სწავლების წინაღამდეგ და ქრისტიანობის სასარგებლოდ თავისი დასაბუთებული მოსაზრებები მაჰმადიანი მეცნიერებისა და მოლების თანდასწრებით. შემდეგ ჯეხან-გირმა, იქვე, ორივე რელიგიის სწავლების მკაცრი გამოცდა ინება. მან ბრძანება გასცა, ამოეთხარათ ღრმა ორმო, ორმოში ცეცხლი დაანთებინა და შესთავაზა ქრისტიან მამას ბიბლიით ხელში და მაჰმადიან მოლას ყურანით ხელში ცეცხლში ჩამხტარიყვნენ, შესაბამისად მეფე მიიღებდა იმის სწავლებას და რელიგიას, რომელიც ცოცხალი გადარჩებოდა და არ დაიწვებოდა კოცონში, მაგრამ რაოდენ დიდი იყო მოლების გაოცება, როდესაც მამა ფლორენტინი დათანხმდა ამ გამოცდის გავლას რასაც ვერ ვიტყვით მაჰმადიან მოლაზე, ის შეშინდა. შედეგად მეფემ უკუ აგდო თავისი ჩანაფიქრი და აქედან გამომდინარე, ვიდრე ცოცხალი იყო ჯეხან-გირი, იზუიტი მამები პატივისცემით და მოწიწებით სარგებლობდნენ სამეფო კარზე. ქრისტიანები კი დიდ იმედებს ამყარებდნენ ქრისტიანობის გავრცელების შესაძლებლობებზე ინდოეთში, მაგრამ შემდგომ მათ ყოველგვარი იმედები გაუქრათ, ალბათ ამ ყველაფერს მამა ბიუზეს და დარას მეგობრობამ შეუწყო ხელი, ვერ გეტყვით.

რადგან საუბარი მისიონერებზე ჩამოვარდა, მინდა მათ შესახებ რამდენიმე სიტყვით გიამბოთ, რათა სამომავლოდ მათ მოღვაწეობას

ცალკე წერილი მივუძღვნა. მე ნამდვილად გავამართლებდი მისიებს კარგი მისიონერებით, განსაკუთრებით კაპუცინებს და იზუიტებს, ასევე სხვებსაც, რომ საკუთარ სწავლებებს ისინი უფრო რბილი ფორმით გადმოსცემდნენ, მაშინ როცა მათი სწავლებები ქედმაღლობით და ასკეტიზმით არის გაჯერებული, თუკი ისინი საქველმომქმედო საქმიანობით იქნებოდნენ დაკავებულები, რომელიც ადგილობრივ ქრისტიანებს დაეხმარებოდა და ქრისტიანული მოძღვრების განმტკიცებას შეუწყობდა ხელს, რომელი მიმდინარეობისაც არ უნდა ყოფილიყო, იქნებოდა ის კათოლიკური, იაკობინელების, ნესტორიანელების, ბერძნების თუ კიდევ სხვა მიმდინარეობის ქრისტიანული ეკლესია, მათი მოღვაწეობა ღარიბებისადმი დახმარება და მფარველობა, მოგზაურთა და უცხოელთა ხელშეწყობა რომ ყოფილიყო, მათი მისიები რეალურად დიდ წარმატებას მიაღწევდა ამ ქვეყანაში. თავიანთი მოკრძალებული ცხოვრების წესით სურდათ მაგალითის მიმცემნი ყოფილიყვნენ ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რასაც მაჰმადეიანების, მძარცველების და სხვა უზნეო ადამიანების აღშფოთება მოჰყვა.

ხშირად ყველაფერი ისე არ კეთდებოდა როგორც მისიონერს შეეფერებოდა, ზოგი მათგანის ამ ქვეყანაში წამოყვანა შეცდომა გახლდათ და უმჯობესი იქნებოდა თავიანთ მონასტრებში დაეტოვებინათ, რადგან ეს ადამიანები მოჩვენებით მქადაგებლებად მოევლინნენ ამ ქვეყანას და თავიანთი უტიფრობით, მოშურნეობით, აღვირახსნილი ცხოვრების წესით, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით ისინი შეურაცხყოფდნენ ქრისტიანულ სწავლებას და ქრისტიანობას. მაგრამ გამონაკლისები საერთო წესებს ვერ ანადგურებენ და ეს ყველაფერი მე ხელს არ მიშლის რომ მისიონერების კეთილმოსურნე ქრისტიანულ სწავლებებზე ვისაუბრო. მათი მოღვაწეობა მე საამაყოდ და ქრისტიანობის პრიროგატივად მიმაჩნია, რომ არსებობენ ადამიანები რომელთა საქმიანობა და თავგანწირვა მოციქულთა თანასწორია, მაგრამ იმაზე დააყრდნობით რაც მე ვიხილე, იმის გათვალისწინებით, ვინაიდან მე მქონდა მრავალჯერადი საუბრები მოწინაღამდეგე ურჯულოებთან, თავს უფლებას მივცემ განვაცხადო, რომ გაოგნებული ვარ ჩვენი მისიონერების მართლაც რომ მოციქულთა სწორი ქადაგების და მოღვაწეობის შემხედვარე, რამე თუ მათ, ერთჯერადი ქადაგებით ქრისტეს რჯულზე ორი-სამი ათასი ადამიანის მოქცევა შეეძლოთ, მა-

გალითად, მათ მაჰმადიანი მეფეების სამეფო კარის ფართო მაშტაბით ქრისტიანულ რელიგიაზე მოქცევა შეეძლოთ. პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და იმის გათვალისწინებით, რომ მე ვიყავი აღმოსავლეთის ყველა მისიაში, თავს უფლებას მივცემ ვთქვა, რომ ყველა მისიონერს, არა მარტო ინდოეთში, არამედ მთელ მუსულმანურ აღმოსავლეთში, ძალა შესწევდათ თავიანთი სწავლებებით, მოწყალების გაცემით და საქველმომქმედო საქმიანობით, რეალურად გარკვეული წარმატებებისთვის მიეღწიათ ინდუსთა შორის, მაგრამ მათ ვერ შესძლეს თუნდაც ერთი მუსულმანი გაექრისტიანებინათ. უდაოა, რომ ეს ურწმუნოები ყოველთვის მოწიწებით მოიხსენიებენ ქრისტიანობას და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელს, „აისა“-ს, ანუ იესოს, ყოველთვის პატივისცემით წარმოთქვამენ და დაამატებენ სიტყვას „აზარატ“, რაც „უდიდებულესობას“ ნიშნავს. ისინი ასევე აღიარებენ და გვეთანხმებიან, რომ ის, ჩაისახა და იშვა სასწაულებრივად უვნო ქალწულისგან და რომ ის, კალმუ-ალლახ და რუ-ალლახ, ანუ ღმერთის სიტყვაა, ღვთიური სულია. მაგრამ ნუ იფიქრებთ რომ ამ ყველაფრის გამო ისინი უარს იტყვიან საკუთარ რელიგიაზე და ჩვენსას შეუერთდებიან, ისინი მაჰმადიანებად დაიბადნენ, თავიანთი ცრუ წინასწარმეტყველების სწავლებებით გაიზარდნენ და როგორი არგუმენტებიც არ უნდა დაუდოთ წინ, ისინი ქრისტიანები მაინც არ გახდებიან. ჩვენმა ევროპელმა ქრისტიანებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, გულუხვად უნდა გაიღონ შემოწირულობები და ალბათ ძალაც უნდა იხმარონ, რომ ყველგან გაგზავნონ მისიონერები და მისიები ჩამოაყალიბონ რომ ისინი არ უნდა იქცნენ ადგილობრივი მოსახლეობისთვის ერთგვარ აბეზარ ადამიანებად და არ ჩაიდინონ რაიმე სიმდაბლე, რაც შეურაცხყოფს მათ. ასეთი ქმედება აუცილებელია იმ მაგალითების გამო, რომლის შესახებაც უკვე გიამბეთ, მისიონერებმა ყოველთვის უნდა გამოიყენონ შესაძლეებლობა გააშენონ „ვენახი“ იქ, სადაც ღვთის ნება იქნება და არ უნდა მიეცნენ ილუზიას, რომ ყველაფერი იოლად წარიმართება და სხვების უსაფუძვლო მონათხრობებს ყური არ უგდონ. მაჰმადიანობა — საკმაოდ ძლიერი სექტაა, ძალიან მიმზიდველია, რომ მასზე უარი თქვა. ის დამღუპველი სწავლება იარაღის ძალით გავრცელდა და დღესაც იგივე მეთოდით აგრძელებს გავრცელებას. მე ვერ ვხედავ საშუალებას, რომ შეირყეს მისი არსი და ძირფესვიანად აღმოიფხვრას,

გარდა იმისა, რომელსაც თავად ისინი იყენებენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რაიმე ციურ სასწაულს და ამ საქმეში სანამ თვით ღმერთის ნება არ ჩაერევა, რისი იმედიც უნდა ვიქონიოთ, როგორც ეს მოხდა იაპონიაში, ჩინეთში და მეფე ჯეხან-გირის ზეობის დროს, ამის შესახებ მე უკვე გიამბეთ. ამასთანავე დავუმატებდი, თუმცა არ მსურს ვინმემ წინასწარმეტყველად შემრაცხოს, რომ მაჰმადიანების ქისტიანებად მოსაქცევად სერიოზულ წინაღამდეგობას მათდამი უპატივცემულობა წარმოადგენს, რომელსაც ქრისტიანები იჩენენ მაჰმადიანთა მიმართ, რაც არანაირად არ შეესაბამება ჩვენს რწმენას.

ჰოლანდიელებს თავიანთი ფაქტორია აქვთ აგრაში, სადაც ჩვეულებისამებრ ოთხი ან ხუთი წარმომადგენელი მუდმივად ჰყავთ. ადრე საკმაოდ მომგებიანად ვაჭრობდნენ წითელი ქსოვილებით, დიდი და პატარა სარკეებით, უბრალო ნაქარგებით, ოქროსი და ვერცხლის ნაქარგებით, ასევე ინდოეთში ყიდულობდნენ და ევროპაში გაჰქონდათ ანილი ანუ ინდიგო, რომელსაც აგრას შემოგარენში აგროვებდნენ, ასევე ბიანეშიც, რომელიც აგრადან ორი დღის სავალზე მდებარეობდა და ისინი წელიწადში ერთხელ მიემგზავრებოდნენ აინდიგოს შესყიდვის მიზნით, აქვე მათ საკუთარი სახლებიც კი გააჩნდათ. გარდა ამისა ყიდულობდნენ სხვადასხვაგვარ ქსოვილებს, რომლებსაც ღებულობდნენ ჯელაპურიდან, ასევე ლუკნოდან, რომელიც აგრადან შვიდი-რვა დღის სავალზე მდებარეობდა, იქაც აქვთ საკუთარი სახლები და წელიწადში ერთხელ, იქაც გზავნიან საკუთარ წარმომადგენლებს, მაგრამ ამ ეტაპზე, როგორც ამბობენ, ვაჭრობა ნაკლებად მომგებიანი გახდა, ეს გამოიწვია ან სომეხი ვაჭრების ჩარევამ ამ საქმეში, ან იმიტომ, რომ აგრადან სურატამდე ძალიან შორი მანძილია, ან იმიტომ, რომ ქარავნებს გზაზე ყოველთვის რაღაც უბედურება უნდა დამართნოდათ. ამისათვის, გვერდი უნდა აევლოთ გვალიორისა და ბრამპუნის ცუდი გზებისთვის და უფრო შორი გზა აერჩიათ, რომელიც რაჯების ტერიტორიების გავლით ახმედ-აბადისკენ გადიოდა. ჩემი აზრით ისინი უარს არ იტყვიან აგრაში საკუთარ ფაქტორიაზე, როგორც ეს ინგლისელებმა გააკეთეს, რადგან აგრაში ვაჭრობა უფრო მომგებიანია და თანაც უკვე ჰყავთ დაახლოებული პირები, რომლებსაც სამეფო კარზე მაღალი თანამდებობები უჭირავთ და შესაბამისად მათ ინტერესებს იცავენ, რაც ყოველთვის მომგებიანია, როდესაც რაიმე სიძნელე წარმოიშობა დაუ-

ყოვნებლივ მიმართავენ გუბერნატორებს ან სხვა მაღალი დონის სახელმწიფო ჩინოვნიკებს, ასევე იქცევიან ბენგალიაში, პატანში, სურატში და ახმედ-აბადში, მოკლედ ყველგან, სადაც ფაქტორია გააჩნიათ.

დასასრულს მინდა შევჩერდე ორ შესანიშნავ მავზოლეუმზე, რომლებიც სერიოზულ უპირატესობას ანიჭებს ამ ქალაქს, დელისთან შედარებით. პირველი მავზოლეუმი აშენდა ჯეხან-გირის ბრძანების შესაბამისად, საკუთარი მამის აკბარის უკვდავსაყოფად, ხოლო მეორე, შაჰ-ჯეხანის განკარგულებით, მისი მეუღლის ულამაზესი ქალბატონის ტაჯე-მეგალეს საპატივცემულოდ და მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად აიგო. შაჰი იმდენად იყო შეყვარებული ცოლზე, რომ არავითარ ყურადღებას არ იჩენდა სხვა ქლების მიმართ. როცა ცოლი გარდაეცვალა შაჰმა თავის მოკვლაც კი განიზრახა. მე არ მოვყვები მეფე აკბარის მავზოლეუმის შესახებ, რადგან თუ რაიმე მშვენიერი და დიდებული არსებობს ტაჯე-მაჰალიშია ჩაქსოვილი, მე მსურს შეძლებისდაგვარად აღვწერო ეს დიდებული ნაგებობა.

წარმოიდგინეთ, აგრაში, აღმოსავლეთის მხრიდან შემოსასვლელში თქვენ აღმოჩნდებით კარგად დასუფთავებულ, ფართე და გრძელ ქუჩაზე. ქუჩას ერთ მხარეს მაღალი და გრძელი კედელი გასდევს, რომლის მიღმა კვადრატული ფორმის ბაღია გაშენებული, (ის უფრო ფართეა ვიდრე სამეფო ბაღი საფრანგეთში) მეორე მხრიდან, ერთმანეთის მიყოლებით ლამაზი სახლებია აშენებული არკადებით, ისევე როგორც ეს დელიშია. ამის შემდეგ, როგორც კი მიუახლოვდებით კედლის შუაგულს, მარჯვენა მხარეს, დგას საკმაოდ დიდი სახლები და ლამაზი შესასვლელი მათ შორის, რომელსაც კარავან-სარაისთან მივყევართ, ხოლო მოპირდაპირე მხარეს დაინახავთ ოთკუთხა დიდებულ პავილიონს, რომლის გავლით მოხვდებით ბაღში, რომელიც ორ აუზს შორის არის გაშენებული, ეს აუზები ერთმანეთთან მჭიდროდ დალაგებული ქვებით არის მოპირკეთებული. ეს პავილიონი სიგრძეში ბევრად გრძელია, ვიდრე სიგანეში. პავილიონი ქვით არის ნაშენი, რომელიც ძლიან წაგავს წითელ მარმარილოს, მაგრამ ეს საშენი მასალა დიდი სიმტკიცით არ გამოირჩევა. ფასადი, ჩემი აზრით, უფრო დიდია და ფართე, ვიდრე სენტ-ანტუანის ქუჩაზე მდებარე სან-ლუის ფასადი. აქ, არ არის კოლინები, არქიტრაავები და კარნიზები, როგორც ეს არქიტექტურის წესებითაა გათვალისწინებული და მკაცრად არის დაცული საფრანგეთში

სასახლეების მშენებლობისას. ეს შენობა თავისებურია, მაგრამ მანიც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე და მსოფლიო არქიტექტურის წიგნში ნამდვილად იმსახურებს თავის დამსახურებული ადგილის დაკავებას. ის შედგება თითქმის ერთმანეთზე მიხვავებული არკადებით, გალერეები კი განლაგებულია არაერთგვაროვნად მაგრამ ეს ყველაფერი წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს. ერთიანობაში, ის კარგად ჩაფიქრებული და შესრულებული ნაგებობაა. ბოლოს როცა ის ვნახე, ერთ ფრანგ ვაჭართან ერთად ვიყავი. მე, ისევე როგორც ის ვაჭარი, თვალს ვერ ვაშორებდი ამ სანახაობას. ჩემი აზრის გამოხატვისგან თავს ვიკავებდი, ვიფიქრე, რომ ამ ხნის მანძილზე გემოვნება შემეცვალა და მხოლოდ ინდოელების „თვალით“ ვაფასებდი ინდოეთის ღირშესანიშნაობებს და მე მოხარული ვიყავი, როცა მისგან გავიგონე მისი აღტაცებული შეფასება, რომ მას მსგავსი დიდებული ნაგებობა საფრანგეთში და ევროპაშიც კი არ უნახავს.

პავილიონში რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, იმისათვის, რომ ბაღში მოხვდეთ, თქვენ აღმოჩნდებით მაღალი გუმბათის ქვეშ, რომელსაც გალერეები აქვს გარს შემოვლებული, ხოლო ქვევით, მარჯვნივ და მარცნივ, „დივანები“, ან ესტრადებია განლაგებული, რომლებიც მიწის ზედაპირიდან რვა-ცხრა ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს. კარების წინ დგას დიდი, სრულიად ღია არკადია, ის დიდ ალეაში შესასვლელი გზის დასაწყისია, რომელიც მთელ ბაღს ორ ტოლ ნაწილად ჰყოფს. ეს ალეა ტერასებად იყოფა, თვითოეული ტერასი კი, იმდენად ფართოა, რომ ექვსი კარეტა ერთმანეთის გვერდით თავისუფლად დაეტევა. გზა დიდი კავადრატული ქვებით არის მოპირკეთებული და ტერასას სიმაღლე, რვა ფუტის სიმაღლეც კი გახლავთ. ალეას, გასწვრივ, მთელ სიგრძეზე წყლის არხი გასდევს, რომელიც ქვებით არის მოპირკეთებული და არხში ერთმანეთის მიყოლებით, გარკვეული მანძილის დაშორებით ფანტანებია აშენებული, საიდანაც უხვად იფრქვევა წყალი და როდესაც ალეაში ოცდახუთ — ოცდაათ ნაბიჯს გადადგამთ, მობრუნდით და დააკვირდით შესასვლელს. თქვენ დაინახავთ პავილიონის განსხვავებულ ფასადს, რომელიც ბუნებრივია ვერ შეედრება ჩრდილოეთის ფასადს, რომელიც ქუჩაზე გადის და ის შესანიშნავია, არქიტექტურულად კი, ეს ორივე ფასადი მსგავსები გახლავთ, მაგრამ არა ერთნაირი. პავილიონის ორივე მხარეს, ბაღის

კედლის გასწვრივ გასდევს ტერასისებრი გრძელი და ღრმა გალერეა, რომელიც დაბალ კოლონებს ეყრდნობა და ერთმანეთთან ახლო-ახლოს არის განთავსებული. წვიმების სეზონზე ამ გალერეაში ღარიბებს უშვებენ, რომლებისთვისაც შაჰ-ჯეხანის მიერ დაფუძნებული ფონდის ხარჯზე კვირაში სამჯერ მოწყალებას იღებენ მათთვის.

თუ თქვენ ალეაში უფრო შორს წახვალთ, თქვენ დაინახავთ დიდ თაღს, აქ მდებარეობს სამარხი, ამ ადგილიდან მარჯვნივ და მარცხნივ „მიემართება“ ალეა, რომელიც საყვავილეებით არის მორთული. ამ ალეას ბოლოში, თაღის უკან, მარჯვნივ და მარცხნივ დაინახავთ ორ დიდ პავილიონს, რომელიც ისეთივე ქვისგან არის აშენებული როგორითაც პირველი პავილიონი. ეს დიდი კვადრატული შენობა ტერასებად არის აშენებული და თან ერთვის სამი ღია არკადი, მათი „სიღრმიდან“ კი ბაღის კედელი მოჩანს. როგორც მაღალ და ფართე გალერიაში ამ პავილიონების ქვეშაც თავისუფლად შეიძლება გაესეირნება.

მე არ გავამახვილებ ყურადღებას ამ პავილიონების შიდა მხარის მორთულობაზე, იმიტომ რომ კედლები, იატაკი და ჭერი ნაკლებად განსხვავდება სხვა შენობებისგან. მე მსურს თქვენი ყურადღება გავამახვილო შემდეგზე, რომ ალეებს შორის აშენებულია აუზები ყვავილნარით, შემჭიდროვებულად ნაგები ქვები სხვადასხვა ორნამენტებით არის მოპირკეთებული და მასზე განთავსებულია დიდი ქოთნები, რომლებშიც სხვადასხვაგვარი ყვავილებია ჩარგული. ამ აუზებიდან კარგად მოსჩანს შენობის ნაწილი, სადაც მდებარეობს სამარხი, რომელსაც ამჯერად გაგაცნობთ. ეს გახლავთ დიდი სივრცე რომელიც თეთრი მარმარილოსგანაა აშენებული. ის პარიზში მდებარე ვალ-დე-გრასის მოცულობისაა, გარშემორტყმული მარმარილოს სალტეებით, რომლებშიც ამოკვეთილია საფეხურები, რომელსაც დაბლა ჩავყევართ და ოთხი დიდი არკადი უზრუნველყოფს მთელი ნაგებობის სიმყარეს, აქედან სამი, შენობის გარეთ გამოდის, ხოლო მეოთხე, დარბაზის კედლებშია მოქცეული და შიგნით გალერეაა განთავსებული, სადაც მოლები შეუსვენებლივ კითხულობენ ყურანს ტაჯე-მაგალეს საპატივცემულოდ. არკადის ცენტრი, მრგვალი მარმარილოს ფილებია, რომლებზეც შავი მარმარილოთი არაბული ასოებით წარწერებია გაკეთებული და საკმაოდ ეფექტურად გამოიყურება. შიდა, ანუ ჩაზნექილი ნაწილი და კედლები მთლიანად თეთრი მარმარილოთია მოპირკეთე-

ბული. ეს ყველაფერი საკმაოდ მაღალ დონეზე და დიდი გემოვნებითაა შესრულებული. ხოლო გარშემო თქვენ იხილავთ ნეფრიტს, (ამ ქვისგან ფლორენციაში დიდი ჰერცოგის სამლოცველოა მოპირკეთებული) ან სხვა იშვიათ და ძვირფას ქვებს, რომლებიც მარმარილოს მოსაპირკეთებლად არის გამოყენებული და დიდებულ, განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. ჩაზნექილი ადგილის ქვეშ პატარა ოთახია, რომელშიც მდებარეობს სამარხი. მე იქ არ შევსულვარ, რადგან მას დიდი ცერემონიის შემდეგ ხსნიან წელიწადში ერთხელ, ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ იქ, ქრისტიანს არ უშვებენ, რადგან შიშობენ რომ ამით წმინდა საფლავი შეიბღალება. სხვების ნაამბობზე დაყრდნობით გეტყვით, რომ სამარხი სავსეა საგანძურით, მსგავსი საგანძურის წარმოდგენაც კი შეუძლებელია.

ისღა დამრჩენია რომ თქვენი ყურადღება ალლეაზე მივაპყრო. აღმავალი ტერასები, რომელთა სიგანე ოცი ან ოცდახუთი ჩვეულებრივი ნაბიჯის ტოლია, ხოლო სიმაღლით კი, კიდევ უფრო მეტი. ეს ალლეა მდებარეობს ცენტრალურ შენობასა და ბაღს შორის. იქიდან იშლება ხედი მდინარე ჯემნუსზე, რომელიც თავქვე მიედინება და დიდ ფართობზე დაფარულია ბაღებით, ასევე აგრას სანაპირო ზოლში ციხე-სიმაგრის სიახლოვეს აშენებულია ლამაზი სახლები, რომელიც ემირებს ეკუთვნით.

მე მიმაჩნია რომ ტაჯი-მაჰალი მსოფლიოშო უნიკალური ნაგებობაა, ვერ გეტყვით, მე იქნებ უკვე ინდური გემოვნება განმივითარდა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ტაჯი-მაჰალი მსოფლიოს ერთერთი საოცრებაა და არა ის უფორმო ეგვიპტური პირამიდები, რომლებიც ეგვიპტეში მოგზაურობისას ვიხილე. მეორედ, როდესაც დავათვალიერე ისინი, მხოლოდ ქვის ლოდების გროვად მომეჩვენა და მეტი არაფერი, ხოლო შიდა მხარე ნაკლებად გამოხატავს ხელოვნების ნიმუშს.

წერილი დაწერილია 1663 წლის 1 ივლისს დელიში.

წერილი ბატონ შაპლანს

(გამოგზავნილია შირაზიდან სპარსეთში 1667 წლის 4 ოქტომბერს)
ცრურწმენაზე, ინდუსების უცნაური ჩვეულებების და
სარწმუნოებრივი სწავლებების ანუ
კერპთაყვანისმცემლობის შესახებ ინდოსტანში.
(აქედან ჩანს, რომ არ არსებობს მოსაზრება,
რაოდენ სასაცილო და სულელურიც არ უნდა იყოს იგი,
რომ მათ ადამიანები მის სისწორეში ვერ დაარწმუნონ)

მოწყალეო ხელმწიფევ!

თუ მე შევძლებდი რომ კიდევ ასი წელი მეცოცხლა, ალბათ ვერასდროს დავივიწყებდი მზის დაბნელებას. პირველად ეს მოვლენა საფრანგეთში ვიხილე 1654 წელს და მეორედ დელიში, ინდოეთში, თუ მეხსიერება არ მღალატობს 1666 წელს. პირველად, მზის დაბნელება ჩემს წარმოდგენაში ბავშვისთვის წამლის დალევისას თანმდევ შიშს დაემსგავსა. მე მახსოვს, რომ შიში იმდენად ძლიერი გახლდათ საზოგადოებაში, რომ ხალხი ყიდულობდა წამლებს რათა თავი დაეცვათ „მზის დაბნელებისგან“, ზოგიერთები კი, ბნელ სარდაფებში ან ოთახებში იკეტებოდნენ, რომ მზის შუქს არ შეეღწია მათ სამყოფელში, დანარჩენები კი ბრბოებად მიაწყდნენ ეკლესიას, ყველას ეშინოდა ბოროტი და მრისხანე სულის, ზოგს კი მიაჩნდა რომ ქვეყნის აღსასრული დგებოდა და „დაბნელება“ ქვეყნიერებას გადაატრიალებდა. ამ დროს არავის გახსენებია რას ამბობდა გესსენდი, რობერვალი (ცნობილი ფრანგი მათემატიკოსი 1602-1675 წ.) და სხვა ცნობილი ასტრონომები და ფილოსოფოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ „დაბნელება“ არავითარ ბოროტებას არ გამოხატავს და ეს ჩვეულებრივი ასტრონომიული მოვლენაა და მისი დადგომის დროის გამოცნობაც კი არის შესაძლებელი და არ უნდა დაუჯერონ შარლატენების სიცრუეს.

მზის დაბნელება, რომელიც ვიხილე დელიში, სასაცილო და საოცარი ცრურწმენების ფონზე, კარგად დამამახსოვრდა. იმ დროისთვის, როცა დაბნელება უნდა დაწყებულიყო, ჩემი სახლის, რომელიც მდინარე ჯამნის სანაპიროზე მდებარეობდა, ტერასაზე ავედი. იქიდან მე დავინახე, რომ მდინარის ორი ნაპირი მთელი ლიეს მანძილზე ინდოელებით იყო სავსე, ანუ წარმართებით, რომლებიც ერთმანეთთან

შემჭირდოვებულად იდგნენ და თვალები ცისკენ ჰქონდათ მიპყრობილი, ისინი დაბნელებას ელოდებოდნენ, რომ წყალში ჩაყურყუმელავებულიყვნენ და განბანულიყვნენ. პატარა გოგონები და ბიჭები სრულიად შიშვლები იყვნენ, მამაკაცები მხოლოდ თეძოს დაბლა იყვნენ შემოსილები, გათხოვილი ქალები და გოგონები მხოლოდ იყვნენ ზეწრებში გახვეულები. დიდებულები, მაგალითად რაჯები (ინდოეთის სუვერენული თავადები), სამეფო ჯამაგირზე მყოფი ბანკირები, იუველირები, მდიდარი ვაჭრები და სხვები, მდინარის მეორე ნაპირზე თავიანთი ოჯახებით მოვიდნენ. მდინარის ნაპირზე კარვები გაშალეს და მდინარეში თოკებიც ჩაუშვეს, ეს ყველაფერი ცერემონიისთვის იყო საჭირო, რომ განბანვისას ისინი არავის შეემჩნია, ამის შემდეგ, ამ კერპთაყვანისმცემლებმა დაინახეს, რომ დაბნელება იწყებოდა, ხმამაღალი ყვირილი ატეხეს და წყალში ჩაყურყუმელავდნენ, შემდეგ წყალში დადგნენ, ხელები და თვალები ზეცას მიაპყრეს და ლოცვა დაიწყეს, დროგამოშვებით კი ხელებით მდინარიდან წყალს იღებდნენ და მზის მიმართულებით ზევით ასხავდნენ, შემდეგ თავს ხრიდნენ და ხელებით ჩემთვის გაურკვეველ მოძრაობებს აკეთებდნენ. ასე იქცეოდნენ მანამდე ვიდრე მზის დაბნელება არ დამთავრდა. შემდეგ მდინარიდან ამოსვლა დაიწყეს, ვერცხლის მონეტები მდინარეს შესწირეს და მოწყალება გასცეს ქურუმებისთვის, რომლებიც ბუნებრივია ამ რიტუალს ესწრებოდნენ. მე დავაკვირდი, რომ ეს ადამიანები წყლიდან ამოსვლის შემდეგ ახალ ტანსაცმელს იცვამდნენ, რომელიც სუფთად დაედოთ ქვიშაზე, მაგრამ ზოგიერთი, განსაკუთრებულად რელიგიური მოღვაწეები, საკუთარ ძველ ტანსაცმელს ქურუმებს ჩუქნიდნენ.

ჩემი ტერასიდან მე ვაკვირდებოდი მზის დაბნელების მიმართ სადღესასწაულო განწყობას, ანალოგიური რიტუალები სრულდებოდა ყველგან და ამგვარი დამოკიდებულება გახლდათ მთელ ინდოეთში, ინდის და განგის სანაპიროზე, ასევე სხვა მდინარეების სანაპიროებზე, ინდოეთის ტბების სანაპიროებზე, განსაკუთრებით ტანაიზერზე, რომელიც ანალოგიური მოვლენების დროს „იტევს“ ორმოცდაათი ათას და მეტ ადამიანს, რომლებიც მთელი იმპერიიდან მოდიან მის სანაპიროზე. ამ ტბის წყალი ითვლება ყველაზე მეტად წმინდა წყლად, ვიდრე სხვა დანარჩენი ტბების წყლები.

დიდი მოგოლი, მიუხედავად იმისა რომ მაჰმადიანი გახლდათ, ნებას რთავდა ინდუსებს დაეცვათ და შეესრულებინათ მათი ცრურწმენიდან გამომდინარე რიტუალები. მას არ სურდა, ან არ ერეოდა მათ რელიგიურ მსახურებაში. მაგრამ ეს ყველაფერი შეიძლება წარიმართოს თუკი ქურუმების დეპუტაცია ფადიშაჰს, ლაკ-რუპიას, ანუ ასი ათას რუპიას მიართმევს, რაც ორმოცდაათი ათას ეკიუს უდრის. სამაგიეროდ ფადიშაჰი ჩუქნის რამდენიმე მოსასხამს და რომელიმე დაბერებულ სპილოს.

ეხლა მსურს მოგახსენოთ, რამდენად სოლიდური არგუმენტები მოჰყავთ ამ წესების და რიტუალების შესახებ, რომელიც მზის დაბნელების დროს სრულდება.

ისინი ამბობენ, რომ მათ გააჩნიათ ოთხი ვედი, ანუ კანონების ოთხი წიგნი, ესენი გახლავთ ღვთაებრივი წმინდა წიგნები, რომლებიც მათ გადმოეცათ ბრამის მეშვეობით. ეს წიგნები გვასწავლიან, რომ ერთ-ერთი დეუტა, რომელიც ხორცშესხმული ერთ-ერთი ღვთაებაა, წარმოადგენს მეტისმეტად ბოროტ და შურიან, უკიდურესად არაკეთილსინდისიერ (ამ მახასიათებელს განსაკუთრებულად უსვამენ ხაზს) ფენომენს, რომელიც ეუფლება მზეს და აშავებს მელანივით და აბნელებს მას. მზე, რომელიც ასევე ღვთაებაა (დეუტა), წარმოადგენს უაღრესად სასიკეთო და სრულყოფილ ფენომენს, რომელიც ამ დროს ბოროტების ხელშია, შესაბამისად დიდ ზეწოლას და ტკივილს განიცდის. მზის ხსნა ასეთი მძიმე მდგომარეობიდან თვითოეული ადამიანის ვალია და შესაბამისად ამის მიღწევა მხოლოდ ლოცვით, განწმენდით და მოწყალების გაცემით არის შესაძლებელი. ყოველ მოქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მზის დაბნელების დროს, მოწყალების გაცემა ამ დროს ასჯერ უფრო ფასეულია, ვიდრე სხვა დროს, რადგან ვინ იტყვის უარს სამაგიერო ას პროცენტიან შემოსავალზე? მათ ასე სჯერათ...

აი, ეს ორი მზის დაბნელების ეპიზოდი, რომელიც მინახავს და არასდროს დამავიწყდება.

მე კიდევ მსურს გიამბოთ ინდუსების სხვა უცნაურობების შესახებ და შესაბამისად დასკვნები თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გააკეთოთ.

ქალაქ ჯაგანნატეში, რომელიც ბენგალიის ყურის ნაპირზე მდებარეობს, სადაც აღმართულია იმავე დასახელების სახელგანთქმული

კერპი, ყოველწლიურად იმართება ზეიმი, რომელიც თუ მხსიერება არ მღალატობს, რვა ან ათი დღე გრძელედება. ამ ზეიმზე წარმოუდგენლად დიდი რაოდენობით ხალხი იყრის თავს, როგორც ძველ დროში ამონის (ეგვიპტური ღვთაება, მზის ღმერთი, ტაძარი, რომელზეც აქ არის საუბარი, მდებარეობს სიულას ოაზისთან, ალექსანდრიიდან ათი დღის სავალზე) ტაძარში და როგორც ეხლა ხდება მექაში ახლანდელ დროში. ამბობენ რომ ამ დღესასწაულზე ასი ათას ადამიანზე მეტი იკრიბება. აგებენ უზარმაზარ ხის მანქანას (მე მსგავსი რამ ინდოეთის სხვა კუთხეებშიც მინახავს), რომელიც რაღაც ზღაპრულ ფიგურებს გამოსახავს და ძალიან ჰგავს ორ თავიან დრაკონს, ნახევრად ადამინის და ნახევრად ცხოველის ტანით. თავები კი, ერთი სატირის თავია, მეორე კი ეშმაკის. მანქანა დგას თოთხმეტ ან თექვსმეტ ბორბალზე, ისევე როგორც ზარბაზანი თავის ლაფეტზე, რომელსაც თხუთმეტი ან თექვსმეტი ადამიანი მიათრევს. ამ მანქანის შუაში, გამოსაჩენ ადგილზე დგამენ ჯაგანნატის კერპს, რომელიც შესაშურად არის მორთული და ეს მანქანა მიჰყავთ ერთი ტაძრიდან მეორეში.

პირველ დღეს, როცა ტაძარში კერპს საზეიმოდ აჩვენებენ ხალხს, ამ დროს ადამიანთა უდიდესი ნაწილი, ბრბო, მიაწყდება ხოლმე და წარმოიქმნება ისეთი ჭყლეტვა, რომ ეს ზეიმები, ხშირად მსხვერპლით მთავრდება. ამასთან ერთად ამ ჭყლეტვაში დახოცილ ადამიანებზე ამბობენ, რომ მათ წილად ხვდათ უდიდესი პატივი, გარდაიცვალოს ამ წმინდა რიტუალის დროს და როცა ეს ჯოჯოხეთის ეტლი ასრულებს თავის ადგილმონაცვლეობას, ამ დროს გამოჩნდებიან ადამიანები (მე ამ სიტყვებს არ ვიგონებ), იმდენად უგნურები და ცრუმორწმუნეები, რომ ამ ორჩხომელის თვლებს მიწაზე უწვებიან, რომ მისმა უზარმაზარმა და მძიმე თვლებმა გაჭყლიტოს ისინი. მათი რწმენით, არ არსებობს ადამიანისთვის იმაზე დიდი გმირობა და ღირსეული საქციელი ვიდრე თვითშეწირვა. მათ სწამთ, რომ ჯაგანნატი, მათ, შვილებად მიიღებს და ახალ სიცოცხლეს უბოძებს, მაშინ მათ მიეცემათ ბედნიერება და მაღალი მდგომარეობა.

ქურუმები ყოველ მხრივ ცდილობენ წაახალისონ ეს უგუნური ცრუ რწმენა საკუთარი მოგების მიზნით და პირადი ინტერესებისთვის. მე მინდა გითხრათ, რომ ისინი ამით ამტკიცებდნენ, თითქოს უდიდესი საიდუმლოების და სწავლების მფლობელები იყვნენ, შესაბა-

მისად ხალხში ნდობის და პატივისცემის მოპოვებას ასე ცდილობდნენ. ქურუმები იმდენად ამაზრზენ სიცრუეს და სიმდაბლეს კადრულობენ, რომ ამის დაჯერება უბრალოდ წარმოუდგენელი გახლდათ, თავად მე რომ არ დავრწმუნებულიყავი ამაში. ეს ნაძირლები არჩევენ ულამაზეს ასულს, რომელსაც (როგორც ისინი ამბობდნენ და აიძულებენ ხალხიც დააჯერონ) ჯაგანნატის საცოლედ აკურთხებენ. კერპთან ერთად ეს ასულიც ტაძარში გადაჰყავთ ზარზეიმით. მთელი ღამით ტოვებენ მარტოს ტაძარში და არწმუნებენ, რომ ჯაგანნატი მასთან მოვიდოდა ღამე და მასთან ერთად დაიძინებდა. გოგოს მხოლოდ ერთ დავალებას აძლევდნენ, ღვთაებისთვის უნდა ეკითხა, რამდენად უხვმოსავლიანი იქნებოდა ეს წელი, ასევე, რომელი პროცესიები, ზეიმები, ლოცვები, ასევე უნდა აღევლინათ მოწყალების მისაღებად რა უნდა მოემოქმედებინათ ადამიანებს. ღამე ერთ-ერთი ამ მატყუარებიდან ჩუმად შეიპარებოდა ტაძარში, ურთიერთობას ამყარებდა ასულთან და პასუხს აძლევდა ყოველ შეკითხვაზე, რომელსაც გოგონა დაუსვამდა. მეორე დილით ტრიუმფალური სვლით მოჰყავთ გოგონა ჯაგანნატთან, როგორც მეუღლესთან ერთად და ქურუმი გოგონას მიერ ნაამბობს ხალხს ამცნობდა როგორც ჯაგანნატის წმინდა სიტყვებს.

მსურს კიდევ გიამბოთ სხვა ხალხების უგნურობაზეც.

ეტლის წინ, რომელზეც კერპია დადგმული, ასევე დეუახზე, ანუ კერპთა ტაძრებში, ზეიმის დროს ცეკვავენ მეძავეები, აჩვენებენ უჩვეულო, „უწესო“ მოძრაობებს და პოზებს. მიუხედავად ამისა ქურუმებს მიაჩნიათ, რომ ეს ყველაფერი მათ რელიგიასთან სრულ თანხვედრაშია. მე ვიყავი მოწმე, რომ ეს ქალები რომლებიც განთქმულნი იყვნენ სილამაზით და თავდაჭერილობითაც, არ ღებულობდნენ საჩუქრებს არც მაჰმადიანებისგან, არც ქრისტიანებისგან და არც სხვა რჯულის ადამიანებისგან, რადგან საკუთარ თავს ტაძარს უძღვნიდნენ და მათ ქურუმების და ფაკირების მსახურებად აღიარებდნენ, რომლებიც ჩვეულებისამებრ ტაძრის გარშემო ფერფლში იჯდნენ, ზოგიერთი კი სრულიად შიშველი, გრძელი თმებით და ძალიან ჰგვანან მიგერას. მაგრამ ნუ ჩევჩერდებით ამ უგნურებაზე.

ბევრი მოგზაური ყვება ინდოეთში ქალების თვით დაწვაზე. მეც მსურს ამის შესახებ მოგითხროთ, მაგრამ წინასწარ მინდა აღვნიშნო, რომ ინდოეთში ქალების მიერ საკუთარი თავის დაწვის შესახებ მო-

ნათხრობები გადაჭარბებულია და ეხლა ინდოეთში ქალები საკუთარი თავის დაწვას იშვიათად სჩადიან, ვიდრე ეს წინათ ხდებოდა. მაჰმადიანები, რომლებიც ეხლა ქვეყანას მართავენ, წინაღამდეგები არიან ამ ბარბაროსული ჩვეულებისა და ყოველ მხრივ ხელს უშლიან მის გამოვლინებას. მართალია მათ სრულიად არ აღუკვეთავთ ეს ჩვეულება-რიტუალი, რადგან ამბოხს მოერიდნენ, მაჰმადიანები კერპთაყვანისმცემლებს ხელს არ უშლიდნენ თავიანთ მსახურებაში, რადგან ამ ხალხის რაოდენობა ბევრად აღემატებდა მაჰმადიანთა რაოდენობას ინდოეთში. მათ შემოიღეს მარტივი წესი, ქალს რომელსაც საკუთარი თავის დაწვა სურდა ნებართვა პროვინციის გუბერნატორისგან უნდა მიეღო, შესაბამისად გუბერნატორები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ „მსხვერპლს“ ხელი აეღო ამ უგნურ განზრახვაზე. გუბერნატორი თავისთან იხმობდა ქვრივ ქალს, ცდილობდა შთაეგონებინა მისთვის მაცდური წინადადება, ხანდახან საკუთარ ქალებთანაც აგზავნიდა, რომ როგორმე გადაეფიქრებინა მისთვის ამ ბარბაროსობის ჩადენა. მიუხედავად მრავალი წინაღამდეგობისა, თვით დაწვა მაინც ხდებოდა და არც ისე იშვიათად, განსაკუთრებით რაჯების ტერიტორიაზე, სადაც მაჰმადიანი გუბერნატორები არ იყვნენ. მე არ მოვყვები იმ ქალების შესახებ, რომელთა დაწვასაც პირადად შევესწარი. მე მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ და დასკვნები თვითონ გააკეთეთ. მე მინდა თხრობა ერთი ქალის ისტორიით დავიწყო, რომელიც მე გამომიგზავნეს რათა გადამეფიქრებინა მისთვის ეს საშინელი თვითგანაჩენი.

მე მყავდა ერთი მეგობარი სახელად ბანდიდასი, რომელიც მთავარ გადამწერად მუშაობდა ჩემს აღა დანეშმენდ-ხანთან. ბანდიდასი ციებ-ცხელებისგან გარდაიცვალა, მე მას ორი წლის განმავლობაში ვმკურნალობდი. მისმა მეუღლემ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ დაეწვა თავი გარდაცვლილ მეუღლესთან ერთად, მაგრამ მისი ნათესავები, რომლებიც აღასთან მუშაობდნენ ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ ქალს ამ გადაწყვეტილებაზე ხელი აეღო. ისინი მიუთითებდნენ მას იმ კეთილშობილური და ოჯახისთვის ღირსეული გადაწყვეტილების შესახებ, რომ ქალმა უნდა გაითვალისწინოს თავისი მცირეწლოვანი შვილები და რომ არავითარი უფლება არ აქვს ბედის ანაბარა მიეტოვებინა ბავშვები, აგონებდნენ, რომ მას უნდა ეზრუნა შვილების მომავალზე, რომ მას უნდა დაეძლია ქმრისადმი სიყვარული და ეფიქრა

მომავალზე და შვილებზე... ნათესავებმა ვერაფერი ვერ გააწყეს, ქალი მტკიცედ იდგა და გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებდა, მაშინ ნათესავებმა დახმარებისთვის მე მომმართეს, ვითომდა აღას თხოვნით, რადგან მე გარდაცვლილის ახლო მეგობარი ვიყავი. მე დავთანხმდი და როცა შენობაში შევედი სადაც მიცვალებული იყო დაბრძანებული, გავოგნდი, იქ ნამდვილი კუდიანების ჯგუფი დამხვდა, შვიდი თუ რვა საშინელი შესახედაობის მოხუცი ქალი და ოთხი თუ ხუთი მოხუცი ქურუმი ცხედრის გარშემო დამდგარიყვნენ, საშინლად აღზნებულები გაურკვეველ სიტყვებს იძახდნენ, კიოდნენ და ხელის გულებს მთელი ძალით სცემდნენ ერთმანეთს. ქვრივი ქალი კი, გარდაცვლილი ქმრის ფეხებთან იჯდა. საცოდავ ქალს თმები ჩამოშლოდა და სახე სრულიად გაფითრებოდა, უცრემლო თვალებს აკვესებდა და დრო და დრო ხელის გულებს ძალუმად შემოჰკრავდა ერთმანეთს.

როცა ეს ყვირილი და მთელი ეს სოდომი დროებით შეჩერდა, მე მივუახლოვდი ქალს და წყნარი ხმით ვუთხარი, რომ დანეშმენდ-ხანის სურვილით ვეახელი მას და ვაცნობე დანიშნული ყოველთვიური პენსიის შესახებ, რომელიც ორ ეკიუს შეადგენდა თვითოეული შვილისთვის, ეს პენსია მხოლოდ იმ შემთხვევაში შევიდოდა ძალაში, თუ ის უარს იტყოდა თვითდაწვაზე და შვილების მოვლა-პატრონობაზე იზრუნებდა. ასევე დავსძინე, რომ უკიდურეს შემთხვევაში ჩვენ გავაკეთებდით ყველაფერს, რომ თვითდაწვა არ დაგვეშვა და მივიღებდით ყველა ზომებს რათა დაგვესაჯა ყველა ამ ვანდალიზმის ხელშემწყობი ნებისმიერი პირი, მაშინ როდესაც მთელი მისი ნათესავები ეწინაღამდეგებიან ამ ჯოჯოხეთურ გადაწყვეტილებას. ასევე დავამატე, რომ მას არავინ ჩათვლიდა არაკეთილსინდისიერ ადამიანად, რომელსაც არ ეყო გამბედაობა ქმრის გარდაცვალების გამო თავი დაეწვა. მე რამდენჯერმე გავიმეორე ჩემი მოსაზრება, მაგრამ მისგან პასუხი არ მიმიღია. ბოლოს და ბოლოს ქალმა მაღალფარდოვანი სიტყვებით მომმართა, „კარგით, რადგან თავის დაწვის საშუალებას არ მაძლევთ, მე თავს ვახლი კედელს“, მე კი ვუპასუხე: „— დაე ასე იყოს, მაგრამ ჯერ შენი შვილები დაახრჩვე უბედურო და დაწვი შენთან ერთად, რადგან უშენოდ მათ შიმშილით სიკვდილი ელით, მე მივდივარ დეენეშმენდ-ხანთან და ვთხოვ პენსია გააუქმოს“. ეს სიტყვები ხმამაღლა და მუქარით წარმოვთქვი, როგორც ეს ჩემთვის იყო შესაძლებელი

და ამ მოქმედებამ თავისი საქმე გააკეთა. ქალმა თავი დახარა და იქ მყოფმა დედაბრებმა და ქურუმებმა შენობა დატოვეს. მაშინ ნათესავები, რომლებიც თან მახლდნენ, ქალს მიუახლოვდნენ და საუბარი დაუწყეს. მე ჩავთვალე, რომ ჩემი საქმე უკვე გავაკეთე და სახლში დავბრუნდი, უკვე დარწმუნებული, რომ ამ ქალის ნათესავები ყველა დანარჩენ საქმეებს უჩემოდაც მოაგვარებდნენ. საღამოს დანეშმენდ-ხანისკენ გავემართე რათა მომეთხრო ამ ამბის შესახებ. ვუამბე თუ როგორ შევხვდი ქვრივის ნათესავებს, ჩემი და ქვრივს შორის საუბრის დეტალებიც მოვუყევი აღას, ვუთხარი, რომ გარდაცვლილის სხეული დაწვეს, ხოლო ქვრივმა კი უარი თქვა ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლაზე.

რაც შეეხება ქალებს, რომლებმაც თავი დაიწვეს, მე ბევრჯერ დავსწრებივარ ამ „ცერემონიას“ და ვიტყვი, რომ მძაგს ეს ყველაფერი, უკვე შიშს მგვრის იმაზე ფიქრი, რომ ალბათ კიდევ მომიწევს მსგავსი სისაძაგლის ყურება. მე შევეცდები გიამობოთ ზოგიერთი შემთხვევის შესახებ, რომლის შემსწრე თავად ვიყავი, თუმცა ალბათ გამიჭირდება ზუსტად გადმოვცე „მსხვერპლის“ სულიერი სიმტკიცე და გადაწყვეტილების ურყეობა. ამ ყველაფრის წარმოდგენა შეუძლებელია, ეს უნდა ნახო.

ერთხელ, როცა ახმედაბადიდან აგრაში მივემგზავრებოდი, გზად იქაური რაჯების ტერიტორიაზე უნდა გაგვევლო. გზად თავი ერთ ადგილს შევაფარეთ, სადაც ხეების ჩრდილში გვსურდა სიცხეს შევფარებოდით და საღამო ხანს, როცა სიცხე გადაივლიდა გზას გავნაგრძობდით აგრასკენ. ამ დროს შეგვატყობინეს რომ ვიღაც ქალი აპირებდა საკუთარი თავის დაწვას ქმრის ცხედართან ერთად და მე დაუყოვნებლივ გავემართე იმ ადგილისკენ, მივუახლოვდი თითქმის ამომშრალ აუზს სადაც ეს რიტუალი უნდა აღსრულებულიყო. მე დავინახე აუზის ფსკერზე დიდი ორმო, რომელიც შეშით იყო სავსე და მასზე გარდაცვლილი მამაკაცის სხეული ესვენა, ხოლო მის გერდით კი საკმაოდ ლამაზი ქალი იჯდა, შემდეგ ოთხი თუ ხუთი ქურუმი მიუახლოვდა მათ და შეშას ყოველი მხრიდან წაუკიდეს ცეცხლი, ხუთ, შუა ხნის კარგად ჩაცმულ ქალებს კი, ერთმანეთისთვის ხელი ჩაეჭიდათ და კოცონის გარშემო მღეროდნენ და ცეკვავდნენ და ამ ყველაფერს შესცქეროდა ადამიანთა დიდი ბრბო. ცეცხლის ალი უცბათ მოედო შეშას, რომე-

ლიც ზეთით იყო გაჟღენთილი, ვხედავდი როგორ მისწვდა ალი ქალის ტანსაცმელს და მე გავოცდი, ქალი უდრტვინველად და ურყევად ელოდა სიკვდილს. მე მითხრეს, რომ მსხვერპლად შეწირულმა ქალმა წარმოთქვა სიტყვები „ხუთი“ და „ორი“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს ქალი უკვე ხუთჯერ დაიწვა ერთი და იგივე მეუღლესთან ერთად და მას კიდევ ორჯერ მიეცემა საშუალება, სწავლების შესაბამისად ამის შემდეგ მისი სული სრულყოფილებას მიაღწევს. შეიძლება იფიქროთ, რომ სიკვდილის დადგომის მომენტში მასზე წინასწარმეტყველის სული გადმოვიდა, ან იდუმალი მეხსიერება „გაიხსნა“. ეს ყველაფერი ჯოჯოხეთური ტრაგედიის დასაწყისი გახლდათ. მე მეგონა რომ იმ ხუთი ქალის ცეკვა და სიმღერა, მხოლოდ ცერემონიის ნაწილი იყო და მეტი არაფერი, მე არაფერი ვიცოდი ამ რიტუალის შესახებ და უკიდურესად გავოცდი, როდესაც დავინახე როგორ გადაეშვა ცეცხლის ალში ერთ-ერთი მათგანი და როცა მასაც მისწვდა ცეცხლის ალი, კიდევ მეორე ქალიც მოწყვეტით შევარდა ცეცხლში. ჩემ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დანარჩენი სამი ქალი, სრული სიმშვიდით განაგრძობდა ცეკვას და სიმღერას, ჩემდა გასაოცრად ისინიც ერთმანეთის მიყოლებით ჩაცვივდნენ ცეცხლში. მე მაღიზიანებდა ეს ყველაფერი, მაღიზიანებდა ისიც, რომ ვერ მივხვდი რას ნიშნავდა ეს რიტუალი და რას ემყარებოდა ამ ადამიანების თავგანწირვა. მალე-ვე ამიხსნეს, რომ ეს ხუთი ქალი იყვნენ გარდაცვლილი ცოლ-ქმარის მონები და მათ იმდენად გულთან ახლოს მიიტანეს თავიანთი ქალბატონის მწუხარება ქმრის ავადმყოფობისა და შემდეგ გარდაცვალების გამო, რომ ასეთი წარმოუდგენელი თავგანწირვით გამოხატეს საკუთარი ბატონების მიმართ ერთგულება და მწუხარებაში მოზიარეობა.

უმეტესობა იმ ადამიანებისა ვისაც გამოვკითხე თუ რა იყო ქალების თვითდაწვის მიზეზი, მათ მიპასუხეს, რომ ეს ქმრისადმი ერთგულების განსაკუთრებულ გამოხატულებას წარმოადგენდა. მაგრამ მალე მე დავრწმუნდი, რომ ამ რიტუალს და ადამიანებში მყარად „ფესვგადგმული“ ტრადიცია და რელიგიური სწავლება წარმოადგენდა. დედები ჯერ კიდევ მცირე ასაკიდან აჩვევენ და უნერგავდნენ საკუთარ ასულებს ამ რიტუალის სიწმინდის მნიშვნელობას, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით ეს სწავლება მამაკაცების მოგონილი უნდა იყოს, რათა მეუღლე განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენდეს მის მი-

მართ და ავადმყოფობის დროს ცოლმა სასიკვდილოდ არ გაიმეტოს და არ მოწამლოს.

მე მსურს მოგითხროთ სხვა ისტორიაც, რომლის დროსაც, მიუხედავად იმისა რომ თვითონ არ შევსწრებივარ და უაღრესად საინტერესო თავისებურებით გამოირჩევა. ინდოეთში ეს ისტორია იმდენად ცნობილია, რომ ვერავინ ვერ შეიტანს ეჭვს მის ჭეშმარიტებაში. ასევე დავამატებ, რომ ამ ისტორიამ ევროპამდეც კი მოაღწია და ეხლა მე მსურს ეს ისტორია თქვენც გიამბოთ.

თურმე ერთ ქალს სასიყვარულო ინტრიგები დაუწყია ახალგაზრდა მუსულმან ვაჟთან, ეს ვაჟი ქალის მეზობლად ცხოვრობდა და ტანსაცმლის კერვით ირჩენდა თავს, ასევე ტამბურინზეც შესანიშნავად უკრავდა. ქალმა ქმარი მოწამლა იმ იმედით, რომ ვაჟი მას ცოლად შეირთავდა. ქალმა საყვარელ ვაჟს უამბო ქმრის მოწამვლის შესახებ და შესთავაზა დაუყოვნებლივ გასცლოდნენ აქაურობას, რადგან წინაღამდეგ შემთხვევაში მას ქმრის ცხედართან ერთად თავის დაწვა ელოდა. ახალგაზრდა კაცს შეეშინდა, რომ ამ არასასიამოვნო ისტორიაში გარეულიყო და ქალს უარი უთხრა. ქალი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გაემგზავრა ნათესავებთან და შეატყობინა ქმრის გარდაცვალების შესახებ და ასევე სურვილი გამოთქვა ქმართან ერთად დაეწვათ იგი. ამ დიდსულოვნების გამოხატულების გამო სანათესაოს ძალიან გაუხარდა და დაუყოვნებლივ დაიწყეს ორმოს ამოთხრა, რომელიც შემდეგ შეშით აავსეს და ზედ მიცვალებულის გვამი დააწვინეს, ცეცხლიც დანთეს. როცა ყველა სამუშაოს მორჩნენ ქალმა ნათესავებს ჩამოუარა და სიკვდილის ნინ სათითაოდ ემშვიდობებოდა თვითოეულს, ჭირისუფლებს შორის ის ვაჟიც მდგარა სხვა მუსიკოსებთან ერთად და ტამბურინზე უნდა დაეკრა, როგორც ამ ქვეყნის ტრადიცია ითხოვდა. როდესაც ქალი მიუახლოვდა ვაჟს, ვითომდა გამოსამშვიდობებლად, მოეხვია, შემდეგ მაგრად ჩაბღუჯა ხელი შივოროტში, ცეცხლისკენ წაათრია საცოდავი და აგიზგიზებულ კოცონში მასთან ერთად გადაეშვა, ამის შედეგად ორივე ერთად „გაემგზავრა“ მოუსავლეთში.

როცა სურატიდან სპარსეთში მივემგზავრებოდი, მე გავხდი კიდევ ერთი თვითდაწვის სცენის შემსწრე, რომელსაც ესწრებოდა რამდენიმე ინგლისელი, დანიელი და ბატონი შარდენი პარიზიდან (ჯონ შარდენი, ცხოვრობდა 1643-1713 წელებში ცნობილი მოგზაური, გარ-

დაიცვალა ლონდონში. 1681 წლიდან საფრანგეთიდან გადასახლდა ინგლისში სხვა პროტესტანტებთან ერთად, საფრანგეთში პროტესტანტების დევნის გამო. ორჯერ იმოგზაურა სპარსეთში და ინდოეთში 1665-1670 და 1671-1677 წლებში). ქვრივი ქალი შუა ხნის ასაკის გახლდათ და შესახედადაც საკმაოდ მომხიბვლელად გამოიყურებოდა. მე ვერ აგიწერთ ამ ქალის ცხოველურ უშიშრობას და ველურ სიხარულს, ვერც ამ ქალბატონის ურყევობას აღვწერ. ის გარშემო მყოფებს ესაუბრებოდა, ხან ერთს, ხან მეორეს... შემდეგ გარდაცვლილი მეუღლის სხეულთან მივიდა, დაიჩოქა და თავი ცხედარის მუხლებს შეახო, შემდეგ ანთებული ჩირაღდანი ხელში აიღო და საკუთარი ხელით აანთო კოცონი, მან სხვების დახმარების და ჩარევის გარეშე თავად შეუნთო ცეცხლი შეშას, ამ დროს ქურუმები სხვადასხვა მხრიდან მიუხლოვდნენ მას და ყოველი მხრიდან შეუნთეს ცეცხლი შეშას. ალბათ მე არ მძალუძს სრულყოფილად გადმოვცე ეს სცენა. ჩემთვის იმის დაჯერებაც კი ძნელია რაც ვნახე, თუმცა მას მერე უკვე დიდი დრო გავიდა.

მე ვყოფილვარ მოწმე თუ როგორ ეშინოდათ აბრიალებულ ცეცხლში შესვლა ქალებს, ალბათ სიამოვნებით აიღებდნენ ხელს საკუთარი განზრახვიდან, მარგამ უმეტეს შემთხვევაში უკან დახევა უკვე გვიან იყო. ეს ქურუმი-დემონები ყოველნაერად ცდილობდნენ, რომ ქალი ცეცხლში შესულიყო, არც ხელის კვრაზე იხევდნენ უკან. მე შემსწრე ვარ, თუ როგორ შეაგდეს ცეცხლში კოცონიდან რამდენიმე ნაბიჯით შორს მდგარი ქალი ამ ჯალათებმა. ისიც მინახავს ალმოდებული ქალი როგორ ცდილობდა ცეცხლიდან გამოსვლას და ცეცხლის ფარეშების მეშვეობით როგორ უბიძგებდნენ და ხელისკვრით უკან კოცონში აბრუნებდნენ.

მე შევხვდი ერთ ქალს, რომელსაც ჯერაც არ დაეკარგა მომხიბვლელობა, მან შეძლო თავი ეხსნა ქურუმებისგან და მხსნელებად ქუჩების მეეზოვეები მოევლინნენ, რომლებიც ყოველთვის უხვად არიან მსგავსი ცერემონიების დროს, განსაკუთრებით მაშინ, თუ მსხვერპლი ლამაზი ქალია, რომელსაც არ ჰყავს შეძლებული ნათესავები და მხოლოდ რამდენიმე ნაცნობი ესწრება ამ ბარბაროსულ აქტს. იმ ქალებს, რომლებსაც სიმამაცე უმტყუნებს ცეცხლში შესვლამდე და თავს გადაირჩენენ აღარ არ უნდა ჰქონდეთ იმედი, რომ ინდუსთა საზოგადოება მათ ისევ მიიღებს საკუთარ წიაღში. ინდუსები მათ თვლიდნენ უსინ-

დისო და უთავმოყვარეო ადამიანებად, რადგან მან უარყო რელიგია. ჩვეულებისამებრ ესეთი ქალები ხშირად სხვების მსხვერპლნი ხდებიან რადგან მათ დასაკარგი უკვე არაფერი არ აქვთ. ვერც ერთი მოგოლი ვერ გაბედავს ასეთი ქალის გადასარჩენად რაიმე მოიმოქმედოს, თუნდაც თავშესაფარი მისცეს, რადგან შესაძლებელია რაიმე სერიოზული უბედურება დაიტეხოს თავს. მხოლოდ პორტუგალიელებმა, რომელთა რაოდენობა საზღვაო პორტებში მნიშვნელოვნად დიდია ადგილობრივებთან შედარებით, რამდენჯერმე გაუწიეს დახმარება ასეთ ქალებს. ხშირად გამჩენია სურვილი ჩემი ხელით დამეხრჩო ეს ქურუმები მაგრამ საამისოდ გამბედაობა არ მყოფნიდა.

მახსენდება, ერთხელ ლაგორში დაწვეს ახალგაზრდა ულამაზესი ქალი, რომელიც ალბათ ოცი წლისაც არ იქნებოდა. ცოცხალ-მკვდარი მიიყვანეს ცეცხლთან. ის კანკალებდა და მოთქმით ტიროდა, მაგრამ სამმა თუ ოთხმა ქურუმმა და კიდევ ვიღაც დედაბერმა, რომელსაც ქალისთვის მაგრად ჰქონდა ხელი ჩავლებული, ხელ-ფეხი შეუკრეს ასულს და შეშაზე დააწვინეს. შემდეგ კი ცოცხლად დაწვეს. ამ ყველაფრის შემხედვარეს, ჩემთვის ძნელი აღმოჩნდა მრისხანების დაოკება, მაგრამ უნდა დავკმაყოფილებულიყავი მხოლოდ ადგილობრივი რელიგიისადმი ზიზღით და შემეძლო თვითდამშვიდების მიზნით იფიგენიისადმი მიძღვნილი პოეტის სიტყვები მომეშველიებინა, რომელშიც აღწერილი იყო რომ საკუთარმა მამამ აგამენონმა, ბერძნების ერთ-ერთმა ბელადმა მსხვერპლად შესწირა შვილი, საკუთარი ინტერესების გამო.

მე ჯერ კიდევ არ მოვყევი ყველაფერი ქურუმების ბარბაროსობის და არაადამიანურობის შესახებ. ინდოეთის ზოგიერთ კუთხეში, ქალებს, რომლებმაც არ ისურვეს მეუღლის გარდაცვალების გამო სიცოცხლე გაეწირათ, ქურუმები ყელამდე მარხავენ მიწაში, შემდეგ ორი ან სამი ქურუმი თავს ესხმის მსხვერპლს და კისერს უგრეხს, შემდეგ თავზე კალათს აცმევენ, მიწას აყრიან ზემოდან და შემდეგ ფეხით თელავენ მსხვერპლს.

ინდუსების უმეტესობა მიცვალებულებს წვავენ, ზოგიერთნი კი ფისს უსვამენ ცხედარს და შემდეგ წყალში აგდებენ მას. მე უამრავჯერ შევესწარი ამ რიტუალს მდინარე განგის ნაპირებთან და ვნახე თუ როგორ დასტრიალებდა მიცვალებულს თავს ყვავების გუნდი, რო-

მელიც ყვავების, თევზების, ან ნიანგების ნადავლი ხდებოდა. ასეთი წესით „დაკრძალვა“ ჩემთვის ბევრად უფრო მისაღებია ვიდრე სხვა დანარჩენი.

არის კიდევ ერთი წესიც, თუ შეამჩნევენ რომ ადამიანი უკანასკნელ დღეში იმყოფება, მდინარის ნაპირთან მიჰყავთ. მე შევსწრებივარ ამ ბარბაროსული წესით ადამიანის დაკრძალვას. თავიდან ავადმყოფს აიძულებენ ფეხები წყალში ჩაყოს და შემდეგ უფრო ღრმად, ყელამდე შევიდეს წყალში, შედეგ მოულოდნელად ჩააყვინთინებენ და ასე მიატოვებენ. ილაჯაყრილი „მსხვერპლი“ ხმამაღლა ყვიროდა და საკუთარი თავის გადარჩენის ინსტიქტით შებყრობილი წყლის ზედაპირზე სცემდა ხელებს. როგორც ინდუსები ამბობენ, ეს „რიტუალი“ ტარდება ასეთი ფორმით იმისათვის, რომ სული სხეულიდან ამოსვლის დროს განბანილი იქნას ყოველგვარი სიავისგან და სიბინძურისგან, რომელიც ადამიანს სიცოცხლის მანძილზე დაუგროვდა. ასე ფიქრობენ არა მარტო დაბალი წრის ადამიანები, არამედ მთელი სერიოზულობით ანალოგიურს მიმტკიცებდნენ მეცნიერებაში დიდი სახელის მქონე პიროვნებებიც.

სხვადასხვა გვარის ფაკირების, დერვიშების, ბერების ანუ ინდოელი ფარისევლების ურიცხვი რაოდენობა ცხოვრობს ერთგვარ მონასტრებში, რომელიც მოძღვარის მიერ იმართება. აქ ერთგვარ „ხარკს“ უხდიან სიბრძნეს, სიღატაკეს და მორჩილებას. ცხოვრების წესს, რომელსაც ეს ადამიანები მისდევენ, ეჭვი მეპარება რომ მათ შესახებ ჩემი მონათხრობი ვინმემ სარწმუნოდ მიიჩნიოს. ამ ადამიანებს იოგებს უწოდებენ, „იოგი“, ღმერთთან შესისხორცებულს, ან ღმერთთან დაკავშირებულს ნიშნავს. მათი ნახვა შესაძლებელია დღე-ღამის ნებისმიერ პერიოდში, ისინი შეიძლება იხილოთ მჯდომარე, ან ფერფლში მწოლიარენი და აუცილებლად შიშველ მდგომარეობაში. ხშირად თავს იყრიან დიდი ხის ქვეშ თალაბთან, ანუ სარწყავი წყლის წყალშემკრებთან, ან დუერების, ანუ წარმართული ტაძრების გალერეებზე. ზოგიერთ იოგს თმები მუხლებამდე სცემს და ისე აქვთ დახვეული ტანზე როგორც ბეწვი ჩვენს პუდელებს, ან თუნდაც ადამიანებს, რომლებიც პოლონური დაავადებით იტანჯებიან, რომელსაც კოლტუნს ეძახიან. მე შევხვედრივარ ისეთ იოგებსაც, რომლებსაც ერთი ხელი, ან ორივე ხელი თავს ზემოთ აღმართული აქვთ და ასე დგანან გაუნძრევლად,

ფრჩხილები ხელებზე თითქმის ნეკის სიგრძე აქვთ, ხელები საოცრად გამხდარი, როგორც ავადმყოფობით გამოფიტულ ადამიანებს, რადგან სხეულის ასეთი დაძაბვის და არაბუნებრივი პოზაში თითქმის დაუსრულებელი ყოფნის გამო, ისინი ვერ ღებულობენ საკმარის საკვებს. ზოგიერთ მათგანს დახრაც უჭირს, რომ საკვები აიღოს, ან წყალი მოსვას, რადგან მათი სახსრები „გამოშრა“ და გარდაიქმნა. მათ ემსახურებიან ახალგაზრდა მორჩილები, რომლებიც იოგებს დიდი მოწიწებით და პატივისცემით ექცევიან როგორც წმინდა ადამიანებს. ამ ადამიანების შემხედვარეს, ჯოჯოხეთში ვერც ერთი მიგერა ვერ მოგეჩვენებათ უფრო საშინელი, ვიდრე ეს ადამიანები არიან. ისინი დგანან უცნაურ პოზაში „გაყინულები“, სრულიად შიშვლები, თითქმის შავი ფერის კანით, გრძელი თმებით, წვრილი კიდურებით და ხელფეხზე დაგრეხილი გრძელი ფრჩხილებით. მე ხშირად მინახავს ესეთი ადამიანები სოფლებში, უმეტესად რომელიმე რაჯის ტერიტორიაზე სადაც ასეთი შიშველი ფაკირების მთელი ბრბოები სახლობენ.

როგორც ცოტა ხნის წინ აგიღწერეთ, ზოგიერთს თმა მთელ სხეულზე ჰქონდა ჩამოფარებული, ან თავზე ჰქონდათ დახვეული, ზოგიერთ მათგანს ხელში კომბალი ეჭირა როგორც ჰერაკლეს, ზოგიერთს კი გამომშრალი და დაუმუშავებელი ვეფხვის ტყავი ჰქონდა მხარზე მოგდებული. მე ვუმზერდი, სრულიად შიშვლები, ყოველგვარი სირცხვილის გარეშე, როგორ გადაადგილდებოდნენ ბრბოებად დიდი ქალაქის ქუჩებში. მე ვაკვირდებოდი ამ ადამიანების გადაადგილებას ქალაქში და მიკვირდა, რომ კაცები, ქალები და გოგონები, მათ სიშიშვლეს ყურადღებას არ აქცევდნენ. ქალები გასცემდნენ მათთვის მოწყალებას, ალბათ იმიტომ, რომ წმინდანებად და ბრძენ ადამიანებად მიაჩნდათ ვიდრე სხვა მამაკაცები.

დელიში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ურთიერთობა მქონდა ცნობილ ფაკირ სამრატთან, რომელიც ქალაქში სრულიად შიშველი დადიოდა. მიუხედავად აურენგზიბის დაპირებებისა და მუქარისა, ის დათანხმდა თავის მოკვეთას, მაგრამ ტანსაცმლის ჩაცმაზე ვერაფრით ვერ დაიყოლიეს.

ზოგიერთი ფაკირი სალოცავ ადგილს ადამიანებისგან მოშორებით ირჩევს და იმ ადგილას მიდიან არა მარტო სრულიად შიშვლები, არამედ თან მიაქვთ რკინის მძიმე ბორკილი, ასეთ ბორკილს ინდუ-

სები სპილოებს ახვევენ ფეხებზე. მე მინახავს ფაკირები, რომლებიც გაჭიმულ მდგომარეობაში მდგარან შვიდი-რვა დღე, ისე, რომ არც კი ჩაუმუხლავთ, ხოლო ღამე მის წინ გაჭიმულ თოკს ეყრდნობიან. ამ დროს ფეხები თეძოს სისქემდე უსივდებათ. სხვები, საათობით, უძრავად იდგნენ ხელებზე, თავდაღმა და ფეხები კი მაღლა ვერტიკალურად ჰქონდათ აღმართული. მე შემიძლია კიდევ ბევრი სხვადასხვა პოზები ჩამოგითვალოთ და ეს ყველაფერი კეთდებოდა უფლისმიერად, რელიგიის სახელით.

მე უნდა ვაღიარო, რომ ეს საოცრებები თავიდან ძალიან მაოცებდა, წარმოდგენაც არ მქონდა როგორ მოვქცეულიყავი ამ ყველაფრის შემხედვარე. ხანდახან ფაკირებს მე ცინიკოსებად ვთვლიდი. მე ამ ადამიანებში მხოლოდ უხეშობას და უზრდელობას ვხედავდი, ან კიდევ ხის მორებად მივიჩნევდი, რომლებსაც გადაადგილების უნარი გააჩნიათ, შესაძლებელია ისინი რელიგიური გამოთაყვანების მსხვერლადაც კი მივიჩნიოთ. მე, როგორც უკვე გითხარით, მათ ქმედებაში ვერავითარი კეთილშობილება ვერ დავინახე. ხანდახან ვფიქრობ, რომ თვით მათი ცხოვრებაა უსაქმური, ზარმაცი, უღარიბესი ხალხის დამოუკიდებელი ცხოვრება ალბათ თავისთავად საინტერესოა, რადგან მას შეუძლია შეაღწიოს საზოგადოების ყველა ფენაში და საკუთარი წესები უკარნახოს მათ და დიოგენის, ან თუნდაც პლატონის მსგავსად ძონძებში გახვეული სიბრძნე წარმოადგინოს იდუმალ ძალად, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს კაცობრიობის მამოძრავებელი მანქანა. შემდეგ, როცა ვაანალიზებდი ერთი შეხედვით უბადრუკი და ერთთავად მკაცრი ცხოვრების წესებს, ჩემთვის ყველაფერი უფრო მეტად გაუგებარი გახდა, არ ვიცოდი რა მეფიქრა მათ შესახებ.

ამბობენ, რომ ფაკირები საკუთარი თავის ამგვარ თვითწრთობას ეწევიან იმის იმედად, რომ მეორედ დაბადების შემდეგ, ისინი რაჯები იქნებიან და ექნებათ ბევრად უფრო კარგი ცხოვრების პირობები, ვიდრე მათ დღეს აქვთ. მე საკუთარ თავს დავუსვი კითხვა, როგორ უნდა დავიჯერო, რომ ადამიანი საკუთარი თავზე ასე მწვალებლური ზემოქმედების ხარჯზე იმედოვნებდეს მომავალი ცხოვრების უზრუნველყოფას, თავიდან დაბადების შემდგომ, უკეთესი ცხოვრების იმედი ჰქონდეს, რომელიც ისეთივე მოკლე იქნება როგორც მისი „წინამორბედი“, მაშინ, როცა მაგალითად შეიძლება ინდოეთის ძლევამოსილი

რაჯები, ჯესსენგი, ან ჯესსომსენგი გამოვიყენოთ. ალბათ არის კიდევ რაღაც, რაც ჩემთვის დაფარულია და გაუგებარი, ან ეს ადამიანები უბრალოდ შეშლილები არიან.

ზოგიერთი ფაკირი ნამდვილი წმინდანის ავტორიტეტით სარგებლობს, ისინი „გასხივოსნებულ“ ადამიანებად, ან „სრულქმნილ იოგებად“ ითვლებიან, რომლებიც ღმერთთან რეალურად „შეერთდნენ“. ამ ადამიანებმა უარი თქვეს სამყაროზე, ისინი საოცარი ცხოვრების წესით ცხოვრობენ და ქალაქში არ ჩამოდიან. თუ მათთვის საკვები მიაქვთ, ისინი მას ღებულობენ, თუ არ მიაქვთ, კვების გარეშე აგრძელებენ ცხოვრებას. ხალხს მიაჩნია, რომ ფაკირები მხოლოდ ღმერთის ნებით არსებობენ და მუდმივ მარხვაში და თვითგვემაში ატარებენ, განსაკუთრებით კი თვითშემეცნების „უფსკრულებში“ ღრმავდებიან. მე ვამბობ — „უფსკრულებში ღრმავდებიან“, ან მათ შეუძლიათ საკუთარი თავი მიიყვანონ ისეთ მდგომარეობამდე, რომ საათობით იყვნენ ექსტაზში, რომლის დროსაც კარგავენ გარე სამყაროს აღქმის უნარს და ეს განსაცვიფრებელი იქნებოდა სიმართლეს რომ შეესაბამებოდეს, ისინი ხედავენ ღმერთს სინათლის სახით, ძალიან გაბრწყინებულს, კაშკაშას და სრულქმნილს. ისინი განიცდიან წარმოუდგენელ ბედნიერებას და სულიერ კმაყოფილებას, რომ ყოველივე მიწიერი მათთვის მხოლოდ ამაოებაა და მეტი არაფერი. ერთ-ერთმა მათგანმა მიამბო, რომ მას რეალურად შეუძლია განიცადოს ისეთი ექსტაზი, რომლის შესახებაც უკვე გიამბეთ. იმ ადამიანებთან საუბრისას ვინც ფაკირებს მუდმივად თან ახლავთ, გავარკვიე, რომ ეს ყველაფერი ჭეშმარიტებაა, მაგრამ მათთან საუბრისას ადვილად შენიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ ამ ყველაფრის თავადაც დაბეჯითებით არ სწამთ. მხოლოდ ღმერთმა უწყის რომელია აქ სიმართლე. შესაძლებელია, რომ ეს წარმოსახვაა, რომელსაც მუდმივი მარხვა და მარტოობა იწვევს, ასეთ ყოფას შეუძლია ადამიანის გონებაში ამგვარი ილუზია წარმოქმნას. ანალოგიურ მდგომარეობისთვის კარდანს ნებისმიერ დროს შეეძლო მიეღწია, როგორც ის ამბობდა, ასევე, ჩემთვის ცნობილია ფაკირების თვალთმაქცობის შესახებაც. მინდა ერთი მაგალითი მოგიყვანოთ, მაგალითად ისინი ამბობენ, რომ მხოლოდ პურით და წყლით თუ იკვებები რამდენიმე დღე და შემდეგ განმარტოვდები, თუ თვალებით მზერას მაღლა მიმართავ და იჯდები გაუნძრევლად, შემდეგ თუ თვალებს ნელ-ნელა

დახრი და ცხვირის წვერს გაუსწორებ, თუ შეეცადები რომ ცხვირს ორივე მხარეს ხედავდე, რაც საკმაოდ ძნელია, წარმოსახვაც მოვა. ასეთ დაძაბულ პოზაში, ყურადღებით რომ დააკვირდე ცხვირის წვერს და იჯდე იმ დრომდე ვიდრე წარმოსახვა შთაგონებას არ წარმოქმნის ეს ძალიან რთულია. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის ცნობილია, რომ ექსტაზის მდგომარეობა და მასში შეღწევის „გზები“ იოგების სექტის, ისევე როგორც სუფიტების სექტის დიდ საიდულოებას წარმოადგენს. მე მათ „სექტას“ ვარქმევ, რადგან მათ ყველაფერი გასაიდუმლოებული აქვთ და მათ შესახებ ვერაფერს ვერ გავიგებდი რომ არა ერთი ინდოელი პანდიტი, ანუ ინდოელი მეცნიერი. ის, რომ არ დამხმარებოდა, რომელიც დანეშმენდ-ხანთან მუშაობდა და არაფერი დაუმალავს ამ საოცარი ადამიანების შესახებ, ჩემთვის ყველაფერი საეთოდ ბურუსით იქნებოდა მოცული. ასევე დანეშმენდ-ხანიც შესანიშნავად ერკვეოდა სუფიტების სექტის საიდუმლოებების შესახებ. ჩვენმა ბერებმა და სასულიერო პირებმა არ უნდა იფიქრონ, რომ ასეთ საქმიანობაში უპირატესნი არიან იოგებთან შედარებით და საერთოდ აზიელ რელიგიურ მსახურებზე მაღლა დგანან. მუდმივი და მძიმე მარხვის დაცვა კოპტებისთვის, ბერძნებისთვის, ნესტორიანელებისთვის, იაკობინელებისთვის, მარონიტებისთვის, ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე ინდოელებისთვის, რადგან შიმშილის გრძნობის დაძლევა ჩვენს ცივ კლიმატში უფრო ძნელია, ვიდრე ინდოეთის კლიმატურ პირობებში.

ფაკირთა შორის გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც არც გარეგნულად, არც ცხოვრების წესით არ ჰგვანან ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ ფაკირებს. ისინი მართლაც რომ საოცარი ხალხია, ისინი მუდმივად მოგზაურობენ, ყველაფრისადმი გულგრილები არიან და არაფერზე არ ზრუნავენ. ხალხს სწამს, რომ ეს ადამიანები ფლობენ ნივთების ოქროდ გადაქცევის ხელოვნებას და შეუძლიათ მოამზადონ ვერცხლის წყალი, რომელიც საკმარისია ერთი ან ორი წვეთი ავადმყოფის განკურნებისთვის და ასვე საკვების მონელებას უწყობს ხელს. ეს ყველაფერი ჯერ კიდევა რაა, როდესაც ამ ორ არაჩვეულებრივ იოგს შეხვდებით და თუ მოახერხებ ისე მოაწყო, რომ ერთმანეთი შეჯიბრში გამოიწვიონ, ისინი იწყებენ ისეთი სასწაულების კეთებას, რომ თვით სიმონ-ვოლხვიც კი გაოცდებოდა. მათ შეუძლიათ გამოიცნონ თუ რას ფიქრობთ თქვენ, აიძულებენ ხეებს რომ გაყვავილ-

დნენ და ერთი საათის განმავლობაში ნაყოფი მოისხან, მათ შეუძლიათ თხუთმეტ წუთში კვერცხიდან ფრინველი გამოჩეკონ, რომელიც ოთახში იფრენს, ასევე სხვადასხვა საოცრებების კეთებაც ხელეწიფებათ. მე ვერ გეტყვით რამდენად შეეფერება ეს ამბავი სიმართლეს, მაგრამ მე მახსოვს, რომ ჩემმა აღამ ერთ-ერთ სახელგანთქმულ წინასწარმეტყველთან გაგზავნა ხელქვეითი და დაჰპირდა სამას რუპიას (მიახლოებით ას ორმოცდა ათი ეკიუ) თუ იოგი ეტყოდა თუ რაზე ფიქობდა აღა. ასევე აღა დაჰპირდა, რომ მის წინაშე დაწერდა თავის „ფიქრებს“ ფურცელზე. ჩემი მხრივ ოცდახუთ რუპიას ჩამოვდიოდი თუ ის ჩემს ფიქრებსაც გამოიცნობდა, მაგრამ წინასწარმეტყველმა სიტყვა არ შეასრულა. ერთხელ ამ კვერცხების „გამომჩეკთანაც“, ჩემი იმედები ფიასკოს მსხვერპლი გახდა, მე მას ოცდახუთი რუპია შევთავაზე ამ ფოკუსის ჩვენებისთვის. მიუხედავად ჩემი გადაჭარბებული ცნობისმოყვარეობისა და მცდელობისა, არც ერთხელ არ მხვდა ბედნიერება, რომ მენახა ეს წარმოდგენა, რომელიც ასე გამაოგნებლად მოქმედებდა მაყურებელზე. რა იყო ეს, ეშმაკობა ან ხელის მოქნილი მოძრაობა? მე არ ვიცი და არც მაქვს პასუხი ამ შეკითხვაზე, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, მე გავეცი პასუხი ამ სიყალბეს. მაგალითად მე გამოვიჭირე ადამიანი, რომელიც „აიძულებდა“ ლამბაქს მაგიდაზე ეტრიალა, რომ გაეგო, თუ ვინ მოიპარა აღას ფული. გვხვდებიან ისეთი ფაკირებიც, რომლებიც საერთოდ განსხვავებულ შთაბეჭდილებას ახდენენ, ვიდრე ისინი, ვის შესახებაც ეხლახანს გესაუბრეთ. ამ ადამიანების ცხოვრება უფრო კეთილშობილური იერით არის შემკული. ეს ადამიანები ქუჩაში ფეხშიშველები დადიან, თავშიშველები და ნაქსოვი შარფით, რომელიც მუხლებამდე სცემთ და იმოსებიან თეთრ ზეწარში, რომელიც მარცხენა მხარზეა გადმოჭიმული მანტიის მსგავსად. ეს ადამიანები, ყოველთვის დაბანილები არიან და საერთოდ კეთილშობილურ სახეს ინარჩუნებენ. ჩვეულებრივად ეს ადამიანები წყვილად დადიან და საკმაოდ მოკრძალებულად იქცევიან. ერთ ხელში მათ თიხის ქოთანი უჭირავთ, რომელსაც სამი „ფეხი“ აქვს და ორი სახელური. სხვა ფაკირებისგან განსხვავებით ისინი მოწყალებას არ თხოულობენ არამედ თავისუფლად შედიან ინდუსების სახლებში სადაც მათ გულმხურვალედ ეგებებიან, რადგან მიაჩნიათ, რომ მათი ოჯახში შემოსვლა ბედნიერების საწინდარია. ღმერთმა დაგიფაროთ რაიმე დააბარა-

ლოთ ამ ადამიანებს, თუმცა ყველამ იცის, რომ მათი სტუმრობისას ხშირად რაღაც „განსაკუთრებული“ ხდება ამ ადამიანებსა და ოჯახის ქალბატონებს შორის, მაგრამ ასეთია ადგილობრივი ჩვეულება: მიუხედავად ყველაფრისა, მათ წმინდანებად მიიჩნევენ და სახლი, რომელშიც ისინი სტუმრად მივლენა არ ითვლება პატივაყრილად. ეს ამბავი ჩემთვის ნაკლებად საყურადრებოა, ჩვენ ვიცით, რომ არის ქვეყნები სადაც მსგავს „საქმეებს“ მკაცრად არ სჯიან, მაგრამ რაც ყველაზე უფრო სასაცილოა, გახლავთ ის ფაქტი, რომ მათ ყოფნით თავხედობა შეედარონ ინდოეთში მოღვაწე ჩვენს ბერებს. მათთან ურთიერთობისას ხანდახან ვერთობოდი კიდეც, შეხვედრისას დიდი ცერემონიებით ვხვდებოდი და პატივისცემასაც გამოვხატავდი მათ მიმართ, ისინი კი ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ: — „ამ „ფრანგმა“ იცის ვინ ვართ ჩვენ, ის დიდი ხანია აქ ცხოვრობს და უწყის რომ ჩვენ ინდოელი წმინდა მამები ვართ“, „ურიგო შედარება არ არის — გავიფიქრე მე — რაოდენ უტიფარია ყოველივე წარმართული“. მე ყოველთვის ვცდილობდი დიდი დრო დამეთმო მათთვის. ამჯერად მათი რელიგიური და მეცნიერული ასპექტები განვიხილოთ. მათი გაცნობის შემდეგ თავად დარწმუნდებით მათ აბსურდულ შეხედულებებზე.

პირველ რიგში, ნუ გაიკვირვებთ თუკი სანსკრიტის (სანსკრიტი გახლავთ მეცნიერების ენა, რომლის შესახებ მოგვიანებით მოგითხრობთ, ან შესაძლებელია ინდოელი ქურუმების ძველი ენა) სრულყოფილად არ ცოდნის მიუხედავად, მოგითხრობთ წიგნებზე, რომელიც ამ ენაზეა დაწერილი. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ დანეშმენდ-ხანმა, ნაწილობრივ ჩემი თხოვნის შესაბამისად და ნაწილობრივ საკუთარი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების მიზნით, სამუშაოდ მოიწვია ინდოეთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პანდიტი, რომელიც ერთ დროს დარასთან, შაჰ-ჯეხანის უფროს ვაჟთან მუშაობდა. ეს პანდიტი მთელი სამი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ჩემს საზოგადოებაში. მან ჩვენთან სხვა პანდიტებიც მოიყვანა. როცა ვუხსნიდი ჩემს აღას გარვეის და პიკეს ახალი აღმოჩენების შესახებ ანატომიაში, ან გესსენდის და დეკარტის ფილოსოფიის შესახებ ვუყვებოდი, რომელიც მას სპარსულ ენაზე ვუთარგმნე (ეს იყო ჩემი ძირითადი საქმიანობა ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში), ჩვენ ჩვეულებისამებრ მივმართავდით ჩვენს პანდიტს და მაშინ მისი ჯერი დგებოდა გადმოეფრქვია

უზნაესი სიბრძნე და მოეთხრო თავისი ზღაპრები. პანდიტი ამ ყველაფერს წარმოუდგენელი მედიდურობით აკეთებდა, თანაც ღიმილის გარეშე და ბოლოს მეც და ჩემს აღასაც გვწყინდა მისი უსაფუძვლო და უხერხემლო დემაგოგია.

ინდუსები ამტკიცებდნენ, რომ ღმერთმა, რომელსაც ისინი „აშაპ“-ს, ანუ „უძრავი“-ს, ან „უცვლელი“-ს უწოდებდნენ, გამოუგზავნა მათ ოთხი წიგნი, რომელსაც ეწოდება „ვედები“, რაც მეცნიერებას ნიშნავს, ადამიანები დარწმუნებულები არიან, რომ ამ წიგნებში დაცულია აბსოლიტური ცოდნა. ამ წიგნებიდან პირველს ეწოდება ათარვა-ვედა, მეორეს აიგურ-ვედა, მესამეს რიდ-ვედა, ხოლო მეოთხეს სამა-ვედა. ეს წიგნი იუწყება, რომ ხალხი (და ეს რეალობას შეესაბამება) დაყოფილი იყო ოთხ ტომად: ბრამინებად, ანუ კანონის მცოდნეებად და კანონმდებლებად, კშათრიებად, ანუ მეომრებად, ვაჭრებად, რომლებსაც უწოდებენ ბანიას და ბოლოს სუდრად, ანუ ხელოსნები და მიწადმოქმედები. ამ ოთხი კასტის წარმომადგენლებს ერთმანეთში ქორწინება ეკრძალებათ, მაგალითად ბრამინი, ცოლად ვერ შეირთავდა კშატრიების კასტის წარმომადგენელს, ანალოგიური აკრძალვა ვრცელდება სხვა კასტებზე.

ინდუსებს სჯერათ სწავლების, რომელიც პითაგორას და მისი მიმდევრების სწავლებას ჰგავს, ეს არის სულის გადავლინების შესახებ სწავლება და დაუშვებლად მიიჩნევენ ცხოველების დახოცვას და მათ ჭამას. გამონაკლისს წარმოადგენს მეორე კასტის ზოგიერთი წარმომადგენლისთვის, აუცილებელია, რომ ხორცი, რომელსაც ისინი მიირთმევენ, არ უნდა იყოს ძროხის, ან ფარშევანგის. ამ ცხოველებს ინდოელები განსაკუთრებულად სცემენ თაყვანს, განსაკუთრებით კი ძროხას. არსებობს რწმენა, რომ თუ ძროხის კუდზე ხელჩაჭიდებული რომელიმე მდინარეს გადალახავ, ეს ხდება მსაზღვრელი მათი აწყმოსა და ბედნიერ მომავალ ცხოვრებას შორის. შესაძლებელია, რომ ძველი კანონმდებლები კარგად უწყოდნენ თუ როგორ ახერხებდნენ ნილოსის გადალახვას ეგვიპტელი მწყემსები, მათ მარცხენა ხელში ეჭირათ კამეჩის, ან ხარის კუდი, ხოლო მარჯვენაში ჯოხი, რათა ცხოველებისთვის სწორი მიმართულება მიეცათ. რეალობასთან უფრო ახლოა მოსაზრება — ინდოელები იმიტომ არიან გამსჭვალულნი ძროხისადმი პატივისცემით, რომ ის აძლევს ადამიანს რძეს და კარაქს, ანუ

საკვებად მნიშვნელოვან პროდუქტს და წარმოადგენს მიწადმოქმდთა და მათი ცხოვრების ძირითად დასაყრდენს. ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ ინდოეთში ჩვენი ქვეყნებისგან განსხვავებით, მიწას არ შეუძლია დიდი რაოდენობით საქონელი გამოკვებოს. ინდოეთში იმ რაოდენობით საქონელი რომ გამოკვებო, რამდენის გამოკვებაც შეუძლია საფრანგეთის ან ინგლისის მიწას, მაშინ ინდოეთში მიწა გაპარტახდება და შეუძლებელი გახდება ხვნა-თესვის გამოყენება. ინდოეთში სიცხე იმდენად ძლიერია, რომ ნიადაგი წელიწადში რვა თვის განმავლობაში თითქმის გამომშრალია, ამიტომ საქონელი თითქმის სულ შიმშილობს და ღორებს უწევთ ველზე ყოველგვარი საკბილოს ძებნა. საქონლის ფარების და ჯოგების დეფიციტმა ჯეხან-გირი, ბრამინების თხოვნით აიძულა გამოეცა ბრძანება, რომელიც კრძალავდა საქონლის დაკვლას რამდენიმე წლის განმავლობაში. ასევე ბრამინებმა აურენგზიბსაც მიმართეს მსგავსი თხოვნით და სთავაზობდნენ გარკვეულ თანხას ჯეხან-გირის დროს გამოცემული აკრძალვის შესახებ, კანონის თავიდან დაკანონებისთვის. ისინი მიუთითებდნენ, რომ დაუმუშავებელი და მიტოვებული მიწების სიმრავლე გამოწვეულია, ადგილზე ძროხების და ხარების დეფიციტის გამო, რადგან მათი ფასი ბაზარზე საკმაოდ დიდია. შესაძლებელია ასევე, რომ ინდოეთის პირველი კანონმდებლები ითვალისწინებდნენ იმ გარემოებასაც, რომ ძროხის და ხარის ხორცი ინდოეთში ნაკლებად ხარისხიანია და გემრიელიც არ არის, გარდა ზამთრის პერიოდისა, როდესაც ინდოეთში სიცივე ისადგურებს.

ასევე შესაძლებელია, რომ მათ სურდათ ადამიანების დაუნდობელი ხასიათი შეეზღუდათ, რის მიმართაც მიდრეკილება მძლავრობს ადამიანში და რელიგიის მეშვეობით შეეცადნენ ცხოველების მიმართაც კი, ამ თვისების დათრგუნვას. შთააგონებდნენ მათ, რომ თუ ის მოკლავს ცხოველს, ის რისკავს მისი სახით მოკლას საკუთარი წინაპარი, რაც უდიდესი დანაშაულია.

ვედები ავალდებულებს ყოველ ინდუსს რათა ილოცოს, რომლის დროსაც ის უნდა მიბრუნდეს სახით აღმოსავლეთისკენ, მან უნდა ილოცოს მინიმუმ დღეში სამჯერ, დილით, შუადღისას და დაღამებამდე. ასევე საკვების მიღების დროსაც აუცილებელია ლოცვა. ასევე ვედები „ამბობენ“, რომ უკეთესია „განბანვისას“ ილოცო გამდინარე წყალში, ვიდრე დამდგარ წყალში. შესაძლოა კანონმდებლებმა გაით-

ვალისწინეს ადგილობრივი კლიმატის თავისებურებები, რადგან ინდოეთში ყოველთვის გიჩნდება ტანის დაბანის სურვილი, მაგრამ მათთვის, ცივ ქვეყნებში რთულია ამ წესის დაცვა. ჩემი მოგზაურობის დროს, მე შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებსაც გარკვეული საშიშროება შექმნიათ ამ კანონების დაცვის გამო. ადამიანები ბანაობდნენ და ყვინთავდნენ მდინარეებში, ან აუზებში, სადაც ეს შესაძლებელი იყო. თუ ამის შესაძლებლობა მათ არ ჰქონდათ, ვედრებით ისხამდნენ წყალს სხეულზე. მე მივუთითე, რომ მათი რელიგიური წესის დაცვა ცივი კლიმატის დროს რთულია, განსაკუთრებით კი ზამთარში, ამიტომ მიმაჩნია, რომ მათი რელიგია ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, ადამიანური ფაქტორების მიხედვითაა ჩამოყალიბებული. მათი პასუხი ამ შეხედულებასთან დკავშირებით ძალიან მარტივია, ისინი ამტკიცებენ, რომ მათი კანონი ყველგან გამოყენებადია და აცხადებენ: — „ღმერთმა ის მისცა მათ იმიტომ, რომ უცხოელები არ შეუერთდნენ ჩვენს რელიგიასო“ და ისინი არ ამობობენ რომ ჩვენი რელიგია მცდარია. ჩვენი რელიგია კარგია ჩვენთვის და ღმერთს შეუძლია სხვადასხვა გზები გვაჩვენოს ზეცაში ჩვენი სულის აღსავლენად და ის, განკუთვნილია სრულიად დედამიწის ყოველი ადამიანისთვის. მათი რელიგია ნაწილობრივ მოგონილია, ამ მოსაზრების გაგონებაც კი არ სურთ მათ.

ვედები გვასწავლის, რომ ღმერთმა როცა გადაწყვიტა შეექმნა სამყარო დაუყოვნებლივ არ დაუწყია საკუთარი განზრახვის სისრულეში მოყვანა, საწყის ეტაპზე მან შეჰქმნა სამი არსება: პირველი იყო ბრამა, რაც „ყველგან შემღწევს“ ნიშნავს, მეორე იყო ვიშნა, ანუ „რომელიც არსებობს ყველაფერში“, მესამე იყო მეგადევა, ანუ „ძლევამოსილი მბრძანებელი“. ბრამის დახმარებით მან შეჰქმნა სამყარო, ვიშნას დახმარებით სამყაროს სიცოცხლე შთაბერა და სამყაროში სიცოცხლე დაიცვა, ხოლო მეგადევას დახმარებით სურდა მისი განადგურება. ბრამამ ღმერთის განკარგულებით გამოაქვეყნა ოთხი ვედა და ამიტომ ის ზოგიერთ ტაძარში ოთხი თავით არის გამოსახული. როცა ამ სამ არსებაზე ვსაუბრობთ, ავღნიშნავ, რომ მე შევხვედრილვარ ევროპელ მისიონერებს, რომლებსაც მიაჩნდათ რომ ინდოელებს წმინდა სამებასთან დაკავშირებით, გარკვეული წარმოდგენა აქვთ, ისინი მიმტკიცებდნენ, რომ ვედები მიუთითებდნენ სამ არსებაზე, სამი სახიერებით

და წარმოადგენს ერთ სრულქმნილს, ღმერთს. პირადად მე, საკმაოდ ბევრი მისაუბრია პანდიტებთან ამ თემებზე, მაგრამ მათი ნათქვამი იმდენად გაუგებარია და ერთი შეხედვით საიდულოებით მოცული, რომ ვერაფერი ვერ გავიგე რისი თქმა სურდათ. ზოგიერთი მათგანი ამტკიცებდა სამი სრულყოფილი ქმნილების არსებობას, რომელსაც ეძახიან დეუტას, მაგრამ ისინი ვერ მიხსნიდნენ რა იგულისხმება ამ სახელის „უკან“ და რას აღნიშნავს იგი. ზუსტად ასევე, ჩვენი ძველი წარმართები ვერაფრით ვერ ხსნიდნენ რას ნიშნავდა „გენია“ და „ნუმინა“, ასევე სრულიად შესაძლებელია ინდურ „დუიტა“-საც იგივე „ახსნა“ ჰქონდეს, რაც „გენია“-ს და „ნუმინა“-ს. სხვა პანდიტები, რომლებიც ცნობილნი იყვნენ თავიანთი მეცნიერებით, მეუბნებოდნენ, რომ ამ სამეულის მნიშვნელობა ერთია და ის ღმერთია, მხოლოდ განიხილება სამი სხვადასხვა სახეცვლილებით, როგორც შემქმნელი, დამცველი და გამანადგურებელი, მაგრამ არაფერს მეუბნებიან ერთი ღვთაების სამ სახეზე. მე ვიცნობდი კეთილშობილ მამა როას, ის გერმანელი იზუიტი გახლდათ და აგრაში მისიონერად მოღვაწეობდა. მან დიდ წარმატებებს მიაღწია სანსკრიტების შესწავლის საქმეში. ის მარწმუნებდა, რომ წარმართების წიგნები, არა მარტო მიუთითებდნენ ერთი ღმერთის სამ სახეზე, ასევე მეუბნებოდა რომ ამ სამების მეორე სახე უკვე ცხრაჯერ გარდაიქმნაო. თქვენ ნუ იფიქრებთ, რომ მსურს სხვისი შეცნობილის მითვისება, მე თქვენ სიტყვა-სიტყვით გიამბობთ შირაზელი მამა კარმელიტასგან რაც გავიგე. შირაზში ინდუსებს მიაჩნიათ, რომ სამების მეორე სახე ცხრაჯერ გარდაიქმნება მსოფლიოს სხვადასხვა განსაცდელების შესაბამისად, რომელისგანაც მან იხსნა კაცობრიობა. მერვე გარდასახვა (გარდაქმნა) ყველაზე საინტერესო გახლდათ, იმიტომ რომ მაშინ მსოფლიო დაპყრობილი ჰყავდათ გიგანტებს და განმანთავისუფლებლად „მეორე“ სახე მოევლინა მსოფლიოს, რომელმაც ადამიანის სახე მიიღო და იშვა ქალწულისგან შუაღამეს, ამ დროს ანგელოზები გალობდნენ და ციდან კი ყვავილები ცვიოდა. ეს თემა კი უკვე ქრისტიანულ რელიგიას განეკუთვნება. მაგრამ აქვე იწყება ზღაპარი. ჩემს ნათქვამს დავამატებ, რომ ამ გარდასახულმა ღმერთმა, თავისი მოღვაწეობა დაიწყო იმით, რომ მოკლა გიგანტი, რომელიც ცაში ავიდა და იმდენად დიდი იყო სხეულით, რომ დაფარა (დააბნელა) მზე. გიგანტის დაცემისგან მიწა შეირყა და მისი სიმძიმის გამო პირდაპირ ჯოჯო-

ხეთში ჩავარდა. გარდაქმნილი ღვთაება, რომელიც ბრძოლისას მხარში დაიჭრა, დაეცა და მისმა დაცემამ აიძულა მტრები გაქცეულიყვნენ. ღვთაება აღდგა და სამყარო გაანთავისუფლა მტრებისგან, შემდეგ კი, ცად ამაღლდა. მისი ჭრილობის გამო მას ეძახიან „მხარში დაჭრილს“.

მეათე გარდასახვა, როგორც ამბობენ ინდუსები, მოხდება იმ მიზნით, რომ კაცობრიობა მაჰმადიანთა ტირანიისგან იხსნას და ეს მოხდება ჩვენი გამოთვლებით, ანტიქრისტეს გამოჩენის დროს. ეს გახლავთ ხალხის რწმენა და ეს მოვლენა არ არის აღწერილი მათ წმინდა წიგნებში. ისინი ასევე ამბობენ, რომ „სამების“ მესამე სახე უკვე გამოჩნდა ქვეყანაზე. ამის შესახებ კი აი რას გვიყვებიან. რომელიღაც მეფის ასული როცა გაიზარდა მამის ნების შესაბამისად უნდა ეთქვა ვიზე აპირებდა გათხოვებას. ასულმა უპასუხა, რომ ის მხოლოდ ღვთაებრივ არსებას გაჰყვებოდა ცოლად და ამ დროს ცეცხლის სახით „სამების“ მესამე „სახე“ გაჩნდა მათ წინაშე და მეფის ასულიც უყოყმანოდ დათანხმდა მას გაჰყოლოდა ცოლად. ცეცხლის სახით მოვლენილი „სამება“ მეფემ მრჩევლებს წარუდგინა, როგორც ჩანს მრჩევლები წინ აღუდგნენ ასულის არჩევანს, შესაბამისად „სამებამ“ ჯერ წვერი დაუწვა მეფის მრჩევლებს და შემდეგ ყველანი დაწვა მეფის სასახლესთან ერთად. როცა საქმეს მორჩა პრინცესა ცოლად მოიყვანა. საინტერესო ისტორიაა, არ მეთანხმებით?!

რაც შეეხება მეორე სახეს, ინდუსები ამბობენ, მისი პირველი გარდასახვა იყო — ლომი, მეორე — ღორი, მესამე — ინდაური, მეოთხე — გველი, მეხუთე — ჯუჯა ბრამინი, მეექვსე — ურჩხული (ადამიანი ლომი), ხოლო მეშვიდე — დრაკონი, მერვე გარდასახვის შესახებ უკვე ვისაუბრეთ, მეცხე გარდასახვა იყო -მაიმუნი, მეათე კი — მხედარი. მე ეჭვიც არ მეპარება, რომ მამა როამ თავის ცოდნა ინდური წიგნებიდან „ისესხა“ და ის, რასაც მიყვებოდა ინდური მითოლოგიის საფუძველს წარმოადგენდა. მე ჩემს მოგონებებში დიდი ადგილი დავუთმე ინდურ მითოლოგიას, მათ ტაძრებში აღმართული ღმერთების ანუ კერპების სახეებიც კი დავხატე ჩემს დღიურებში და ასევე სანსკრიტული ანბანის შესწავლაც კი დავიწყე, მაგრამ სამშობლოში როცა დავბრუნდი ჩემი ჩანაწერები, ყველაზე საუკეთესოებიც კი, აღწერილი იყო წიგნში „ილუსტრილებული ჩინეთი“, რომლის ავტორიც მამა კირკერი გახლდათ, რომლის მონაცემები ასევე მამა როას მიერ მიწოდებულ ინ-

ფორმაციას ეყრდნობოდა, რომელიც რომში ყოფნისას მიუწვდია მას მამა კირკერისთვის. მე მგონი საკმარისი იქნება ამ წიგნის მითითება. მაგრამ მე მინდა ავღნიშნო რომ სიტყვა „ გარდასახვა“, (გამოხატულება) გამოყენებულია მამის საპატივცემულოდ, რაც ჩემთვის სიახლე გახლდათ. მე არსად არ მსმენია რომ ინდოელები ამ სიტყვას ასეთი მნიშვნელობით იყენებდნენ.

პანდიტებმა შემდეგი სახით ამიხსნეს თავიანთი დოქტრინები: საწყის ეტაპზე ღმერთი „განხორციელდა“ იმ სახეებით, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენეთ და ამ „სახეებით“ ახდენდა სასწაულებს, რომლის შესახებაც ისინი მიამბობდნენ. სხვა პანდიტები უფრო სხვაგვარად განმარტავდნენ ამ ყველაფერს: ზოგიერთი დიდი ადამიანის სული, მაგალითად გმირების სული, გადადიოდა სხვადასხვა სხეულში, ამის შესახებ მე უკვე გიამბეთ და ეს გმირები გახდნენ დეუტები, ანუ თუ გამოვიყენებთ ძველი წარმართების ენას, ისინი გახდნენ ძლევამოსილი ღმერთები „ნუმინა”, „გენიი”, „დემონეს” ანუ გახდნენ სულები და ფერიები, მე უბრალოდ სხვა დასახელება და ახსნა ვერ მოვუძებნე სიტყვა დეუტას. მაგრამ პანდიტების ეს მეორე განმარტება არსით იგივეა, რაც პირველი, რადგან ინდუსთა უმეტესობას სჯერა, რომ მათი სულები ნაწილს, ანუ ღვთაების სულის მცირე ნაწილს წარმოადგენენ.

სხვა პანდიტებმა უფრო მკაფიო ახსნა შემომთავაზეს. ისინი ამბობდნენ, რომ „გარდასახვა“, ან „გამოცხადება“, ან „ გამოხატულება“, რომელიც წიგნებშია მოხსენიებული, უნდა გავიგოთ არაპირდაპირი მნიშვნელობით, არამედ უნდა გვიგოთ რას აღნიშნავს ის მისტიკურად: „— ის აღნიშნავს ღვთაების სხვადასხვა ატრიბუტს. ზოგიერთმა მათგანმა, განსაკუთრებით მეცნიერებმა, ღიად აღიარეს, რომ წარმოუდგენელია უფრო დიდი „გამოგონება“, ვიდრე მთელი ეს „გამოხატულებები“ და ეს მხოლოდ კანონმდებლების გონების და ფანტაზიის ნაყოფია, რათა ხალხს რაიმე რელიგია დაეცვა და მისი მიმდევარი გამხდარიყო. თუკი ამტკიცებენ, რომ ჩვენი სულები რომელიმე ღვთაების სულის ნაწილია, ამით ჰქმნიან რელიგიურ საფუძველს, რომელიც ყველასთვის ერთია, ხოლო თუ მას ღრმა ფილოსოფიური აზროვნებით ჩავწვდებით, ამ შემთხვევაში მათი სწავლებები ღიმილის მომგვრელი გახდება და რაიმე რელიგიურ საიდუმლოებაზე საუბარიც კი ზემეტი იქნებოდა. რადგან თუ ჩვენ, სულთან დამოკიდებულებით ღმერთები ვართ, შესაბამისად

გამოდის რომ რელიგიური კულტურა საკუთარ „თავს“ შეგვიძლია მივაწეროთ, ხოლო სულების გადავლინება სამოთხეში, ან ჯოჯოხეთში, ჩვენს ნებას წარმოადგენს, ეს უბრალოდ სასაცილოა.

არანაკლებად მადლიერი ვარ ბატონ ჰენრი ლორის და აბრაჰამ როჯერისა, ვიდრე პატივცემული მამა კირკერის და როასი, ჩემს კითხვებზე პასუხების გაცემის დახმარებისთვის. უფალი კი არ აბარბაცებს სამყაროს, ჩვენი გულგრილობა და სიბეცე აბარბაცებს ყველაფერს, იმიტომ რომ ჩვენი ბარბაცა სულებით დავეხეტებით ირგვლივ! მე მოვაგროვე ბევრი ცნობა წარმართების შესახებ, რომელიც შემდეგ წიგნებშიც ვიპოვე, რომელიც ამ ბატონების მიერ არის დაწერილი, ალბათ მე საკმაოდ გამიჭირდებოდა ამ ცნობების ერთ სისტემად ჩამოყალიბება, ისე როგორც ეს მათ შეძლეს. ამიტომ მე არ ვისაუბრებ ინდუსების მეცნიერების შესახებ, მხოლოდ საერთო ჭრილში განვიხილავ მას.

ქალაქი ბენარესი, რომელიც მდებარეობს მდინარე განგის სანაპიროზე. ეს ქალაქი ულამაზეს ადგილას არის აშენებული და ნააყოფიერი მიწები აკრავს გარშემო. ეს ქალაქი შეიძლება ინდუსების მთავარ სამეცნიერო ცენტრად ჩავთვალოთ. ეს ინდოეთის ათენია, სადაც მიემართებიან ბრამინები და ბერები, რომლებიც მეცნიერების შესწავლით არიან დაკავებულნი. ამ ქალაქში არ არსებობს სასწავლო დაწესებულებები და სასწავლო კურსები როგორც ეს ჩვენს უნივერსიტეტებშია. აქ უფრო წინაპრების დროინდელი სკოლების მსგავსი დაწესებულებები არსებობს. მასწავლებლები ქალაქის სხვადასხვა უბანებში მდიდარი ვაჭრების სახლებში ცხოვრობენ. თითოეულ მასწავლებელს უმეტესწილად ოთხი მოსწავლე ჰყავს, ზოგს ექვსი ან შვიდი, დამსახურებულ პედაგოგებს კი, ოცი ან ორმოცდაათი მოსწავლეც კი ჰყავს, მაგრამ არც ეს არის მაქსიმუმი. მოსწავლეები პედაგოგთან ათი ან თორმეტი წლის განმავლობაში რჩებიან და სწავლება ნელი ტემპით მიმდინარეობს, იმიტომ რომ ინდოელების დიდი ნაწილი საკმაოდ დინჯია და ზარმაცი, რაც მათი საკვებით და გამეფებული დიდი სიცხით აიხსნება. მათ არ უჩნდებათ სურვილი იშრომონ და ცოდნაში შეეჯიბრონ ერთმანეთს, რომ შთაგონება გააღვიძონ ჩვენში და ამით მდგომარეობა შეიქმნან. ისინი აუჩქარებლად მეცადინეობენ და არ ტვირთავენ საკუთარ თავს მეცადინეობით და დინჯად შეექცევიან კიჩერს, ანუ

სხვადასხვა მწვანილებისგან დამზადებული საკვები, რომელსაც ადგილობრივი მდიდარი ვაჭრები სთავაზობენ მათ.

პირველ რიგში, რასაც მოსწავლეებს ასწავლიან გახლავთ სანსკრიტი, ენა, რომელიც იციან მხოლოდ მეცნიერებმა, ანუ პანდიტებმა და რომელიც საერთოდ არ გავს ინდურ სალაპარაკო ენას. პიტერ კირკერმა გამოაქვეყნა სანსკრიტის ანბანი, რომელიც მან მამა როასგან მიიღო. თვით დასახელება „სანსკრიტი“ ნიშნავს „სუფთა ენას“, რადგან ინდუსებს მიაჩნიათ, რომ ოთხი წმინდა წიგნი — ვედები, რომელიც მიეცათ ღმერთისგან ბრამის მეოხებით, დაწერილია სანსკრიტის ენით, რომელსაც წმინდა და ღვთაებრივ ენას ეძახიან. ისინი ამტკიცებენ რომ სანსკრიტი ისევე ძველია როგორც ბრამა და მისი ასაკი განისაზღვრება ლეკაებით ანუ ასი ათასობით წლით. მე ვერ წარმომიდგენია ენის ასეთი სიძველე, მაგრამ არც იმის უარყოფაა შესაძლებელი, რომ ეს ენა მართლაც უძველესია და მათი რელიგიური წიგნები უძველესი დროიდან მოიხსენიება და თვითოეული დაწერილია სანსკრიტის ენაზე. ამ ენაზეა დაწერილი ფილოსოფიური მოძღვრებები და სამედიცინო ლიტერატურა, რომელიც ლექსების სახითაა დაწერილი, ასევე არსებობს ამ ენაზე დაწერილი ბევრი წიგნი, რომელიც ჩემი თვალით მაქვს ნანახი ბენარესში.

სანსკრიტის შესწავლის შემდეგ, ავღნიშნავ, რომ ამ ენის შესწავლა საკმაოდ რთულია, რადგან არ არსებობს გრამატიკის კარგი წიგნი, ისინი ჩვეულებრივად სწავლობენ პურანებს, რომლბიც ვედების შემოკლებულ ვერსიებს წარმოადგენენ და შესაბამისი განმარტებებიც თან ახლავს, თვითონ ვედები კი საკმაოდ დიდი მოცულობისაა. ეს წიგნები საკმაოდ დიდ იშვიათობას წარმოადგენს, ჩემმა აღამაც კი უდიდესი ძალისხმევის შედეგად მაინც ვერ შესძლო მისი მოპოვება. ინდოელები გულმოდგინედ მალავენ ამ წიგნებს, რათა ისინი მაჰმადიანების ხელში არ აღმოჩნდეს, რადგან მაჰმადიანები მას დაწვავენ, ეს ფაქტი კი არაერთხელ მომხდარა. პურანების შემდეგ, ზოგიერთი მოწაფე ფილოსოფიას სწავლობს, რაშიც ნაკლებ წარმატებას აღწევენ. მე უკვე ავღნიშნე, რომ ისინი ნელი, დინჯი და ზარმაცი ადამიანები არიან და არ ცდილობენ სამეცნიერო მოღვაწეობით მდგომარეობა შეიქმნან. ინდოელ ფილოსოფოსთა შორის, წარმატებას და დიდებას მხოლოდ ექვსმა ადამიანმა მიაღწია. ეს ადამიანები სხვადასხვა სექტების მოდგმის

წინმდგომები არიან. თვითოეულ მათგანს თავისი მომხრეები ჰყავს და ეს ფაქტი პანდიტებს შორის სერიოზული კომფლიქტის საგანი ხდება, რადგან თვითოეული მათგანი ამტკიცებს თავისი მოძღვრების ბედებთან სიახლოვეს. წარმოიშვა კიდევ მეშვიდე სექტა, რომელსაც „ბოტე“ ჰქვია და რომელმაც თავის მხრივ შვა ოცი სხვა სექტა, მაგრამ ეს სექტები არ არიან იმდენად განვრცობილნი როგორც დანარჩენები. მისი მომხრეებს ვერ იტანენ და სძაგთ, თვლიან უღვთო და ურწმუნო ადამიანებად და ამიტომაც „ბოტე“-ს მიმდევარი სექტანტები სხვებისგან იზოლირებულად ცხოვრობენ. ინდუსების ყველა წმინდა წიგნი ლაპარაკობს ყოველივე საწყისის საწყისზე, მაგრამ ყოველი წიგნი სხვადასხვაგვარ განმარტებას იძლევა. ზოგი მათანი ამტკიცებს, რომ ყველაფერი პატარა, განუყოფელი სხეულებისგან შედგება, განუყოფლები არიან არა სიმკვრივის გამო, არამედ მათი უმცირესი ზომების გამო. ამასთან დაკავშირებით გამოთქვავენ აზრს, რომელიც ემთხვევა დემოკრიტეს და ეპიკურის თეორიებს, მაგრამ ამას იმდენად უსისტემოდ და გაუგებრად გადმოსცემენ, რომ რთულდება მათი სწავლების დედა-აზრის გაგება. და ეს ყველაფერი „დიდი არსიდან“ ამონარიდების შთაბეჭდილებას ტოვებს, ცუდად უკავშირდებიან ერთმანეთს და აზრობრივადაც არ არის დახვეწილი ფორმით წარმოდგენილი, შესაბამისად მისი სწავლებაც გაუგებარია.

იმის გამო, რომ ყველა სახელოვანი პანდიტი ჩემზე ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს და არც მე მაქვს წაკითხული მათი წიგნები, მებადება აზრი და ვეჭვობ, იქნებ „დამნაშავენი“ პანდიტები არიან და არა ამ წიგნების ავტორები?!

სხვები ამბობენ, რომ ყველაფერი შედგება მატერიისგან და გააჩნია ფორმა. მაგრამ არავინ არ აკეთებს განმარტებას რას ნიშნავს მატერია და მეტადრე ფორმა. თუმცა, როგორც მე გავარკვიე, ეს ტერმინები მათ სხვაგვარად ესმით, ვიდრე ჩვენ. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მაგალითის სახით მათ მოჰყავთ ხელოვნური ნივთი, მაგალითად, მსუბუქი თიხისგან გაკეთებული ჭურჭელი, რომელსაც მეჭურჭლე ბრუნვის შედეგად აძლევს სხვადასხვა ფორმას.

ზოგიერთი თვლის, რომ ყველაფერი ოთხი ელემენტისგან შედგება და მათ გარდა კიდევ „არაფრისგან“. მაგრამ არ არსებობს ახსნა, როგორ უკავშირდებიან ეს ელემენტები ერთმანეთს და როგორ ხდე-

ბა მათი გარდაქმნა. რაც შეეხება „არაფერს“, რომელიც მიახლოებით ნიშნავს იგივეს, რასაც „უარყოფა“, მათი სწავლებით და მას შეიძლება ჰქონდეს უამრავი სახეცვლილება. მე ვფიქრობ, მათ თავად არ ესმით ამ ტერმინის, სიტყვის და მასში ჩადებული აზრის მნიშვნელობა და ამიტომაც ვერ გვიხსნიან ჩვენ.

ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ძირითადი საწყისი სინათლე და სიბნელეა. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მათ მოჰყავთ ათასობით გაუგებარი განმარტებები, ეშვებიან აზრების ქარტეხილში, რომლიდანაც არცერთი მოსაზრება და თეორია არ შესაბამება ფილოსოფიას, სამაგიეროთ უმეცრებას აძლევს „განვითარების“ საშუალებას.

არიან კიდევ სხვები, რომლებიც „უარყოფას“ განსაზღვრავენ როგორც პრინციპს, უფრო სწორედ განიხილავენ „უარყოფის“ სხვადასხვა სახეებს. შესაბამისად გვთავაზობენ მის დიდ ჩამონათვალს, მაგრამ ამასაც არ აქვს აზრი, რადგან ფილოსოფიის უსუსურ მარცვალს შეიცავს, შესაბამისად, ძნელად სარწმუნოა, რომ ამ წიგნების ავტორები ასეთი სახით ერთობოდნენ.

ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი შემთხვევით მოვლენების განვითარების შედეგია, შესაბამისად გვიყვებიან რომელიც გრძელ და მოსაწყენ მოსაზრებებს გარემოებების შესახებ, ცარიელი სიტყვების და უაზრობების კასკადს წარმოადგენს და რადგან ისინი ამ პრინციპებს საერთო სახით განიხილავენ, თანხმდებიან ამ პრინციპების მუდმივობაში. ისინი ამტკიცებენ, რომ არსბობს ერთი ბრძენკაცი, რომელიც რაღაც მსგავს თემებზე საუბრობდა.

მოსახლეობას აქვს სამედიცინო შინაარსის პატარა წიგნები, რომელიც თავის მხრივ რეცეფტების კრებულს უფრო წარმოადგენს ვიდრე ფუნდამენტალურ სამედიცინო წიგნს. ყველაზე ძველი და პოპულარული წიგნი დაწერილია ლექსების სახით. ასევე მსურს მოგახსენოთ, რომ მისი პრაქტიკული მოხმარება ძირეულად განსხვავდება ჩვენი მედიცინისგან და დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე: ციებ-ცხელების დროს პაციენტმა არ შეიძლება ბევრი ჭამოს, მთავარი წამალი გახლავთ თავშეკავება, ავადმყოფისთვის მავნებელია ხორცის ბულიონი, ავადმყოფი, რომელიც ციებ-ცხელებით დაავადებულია სისხლის გამოშვება დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაგალითად ტვინის, ღვიძლის, თირკმელების ან მკერდის ანთების დროს.

მკურნალობის ეს მეთოდები რამდენად კარგია ჩვენ მეთოდებთან შედარებით, ეს საკითხი მკურნალმა ექიმებმა უნდა გადაწყვიტონ. მე ვაკვირდები, რომ ამ მეთოდებს აქ საკმაოდ ეფექტურად იყენებენ და რომ მოგოლების და მაჰმადიანთა ექიმები ავიცენას და ავეროესას მიერ დაწესებულ მკურნალობის მეთოდებს ზედმიწევნით იცავენ, ასევე იქცევიან ინდუსებიც. მოგოლები სისხლის გამოშვებას პრიორიტეტულად მიიჩნევენ ვიდრე ინდუსები. ისინი ავადმყოფის სისხლის გამოშვებას ორჯერ ან სამჯერ მიმართავენ, მაგრამ უფრო ნაკლები სიფრთხილით, თითქმის ისე, როგორც მათი წინაპრები აკეთებდნენ, ვიდრე თანამედროვე ექიმები აკეთებენ ამას გოაში და პარიზში. ისინი იღებენ თვრამეტ-ოც უნცია სისხლს, მაშინაც კი, თუ ავადმყოფს გული წაუვა. ამ მეთოდს გალიანი გვირჩევს რომლის გამოყენებაც საწყის ეტაპზევე ხშირად კურნავს ავადმყოფს. რამდენჯერმე მე თავად გახლდით ამის მოწმე.

ანატომიაში, პირდაპირ რომ ვთქვათ ინდოელებმა არაფერი არ იციან. ამ თემასთან დაკავშირებით ისინი „დაუშვებელს“ ამბობენ, ამისი არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან ისინი არ კვეთენ მიცვალებულთა სხეულებს, რადგან ამ შემთხვევაში მათ საოცარი შიში იპყრობს.

როცა მე ცოცხლ თხას ან ცხვარს ვკვეთდი, რათა ამეხსნა, პიკეს აღმოჩენების საკითხები, ჩემი აღასთვის სისხლის მიმოქცევის პრინციპები და მეჩვენებინა მისთვის სისხლძარღვები, რომელიც გულის პარკუჭთან არის მიერთებული და მასში რძიანა მიედინება, რომ ჩვენი სახლის ყველა მობინადრე შეშინებული გარბოდა. მიუხედავად ამისა ისინი ამტკიცებდნენ, რომ ადამიანის სხეულში ხუთი ათასი ვენაა, არც მეტი და არც ნაკლები, გეგონებათ გულმოდგინეთ დაეთვალათ მათი რაოდენობა.

ასტრონომიაში ინდუსებს თავისი ცხრილები აქვთ, რომლის მიხედვითაც დაბნელების წინასწარ განსაზღვრა შეუძლიათ. შესაძლებელია ევროპელი ასტრონომების სიზუსტით ვერ გამოთვალონ, მაგრამ ამ ცხრილების საშუალებით მაინც საკმაოდ ზუსტი გამოთვლების ჩატარებაა შესაძლებელი. ასევე მთავარის დაბნელაბასთან მიმართებაშიც ანალოგიური სიტუაციაა. ისინი ამტკიცებენ, რომ მთვარის დაბნელებას იწვევს შავი, მრისხანე და ავი დუეტა, რომელასაც უწოდებენ „რაჩს“ და რომელიც იპყრობს მთავარეს და აბნელებს მას. ასევე

სწამთ, (იგივე საფუძვლზე) რომ მთვარე მზეზე მაღლაა ოთხასი ათასი კოსით, ანუ ორმოცდაათი ათას ლიეზე შორს მდებაეობს და რომ ის, საკუთარ ნათელს აფრქვევს და მისგან სასიცოცხლო სითხეს ვღებულობთ, რომელიც თავის მხრივ გროვდება თავის ტვინში, საიდანაც ადამიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილებს მიეწოდება რათა საკუთარი ფუნქციები, უკეთ შეასრულონ. მათ სჯერათ, რომ მზე, მთვარე და ვარსკვლავები ღვთაებრივია და რომ ღამის სიბნელე გამოწვეულია მზის სომერში, ფანტასტიკურ მთებში წასვლის გამო და რომელიც დედამიწის ცენტრში მდებარეობს და ჩენ შეგვიძლია მზის ნათელის ხილვა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მთებიდან გამოდის.

რაც შეეხება გეოგრაფიას, მათ სჯერათ, რომ სამყაროს სამკუთხა ფორმა აქვს და შედგება შვიდი რიგისგან, რომლებიც ერთმანეთისაგან ბუნებრივი პირობებით, სრულყოფისა და მოსახლეობით განსხვავდებიან, შესაბამისად თითოეული მათგანი ზღვით არის შემოსაზღვრული. ერთი ზღვა არის — რძის, მეორე — შაქრის, მესამე — ზეთის, მეოთხე — ღვინის და ასე შემდეგ. ამგვარად ზღვა და ხმელეთი ერთმანეთშია ათქვეფილი სანამ არ მიაღწევთ მეშვიდე რიგს, რომელიც სომერის მთების კალთებიდან იწყება და იგი ცენტრში მდებარეობს. პირველი რიგი, რომელიც სომერთან ყველაზე ახლოს მდებარეობს დასახლებულია დეუტებით, რომლებიც უმაღლეს სრულყოფილებას ფლობენ, მეორე რიგში — ასევე დეუტები ცხოვრობენ, მაგრამ ისინი ნაკლებად სრულყოფილები არიან, შემდეგ მოსახლეობა უფრო და უფრო ნაკლებად სრულყოფილი დეუტებით არის დასახლებული და ბოლოს, მეშვიდე რიგი — ეს გახლავთ ჩვენი მიწა, რომელზეც ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც ყველა დეუტთან შედარებით ყველაზე ნაკლებად სრულყოფილები არიან. და ბოლოს მთელი ეს „მასა“ ეყრდნობა რამდენიმე სპილოს თავს, და თუ სპილოების თავები მოძრაობაში მოვლენ იწყება მიწისძვრა.

როდესაც ვუსმენ ამ აბსურდს, ბუნებრივად მებადება კითხვა, ნუთუ ძველი ბრამინების სახელგანთქმული მეცნიერება ამაში მდგომარეობდა? და თუ ეს სიმართლეა, გამოდის, რომ ხალხი უბრალოდ შეცდომაში არის შეყვანილი, რადგან მათ დიდი წარმოდგენა გააჩნდათ მასზე, რომ არა ამ თემებთან დაკავშირებით განხილვაში მონაწილეობის მიღება, მე საკუთარი თავის დარწმუნებაც კი გამიჭირდა რომ

სხვაგვარად მეფიქრა. ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ ინდუსთა რელიგია უხსოვარი დროიდან არსებობს და გადმოცემულია სანსკრიტის ენაზე, რომელიც უძველესია და არავინ უწყის როდიდან იღებს სათავეს ეს ენა, რომელიც შეიძლება მკვდარ ენებსაც მივაკუთნოთ, რადგან ის, მხოლოდ მეცნიერებისთვის არის გასაგები, ამ ენას გააჩნია პოეტური ღირებულება და უმეტესი სამეცნიერო ლიტერატურა დაწერილია ამ ენაზე.

ეხლა მსურს რამდენიმე სიტყვით კერპების შესახებაც მოგითხროთ.

როცა ქალაქ ბენარეს გავლით განგის ხეობას ქვევით მივუყვებოდი, მე ვიხილე ბენარეში ინდუსთა სახელოვანი სკოლა, სადაც მთავარ პანდიტს შევხვდი, რომელიც ამავე ქალაქში ცხოვრობს. ის ფაკირია, რომლებიც ასე სახელგანთქმულები არიან თავიანთი მეცნიერებით, რომ შაჰ-ჯეხანმა, ნაწილობრივ ამის გამოც და ნაწილობრივ რაჯების ინტერესების გამო, მას ორი ათასი რუპია ჯამაგირი დაუნიშნა, რომელიც ათას ეკიუს შეადგენს. ის საკმაოდ წარმოსადეგი ადამიანი გახლდათ. მისი ჩაცმულობა შედგებოდა გრძელი და ფართე შარფისგან, რომელიც წელზე ჰქონდა შემოხვეული და ბოლოები მუხლებამდე სცემდა. მეორე, — აბრეშუმის ფართო შარფი ემოსა, რომელიც მხრებზე მანტიის მსგავსად ჰქონდა შემოხვეული. მე ასეთივე ჩაცმულობით რამდენჯერმე მყავდა ნანახი ეს ადამიანი მეფის კარზე დელიში, როცა ემირთა შეკრებები იმართებოდა, ქუჩაშიც შემხვედრია რამდენჯერმე. გარდა ამისა ჩემს აღასთან შევხვდი რამდენჯერმე და საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ. ამ ადამიანს იმედი ჰქონდა რომ ჩემი აღა დაეხმარებოდა ჯამაგირის აღდგენაში, რომელიც აურენგზიბის ტახტზე ასვლის შემდეგ მეფემ მოუხსნა, ის ძალიან ცდილობდა კარგი მუსულმანის შთაბეჭდილება მოეხდინა მეფეზე. როცა მე ბენარესეში მოვინახულე და საკმაოდ თავაზიანად შემხვდა. მან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მიმასპინძლა და სადილზე ექვსი პანდიტიც მოიწვია. ისეთ საზოგადოებაში აღმოვჩნდი რომ ბუნებრივად გამიჩნდა სურვილი ჩემთვის საინტერესო თემაზე მესაუბრა მათთან კერპებთან და კერპთაყვანისმცემლობასთან დაკავშირებით და ვთხოვე მათ საკუთარი აზრი გამოეთქვათ ამ საკითხის შესახებ. მე ვთქვი, რომ მივემგზავრები ინდოეთიდან შეშფოთებული იმის გამო, რომ კერპები და

კერპთაყვანისმცემლობა ეწინაღამდეგება საღ აზრს და მიმაჩნდა, რომ ისეთი დიდი მეცნიერებისთვის, როგორებიც ისინი ბრძანდებიან, მიუღებელი იქნებოდა და აი როგორი იყო ამ საუბრის შედეგი.

ჩვენს ტაძრებში, მითხრეს მათ, ნამდვილად არის ბრამის, მეგადევის, გენიშას, გავანის გამოსახულებები, რომლებიც მთავარ და სრულყოფილ დეუტას წარმოადგენენ, ჩვენ გვყავს ბევრი სხვაც, რომლებიც ნაკლებად სრულყოფილნი არიან და შესაბამისადაც სცემენ თაყვანს. ყველა სრულყოფილი დეუტას გამოსახულებას ჩვენ დიდ პატივს მივაგებთ, მათ წინაშე ვემხობით და მთელი ცერემონიებით მივართმევთ ყვავილებს, ბრინჯს, ზაფრანის ზეთს და სხვა საჩუქრებს, მაგრამ ჩვენ არ გვჯერა, რომ ეს ქანდაკებები რეალურად წარმოადგენს თვით ბუდდას ან ვიშნას. ეს ქანდაკებები მხოლოდ მათი გამოსახულებებია. ჩვენ ქედს ვუხრით მათ, ღვთაების პატივისცემის ნიშნად, რომელსაც ისინი გამოხატავენ, როცა ჩვენ ვლოცულობთ, ქანდაკებისთვის კი არ ვლოცულობთ, არამედ ღვთაებისთვის, ვის განსახიერებასაც ეს ქანდაკება წარმოადგენს. ღვთაების გამოხატულება ჩვენს ტაძრებში იმიტომ არსებობს რომ ამ დროს ლოცვა უფრო გამჭოლია, როცა თქვენს თვლწინ არსებობს ისეთი რამ, რაზედაც თქვენი გონების კონცენტრაციას მოახდენთ. რეალურად კი ჩვენ ვაღიარებთ, რომ მხოლოდ ღმერთია აბსოლიტურად სრულქმნილი და ყოვლადძლიერი. მე არაფერი არც დამიმატებია და არც მომიკლია მათი პასუხიდან, რომელიც მათ გამცეს ჩემს კითხვაზე, მე მომეჩვენა თითქოს ქრისტიანული სწავლების გავლენა იგრძნობოდა მათში. სხვა მეცნიერი პანდიტები სხვა რამეს მომითხრობდნენ, ამიტომ მე შევეცადე საუბარი ქრონოლოგიის განხრით წამეყვანა. ისინი ცდილობდნენ ეჩვენებინათ ჩემთვის, რომ სიძველე ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე ის, რასაც ჩვენ ვხედავთ. ისინი არ ამტკიცებდნენ რომ სამყარო მუდმივია, მაგრამ მათი აზრით, ის იმდენად „მოხუცია“, რომ ის მარადისობის ტოლფასია. ისინი ამბობდნენ, რომ სამყაროს არსებობა განისაზღვრება ოთხი დგუგით. დგუგი მოიცავს განსაზღვრული რაოდენობის წლებს, როგორც ჩვენთვის საუკუნე, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ საუკუნე ას წელიწადს მოიცავს, ხოლო დგუგი — ას ლეკს ანუ ასჯერ ასი ათას წელს. მე ზუსტად ვერ გეტყვით რამდენი წელს ითვლის თვითოეული დგუგი, მაგრამ პირველი, რომელსაც სატი-იუგა, ითვლიდა ოცდახუთ ლეკ-ს,

მეორე, ტრიტად წოდებული, თორმეტ ლეკ-ს, მესამე, დვაპრა — რვა ლეკ-ს და ორმოცი ათას წელს, მეოთხე, კავი-დგუგა კი, რამდენ ლეკს მოიცავს არ მახსოვს. ისინი ამბობენ, რომ პირველი სამი დგუგა და მეოთხე დგუგის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გავიდა და სამყარო კიდევ ამდენ ხანს ველარ იარსებებს რამდენიც უკვე იარსება, რადგან მეოთხე დგუგის ბოლოს, ის დაიღუპება, შემდეგ კი ყველაფერი თავიდან დაიწყება. მე ვაიძულებდი მათ თავიდან დაეთვალათ და გამოეთვალათ სამყაროს რეალური „ასაკი“, მარამ როგორც ეტყობა გამოთვლებისას მათი აზრები გაიყო ლეკების რიცხვით მნიშვნელობებზე და მე დავრწმუნდი, რომ სამყარო მათი აზრით, საოცრად „მოხუცია“. მაგრამ შეეცადეთ და ჰკითხეთ და მაშინ დაიწყებენ ცარიელი ზღაპრების მოყოლას და თქვენი დარწმუნებით დაამთავრებენ, რომ ასეა თურმე ვედებში ნათქვამი, ანუ კანონთა წიგნებში, რომელიც მიეცათ ღმერთისგან ბრამის ხელით.

შემდეგ გამოვიკითხე თუ როგორი იყო დეუტას ბუნება. მათ საკმაოდ არადამაჯერებლად ამიხსნეს. ისინი ამბობდნენ, რომ „დუეტა“ არსებობს სამი სახის: კარგი, ცუდი, და თვითმყობადი, ანუ არც კარგი და არც ცუდი. ისინი ამტკიცებენ რომ დუიტი — ცეცხლი და დუიტი — სინათლე, სხვადახვაა, ბევრს კი მიაჩნდა, რომ ისინი ბიაპეკს წარმოადგენენ. მე არ შემიძლია ნათელი ახსნა შემოგთავაზოთ, თუ რას ნიშნავს „ბიაპეკ“-ი. მე მიმტკიცებდნენ, რომ ღმერთი — „ბიაპეკ“-ია, და რომ ჩვენი სული — „ბიაპეკ“-ია და რომ ყველაფერი რაც ბიაპეკია არ ემორჩილება დროს და ადგილის ცვლილებას. არიან პანდიტები, რომლებიც ამტკიცებენ რომ დეუტები მხოლოდ ღვთაების ნაწილებს წარმოადგენენ, ხოლო ზოგნი კი მათ დამოუკიდებელ ღვთაებებად მიიჩნევენ და ქვეყნიერებაზე არიან გაბნეულები.

მახსოვს, რომ ვიკითხე „ლენგე-ჩეპიპე“-ს შესახებ, რომლის არსებობას უშვებს ავტორთა ერთი ჯგუფი, მე მათგან იმაზე მეტი ინფორმაცია ვერ მივიღე გარდა იმისა, რაც ერთმა პანდიტმა მითხრა, რომ მცენარის თესლები, ხეები და ცხოველები თავიდან აღარ წარმოიქმნება და რომ ისინი გაბნეულები არიან ყველგან, სამყაროს შექმნის დღიდან და რომ ისინი მცენარეების, ხეების და ცხოველების რეალურ არსს წარმოადგენენ და იმდენად მცირე ზომისანი არიან, რომ მათი ცალკეული ნაწილის დანახვა შესაძლებელია მხოლოდ იმ

ადგილას სადაც მათთვის საკვები მოიპოვება, სადაც ვითარდებიან და იზრდებიან. ამგვარად ვაშლების და მსხლების ოჯახები ყოფილა ლანგე-ჩერირე, ანუ პატარა ვაშლის ან მსხლის ხე, რომელიც არსებობს თავისი სხვადასხვა გამოხატულებებით, ცხენების ოჯახს, სპილოებს, ადამიანებსაც, ასევე ჰყავს ლანგე-ჩერირე — პატარა ცხენი, პატარა სპილო და პატარა ადამიანი, რომელსაც სჭირდება მხოლოდ სული და საკვები, იმისათვის რომ მიიღოს შესაბამისი ფორმა.

მსურს აგიხსნათ ერთი დიდი სექტის მისტიკური სწავლების შესახებ, რომელმაც ინდოეთში დიდი ხმაური გამოიწვია, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთმა პანდიტმა შთაუნერგეს ეს სწავლება შაჰ-ჯეხანის უფროს ვაჟებს, დარას და სულთან-სუჯას.

თქვენ იცნობთ ძველ ფილოსოფოსთა მოძღვრებებს დიადი მსოფლიო სულის შესახებ, რომლის ნაწილებსაც, მათი მტკიცებით, ჩვენი და ცხოველების სულები წარმოადგენს. თუ ჩაურღმავდებით პლატონის და არისტოტელეს მოძღვრებას, აღმოვაჩენთ რომ ისინიც ყოფილან გატაცეულნი ამ სწავლებით. მას იზიარებს ინდოეთის თითქმის ყოველი პანდიტი და ასევე სუფიტების თანამედროვე სექტა, ასევე სპარსეთის მეცნიერთა დიდი ნაწილი. სპარსულ პოეზიაში ეს თემა საკმაოდ შთამბეჭდავად არის გამოხატული „გულშენრაზში“ ანუ „იდუმალების საყვავილეში“. ამ აზრს იზიარებდა ასევე ფლუდი, რომელიც უარყო დიდმა გასსენდიმ. მან ბევრი ჩვენი ქიმიკოსიც კი შეიყვანა შეცდომაში.

ინდოელი პანდიტები თავიანთი სწავლებებით კიდევ უფრო შორს მიდიან, ვიდრე ყველა ზემოთ ხსენებული ფილოსოფოსი ერთად აღებული და თან ამტკიცებენ, რომ ღმერთმა, ანუ უმაღლესმა არსებამ, რომელსაც „ახარ“-ს (უძრავი და უცვლელი) უწოდებენ, შეჰქმნა, ან საკუთარი სუბსტანციიდან „გამოიყვანა“ არა მარტო სულები, არამედ ყოველივე მატერიალური და სხეულის მქონე მთელ სამყაროში და რომ ეს „შექმნა“, განხორციელებული იყო არა მარტო იმ მოტივით, რომ შეექმნა, არამედ როგორც ობობას, რომელიც საკუთარ ქსელს ჰქმნის და როცა ისურებს ყველაფერს უკან წაიღებს. ეს წარმოსახვითი მეცნიერები ამბობდნენ რომ „შექმნა“ არის გამოყოფა, ანუ ღმერთის პირადი სუბსტანციის განვრცობა, საკუთარი „ქსელიდან“ რომელსაც ის გამოყოფს საკუთარი „შინა-არსიდან“, ხოლო კაცობრიობის განად-

გურება, მეტი არაფერია თუ არა ღმერთის მიერ ღვთაებრივი სუბ-სტანციის უკან დაბრუნება. ამგვარად სამყაროს უკანასკნელ დღეს, რომელსაც „მაპერლე“-ს ანუ დაღვრას უწოდებენ, მათი რწმენით ყველაფერი განადგურდება, რაც ღმერთის მიერ საკუთარი არსიდან გამომდინარეა, მთელი „ქსელი“ უკან, ღმერთის სხეულში დაბრუნდება. ამიტომაც, ამბობენ ისინი, არ არსებობს არაფერი რეალური და ჭეშმარიტი იმაში, რასაც ჩვენ ვხედავთ, გვესმის, ვგრძნობთ ან შევიმეცნებთ. მთელი სამყარო მხოლოდ ილუზიაა, რაღაც სიზმრის მსგავსი, რადგან მთელი მრავალფეროვნება, რომელსაც შევიგრძნობთ, რეალურად ის ერთადერთი — მხოლოდ ღმერთია, ყოველი ციფრიც კი, ათი, ოცი, ასი, ათასი და ასე შემდეგ, ნიშნავს ერთი და იგივე ერთეულის განმეორებას.

შეეცადეთ, რომ მათ თხოვოთ ამ თეორიის, უფრო სწორედ ახსნა. შეეცადეთ, თხოვოთ აგიხსნან თუ როგორ ხდება სუბსტანციის განვრცობა და შემდეგ უკან დაბრუნება, ჰკითხეთ მათ, როგორ არის შესაძლებელი, რომ ღმერთი, რომელსაც სხეული არ აქვს და წარმოადგენს ბიაპეკს, როგორც თვითონ ამტკიცებენ, ერთიან და განუყოფელ ფენომენს წარმოადგენს, როგორ იშლება, ნაწევრდება ამდენ ნაწილად და სულებად. ამ შეკითხვაზე ისინი მხოლოდ ლამაზი შედარებებით გიპასუხებენ, რომ ღმერთი — დიდი ოკეანეა, რომელშიც უამრავი წყლით სავსე გემი დაცურავს და საითაც არ უნდა გაცურდეს ხომალდი ის მაინც იმავე ოკეანეში რჩება და თუ დაზიანდა, ან ჩაიძირა, ის წყალი, რომლითაც სავსეა გემი, ოკეანეში ჩაიღვრება, რომლის ნაწილსაც გემზე დატვირთული წყალი წარმოადგენდა და მის ნაწილი იყო. ისინი გეტყვიან, რომ ღმერთი, ეს სინათლეა, რომელიც ყველგან ერთია, მაგრამ ყველაფერს სხვადასხვა სახეს, ფერის და შუშის ფორმის მიხედვით ანიჭებს, რასაც ის შეეხება. ისინი სხვას არაფერს გიპასუხებენ, მათ მხოლოდ შედარებების და მაგალითების მოყვანა შეუძლიათ და ისინიც ღმერთის მცნებასთან არავითარ თანხვედრაში არ მოდის და ასე ატყუებენ უმეცარ ხალხს, შესაბამისად თქვენც ამაოდ დაშვრებით არგუმენტირებული განმარტებების მოლოდინში. თუკი ვინმე შეეპასუხება და ეტყვის, რომ გემები ცურავენ წყალში, რომელიც ჰგავს მათში ჩატვირთულ წყალს, მაგრამ ოკეანის წყლისგან განსხვავდება, ან თუ ეტყვით, რომ სინათლე მთელს მსოფლიოში ერთნაირია, მაგრამ ყველ-

გან სხვადასხვა ნათება აქვს, ან მოუყვანთ სერიოზულ არგუმენტებს მათი თეორიის საპირისპიროდ, ისინი ნებისმიერ შემთხვევაში ისევ შედარებებით გიპასუხებენ, ან სუფიტების მსგავსად მოიქცევიან, წაგიკითხავენ გულშენრაზის შესანიშნავ პოემებს.

ეს ყველაფერი, ამ ხალხის საოცარი გამომგონებლობის ერთობლიობაა, რომელიც ეხლა მე თქვენ გიამბეთ, ეს პანიკური და ბავშვური შიში, რომლის შესახებაც მე უკვე ვისაუბრე, ეს უღვთოობით გამოწვეული ცრუმორწმუნეობა და მზის განთავისუფლების სურვილი ბოროტი დეუტას ხელყოფისაგან, ყოველივე ეს, არაფრის მომცემი ლოცვები, განბანვები, ყვინთვა, მოწყალების წყალში გადაგდება, ან ბრამინებისთვის დარიგება, ქალების ჯოჯოხეთური სიჯიუტე და შეურყეველი სურვილი რათა თავი დაიწვას ქმრის გვამთან ერთად, მაშინ როდესაც სიცოცხლეში ერთმანეთს ვერ იტანდნენ, ფაკირების სისულელეების მთელი კასკადი და სიცრუე, ვედების შინაარსი და კიდევ სხვა მრავლი თემები, ნუთუ მე საშუალებას არ მაძლევს, რომ ამ ყველაფერის შემდეგ, ჩემი წერილის სათაური იყოს: „ღიმილის მომგვრელი და უმეცარი მოსაზრებები, რომელიც ადამიანს აზრადაც არ მოუვა“.

პირველი წერილი ბატონ დე მერვეილს

როცა აურენგზიბი წასვლას აპირებდა. აურენგზიბის მოგზაურობის შესახებ, არმიისა და ორმაგი არტილერიის შესახებ, რომელიც ჩვეულებისამებრ ყოველთვის თავისთან ახლოს ჰყავდა, მთავარი მხედრების ეკიპირების და მომარაგების შესახებ. ცუდი წყლის გამოყენების გამო შედეგების შესახებ და ზოგიერთი სპეციალური წესების შესახებ, რომელიც ინდოეთში მოგზაურობის დროს აუცილებლად უნდა დაიცვათ

მოწყალეო ბატონო!

მას შემდეგ რაც აურენგზიბმა თავი უკეთ იგრძნო, დადიოდა ჭორი, რომ ის ლაგორში გაემგზავრა და იქიდან ქაშმირისკენ გასწია, რათა ჰაერი გამოეცვალა და მოახლოებული ზაფხულის სიცხისგან თავი დაეცვა, რადგან ეშინოდა, რომ ავადმყოფობა არ შებრუნებოდა. სამეფო კარზე გონიერი ადამიანები ძნელად იჯერებდნენ, რომ აურენგზიბი თავს ნებას მისცემდა ასე შორს გამგზავრებულიყო სასახლიდან, მაშინ როდესაც შაჰი-ჯეხანი აგრაში ჰყავდა დატყვევებული. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ პოლიტიკურ გათვლაზე მეტად, ჯანმრთელობა და ექიმების რჩევები, უფრო პრიორიტეტული აღმოჩნდა, ან უფრო სწორედ იმოქმედა რაუშეჰარი-ბეგუმის ინტრიგებმა, რომელსაც სიკვდილამდე სურდა თავისუფლებით დამტკბარიყო და არა სერალიას ჰაერით ესუნთქა, ასევე გამოჩენილიყო დიდ და ძლევამოსილი არმიის წინაშე, როგორც ამას მისი საყვარელი და, ბეგუმ-საჰაბი აკეთებდა შაჰ-ჯეხანის მეფობის დროს.

აურენგზიბი 6 დეკემბერს დღის სამ საათზე გაემგზავრა. დღე და საათი კეთილის მომტანი უნდა ყოფილიყო შორეული მოგზაურობის დასაწყებად, თუ ამას ასტროლოგებს დავუჯერებთ, რომელნიც ასეთ დროს რჩევებს იძლევიან. აურენგზიბი შახლიმარში, თავის ქალაქგარეთ რზიდენციაში გაემგზავრა, რომელიც აგრადან ორი ლიეს მანძილზე მდებარეობდა, სადაც მან მთელი ექვსი დღე დაჰყო, რათა მიეცა საშუალბა ქვეშემდომებისთვის სამოგზაუროდ ყველაფერი მოემზადებინათ, რომელიც ნახევარი წლის მანძილზე გაგრძელდებოდა.

დღეს ჩვენ გავიგეთ, რომ ის, უკვე გაემგზავრა და გზად ლაგორში უნდა დაბანაკებულიყვნენ, სადაც ორ დღეს დაჰყოფდნენ და შემდეგ განაგრძობდნენ გზას.

მან თან წაიყვანა ოცდათხუთმეტი ათასი მხედარი, რომელიც მუდმივად მის გვერდით იყვნენ და კიდევ ოცი ათასი ქვეითი, ასევე ორივე სახის არტილერია, ანუ მძიმე და მსუბუქი, ეგერთ წოდებული „წკეპლა“, (სწრაფ მსროლელი), რომელიც ყოველთვის მეფეს თან ახლავს, მაშინ, როდესაც მძიმე არტილერია კარგი გზით გადაადგილდება, რომ ჩქარა იაროს, „წკეპლა“ ყოველთვის მეფის ამალას ახლავს თან, რადგან მსუბუქია და მისი გადატანა (გადაადგილება) არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. მძიმე არტილერია შედგება სამოცდაათი ზარბაზნისგან, მათგან ზოგი იმდენად მძიმეა, რომ გადასატანად ოცი წყვილი ხარია საჭირო და არც თუ ისე იშვიათად, ხარებთან ერთად სპილოებსაც შეაბამენ ხოლმე. მსუბუქი არტილერია, როგორც უკვე ვთქვი, შედგება ორმოცდაათი, ან სამოცი ერთეული საველე ზარბაზნისგან, რომელიც ბრინჯაოსან არის ჩამოსხმული და დამონტაჟებულია პატარა ურიკებზე, ლამაზი ნამუშევარია და კარგადაც არის მოვარაყებული. ურიკები მორთულია მომცრო დროშებით და შებმულია ორი კარგი ცხენი, რომელსაც მეზარბაზნე მართავს, ხოლო მესამე ცხენი — შემცვლელი, აღვირით მოჰყავს მეზარბაზნის დამხმარეს. ეს ურიკები ყოველთვის სწრაფად გადაადგილდებიან, რომ მოეწყონ მეფის კარავში შესვლამდე და შემდეგ ზალპით ამცნონ ჯარს მბრძანებლის კარავში შესვლა. ყველა ეს დიდი მოსამზადებელი საქმიანობა საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ქაშმირის მაგივრად ყანდაგარისკენ არ წავსულიყავით და ალყაში არ მოვქცეულიყავით, ეს ქალაქი სპარსეთის, ინდოსტანის და უზბეკეთის საზღვართან მდებარეობს და ძალიან ლამაზ, მაღალ შემოსავლიან ქვეყნის დედაქალაქს წარმოადგენს, ამიტომ სპარსელები და ინდოელები აქაურობის დაპატრონებაზე ხშირად ებრძოდნენ ერთმანეთს.

რაც არ უნდა იყოს დელიდან სასწრაფოდ უნდა გავემგზავრო, წინაღამდეგ შემთხვევაში არმიის ზურგში აღმოვჩნდები. ასევე მე ვიცი რომ ჩემი ნაბობი, ანუ აღა, დანეშმენდ-ხანი მოუთმენლად მელის ბანაკში. სადილის შემდეგ აუცილებლად მომიწევს ფილოსოფოსობა გასსენდის და დეკარტის მოძღვრებებთან დაკავშირებით, ასევე ვი-

საუბრებთ ასტრონომიაზე ან ანატომიაზე, დილაობით კი, როგორც ყოველთვის, აღა, სახელმწიფო საქმეებით იყო დაკავებული, მას უცხოეთთან ურთიერთობის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანამდებობა და კავალერიის მხედართმთავრის პოსტი ეჭირა.

მე ამაღამ გავემგზავრები, მას შემდეგ, როცა ჩემს საქმეებს მოვაწესრიგებ და სამოგზაუროდ თადარიგის მომზადებას დავასრულებ როგორც ამას აკეთებენ თათარი მხედრები, ორი კარგი ცხენით, რომელიც მე მყავდა, ჩემი კარგი ჯამაგირის წყალობით, რომელიც თვეში ას ორმოცდაათ ეკიუს შეადგენდა. ასევე თან მიმყავდა ორი სპარსული აქლემი მეჯოგესთან ერთად, ასევე თან უნდა წამეყვანა ჩემი მზარეული და კიდევ რამდენიმე მსახური, რომლებიც ჩვეულებრივად მიდიან ცხენების წინ და მიაქვთ წყლით სავსე ჭურჭელი. გარდა ამისა მე მოვიმარაგე საჭირო ნივთები: საშუალო ზომის კარავი, შესაბამისი ზომის ხალიჩა, სამგზავრო პატარა საწოლი, რომელიც შავი ხისგან არის დამზადებული და საკმაოდ გამძლეა და მსუბუქიც, ასევე ბალიში, ორი საბანი, აქედან ერთი, ლეიბის მაგივრობას გამიწევდა, თან მიმქონდა ტყავისგან დამზადებული მრგვალი სუფრა, ხელსახოცები და სამი ჩანთა სამზარეულოს ინვენტარი, რომელიც დიდ ჩანთაში იყო მოთავსებული, ამ ჩანთას საკმაოდ გამძლე თასმებით კრავდნენ, ასევე ცალკე ჩანთაში ბატონის და მსახურების ტანსაცმელი იყო ჩალაგებული. რამდენიმე დღის სამყოფი შესანიშნავი ხარისხის ბრინჯიც თან წავიღე, იმის შიშით, რომ ასეთ პროდუქტს მოგზაურობის დროს ვერ ვიშოვიდი, ასევე ანანასისგან დამზადებული ტკბილი ნამცხვრები, ლიმონი, შაქარი და სხვა პროდუქტები რკინის საკეტიან ჩანთაში მოვათავსეთ. ეს ყველაფერი ერთ საპალნედ, ხურჯინის მსგავსად, გროვდება და იმდენად მძიმეა, რომ სამი-ოთხი ადამიანი ძლივს ტვირთავს მას აქლემზე. ორი ადამიანი ამ ნივთებს ალაგებს აქლემზე გადასაკიდებელ ხურჯინში, შემდეგ აქლემის დააწვენენ და ისე გადაჰკიდებენ ზურგზე.

მთელი ეს ბარგი აუცილებელია შორეული მგზავრობისთვის. აქ იმედი არ უნდა გქონდეს რომ სადმე კარგ ბინას წააწყდები, როგორც ეს ჩვენს ქვეყანაშია. უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ ცხოვრება მოგიწევს არაბული და თათრული წესით და არავითარი სხვა იმედი, რომ თავშესაფარის პოვნის იმედი, გარდა შენი კარვისა, არ უნდა გქონდეს. არც იმის იმედი არ უნდა გქონდეს, რომ გლეხებს რაიმეს წაართმევ,

რადგან ყოველი გოჯი მიწა მეფეს ეკუთვნის და გლეხიც მეფის ნებით ამუშავებს მას და მოსავალი მოჰყავს, მაშესადამე, თუ გლეხს გაძარცვავ, ეს ნიშნავს რომ მიითვისე სახელმწიფო საკუთრება. თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ ჩვენი ლაშქრობა ჩრდილოეთისკენ იყო მიმართული, მივემგზავრებოდით ზამთრის დასაწყისში და წვიმების პერიოდის დასრულების სეზონზე. ეს პეროდი საუკეთესოა ინდოეთში სამოგზაუროდ, რადგან ამ დროს, ინდოეთში წვიმა არ მოდის, არც მტვერი და სიცხე შეგაწუხებს მოგზაურს. გარდა ამისა მე არ მემუქრება ბაზრის პურით ვიკვებო, რომელიც ცუდად არის გამომცხვარი, ასევე მტვრით და ქვიშით არის სავსე. არ მომიწევს იმ საზიზღარი წყლის სმა, რომელიც ჭუჭყიანია და ადამიანების და ცხოველების ბანაობის გამო მუდმივად ამღვრეულია. ასეთ წყალს შეუძლია გამოიწვიოს ცხელება, რომელიც ძნელად რჩება და შესაძლოა ფეხებზე საკმაოდ საშიში შავი ჭიებიც გაუჩნდეს ავადმყოფს. ეს ჭიები ძლიერ ანთებას იწვევენ ორგანიზმში, რომელიც ცხელებას თან ახლავს და შესაძლოა ამ ჭიებისგან გაჩენილ ავადმყოფობას, მთელი წლის ან უფრო მეტი ხნის განმავლობაში თავი ვერ დააღწიო. ჩვეულებრივ ეს ჭიები ვიოლინოს სიმს მოგაგონებენ, რადგან საკმაოდ გრძელი სხეული აქვთ და ერთი შეხედვით ძარღვებს უფრო გვანან ვიდრე ჭიებს. ისინი ფრთხილად, ერთმანეთის მიყოლებით უნდა ამოიღოთ და ნემსის სისქის ჯოხზე უნდა დაახვიოთ რომ არ გაწყდეს. მე მამშვიდებს იმაზე ფიქრი, რომ არ მომიწევს ამგვარი უხერხულობის გადატანა, რადგან ჩემმა ნაბობმა გამოიჩინა მოწყალება და ბრძანება გასცა ყოველ დღე ჩემთვის მოეცათ პური და „სურე“, ანუ განგის წყალი. მან, ისევე როგორც ყველა დიდებულმა, აქლემებზე სურეს დიდი მარაგი დატვირთა. სურე წარმოადგენს კალისგან დამზადებულ ჭურჭელს, რომელიც წყლით არის სავსე, რომელსაც ცხენოსნების წინ ქვეითად მოსიარულე მსახური წითელი ფერის ჩანთით ატარებს. ჩვეულებრივ ერთ ასეთ ჭურჭელში ერთ პიტნას დებენ, მე სპეციალურად შევუკვეთე კალის ჭურჭელი, რომელშიც ორი პიტნის ჩადება იყო შესაძლებელი. ვნახოთ იქნება კი ჩემი ეშმაკობა წარმატებული. ასეთ ჭურჭელში წყალი კარგად ინახება, სასურველია რომ ჩანთა, რომელშიც ეს სურები აწყვია სველი იყოს, ან მსახური უნდა ეცადოს, რომ იგი ნიავმა გააგრილოს. ტენიანი გარემო, ნიავი ან ქარი აუცილებელი პირობაა, რომ წყალი ყოველთვის კარგ მდგომარეობაში იყოს.

კალის ჭურჭელი წყლის ეფექტურად გაციების მიზნით მხოლოდ მოგზაურობის დროს გამოიყენება, სახლში კი ჩვეულებრივ გამოიყენება თიხის დოქი, რომელშიც წყალი უფრო უკეთ ცივდება თუ მასზე ზემოქმედების საშუალება ექნება ნიავს და დასველებულ ნაჭერს თუ შემოვახვევთ გარედან, ან გამოვიყენებთ გვარჯილას, როგორც ამას არმიაში და ქალაქში მდიდარი ადამიანები აკეთებენ, წყლის ან რომელიმე სხვა სითხის გასაციებლად იყენებენ კალის მრგვალ, მაღალყელიან ჭურჭელს, როგორიც შუშის ბოთლებს აქვთ ინგლისში, თხუთმეტი წუთის განმავლობაში ჭურჭელს წყალში დებენ და მასში გვარჯილის რამდენიმე მარცვალს აგდებენ. ამ შემთხვევაში ჭურჭელში წყალი ხდება უფრო ცივი და უსაფრთხო. მე თავიდან ვშიშობდი, რადგან მიუჩვეველ ორგანიზმში ასეთი წყალი მუცლის გვრემას იწვევს. ნეტავ რისთვის ვიპყრობ თქვენს ყურადღებას წყლის გაციებასთან დაკავშირებული საკითხებით, მაშინ როდესაც მგზავრობაზე უნდა ვიფიქრო და სიცხეზე, რომელიც მგზავრობისას ძალიან შემაწუხებელია, თუმცა სიცხე ინდოეთში ჩვეულებრივი მოვლენაა წლის ნებისმიერ დროს. მომიწევს მტვრის ყლაპვა, რომელიც მგზავრობისას საკმარისზე მეტია, მომიწევს ყოველ დღე გადმოვტვირთო და ისევ დავტვირთო ბარგი და მსახურებსაც უნდა მივეხმარო ბარგის შეკვრისას და ჩაბარგების დროსაც. დღეც და ღამეც მოგვიწევს მგზავრობა, კარვების გაშლა, შემდეგ მისი აკეცვა, უნდა ვიკვებოთ ცივი ან ძალიან თბილი საკვებით, მოკლედ წელიწადნახევრის განმავლობაში არაბული ცხოვრების წესით უნდა ვიცხოვრო.

გემშვიდობებით, ჩემს შეტყობინებას დრო და დრო გამოგიგზავნით და მოგახსენებთ ჩვენი ლაშქრობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ არმია მცირე გადასვლებით ივლის და მტრის თავდასხმისგან დაცული იქნება, ის მეფესთან ერთად, მთელი თავისი ბრწყინვალებით და პომპეზურობით თავს მოიწონებს, ამის უფლება კი ინდოეთში მხოლოდ მეფეებს აქვთ. მე შევეცდები დავიმახსოვრო ყოველი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელსაც ადგილი ექნება ამ მოგზაურობის დროს და ამის შესახებ აუცილებლად მოგწერთ როცა ლაგორში ჩავალთ.

მეორე წრილი — მასვე

დაწერილია 1664 წლის 25 თებერვალს ლაგორში აურენგზიბის ჩამოსვლის დროს.

რაოდენობის, დიდებულების, წესრიგის და კარვების განაწილების შესახებ დიდი მოგოლის მიერ ლაშქრობის დროს. სპილოების, აქლემების, ჯორების და მტვირთავების შესახებ, რომლებიც მათ ემსახურებიან. ბაზრების მოწყობა, ემირების, დიდებულების და მთელი არმიის განთავსება შესაბამისი უზრუნველყოფით. დაბანაკების დროს არმიის მიერ დაკავებული ტერიტორიის შესახებ. გამეფებული ქაოსის შესახებ და როგორ შეიძლება მისი გვერდის ავლა, ქურდობის წინაღამდეგ გატარებული ღონისძიებები, მეფის გადაადგილების შესახებ, პრინცესების და სერალის სხვა მკვიდრთა შესახებ, ქალების გადამეტებული სიახლოვის შესახებ, მეფის ნადირობის სხვადასხვა სახეების შესახებ და როგორ ნადირობს მეფე არმიასთან ერთად, არმიაში ადამიანების რაოდენობის და მათი უზრუნველყოფის შესახებ.

ამ ყველაფერს, შეიძლება ვუწოდოთ „მსვლელობა მთელი დიდებულებით“, ანუ როგორც ამბობენ „მომგოლურად“. დელიდან დაგორამდე მანძილი ოცდახუთი ლიეაა, მიუხედავად ამისა ჩვენ თითქმის ორი თვე მივდიოდით. მართალია მეფემ არმიის საუკეთესო ნაწილთან ერთად ცენტრალური გზიდან გადაუხვია რათა ენადირათ და შესაბამისად მდინარე ჯემნის ახლოსაც ყოფილიყვნენ. ამიტომ ჩვენ მთავარი გზიდან მარჯვნივ გადავუხვიეთ და საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, საკმაოდ ნელი ტემპით მივდიოდით ამ მიმართულებით, ვნადირობდით მინდორში, ბალახი კი იმდენად მაღალი იყო, რომ ცხენოსანი კაცის დანახვაც კი ჭირდა. ამ მინდვრებზე უხვად იყო სხვადასხვა სახეობის გარეული ფრინველი. ეხლა კარგ ქალაქში ვისვენებ და მე შევეცდები შეგატყობინოთ ყოველივე, რაც ამ წერილის სათაურშია მითითებული, მალე ალბათ ქაშმირში წავალთ და აგიწერთ მსოფლიოს ულამაზეს ქალაქს.

როდესაც მეფე ლაშქრობაში მიემგზავრება, მას თან ახლავს ორი ბანაკი, მე მინდოდა მეთქვა ორი სხვადასხვა კარავი, იმისათვის, რომ როდესაც მეფე ერთი ბანაკიდან გამოდის, მეორემ მთელი ერთი დღის განმავლობაში გაასწროს მის მსვლელობას და მეფეს მობრძანებამდე ყველაფერი მზად დახვდეს. ამიტომ ამ ბანაკებს „პეიშეკანე“-ს, ანუ

„სახლები რომლებიც მოგზაურობენ“, (გადაადგილდებიან) უწოდებენ. ორივე „პეიშეკანე“ არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან, მის გადასატანად კი სამოცი სპილო, ოცი აქლემი, ასი ჯორი და ასზე მეტი ადამიანია საჭირო. სპილოებს ყველაზე მძიმე ტვირთი მიაქვთ, მაგალაითად ბოძები და კარვის ნაჭერი, რომელიც მისი სიმძიმის გამო სამად არის გაყოფილი. აქლემებს პატარა კარვებს ჰკიდებენ ტვირთად, ჯორებს სამზარეულოს ინვენტარი მიაქვთ, ავეჯი, ფაიფურის ჭურჭელი, რომლითაც მეფე სარგებლობს, მოოქროვილი საწოლები და მდიდრული „კარგე“, რომლის შესახებაც მე კიდევ გიამბობთ. როგორც კი ერთ-ერთი „პეიშკენე“ დანიშნულების ადგილამდე ჩააღწევს, სახლთუხუცესი შეარჩევს შესაფერის ლამაზ ადგილს მეფის ბანაკისთვის, რომელიც გარკვეული სიმეტრიის დაცვას საჭიროებს არმიის დაბანაკებისთვის. სახლთუხუცესი განკარგულებას იძლევა კვადრატული ფორმის ტერიტორია მონიშნონ, რომლის თვითოეული გვერდი სამასი ნაბიჯის ტოლი იქნება. ასი ადამინი ასუფთავებს და ასწორებს ტერიტორიას, მიწისგან „დივანებს“ აკეთებენ, ანუ კვადრატულ ესტრადას, რომელზეც კარვის გაშლას იწყებენ, ხოლო მთელ ამ კვადრატულ მოედანზე შირმებს (თოკებით) აწყობენ სიმაღლეზე, რომლებსაც თოკებით მიწაში ჩასმულ ბოძებზე და საყრდენებზე ამაგრებენ, ბოძები ორ რიგად არის განლაგებული, კარვის შიგნით და გარეთ. მათ შორის მანძილი კი, ათ ნაბიჯს შეადგენს, დამჭიმებიც ბოძების შესაბამისად არის განლაგებული, კარვის შიგნით და გარეთ, ისე, რომ მთელი კონსტრუქცია ერთმანეთს ეყრდნობოდეს. შირმებს ამზადებენ მტკიცე ტილოსგან, რომელიც ყვავილებით არის მოხატული. კარვის ერთ-ერთ მხარეს, შუაში შესასვლელია, ანუ „სამეფო კარი“ მდებარეობს. ის საკმაოდ ფართოა, შესანიშნავად მორთული და მოხატული, როგორც კარვის მთელი გარეთა ნაწილი.

პირველი, და ყველაზე დიდი კარავს, რომელიც უკვე მომზადებულ სივრცეში უნდა დაედგათ ჰქვია „ამ-კაზ“-ი, იმიტომ რომ მეფე და მისი დიდებულები, რომლებიც არმიასთან ერთად იმყოფებოდნენ დილის ცხრა საათზე იკრიბებოდნენ, როდესაც აკეთებდნენ „მოკამ“-ს, ანუ შესვენებას რომელიმე ადგილზე. ინდოსტანის მეფეები იშვიათად ამბობენ უარს ამ ტრადიციაზე, რადგან მას ტრადიციის დარღვევად მიიჩნევდნენ. ისინი მიიჩნევდნენ როგორც თავისებურ ვალდებულებას

და კანონის მოთხოვნას, რომ დღეში ორჯერ შეკრებილიყვნენ მეფე და თავისი დიდებულები ისევე, როგორც დედაქალაქში ყოფნისას, რათა შესაბამისი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის განკარგულებები გაეცა მეფეს და მართმსაჯულებაც აღესრულებინა.

მეორე კარავი, რომელიც სიდიდით არ ჩამოუვარდება პირველს და დგას შემორაგულ ტერიტორიაზე, მას „გოფლე-კანე“ ეწოდება, ანუ ტანის დასაბანი ადგილი. იქ დიდებულები ყოველ საღამოს იკრიბებიან რათა მიესალმონ ხელმწიფეს, როგორც ამას დედაქალაქში ყოფნისას აკეთებენ. საღამოს შეკრება ცოტათი დისკომფორტს უქმნის ემირებს, მაგრამ მაინც ღებულობენ სიამოვნებას ლამაზი და შთამბეჭდავი სანახოაბისგან, მაშინ როდესაც ბნელ ღამეში შორიდანაც კი მოჩანს გაჩირაღდნებულ სამხედრო ბანაკში, ჯარისკაცების კარვების წინ ჩირაღდნების გრძელი რიგი, რომელიც მეფის კარავისკენ მიმავალ ემირებს გზას უნათებენ. მართალია ეს ჩირაღდნები ცვილისგან არ მზადდება, როგორც ეს ევროპაშია მიღებული, მაგრამ საკმაოდ დიდი ხანი ანთია. ისინი დამზადებულია ხის ჯოხზე დახვეული ნაჭრისგან რომელიც ზეთშია ამოვლებული. „მასილში“-ს ანუ მეჩირაღდნეს, ზეთი ბრინჯაოს წვრილყელიანი ჭურჭლით დაქვს.

მესამე კარავი, რომელიც შედარებით მომცროა ვიდრე პირველი ორი, ბანაკის სიღრმეში შემოღობილ ტერიტორიაზე მდებარეობს და ეწოდება „კალვეტ-კანე“, ანუ განმარტოების ადგილი, ანუ საიდუმლო მოლაპარაკებების ადგილი, აქ შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირებს და აქ განიხილება ყველაზე სერიოზული და აუცილებელი საკითხები.

მოშორებით მეფის კარავი მდებარეობს, რომელსაც ადამიანის სიმაღლის ღობე აკრავს. მათ შიგნით ჩითის მოხატული ქსოვილია გაჭიმული, რომელზეც სხვადასხვა ყვავილებია გამოსახული. ღობის ნაწილი, შიგნიდან ყვავილებით მოხატული სატინის ქსოვილითაა მორთული და მოპირკეთებულია გრძელი აბრეშუმის ბახრამით. მეფის კარავზე თითქმის მიდგმულია ბეგუმის, ანუ პრინცესას და სხვა სახელმწიფო მოხელეების ცოლების კარვებიც. ეს კარვები შემოსაზღვრულია ნაირფერად მორთული ღობეებით. ამ კარვებს შორის მდებარეობს დაბალი ჩინის მოხელეთა კარვები, რომლებიც მათი მფლობელების თანამდბობის და წოდების მიხედვითაა განლაგებული.

ამ-კაზი და ხუთი-ექვსი მთავარი კარავი, ძალიან მაღალია რათა შორი მანძილიდან გამოჩნდეს, კიდევ სიცხისგან დასაცავად და განიავების მაღალი ეფექტურობის გამო. გარედან ეს კარვები დაფარულია უხეში და მტკიცე ტილოს ქსოვილით, რომელიც ლამაზი ლენტებით არის მორთული და საკმაოდ ლამაზია, შიგნიდან კი შალის ულამაზესი ქსოვილია გაჭიმული, რომელიც ზეთოვანი საღებავებით ხელით არის მოხატული. შალის ქსოვილი, ასევე აბრეშუმის, ოქროსი და ვერცხლის ძაფებით არის დაქარგული და გრძელი სატინის ნაჭერზე, ან ბახრამზე, ამოქარგულია ან დახატულია მრავალფერი უცნაური ყვავილები. ეს ყველაფერი მდიდრულ იერსახეს აძლევს იქაურობას. იატაკი ულამაზესი ნოხებით არის მოფენილი. ბოძები, რომელსაც კარავი „უჭირავს“ მოხატული და მოოქროვილია.

დიდ კარვებში სადაც შეკრებები იმართება აწყობენ ერთგვარ პლათფორმას, რომელსაც მდიდრულად რთავენ. აქ მეფე დიდი ბარხატის და ფარჩის ბალდახინის ქვეშ შეხვედრებს აწყობს. სხვა კარვებშიც არის ასეთივე ბალდახინები და „კარგე“, ანუ ოთახები პატარა კარვებით, რომელიც ვერცხლის პატარა ბოქლომით არის დაკეტილი. წარმოიდგინეთ ორი კვადრატი შირმების სახით, რომლებიც ერთმანეთზეა დალაგებული და აბრეშუმის თოკებით არის ერთმანეთზე გადაბმული, ისე, რომ ჰქმნიან გუმბათს. მაგრამ კარგეს და ჩვენს შირმებს შორის ის განსხვავებაა, რომ კარგეს ყველა კედელი დამზადებულია ძალიან თხელი თუთიის ფურცლებისგან, რომელიც გარედან მოხატულია და მოოქროვილია, გარშემო მოპირკეთებულია ოქროთი და აბრეშუმის ბარხატით, ხოლო შიგნითა მხარის ზედაპირზე გაჭიმულია წითელი მატერია, ან ყვავილებით მოქარგული სატინა, ან უბრალოდ ფარჩა.

დაახლოებით მოგახსენეთ ყველაფერი რაც ამ ორ კვადრატულ ნაგებობას შეეხება. ამათ გარდა ყურადღებას იქცევს ორი ულამაზესი კარავი, რომლებიც შესასვლელის, ანუ სამეფო კარიბჭის ორივე მხარესაა განლაგებული, სადაც უნაგირდადგმული და მდიდრულად მორთული რამდენიმე რჩეული ცხენი დგას. ისინი ყოველთვის მზადყოფნაში ჰყავთ, რომ საჭიროების დროს გამოიყენონ სამეფო ჯარების აღლუმისათვის. სამეფო კარიბჭის ორივე მხარეს დგას ის მსუბუქი ორმოცდაათი — სამოცი საველე ზარბაზანი, რომელთა შესახებ მე უკვე მოგახსენეთ. როდესაც მეფე კარვიდან გამოდის ზარბაზნები

„სალუტს“ აძლევენ მის გამობრძანებას და დანარჩენ არმიას ამცნობენ მბრძანებლის მობრძანებას. კარიბჭის წინ ყოველთვის ტოვებენ დიდ ცარიელ სივრცეს, სადაც შლიან დიდ კარავს, რომელსაც ნაგარ-კანე ეწოდება, ანუ კარავი კიმვალებისთვის და საყვირებისთვის. ამ კარვის ახლოს მდებარეობს მეორე დიდი კარავი, რომელსაც პშაუკი-კანე ეწოდება. აქ ემირები რიგრიგობით მთელი დღე-ღამის განმავლობაში ყარაულში დგანან, მაგრამ ზოგიერთი ემირი იქვე ახლოს საკუთარ კარავს შლის, რომ ისარგებლოს თავისუფლებით და სივრცით. დანარჩენ სამ კვადრატში განლაგებული ჩინოვნიკების კარვები კი ყოველთვის ერთ და იგივე წესით არის განლაგებული, თუ ამის საშუალებას ადგილმდებარეობა იძლევა და ყოველ კარავს თავისი დასახელება გააჩნია. იმის გამო, რომ საკმაოდ რთულია მათი წარმოთქმა ადგილობრივ ენაზე, შესაბამისად არც მე ვაიძულებ საკუთარ თავს დავიმახსოვრო მათი სახელები, საკმარისი იქნება ვთქვა, რომ არსებობს სპეციალური კარავი სადაც ინახება მეფის იარაღი, მეორეში ინახება ცხენების აღკაზმულობა, მესამეში კი ფარჩის მოსასხამები, რომელსაც მეფე ჩვეულებისამებრ საჩუქრებად არიგებს. გარდა ამისა, კიდევ არის ოთხი კარავი, რომლებიც ერთმანეთის გვერდით მდებარეობენ და მათში საწყობებია განთავსებული. ერთში ხილია დასაწყობებული, მეორეში კალის მათარებში ჩასხმული მდინარე განგის წყალი, რომელსაც საჭიროებისამებრ მალევე აციებენ, ხოლო მესამეში სასუსნავი და ჩირი, რომლის შესახებ მე უკვე გესაუბრეთ. ყავას თურქეთში ანალოგიური დანიშნულება გააჩნია, მას ღეჭავენ რათა ტუჩები გაუწითლდეთ და პირშიც სასიამოვნო სუნი ჰქონდეთ. გარდა ამისა კიდევ არის ორმოცდაათი — სამოცი კარავი, რომლებშიც სამზარეულო და სხვადასხვა დანიშნულების იმფრასტრუქტურებია განთავსებული. ამ კარვებს შორის უამრავი კარვებია გაშლილი, რომლებიც ჩინოვნიკებს და ევნუხებს ეკუთვნით. აქ კიდევ ოთხი -ხუთი დიდი და გრძელი კარავიც არის გაშლილი, რომლებშიც ცხენები ჰყავთ შეხზნული, რომლებიც მუდმივად ახლოს უნდა ჰყვდეთ და კიდევ სხვა კარვები, რომლებშიც განსაკუთრებულად გამორჩეული სპილოები ჰყავთ დაბინავებული, ასევე აქვე ჰყავთ სხვა ცხოველებიც, რომლებსაც სანადიროდ იყენებენ, მტაცებელი სანადიროდ გაწრთვნილი ფრინველებიც და ეს ყველაფერი მხოლოდ მაქსიმალურ კომფორტისთვის და სიამოვნებისთვის

არის განკუთვნილი. ძაღლები, ლეოპარდები, რომელთა მეშვეობითაც ჯეირანებზე, ნაცრისფერ ხარებზე (ეს ცხოველები ხარ-ირმებს ჰგვანან) ნადირობენ, ასევე ლომებზე, მარტორქებზე, უზარმაზარ ბენგალიურ კამეჩებზე, გაწვრთვნილი ანტილოპები კი, სამეფო ნანადირევს წარმოადგენს.

კარვების უდიდესი რაოდენობა, რომელიც დიდი კვადრატში მდებარეობს, რომლის შესახებაც მე გიამბეთ, ჰქმნის ერთ დიდ სამეფო „სახლს“ და მდებარეობს არმიის შუაგულში. გასაგებია, რომ ამ სახელმწიფო სახლს გრანდიოზული და დიდებული სახე აქვს. ამაღლებული ადგილიდან როდესაც გადაჰყურებ არმიის შუაგულში აღმართულ ულამაზეს კარვებს, თვალწინ წარმტაცი სანახაობა იშლება, ეს განსაკუთრებით მომხიბლელია, როდესაც სწორ ადგილას დაბანაკდება მეფე და მისი არმია, ხოლო კარვები საკუთარი დანიშნულებისამებრ იშლება ერთ სივრცეში.

მას შემდეგ, როდესაც მთავარი სახლთუხუცესი ამოირჩევს ადგილს სამეფო სახლისთვის, პირველ რიგში დგავენ „ამ-კაზ“-ს, ყველაზე მაღალს კარავთა შორის, ამის მიხედვით იდგმება ყველა დანარჩენი კარვები და არასოდეს არ ირღვევა არმიის განლაგების წესი, ის ყველგან ერთნაირია.

სახლთუხუცესი ბაზრისთვისაც გამოჰყოფს შესაბამის ადგილს, საიდანაც არმია მარაგდება, პირველი და მთავარი ბაზარი ეწყობა ერთი დიდი ქუჩის მსგავსად და მთელი ბანაკის სიგრძეზეა გადაჭიმული, ხანდახან „ამ-კაზ“-ის და მეფის სახლის მარჯვენა და მარცხენა მხარეს ხდება მისი მოწყობა და ბანაკისკენ არის მიმართული, ძირითადი კარვების გაშლის შემდეგ იწყებენ ბანაკის კარვების გაშლას, უმეტეს შემთხვევაში ეს საქმე მეორე დღისთვის იგეგმება. ყველა დანარჩენი სამეფო ბაზრები, ასეთი გრძელი და ფართე არ არის, ამიტომ მათი გზებიც აქ „იკვეთება“. ყველა ეს ბაზრები ძალიან ფართოა და მოპირდაპირე რიგებს შორის დაშორება სამას ნაბიჯს აღემატება. მოპირდაპირე მხარეს განლაგებულ „დახლებზე“ და მაღაზიებზე კიდებენ ნითელ დროშებს და ტიბეტური ძროხების კუდებს, ეს ყველაფერი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ თითქოს იქაურობა ერთ დიდ პარიკშია გამოწყობილი. შემდეგ სახლთუხუცესი გამოყოფს ადგილს ემირებისთვის. მათ კი შესაბამისად მუდმივად უნდა დაიცვან ერთი და იგივე

წესი და მეფის ბინიდან თანაბარი მანძილით უნდა იყვნენ დაშორებულები, არავის არ აქვს უფლება შეიცვალოს მისთვის გამოყოფილი ადგილი, ან ლაშქრობამდე წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე თქვას უარი. მთავარი ემირების და რაჯების ბინები თითქმის ისევეა კეთილმოწყობილი როგორც მეფის ბინა. მათ დაქვემდებარებაშია ასევე კარავის ორი ტიპი (პეიშე-კანე). კავადრატულ ტერიტორიაზე, რომელიც მათთვის არის გამოყოფილი დგამენ მთავარ კარავს და კარავს ემირთა ცოლებისთვის. კვადრატის მიღმა კი იდგმება მათი ოფიცრების და მხედრების კარვები. ასევე კეთდება პატარა ქუჩის ბაზარი, რომლის ორივე მხარეს ვაჭართა პატარა კაარვებია გაშლილი და ეს ადამიანები ამარაგებენ ბანაკს ფურაჟით, ბრინჯით, ზეთით და სხვა აუცილებელი საქონლით, ასე რომ არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს სამეფო ბაზარში სიარული, სადაც შეიძლება იყიდოთ ყველაფერი რაც დედაქალაქში იყიდება. თითოეული ბაზარი მონიშნულია ბოძებით, რომელიც სამეფო ბაზარში აღმართული ბოძების ტოლია და ბაზრების ერთმანეთისგან გარჩევა ბოძებზე აღმართული დროშებით არის შესაძლებელი, რომლის მიხედვითაც ბანაკში თავისუფლად შეძლებ გაარკვიო სასურველი მიმართულება, ასევე ვინ და სად არის დაბანაკებული. მთავარი ემირები და რაჯები ერთმანეთს ეჯიბრებიან თუ ვისი კარავი იქნება უფრო მაღალი, მიუხედავად ამისა ისინი ფრთხილად უნდა იყვნენ, რათა თუ მეფე შეამჩნევს რომ კარვის სიმაღლე მის შეხედულებებს არ შეესაბამება, კარვის აღების ბრძანებას გასცემს, მსგავსი შემთხვევები კი, არა ერთხელ ყოფილა ბოლო ლაშქრობის დროს. ამავე მიზეზით კარვების შეფერილობაში არ უნდა ჭარბობდეს წითელი ფერი, რადგან წითელი სამეფო ფერია და მხოლოდ მეფის კარვისთვისაა ნებადართული ამ ფერის „ტარება“. ყველა ქვეშემდომის კარვის შესასვლელი, პირით მეფის კარვისკენ „ამ-კაზა“-სკენ უნდა იყოს მოქცეული, ასე გამოხატავენ მეფისადმი პატივისცემას. ემირებსა და ბაზარს შორის სივრცე, დაფარული იყო მანზებდარების, ანუ არაპრიველიგირებული, მცირე ემირების კარვებით, ასევე მცირე და მსხვილი ვაჭრების ურიცხვი რაოდენობით, რომლებიც თან ახლდნენ არმიას, სხვადასხვა საქმეებით დაკავებული პირებით, სასამართლოს ჩინოვნიკებით და ბოლოს ყველა იმ ადამიანებით, ვინც მსუბუქ და მძიმე არტილერიას ემსახურება. ამ ყველაფრის გათვალისწინების შე-

დეგად მივიღებთ კარვების ურიცხვ რაოდენობას, რომლებიც უდიდეს სივრცეს მოიცავს. ასევე კარვების რაოდენობით, დაკავებული ფართობის შესახებ გავრცელებულ ხმებს არ უნდა დაუჯეროთ, რადგან, მე მიმაჩნია, რომ როდესაც არმია დაბანაკებულია კარგ და სწორ ადგილას, სადაც ბანაკი მოხერხებულად არის გაშლილი და ჩვეული გეგმის მიხედვით მთელი ბანაკი ხშირ შემთხვევაში წრიული ფორმისაა და ეს წრე, ორი-ორნახევარი ლიეს დიამერტისა გახლავთ და ფიქსირებულ წერტილებს იქით სიცარიელეა. გარდა ამისა, მძიმე არტილერია, რომელსაც დიდი ფართობი სჭირდება დაბანაკებისთვის ხშირად წინ, ერთი-ორი დღის სავალით უსწრებს არმიის ძირითად ნაწილებს. ალბათ არმიის შესახებ ხმებს მისი უწესრიგოდ გადაადგილების და მოწყობის მდგომარეობაზე ახალბედები ავრცელებდნენ, რომლებსაც პირველად უწევდათ მსგავს მასშტაბებთან შეგუება, ხოლო ვინც მიჩვეულია არმიას და მის წესებს მარტივად ერკვევა მის სისტემაში, შესაბამისად მას შეუძლია სახლიდან გავიდეს თავის საქმეებზე და უპრობლემოდ დაბრუნდეს უკან, მიუხედავად იქ არსებული „ქაოსისა“. მას შეუძლია მეფის კარვის მიხედვით განსაზღვროს ორიენტაცია, ასევე ემირების დროშების და კარვების, ან ძროხის კუდების და ბაზრის დროშების მიხედვით გაიკვლიოს გზა. ყველა ეს ატრიბუტები საშუალებას იძლევა ბანაკში ნებისმიერმა ადამიანმა სწორი ორიენტაცია აიღოს და არ დაიბნეს. მიუხედავად ამისა მაინც გარკვეულ დაბნეულობას დღისითაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ეს მაშინ ხდება როდესაც ახალი ჩამოსულები უერთდებიან ბანაკს და საკუთარ ადგილს ეძებენ. ეს ხდება ასევე იმ დროს, როდესაც ამოვარდება ქარი და მტვრის კორიანტელს დააყენებს, ისეთს, რომ მეფის კარავის და ბაზარში დროშების გარჩევაც კი ჭირს, ასევე იმიტომ, რომ როდესაც კარვებს შორის ხვდები, რომლებსაც ეს ესაა შლიან, ფეხებში გებლანდება თოკები, რომლებსაც ჭიმავენ დაბალი სტატუსის მქონე ემირები, რომლებსაც წინასწარ მომზადებული კარვები არა აქვთ და მანზებდარები ნიშანს ადებენ საკუთარ კარვებს და არავის აძლევენ უფლებას მის ახლოს გაიარონ, ასევე არ აძლევენ უფლებას უცნობებს კარავი გაშალონ მათ სიახლოვეს, რადგან ზოგჯერ მანზებდარებს საკუთარი ცოლებიც თან ჰყავთ. თუ აპირებ ბანაკის ერთ მხარეს გაიარო, აღმოჩნდება, რომ მთელი გზა ჩახერგილია თოკებით და მსახურთა მთელი ხროვა დგას ბატო-

ნების კარვებთან და საკუთარი ნივთების გადატანის საშუალებას არ გაძლევს და თუ წასული უკან ბრუნდები, დაინახავ, რომ მთელი გზა უკვე ჩახერგილია და გადაადგილება შეუძლებელია. ამ დროს კი საჭიროა ყვირილი, ჩხუბი, თხოვნა, მზად ხარ მუშტი-კრივიც გამართო, რისი უფლებაც არ გაქვს, ამიტომ საშუალება უნდა მისცე მსახურებს ერთმანეთში იჩხუბონ, შემდეგ შეარიგო და მოწინაღამდეგე მხარე მუქარით „დაამშვიდო“. აუცილებელია ყოველ ღონეს მიმართო, რომ როგორმე შენი აქლემები გაატარონ. მაგრამ ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს თუ სადმე შორს გიწევს წასვლა, რადგან ამ დროს სველი შეშის წვისგან ადენილი ბოლი ფარავს იქაურობას და არაფერი არ სჩანს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქარი არ ქრის. მე რამდენჯერმე მოვხვედრილვარ მსგავს სიტუაციაში და წარმოდგენა არ მქონდა როგორ უნდა მოვქცეულიყავი. რამდენჯერაც არ უნდა მეკითხა, ვერ ვხვდებოდი საით მივდიოდი და პრაქტიკულად ერთ ადგილას ვტრიალებდი. ერთხელ მომიწია ლოდინი იქამდე, სანამ ბოლი არ გაიფანტა და მთვარე არ ამოვიდა, სხვა შემთხვევაში მე მომიწია „აგუასი-დიე“-მდე მიმეღწია და ღამე მსახურთან და ცხენთან ერთად გამეტარებინა. ეს „აგუასი-დიე“ გახლავთ იალქანის მსგავსი რამ, რომელიც იყოფა სამ ნაწილად და რომლითაც მეფის ბინას აგებენ და „ლაგარ-კანე“-ს ეძახიან. ამ იალქანის ყველაზე მაღალ ადგილას, საღამოთი ფარანს ამაგრებენ, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში ანათებს. ეს ძალიან მოსახერხებელია, რადგან მისი დანახვა შორიდანაც შეიძლება. გზააბნეულები ხედავენ მას და მის შუქს მიჰყვებიან, რომ შემდეგ ბაზარში სასურველი მიმართულების შესახებ ინფორმაცია მიიღონ და გზა განაგრძონ, ან მთელი ღაამე დარჩნენ და ამის წინაღამდეგი არავინ არ არის. თანაც ბანაკში ქურდებისგან დაცულად გრძნობ თავს. ამ იალქანს „აგუასი-დიე“-ს, ანუ ციურ სინათლეს ეძახიან, იმიტომ, რომ ეს ფარანი შორიდან როგორც ვარსკვლავი ისე ანათებს.

გაქურდვას თავი რომ აარიდონ ემირები ღამე გუშაგებს აყენებენ ბანაკში. გუშაგები მთელი ღამის განმავლობაში დადიან ბანაკის გარშემო და „კაბერდარ“, ანუ „მიფრთხილდი“-ს ყვირიან. გარდა ამისა იმ ადგილის გარშემო, სადაც არმიაა დაბანაკებული ყოველი ხუთასი ნაბიჯის დაშორებით გუშაგები დგანან, რომლებსაც ცეცხლი აქვთ დანთებული და ასევე „კაბერ-დარ“-ს გაჰყვირიან. ქვეითი ჟანდარ-

მერიის უფროსი, ყოველ მხარეს აგზავნის პატრულებს, რომლებიც მთელ ტერიტორიაზე და ბაზრებში დადიან, ყვირიან და საყვირებს ახმიანებენ. მიუხედავად ამისა მუდმივად მაინც ხდება ქურდობები და ამიტომ მუდამ ყურადღებით უნდა იყოთ, ადრე უნდა დაიძინოთ, რომ ღამე მხნეობა შეინარჩუნოთ, თორემ მხოლოდ მსახურების იმედად დარჩენა არ ღირს, არც იმის იმედი უნდა გქონდეთ, რომ ისინი მთელი ღამე გიყარაულებენ.

ეხლა მინდა გიამბოთ ლაშქრობის დროს დიდი მოგოლის გადაადგილების სახეობების შესახებ.

ჩვეულებრივ ის ტაკტ-რევანით ანუ სალაშქრო სამეფო ტახტით მგზავრობს, რომელიც მსახურებს აქვთ მხრებზე დადგმული. ეს ტაკტ-რევანი ერთგვარ კოლონებიან ბალდახინს წარმოადგენს, რომელიც ბრწყინვალედ არის მორთული, მოხატული და მოოქროვილი, ცუდი ამინდის დროს შესაძლებელია მისი დახურვა. ტაკტ-რევანის საზიდარი ოთხი ჯოხისგან შედგება და დაფარულია წითელი ნაჭრით ან მოოქროვილი ფარჩით, ან აბრეშუმის ბახრამით. თვითეულ ჯოხს ორი, კარგად ჩაცმული და ფიზიკურად ძლიერი მზიდავი ემსახურება და დროდადრო მზიდავები ერთმანეთს ენაცვლებიან. ხანდახან მეფე ცხენითაც მგზავრობს, ეს მაშინ ხდება როცა კარგი ამინდია და მბრძანებელი ნადირობას ინებებს. ხანდახან მეფე სპილოთი, მიკდემბერით და ჰაუცით ინებებს გასეირნებას. მიკდემბერი წარმოადგენს პატარა კვადრატული ფორმის სახლს, ან გუმბათს. ის ხისგან არის გაკეთებული, მოხატულია და რასაკვირველია მოოქროვილიც. ჰაუცე გახლავთ ოვალური უნაგირი ბალდახინით და ასევე მორთულია და მოოქროვილი.

დიდი მოგოლს ყოველ ლაშქრობაში, ყოველთვის თან ახლავს ემირთა და რაჯების დიდი ჯგუფი, რომლებიც ყოველთვის მეფეს უკან, ცხენებზე ამხედრებულები მიჰყვებიან. დილით ადრე, ყველანი ვინც არმიაში მსახურობს ვალდებულია ამ-კაზში გამოცხადდეს, მათ გარდა, ვისაც თანამდებობა არ აძლევს ამის უფლებას, ან მოხუცებულობის გამო არ არის ვალდებული. ამ ვალდებულების შესრულება საკმაოდ ძნელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნადირობა იმართება, რადგან ამ შემთხვევაში მათ უწევთ მზისგან და მტვრისგან გათანგულები გამოცხადდნენ შეკრებაზე, რომელიც დღის სამ საათმდე გრძელდება ხოლმე. იმ შემთხვევაში თუ ისინი მეფის ამალაში არ იმყოფებიან, მაშინ

კომფორტულად მოგზაურობენ დახურულ კარვებში და არც მტვერი აწუხებთ და არც მზე, მათ სძინავთ თავიანთ კარვებში, როგორც საწოლში და დათქმულ დროს, როდესაც ბანაკში მათთვის გამზადებულ კარვამდე მიაღწევენ, ხვდებათ გამზადებული სადილი, რადგან „სამზარეულო“ ბევრად უფრო ადრეა ჩამოსული ბანაკში, ვიდრე მათი ბატონი. ემირთა ამალაში ყოველთვის კარგ ცხენებზე ამხედრებული ბევრი მხედარია, რომელთაც „გურზე-ბარდარ“-ებს უწოდებენ, რადგან მათ ხელთ უპყრიათ ვერცხლის კეტის მაგვარი „იარაღი“. გრუზე-ბერდარების დიდი ჯგუფი, ამხედრებულ მეფეს მარჯვნივ და მარცხნივ უდგანან და წინ მიუყვებიან. გრუზე-ბერდაბები მაღალი და ძლიერი მამაკაცები არიან და მათ სპეციალურად არჩევენ ამ სამსახურისთვის. მათ ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას ბრძანების დანიშნულების ადგილამდე მიტანას წარმოადგენს. მათ ხელში გრძელი ჯოხები უჭირავთ, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოვენ, რომ მიმავალ მეფეს ხალხის ბრბოები არ გადაეღობონ, ან ვინმე არ წავიდეს მეფეზე წინ.

რაჯებს უკან „კურ“-ები მიჰყვებიან კინვალებით და საყვირებით აღჭურვილი მუსიკოსების დიდი ჯგუფთან ერთად. მე კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ „კურ“-ები წარმოადგენენ ვერცხლის ფიგურებს, ისინი „იდუმალი“ შინაარსის მქონე უჩვეულო ცხოველების ფიგურები გახლავთ. ბოლოს კარგ ცხენებზე ამხედრებული, ხმლებით შეიარაღებული და მუნდირებში გამოწყობილი მანზებდარების რაზმი მოდის. ისინი ბევრად მეტნი არიან ვიდრე ემირები და მათ გარდა ვინც ყარაულში დგას, საკუთარ თავს ვერ მისცემს იმის უფლებას, რომ დილით ადრე მეფესთან ხლებას თავი აარიდოს და მეფისადმი პატივისცემა არ გამოხატოს, შესაბამისად მბრძანებლის ყურადღების მიქცევასაც ცდილობენ ქვეშემდომები.

პრინცესები და სერალიის სხვა დიდებული ქალბატონები სხვადასხვაგვარად გადაადგილდებიან. ზოგი მეფის მსგავსად, მზიდავების მხრებზე დადებული „ჩაუდულე“-თი, რომელიც შესანიშნავად მორთულ ტაკტ-რევანს წრმოადგენს, ის სრულიად მოოქროვილია, მასზე მრავალფერი დაქარგული აბრეშუმის ბადეა გადაფარებული, ბახრამებით და ჩამოსაკიდებელი ფუნჯებით არის მორთული. სხვები ძალიან ლამაზად მორთულ პალანკინებში სხედან, რომელიც სრულიად მოოქროვილია და დაფარულია შესანიშნავი აბრეშუმის ქსოვილით,

ზოგნი დიდ და ფართე ერთგვარი საზიდრებით გადაადგილდებიან, რომლებიც ორ აქლემს, ან ორ პატარა სპილოს მოაქვს. მე მინახავს როგორ მოგზაურობდა რაუშენარა-ბეგუმი. ერთხელ მის ტაკტ-რევანზე, წინ მჯდომი, პატარა კარგად ჩაცმული მონა გოგონა დავინახე, რომელიც ფარშევანგის კუდისგან დამზადებულ სანიავებლით ბუზებს უგერიებდა და მტვრისგან იცავდა ქალბატონს. სხვები მდიდრული ქსოვილებით და ვერცხლის ზინზილაკებით მორთული სპილოებით გადაადგილდებოდნენ, ისინი ოთხნი სხდებიან სპილოზე დადგმულ მიკდემბერზე, რომელსაც მოაჯირი აქვს შემოვლებული და ძვირფასი აბრეშუმით არის დაფარული.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ მოგზაურობის დროს სერალიას გადაადგილების მთელმა დიდებულებამ დიდი სიამოვნება მომანიჭა. ნამდვილად ასეა, რადგან წარმოუდგენელია ამაზე უფრო შესანიშნავი რამ იხილოთ თუ რაუშენარა-ბეგუმი როგორ აძვრა დიდი სპილოზე და ჩაჯდა ოქროთი გაბრწყინებულ მიკდემბერში. მას უკან მიჰყვებოდა ხუთი თუ ექვსი სპილო, რომლებზეც თითქმის ისეთივე მიკდემბერები ედგათ როგორიც პირნიცესას სპილოს, ამ ულამაზეს ესკორტს პრინცესას სახლის მთავარი ჩინოვნიკები, რამდენიმე მთავარი ევნუხი კარგ ცხენებზე ამხედრებულები მიუყვებოდნენ. მას შესანიშნავად შემოსილი ქაშმირელი და თათარი მსახური ქალების დიდი ჯგუფი ახლდა, რომლებიც ლამაზ იორღა ცხენებზე იყვნენ ამხედრებულები. მათ უკან ცხენებზე შემჯდარი რამდენიმე ევნუხი და დიდი რაოდენობით პაჟების, ან ქვეითად მოსიარულე მსახურთა ჯგუფი მოჰყვებოდა, რომლებიც ჯოხებით იყვნენ შეიარაღებულები, რომ შემხვედრ ბრბოსგან გაენთავისუფლებინათ გზა.

ასევე რაუშენერა-ბეგუმს მიჰყვებოდა ერთ-ერთი მაღალი წრის ქალბატონი, რომელიც ასევე ცხენზე იჯდა და მასაც ასევე თხუტმეტი-თექვსმეტი თანმხლები ქალბატონები მოჰყვებოდნენ. ისინიც არანაკლებ კარგ ცხენებზე ისხდნენ და მათაც რანგის შესაბამისად მხლებლებიც თან ახლდნენ. სპილოების ეს გრძელი რიგი, რომელიც ორმოცდაათ-სამოც სპილოს ითვლიდა, ხანდახან უფრო მეტსაც, მიუწვდომელი მშვენიერებით შემკული ეს პროცესია მოზომილი ნაბიჯებით მიემართებოდა და დიდებულ სანახაობაას ჰქმნიდა. რომ არა ჩემი ფილოსოფიური გულგრილობა, ამ დიდებულების შემხედვარე აუცი-

ლებლად დავიმუხტებოდი ინდოელი პოეტების ექსტრავაგანტული პოეტური მუხტით, რომლებიც ამბობენ, რომ „ყველა სპილოზე უხილავი ქალღმერთი ზის“-ო. ნამდვილად ასეა, ქალბატონების დანახვა თითქმის შეუძლებელია, მამაკაცის თვალისგან დაფარულები არიან. მათი შეხედვა უბედურების მომტანი იქნებოდა ნებისმიერი მხედარისთვის, რომელიც მათ სიახლოვეს აღმოჩნდებოდა, მაშინ ევნუხები და მსახურები შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდნენ, რომ კარგად ეცემათ ეს თავხედი მხედარი. მახსოვს, ერთხელ მე შემემთხვა ეს უბედურება, ალბათ კარგადაც გამისწორდებოდნენ ხმლით რომ არ გამედევნა ისინი და ჩემდა ბედად კარგი ცხენი მყავდა, რომელმაც მომაშორა ამ უსიამოვნებას. ტყუილად კი არ ამბობენ არმიაში, რომ „ყველაზე მეტად სამი რამის უნდა გეშინოდეს: პირველი — არ უნდა აღმოჩნდე რჩეულ ცხენთა ჯოგში, რომლებიც აღვირშებმულები მიჰყავთ, ისინი აუცილებლად გაგთელავენ. მეორე — არ მოხვდე იქ, სადაც ნადირობენ და მესამე — არ აღმოჩნდე ჰარემის ქალის სიახლოვეს. თუმცა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს შემთხვევა სპარსეთში უფრო „საშიშია“ ვიდრე ინდოეთში, იმიტომ, რომ თუ თქვენ ხელში ჩაუვარდით ქალების თანმხლებ ევნუხებს, ეს შეიძლება სიცოცხლის ფასი დაგიჯდეთ, მაშინაც კი, თუ ნახევარი ლიეს მანზილზე იმყოფებით. როდესაც ეს ქალები თანმხლებ პირებთან ერთად გადადგილდებიან, ამ დროს მამაკაცები იქაურობას საკმაო მანძილზე შორდებიან.

რაც შეეხება მეფის ნადირობას, მე ვერც კი წარმოვიდგენდი იმას რასაც მეუბნებოდნენ, თურმე დიდი მოგოლი სანადიროდ ათას კაცთან ერთად მიდის, მაგრამ ეხლა ვხედავ, რომ თურმე მეფე ორასი ათასი კაცის თანხლებით ნადირობს, არც ამის წარმოდგენაა ჩემთვის უჩვეულო.

აგარასა და დელის შემოგარენში, მდინარე ჯემნის გაყოლებაზე მთებამდე და შემდეგ იმის იქით, ლაგორამდე მიმავალი დიდი გზის ორივე მხარეს, დიდი რაოდენობით არის ისეთი ველები, სადაც ბალახის სიმაღლე, ადამიანის სიმაღლეს უტოლდება, ამ ადგილებში დაცვის ბევრი ჯარისკაცი დგას და არავის აძლევენ ნადირობის უფლებას. ამ ველებზე მხოლოდ კაკაბზე და კურდღლებზეა ნებადართული ნადირობა, რომელთა დაჭერას ინდოელები ბადეებით ახერხებენ, ამიტომ ამ ადგილებში უამრავია გარეული ფრინველი. როდესაც დაცვა,

რომელიც სანადირო ტერიტორიას იცავს, ღებულობს შეტყობინებას მეფის ქალაქიდან გამოსვლის შესახებ, რომელიც მათ მიერ დაცული ტერიტორიისკენ მოემართება, ისინი მთავარ მონადირეს ატყობინებენ და გარეული ფრინველის შესახებ ინფორმაციას აწვდიან თუ სად არის უფრო ხელსაყრელი ფრინველზე ნადირობა. ამ დროს, ყველა გზაზე დაცვას აყენებენ, ხანდახან ხუთ ან ექვს ადგილას, რომ არმიას შეეძლოს გავლა ნებისმიერი მიმართულებით და მეფეს საშუალება ჰქონდეს ემირთა ნებისმიერ რაოდენობასთან ერთად, მონადირეებთან და სხვა პირების თანხლებით ინადიროს.

პირველ რიგში ნება მიბოძეთ მოგითხროთ როგორ ნადირობენ ქურციკებზე ლეოპარდებით.

მე მგონი უკვე აღვნიშნე, რომ ინდოეთში უამრავი ქურციკია, რომლებიც ახალგაზრდა ირმებს ძალიან ჰგვანან. ისინი ჯოგებად დადიან, თვითოეულ ჯოგში ხუთი-ექვსი ცხოველია და მათ შორის მხოლოდ ერთია მამალი, რომლის გარჩევა ფერით შეიძლება. როდესაც ასეთ ჯოგს აღმოაჩენენ, ცდილობენ იგი ლეოპარდს დაანახონ, რომელიც პატარა საზიდარზე გალიაში ჰყავთ დამწყვდეული. ეს ეშმაკი ცხოველი პირდაპირ ქურციკებისკენ არ გარბის, ის იმალება, მიწას ეკვრის, რომ ხოხვით უფრო ახლოს მივიდეს მსხვერპლთან და შემდეგ ესხმის თავს. ლეოპარდი ელვის სისწრაფით, ხუთ-ექვს ნახტომში თავს ესხმის ქურციკს და ახრჩობს მას, მსხვერპლის სისხლს სვამს და პირველ რიგში მსხვერპლის გულს და ღვიძლს შეექცევა. თუ ნახტომი კარგად ვერ შეასრულა, რაც არც თუ ისე იშვიათად ხდება, ის, ამის გამო ვითარებას არ „ნებდება“, მაგრამ მისი მცდელობა ხშირად უშედეგოა, რადგან ქურციკები ბევრად უფრო სწრაფად დარბიან ვიდრე ლეოპარდი. ამ შემთხვევაში მონადირეთ-უხუცესი და მისი თანაშემწე, ნელა და ფერებ-ფერებით უახლოვდებიან მხეცს, ხორცის ნაჭრებს შეაჭმევენ და ასეთნაირად უფანტავენ მსხვერპლისადმი ყურადღებას, შემდეგ ნიღაბს წამოაცმევენ თავზე, რომელიც თვალებს უფარავს ნადირს და ისევ ჯაჭვით აბამენ გალიაში. ერთხელ ლეოპარდმა დიდი უცნაურობა ჩაიდინა, რამაც სერიოზულად შეაშფოთა მონადირეები.

ქურციკების ჯოგი შემთხვევით იმ ტერიტორიაზე მიმავალ ჯართან ახლოს გამოჩნდა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ საქმე იმა-

ში მდგომარეობს, რომ ისინი, გადაადგილებას, ურიკებზე ჯაჭვით დაბმულ ლეოპარდების ახლოს მშვიდად განაგრძობდნენ. ერთ-ერთ ლეოპარდს თვალებზე ნიღაბი არ ჰქონდა ჩამოფარებული, მან ძლიერი ნახტომით გაწყვიტა ჯაჭვი და ქურციკებისკენ გაქანდა, მაგრამ ნახტომი ხეირიანად ვერ გააკეთა და ქურციკი გაექცა. მაგრამ ქურციკებს გასაქცევი არსაით ჰქონდათ, რადგან ისინი ყველამ დაინახა და ყვირილი ატეხეს. ერთ-ერთი ქურციკი ისევ ლეოპარდთან ახლოს მოხვდა. ამასობაში აქლემებმა და ცხენებმა ცენტრალურ გზას გადაუხვიეს. ლეოპარდების თვისებიდან გამომდინარე, ერთხელ გაშვებულ მსხვერპლს მეორედ თავს არ ესხმიან, მაგრამ ლეოპარდმა ისკუპა და ქურციკი მაინც დაიჭირა. მეტად საინტერესოა ნადირობა ნილგაუზე ანუ ვერცხლისფერ ხარზე, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, ხარირემს ჰგავს და ძალიან ლამაზი ცხოველია. მათზე ნადირობისას დიდ ბადეებს იყენებენ, მონადირეები ცდილობენ რომ ყოველი მხრიდან „სარეკში“ შერეკონ ცხოველები და როდესაც მათ სადმე ვიწრო ადგილას მოიმწყვდევენ, მეფე, ემირები და მონადირეები, შედიან საარეკში მშვილდებით, მოკლე შუბებით, ხმლებით, მუშკეტებით და დაუნდობლად ხოცავენ ხარებს. ხანდახან იმდენი ხარი იხოცება, რომ მეფე საჩუქრების სახით ყველა თავის ემირს უგზავნის ნანადირევს.

ასევე საინტერესოა წეროებზე ნადირობა, საოცარი სანახაობაა თუ როგორ იცავენ თავს მტაცებელი ფრინველებისგან. ხანდახან წეროები კლავენ მტაცებლებს, მაგრამ საბოლოო ჯამში წეროების უმრავლესობა მაინც მტაცებლების მსხვერპლნი ხდებიან.

ნადირობის სახეობებიდან, ყველაზე საინტერესო ლომებზე ნადირობაა. ნადირობის უფლება მხოლოდ მეფეს და უფლისწულებს აქვთ, ხოლო სხვებს მხოლოდ სპეციალური ნებართვის მიღების შემდეგ აქვთ ეს უფლება. ლომებზე ნადირობა კი საკმაოდ საშიშია.

მსურს დაახლოებით აგიღწეროთ როგორ მიმდინარეობს ლომებზე ნადირობა.

როდესაც მეფე, დაცვის თანხლებით, რომლებიც ნადირობის უსაფრთხოებაზე აგებენ პასუხს, ეძებს ლომების ბუნაგს და როდესაც იპოვიან, იქვე, ბუნაგთან ახლოს ვირს დააბამენ, რომელსაც ბუნებრივია ლომი ჭამს და მაძღარი ცხოველი ახალი ნადავლის ძებნას თავს ანებებს, წყლის დასალევად მიემერთება, წყურვილს რომ მოიკ-

ლავს უკან ბრუნდება ბუნაგში და მეორე დღემდე სძინავს. მონადირეები ისევ იმავე ადგილას კიდევ აბამენ ვირს, ისევე როგორც წინა შემთხვევაში. ამ დროს მეფე სანადირო ტერიტორიაზე იმყოფება, მაშინ მონადირეები ვირს ოპიუმით დაანაყრებენ, რადგან ეს ნივთიერება ვირის ორგანიზმში კარგად გაჯერდეს და ლომს, რომელიც ჭამს საცოდავი ცხოველის ოპიუმით გაჯერებულ ხორცს, კარგად დაეძინოს. შემდეგ უახლოესი სოფლებიდან მოყვანილ გლეხებთან ერთად ჭიმავენ ბადეებს და ბუნაგის მიმდებარედ ვიწრო „სარეკს“ ჰქმნიან, თითქმის ისე, როგორც ნილგაუს შემთხვევაში. როდესაც ყველაფერი მზად არის, სპილოზე ამხედრებული, რკინის აბჯარშემოსილი მეფე და გრუზ-ბერდარების რაზმი, რომლებიც ცხენებზე ამხედრებულნი გვერდით უდგანან მბრძანებელს, ასევე მოკლე შუბებით შეიარაღებულები რამდენიმე მონადირე, რომლებიც ფეხით მიჰყვებიან მეფეს, მზად არიან ლომზე ნადირობის საბოლოო მოქმედების დასაწყებად. სპილოზე ამხედრებული მეფე ბადის შიგნით შედის და მძინარე ლომს მუშკეტიდან დამიზნებით ესვრის, დაჭრილ ლომს პირველ რიგში სპილოზე მიაქვს იერიში, მაგრამ ამ დროს ლომს ბადეში მოაქცევენ და ხელმწიფე თავისი მუშკეტიდან კვლავ ესვრის, მანამდე, სანამ ლომს არ მოკლავს. ბოლო ნადირობის დროს, ლომმა მოახერხა, ბადეს გადაახტა და მხედარს დაეძგერა, შესაბამისად მოუკლა ცხენი და გაიქცა. მონადირეები დაეწივნენ ცხოველს და ისევ ბადეში გაახვიეს. ამ ნადირობამ ჯარში წარმოუდგენელი არეულობა გამოიწვია. ჩვენ გვიწევდა სამი-ოთხი დღის განმავლობაში პატრულირება გაგვეწია კარვებთან, რომლებიც მთის ფერდობებზე და ტყის პირას, პატარა მინდვრებზე იყო მოფენილი და მაღალი ადამიანის სიმაღლეზე წამოზრდილი ბალახით ბოლოვდებოდა, რომლიც ფეხზე მდგარ აქლემსაც კი ფარავდა. ვისაც სურსათის მარაგი გააჩნდა, დანარჩენებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან ჯარი წარმოუდგენელმა უწესრიგობამ მოიცვა. ვაჭრები ბაზრებში კარვებს ვერ შლიდნენ, ხოლო სოფლები საკმაოდ შორს იყო ბანაკიდან. ამ ყველაფრის მიზეზი, რის გამოც დიდი ხანი მოგვიწია ერთ ადგილას დაყოვნება, გახლდათ ის ფაქტი, რომ მეფე თუკი ლომს მოკლავდა, ეს დიდებული წარმატების წინასწარმეტყველებად ითვლებოდა, მაგრამ თუ მეფე ამას ვერ შეძლებდა, ესეიგი დიდი უბედურება უკვე ახლოს იყო, რომ

მეფეს დიდი საშიშროება ემუქრებოდა, თუ ის საკუთარ ჩანაფიქრს სისრულეში არ მოიყვანდა და ლომს არ მოჰკლავდა.

ლომებზე ნადირობის ბოლოს დიდი ცერემონია იმართება. მოკლული ლომი მეფესთან მიაქვთ ემირთა შეკრების დროს, აქ ნადავლს გულისყურით ათავლიერებდნენ, ზომავდნენ და მონაცემები არქივში ჰქონდათ, სადაც ყოველი დეტალი მაქსიმალური სიზუსტითაა აღწერილი.

მე მინდა მოგითხროთ ოპიუმთან დაკავშირებითაც, რომლითაც ვირს კვებავენ ნადირობის წინ. ერთ-ერთმა საუკეთესო მონადირემ მიამბო, თუმცა ეს მხოლოდ ზღაპარია და ეს ამბავი უბირ ადამიანებშია გავრცელებული. საერთოდ მაძღარი ლომი ოპიუმის გარეშეც იძინებს.

დიდ მდინარეზე გადასასვლელად, ამ მხარეში მდინარეზე გადებული ხიდები უბრალოდ არ არსებობდა, აშენებდნენ ორ კუსტარულ, დროებით ხიდს, რომელთა შორის მანძილი ორასი-სამასი ნაბიჯი იყო. ამ ქვეყანაში საკმაოდ კარგად შეუძლიათ ესეთი ხიდების ერთმანეთზე გადაბმა და გამაგრება, ხიდის ზედაპირზე კუპრში ამოვლებულ მიწას ყრიან, რომ პირუტყვს ხიდზე გადასვლისას ფეხი არ დაუცდეს. ასეთ ხიდებზე ასვლაც საშიშია და ჩამოსვლაც, რადგან გადასვლისას არანაირი ორგანიზება არ არსებობს და ამის გამო გამოწვეული ჭყლეტვის შედეგად ხიდზე „ორმოები“ ჩნდება, სადაც არცთუ იშვიათად, დატვირთულ პირუტყვს, ფეხი უვარდება და ერთმანეთზე ეცემიან, მიუხედავად ამისა უწესრიგო გადასვალას ეს ფაქტორი ხელს არ უშლის და მაინც გრძელდება. უფრო მეტი უწესრიგობა იქმნებოდა თუკი ყველანი ერთ დღეს მოინდომებდნენ ხიდზე გადასვლას, მაგრამ მეფე ჩვეულებრივ თავის ბანაკს ხიდიდან ნახევარი ლიეს მოშორებით დასცემდა ხოლმე და ერთი ან ორი დღით აყოვნებდა ხიდზე გადასვლას. შემდეგ ხიდზე გადადიოდა და მდინარის მეორე სანაპიროზე, ისევ ნახევარი ლიეს მოშორებით დაბანაკდებოდა ხოლმე. შესაბამისად ის, საშუალებას აძლევდა ჯარს სამი დღის და სამი ღამის განმავლობაში მშვიდად გადასულიყო მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე.

რაც შეეხება არმიაში ადამიანთა რაოდენობას, ამის გარკვევა თითქმის შეუძლებელია. ყოველთვის სხვა და სხვა ციფრებს მისახელებენ, შესაბამისად რომელს დავუჯერო არ ვიცი. მე შემიძლია გითხრათ, რომ ალბათ ამ ლაშქრობაში მებრძოლებთან ერთად ასი

ათასი მხედარი და ასორმოცდაათი ათასზე მეტი პირუტყვი, ცხენები, ჯორები, სპილოები და კიდევ ორმოცდაათი ათასი აქლემი ღებულობდა მონაწილეობას, გარდა ამისა თითქმის ამდენივე ხარი და ტვირთაკიდებული ცხენები, რომლებზეც ხორბალი და სხვა სურსათია დატვირთული, ასევე ცოლ-შვილი, რომლებიც ასევე ცხენებზე ჰყავთ ამხედრებული და ბოშების მსგავსად ყოველთვის თან დაატარებენ, ამ ყველაფერთან ერთად მოსამსახურეების „დიდი რაოდენობა ნუ დაგვავიწყდება, ვინაიდან აქ ყველაფერი მოსამსახურეების ხელით კეთდება. მაგალითად მე, რომელიც ორ ცხენიან მხედრად ვირიცხები, სამი მსახურით ძლივს გამაქვს თავი. ერთნი ამბობენ, არმია სამასი — ოთხასი ათას კაცს ითვლისო, სხვები კი უფრო დიდ ციფრს, ან უფრო ნაკლებს ასახელებენ. ალბათ ზუსტად რომ დაადგინოთ, ხალხი სათითაოდ უნდა გადათვალოთ და დარწმუნებული ვარ დაუჯერებელ რიცხვს მივიღებთ. წარმოდგენა უნდა იქონიოთ იმაზე, რომ დედაქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობა აქ არის, რადგან დედაქალაქი არმიით ცხოვრობს და ის კი, მეფეს დაჰყვება. თუკი მეფე დიდი ხნით მიემგზავრება, როგორც ამჯერად, ხალხი მის ამალას უკან დაჰყვება, რადგან დედაქალაქში რომ დარჩეს შიმშილით მოკვდება.

ძნელად აღსაქმელია, თუ როგორ არსებობს ეს უზარმაზარი არმია ლაშქრობის დროს. ამისათვის მხედველობაში უნდა მივიღოთ ინდოელების ზომიერება და საკვებისადმი ნაკლებად პრეტენზიულობა და რომ ამხელა არმიის მეათედი, ან მეოცედი ნაწილი, ხორცის ჭამისკენ არ არის მიდრეკილი. ისინი მხოლოდ კიჩერით იკვებებიან, ეს გახლავთ ბრინჯისა და ბოსტნეულის ნაზავი, რომელსაც ზეთისა და ფქვილისგან მომზადებულ სოუზს მოასხავენ ზედ, ამ კერძით სრულიად იკმაყოფილებენ შიმშილს. გარდა ამისა მხედველობაში უნდა მივიღოთ აქლემების ამტანუნარიანობა, მათ იოლად შეუძლიათ შიმშილს და წყურვილს გაუძლონ, მათ არ სჭირდებათ დიდი რაოდენობით საკვები და სიამოვნებით მიირთმევენ რაც შეხვდებათ. როცა არმია დაბანაკებისთვის ჩერდება, აქლემები მეჯოგეებს მინდორში გაჰყავთ და ისინიც მშვიდად ნაყრდებიან. ვაჭრები, რომლებიც დელის ბაზრებში ვაჭრობენ, ვალდებულები არიან ლაშქრობის დროს სრულად უზრუნველყონ არმია საკვებით. წვრილი მოვაჭრეები კი, ვინც ბაზრებში დახლებზე ვაჭრობენ, არმიაში ჰყავთ „მობილიზებულნი“, ალ-

ბათ იძულებით, ან შესაძლებელია ნებაყოფლობითაც, ვერ გეტყვით. რაც შეეხება ფურაჟს, ღარიბი ხალხი წელში წყდება, დადიან ახლო მდებარე სოფლებში, ყიდულობენ, ან ართმევენ ადგილობრივებს ფურაჟს და ისე ამარაგებენ ჯარს. ეს ადამიანები სპეციალური ნიჩბებით მინდორში ბალახს აგროვებენ და შემდეგ არმიას მიჰყიდიან ხოლმე, ხან ძვირად და ხან იაფად.

მე დამავიწყდა მომეთხრო ერთი შესანიშნავი ამბავი. მეფე ბანაკში ხან ერთი მხრიდან შემოდის, ხან მეორედან, შესაბამისად ჯერ ერთ მხარეს მდებარე ემირთა კარვებს ჩამოუვლის, შემდეგ კი მეორე მხარეს მდებარე ემირთა კარვებს ჩამოუვლის, ამაში არაფერია განსაკუთრებული. ემირები, რომელთა სიახლოვესაც მეფე გაივლის ვალდებულები არიან მის შესახვედრად გამოვიდნენ და „მცირეოდენი“ საჩუქარი მიართვან მბრძანებელს. ერთი მიართმევს ოც ოქროს რუპიას, რაც ოცდაათ პისტოლს უდრის, მეორე ორმოცდაათ რუპიას ჩუქნის მეფეს და ასე შემდეგ... „საჩუქრის“ მოცულობა დამოკიდებულია ემირის ჯამაგირზე და მის გულუხვობაზე.

გთხოვთ მომიტევოთ, თუ დელისა და ლაგორს შორის პატარა ქალაქების, დასახლებების და ადგილების დასახელებისგან თავს შევიკავებ. მე ისინი არსად მინახავს, რადგან ჩვენ სულ ღამე და მუდმივად მინდორ-მინდორ მივდიოდით. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ჩემი აღა, არმიასთან ერთად არ გახლდათ, იგი ყოველთვის დიდი გზით დადის, მე კი პირველი ფლანგის წინ მივდიოდი მინდორში, ღამე ვარსკვლავების მიხედვით მივიკვლევდით გზას, ჩვენ გვინდოდა, რომ ბანაკის პირველ ნახევარში მოვხვედრილიყავით და შესაბამისად დიდ გზაზე არ გავსულვართ. მართალია რამდენჯერმე გზა აგვერია და სამი-ოთხი ლიეს მაგივრად (ჩვეულებრივ ბანაკებს შორის დაშორება სამ-ოთხ ლიეს შეადგენდა), ხუთი-ექვსი ლიეს გავლა გვიწევდა. ჩვეულებრივ გათენებისას ვახერხებდით მდგომარეობიდან გამოსვლას.

წერილი მესამე — მასვე

დაწერილია ლაგორში, როცა მეფე ქაშმირისკენ გამგზავრებას აპირებდა. ლაგორის აღწერა, პენჯაპის ანუ ხუთი მდინარის დედაქალაქის აღწერა

მოწყალეო ხელმწიფევ!

მე მომიწია სიცხის გადატანა მოკაში, ბაბ-ელ-მანდებასთან და ვრწმუნდები, რომ მე მომავალში ვერავითარი სიცხე ვეღარ შემაშინებს. ამ ოთხი დღის განმავლობაში რაც არმიამ ლაგორი დატოვა, დავრწმუნდი ჩემი იმედების უსაფუძვლობაში. მე დავინახე, რომ ინდოელებს არცთუ უსაფუძვლოდ ეშინიათ თერთმეტ-თორმეტ დღიანი ლაშქრობების, რომელიც საჭიროა ლაგორიდან ბემბერგამდე, ქაშმირის მთებამდე. გარწმუნებთ, რომ სიცხე ამ მხარეში წარმოუდგენლად აუტანელია, მას სრულ „განადგურებამდე“ მივყავდი. მე ნამდვილად არ ვიცოდი დილას გავათენებდი, ან მივაღწევდი თუ არა საღამომდე ცოცხალი. ეს წარმოუდგენელი სიცხე, იმით არის გამოწვეული, რომ ქაშმირის მაღალი მთები ჩვენგან ჩრდილოეთით მდებარეობს და მაცოცხლებელ ნიავს დაბლობისკენ გზას უღობავს. ნიავი, რომელსაც ცოტათი მაინც შეუძლია გაუსაძლისი სიცხისგან გვიხსნას, უბრალოდ არ იძვრის. ამიტომ აქაური მიწა გავარვარებულია და აქაური ჰაერით სუნთქვა კი შეუძლებელი. ნეტავ რატომ ვფილოსოფოსობ? მე ხომ არ ვიცი, ხვალ ვიქნები კი ცოცხალი?

წერილი მეხუთე — მასვე

გუშინ ინდოეთის ერთ-ერთ დიდ მდინარეზე გადავედი, რომელსაც ჩანაუს ეძახიან. მხოლოდ ამ მდინარის შესანიშნავი წყალი (მთავარმა ემირებმა ამ მდინარის წყლის მომარაგება დაიწყეს, აქამდე კი განგის წყალს მოიხმარდნენ) მაიძულებს დავიჯერო, რომ აქ ადამიანები ჯოჯოხეთში ხვდებიან და არა ქაშმირში, სადაც როგორც გვარწმუნებენ მხოლოდ ყინულს და თოვლს ვიხილავთ. როგორც ვხედავ ყოველ მომდევნო დღეს უფრო და უფრო უარესდება ჩვენი მდგომარეობა. რაც უფრო წინ მივდივართ სიცხე ძლიერდება. შუადღისას ხიდზე გადავე-

დით, მაგრამ მე არ ვიცი რა უფრო უკეთესია, ღია მინდორზე სიარული თუ კარავში სულის ამოხდომა. ყოველ შემთხვევაში შევძელი ხიდზე გადასვლა ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე, რადგან იმ პერიოდში ყველა ისვენებდა და სამზადისს იწყებდნენ ბანაკიდან გამოსასვლელად, მხოლოდ ოდნავ აგრილებას ელოდებოდნენ. მე, რომ სხვებივით დამეცადა და მათთან ერთად მემგზავრა, შესაძლოა რაიმე უსიამოვნებაში გავხვეულიყავი. შემდეგ მე მიყვებოდნენ როგორი ქაოსი და უწესრიგობა სუფევდა ხიდზე გადმოსვლისას, მსგავსი არეულობა რაც დელიდან გამოვედით არავის ახსოვდა, არც ერთი გადასვლის დროს.

ახვიდე პირველ ბარკასზე და ბოლოზე ჩამოხვიდე ძალიან ძნელია, რადგან ფეხქვეშ მცოცავი ქვიშები გაჩნდა, რადგან მასზე დადიოდნენ და თელავდნენ, რის გამოც ორმოები წარმოიშვა, ცხენების, ხარების და აქლემების ჯოგებმა, იქაურობა გადათელეს, თანაც ცხოველებს ჯოხებით ერეკებოდნენ და მათ ნაფეხურებში ქვიშა იყრებოდა, ავსებდა ზედაპირს და ტერიტორიაზე გადაადგილებას ართულებდა. ჩვეულებრივ, ასეთი არეულობის დროს, ზოგიერთი ჩინოვნიკი და ემირების მხედრები, უხეშობაზე უკან არ იხევდნენ, რათა თავიანთი ბატონებისთვის გზა მიეცათ და ტვირთიც გადატანათ. ჩემმა ნაბობმა ერთი აქლემი დაკარგა, რომელზედაც რკინის ქურა იყო აკიდებული. თუ მას ვერ ვიპოვით ბაზარში გამომცხვარი პურით უნდა დავკმაყოფილდეთ. ნახვამდის.

წერილი მეექვსე — მასვე

დაწერილია არმიის ბანაკში,
მივემართებით ლაგორიდან ქაშმირში. ლაშქრობის მერვე დღე.

მოწყალეო ხელმწიფევ!

საკუთარ თავს ვკიცხავ ცნობისმოყვარეობისთვის: ევროპელისთვის წარმოუდგენელია, ასეთ სიცხეში უკიდურესი გამბედაობა გამოიჩინოს, ეს სახიფათო გადასვლები უგნურობად მიმაჩნდა, მაგრამ სიავე, სიკეთის გარეშე არ არსებობს. ლაგორში ჩასვლის შემდეგ ფილტვების ანთება დამემართა და აუტანელი ტკივილებიც ზედ დაერთო, რადგან გარეთ ტერასაზე, სუფთა ჰაერზე მოვინდომე დაძინება. დელიში ასე ძილი უსაფრთხოა, მაგრამ რვა-ცხრა დღის განმავლობაში

მგზავრობამ და გაუსაძლისმა სიცხემ, ორგანიზმიდან, ოფლის სახით, დიდი რაოდენობით სითხე გამოდევნა და სხეული უკიდურესად გამოაშრო, საკმარისია წყალი დავლიო, რომ კიდურებიდან თქრიალით გამოდის. დღეს ათი ყლუპი დავლიე, რაოდენ სასიამოვნოა როცა სუფთა და უვნებელ წყალს სვამ.

წერილი მეშვიდე — მასვე

დაწერილია არმიის ბანაკში, გზად ლაგორიდან ქაშმირისკენ, დილა, ლაშქრობის მეათე დღე

მოწყალეო ხელმწიფევ!

მზე ჯერ არ ამოსულა და უკვე წარმოუდენლად ცხელა. ერთი ნაგლეჯი ღრუბელიც კი არ ჩანს ცაზე და ნიავიც არ უბერავს. ჩემი ცხენები გამოიფიტნენ, მათ ლაგორის შემდეგ მწვანე ბალახიც კი აღარ უნახავთ. ჩემი ინდოელები, მიუხედავათ მათი მუქი ფერისა და მშრალი უხეში კანისა ძალა გამოცლილები არიან. სახეზე, ხელებზე და ფეხებზე კანი გამიუხეშდა. მთელი სხეული პატარა მუწუკებით მაქვს დაფარული და როგორც ნემსები ისე მჩხვლეტენ მთელ ტანზე. გუშინ ერთ-ერთი ჩვენი მხედარი, რომელსაც არ ჰქონდა კარავი, ხის ძირში მკვდარი იპოვეს. არ ვიცი, შემწევს კიდევ ძალა რომ დღევანდელ დღესაც გავუძლო?! მთელ ჩემს იმედებს მშრალ მაწონზე ვამყარებ, რომელსაც წყალში ვაზავებ, ცოტაოდენი შაქრის და ოთხი-ხუთი ცალი ლიმონის იმედიც მაქვს, რომლისაგანაც ლიმონათს ვაკეთებ. გემშვიდობებით, მელანი აშრება კლმის წვერს და კალამიც ხელიდან მივარდება. ნახვამდის.

წერილი მერვე — მასვე

დაწერილია ბემბერაში, ქაშმირის მთებთან ორი დღის წინ ჩამოსვლის შემდეგ.

რას ნიშნავს ბემბერი — საზიდარების შეცვლა მთებზე სამოგზაუროდ. მზიდავების წარმოუდგენელი რაოდენობა და წესრიგი, რომელიც უნდა დავიცვათ ხევებზე გადასასვლელად ხუთი დღის მანძილზე.

მოწყალეო ხელმწიფევ!

ბოლოს და ბოლოს ბემბერში ჩამოვედით, ის, შავი და გადამწვარი ციცაბო მთის ძირშია აშენებული. ბანაკი აღმავალი ფერდობის ფართე ლანდშაფტზე, გავარვარებული ქვიშაზე გავშალეთ. ეს ნამდვილი ღუმელია და რომ არა კოკისპირული წვიმა, რომელიც დღეს დილით წამოვიდა, კიდევ მაწონი, ლიმონი და ქათამი, რომელიც მთებიდან გამოგვიგზავნეს, ვერ აგიწერთ რა შეიძლებოდა დამმართნოდა. ალბათ თქვენ ჩემს წერილს ვეღარ მიიღებდით. მადლობა ღმერთს, ჰაერი ცოტა გაიწმინდა და მადაზეც მოვედი, ეხლა ძალაც კი მყოფნის რომ გესაუბროთ.

გატყობინებთ ჩვენს ახალ გადასვლებზე და ახალ სიძნელეებზე. გუშინ ღამით, ამ ცხელი ადგილიდან პირველი მეფე გაემგზავრა, რაუშენარა-ბეგუმი სერალიას სხვა ქალებთან ერთად, ასევე რაჯა რაგნატა, რომელიც ვეზირის მოვალეობის შემსრულებელი გახლდათ და ფაზელ-ხანი, მთავარი ეზოთმოძღვარი. წინა ღამეს, ნადირობის უფროსმა, რამდენიმე მაღალ თანამდებობის პირთან და მაღალი წრის ქალბატონებთან ერთად დატოვა ბანაკი. ამაღამ ჩვენი რიგია. მიემგზავრება ჩემი ნაბობი, დანეშმენდ-ხანი, მასთან ერთად ემირ-ჯემლის ვაჟი, მახმედ-ემირ-ხანი, რომლის შესახებ მე უკვე გიამბეთ. ასევე ჩვენი მეგობარი დიანეტ-ხანი, თავის ორ ვაჟთან ერთად და კიდევ რამდენიმე ემირი, რაჯა და მანზებდარი, შემდეგ სხვა დიდებულების და წარჩინებულების ჯერიც დადგება, რომლებიც ვალდებულები არიან ქაშმირში წამოვიდნენ, მაგრამ ცდილობენ თავიდან აიცილონ რთული და ვიწრო მთის გზებზე სიარული, ასევე ქაოსი და მგზავრობისას თანდართული სირთულეები, რომელიც ქაშმირამდე ხუთი დღის განმავლობაში უნდა გადაეტანათ. დანარჩენ სამეფო კარს, მაგალითად არტილერიის უფროსს, ფადეი-ხანს, სამ თუ ოთხ მთავარ რაჯას და

ემირთა დიდ რაოდენობას, მოუწევდათ რამდენიმე თვით აქ დარჩენა, სანამ მეფე აგრილების შემდეგ უკან არ დაბრუნდებოდა. ერთმა მათგანმა თავისი კარვები მდინარე ჩენაუს ნაპირზე გაშალა, დანარჩენები ახლომდებარე ქალაქებში და სოფლებში დაბანაკდნენ, ხოლო ზოგიერთებს მტვრიან და გავარვარებულ ბემბერეში მოუწევდათ დარჩენა. მეფეს, იმ მოსაზრებით, რომ სურსათის დეფიციტი არ შეიქმნილიყო ქაშმირის პატარა სახელმწიფოში, პირველ რიგში, თავის ამალაში აჰყავდა მხოლოდ ყველაზე მაღალი წრის ქალბატონები, რომლებიც რაუშენარა-ბეგუმის უახლოესი მეგობრები იყვნენ და ისინიც, ვინც მათი მომსახურეობისთვის არის საჭირო. მეფის ამალაში ადგილი ემირებისთვის შეზღუდლი რაოდენობით გამოიყოფა და ჯარსაც შეზღუდული რაოდენობით იახლებს მეფე. ემირი, რომელიც უფლებას, მიიღებს მეფეს გაჰყვეს, მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა, მხედარს ვერ წამოიყვანს, მას მხოლოდ ოცდახუთიდან, ას მხედრამდე ხლების უფლება აქვს და აგრეთვე ემირის პირადი დაცვაც. ეს განრიგი მკაცრად არის დაცული, ხეობაში შესასვლელს ემირი იცავს და ადამიანებს სათითაოდ ითვლის, ზედმეტ რაოდენობას ხეობაში შესვლის უფლებას არ აძლევს. ასევე ხეობაში შესვლის უფლებას არ აძლევენ დიდი რაოდენობით მოზღვავებულ მანზებდარებს და სხვა მხედრებს, რომლებსაც ქაშმირის სუფთა ჰაერით სურდათ ესუნთქათ. არც ვაჭრების დიდ რაოდენობას ატარებდნენ, რომლებიც მოგების მისაღებად მიილტვოდნენ ქაშმირისკენ. ტვირთის და ქალების გადასაყვანად მეფე მხოლოდ რამდენიმე სპილოს გამოყენების უფლებას აძლევდა თანხმლებთ. ამ ცხოველებს დიდი სიძნელეების ატანა შეუძლიათ და ფეხზეც მყარად დგანან. სადაც განსაკუთრებით ცუდი გზაა, ან ლააფია, სპილო სანამ მყარად არ დადგება ერთ ფეხზე მაინც, მეორე ნაბიჯს არ გადადგამს. მეფეს გარკვეული რაოდენობით ჯორებიც მიჰყავს, მაგრამ აქლემების წაყვანისგან კი თავს იკავებს, რადგან აქლემები მთის გზებს ნაკლებად ეგუებიან და გადაადგილებაც უჭირთ. აქლემები მზიდავებმა შეცვალეს. ერთ-ერთი გადასვლის დროს, ექვსი ათასი მზიდავი იქნა გამოყენებული. პირადად მე, მომიწია საკუთარი კარვის ლაგორში დატოვება, რომლითაც ჩვეულებრივ ვსარგებლობ ხოლმე და პირადი ნივთების დიდი რაოდენობაც დავტოვე. მხოლოდ სამ მზიდავს გადავუნაწილე ჩემი შეზღუდული რაოდენობის ტვირთი. ამ გადასვლის

დროს ჩემი აზრით ორმოცდაათი ათასი მზიდავი იქნა გამოყენებული. ზოგი მათაგანი იძულებითი წესით, ქაშმირის გუბერნატორის და ადგილობრივი რაჯების ბრძანების შედეგად გახდა მზიდავი, ბანაკს დიდი რაოდენობით გლეხობა მოაწყდა, რომ ტვირთის გადაზიდვაში მიეღთ მონაწილეობა და ფული გამოემუშავებინათ. ამ ადამიანებს ასი ფუნტად ღირებული ტვირთის გადაზიდვაში, ათ ეკიუს უხდიდნენ. ამბობენ, რომ მათი რიცხვი ოცდაათი ათასი იყო. აქ არ ითვლება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ერთი თვის წინ მეფემ და ემირებმა ტვირთთან ერთად გაგზავნეს და მათთან ერთად ვაჭრებსაც მისცეს გამგზავრების უფლება.

წერილი მეცხრე — მასვე

დაწერილი ქაშმირში, ინდოეთის მიწიერ წალკოტში, ადგილზე ჩასვლისას, სამი თვის მგზავრობის შემდეგ.

ქაშმირის სახელმწიფოს აღწერა, ადგილობრივი მთების მდგომარეობა და მეგობრის ხუთ შეკითხვაზე გაცემული პასუხები.

მოწყალეო ხელმწიფევ!

ქაშმირის სახელმწიფოს ჟამთაღმწერის მიერ მოთხრობილია, რომ მთელი ეს მხარე ადრე წყლით ყოფილა დაფარული, ერთმა „პირ“-მა, ანუ წმინდა ბერმა, რომელსაც ერქვა კაშები, გაარღვია ბარამულეს მთა და დატბორილი ტერიტორიიდან წყალი გაუშვა. ეს ამბავი შეგიძიათ წაიკითხოთ შემოკლებული სახით თქმულებების წიგნში, რომელიც თავის დროზე ჯეხან-გირის დროს ითარგმნა სპარსული ენიდან. მე არ ვუარვყოფ, რომ მთელი ეს მიწა წყლით იყო დაფარული, რადგან იმავეს ამბობენ ფესსალიაში და სხვა ქვეყნებშიც. ჩემთვის ძნელად დასაჯერებელია, რომ ერთმა ადამიანმა შესძლო მთის გახსნა, რადგან მთა ძალიან ფართეა და საკმაოდ მაღალია, ალბათ უფრო დასაჯერებელი იქნებოდა მთის გახსნა მიწისძვრისთვის „დაებრალებინათ“, რადგან ეს მოვლენა აქ საკმაოდ ხშირია და წარმოქმნის მიწისქვეშა მღვიმეებს სადაც მთელი მთა „ჩაიძირა“, როგორც ეს ბაბ-ელ-მანდებში მოხდა (როგორც ეს ამბავი არაბებმა მიამბეს). ზუსტად ასევე ჩაიქცა სხვა ადგილას დიდი ტბები და მთებიც. როგორც არ უნდა იყოს, დღეს ქაშ-

მირის „ტბა“ უკვე აღარ არის და აქაურობა კი მართლაც ულამაზესია, აბიბინებული ფერდობები და წარმტაცი ბუნება ნამდვილად მოხიბლავს მნახველს. ქაშმირი, ლაგორის ჩრდილოეთით, ინდოეთის უკიდურეს მხარეში მდებარეობს, ის შეჭრილია კავკასიის მთების სიღრმეში, დიდი და პატარა ტიბეტელი მეფეების და რაჯა გამონის საბრძანებელში, ისინი ქაშმირის უახლოეს მეზობლებს წარმოადგენენ.

პირველი — მთები, რომლებიც გარს არტყია, ანუ მთები, რომლებიც ყველაზე ახლოს მდებარეობენ დაბლობთან, შედარებით დაბალია და მწვანედ აბიბინებული მინდვრებითა და საძოვრებით არის დაფარული. აქ ძროხებს, ცხვრებს, თხებს და ცხენებს აძოვებენ. აქ, ძალიან ბევრია გარეული ცხოველები და ფრინველები. ასევე დიდი რაოდენობით არის ფუტკარი, რომელიც ინდოეთში დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ამ მიდამოებში არ ბინადრობენ გველები, ვეფხვები, დათვები და ლომები. შეიძლება ითქვას, რომ როგორც აღთქმულ მიწაზე, აქ რძე და თაფლი მოედინება. ამ დაბალი მთების უკან, ძალიან მაღალი, თოვლიანი კალთებით დამშვენებული მთები და მწვერვალებია აღმართული. ეს მწვერვალები ღრუბლებს ასცილებია. აქ, სრული სიმშვიდეა, თოვლიანი მთები მზის სხივებზე ელვარებენ, ყველაფერი ისეა, როგორც ოლიმპოზე. ამ მთების კალთებიდან მოედინება უამრავი წყაროები და ნაკადულები. ადგილობრივ მცხოვრებლებს აქედან არხების საშუალებით სარწყავად გაჰყავთ წყალი, ასევე პატარა და ვიწრო ხეობებში მიწის პლატინასაც აშენებენ წყლის „შესაკრებად“. ყველა ნაკადული და პატარა ჩანჩქერი საბოლოოდ ერთად იკრიბება და ულამაზეს და წყალუხვ მდინარეს ჰქმნის, ამ მდინარეში გემებიც კი დაცურავენ. მდინარის კალაპოტი თითქმის მთელ სახელმწიფოს მოივლის და დედაქალაქის შუაგულშიც მიედინება, იქიდან კი ბარამულესკენ იღებს გეზს და თავქვე, კლდეებში აგრძელებს გზას, მას მთის რამდენიმე მდინარეც უერთდება და ატეკისკენ მიედინება, საბოლოოდ კი, ინდის უერთდება.

ყველა ეს ნაკადული, რომელიც მთებიდან მოედინება, მთის ფერდობებს ულამაზესს და ნაყოფიერს ხდის, ამის შემხედვარეს გგონია, რომ მთელი სამეფო ერთ დიდ ბაღს წარმოადგენს, სადაც ხეებს მიღმა პატარა სოფლები გაეშენებინათ, მრავალფეროვნებისთვის სტეპები, მინდვრები, რომელზეც ბრინჯი, ხორბალი და სხვა მწვანე ნარგავებია

დათესილ-გაშენებული. ყველაფარ ამას თან ერთვის პატარა ტბები, არხები, ნაკადულები, აქ ევროპული მცენარეებიც ვიხილე და ყვავილ-ნარებიც, ხეხილის ბაღებში, ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ფორთოხლის და კაკლის ხეები იყო დარგული. საკუთარი ნაყოფის სიმძიმისგან ხე-ებს ტოტები ძირს ეთრეოდათ და ამ ხეებზე ველური ვაზი იყო შემოხ-ვეული. კერძო პირების ბაღებში, ნესვი, საზამთრო და ბოსტნეული იყო დათესილი. მათი ნაყოფი, დანარჩენ ინდოეთში აქედან მიჰქონ-დათ ვაჭრებს ბაზრებში გასაყიდად. აქ, ისეთი მცენარეებიც ვიხილე, რომლებიც ადრე არასად შემხვედრია.

მართალია აქ არ არის ხილის დიდი ასორტიმენტი, როგორც ჩვენ-თან და ხილი არც ისეთი გემრიელია როგორც ჩვენში, მაგრამ მე მი-მაჩნია, რომ ეს ნიადაგის ბრალი არ უნდა იყოს. მათ რომ ჰყავდეთ ისეთი მებაღეები, როგორიც ჩვენშია, მათ რომ შეეძლოთ ისე მოუ-არონ მცენარეებს, როგორც ჩვენ ვუვლით და ადგილმდებარეობაც შესაბამისად შეურჩიონ ხეხილის ბაღებს, ნაყოფიც უფრო უკეთესი ხარისხის იქნებოდა, რადგან ზოგჯერ, როცა აქაურ ხილს მივირთმევ, ძალიან გემრიელი ნაყოფიც მხვდება ხოლმე.

აქ, მთავარ ქალაქს და სამეფოს ერთი სახელი აქვთ. ქალაქის სიგრძე ოთხ ლიეზე მეტი არ იქნება და სიგანით კი დაახლოებით ნა-ხევარი ლიეს ტოლია, ქალაქს ზღუდე არ აქვს შემოვლებული. ქალაქი ორი ლიეს დაშორებით სწორ ადგილზეა აშენებული და ნახევარმთვა-რისებურად მორკალულია. ქალაქი მტკნარი ტბის პირასაა აშენებული და მისი ფართობი დაახლოებით ოთხი-ხუთი ლიე თუ იქნება. ეს ტბა მთიდან გამომდინარე ნაკადულების და წყაროების შედეგად წარმო-იშვა, ისინი არხების მეშვეობით, რომლებიც ქალაქის ტერიტორიაზეა გაყვანილი, ტბაში და შემდეგ კი მდინარეში ჩაედინებიან. ქალაქში მდინარეზე ორი ხიდია გადებული, რომლებიც ქალაქის ერთ ნაწილს მეორესთან აკავშირებს. აქ ძირითადად სულ ხის სახლებია, რომლებიც კარგად არის ნაგები და ზოგიერთი მათგანი ორ და სამ სართულიან შენობას წარმოადგენს. არ იფიქროთ რომ აქ კარგი საამშენებლო ქვა არ მოიპოვება, ამ ქალაქში შეხვდებით უკვე დანგრეულ უძველეს წარ-მართულ ტაძრებს და სხვა ნაგებობებს, რომლებიც ქვისგანაა ნაგე-ბი. მაგრამ ტყის სიმრავლე საშუალებას აძლევს აქაურ მოსახლეობას შენობები ხის მასალით ააშენონ, რაც უფრო მომგებიანი და იოლად

ასაშენებელია. სახლები ძირითადად მდინარის ნაპირზეა აგებული და თითოეულ სახლს, წინ პატარა ბაღიც აქვთ გაშენებული, რომელიც მდინარისკენ გადის. აქაურობა საკმაოდ ლამაზია განსაკუთრებით გაზაფხულზე და ზაფხულში. იმ სახლების მიმდებარედ, რომლებიც მდინარის პირას არ არის აშენებული, გაშენებულია ბაღები და არხებიც აქვთ გაყვანილი. თითოეულ ამ ოჯახს პატარა ნავებიც ჰყავთ, რომ მდინარეზე ან ტბაზე გაისეირნონ.

ქალაქის ბოლოს მოსჩანს ცალკე მდგომი მთა, რომელიც საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან მის ფერდობებზე ძალიან ლამაზი სახლები და ბაღებია გაშენებული, ხოლო მთის წვერზე მეჩეთი და როგორც ქალაქის გვირგვინი, მონარქის რეზიდენცია, რომელსაც ულმაზესი ბაღი აკრავს გარშემო. აქაურობას ადგილობრივები მისი მშვენიერების გამო „გარიპერბეტ“-ს, ანუ ოქროს მთას უწოდებენ.

ამ მთის მოპირდაპირე მხარეს მეორე მთაზეც შედარებით პატარა მეჩეთია აღმართული, რომელსაც ასევე ბაღი აკრავს გარშემო და კიდევ, ძალიან ძველი ნაგებობა, რომელიც შესაძლებელია წარმართების ტაძარი იყო და მას „სულიმან“-ს, ანუ „სოლომონის ტახტს“ უწოდებენ, რადგან როგორც მუსულმანები ამტკიცებენ, ეს ნაგებობა სოლომონმა ქაშმირში შემოსვლის დროს ააშენა.

ვერ გეტყვით ნამდვილად ბრძანდებოდა თუ არა სოლომონი ამ მხარეში, ამის დამტკიცება მე არ შემიძლია.

ტბა შესანიშნავია იმითაც, რომ მასში სულ რამდენიმე კუნძულია და ქალაქგარეთ გაშენებული ბაღების „ხასიათს“ ატარებს. ეს ადგილები ძალიან ლამაზია და კუნძულებზე გაშენებული ხეხილის ბაღების და ვენახების გამო, სულ სიმწვანეშია ჩაძირული. ჩვეულებრივ ეს კუნძულები ფართოფოთლოვანი მცენარეებით არის გარშემორტყმული, რომლებიც ერთმანეთისგან ორი ფუტით არიან დაშორებულნი. ადამიანს შეუძლია მათგან ყველაზე მსხვილ ხესაც თავისუფლად შემოაჭდოს ხელები. ამ ხეების სიმაღლე გემის ანძების სიმაღლეს არ ჩამოუვარდება და ფოთლები, ისევე როგორც პალმებს, მხოლოდ კენწეროში აქვთ. ტბის იქით, მთის ფერდობებზე მხოლოდ სახლები და ბაღებია გაშენებული, იქ შესანიშნავი ჰაერია და თანაც პირდაპირი ხედი ტბისკენ.

ამ ბაღებიდან ყველაზე ლამაზი მეფეს ეკუთვნის და „ჩახლიმარ“-ს ეძახიან. ტბიდან ამ ადგილამდე მისვლა არხის საშუალებით

შეიძლება. ამ არხის სიგრძე ხუთასი ნაბიჯია და არხის ორივე მხარეს ალვის ხეების ალეაა გაშენებული. არხს დიდ ფანჩატურამდე მივყევართ, რომელიც ბაღის შუაგულში დგას და ფანჩატურის უკან, კიდევ ახალი არხი იწყება, უფრო მდიდრული და მშვენიერი, რომელიც ბაღის ბოლომდე გადის. არხის ფსკერი და ნაპირები მოპირკეთებულია მოცისფრო ქვებით, ხოლო არხის შუაგულში კი, ფანტანების მთელი რიგია აღმართული, რომლებიც ერთმანეთისგან ორმოცდაათი ნაბიჯითაა დაშორებული. გარდა ამისა დრო და დრო ხდება არხში წყლის მოღვარვა და მაშინ ფანტანები მრავანაერი და მრავალფერი ფიგურებით ჩნდება წყლის ზედაპირზე. არხი კიდევ ერთი ფანჩატურით ბოლოვდება, რომელიც ძალიან ჰგავს პირველს. ეს ფანჩატურები არხის შუაგულში დგას და წყლით არის გარშემორტყმული, იგი ალვის ხეების ალეას შორის მდებარეობს, შიგნით გალერეეაც არის მოწყობილი, ასევე გააჩნია ოთხი კარი, რომელთაგან ორი, პატარა ხიდით გადის არხის სხვადასხვა მხარეს გაშენებული ალეასკენ და ორი კი, მოპირდაპირე მხარეს გამავალი არხებისკენ. თითოეული ფანჩატური ერთ დიდ ოთახს წარმოადგენს, რომლის კუთხეებში პატარა ოთახებია განთავსებული. თვითოეული ოთახი მოხატულია და მოოქროვილი და კედლებზე სპარსული გამონათქვამები არის დაწერილი. ოთხივე კარები მდიდრულად არის გაფორმებული, ისინი დიდი ქვებით არის მოპირკეთებული, და ორ კოლონად არის აღმართული, რომელიც ძველი წარმართული ტაძრიდან არის მოტანილი, ტაძრიდან, რომელიც თავის დროზე შაჰ-ჯეხანის ბრძანებით დაანგრიეს. ჩემთვის უცნობია ამ ქვების ღირებულება, არც ის არის ცნობილი რა მასალისგანაა დამზადებული, მაგრამ ეტყობა მასალა ძალიან ძვირფასია, ის პორფირზე და მარმარილოზე ბევრად ლამაზია.

ჩემი ნაამბობიდან თქვენ დაასკვნიდით, რომ მსგავსი სილმაზის პატარა სახელმწიფო ქვეყანაზე ალბათ წარმოუდგენელია. ის ნამდვილად იმსახურებს ყველა მიმდებარე სახელმწიფოს მბრძანებელი იყოს, ინდოსტანის, თათარისტანის და თვით ცეილონის კნძულებისაც კი, როგორც ეს ადრე იყო. მოგოლები აქაურობას „ინდოეთის მიწიერ სამოთხეს“ ეძახიან და სწორედ ამიტომაც ცდილობდა აკბერი, რომ აქაურობა როგორმე წაერთმია ადგილობრივი მეფეებისთვის და ხელში ჩაეგდო იგი, ხოლო მის ვაჟს ჯეხან-გირს ისე უყვარდა ეს ქვეყანა,

რომ მის დატოვება არც უფიქრია, ის ამბობდა, „მზად ვარ მთელი სახელმწიფო დავკარგო, მაგრამ ქაშმირი კი არასოდესო“. იმ დღიდან რაც აქ ჩამოვედით ყველა პოეტი, ქაშმირელი თუ მუსულმანი, ამ პატარა სამეფოზე სადიდებელ ლექსებსა სთხზავდნენ, რომ აურენგზიბისთვის მიერთმიათ, რომელმაც გულმოწყალედ შეაფასა პოეტთა გარჯა და შესაბამისად დაასაჩუქრა ისინი. მე მახსოვს, რომ ერთ-ერთმა პოეტმა გადააჭარბა ქაშმირის მთების სიდიადის და სიმაღლის აღწერა, ის ამბობდა, რომ მისი მთები ქაშმირს მიუდგომელს ხდიდა ყოველი მხრიდან და რომ ქაშმირი ბუნების ყველაზე ლამაზი ნიმუშია, იმასაც აღნიშნავდა ეს პოეტი, რომ ეს გახლავთ სახელმწიფო, რომელიც მეფობს ყველა სამეფოზე და რომ ის იმიტომ არის მიუდგომელი, რომ ვერაფერმა დაარღვიოს მისი სიმშვიდე და სილამაზე და რომ ის, არ არის ვალდებული ვინმეს დაემორჩილოს. პოეტმა ისიც დაამატა, რომ ქაშმირი მთებით გარშემორტყმულია, რადგან ის გახლავთ მსოფლიოს სამეფო გვირგვინი, რომელიც მორთულია ბრილიანტებით და ზურმუხტებით.

ქალაქიდან საკმაოდ დაშორებული მაღალი მთები, მუდმივად თოვლით არის დაფარული და ბრწყინავს სიქათქათით, ხოლო დაბლობი კი სიმწვანეშია ჩაფლული და მწვანეთ „ანათებს“.

როდესაც ჩემმა ნაბობმა, დანეშმენდ-ხანმა მომიწოდა აღვფრთოვანებულიყავი ამ ლექსით, მივუგე, რომ პოეტს უნდა ეხსენებინა თავის ლექსში ის უზარმაზარი მთების მასივები, რომელიც ქაშმირს გარს აკრავს, მაგალითად პატარა ტიბეტი, რაჯა გამონის სახელმწიფო, კაშგარი და სერენაგორი, რომლებიც ადრე ქაშმირის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ. ამგვარად გამოდის რომ განგი, ერთი მხრივ და ინდი მეორე მხრივ, ასევე ჩანაუ და ჯემნა, ქაშმირის სახელმწიფოდან იღებენ სათავეს და სიდიდით არაფრით არ ჩამოუვარდებიან გიზონს და ფიზონს და ბოლოს, პოეტს უნდა ეთქვა, რომ მიწიერი სამოთხე აქ არის და არა სომხეთში. ჩემი აზრით ეს სიტყვები სერიოზულ შთაბეჭდილებას მოახდენდა მეფეზე.

ქაშმირის მოსახლეობა მახვილგონიერი ადამიანების რეპუტაციით სარგებლობს, უფრო ფაქიზი და მოქნილი აზროვნებით გამოირჩევიან ვიდრე ინდოელები და მეცნიერებისკენ და პოეზიისკენ არანაკლებ მიდრეკილებას იჩენენ, ვიდრე სპარსელები. ისინი საკმაოდ შრომის

მოყვარე და ხელმარჯვე ადამიანები არიაან. ისინი აკეთებენ შესანიშნავ ავეჯს, მაგალითად ხის საწოლებს, საწერ მაგიდებს, ზარდახშებს, სკივრებს, სამზარეულოს ინვენტარს და სხვა ნივთებს, რომლებიც გაამოირჩევა სილამაზით და იყიდება მთელს ინდოეთში. ქაშმირელი ოსტატები ავეჯს ლაქით ფარავენ და ხის უზორებს საკმაოდ ეფექტურად იყენებენ, ნივთებიც საკმაოდ დახვეწილი და გემოვნებით შესრულებული გამოსდით. ასევე ოქროს ძაფებსაც იყენებენ და ნაკეთობას უფრო ლამაზს და მიმზიდველს ხდის, შესაბამისად მათი ქვეყანაში ვაჭრობა, მაღალ დონეზეა განვითარებული და არც ფულის მოზიდვა უჭირთ, აქ შესანიშნავ შალს ამზადებენ, რომელიც ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობს ბაზარზე და ამიტომ შალს დიდი რაოდენობით ამზადებენ, შალის წარმოებაში კი, უმეტესად ბავშვები არიან დასაქმებული. შალი, ეს გახლავთ ქსოვილის პატარა ნჭრები, რომლიც იდაყვიდან თითებამდე მანძილის ერთნახევარი სიგრძის ტოლია და სიგანე კი ერთი იდაყვის ტოლია. ორივე მხრიდან ისინი ხელით არის შემოქარგული, ნაქარგის სიგანე კი ერთი ფუტის ტოლი იქნება. მოგოლები და ინდოელები, როგორც ქალები, ასევე მამაკაცები, ამ შალებს ზამთარში თავზე იფარებენ და მარცხენა მხარეს, მხარზე ლაბადასავით აქვთ ჩამოშვებული. შალი არსებობს ორნაირი, პირველი — რომელიც მზადდება ადგილობრივი მატყლისგან, რომელიც სიფაქიზით და სინატიფით გამოირჩევა ვიდრე ესპანური მატყლი, მეორე — მატყლისებურია, ანუ თმებია, რომელსაც „ტუზ“-ს ეძახიან. მას გარეული სპეციალური ჯიშის თხების მკერდიდან იღებენ, რომელიც ტიბეტის მთებშია გავრცელებული. ამ მასალით დამზადებული შალი, ბევრად უფრო ძვირად ფასობს ვიდრე პირველი, მასზე ფაფუკი და ნატიფის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. თუმცა ერთი უარყოფითი თვისებაც აქვს, მასში მატლები ადვილად იბუდებენ და მრავლდებიან, ამიტომ საჭიროა მისი კარგად გარეცხვა და მატლებისგან განთავისუფლება. მე მინახავს შალი, რომელიც ემირების სპეციალური შეკვეთით მზადდება და ასორმოცდათი რუპია ღირს, ხოლო ადგილობრივი მატყლით დამზადებული შალის ღირებულება კი, ორმოცდაათ რუპიაზე მეტი არასოდეს დაფიქსირებულა.

ამ შალებთან დაკავშირებით ყოველთვის მიუთითებდნენ, რომ პატნეში, აგრაში და ლაგორში ყოველგვარი მცდელობა, ასეთი ფაფუ-

კი და ნატიფი ქსოვილი შეექმნათ, უშედეგოდ დამთავრდა. ალბათ აქაური წყლის განსაკუთრებულ თვისებებშია მისი საიდუმლო, ქაშმირში დამზადებული ტილოს მოხატვის და წყალში გავლების შემდეგ, მისი ფერები უფრო ხავერდოვანი და მიმზიდველია ვიდრე სხვაგან მოხატული ტილოები, ამ მოსაზრების საფუძვლიანობას ამყარებს.

ქაშმირის მოსახლეობა თავისი „ჯიშიანობითაც“ არის ცნობილი, ისინი ძალიან ჰგვანან ევროპელებს. მათ სახეებზე არავითარი თათრულ წარმომავლობა არ „იკითხება“. ისინი არაფრით არ ჰგვანან თავიანთ უახლოეს მეზობლებს, კაშგარას და ტიბეტის მცხოვრებლებს. ქაშმირში ულამაზესი ქალები ცხოვრობენ. უცხოელების უმრავლესობას, რომლებიც ინდოეთში დიდი მოგოლის კარზე ჩამოდიან, ცოლად ქაშმირელი ქალები მოჰყავთ, რომ შვილები უფრო თეთრები ჰყავდეთ, ვიდრე ინდოელები არიან და მოგოლებს გაუთანაბრდნენ და მართლაც ასეა, ამ ლამაზ ქალზე, რომლებიც სახლებში ჰყავთ გამოკეტილი, შეიძლება წარმოდგენა უბრალო ხალხის წრიდან გამოსული ქალების შემხედვარეებმა შევიქმნათ. მათ ქუჩაში და ბაზარში ვხვდები და მინდა დარწმუნებით განვაცხადო, რომ ისინი ულამაზესები არიან ლაგორში. ისინი მაღლები და ტანადები არიან, რომ უმალ გამოარჩევ ინდოელი ქალისგან. ერთხელ ეშმაკობას მივმართე, რომელსაც მოგოლები იყენებენ ხოლმე. გავყევი სპილოს ნაკვალევს, რომელიც ვერცხლის ზინზილაკებით იყო მორთული, სოფელში სადაც კი გაიგონებდნენ ზინზილაკების ხმას, ახალგაზრდა ქალბატონები ან სახლში შერბოდნენ, ან სახლის ფაჯრებში შეყოფდნენ თავს, რომ სახეზე არ შემეხედა, შემდეგ სხვა ხერხი ვიხმარე, რომ კარგად შემეთვალიერებინა ქაშმირელი ქალბატონები. ამ ხერხმა კი ნამდვილად გასჭრა. მე ჩემი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ერთი მასწავლებლის რჩევა გავითვალისწინე, რომელსაც ყველა იცნობდა და ერთი სპარსი პოეტის ლექსების შესწავლასთან დაკავშირებით ვთხოვე დახმარება. მე ვიყიდე სხვადასხვა სახის ნუგბარი და მასთან ერთად ადგილობრივებს სახლში ვესტუმრეთ, სულ ორმოცდაათი სახლი მაინც მოვიარეთ მე და მასწავლებელმა. მისთვის ყოველი სახლის კარი ღია იყო და ჩვენც ამით ვსარგებლობდით, ტკბილეულით ხელდამშვენებული შევდიოდი ოჯახებში, მასწავლებელი ამბობდა, რომ მე მისი ახლო ნათესავი ვიყავი და აქ ცოლის შერთვის მიზნით ვიყავი ჩამოსული და თან

დაამატებდა, რომ მე საკმაოდ მდიდარი ადამიანი ვიყავი. ოჯახებში შესვლისთანავე ბავშვები მიესეოდნენ ტკბილეულს, ყველანი გამოეფინებოდნენ ჩვენთან შესახვედრად, დიდები და პატარები, ქალბატონები და ასულები, რომ პირი ჩაეტკბარუნებინათ და თანაც გასათხოვარი ქალისთვის შემევლო თვალი. ეს ჩემი გიჟური წამოწყება საკმაო ფულიც დამიჯდა, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, ქაშმირში მე ვიხილე ისეთი შესანიშნავი ასულები, რომელთა მსგავსს ევროპაში ნამდვილად ვერ შეხვდებით.

ეხლა მსურს გაგიზიაროთ ჩემი მოგონებები, თუ რა ვიხილე ყველაზე შთამბეჭდავი მთებში მოგზაურობისას, დაწყებული ბემბერადან აქამდე (ალბათ უპრიანი იქნებოდა თხრობა ჯერ ამითი დამეწყო). შემდეგ კი გიამბობთ რამდენიმე მცირეხნიანი მოგზაურობის შესახებ, სადაც ამ ქვეყნის სხვადასხვა მხარის შესახებ ამბავი იქნება აღწერილი. ასევე მოგიყვებით გარშემორტყმული მთების შესახებაც.

რაც შეეხება ჩვენს მოგზაურობას ბემბერადან აქამდე, ყველაზე უფრო იმან გამაოცა, რომ პირველსავე ღამეს, როგორც კი ბემბერადან გამოვედით და მთებამდე მივედით ცხელი ჰავა უცბათ ნორმალურმა ჰავამ შეცვალა. მშვიდობიანად ძლივს გადავედით ამ საშიშ კლდეზე, მე მინდოდა მეთქვა, რომ ჩვენ გადავდიოდით მაღალ, ციცაბო, გაუსაძლისი სიცხის გამო გადამწვარ ბემბერის მთაზე, შემდგომ კი, ამ მთის მეორე მხრიდან დაშვება, სადაც ჰაერი უფრო გრილი და ასატანი გახდა, კლიმატი კი უფრო რბილი და ნორმალური.

ამ გადასვლამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თითქოს ინდოეთიდან პირდაპირ ევროპაში ამოვყავით თავი. როდესაც დავინახე, რომ მიწა დაფარულია ბალახებით და ხეებით, მე მომეჩვენა, რომ ვიმყოფებოდი ჩვენთან, ოვერნიში, ტყის შუაგულში, მუხებით, წაბლის ხეებითა და სიმწვანით გარშემორტყმული. მე ვიყავი გაკვირვებული, რადგან ინდოსტანში მსგავსი ადგილის წარმოდგენა, ნამდვილად წარმოუდგენელი გახლდათ.

სხვათა შორის მცენარეულობასთან დაკავშირებით ასევე გამაკვირვა იმან, რომ ბემბერადან მხოლოდ დღენახევრის სავალ გზაზე, მდებარეობს მთა, რომლის ფერდობები ორივე მხრიდან, სამხრეთის მხრიდან ინდოეთისკენ ეშვება, შერეული ინდური და ევროპული წარმოშობის მცენარეებით არის დაფარული, ჩრდილოეთი ფერდობი კი,

მთლიანად ევროპული მცენარეებით არის დაფარული. ადამიანმა შეიძლება იფიქრო, რომ სამხრეთ ფერდობზე ტემპერატურა „აღებულია“ როგორც ევროპიდან ასევე ინდოეთიდან, ხოლო ჩრდილოეთ ფერდობზე კი მხოლოდ ევროპული კლიმატია „გამეფებული“.

რაც შეეხება ხეებს, მე ნამდვილად განმაცვიფრა უკვე დამპალი ხეების სიდიდემ და რაოდენობამ (ამ ადგილებში ადამიანს ჯერ ფეხიც კი არ დაუდგამს) ასობით ხე ერთმანეთზე იყო მიწყობილი და სიბერისაგან ნახევრად უკვე დამპალიყო. იმ ადგილას, სადაც ეს ხეები იდგნენ, მათ ფესვებზე ახალგაზრდა ხეები ამოსულიყვნენ. მე ვნახე დამწვარი ხეებიც, ალბათ მათ მეხი დაეცა ან ზაფხულის სიცხეში დაიწვნენ ერთმანეთთან ხახუნის გამო გამოწვეული სიმხურვალით. (ამას ამტკიცებენ ადგილობრივი მცხოვრებლები), ზაფხულში, როდესაც ძალიან ცხელა და გავარვარებულია ჰაერი, ქარი ძალუმად არხევს ხეებს, რომლებიც ერთმანეთს ეხახუნებიან რის შედეგადაც ხდება მათი ალება, ძირითადად ბებერ და გამომშრალ ხეებს ედება ცეცხლი.

მე აღვრთოვანებას ვერ ვმალავდი მაღალი კლდეებიდან გადმოღვრილი ჩანჩქერების შემხედვარე, ერთ-ერთი იმდენად შსანიშნავი გახლდათ, რომ ალბათ მსგავსი სილამაზე ძნელად თუ მოიძებნება დედამიწაზე. შორიდან მოსჩანდა, როგორ მოსჩქეფდა მაღალი მთის კალთებიდან და ხეებს შორის შხეფებად როგორ „იმსხვრეოდა“, მისი ტალღები ისევ კლდეზე სხლტებოდა და უზარმაზარი სიმაღლიდან გრიალით ეშვებოდა დაბლობზე.

კლდეზე, ერთ ადგილას ჯეხან-გირმა ბრძანა იქაურობა მოესწორებინათ და ბაქანი აეგოთ, რომ გზად მიმავლებს აქ დაესვენათ და დამტკბარიყვნენ ბუნების ამ საოცრებით. ის ხეები, რომლის შესახებაც უკვე მოგიყევით უძველესი დროის ნაკვალევს ტოვებენ, რომლის ასაკიც საუკუნეების მიღმა იკარგება.

ყველა ამ გართობების დროს ერთი საინტერესო ინციდენტს ჰქონდა ადგილი. იმ დღეს, როცა მეფემ ინება და მთა პირეპანჯალზე მოინდომა ასვლა, რომელიც ყველაზე მაღალია მთებს შორის საიდანაც ქაშმირი მთელი თავისი ბრწყინვალებით იშლება, სპილოების თანხლებით მიმავალი ეს ამალა მინდემბერახებში კომფორტულად მოთავსებულ ქალბატონებთან ერთად მიიწევდა წინ, ერთ-ერთი სპილო შეშინდა, ვინაიდან აღმართი ძალიან მაღალი და ციცაბო იყო.

ამ სპილომ უკუსვლა დაიწყო და შეავიწროვა ისინი, ვინც უკან მიჰ-ყვებოდა მას, ამის შედეგად ორმოცდაათი სპილო გაჩერდა და გზის სივიწროვის გამო მობრუნებას ვერ ახერხებდნენ, ზოგიერთი ხევში გადაიჩეხა, გადაჩეხილ სპილოებზე მჯდარი საცოდავი ქალბატონე-ბის ბედად, მთის კალთა გადავარდნის ადგილას შედარებით ნაკლე-ბად დამრეცი იყო და მხოლოდ სამი მათგანი გარდაიცვალა, ხოლო რაც შეეხება სპილოებს, ორმოცდაათივე ცხოველი ხრამის ფსკერზე დარჩა. როდესაც ეს უზარმაზარი სხეული დატვირთულია სიმძიმით და დიდი სიმაღლიდან ეცემა ძირს, ფეხზე წამოდგომის შესაძლებლო-ბა ნაკლებად სავარაუდოა. სწორ გზაზე დაცემულ სპილოებსაც კი უჭირთ ადგომა. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ამ ადგილებში მოგვიწია დაბრუნება, დავინახეთ რომ ზოგიერთი სპილო ჯერ კიდევ ამოძრავებდა ხორთუმს.

ამ შემთხვევამ ერთი აურზაური გამოიწვია არმიაში, რომელიც უკვე მეოთხე დღეა განსაზღვრული წესით გადაადგილდებოდა მთებ-ზე. იმისათვის, რომ კლდეზე გადაჩეხილი ადამიანები ამოეყვანათ და შესაბამისი დახმარება გაეწიათ მათთვის, არმიას ერთი დღე-ღამე მო-უწია გაჩერება და სამაშველო სამუშაოების წარმოება. რადგან უბ-რალოდ გადაადგილების საშუალება არ არსებობდა და ვერც კარვე-ბი გაშალეს, გაძნელდა სურსათის მიწოდებაც. პირადად მე კარგად მოვეწყვე, რადგან გზასთან ახლოს ვიპოვე პატარა ადგილი, სადაც შემეძლო წამეყვანა ჩემი ცხენი და ჩემდა საბედნიეროდ ერთ ჩემს მსახურს პური ჰქონდა შემონახული და შიმშილიც მისი საშუალებით მოვიკალით.

მე მახსენდება, რომ ზუსტად ამ ადგილას სადაც ღამის გათე-ვა მოგვიწია, დიდი ქვა გადავაგორეთ და მოზრდილი, შავი მორიელი ვიპოვეთ. ერთმა ჩემმა მეგობარმა მოგოლმა მას ხელი სტაცა, ხელი რაღაცნაერად მოუჭირა და ჩემს მსახურს გადასცა, მან კი მე მომა-წოდა. მორიელს ჩვენთვის არ უკბენია. მოგოლმა აგვიხსნა, რომ მან მოაჯადოვა მორიელი და რომ მას მსგავსი „მოჯადოება“ არა ერთხელ ჩაუდენია, თუმცა საიდუმლო არ გაგვანდო, რადგან თურმე თუ ის საიდუმლოს გაამჟღავნებდა „მოჯადოების“ თვისებას დაკარგავდა და ვეღარც გველების „მოჯადოებას“ შესძლებდა, ასევე მისი მასწავლე-ბელიც დაკარგავდა ამ განსაკუთრებულ უნარს.

როდესაც პირეპანჯალის მთაზე გადავედით, იქ, სადაც სპილოები გადაცვივდნენ, სამმა გარემოებამ მაიძულა მოვლენებისთვის ფილოსოფიურად შემეხედა.

პირველ რიგში, ერთ საათზე ნაკლებ დროში ჩვენ მოგვიწია გამოგვეცადა საკუთარ თავზე ზაფხულიც და ზამთარიც. როდესაც ჩვენ ზევით, მთებისკენ მივიწევდით, თაკარა მზის ქვეშ მიმავლებს ოფლი ღვარად გვდიოდა, ხოლო მაშინ, როდესაც მთის ფერდობებზე ავედით, იქ, ჯერ კიდევ გაულხობელი ყინულები დაგვხვდა და ჩვენ, ყინულებისგან გზის გაწმენდა მოგვიწია, რომ წინ წავსულიყავით. მივაბიჯებდით მოყინულ გზაზე. ერთ ადგილას სეტყვაშიც კი მოვყევით და ისეთმა ცივმა ქარმა დაუბერა, რომ ყველამ კანკალი დავიწყეთ. შემეცოდნენ ინდოელები, მათ ხომ თოვლი და ყინულები პირველად იხილეს, არც ცივი ქარის ქროლვა განუცდიათ ოდესმე.

მეორე, გახლავთ ის, რომ ორასი ნაბიჯის მოშორებით ქარი ორი მხრიდან გვიბერავდა ჩრდილოეთიდან, რომელიც პირდაპირ სახეში გვცემდა, ხოლო როცა მთის ქიმს მივუახლოვდით სამხრეთიდანაც დაიწყო ქარმა ქროლვა, რომელიც ზურგში მიბერავდა. ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ ამ მთების კალთებზე ტენის აორთქლების გამო წარმოიშობა ეს ქარები.

მესამე გარემოება, გახლავთ ერთ მოხუც განდეგილთან შეხვედრა, რომელიც მთის ძირში, გამოქვაბულში ცხოვრობდა და მის შესახებ ჯერ კიდევ ჯეხან-გირის მეფობის ხანიდან არის ცნობილი. ამ ადამიანს მრავალ საოცრებებს მიაწერდნენ. ამბობდნენ, რომ მას შეეძლო სურვილისამებრ გამოეწვია ქარი, წვიმა, თოვლი და ჭექა-ქუხილი. ამ ადამიანის რელიგიური მრწამსის შესახებ არაფერი არ იყო ცნობილი. ეს ადამიანი სახის გამომეტყველებით ნამდვილ ველურს ჰგავდა და დიდი თეთრი წვერი სცემდა სხეულზე. მან ქედმაღლურად მოიღო მოწყალება და მისი თიხის ჭურჭლიდან წყლის რეზერვების შევსების უფლება მოგვცა. ძალიან ბრაზობდა როცა ხალხი ხმაურობდა, იგი შორიდან გვემუქრებოდა ყველას. როდესაც მე მის გამოქვაბულში შევედი ნახევარი რუპიას მონეტა ჩავუდე ხელში. მან მითხრა, რომ ამ ხეობაში ხმაური ქარბუქს და ჭექა-ქუხილს იწვევს, შემდეგ კი ბრძანა: „აურენგზიბი კარგად მოიქცა, რომ დამიჯერა და თქვენს ხალხს ხმაურის უფლება არ მისცა, შაჰი-ჯეხანიც სწორედ ასე იქცე-

ოდა, ხოლო რაც შეეხება ჯეხან-გირს, კინაღამ დაიღუპა იმის გამო, რომ ჩემი გაფრთხილება ყურად არ იღო და ბრძანა ყველა საკრავიდან ხმამაღლა დაეკრათ“-ო.

რაც შეეხება ჩემს პატარა მოგზაურობებს ამ ქვეყანაში, შემიძლია გიამბოთ შემდეგი...

ის იყო ქაშმირში ჩამოვედით, რომ ჩემმა ნაბობმა, დანეშმენდ-ხანმა, თავის ერთ ცხენოსანთან, ერთად სამი დღის სავალზე, თით-ქმის ამ სახელმწიფოს ბოლოში ერთ-ერთ ადგილობრივ მცხოვრებთან გამგზავნა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ თურმე იქ არსებობდა სასწაულმოქმედი წყარო, რომელიც ამ პერიოდში ავლენდა თავის სა-იდუმლოებას (სასწულმოქმედებას). მისი სასწაულები მხოლოდ მაისის თვეში, თოვლის დნობის დაწყებისას ხდებოდა. ეს წყარო ორი კვი-რის განმავლობაში, დღეში სამჯერ, დილით, შუადღისას და საღამოს „რეკავს“, ჩვეულებრივ ეს „სასწაული“ სამი ოთხი საათი გრძელდება, ეს წყარო საკმაო რაოდენობის წყალს იძლევა, რომ გაავსოს კვადრა-ტული აუზი, რომლის სიგრძე, სიგანე და სიღრმე, ათიდან ოც ფუ-ტამდეა. პირველი ორი კვირის განმავლობაში, წყაროს „მოქმედება“ სტაბილურობას და წყალუხვობას კარგავს, ერთი თვის შემდეგ კი წყა-რო „ქრება“ და მთელი წლის განმავლობაში „დაკარგულია“, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავსხმა წვიმები დიდ ხანს გრძელდება, მა-შინ ის „უკრავს“, ან „ურტყამს“ უწყვეტად და უწესრიგოდ. ადგილობ-რივებმა ამ ადგილას კერპ „ბრარი“-ს სახელობის პატარა სალოცავი (დეირო) ააგეს, რომელიც ერთ-ერთი დეუტაა. აქ სალოცავად ყოველი მხრიდან მოდიან მლოცველები, რომ განიბანონ და ილოცონ, ეს ადგი-ლი წმინდა ადგილად არის მიჩნეული. ამ წყლის წარმოშობის შესახებ მრავალი ლეგენდა არსებობს, რომლის მოყოლას მე არ ვაპირებ, რად-გან მათში სიმართლის ელემენტსაც კი ვერ ვხედავ.

ხუთი–ექვსი დღის განმავლობაში, რომელიც მე აქ გავატარე, ყო-ველ ღონეს ვხმარობდი ამ საოცრების ახსნა მომეძებნა. ყურადღებით ვათვალიერებდი მთის მდებარეობას, რომლის ძირშიც მდებარეობს ეს წყარო. დიდი წვალებით ავედი მთის თავზე, ვეძებდი და ვიქექებოდი ყველგან. შევამჩნიე, რომ მთა იხრება ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და რომ ეს მთა ცალკე დგას და არ უკავშირდება სხვა მთებს, მიუხედა-ვად მათი სიახლოვისა. მისი ფორმა ვირის ზურგს წააგავს და საკმაოდ

გრძელია, ყველაზე ფართე ადგილი ალბათ ასი ნაბიჯი მაინც იქნება, მთის ერთი ფერდი აღმოსავლეთით არის დახრილი და მასზე ბალახი არ ხარობს. ამ ადგილს მზე დილის რვა საათამდე არ უდგება, რადგან მას სხვა მაღალი მთბი ფარავენ. ამ მთის დასავლეთი მხარე ხეებით და ბუჩქებით არის დაფარული. მე ვივარაუდე, რომ მზის სითბო და მთის მდებარეობის თავისებურება, ასევე მთის შინაგანი აგებულება ერთობლიობაში წარმოადგენს ერთგვარ ჯაჭვს, რომელიც ამ საოცრების ჰქმნის. მზე დილიდანვე ძალიან აცხელებს მისკენ მიმართულ მთის ფერდობს, გავარვარებული ადგილი ადნობს ყინულს, რომელიც ზამთრის პერიოდში წარმოიქმნება და უკვე წყლად ქცეული, მიწის ფენებში ჩაიჟონება. წყალი მთის ქვედა ფენებში გადაადგილდება და რომელიღაც დონეზე მთის ფენა აკავებს მას და მიმართავს წყაროს გამოსასვლელისკენ, რომელიც შუა დღისთვის უკვე გარეთ გამოდის. ანალოგიურ პროცესს აქვს ადგილი, როცა მზე შუა დღის შემდეგ მთას „ტოვებს“, იქ, ისევ სიცივე ისადგურებს. ამ დროს კი მზე მხოლოდ მთის წვერს ათბობს. იქაც იგივე პროცესი მეორდება, მზე ალღობს გაყინულ წყალს, რომელიც სხვა გზებით, მაგრამ მაინც ხვდება კლდის იმავე ფენებში, საიდანაც წყაროს სახით საღამოთი გარეთ გამოედინება. ბოლოს მზე ათბობს მთის დასავლეთ ფერდობს და იგივე პროცესი უკვე მესამედ ხორციელდება, მაგრამ უკვე დილით იწყებს სადინარიდან გამოდინებას, მაგრამ შედარებით მდორე ნაკადით, რადგან დასავლეთი მხარე შორს არის საბოლოო წყალსადენამდე, რომელიც მთის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. კიდევ იმიტომ, რომ მთის დასავლეთი მხარე ტყით არის დაფარული და მზე, მთის აღმოსავლეთ მხარეს, ისე სწრაფად ვერ ათბობს. შესაძლებელია, რომ პროცესებზე სერიოზულ გავლენას ღამის სიცივე ახდენდეს.

ჩემი შეხედულებები, ჩემის აზრით სარწმუნოა და სიმართლეს შეეფერება, რადგან წყარო, პირველ დღეებში უფრო წყალუხვია, ვიდრე ბოლო დღეებში, სანამ სრულად დაწყდებოდეს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საწყის ეტაპზე, მთაზე გაყინული წყლის მოცულობა დიდია, რომელიც დროთა განმავლობაში მცირდება. ასევე ჩემი დასკვნები, დაკვირვების შედეგად მიღებულ უტყუარ ცნობებს ეყრდნობა, რადგან წყარო საწყის ეტაპზე გარკვეულ დღეებში უფრო წყალუხვია, ვიდრე საწყისი ეტაპის სხვა დღეებში. ის შუ-

ადღისას, დილასთან შედარებით თითქმის მოსჩქეფს, ზოგიერთ დღეს კი ყველაფერი პირიქითაა. ალბათ ამ ფაქტორს ისიც განაპირობებს, რომ დღეები მეტნაკლები სიმხურვალით გამოირჩევიან, დღე ხან უფრო თბილია და ხან კიდევ შედარებით ცივი. შესაბამისად სიცხეც და ტემპერატურაც მერყეობს. ეს ფაქტორიც აუცილებლად მოახდნს ზეგავლენას წყაროს „ქცევაზე“.

ზენდ-ბრარიდან დაბრუნებისას მთავარ გზას გადავუხვიე და „აშია-ველე“-ში მომიწია ღამის გათენება, აქ ქაშმირის მეფეების ქალაქგარეთ არსებული სამეფო რეზიდენცია მდებარეობდა, ეხლა ის უკვე დიდ მოგოლს ეკუთვნის. მის მთავარ ღირშესანიშნაობას ფანტანი წარმოადგენს, რომელიც სასახლის გარშემო წყლით ნამავს მთელ ტერიტორიას, ეს სასახლეც არ არის ცუდი. ასობით გაყვანილი არხების წყალობით წყალი ბაღებისკენ მიედინება, შემდეგ წყალი მიწიდან, როგორც ღრმა ჭიდან, დიდი ძალით ისე ამოედინება, რომ გეგონება მდინარე ამოიფრქვა მიწის წიაღიდან და არა ფანტანი. აქ წყალი ძალიან ცივია და კარგია, ის იმდენად ცივია, რომ მასში თუ ხელს ჩაჰყოფთ სისცივისგან ხელები გეტკინებათ. სასახლის ბაღი თავისი ალეას წყალობით მართლაც მშვენიერია, დიდი ხეხილის ბაღში ვაშლის, მსხლის, ქლიავის, გარგარის და ბლის ხეებია გაშენებული, გარდა ამისა, ბაღს სხვადასხვა ფიგურებად წყლის მფრქვეველი ბევრი ფანტანი ამშვენებს, კიდევ აუზები, რომელშიც უხვად არის მოშენებული თევზი და კიდევ კასკადური ჩანჩქერი, რომელიც ოცდაათი-ორმოცი ნაბიჯისოდენა მოედანზე ეცემა და საოცარ შტაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, განსაკუთრებით კი ღამე, როდესაც წყალი ასობით პატარა ფანრებით არის განათებული, ისინი სპეციალურად გამოკვეთილ სათავსოებშია ჩალაგებული ამ ღამისეული ეფექტის მოსახდენად.

„აშია-ვალე“-დან სხვა სამეფო ბარის სანახავად გავემართე, რომელიც ასევე ძალიან ლამაზია, აქაც ისეთივე სანახაობებია, როგორიც „აშია-ვალე“-ში, ის ღირშესანიშნავია კიდევ იმით, რომ ერთ-ერთ არხში თევზია გაშვებული და ისინი ადამიანის ძახილზე, ან დაპურების დროს, ნაპირისკენ მოიწევენ. დიდ თევზებს ცხვირზე ოქროს რგოლები აქვთ გაკეთებული, რომლებზედაც წარწერებია ამოტვიფრული. ამბობენ, რომ თევზებისთვის რგოლების გაკეთება თვით აურენგზიბის პაპის, ჯეხან-გირის მეუღლემ, ნოურ-მეგალემ ბრძანა.

„ზენდ-ბრარი“-დან დაბრუნების შემდეგ, დანეშმენდ-ხანმა, რომელიც კმაყოფილი დარჩა ჩემი მოგზაურობის შედეგებით, მაიძულა კიდევ ახალი წამოწყებისთვის დამეწყო მზადება. მას სურდა, რომ მე მენახა უტყუარი საოცრება, რომელიც როგორც მან მითხრა, აუცილებლად მაიძულებდა რელიგია შემეცვალა და მაჰმადიანი გავმხდარიყავი. „ ალბათ — მითხრა მან, — ბარამულე, „ზენდ-ბრარი“-ზე შორს არ მდებარეობს. იქ შენ მოინახულებ მეჩეთს, სადაც მოგოლი პირები, ანუ წმინდა დერვიშები მოღვაწეობენ, რომლებიც სასწაულებრივად ახდენენ ავადმყოფთა განკურნებას, რომლებიც ის ყველა მხრიდან მიედინება. შესაძლოა არ დაიჯერო ეს სასწაული, მაგრამ შენი თვალით ნახავ ამ ყველაფერს. იქ დევს დიდი და მრგვალი ქვა, რომლის მიწიდან აცილებას უძლიერესი მამაკაცი დიდი გაჭირვებით თუ შესძლებს. იქ მყოფ წმინდა თერთმეტ მოღვაწეს კი, მხოლოდ თითების შეხებით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შეუძლიათ ეს ქვა, როგორც თივის ღერი ისე ასწიონ. “

მე, ჩემი ერთი ცხენოსანი მხლებელის და ერთი ადგილობრივი მკვიდრის თანხლებით გავემგზავრე დანიშნულების ადგილისკენ, ანუ ბარამულეში. ის, საკმაოდ მიმზიდველი ადგილი აღმოჩნდა და მეჩეთიც კარგად იყო ნაგები, ადგილობრივი წმინდანების სამარხებიც ლამაზად იყო მორთული, იქაურობა ხალხით იყო სავსე, რომლებიც ავადმყოფებს და შეჭირვებულებს წარმოადგენდნენ. მეჩეთთან ახლოს სამზარეულო იყო მოწყობილი, სადაც დიდი ქვაბი იდგა, რომელიც ხორცით და ბრინჯით იყო სავსე. ეს ალბათ სატყუარა გახლდათ, რომ ავადმყოფები მოეზიდათ და კიდევ ის „სასწაული“ ეხილათ, რომელიც მათ მოარჩენდათ. ჩემდა სავალალოდ ხშირად არ მიმართლებს, იმ დღეს არცერთი ავადმყოფის „სასწაულებრივი“ განკურნება არ მომხდარა, რაც შეეხება დიდ ქვას, რომლის შესახებ მე მიამბეს, გეტყვით რომ თერთმეტი მოლა, დიდი აჟიოტაჟით დგებოდნენ ამ ქვის გარშემო, გამოწყობილები იყვნენ თავიანთი „კაბე“-ში, ანუ გრძელი ხალათში და იმდენად იყვნენ ქვის გარშემო შემჭიდროვებულები, რომ როგორ აწიეს ქვა, შეუძლებელია ამის დანახვა. მათ ასწიეს ეს ქვა და დემოსტრირება მოახდინეს, რომ მისი აწევა მხოლოდ ხელის ფრჩხილებით იყო შესაძლებელი, თითქოს ბუმბული ყოფილიყოს. ბუნებრივია ყურადრებით ვაკვირდებოდი ამ ყველაფერს და ახლოსაც კი მივედი,

რომ უკეთესათ შემძლებოდა ყველაფრის ხილვა. მე კარგად დავინახე, რომ ისინი რაღაცას დიდ ძალისხმევას ახმარდნენ, ასევე მომეჩვენა, რომ დიდი და საჩვენებელი თითები ერთმანეთზე ჰქონდათ მიდებული. მიუხედავად ამ „სასწაულთან“ ჩემი დამოკიდებულებისა სხვებთან ერთად მეც ვყვიროდი „კარამეტ, კარამეტ“ (სასწაულია, სასწაულია). ამ დროს ერთი რუპია ჩავუდე მოლას და მოწყალე სახით ვთხოვე მოწყალება მოეღო ჩემს მიმართ და ამ თერთმეტს შორის მეც ვყოფილიყავი, რომლებიც ქვას სასწაულებრივად ზევით წევდნენ. მათ ძალიან არ სურდათ ჩემს თხოვნას დათანხმებოდნენ და მე, მეორე რუპიაც ჩავუცურე და დადავუდასტურე ჩემი რწმენა ამ სასწაულის მიმართ, მაშინ ერთ-ერთმა თერთმეტთაგანმა თავისი ადგილი მე დამითმო.

ისინი დარწმუნებულები იყვნენ რომ ამ ქვას ათი ადამიანის შემადგენლობითაც ასწევდნენ, მიუხედავად ჩემი ნაკლები ძალისხმევისა. დადგნენ ერთმანეთთან ისე ახლოს, რომ მე მაინც ვერაფერს შევამჩნევდი. ისინი ჩემთან დაკავშირებით ცდებოდნენ: ქვა, რომელიც მე მეჭირა მხოლოდ ფრჭხილის წვერებით, მუდმივად ჩემსკენ იხრებოდა, სანამ არ შევნიშნე, რომ დრო იყო საქმეში ჩემი დიდი თითი „ჩამერია“ და საჩვენებელი თითისთვის მაგრად მიმეჭირა, ისე როგორც ამას დანარჩენები აკეთებდნენ, როგორც იქნა დიდი გაჭირვებით ავწიეთ ქვა. მე დავაკვირდი, რომ ეს ადამიანები უკვე ალმაცერად მიყურებდნენ და ვერ გაეგოთ მე ვინ ვიყავი, მე კი მხედველობიდან გამომრჩა, რომ მეყვირა „კარამეტ“, როგორც ეს სხვებმა გააკეთეს. კიდევ მომიწია რუპიას გაღება, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ წინაღამდეგ შემთხვევაში ქვებით ჩაქოლვა არ ამცდებოდა. შემდეგ ჩუმად დავტოვე იქაურობა, სწრაფად მოვახტი ცხენს და გავეცალე წმინდანებს თავიანთი სასწაულებებითურთ და უჭმელ-უსმელი გზას დავადექი. გზად მიმავალმა თვალი შევავლე სახელგანთქმულ წყალვარდნილს, რომლიდანაც სახელმწიფოს მდინარეები იღებენ სათავეს, მე უკვე გიამბეთ ამის შესახებ.

მე დიდი ტბისკენ ავიღე გეზი, რომელიც შორიდან შევამჩნიე, ამ ტბის გავლით მიედინება მდინარე, რომელიც ბარამულესკენ მიემართება. ტბა სავსეა თევზით, განსაკუთრებით მრავლად არის გველთევზა, ტბაზე მრავლად არიან გარეული იხვები, ბატები და სხვა წყლის ფრინველები.

ზამთრის პეროიდში ტბაზე უამრავი ფრინველია და გუბერნატორი ხშირად სტუმრობს ხოლმე აქაურობას სანადიროდ. ამ ტბის შუაში პატარა ბაღით გარშემორტყმული პატარა სახლია, რომლის შესახებ ამბობენ, რომ ეს სახლი სასწაულებრივად დაცურავს ტბის ზედაპირზე. ამ სახლში გარე-სმაყაროსგან მოწყვეტილი განდეგილი ცხოვრობს. მის შესახებ ათასობით ლეგენდას თხზავენ, რომლისთვისაც ყურადღების მიქცევაც კი არ ღირს, გარდა იმისა, რომ გადმოცემის თანახმად ეს სახლი, რომელიღაც ქაშმირის მეფეს აუშენებია და ერთმანათზე დამაგრებული ხის დიდი ძელებით აშენება უბრძანებია. აქედან ერთი უჩვეულო ბუნების მქონე ნაკადულის სანახავად გავემართე. ის დუღს და ძალუმად ამოხეთქავს ხოლმე, ასევე ჰაერით გაბერილი პატარა ბუშტუკებსაც უშვებს ზედაპირიდან, ზედაპირზე წვრილი ქვიშა ამოაქვს, რომელიც ისევ უკან ნაკადულის ფსკერზე ბრუნდება. ცოტა ხნით ნაკადული დუღილს წყვეტს და წყნარდება და გარკვეული ხნის შემდეგ პროცესი თავიდან იწყება. ეს პროცესები დაურეგულირებელი „შესვენებებით“ ხორციელდება. როგორც მე განმიმარტეს, თურმე მცირეოდენი ხმაურიც კი იწვევს „დამშვიდებული“ ნაკადულის „შეშფოთებას“, ანუ ადუღებას. მე თვალნათლივ დავინახე, რომ ლაპარაკი და ფეხის ხმა არავითარ გავლენას არ ახდენს წყაროზე, მასში პროცესები დამოუკიდებლად ვითარდება. ალბათ უფრო მეტად უნდა დავფიქრებულიყავით თუ რა სახის მოვლენასთან გვაქვს საქმე, მაგრამ გონებისთვის ძალის დატანება არ ვისურვე. შეიძლება ნაკადულის შეკავების მიზეზი ქვიშაა, რომელიც „ამოფრქვევის“ დროს ზედაპირზე ამოდის და შემდეგ ისევ უკან ბრუნდება, ისედაც წვრილი სადინარიდან წყლის გამოსვლას ხელს უშლის და წყლის „მოზღვავების“ დროს ხდება წყლის ჭავლის ძალუმი ამოფრქვევა, ან იქნებ საიდანმე ჰაერი უბერავს მთის შიგნით წყლის სადინარის მიმართულებით და ეს იწვევს წყლის ამოფრქვევას როგორც ეს ფანტანებში ხდება.

ამ ნაკადულის (წყაროს) დათვალიერების შემდეგ, ჩვენ მთებისკენ ავიღეთ გეზი, რომ დიდი ტბა გვენახა, რომელიც ზაფხულშიც კი ყინულით არის დაფარული და ქარების ზეგავლენით ყინული ტბის შუაგულში დნება და შლის მას. შემდეგ გავემართეთ ერთ-ერთ ულამაზეს ადგილისაკენ, რომელსაც „ზენგ-ზაფედ“-ი, ანუ „თეთრი ქვა“ ეწოდება. ეს ადგილი განთქმულია იმით, რომ აქ, მთელი ზაფხულის

პერიოდში აყვავებულია მთელი მიდამო და უამრავი სახეობის ყვავილი ხარობს. ამასთან ერთად, ყოველთვის, როცა ამ მხარეში ხალხის სიმრავლე მნიშვნელოვნად მატულობს და ხმაურიც შესაბამისად იზრდება, ეს ფაქტორი გავლენას ახდენს ჰაერზე (ატმოსფეროზე) და ძლიერი წვიმა იწყება. მე არაფრის მტკიცებას არ ვაპირებ, მხოლოდ დავძენ, რომ შაჰ-ჯეხანი ამ მხარეში მოგზაურობისას კოკისპირული წვიმების გამო კინაღამ დაიღუპა, მიუხედავად იმისა რომ უბრძანა თავის მხლებლებს არ ეხმაურათ. ეს ამბავი ერთმა განდეგილმა მიამბო პირეპენჯალეში.

აქედან გროტუსკენ ვაპირებდი გამგზავრებას, სადაც გასაოცარი მყინვარი მდებარეობს, მაგრამ ჩემს ნაბაბს ძალიან მოუსაკლისებივარ დიდხნიანი მოგზაურობის გამო.

რაც შეეხება გარშემო მთებს, ჩვენი აქ ყოფნის დროს ვაკეთებდი ყველაფერს რათა შემეგროვებინა ცნობები მათ შესახებ, მაგრამ ვერ შევძელი, რადგან ვერავინ ვერ ვიპოვე ვინც აქაურობას კარგად იცნობდა. მიუხედავად ამისა მე მოგიყვებით იმას, რისი გაგებაც შევძელი.

ქაშმირელმა ვაჭრებმა, რომლებიც ყოველწლიურად ამ მთებზე დადიან და აგროვებენ მატყლს შალის დასამზდებლად, მიამბეს, რომ მთებში რომლებიც ქაშმირის საზღვრებში მდებარეობენ, გვხვდება ულამაზესი ადგილები. მთებში არის რაიონები, რომლებიც გადასახადებს ტყავებით და მატყლით იხდიან და გუბერნატორი ყოველწლიურად მიავლენს ხოლმე მათთან ქვეშემდომებს. ამ მხარეში ულამაზესი ქალები ცხოვრობენ, ისინი შრომის მოყვარენი და კეთილშობილი ადამიანები ყოფილან. კიდევ არის ერთი მხარე, რომელიც ასევე გადასახადებს მატყლით და ტყავებით იხდის, ეს მხარე ქაშმირიდან უფრო მოშორებით მდებარეობს და ულამაზესი მხარე ყოფილა, სადაც უხვად აქვთ ხილი, ბრინჯი, ხორბალი, უგემრიელესი ნესვი და ვენახები, რომლისგანაც განთქმულ ღვინოებს ამზადებენ.

ამ მხარის მაცხოვრებლებმა რამდენჯერმე გადასახადების გადახდაზე უარი განაცხადეს, რადგან მათ, მხარის მიუდგომლობის იმედი ჰქონდათ და ნაკლებად სავარაუდოდ მიაჩნდათ დამარცხება, მაგრამ ყოველთვის მოიძებნებოდა საშუალებები, რომ მოსახლეობა იძულებული გაეხადათ გადასახადები გადაეხდათ. ვაჭრები იმასაც მიყვებოდნენ, რომ უფრო შორს, ქაშმირისგან დამოუკიდებლად, მთებში

კიდევ არსებობდა სხვა მხარეებიც, რომლებსაც ასევე შესანიშნავი ადგილმდებარეობა გააჩნდათ. თურმე აქაც ლამაზი და მშრომელი ხალხი ცხოვრობს და თითქმის არასდროს ტოვებენ საკუთარ მხარეს და ამ დასახლებების უმრავლესობას არა ჰყავთ მეფე, არც იმის გარკვევაა შესაძლებელი, რომელ რელიგიურ კომფესიას განეკუთვნებიან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ზოგიერთ თევზს უწმინდურად მიიჩნევენ და არ ჭამენ მას.

დამატებით მინდა გაცნობოთ ერთი ისტორიის შესახებ, ერთ კეთილ კაცს ცოლად ქაშმირის ყოფილი სამეფო დინასტიის ოჯახიდან მოუყვანია ცოლი. გადმოცემის თანახმად ჯეხან-გირის მმართველობის ხანაში ეძებდნენ სამეფო ოჯახის შთამომავლებს და ამ კაცს ისე შეშინებია, რომ ოჯახთან და სამ მსახურთან ერთად მთებში გახიზნულა, არც სცოდნია საით მიდიოდა, საბოლოოდ მიადგა ძალიან ლამაზ ადგილს, იქაურმა მცხოვრებლებმა მიიღეს ლტოლვილები და როცა გაიგეს ვინ იყვნენ ისინი, საჩუქრებით მიეახლნენ მათ. საღამოს კი ულამაზესი ასულები წარუდგინეს ამ კაცს, რომ ცოლად შეერთო იქაური ასული, რათა მისი სისხლისმიერი შთამომავლები გამრავლებულიყვნენ მათ მხარეში. ეს კაცი იძულებული გახდა სხვა მხარეში გადაბარგებულიყო, მაგრამ იქაც იგივე სიტუაცია დახვდა, იმ განსხვავებით, რომ იქაურებმა საკუთარი ცოლები მიუყვანეს, თან განაცხადეს, რომ იმ მხარის მცხოვრებლები სადაც პირველად მივიდნენ ლტოლვილები, სულელურად მოიქცნენ, რადგან მისი სისხლისმიერი შთამომავლები იქაურების სახლებში არ დარჩებოდნენ და ოჯახებს დატოვებდნენ, რადგან ისინი ლტოლვილების ოჯახში გადმოვიდოდნენ საცხოვრებლად.

ასევე დავამატებ, რომ რამდენიმე წლის წინ, მცირე ტიბეტის სამეფოში, ქაშმირის სამეფოს საზღვარზე, განხეთქილება მოხდა. ტახტის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა დახმარებისთვის ქაშმირის გუბერნატორს მიმართა, შაჰ-ჯეხანის ბრძანების თანახმად, გუბერნატორმა სერიოზული დახმარება გაუწია ტახტის მაძიებელს და დანარჩენი პრეტენდენტები ან დახოცა, ან აიძულა იქიდან გადახვეწილყვნენ, შესაბამისად ის გაამეფეს და გადასახადის გადახდაც დააკისრეს, რომელიც ბროლის, მუსკუსის და ტყავებისგან შედგებოდა. უკვე გამეფებულმა, საჭიროდ ჩათვალა აურენგზიბს ხლებოდა და საჩუქრებად

ის მიართვა, რაც ყოველწლიურ გაადასახადად დააკისრა შაჰ-ჯეხანმა. მას იმდენად დაბალი დონის მხლებლები ახლდნენ, რომ ვერავინ იფიქრებდა რომ ის მეფე იყო. ჩემმა ნაბობმა მის საპატივცემულოდ სადილი გამართა, რათა უკეთ გაეცნო მეფე და გამოეკითხა მთის ამბები. მე მახსოვს მისი ნაამბობი, მან ბრძანა, რომ მისი ქვეყანა ესაზღვრება დიდი ტიბეტს და რომ მისი ქვეყანა ოცდაათიდან ორმოცლიემდეა გადაჭიმული რომ მას ნამდვილად გააჩნია შეზღუდული რაოდენობის ბროლი, მუსკუსი და ტყავები, საერთოდ კი, მისი ქვეყანა საკმაოდ ღარიბია, მას არ გააჩნია ოქროს საბადო, მიუხედავად იმისა თუ რა ჭოერბს ავრცელებენ მისი ქვეყნის შესახებ. მეფემ ისიც ბრძანა, რომ მის ქვეყანაში კარგი ხილის ბაღები აქვთ და განსაკუთრებით მაღალი ხარისხით ნესვით გამოირჩევა, ზამთარი დიდი ხნით არ ტოვებს მის ქვეყანას და თოვლიც უხვად იცის მის მხარეში, ისიც დასძინა, რომ ადრე მის ქვეყანაში ყველა წარმართი იყო და ეხლა მთელმა მოსახლეობამ მაჰმადიანობა მიიღო და შია-ს სექტას მიემხრნენ, რომელიც ყველაზე მეტად სპარსეთშია გავრცელებული.

ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის წინ შაჰ-ჯეხანმა გადაწყვიტა დიდი ტიბეტის ქვეყანა დაეპყრო, ისევე როგორც ქაშმირის მეფეები აკეთებდნენ წინათ. ურთულესი გზის გადალახვის შემდეგ, რომელიც მთებზე გადიოდა და მთელი ეს მანძილი მისმა არმიამ თექვსმეტ დღეში გადალახა, მიადგა სასაზღვრო ციხე-სიმაგრეს, რომელსაც ალყა შემოარტყა და აიღო. შემდეგ საჭირო გახდა მდინარის გადალახვა, რომელიც სწრაფი დინებით იყო ცნობილი და პირდაპირ დედაქალაქისკენ აეღო გეზი, სადაც მისი არმიის გამოჩენას შეშინებული უცდიდნენ, შიშის ქვეშ იყო მთელი ქვეყანა, მაგრამ იმის გამო, რომ ზამთარი ახლოვდებოდა, ჯარების მხედართმთავარმა ქაშმირის გუბერნატორმა, არმია უკან მოაბრუნა და ციხესიმაგრეში კი მძლავრი გარნიზონი ჩააყენა, რომელმაც დატოვა იქაურობა, ალბათ მტრის მიმართ შიშის, ან სურსათის ნაკლებობის გამო. ამგვარად გუბერნატორის იმედი გაზაფზულზე დაბრუნებულიყო და გაეგრძელებინა ბრძოლა ჩაფლავდა. ეხლა, როცა ტიბეტის მეფემ გაიგო, რომ აურენგზიბი ქაშმირში იმყოფებოდა და ტიბეტის დასალაშქრად ემზადებოდა, მან ელჩები მიავლინა მასთან და საჩუქრები მიუძღვნა აურენგზიბს. საჩუქრებში შედიოდა ბროლი, თეთრი ძროხების კუდები, რომლითაც განთქმული იყო ტი-

ბეტი და რომლებსაც სპილოების მოსართავად იყენებდნენ, დიდი რაოდენობით მუსკუსი და იასპის ქვა, რომელიც დიდ ძვირფასეულობას წარმოადგენდა. იასპი — გახლავთ მწვანე ქვა, რომელსაც თეთრი ზოლები დასდევს და იმდენად მაგარია, რომ მისი დამუშავება მხოლოდ ალმასის ფხვნილით თუ არის შესაძლებელი. ეს ქვა ძალიან ძვირად ფასობს მოგოლის კარზე. ამ ქვისგან აკეთებენ სხვადასხვა სახის ვაზებს, სხვადასხვა სახის ჭიქებს, რომლებსაც შემდეგ ოქროს ძაფებით მოავარაყებენ. ეს სამუშაო ოსტატებისგან საკმაოდ დიდ ხელოვენბას და პროფესიონალიზმს მოითხოვს.

ამ ელჩის ამალა მხოლოდ სამი-ოთხი ცხენოსნისგან, თორმეტი მაღალი და სააშინლად გამხდარი, დამუწუკებული და გამელოტებული ადამიანისგან შედგებოდა. თავზე უბრალო წითელი ფერის ქუდები ეხურათ, თითქმის ისეთი, როგორსაც ჩვენი მენავეები იხურავენ მდინარეზე ცურვის დროს, რაც შეეხება ტანსაცმელს, არც ის გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით. ელჩის ამალიდან მხოლოდ ხუთიოდე ადამიანს ჰქონდა დაშნა, ხოლო დანარჩენებს ჯოხიც კი არ ეჭირათ ხელში. ელჩმა თავისი მბრძანებლის დავალებით მოლაპარაკებები გამართა აურენგზიბთან და დაპირდა, რომ ქვეყნის დედაქალაქში მეჩეთის აშენების ნებართვას გასცემდა, სადაც მაჰმადიანურ მოსახლეობას ლოცვის საშუალება მიეცემოდათ, ასევე სახელმწიფო მონეტის ერთ მხარეს აურენგზიბის სახეს ამოკვეთდნენ. გარდა ამისა, ვალდებულებას იღებდნენ აურენგზიბისთვის გადასახადები გადაეხადათ, მაგრამ ეჭვი გამოთქვა, როგორც კი დიდი ტიბეტის მეფე გაიგებდა, რომ აურენგზიბმა ქაშმირი დატოვა, ისიც უგულებელყოფდა შეთანხმებას, როგორც ეს შაჰ-ჯეხანის მმართველობის დროს მოხდა.

ამ ელჩს თან ჰყავდა წამოყვანილი ექიმი, რომლიც როგორც ამბობენ ლხასას სამეფოდან იყო, რომელიც წარმოიშვა „ლამი“-ს, ან „ლამა“-ს ტომიდან. ეს სასულიერო პირების ტომია, ისევე როგორც ბრამინები (ქურუმები) არაინ ინდოეთში, მათ შორის განსხვავება კი ის არის, რომ ინდოელებს არ ჰყავთ ხალიფა, ანუ პირველი მოძღვარი (ჩვენებურად პატრიარქი). მას აღიარებენ არა მარტო ლხასეში არამედ თათარსტანში და დიდი პატივისცემით სარგებლობს, აღიარებენ როგორც ღვთაების დარს და სწორს. ამ ექიმს ჰქონდა რეცეპტების წიგნი, რომლის გაყიდვაზე სასტიკი უარი გამომიცხადა. შრიფტი რითაც ეს

წიგნი იყო დაწერილი რაღაცით ჩვენსას წააგავდა. ჩვენ ვაიძულეთ ალ-ფაბიტი დაეწერა ჩვენთვის, მაგრამ ის, ისე ნელა წერდა და თან საში-ნელი კალიგრაფიით, რომ მისი როგორც ექიმის კომპეტენტურობა ეჭ-ვის ქვეშ დავაყენეთ. მას მტკიცედ სწამდა სულის გადავლენის და ამის დასამტკიცებლად ერთი „ზღაპარი“ გვიამბო. მათმა „დიადმა ლამა“-მ, სიბერის ჟამს, როდესაც სიკვდილისთვის ემზადებოდა შეკრიბა თავისი სათათბირო და გამოუცხადა, რომ ის აპირებდა „გადასახლებულიყო“ ახალშობილის სხეულში, რომელიც ახლახანს დაიბადა. ამ ბავშვს სა-სულიერო პირები დიდი რუდუნებით ზრდიდნენ და როდესაც ბავშვი ექვსი-შვიდი წლის გახდა, მას უჩვენეს ავეჯი და პირუტყვი, რომელშიც სხვების ნივთები და პირუტყვი იყო შერეული. ყველას გასაოცრად ბავ-შვმა გამოარჩია რომელი ეკუთვნოდა გარდაცვლილ ლამას და რომელი იყო სხვისი. ეს, ექიმის სიტყვებით რომ ვთქვათ, სულის გადავლინების სრულ მტკიცებულებას წარმოადგენს. თავიდან ვიფიქრე, რომ ეს კაცი დაგვცინოდა, შემდეგ კი მივხვდი, რომ მას მტკიცედ სჯეროდა თავისი ნათქვამის. ეს ექიმი კიდევ ერთხელ ვნახე ქაშმირელ ვაჭართან ერთად, რომელმაც ტიბეტური ენა კარგად იცოდა და როგორც თარჯიმანი ხშირად მეხმარებოდა. მე მივედი მასთან რომელიღაც ქსოვილის ყიდ-ვის საბაბით, რომელიც გასაყიდად ჰქონდა ჩამოტანილი ვაჭარს, ამ ქსოვილს „რატინს“ ეძახიან. ჩემი მიზანი იყო გამეგო მათი ქვეყნის შე-სახებ, მაგრამ ვერაფერი საგულისხმო ვერ ვათქმევინე ვერც ექიმს და ვერც ვაჭარს. მხოლოდ ის მითხრეს, რომ ტიბეტი უღარიბესი ქვეყანაა ქაშმირთან შედარებით და თოვლი ხუთ თვეზე მეტ ხანს დევს და მათი მეფე ჯერაც ებრძვის თათრებს. მაგრამ ვერაფრით ვერ ამიხსნა, თუ ვინ იყვნენ ეს თათრები. ბოლოს, როცა ჩემს მიერ დასმული მრავალი შეკითხვა უპასუხოდ დარჩა, მივხვდი რომ ამ კაცთან საუბარი დროის უქმად ფლანგვა იყო და სხვა არაფერი.

ის, რაც ცნობილია და მის ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის არ ეპა-რება, ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ ოცი წლის წინ ქაშმირიდან ყო-ველწლიურად მიემგზავრებოდნენ ქარავნები დიდი ტიბეტის გავლით თათარსტანში. სამ თვეს ჩინეთამდე ჩასვლას ანდომებდნენ, მათ ურ-თულესი გზების გავლა უწევდათ, მაღალი მთები, ღრმა ხევები, ჩქა-რი და წყალუხვი მთის მდინარეები, კლდიდან კლდეზე გადასვლა, ასეთი იყო ჩინეთისკენ მიმავალი გზა. უკან დაბრუნებულ ქარავნებს

კი მოჰქონდათ მუსკუსი, ჩინური ხე, რევანდი და მონერონი, პატარა ფესვები, რომელიც თვალის დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. დიდი ტიბეტის გადმოვლისას მარაგდებოდნენ მუსკუსით, ბროლით და ასევე მოჰქონდათ ძალიან თხელი შალის ქსოვილის ორი სახეობა, ერთ-ერთი გახლავთ ცხვრის მატყლისგან დამზადებული, რომელსაც ეძახიან „ტუზ“-ს. შემდეგ შაჰ-ჯეხანთან დაკავშირებული სირთულეების გამო, ტიბეტის მმართველები არა თუ მათი საქარავნო გზების გამოყენების, არამედ მათ ტერიტორიაზე შესვლის უფლებასაც კი არ აძლევდნენ ვაჭრებს. ამიტომ ეხლა ქარავნები პაკნიდან განგის საშუალებით დადიან, ისინი მარცხნიდან უქცევენ ძველ გზას და პირდაპირ ლხასში მიდიან.

რაც შეეხება სახელმწიფოს, რომელსაც აქ „ქაშგარ“-ს ეძახიან და რომელიც, ჩემი აზრით იგივეა რაც კასგარი, რომელიც ჩვენს რუქებზეა აღნიშნული, მე ვაჭრებისგან ამ ქვეყნის შესახებ გარკვეული ცნობები შევაგროვე. ამ ვაჭრებმა როგორც კი გაიგეს, რომ აურენგზიბი აპირებდა ჩამოსვლას ქაშმირში, დიდი რაოდენობით მონები ჩამოიყვანეს გასაყიდათ. ისინი ამბობდნენ, რომ ქაშგარი ქაშმირის აღმოსავლეთით მდებარეობდა. უმოკლესი გზა მათი ქვეყნისკენ დიდ ტიბეტზე გადის, მაგრამ იმის გამო, რომ გზა დაკეტილი იყო, მცირე ტიბეტის გავლით ჩამოაღწიეს აქამდე. ისინი ჯერ პატარა ქალაქ გურდშეში შეჩერდნენ. ეს უკანასკნელი ქალაქია ქაშმირის დაქვემდებარებაში და ქალაქ ქაშმირიდან ოთხი დღის სავალზე მდებარეობს. აქედან რვა დღეში ჩააღწიეს მცირე ტიბეტის დედაქალაქ ესკერდუში. იქიდან კი ორი დღის სავალზე მდებარე ქალაქ შეკერში ჩავიდნენ. ეს ქალაქი მცირე ტიბეტში მდინარის ნაპირზეა გაშენებული, რომელიც თავისი სამკურნალო თვისებებით არის ცნობილი. შემდეგ თხუთმეტი დღის გზა ტყეზე გადის, რომელიც მცირე ტიბეტის საზღვარზე მდებარეობს და კიდევ თხუთმეტი დღის სავალი გზის გავლის შემდეგ, ჩავიდნენ კაშგარში, ეს პატარა ქალაქია სადაც ადრე კაშგარის მეფე ცხოვდობდა, ეხლა მისი რეზიდენცია ჟურჩენდში მდებარეობს, რომელიც კაშგარის ჩრდილოეთით ათი დღის სავალზეა. ვაჭრებმა ისიც ბრძანეს, რომ კაშგარიდან ჩინეთამდე თითქმის ორი თვის სავალი გზაა და იქიდან ყოველწლიურად ჩამოდიან ქარავნები, რომლებსაც მრავალნაირი საქონელი ჩამოაქვთ გასაყიდად. ქარავნები უზბეკეთიდან

სპარსეთისკენაც მიემართებიან და ჩინელების ზოგიერთი ქარავანი კი პატნუს გავლით ინდოსტანისკენ მიემართება. ვაჭრებმა მითხრეს, რომ თუკი ქაშგარიდან ჩინეთისკენ წახვალ, გზად ერთი ქალაქი შეგხვდება, რომელიც კოტენადან რვა დღის სავალზეა. ეს ქაშმირის სამეფოს უკანასკნელი ქალაქია. ქაშმირიდან ქაშგარამდე გზა საკმაოდ რთულია, გზაზე გვხვდება ერთი ადგილი, სადაც მუდმივად ყინულით დაფარული გზა უნდა გაიარო, რომელიც მეოთხედი ლიეს მანძილზეა გადაჭიმული.

აი ეს ყველაფერი რისი თხრობაც მინდოდა, მართალია ჩემს მიერ მოძიებული ცნობები ინდოსტანის და მისი შემოგარენის შესახებ ბევრი არ არის, მაგრამ არც თუ ისე ცოტაა. მე ურთიერთობა მქონდა გაუნათლებელ და უბირ ადამიანებთან, რომლებსაც კითხვებზე პასუხის გაცემაც კი არ შეეძლოთ და ხშირად ვერც თარჯიმნების საშუალებით ვიგებდი კითხვებზე პასუხს, რადგან თარჯიმნებმაც ცუდად იცოდნენ სხვადასხვა კუთხეების დიალექტი.

* * *

ფრანსუა ბერნეს ხუთ შეკითხვაზე უნდა გაეცა პასუხი, ესენი გახლავთ:

1. ინფორმაცია ქაშმირში მცხოვრები ებრაელების შესახებ;
2. მუსონების, ანუ ინდოეთში წვიმიანი სეზონების და ხანგრძლივობის შესახებ;
3. ქარების და ბუნებრივი პირობების შესახებ;
4. ბენგალიის სამეფოში ნიადაგების მოსავლიანობის, სიმდიდრის და სილამაზის შესახებ;
5. ნილოსის ადიდების შესახებ.

განმარტებები

1. **ბედნიერი არაბეთი** — იემენის სამხრეთი ნაწილი, რომელსაც ეს სახელი ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში დაერქვა (ეს დასახელება ჯერ კიდევ პტოლემეიაშია მოხსენიებული ჩვენ ერამდე მე-2 საუკუნეში) ეს ტერიტორია ხასიათდება ნაყოფიერი მიწებით და ხელსაყრელი კლიმატით, რაც გამოარჩევს მას არაბეთის სხვა ტერიტორიებისაგან.

2. **„გობეშ"-ი ანუ ეთიოპიის სამეფო** — აწ აბისსინია. გობეში, „ანი ხობეში" ამ ქვეყნის არაბული სახელწოდებაა. ჰეროდოტე ეთიოპიას უწოდებდა ტერიტორიას, რომელიც ეგვიპტის სამხრეთ ნაწილს მოიცავდა. ალექსანდრიაში მესამე და ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკენეში ბიბლიის ბერძნულ ენაზე თარგმნისას (ე. გ. წ. სეპტუაგინტა ანუ 70 მთარმგნელის მიერ ნათარგმნი, გადმოცემის თანახმად ძველი ბერძნულიდან ბერძნულ ენაზე ნათარგმინი) ეთიოპია ეწოდა ქვეყანას, რომელსაც ბიბლიურად „კუშ"-ი ეწოდებოდა. ჩვენი წელთაღრიცხვის მე-3 მე–4 საუკუნეებში სეპტუაგინტების ეთიოპიურ ენაზე (ამ ენას ჰქვია „გეეზ"-ი) თარგმნისას ოფიციალური სახელწოდებად მოიხსენიებენ აბისსინის სახელმწიფოდ.
კათოლიკების დევნა და ზოგიერთი სასულიერო პირის ჩამოხრჩობა დაკავშირებულია 1623 წლის მღელვარებასთან, რომელსაც აბისსინის სახელმწიფოში ჰქონდა ადგილი. მეფემ კათოლიკური ეკლესიისადმი განსაკუთრებული ლოიალობის გამოჩენის გამო მოინდომა კათოლიკობა სახელმწიფო რელიგიად გამოეცხადებინა. ამ ფაქტმა გამოიწვია დიდი მღელვარება და შესაბამისად სახელმწიფოს მეთაური განდევნილი იქნა სამეფოდან, ქრისტიანებთან ერთად. ტაძრები კი გაანადგურეს.

3. **დიდი მოგოლის იმპერია** — სახელწოდება რომელიც ევროპელებმა მიანიჭეს სახელმწიფოს, რომელიც თურქი დამპყრობის ბაბერის (ბაბურ) მიერ იყო შექმნილი. ბაბერს საკუთარი თა-

ვისთვის მოგოლი არასოდეს არ უწოდებია და სახელწოდება „დიდი მოგოლის იმპერია“ შეიძლება აიხსნას იმით, რომ ევროპელებმა პირველად გაიგეს ინდოეთში სპარსელების მიერ მძლავრი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ, რომელსაც „ჯაგატაელ თურქებს“ უწოდებდნენ, რომლებიც ამუდარიის გადაღმა ცხოვრობდნენ. ამ იმპერიის დამაარსებელი გახლავთ ბაბერი (მისი ნამდვილი სახელი გახლავთ ზაგირ-უნ-დინ-მოჰამედი. ბაბერი მისი მეტსახელია, რომელიც ვეფხვს ნიშნავს), იგი ფერგანის მმართველის ომარ-შეიხის ვაჟი გახლდათ და თემურ ლენგის შთამომავლად ითვლებოდა. ეს ადამიანი ისტორიაში შევიდა არა მარტო როგორც დიდი დამპყრობელი, არამედ როგორც დიდი პოეტი. მან დასაბამი მისცა მოგოლთა დინასტიას. ის ჯაგატიურ ენაზე წერდა, ეს ენა ძალიან უახლოვდება უზბეკურ ენას, მაგრამ განიცდის სპარსული ენის ზემოქმედებას.

ბაბერმა 1495 წელს მემკვიდრეობით მამის სამეფო ტახტი მიიღო. ორი ათეული წლის განმავლობაში ის თავგამოდებით იბრძოდა სამარყანდის დასაპყრობად. ბრძოლები მეტნაკლები წარმატებებით ვითარდებოდა, მაგრამ 1514 წელს უზბეკებმა ბაბერს საბოლოო დამარცხება აგემეს, შესაბამისად მას ხელი ააღებინეს სამარყანდის დაპყრობაზე და ფერგანის უკან დაბრუნებაზეც კი. ბაბერი ქაბულში დაბრუნდა, რომელიც ჯერ კიდევ 1504 წელს ჰქონდა დაპყრობილი. დასავლეთით განცდილი მარცხის შემდეგ ბაბერი აღმოსავლეთში ინდოეთისკენ დაიძრა. 1519 წლიდან მოყოლებული რამდენიმე წარმატებული მოქმედების შედეგად, 1526 წლის 27 აპრილს, ბაბერმა პანიპატის დაბლობზე დელის იმპერატორი იბრაჰიმი (პატანიური ანუ ავღანური ლოდის დინასტიის წარმომადგენელი) გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხა და საფუძველი ჩაუყარა მოგოლთა დინასტიას.

ბაბერი გარდაიცვალა 1530 წელს. მისი მემკვიდრეები იყვნენ გუმაიუნი, (1530-1556) რომელიც მალევე ჩამოაგდეს ტახტიდან და სპარსეთში გადაიხვეწა. სიცოცხლის ბოლო წლებში ის ისევ დაბრუნდა უკან და მისი ვაჟის აკბარის დახმარებით

და დაიბრუნა სამეფო ტახტი. შემდეგ სამეფო ტახტზე აკბარი ავიდა (1556-1605). მისი მემკვიდრე გახლდათ მისი ვაჟი სელიმი, რომელმაც ჯეხან-გირის ტიტული (მსოფლიოს დამპყრობელი) მიიღო და ქვეყანას 1605-1627 წლებში მართავდა. ჯეხან-გირი, მისმა ვაჟმა და შაჰ-ჯეხანმა შეცვალა (1627-1658). მან ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით საკუთარი ძმა და ის ნათესავებიც დახოცა ვისაც ტახტზე შეეძლო პრეტენზია განეცხადებინა. 1658 წელს შაჰ-ჯეხანი მისი ვაჟის აურენგზიბის მიერ იქნა ტახტიდან ჩამოგდებული და სიცოცხლის ბოლო წლები პატიმრობაში გაატარა. აურენგზიბი იმპერიას 1658-1707 წლებში მმართავდა.

4. **შეიხ-სადი** (1184-1291) — ცნობილი სპარსი პოეტი. მას ეკუთვნის ნაწარმოები „გულისთან“ (ვარდის ბაღი) რომელიც მან 1258 წელს შექმნა.

5. **შია, სუნნი, რაფეზი, ალი-მერდინი** — მუსულმანური სექტები. ბერნე მიიჩნევდა, რომ სუნის სექტის წარმოშობას უკავშირებს ოსმან სულთანს, რომელიც თურქეთის იმპერიის დამაარსებლად ითვლება, რომელიც იყო მესამე ოსმან ხალიფა და ალის მაგივრად იყო არჩეული.
ისლამი 72 სექტას აერთიანებს. მათ შორის ძირითად სექტებს წარმოადგენს შია-ს და სუნნი-ს სექტები. ინდოეთში მუსულმანთა უმრავლესობა სუნი-ს სექტის მიმდევრები იყვნენ, ხოლო დანარჩენი მუსლიმები, ისევე როგორც სპარსელები, შიიტთა სექტის წარმომადგენლები იყვნენ.

6. **ფაკირი** (არაბულად ფაკრ) — ღარიბი, სარწმუნოებისადმი თავდადებული, ისევე როგორც სპარსელი დერვიში. აღმოცენდა მუსულმანურ წიაღში. სიტყვა ფაკირი ანალოგიის შესაბამისად „შეერწყა“ ინდოელი იოგებს და ევროპაში ამ სახელით მოიხსენიებენ.

7. **დერვიში** — სპარსულად ნიშნავს ღარიბს. ევროპაში შეცდომით მიიჩნევენ როგორც მუსულმან ბერს. ისლამი არ სცნობს „ბერის“ ფენომენს, დერვიშებს უფლება აქვთ დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი, გააჩნდეთ საკუთრება. დერვიშები უმეტეს შემთხვევაში სიღარიბეში ცხოვრობენ.

8. **დეკკან** — წარმოსდგება სიტყვა „დეკხინ“ (სამხრეთი) ამ დასახელებით მოიხსენიებენ მდინარეების ნაბუდასა და კრიშნას შორის მოქცეულ ტერიტორიას სამხრეთ ინდოეთში.

9. **სერალი** — ანუ სერაი, სპარსულად ნიშნავს „სახლს“ ანუ ჰარემს.

10. **კარნატიკი** — მხარე ინდოეთის სამხრეთ-დასავლეთით. მე-12 საუკუნის შუაში წარმოადგენდა პატარა სახელმწიფოს, რომელიც გოლკონდისა და ბიჯაპურის სამეფოებს უხდიდა გადასახადებს და მათ, კარნატეკში, გავლენის სფეროები ჰქონდათ განაწილებული. ამ ქვეყნის ფაქტიური მმართველი მირ-ჯუმლა გახლდათ. მე-17 საუკუნის ბოლოს კარნატიკი აურენგზიბმა დაიპყრო.

11. **გოლკონდა** — დეკკანის დასავლეთ ნაწილში მდებარე მძლავრი სახელმწიფო, რომელმაც იარსება მე-16 საუკუნიდან მე-17 საუკუნის ბოლომდე. 1687 წელს გოლკონდა აურენგზიბმა დაიპყრო.

AURANGZEB

სარჩევი

უკანასკნელი პოლიტიკური გადატრიალება
დიდი მოგოლის სამეფოში 5

განმარტებები 293